
150

აკ. სურგულაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა

(ისტორიული ნარკვევი)

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1968

8Г1+9(с41)
899.962.1092 [ბარათაშვილი ნ.]+9(47,922)
ს 961

ნაშრომში გაშუქებულია ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მიმდინარეობა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში.

ფართოდაა განხილული ამ ეპოქის დიდი სოციალური, პოლიტიკური და იდეური მოვლენები: საქართველოს რუსეთთან შეერთება და ცარიზმის პოლიტიკა საქართველოში, 1802 წლის შეთქმულება, XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასობრივი აჯანყებანი, 1832 წლის შეთქმულება, 40-იანი წლების საქართველოს იდეური მოძრაობანი, სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობა კავკასიის მთიანეთში და სხვ., რომლებმაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს ამ ეპოქის მოღვაწეთა, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობაზე.

1—6—1

95—68 ადგ.

ავტორისაგან

ყველა დიდი პოეტის შთაგონების წყარო მისი მშობელი ქვეყანაა. ლექსის როგორი ნოვატორი და ოსტატიც არ უნდა იყოს პოეტი, თუ მას არ აღელვებს თავისი ხალხის ტანჯვა და სიხარული, თუ მისი გულის სიმები ეროვნულ ენებათა ღელვას არ აუთრთოლებია, ხალხის ხსოვნაში ბინას ვერ დაიმკვიდრებს და დავიწყებას ვერ ასცდება.

ას ორმოცდაათი წელია მას შემდეგ, რაც საქართველოს პოეზიის თანავარსკვლავედს ნიკოლოზ ბარათაშვილის მნათობი შეემატა. ტანჯვითა და ვაებით იყო აღსავსე ამ გენიალური ჰაბუკის ცხოვრება. სამი ათეული წელიც კი ვერ დაისრულა, ისე წავიდა ამ ქვეყნიდან. არც ბევრი დაუწერია — 38 ლექსი და ერთი პოემა, მოცულობით უბის წიგნაკშიც რომ ჩაეტევა. დასტამბვა სიცოცხლეში არც ღირსებია...

ნ. ბარათაშვილი სწორედ იმის მაგალითია, რომ შემოქმედის მადლი და ღვაწლი მისი სტრიქონების რაოდენობით არ განიზომება. ქართველმა საზოგადოებრიობამ იმთავითვე თავდავიწყებით შეიყვარა ქართული სულის მესაიდუმლე პოეტი და ეს სიყვარული შთამომავლობიდან შთამომავლობას გადასცა ადრინდელზე უფრო განვრცობილი და გასპეტაკებული. ქართველი კაცი ყოველდღის არაჩვეულებრივი სიყვარულით, სინაზითა და სიამაყით წარმოთქვამს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს და წარმოუდგება ფიზიკურად სუსტი, ქერა ჰაბუკი, რომელსაც შინაგანი პოეტური წვის ტიტანური ძალა ვერ დაუოკებია და თავის ერთგულ მერანს მიაჭროლებს, რომ

ფიქრი მისი შავად მღელვარი ნიაგს გაატანოს და თანამავალ-ვარსკვლავთ ამცნოს გულის საიდუმლო...

რით უნდა ავხსნათ ქართველი ხალხის ასეთი დიდი სიყვარული ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, მისი სახელის ასეთი გაცისკროვნებული შარავანდედი?

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი მოტივები და მთელი მსოფლმხედველობა ქართულ ეროვნულ ნიადაგზეა დაფუძნებული. ეროვნული ჩაგვრის გამო აღძრული სევდა გამოსჭვივის მისი უზადო ლექსებიდან, ეროვნულ საკითხს დასტრიალებს მისი ეპიკური ფიქრებიც. მისი მემკვიდრეობიდან ძნელია მოინახოს სტრიქონიც კი, სადაც მეტ-ნაკლები სიდიდით არ ისმოდეს მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათ-ორმოციანი წლების ქართველის გულისტკივილი, ბედისადმი შეურიგებლობა, ძიება, ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი. ერთი სიტყვით, ნიკოლოზ ბარათაშვილი განსახიერებაა იმისა, რასაც დიდი ილია ჭავჭავაძე პოეტის მაღალ დანიშნულებად მიიჩნევს: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მეწვოდეს მის ტანჯვით სული“.

ზოგიერთ მკვლევარს ნიკოლოზ ბარათაშვილის მთავარ დამსახურებად ქართულ ლიტერატურაში ზოგადსაკაცობრიო იდეალების აღძვრა, „მსოფლიო სევდის“ მოტივების შემოტანა და დანერგვა მიაჩნია. დასავლეთის რომანტიკული პოეზიის ვარსკვლავების — ბაირონის, შელის, ლამარტინის, მიუსეს. მიცკევიჩის გვერდით მორიდებით მოიხსენიებს ბარათაშვილის სახელს და ეამაყება, რომ პოეზიის ამ ტიტანთა კეთილისმყოფელი გავლენით ბარათაშვილმა ქართული ლიტერატურა მსოფლიო არენაზე გაიტანა. ამ დებულებაში სიმართლის ნაწილია მხოლოდ. მისი ნაკლი ბარათაშვილის შემოქმედების ეროვნული ნიადაგიდან მოწყვეტაში მდგომარეობს. ნ. ბარათაშვილის სულიერი განწყობილება სრულიადაც არ ყოფილა იმ დროის მოდური ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენის შედეგი. ეს განწყობილება მას ქართული კონკრეტული ისტორიული ვითარების საფუძველზე შეუმუშავდა; ქართველი ხალხის ისტორიული ბედი მთავარი ნიშანსვეტი იყო მისი შემოქმედებისა. ცარიზმის უხეში კოლონიური ჩაგვრისაგან გათანგული საქართველო, რომლის გამოხსნის ცდა

ტრაგიკულად დამთავრდა, წარმოადგენდა პოეტის განუწყვეტელი ზრუნვის, ფიქრისა და სევდის საგანს. სამშობლოს ეროვნული თავისუფლების კეთილშობილურ ოცნებას უზიარებდა იგი მობუტბუტე მტკვარს თუ მთაწმინდის კალთებს, ხალხის მჩაგვრელი უცხო ძალა იყო „სული ბოროტი“, ერის თვითშემეცნების გამოფხიზლების, საბრძოლო შემართების მოთავე ძალთა სიმეჩხერესა და დაურაზმაობაში გრძნობდა „სულით ობლობას“. მაგრამ პოეტს მტკიცედ სწამდა საქართველოს მომავალი და უარყოფდა ბედისადმი ბრმა მორჩილებას, საქვეყნო საზრუნავი მოვალეობად მიაჩნდა და ოცნებობდა ისეთი კვალი დაეტოვებინა, რომ მისგან თელილ გზაზე უშიშრად ევლო შთამომავლობას.

ერთი სიტყვით, „ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო წძინდა სანთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით იწვოდა“. მისი პოეტური მსოფლმხედველობის საფუძველს და ამოსავალს ეროვნული საკითხი წარმოადგენდა. მაგრამ მან შეძლო ეს ეროვნულ-პატრიოტული საკითხი ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან შეესისხლხორცებინა და ამით თავისი შემოქმედებაც მსოფლიო პოეზიის მწვერვალზე აეყვანა. მის პოეზიაში კერძო განზოგადებულია, ქართველი კაცის გულისტკივილი მსოფლიო სატკივარის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ბარათაშვილმა „ჩვენს გულთა თქმას, ჩვენს ჰკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“. ნ. ბარათაშვილი არა ევროპელ მწერალთა ზეგავლენით შეთვისებული მზა ლიტერატურული მეთოდით მოვიდა ქართულ სინამდვილესთან, არამედ ქართული სინამდვილიდან ამაღლდა მსოფლიოს პოეზიის ოლიმპომდე და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი იმათ შორის, ვინც კაცობრიობის გულისტკივილის გამოხატვის უბადლო ოსტატად არის აღიარებული და მსოფლიოს ცივილიზაციის მშენებას წარმოადგენს.

ამ დიდი დამსახურების გამო ნიკოლოზ ბარათაშვილი შთამომავლობამ ეროვნულ გენიად აღიარა და რუსთაველის გვერდით დაუმკვიდრა ადგილი.

ყოველივე ზემოთქმული თავისთავად მიგვანიშნებს, თუ

სად უნდა ვეძიოთ გასაღები ბარათაშვილის მსოფლმხედველობისა, რაში უნდა დავინახოთ მისი გულისტკივილისა და სულიერი შფოთვის მიზეზი, რომელიც პოეტის თანამედროვე ქართულ ცხოვრებაშია ჩამარხული. ბარათაშვილის გაგებას შეძლებს ის, ვისაც გაუაზრებია XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორია.

საქართველოს ერცელი ისტორიიდან XVIII—XIX საუკუნის მიჯნა და XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევარი განსაკუთრებით ქარტეხილიანი და მშფოთვარეა. საუკუნეთა განმავლობაში იბრძოდა ქართველი ხალხი მტრული აგრესიული მუსლიმანური გარემოცვის გასარღვევად, „ბაბრისა“ და „ფოცხვერის“ კლანჭებიდან სამშობლოს გამოსახსნელად, მაგრამ გამოხსნა — აღდგომა საკუთარი ძალებით ვერ მოხერხდა, რადგან ვერ მოეღო ბოლო შინაგან პარტიკულარიზმს. ეროვნული სხეულის დანაწევრებას. ამაო გამოდგა ნიჭიერი სარდლისა და პოლიტიკური მოღვაწის ერეკლე მეორის ყველა ღონისძიება ამ მიმართულებით. უკანასკნელი აკორდი საქართველოს ისტორიული ძნელბედობისა იყო 1795 წლის აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა. მოხუცი ერეკლეს მემკვიდრეებმა ურთიერთქიშპობის გამო ქვეყანაში შფოთი და არეულობა კიდევ უფრო გააღრმავეს. ქვეყნის შინაგანი სისუსტით ისარგებლა რუსეთის ცარიზმმა და 1783 წელს აღიარებული საქართველოს მფარველობა ანექსიით შეცვალა. XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველო შევიდა რუსეთის მფლობელობაში. ეს იყო მაშინ ერთადერთი გზა ქვეყნის გადარჩენისა და ობიექტურად პროგრესული აქტი ერის ცხოვრებაში. მაგრამ დიდ ისტორიულ ქარტეხილს თან მოჰყვა დიდი ვნებათა ღელვა და მოძრაობანი: ცარიზმის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს ვერც ქართველი ფეოდალური დიდკაცობა შეეგუა, რადგან დაკარგა ძველი პრივილეგია, და ვერც გლეხობა, რომელსაც ჩაგვრის ახალი უღელი დაედგა. 1802 წლის თავადურმა შეთქმულებამ, 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1819—1820 წლების იმერეთის, 1841 წლის გურიის, 1856 წლის სამეგრელოს აჯანყებებმა, რომლებშიც თავიანთი კლასობრივი პოზიციებიდან თითქმის ქვეყნის ყველა წოდება მონაწილეობდა, ქარბორბალასავით გადაუარა საქართველოს.

ცარიზმმა სისხლში ჩაახშო ეს მასობრივი აჯანყებანი და მასთან ერთად გაანადგურა ის იდეური შეთქმულებაც (1832 წლისა), რომელსაც ცარიზმის საოკუპაციო რეჟიმის ლიკვიდაცია და რუსეთისა და ევროპის მოწინავე გამოცდილებათა გათვალისწინებით საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ახლებური ორგანიზაცია ეწადა.

ცარიზმი ცეცხლითა და მახვილით მიიკვლევდა გზას კავკასიის მთიანეთისაკენ. საქართველო და ამიერკავკასია თითქმის 50 წლის მანძილზე ერთ შეიარაღებულ საბრძოლო ბანაკს წარმოადგენდა, სადაც ხან აქ, ხან იქ აბრიალდებოდა ომისა და სახალხო აჯანყებების ხანძარი.

ამ ხანძრის ალი, ხალხის დრტვინვისა და შფოთვის ექო, იმედგაცრუების სევდა და გულისტკივილი ჩაქსოვილია ბარათაშვილის შემოქმედებაში და ეს სრულიადაც არაა შემთხვევითი. ნიკოლოზი და მისი ოჯახი საქართველოს ისტორიის ნახევარსაუკუნოვან მშფოთვარე მოვლენებთან სისხლითა და ხორცით იყვნენ დაკავშირებული. მამამისი მელიტონი — ძირძველი ქართველი თავადი, ახალი რეჟიმის დამკვიდრებისთანავე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა, პოეტის დედა ეფემია საქართველოს სამეფო ოჯახის შთამომავალი იყო და სულის სიღრმეში მტკივნეულად განიცდიდა ბაგრატიონთა დინასტიის ტრაგედიას. პოეტის სისხლით ნათესავები და უფროსი მეგობრები გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, ზ. ავთანდილოვი და სხვ. იყვნენ აქტიური მონაწილენი 1832 წლის შეთქმულებისა, ხოლო შეთქმულების სული და გული, მისი ყველაზე რადიკალური ფრთის მესვეური სოლომონ დოდაშვილი პოეტის უშუალო მასწავლებელი იყო.

ერთი სიტყვით, ნიკოლოზი ბავშვობიდანვე, ოჯახშიც და სკოლაშიც, იმ წრეში ტრიალებდა, სადაც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ყველა აქტს მტკივნეულად განიცდიდნენ და ეხმაურებოდნენ, სადაც საქართველოს ბედი და მომავალი ღვიძლ საქმედ მიაჩნდათ და ეროვნული საქმისათვის ბრძოლა და თავგანწირვა მამულიშვილობისა და ვაჟკაცობის სინონიმს წარმოადგენდა.

ამ გარემოში ნიკოლოზს მტკიცედ გამოუმუშავდა მშობლიური ქვეყნის აწმყოსა და მომავლისადმი ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობა. როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებში ფიქრობდა პოეტი ქართლის ბედზე. მის მაღალ ოცნებებს არწივის ფრთები სჭირდებოდა, მაგრამ ცხოვრებამ ფრთები შეუკვეცა; ხელმოკლეობის გამო პოეტმა ვერ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება პეტერბურგში, ფიზიკურმა ტრავმამ კი დაუხშო გზა სამხედრო კარიერისა, რომელსაც ასე თავდავიწყებით ეტანებოდა მისი ტოლი ახალგაზრდობა; ასე რომ, გოლიათური ენერგიის ჭაბუკი, გველეშაპისათვის თავის მოკვეთას და მშობლიური ხალხისათვის სიცოცხლის წყაროს გათავისუფლებას რომ ამზადებდა და მზისა და ვარსკვლავებისაკენ ისწრაფოდა, მიჯაჭვული აღმოჩნდა მთავრობის რიგითი მოხელის მაგიდასთან და საკუთარი მაღალი ხვედრის ძიებისას შემოაღამდა, მშობლიური ქვეყნიდან გადახვეწილს უცხო მხარეში.

ცხოვრების სარბიელზე ხელმოცარული, ფრთაშეკვეცილი, განმარტოებული ჭაბუკის სული აუმხედრდა „სოფლის ამაოებას“. ამ ამბოხების გამოხატულებაა მისი „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „შემოღამება მთაწმიდაზედ“, მისი „სულო ბოროტო“ და „მერანი“—შედევრი პოეზიისა და უბადლო ნიმუში ბედისწერასთან შერკინებისა. საქართველოს მშფოთვარე მატიანეა მხატვრულ ენაზე ამეტყველებული მისი „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სუმბული და მწირი“, „ეპოვე ტაძარი“... ამ შედევრებში ბარათაშვილი გვევლინება 30—40-იანი წლების საქართველოს „ფიქრთა მპყრობელად“, რომელიც არა მარტო ზუსტად ასახავს წინააღმდეგობებით და ვნებათა ღელვით აღსავსე თანამედროვეობას, არამედ მომავალ თაობას უჩვენებს წინსვლის მიმართულებას. ქართველი ხალხის ისტორიის ღრმა ანალიზის საფუძველზე ბარათაშვილმა დაასაბუთა და განაზოგადა ქართველი ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკური ორიენტაციის სისწორე და ახალი საქართველოს მომავალი აზიურ-ბარბაროსული სამყაროდან იზოლირებასა და რუსეთთან თანაცხოვრებაში დაინახა („ბედი ქართლისა“).

* * *

წინამდებარე ნარკვევი ეძღვნება სწორედ იმ ისტორიული ფაქტორებისა და მოვლენების აღწერა-ანალიზს, რომლებმაც ბარათაშვილის შემოქმედებას წარუშლელი კვალი დააჩნია და მისი მუდმივი ფიქრის საგნად აქცია. მართალია, ნარკვევს „ბარათაშვილის ეპოქა“ ვუწოდეთ, მაგრამ არ შემოვფარგლულვართ მხოლოდ პოეტის სიცოცხლის წლებით. იგი ძეტად ხანმოკლეა და ამასთან შედარებით უფერულიც, თუ არ ჩავთვლით 1832 წლის შეთქმულებას. „ბარათაშვილის ეპოქა“ ჩვენ ფართოდ გავიაზრეთ და მასში მოვაქციეთ ყველა ის დიდი სოციალურ-პოლიტიკური და იდეური მოვლენა, რომლებმაც ბარათაშვილის ოჯახზე, პირადად პოეტზე, მის წრესა და, რაც მთავარია, მის შემოქმედებაზე, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. ამ მოვლენათა რიგს განეკუთვნება საქართველოს რუსეთთან შეერთება და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში, 1802 წლის თავადური შეთქმულება, XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასობრივი აჯანყებანი, 1832 წლის შეთქმულება, 40-იანი წლების საქართველოს იდეური მოძრაობანი, სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობა კავკასიის მთიანეთში და სხვ.

ნარკვევში მოცემულია ცდა ამ მოვლენების ანალიზისა და ზოგი მათგანის ახლებური ინტერპრეტაციაც. რა თქმა უნდა, ნარკვევს არა აქვს პრეტენზია XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრების გაბმული ოხრობისა, რადგან ამ დანიშნულების შრომას ასეთი რამ არ სჭირდება.

თავი I

საქართველოს რუსეთთან შეერთება და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ამიერკავკასიაში

იმ მღელვარე ფაქტებიდან და მოვლენებიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილის გულსა და გონებას ცხოველად რომ დააჩნდა და მისი შემოქმედების ნიშანსვეტად გამოიკვეთა, მთავარი და განმსაზღვრელი მაინც მუსლიმანური გარემოცვიდან მშობლიური საქართველოს თავდახსნისათვის შეუპოვარი ბრძოლა და მისი ისტორიული ბედის რუსეთთან დაკავშირება იყო, რაც საბოლოოდ 1801 წელს განხორციელდა. საქართველოში ცარიზმის მიერ შემოღებული რეჟიმის სიმწვავემ, როგორც ცნობილია, აამხედრა გლეხობაც და თავადაზნაურობაც და მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ანტირეჟიმული ბრძოლა არ დამცხრალა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პროგრესისტი მესვეურები აგრესიულ მუსლიმანურ გარემოცვაში მყოფი საქართველოს ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ გზად და საშუალებად ძლიერი რუსეთის მფარველობას და მასთან თანაცხოვრებას აღიარებდნენ და მთელი 300 წლის მანძილზე დიდი მსხვერპლის ფასად უკაფავდნენ გზას ჩრდილოელ მეზობელს, მაშინ თითქოს აუხსნელი რჩება, ასე მტკივნეულად რატომ განიცადა ქართველმა ხალხმა რუსული მმართველობის შემოღება, რატომ არ ამოუდგა იგი გვერდში ახალ მფარველს თავისი მძიმე ჭრილობების მოშუშებისათვის ბრძოლაში?

ამ კითხვაზე პასუხს თვით ცარიზმის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ანალიზი იძლევა. ეს ანალიზი თვალნათლივ დაგვანახვებს, რომ ქართველობა ვერ შეეგუა არა რუსეთსა და რუს ხალხს, არამედ მმართველობის იმ სრულიად უცხო და

შეუფერებელ წესებს, რომლებიც ცარიზმმა ახლად შეერთებულ ქვეყანას თავს მოახვია, ვერ შეეგუა ჩაგვრის იმ სისტემას, რომელიც თვით რუს ხალხსაც სულს უხუთავდა. ქართველი ხალხის ბრძოლა XIX საუკუნის პირველ ნახევარში იყო ბრძოლა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის აღკვეთისათვის და ორი ხალხის თანაცხოვრებაში იმ ურთიერთობის აღდგენისათვის, რასაც XVIII საუკუნის მიწურულის მფარველობითი ხელშეკრულება ითვალისწინებდა. ცხადია, ეს ბრძოლა არ იყო ერთიანი ნაკადი, როგორც ეს ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიას მიაჩნდა. კლასობრივი პრინციპი განსაზღვრავდა ამ ბრძოლების წინააღმდეგობრივ ხასიათს. თითოეული კლასი და წოდება ახალ რეჟიმს თავისი ინტერესების მიხედვით აფასებდა.

საქართველოს რუსეთთან შეერთება — 1783 წლის ტრაქტატიც და 1801 წლის მანიფესტიც — საქართველოს რთულ საშინაო და საგარეო ურთიერთობათა გადახლართვის ობიექტური შედეგი იყო. იგი შეპირობებული იყო არა მარტო საქართველოს შინაგანი უძლურებით და აგრესიულ-მუსლიმანური გარემოცვიდან საკუთარი ძალებით თავის დაღწევის შეუძლებლობით, არამედ მაშინდელი მსოფლიოს სამი უძლიერესი ქვეყნის: რუსეთის, ინგლისისა და საფრანგეთის შეურიგებელი ჭიშპობით ახლო აღმოსავლეთის პლაცდარმზე. ამ ჭიშპობასა და ბრძოლაში რუსეთის ცარიზმის ღონისძიებები, მის მესვეურთა სუბიექტურად რეაქციული მიზანდასახულობის მიუხედავად, ობიექტურად პროგრესულ როლს ასრულებდა, რადგან საქართველოს დაიხსნიდა არა მარტო ჩაჰორჩენილი ირანისა და თურქეთის კლანჭებიდან, არამედ დაიცავდა ამ სახელმწიფოთა ზურგს უკან მდგომი ინგლისისა და საფრანგეთის მტაცებლური პოლიტიკისაგან. ეს თავის დროზე შესანიშნავად ამოიცნო ნიკოლოზ ბარათაშვილმა და ქართლის ბედის ერეკლესებური გადაწყვეტა ერთადერთ სწორ გზად აღიარა.

ამ თავში ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია ირან-ოსმალეთის და ინგლის-საფრანგეთის პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, გაგვერკვია ქვეყნისათვის თავზემოხვეული რეჟიმის ხასიათი და გამოგვეკვეთა ის ობიექტურად პროგრესული შედეგები, რომლებიც ორი ხალხის თანაცხოვრებით ცარი-

ზმის პოლიტიკის საპირისპიროდ თავის იჩენდა და რომელთაც საქართველოს მომავლისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდათ.

1. რუსეთი XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე

XIX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის იმპერია წარმოადგენდა დიდ მრავალეროვან სახელმწიფოს, რომლის 45 მილიონამდე მოსახლეობაში არარუს ეროვნებათა რიცხვი 14 მილიონს აღემატებოდა.

მოსკოვის სამეფომ დაპყრობანი ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან დაიწყო, ხოლო განსაკუთრებული ინტენსივობით XVIII საუკუნეში წარმართა.

XVI საუკუნეში მოსკოვის სახელმწიფო მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩრდილოეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით. მან დაიპყრო კარელიის, კომის, შუა ვოლგისპირეთის, ურალისპირეთის ხალხები (თათრები, უდმურტები, მარიელები, ჩუვაშები, მორდველები, ბაშკირები). XVI საუკუნის მიწურულსა და XVII-ის დასაწყისში მოსკოვის სახელმწიფომ ციმბირის ხალხებიც დაიმორჩილა და თავისი საზღვრები ძველი სლავური მიწა-წყლიდან შორს გადასწია. მოსკოვის სამთავრო ამ დროიდან გადაიქცა ცენტრალიზებულ მრავალეროვან სახელმწიფოდ, ხოლო დაპყრობილი ხალხები კოლონიური ძარცვის ობიექტად იქცნენ. XVII საუკუნის შუა წლებში იურიდიულად გაფორმდა მოსკოვის სახელმწიფოსთან უკრაინის შეერთების ისტორიული აქტი, მაგრამ უკრაინისა და ბელორუსიის სრული შემოერთებისათვის შეიარაღებულ და დიპლომატიურ ბრძოლას რუსეთის ცარიზმმა მთელი XVIII საუკუნე მოანდომა, რაც ამ საუკუნის ბოლოსათვის არა მარტო უკრაინისა და ბელორუსიის რუსეთის შემადგენლობაში სრული გაერთიანებით, არამედ ამ ტერიტორიის გამო რუსეთის მოქიშპე პოლონეთის საბოლოო დამარცხებით დამთავრდა.

XVIII საუკუნეში ცარიზმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ბალტიისპირეთის შემოერთებას. პეტრე პირველის დროის რუსეთმა შეიერთა ესტლანდიის და ლიფლიანდიის მიწა-წყალი, ხოლო პოლონეთის 1795 წლის მესამე

გაყოფის შედეგად კურლანდიაც დაისაკუთრა. პეტრეს დროსვე რუსეთი გაბატონდა ფინეთის ტერიტორიის ერთ ნაწილზე (ვიბორგის გუბერნია), ხოლო მთელი ფინეთის დაპყრობა, რომელიც ამ დროიდან რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში იდგა, XIX საუკუნის დასაწყისისათვის დასრულდა (1809 წ.).

XVIII საუკუნის 80-იანი წლებისათვის რუსეთმა წარმატებით დაასრულა აგრეთვე მრავალწლიანი ბრძოლა ყირიმის შესაერთებლად. ამასთან, დროდადრო რუსეთი მიიკვლევდა გზას დასავლეთ ციმბირის ტრამალებში და შუა აზიისაკენ, რუსი კოლონისტები ამ დროს წყნარი ოკეანის კუნძულებსა და კამჩატკაზე იყვნენ დამკვიდრებულნი.

რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ზემომოხსენებული ხალხების შესვლას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. შუა ვოლგისპირეთის, დასავლეთ ციმბირისა და სამხრეთ ურალისპირეთის ხალხები რუსეთთან შეერთებამდე ოქროს ურდოს ნანგრევებზე აღმოცენებულ თათრულ სახანოთა უღელქვეშ გმინავდნენ. ამ სახანოთა შორის გაჩაღებული მუდმივი ომების ვითარებაში ეს ხალხები სისხლისაგან იწრიტებოდნენ და გადაშენების პირზე იდგნენ, რადგან გამორიცხული იყო სამეურნეო-კულტურული წინსვლა. სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ციმბირის ხალხები განიცდიდნენ ჩამორჩენილი მონღოლეთის, მანჯურიის, ჯუნგარიის ფეოდალური სახელმწიფოების მუდმივ შემოსევებსა და რბევა-გაჩანაგებას. ჩრდილოეთის ხალხები (ქარელები, საამები და სხვ.) წარმოადგენდნენ სათარეშო ასპარეზს ნორვეგიელი, შვედი და გერმანელი ფეოდალებისა, რომლებიც არა მარტო მათ ეთნიკურ, სამეურნეო და კულტურულ განვითარებას ახშობდნენ, არამედ გადაშენებითაც ემუქრებოდნენ[1]. დიდი ისტორიული სამართლიანობა იყო უკრაინისა და ბელორუსიის შეერთება რუსეთთან, რადგან ამით ბოლო ეღებოდა იმ საუკუნეობრივ ჩაგვრას, რასაც უკრაინის ხალხები პოლონელი პანებისა და თათართა ხანების მხრივ განიცდიდნენ. ბალტიისპირა ხალხების (ლატვიე-

---

1 Очерки истории СССР в период феодализма, конец XV в. — начало XVI в., Москва, 1955, стр. 624—626.

ლების, ლიტველების, ესტონელების) გადარჩენა გერმანული ასიმილაციისაგან, შეიძლება ითქვას, რუსეთის დამსახურება იყო. ყველა ეს ხალხი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგ სამეურნეო-კულტურული წინსვლის გზაზე დადგა და ფიზიკურ გაჭრობას გადაურჩა.

მაგრამ ეს ობიექტურად პროგრესული პროცესი ამასთან ერთად იყო ამ ხალხების ძარცვისა და ჩაგვრის თანმიმდევრული, მტკივნეული პროცესი; ჯერ კიდევ მოსკოვის სახელმწიფო. ხოლო შემდეგ მეტი ინტენსივობით რუსეთის იმპერია, გაწაპირა ნაციონალური რაიონების ათვისებას და მათ ექსპლოატაციას სამხედრო-ფეოდალური მეთოდებით აწარმოებდა. რუსეთის გაბატონებული ზედაფენა, რომლის ინტერესებს თვითმპყრობელობა იცავდა, ამ „ნაციონალურ განაპირა მხარეებს" უყურებდა როგორც საკუთარი გამდიდრების წყაროს. დაპყრობილ ადგილებში საუკეთესო მიწებს სახელმწიფო რუს მემამულეებს, ეკლესიის მსახურთ და მოხელეებს ურიგებდა, ამასთან, ცარიზმი გარკვეული მიზნით ძველ პრივილეგიებს ნაციონალური რაიონების გაბატონებულ კლასებს უნარჩუნებდა, ხოლო მშრომელ მოსახლეობას სოციალურ ჩაგვრასთან ერთად ეროვნული ჩაგვრის უღელში აბამდა.

ამ ხანგრძლივ დაპყრობათა პირობებში რუსეთის ცარიზმმა შეიძინა კოლონიური ჩაგვრის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება და გამოიმუშავა მეთოდები, რასაც ვითარების შესაბამისად იყენებდა.

XVI საუკუნეში მოსკოვის მთავრობა რუს მრეწველებთან ერთად ციმბირისაკენ მიიკვლევდა გზას. მათი ლაშქარი ანადგურებდა ციმბირის სახანოთა მოსახლეობას. ისინი ფერადი მინებისა და სხვა ზიზილ-პიპილების გაცვლით ძვირფას ბეწვეულს იძენდნენ, ხოლო მოსახლეობას აწერდნენ მძიმე გადასახადს (იასაღს), რომელიც ამ დროისათვის სახელმწიფო ხაზინის მნიშვნელოვან შემოსავლად იქცეოდა. ციმბირის ხელუხლებელი, ველური სიმდიდრე რუს მოლაშქრეებს მის სიღრმეებში უბიძგებდა, სადაც დაპყრობათა შემდეგ ხორციელდებოდა მწვავე სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი.

ცარიზმმა ბაშკირეთის დაპყრობისთანავე დაბეგრა მოსახლეობა „იასაღით". ამასთან, გადასახადისაგან გათავისუფლა

ადგილობრივი გაბატონებული წოდება. ამ წოდებას მთავრობა მრავალ სხვა პრივილეგიასაც სწყალობდა და ამით იჩენდა დასაყრდენს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის განუკითხველ ძარცვაში.

ცარიზმმა ბაშკირეთში მიავლინა თავისი მოხელეები, რომლებიც აღჭურვა ფართო რწმუნებით და მოსახლეობის ხარჯზე უხვი მამულებით დააჯილდოვა. ცარიზმი სხვადასხვა ადგილებში განლაგებული გარნიზონების სახით ზრდიდა რუს მოახალშენეთა რაოდენობას და ამ მხარის კოლონიზაციას ეწეოდა. ადგილობრივ მოსახლეობას იყენებდა რუსეთის საზღვრების დასაცავად მეზობელი ხანების თავდასხმების პერიოდში. რუსეთის გაბატონებული კლასი ბაშკირეთში შემოსავლის უხვ წყაროს ხედავდა, იქ ახალ-ახალ მიწებსა და ყმებს იძენდა, ე. ი. მტკიცდებოდა ცარიზმის პოზიციები აღმოსავლეთში და ძლიერდებოდა ბაშკირეთის კოლონიური ჩაგვრაც. ცარიზმის მფარველობით ბაშკირი ხალხის ექსპლოატაციას უფრო და უფრო აძლიერებდა აგრეთვე პრივილეგირებული ადგილობრივი ზედაფენა. ეს ორმაგი, ე. ი. სოციალური და ეროვნული ჩაგვრის სიმწვავე და გადახლართვა ეღობებოდა წინ ბაშკირეთის განვითარებას და აღვივებდა მის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდია, რომ ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ რუსეთის გლეხობის იმ გრანდიოზულ გამოსვლაში, რომელსაც ემელიანე პუგაჩოვი მეთაურობდა, ბაშკირეთის ჩაგრული ხალხი ერთ-ერთ მძვინვარე ძალას წარმოადგენდა.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მრავალმა დამახასიათებელმა ნიშანმა იჩინა თავი უკრაინის „ათვისებაში“.

რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხები, როგორც ცნობილია, ისტორიულად ღვიძლი ძმები იყვნენ. კიევის სახელმწიფო IX—XI საუკუნეებში იყო ველიკორუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების ისტორიული აკვანი.

უკრაინის შემოერთებისთანავე რუსეთის ცარიზმმა ინტენსიურად დაიწყო ამ მხარის პოლიტიკურ-ეკონომიური ათვისება. XVII საუკუნეში მარცხენა ნაპირის უკრაინაში არჩევითი ჰეტმანობა ცარიზმმა გააუქმა და შემოიღო ჯერ ჰეტმანების დანიშვნა, ხოლო შემდეგ „მალოროსიული კოლეგია“. ეკატე-

რინე მეორემ 1782 წელს სრულებით მოსპო ჰეტმანობის ინსტიტუტი და მთელ მხარეზე გაავრცელა საერთო რუსული მმართველობა[1].

ცარიზმმა დააყმევა უკრაინელი კაზაკობა და ისინი მემამულეთა მიწებზე მიაჯაჭვა. ამასთან, ვეებერთელა ლატიფუნდიები დაურიგა რუსული და რუმინული ორიენტაციის უკრაინელ მემამულეებს და ძალაში დატოვა პანური მიწათმფლობელობა. თავისუფალი კაზაკური ფენების დაყმევებით ცარიზმმა შეუქმნა ეკონომიური ბაზა პრივილეგიურ წოდებას, რომელსაც იგი ეყრდნობოდა. ყირიმის შემოერთებისა და ზაპოროჟიული სეჩის განადგურების შემდეგ ცარიზმმა ინტენსიურად განახორციელა უკრაინის შავი და აზოვის ზღვისპირეთის კოლონიზაცია. ამ რაიონებში რუსმა მოახალშენეებმა უდიდესი ლატიფუნდიები იგდეს ხელთ. მარტო ეკატერინე მეორემ უკრაინის შემოერთების შემდეგ 12 წლის განმავლობაში რუს აზნაურებს 4,5 მილიონი დესეტინა მიწა აჩუქა. ასეულათასობით დესეტინა მიწა მიიღეს სასახლის კარზე მოკალათებულმა რუსმა და უცხოელმა ფავორიტებმა (ვორონცოვებმა, კოჩუბეებმა, სტროგანოვებმა, კანკრინმა, პოტოცკებმა) და სხვ. რეფორმის წინა პერიოდში ველის უკრაინა მეტროპოლიის ბურჟუაზიის ეკონომიური დანამატი იყო. იგი აწარმოებდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, წარმოადგენდა სამრეწველო ნედლეულის წყაროს და ამასთან ბაზარს რუსული სამრეწველო პროდუქციისათვის, რომელსაც ევროპის ბაზარზე ბოგინი არ შეეძლო და მხოლოდ იმპერიის განაპირა კოლონიურ მხარეებში საღდებოდა.

ამრიგად, მიაღწია რა ორი მოძმე ერის, რუსი და უკრაინელი ერების გაერთიანებას, ცარიზმმა უფრო გამეტებით დაიწყო „უმცროსი ძმის" დაჩაგვრა-დამონება. მან დასაყრდენად გაიხადა მხოლოდ უკრაინაში მოსახლე (რუსი, უკრაინელი, პოლონელი) თავადაზნაურობა, აღჭურვა იგი ფართო უფლებებითა და პრივილეგიებით, ხოლო მშრომელ მასებს კისერზე დაადგა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის უღელი[2]. ეკატე-

---

[1] История Украинской ССР, т. I, Киев, 1953, стр. 352.

[2] იქვე, გვ. 277.

რინე მეორემ კაზაკთა მამასახლისებს აზნაურობა უბოძა და მათზე გაავრცელა ის წყალობის სიგელი, რომლითაც 1785 წელს რუსეთის თავადაზნაურობა დააჯილდოვა. ამ სიგელის თანახმად ეს ფენა თავისი ყმების სრული ხელისუფალი და ბატონ-პატრონი ხდებოდა.

ცარიზმი ყოველნაირად ახშობდა უკრაინელი ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისაკენ, ხვრეტდა და ციმბირის ყინულებში გზავნიდა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლებს, მათრახებითა და ხიშტებით აკანონებდა და ამტკიცებდა თავის ბატონობას.

ცარიზმს გახსენებაც კი არ სურდა უკრაინის დამოუკიდებლობისა. იგი არ ცნობდა უკრაინელ ერს, რომელსაც ისტორიული განვითარების პროცესში, მიუხედავად რუსეთთან ერთიანი სლავური წარმომავლობისა, შეუმუშავდა განსხვავებული ტერიტორიული, ეკონომიური, ენის, კულტურის, ყოფაცხოვრების თავისებური ერთობა, რაც მას დამოუკიდებელი ეროვნული არსებობის უფლებას ანიჭებდა. ცარიზმმა ხმარებიდანაც ამოძირკვა სიტყვა უკრაინა, როცა მთელი შემოერთებული მხარე რუსულ გუბერნიებად დაჰყო, ხოლო ველიკოროსიისაგან განსხვავებით, უკრაინის დიდ ნაწილს მალოროსია შეარქვა.

ანალოგიურ პოლიტიკას ატარებდა ცარიზმი ბელორუსიასა და ლიტვაში. ამასთან, ეშინოდა რა პოლონეთის მოსაზღვრე ბელორუსიაში სეპარატული მოძრაობის მომძლავრებისა, ცარიზმი განსაკუთრებულ პრივილეგიებს უმკვიდრებდა პოლონეთის აზნაურობას, რომელსაც ამ დროისათვის ბელორუსიასა და ლიტვაში ხელთ ეპყრა მმართველობის მთელი სადავეები[1]. პოლონური ენა საქმის წარმოებაში, ძველი საერობო სასამართლოები და ძველი შლიახტური კანონმდებლობა ლიტვური სტატუტის სახით ხელშეუხებლად იქნა დატოვებული. ცარიზმი იმდენ დათმობაზეც კი წავიდა, რომ 1803 წელს ვილნიუსის აკადემია პოლონელ აზნაურთა მოითხოვნით გარდაქმნა უნივერსიტეტად, რომელიც შემდეგ პოლონური კულტურის ცენტრი გახდა მთელ ამ მხარეში. ასევე

[1] История Белорусской ССР, т. I, Минск, 1954, стр. 247.

ფრთხილად ექცეოდა ცარიზმი და ბევრს უთმობდა კათოლიკობას, მაგრამ დამთმობლობა ცარიზმის მხრივ დროებითი იყო. იგი ამასთან ერთად მეთოდურად მიმართავდა „შლიახტური“ წოდების დაშლას, რუსული ელემენტების მომძლავრებას, ეროვნული შეღავათების შეზღუდვას და მხარის სრულ გარუსებას. ეს პოლიტიკა განსაკუთრებული ინტენსივობით ხორციელდებოდა ნიკოლოზ პირველის ეპოქაში, როცა ცარიზმმა ჩაახშო პოლონეთის აჯანყება, გაანადგურა პოლონეთის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ძალები და როგორც ევროპის ჟანდარმმა საერთაშორისო ასპარეზზე თავი იმედიანად დაიჭირა.

უფრო ფრთხილი და შემპარავი იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ბალტიისპირეთში. ბალტიისპირეთის მშრომელი ხალხის — ლატვიელებისა და ესტონელების ისტორიულ განვითარებაში რუსეთის შემადგენლობაში მოქცევა მართლაც უდიდეს პროგრესულ აქტს წარმოადგენდა. ამ შეერთებამ საგრძნობლად შეზღუდა ამ ხალხების ეროვნული ლიკვიდაციის ის პოლიტიკა, რასაც XIII საუკუნიდან აქ გერმანელი და შვედი თავადაზნაურობა ახორციელებდა[1]. გერმანელი ბარონები, რომელთაც ეპყრათ ესტონეთ-ლატვიის მთელი მიწა-წყალი, გლეხობის უსასტიკეს ექსპლოატაციას მიმართავდნენ და ეროვნულობის ნიშანწყალს სპობდნენ.

მაგრამ რუსეთის ცარიზმს, ბალტიისპირეთს რომ უმიზნებდა, აწუხებდა არა ესტონელი და ლატვიელი ხალხის ბედიღბალი, მათი ეროვნული გაქრობის საფრთხე, არამედ ის უდიდესი სტრატეგიული შთანაფიქრი, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის ცენტრში იდგა და ივანე მეოთხიდან მოკიდებული ნაწილობრივ პეტრე პირველის, ხოლო საბოლოოდ XVIII საუკუნის დასასრულისათვის გადაწყდა.

ბალტიისპირეთის შემოერთება უზრუნველყოფდა რუსეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვრების უშიშროებას, აქცევდა მას უდიდეს ევროპულ სახელმწიფოდ და გაბატონებულ მდგომარეობას უმკვიდრებდა რუსეთს ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანემდე. ცარიზმს ამ შემოერთებამ მისცა აგრეთვე

[1] История Эстонской ССР, т. I, Таллин, 1958, стр. 150.

უდიდესი ეკონომიური სარგებლობა, გააცხოველა მისი ეკონომიური სავაჭრო ურთიერთობა მთელ დასავლეთთან. რუსეთის ხელში განვითარებული საზღვაო ქალაქების რიგის, რეველის, ლიბავას გადასვლამ უდიდესი იმპულსი მისცა მის ეკონომიურ ურთიერთობას დასავლეთის ქვეყნებთან.

ცარიზმი ყოველთვის, განსაკუთრებით კი XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე, გრძნობდა თავის მერყევ მდგომარეობას ბალტიისპირეთში და ყოველგვარ ზომას მიმართავდა, რომ აქ გაბატონებული გერმანელი ბარონების გული მოეგო და ეს მხარე შემოემტკიცებინა, რათა შემდგომ იგი დასაყრდენად გაეხადა. 1710—1712 წლის სიგელებით ცარიზმმა განამტკიცა ოსტზეელი ბარონების ძველი უფლებები. მაიორატების შესახებ გამოცემული კანონებით გერმანელ პრივილეგირებულ მემამულეთა მცირე ჯგუფის ხელში აღმოჩნდა ვეებერთელა ლატიფუნდიები. გერმანელ აზნაურებს ცარიზმმა ნება დართო ესარგებლათ წოდებრივი თვითმმართველობით და განუსაზღვრელი უფლება დაუმკვიდრა ბალტიისპირა გუბერნიების ძირითადი მოსახლეობის საძარცვავად[1]. ცარიზმი არ ჩარეულა ბალტიისპირეთის აგრარულ ურთიერთობაში. ძალაში რჩებოდა ორდინალური და ექსტრაორდინალური ბეგარა, რომელიც ყმა გლეხობას აჩანაგებდა და მონურ მდგომარეობას უმტკიცებდა.

მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში ცარიზმი იძულებული გახდა ბალტიისპირელი ყმა გლეხობის მდგომარეობისათვის მიეხედა. ევროპის თითქმის შუაგულში მდებარე ბალტიისპირეთში ადვილად იკაფავდა გზას თავისუფლებისმოყვარე ტენდენციები. საფრანგეთის რევოლუციის ანტიბატონყმურ, გამათავისუფლებელ იდეალებს რუსეთის იმპერიის შიდა და განაპირა რაიონებიდან ყველაზე მეტი გამოძახილი ბალტიისპირა გუბერნიებში ჰქონდა. თავისუფლების ნაკადი აქ „მოუსვენარი პოლონეთიდანაც“ მოედინებოდა. აგრარული და პოლიტიკური ჩაგვრით სულშეხუთულმა გლეხობამ იარაღს მოჰკიდა ხელი, აჯანყებათა კერები ზედიზედ იწყებდა აღმოცენებას. ცარიზმი, რომელსაც ყოველთვის ეშინოდა რევოლუციისა, იძულებული

[1] История Эстонской ССР, т. I, стр. 194—195.

გახდა ოდნავ შეეზღუდა ოსტზეელ მემამულეთა განუსაზღვრელი ფეოდალური უფლებები. 1803 წელს ცარიზმმა ბალტიისპირელი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შექმნა განსაკუთრებული კომიტეტი. 1804 წელს გამოიცა დებულება, რომელიც ბალტიისპირეთში მემამულისა და გლეხის ურთიერთობას აწესრიგებდა, ამით ოდნავ იზღუდებოდა მემამულის ყოვლისშემძლეობა და ბატონყმური ექსპლოატაციის რეგლამენტაცია ხდებოდა[1]. ცხადია, ბატონყმობის გაუქმება აქ არ მომხდარა. ცარიზმი შორს იყო ასეთი აზრებისაგან. ტილზიტის ზავის შემდეგ, როცა ფრანგების შემოსევის საფრთხე გაქრა, ცარიზმმა ოსტზეელი მემამულეები ისევ აღადგინა თავის პრივილეგიებში. მხოლოდ XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში დასავლეთში გამათავისუფლებული მოძრაობის აღმავლობისა და თვით ბალტიისპირეთში აგრარული მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში განახორციელა ცარიზმმა გლეხთა განთავისუფლება ბატონყმური უღლისაგან. ამ რეფორმებით მიღებული პირადი თავისუფლება გლეხობამ მიწის მფლობელობის დაკარგვის ხარჯზე მოიპოვა. მიუხედავად განთავისუფლების მოჩვენებითი და ნამდვილად მძარცველური ხასიათისა, ცარიზმის სოციალური სისტემის პირობებში იგი მაინც პროგრესულ გამონაკლისად ჩანდა. მაგრამ ამ გამონაკლისს ცარიზმი სწორედ იმიტომ უშვებდა, რომ ბალტიისპირეთის სტრატეგიული მდგომარეობა და მისი კლასობრივი ბრძოლის შედარებით მაღალი დონე იძულებულს ხდიდა მას ეს ნაბიჯი გადაედგა.

გაცილებით უცერემონიოდ ექცეოდა ცარიზმი ისეთ მსხვილ შენაძენს, როგორიც იყო ყირიმი. ცარიზმმა ყირიმში იმთავითვე დაამკვიდრა მკაცრი კოლონიური რეჟიმი. ადგილობრივ თათარ მოსახლეობას ჩამოერთვა საუკეთესო მიწები და მეფის მსხვილ მოხელეებს დაურიგდათ. მარტო ეკატერინე მეორემ მათ 288 ათასი დესეტინა მიწა წაართვა. ყირიმზე გავრცელდა ბატონყმობის წესები. ცარიზმის სასტიკმა კოლონიურმა რეჟიმმა, ახლად მოვლენილი რუსი მებატონეების

---

[1] იხ. История Латвийской ССР с древнейших времен до 1953 г., Рига, 1965.

სოციალურმა უღელმა თათარი მოსახლენი იმდენად შეაწუხა. რომ დიდმა ნაწილმა ყირიმი დატოვა. ამიტომ იყო, რომ ცარიზმმა ამ ადგილებში ინტენსიური კოლონიზაცია შემოიღო და რუსი ყმა გლეხების დასახლება დაიწყო. კოლონიზაცია ორ მიზანს ემსახურებოდა: ჯერ ერთი, მეფის მსხვილ მოხელეებს მუშახელი უჩნდებოდა, მეორეც, რუსული მოსახლეობის მომრავლებით ქრებოდა შიში ყირიმში თურქეთის დივერსიული საქმიანობისა. ყირიმში ცარიზმმა ასევე დაასახლა უცხოელი კოლონისტები.

ყველა ის ნაციონალური განაპირა რაიონი, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისისათვის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, კოლონიური ჩაგვრის ხვედრს იზიარებდა. კლასიკურ კოლონიურ სახელმწიფოებთან — ინგლისთან, ესპანეთთან, პორტუგალიასთან და სხვ. შედარებით, რომელთაც ტერიტორიული შეზღუდულობის გამო კოლონიური დაპყრობანი შორეულ სამხრეთითა და აღმოსავლეთით ან ოკეანისიქითა დასავლეთით უნდა ეწარმოებინათ, ცარიზმს ჰქონდა უპირატესობა: მას შესაძლებლობა გააჩნდა იმპერიის საზღვრები გაეფართოებინა უშუალოდ მეზობლების ხარჯზე, რომლებიც ან სუსტნი იყვნენ და ვეებერთელა სახელმწიფოს შემოტევისათვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლოთ და ემორჩილებოდნენ მას, ან სხვა დამპყრობლის უღელქვეშ სულშეხუთულნი და ფიზიკური გაჭრობის საფრთხის წინაშე მდგომნი თვით ითხოვდნენ მფარველობას. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ცარიზმი ძალზე აქტიურობას იჩენდა და, იპყრობდა რა ახალ-ახალ რაიონებს, მიიწევდა წინ ბუნებრივი ზღუდეებისაკენ, რომლებიც უზრუნველყოფდა იმპერიის უშიშროებას.

როგორც აღვნიშნავდით, ამ წვრილი, სოციალურ-ეკონომიური განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი, საკუთარი ძალებით სუვერენული ცხოვრების შენარჩუნების საშუალებებს მოკლებული პატარა ერთეულების შესვლა ისეთი მსხვილი იმპერიის შემადგენლობაში, რომელიც ეკონომიურად დაწინაურებული იყო და კულტურული დონითაც მაღლა იდგა, თავისთავად პროგრესული მოვლენა იყო ამ ხალხების ცხოვრებაში. ამიერიდან ბოლო ეღებოდა მათ საუკუნეობრივ კარ-

ჩაკეტილობას, მუდმივ ომებსა და სისხლის ღვრას, ადგილობრივი გაბატონებული წრეების განუკითხავ ბატონობას. ზოგიერთი მცირე ნაციონალური ერთეული ფიზიკური გაჭრობის საფრთხესაც იშორებდა თავიდან. მაგრამ ყველა ეს დადებითი ობიექტური ისტორიული პროცესი ხორციელდებოდა რუსეთის ცარიზმის სუბიექტური მიზანდასახულობის მიღმა და მისი სურვილების საპირისპიროდაც. ცარიზმის მიზანს კი შეადგენდა არა სუსტი ერთმორწმუნე მეზობლების დაცვა-მფარველობა, როგორც ამას პირმოთნე რუსი იმპერატორი და მისი მოხელეები ამტკიცებდნენ, არამედ რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოება, მსხვილ სახელმწიფოთა შორის პირველობისათვის გამართულ ჭიდილში საუკეთესო სტრატეგიული პოზიციების დაპყრობა და ეკონომიური დოვლათის ახალი წყაროების შეძენა.

რუსეთის ცარიზმი თავადაზნაურობას ეყრდნობოდა და მისი ინტერესების კარნახით მოქმედებდა. მსხვილ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მუდმივი ქიშპობა პირველობისათვის ცარიზმს იმასაც უკარნახებდა, რომ ქვეყნის სამრეწველო-აგრარული განვითარებისათვის ეზრუნა და აქტიური სავაჭრო პოლიტიკა განეხორციელებინა. ცარიზმის ეს პოლიტიკური და ეკონომიური მიზანდასახულობა განსაზღვრავდა მის აქტიურ სწრაფვას ბალტიისპირეთის შემომტკიცებისაკენ, ახლო და შორეულ აღმოსავლეთში ბატონობისაკენ, განსაზღვრავდა ეკონომიური პოლიტიკის იმ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც ამ დაპყრობილი რაიონების მიმართ გამოიყენებოდა.

ყველა ეს განაპირა ნაციონალური რაიონი, რომლებიც ცარიზმმა XVIII—XIX საუკუნეში შეიძინა, როგორც იმპერიის ბუნებრივი საზღვრების უშუალო გაგრძელება, წარმოადგენდა ე. წ. „შინაგან კოლონიებს“ და შეიცავდა იმ დამახასიათებელ ნიშნებს, რითაც, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, ხასიათდება კოლონიები საერთოდ[1]. ცარიზმი ამ ხალხებზე ბატონობდა და თავს ახვევდა მათ თავის პოლიტიკურ სისტემას, ისინი მოკლებული იყვნენ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და მეტროპოლიასთან თანასწორ უფლებებს. მათი მართვა ხორციელდებოდა წინასწარ დადგენილი

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, 1952, გვ. 701—706.

რეჟიმის მიხედვით. ეკონომიურად კი ეს რაიონები წარმოადგენდა მეტროპოლიის ბურჟუაზიის სამეურნეო დანამატს.

მაგრამ ამ ე. წ. „შინაგან კოლონიებს“ გააჩნდა ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანიც, რაც კოლონიის კლასიკურ გაგებას, გარეგნულად მაინც, ვერ უთავსდებოდა. საქმე იმაშია, რომ ცარიზმი ამ კოლონიებს თვლიდა არა თავისი ეროვნული სხეულის უცხო ნაწილად, არამედ ბუნებრივ ნაზარდად და ამიტომ ერიდებოდა უთავბოლო ძარცვისა და სიმდიდრის განუკითხავი ამოქაჩვის იმ ყაჩაღურ პოლიტიკას, რასაც ევროპის კლასიკური კაპიტალისტური სახელმწიფოები აზიური და აფრიკული კოლონიების მიმართ ახორციელებდნენ. ისტორიაში ცნობილია ინგლისის, ამერიკის, ესპანეთის, პორტუგალიისა და სხვა ქვეყნების მიერ კოლონიების ძარცვის მეკობრული სისტემა და არა მარტო მატერიალური ფასეულობებით, არამედ ადამიანებით ვაჭრობის ამაზრზენი შემთხვევები. ამასთან, კაპიტალისტური ქვეყნები არ იყვნენ დაინტერესებული კოლონიური ხალხების ბედით, მათი სამეურნეო-პოლიტიკური ორგანიზებით, მათი მომავლით.

ცარიზმი შორს იდგა ასეთი პოლიტიკისაგან იმიტომ, რომ „შინაგანი კოლონიები“ ამიერიდან სახელმწიფოებრივი ძლიერების ფაქტორებად ხდებოდა, მის სტრატეგიულ საყრდენებს წარმოადგენდა. კოლონიების ძარცვის აღიარებული მეთოდების გამოყენება ამ კოლონიების მიმართ დაასუსტებდა და მოშლიდა მათ სამეურნეო ცხოვრებას, პოლიტიკურად მტრულად განაწყობდა დაპყრობილ ხალხებს და გაზრდიდა მათ ლტოლვას რუსეთის მოქიშპე ქვეყნებისაკენ, ხელს შეუშლიდა იმპერიის ორგანიზმის მთლიანობას და სიმტკიცეს.

კაპიტალისტური წყობილების სუსტი განვითარების ვითარებაში XVIII—XIX საუკუნის მთელ მანძილზე ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში დომინანტობდა არა ეკონომიური, არამედ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორები, რაც რუსეთის „შინაგან კოლონიებს“ კაპიტალისტური ქვეყნების ჩვეულებრივი კოლონიებისაგან დიდად განასხვავებდა.

ამიტომ იყო, რომ ცარიზმი განაპირა ნაციონალური რაიონების მიმართ იჩენდა ერთგვარ „მზრუნველობას“, ახორციე-

ლებდა მათი პოლიტიკური და სამეურნეო ცხოვრების ორგანიზებას, ელაქუცებოდა და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ადგილობრივ პრივილეგიურ წოდებას, ამასთან მიმართავდა რუსულ სოციალურ სტრუქტურასთან ადგილობრივი სოციალური სტრუქტურის შერწყმას და მეთოდურად სპობდა განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ხალხების სოციალური ცხოვრების სპეციფიკას.

მაგრამ ცარიზმის ეს გარეგნული „მზრუნველობა“ განაპირა ნაციონალური რაიონების მიმართ და მისწრაფება მეტროპოლიასთან მათი სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების ნიველირებისა, შეიცავდა ამ ხალხების ეროვნული სპეციფიკის წაშლის დიდ საშიშროებას.

დაპყრობილ განაპირა ნაციონალურ რაიონებში ცარიზმის არმიას რუსი მოხელეები მიჰყვებოდნენ, რომლებიც აქ რუსულ ყაიდაზე აწყობდნენ ადმინისტრაციულ მმართველობას, რუსული სამართლით სჯიდნენ დამნაშავეთ, მეთოდურად ასორციელებდნენ რუსული სულის გაბატონებას. რუსეთის ეკლესია და ცარიზმის სახაზინო კულტურის დაწესებულებანი ინტენსიურად და შეთანხმებით მუშაობდნენ განაპირა რაიონების ტრადიციების, განსხვავებული სჯულის, ეროვნული კულტურის ამოძირკვისა და მის სანაცვლოდ რუსულის დამკვიდრებისათვის. ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკაში ერთერთი წამყვანი როლი ყოველთვის ეჭირა განაპირა კოლონიური მხარეების ეროვნული ასიმილაციის, მათი გარუსების პოლიტიკას. ეს იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ყველაზე დამახასიათებელი, ერთგვარად სპეციფიკური, ამასთან ფრიად რეაქციული ხასიათი.

1830 წელს, როცა კავკასიაში სარევიზიოდ მივლინებული კუტაისოვისა და მეჩნიკოვის მხარდაჭერით აღმოცენდა მხარის ადმინისტრაციული რეფორმის პროექტი, მისი ძირითადი მიზანი ასე იყო ფორმურილებული: «Связать с Россиею гражданскими и политическими в единое тело и заставить жителей таможных говорить, мылсить и чувствовать по русски»[1].

[1] ეს ფორმულა არ იყო ახალი და აზრობრივად იმეორებდა ეკატერინე მეორის ცნობილ გამონათქვამს საქართველოს შესახებ: „тело грузинское, душа русская“.

ამ სიტყვებში გადმოცემულია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მთელი არსი შინაური კოლონიების მიმართ. ეს ფრაზა კავკასიურ დოკუმენტში არა შემთხვევითი გამონათქვამია, არამედ ანარეკლია იმ სულისკვეთებისა, რომელიც ცარიზმის უმაღლესი ხელისუფლების დევიზს წარმოადგენდა: ამ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი ყველა ღონისძიება, რომელსაც ცარიზმი შინაურ კოლონიებში და მათ შორის კავკასიაში ახორციელებდა[1].

„შინაგანი კოლონიების" განსხვავებული გეოგრაფიული მდებარეობა, მათი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების სხვადასხვაგვარი დონე ცარიზმს იმასაც აიძულებდა, რომ მათ მიმართ დიფერენცირებული მიდგომა გამოეჩინა და კოლონიური ჩაგვრის განსხვავებული მეთოდები მოემარჯვებინა.

ბალტიისპირეთი, ლიტვა და ბელორუსია გეოგრაფიული მდებარეობით ახლო იდგნენ კაპიტალისტურ დასავლეთთან, სადაც ამ დროს ბატონყმური სისტემა დამსხვრეული იყო და საფრანგეთის რევოლუციისა და განსაკუთრებით ნაპოლეონის ომების შემდეგ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ტალღები ბობოქრობდა. ცარიზმი, რომელსაც ყოველთვის ეშინოდა რუსეთში რევოლუციის აზვირთებისა, იძულებული იყო ამ მხარეში შეექმნა მტკიცე დასაყრდენი ადგილობრივი გერმანულ-პოლონური გაბატონებული ელემენტის სახით და ამიტომაც მათ მზრუნველობას არ აკლებდა. მაგრამ, ეშინოდა რა გლეხური რევოლუციისა, ცარიზმი იძულებული ხდებოდა ბატონყმური ექსპლოატაციის რეგლამენტაციაც მოეხდინა. იმპერიის პოლიტიკური უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე ცარიზმი აქ XIX საუკუნის მთელ მანძილზე ორ ანტაგონისტურ კლასს შორის ლავირების პოლიტიკას მიმართავდა. თუ საერთაშორისო ასპარეზზე თავს მტკიცედ გრძნობდა, მაშინ ცარიზმი ინტენსიურად მიმართავდა მხარის რუსიფიკაციას და „პომეშჩიკური" წყობილების განმტკიცებას (XIX საუკუნის 40-იანი და 70-იანი წლები), თუ უჭირდა და საერთოევროპული მოვლენები საშიშრად ვითარდებოდა, ცარიზმი

---

1 Колониальная политика Российского царизма в Азербайджане, 1936, стр. 2.

ცვლიდა მეთოდებს: გასაქანს აძლევდა ადგილობრივ ელემენტს, ამასთან გლეხთა ინტერესების მოსარჩლედაც გამოდიოდა (XIX საუკუნის 20-იანი. 60-იანი წლები).

სხვაგვარი იყო ცარიზმის კოლონიური ბატონობის კურსი შუა და ახლო აღმოსავლეთში. თვით რუსი მოხელეები ნიკოლოზ პირველს ჩააგონებდნენ აზრს, რომ აღმოსავლეთში საშიშია «не западное вольнодумство, а азиатское невежество». ამ აზრიდან გამომდინარე, აზიურ ასპარეზზე ცარიზმი უფრო პირდაპირ, გაბედულად და უცერემონიოდ მოქმედებდა, მეტად ერეოდა ადგილობრივ ცხოვრებაში, ამსხვრევდა ისტორიული ცხოვრების სპეციფიკურ, მისთვის დამაბრკოლებელ ბორკილებს, გზას უკაფავდა „პომეშჩიკურ“ ურთიერთობას. აწარმოებდა მხარის ინტენსიურ რუსიფიკაციას და ყველაფერ ამას რუსული ცივილიზაციის შეტანის დევიზით აკეთებდა.

ფინეთსა და პოლონეთში ცარიზმი გაცილებით ფრთხილი და მორიდებული იყო, ვიდრე სხვა შინაურ საბრძანებლოებში. ამ ქვეყნებს მისთვის უპირატესად პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა და ცარიზმისათვის დასავლეთზე ზეგავლენის მძლავრ ფორპოსტებს წარმოადგენდა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ცარიზმი პოლიტიკური წყობილების ორგანიზაციის დროს უშვებდა ისეთ გამონაკლისებს, რასაც არათუ შინაურ კოლონიებში, არამედ საკუთარ სახელმწიფო მეტროპოლიაშიც უცხოობდა.

ფინეთი რუსეთის ცარიზმმა 1808—1809 წლების შვეციასთან ომში გამარჯვების შემდეგ შეიერთა. რუსეთის ცბიერ იმპერატორ ალექსანდრე პირველს კარგად ესმოდა, რა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული რუსეთის ბატონობა ფინეთში. ამასთან, ნაპოლეონთან დიდი ომის მოლოდინში ფინეთი, თუ ცარიზმი აქ გაბატონებული წრეების გულს არ მოიგებდა, შეიძლებოდა რუსეთის ჩრდილოეთის ფრონტად გადაქცეულიყო. ახლა ფინეთის გულის მოგება და მისი მოსარჩლის როლში გამოსვლა იყო მთავარი.

შვეციის უღლისაგან განთავისუფლებულ ფინეთს ეროვნული დამოუკიდებლობა სწყუროდა და ცარიზმმაც ამ გრძნობებს დაუმიზნა. „ფინეთი სახელმწიფოა და არა გუბერნია“, ასეთი დევიზით შევიდა ცარიზმი ფინეთში, ამ დევიზით გა-

იხსნა ბორგის სეიმი 1819 წელს, სადაც ალექსანდრემ ფინელ ხალხს კონსტიტუცია და დამოუკიდებლობა აღუთქვა. ფინეთის მოჩვენებით დამოუკიდებლობას ცარიზმი ურიგდებოდა, მაგრამ დროდადრო იგი არარაობამდე დაჰყავდა და ცდილობდა, თუკი საკუთარი ძლიერება და საერთაშორისო ვითარება ამის შესაძლებლობას მისცემდა, იგი კოლონიად გადაექცია.

პოლონეთი ცარიზმმა ნაპოლეონთან გამარჯვების შემდეგ, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით დაისაკუთრა. 1815 წლის 27 ნოემბერს ვარშავაში ალექსანდრე პირველმა ხელი მოაწერა პოლონეთის სამეფოს კონსტიტუციას, მისცა პოლონეთს სეიმი, თუმცა მხოლოდ სათათბირო უფლებით. პოლონეთსა და ფინეთში ცარიზმი ამგვარ დათმობაზე მიდიოდა, მაგრამ რუსეთის შიგნით აღვირახსნილი არაკჩეევური რეჟიმი ჰქონდა დამყარებული და კონსტიტუციის ხსენებაც კი სახელმწიფოებრივ დანაშაულად ითვლებოდა. მართალია, 1819 წლის სეიმის გახსნაზე წარმოთქმულ სიტყვაში ალექსანდრე რუსეთში კონსტიტუციის შემოღებაზე ბუნდოვან დაპირებას იძლეოდა, მაგრამ, როგორც არაკჩეევი შენიშნავდა, ეს იყო ცარიელი სიტყვა, რომელიც „ბრძენი იმპერატორის მიერ საზღვარგარეთული გაზეთებისათვის იყო გამიზნული“[1].

პოლონეთისა და ფინეთის მთელი ისტორია დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ცარიზმის მიერ მათი ეროვნული სუვერენიტეტის შეკვეცის, ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვის ისტორიაა. ცარიზმი ფინეთსა და პოლონეთში, ვითარების შესაბამისად, ზოგჯერ აფართოებდა ეროვნულ უფლებებს, ხოლო ძლიერების შემთხვევაში კი ყველა საშუალებით ახორციელებდა შევიწროებისა და გარუსების პოლიტიკას.

2. საქართველო და ამიერკავკასია რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის სტრატეგიულ გეგმებში

XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე ცარიზმის საგარეო პოლიტიკის ზემომოტანილი ზოგადი დახასიათება გვიადვილებს ავხსნათ ცარიზმის მიზნები ამიერკავკასიაში და აქ მის

---

[1] История Польши, т. I, Москва, 1954, стр. 409—410.

მიერ დანერგილი კოლონიური ჩაგვრის ფორმები და მეთოდები.

ძირითადი და მთავარი მიზანდასახულობა, რომელიც ამიერკავკასიისაკენ ცარიზმის სწრაფვას აპირობებდა, სამხედრო-სტრატეგიული ხასიათისა იყო. რა თქმა უნდა, ამიერკავკასია მიმზიდველი იყო წმინდა ეკონომიური თვალსაზრისითაც, მაგრამ რუსეთის ეკონომიური განვითარების მაშინდელ დონეზე ასეთ დაინტერესებას მაინც მეორადი მნიშვნელობა ჰქონდა. კაპიტალიზმის განვითარებასა და რუსეთის ბურჟუაზიის მოღონიერებასთან ერთად ამიერკავკასიით ეკონომიური დაინტერესება თანდათანობით იზრდებოდა, ისახებოდა გზები პოლიტიკურთან ერთად მისი სრული ეკონომიური დაპყრობისათვის, რაც XIX საუკუნის მიწურულისათვის განხორციელდა კიდეც.

სამხედრო-სტრატეგიული დაინტერესება ედო საფუძვლად იმ ომებს, რომელთაც ცარიზმი ამიერკავკასიის ასპარეზზე მისი უშუალო მეზობლების — ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ აწარმოებდა. იგივე ინტერესი უბიძგებდა ცარიზმს, რაც შეიძლება სწრაფად განეხორციელებინა კავკასიის მთიანეთის მშფოთვარე ხალხების პოლიტიკური დამორჩილება.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა, რა იყო რუსეთის სტრატეგიული დაინტერესების მიზეზები?

პეტრე პირველის შემდეგ, როცა რუსეთმა გადაწყვიტა ბალტიის ზღვაზე გასვლისა და ევროპისაკენ კარების გახსნის რთული პრობლემა, ცარიზმის დღის წესრიგში შავ და კასპიის ზღვებზე დამკვიდრების საკითხი დადგა.

შავ ზღვაზე ამ დროს განუყოფლად ბატონობდა თურქეთის ძლიერი იმპერია, კასპიის ზღვაზე — ირანი.

ეს აგრესიული ქვეყნები, რომლებიც ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში უკვე გაბატონებულიყვნენ, არა მარტო აფერხებდნენ რუსეთის ვაჭრობას აზიასა და სამხრეთ ევროპასთან, არამედ ქმნიდნენ სამხრეთიდან რუსეთზე თავდასხმის მუდმივ საფრთხეს.

ამრიგად, ჩრდილოეთის ომით წელმომაგრებული და ევროპულ ცხოვრებაში ინტენსიურად ჩაბმული რუსეთის თავადაზნაურული იმპერია მის მესვეურთა თვალსაზრისით ცალ ფეხზე მდგარ კოლოსად გამოიყურებოდა იმ დრომდე, ვიდრე

თურქეთისა და ირანის აგრესიისაგან არ გააუვნებლებდა სამხრეთს, არ უზრუნველყოფდა უსაფრთხო სავაჭრო გზებს აღმოსავლეთთან, არ გაჭრიდა „სამხრეთის ფანჯარას“, მსგავსად ჩრდილოეთისა, და არ დაადგამდა ფეხს შავსა და კასპიის ზღვებს, როგორც ბუნებრივ სტრატეგიულ ზღუდეს, არა მარტო ირან-თურქეთის, არამედ ხმელთაშუა ზღვიდან მოთვალთვალე ევროპული მოქიშპეების წინააღმდეგ.

XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ცარიზმმა პრაქტიკულად და წარმატებითაც დაიწყო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტა. 1768—1774 წლების თურქეთთან ომის შედეგად დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა მიიღო სამხრეთ ბუგისა და დნეპრის შუა ტერიტორია, აზოვისპირეთის მიწა-წყლის ნაწილი, ამასთან, აზოვის ზღვიდან ქერჩისა და ენიკალეს სიმაგრეებისაკენ გასასვლელი. თურქეთმა აღიარა ყირიმის დამოუკიდებლობა და რუსეთის სავაჭრო ფლოტის ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში გასვლის უფლება, რაც არა მარტო დიდ სტრატეგიულ წარმატებას მოასწავებდა, არამედ ქმნიდა პირობებს იმპერიის სამხრეთის ინტენსიური კოლონიზაციისა და შავი ზღვით აღმოსავლეთთან ვაჭრობის გაცხოველებისათვის.

ცარიზმის შემდგომ წარმატებას წარმოადგენდა 1783 წელს ყირიმის შემოერთება და საქართველოსთან მფარველობითი ტრაქტატის დადება. ყირიმის შემოერთებით რუსეთი საბოლოოდ სპობდა სამხრეთის (რუსეთისა და უკრაინის) მიწა-წყალზე თათართა შემოსევისა და თურქული აგრესიის კერას, ხოლო საქართველოსთან დადებული ხელშეკრულებით ხელთ იგდებდა ამიერკავკასიაში პირველ პლაცდარმს, რომელსაც მომავალში აკისრებდა არა მარტო თურქეთსა და ირანზე მოხერხებული პოზიციებიდან შეტევის მნიშვნელობას, არამედ მთელი ამიერკავკასიის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩართვისა და კავკასიის ბუნებრივი ზღუდეებით იმპერიის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების შემდგომი განმტკიცების ამოცანას.

ახლო აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიაში ცარიზმის აქტიური საქმიანობა სხვა მოტივებითაც იყო შეპირობებული. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელი ახლო აღმოსავ-

ლეთი ევროპის მსხვილი სახელმწიფოების — ინგლისისა და საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური ინტერესების ორბიტში იყო მოქცეული. შინაგანი განვითარების აუცილებლობა ინგლისურ ვაჭრობას ამ დროიდან აიძულებდა ეწარმოებინა შეტევა „აზიის შიგნით ერთდროულად ორი მხრიდან — ინდიდან და შავი ზღვიდან“[1]. ინგლისი ამ პერიოდისათვის ირანზე გამავალ სავაჭრო გზას პატრონობდა და თავის უპირატეს მდგომარეობას არა მარტო მისი ინდური სამფლობელოების მისადგომთა დასაცავად, არამედ ახალი სავაჭრო გზებისა და ბაზრების ხელში ჩასაგდებად იყენებდა. ინგლისი ამასთან, ეპოტინებოდა რა დარდანელსა და კონსტანტინეპოლს — ამ „ოქროს ხიდს“ დასავლეთ-აღმოსავლეთის გზაზე — ცდილობდა უზრუნველეყო აქ განუყოფელი ბატონობა.

ინგლისის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს XVIII საუკუნის მიწურულსა და მთელი XIX საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვისა და აზიისაკენ რუსეთის სწრაფვის შეფერხება. XIX საუკუნის პირველ ათწლეულში ინგლისს, ვიდრე თავის ყველაზე ძლიერ მოქიშპე საფრანგეთს ებრძოდა და ამ ბრძოლაში საიმედო მოკავშირედ რუსეთი ჰყავდა, ჯერ კიდევ მთლიანად არ ეცალა ახლო აღმოსავლეთში აქტიური ექსპანსიისა და ბალკანეთ-კავკასიიდან რუსეთის გაძევების ღონისძიებათა გატარებისათვის[2]. მაგრამ, დაეცა თუ არა ნაპოლეონის ძლიერება, გადარჩენილი ინგლისის პირველი საზრუნავი ახლო აღმოსავლეთი გახდა და ამ პრობლემამ საგარეო პოლიტიკაში წამყვანი ადგილი დაიკავა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ახლო აღმოსავლეთში

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 9, изд. 2, стр. 13.

[2] საფრანგეთის წინააღმდეგ რუსეთთან თანამშრომლობის პერიოდშიც ინგლისი აღმოსავლეთში რუსეთის შეურიგებელ მტრად რჩებოდა ყოველთვის. ამას მოწმობს რუსეთის ინტერესების საპირისპიროდ ინგლის-ირანის სავაჭრო შეთანხმება (1800 წ.), 1804 წელს ე. წ. „მესამე კოალიციის პერიოდში კონსტანტინეპოლში ინგლისელთა ანტირუსული ღონისძიებანი, 1807 და 1812 წლებში ინგლისელ დიპლომატთა მცდელობა თურქეთზე რუსეთის გავლენის შემცირებისა და ინგლისური პოზიციების განმტკიცებისათვის.

ძლიერ გააქტიურდა საფრანგეთის ექსპანსიონისტური საქმიანობა. საფრანგეთი ცდილობდა მოეპოვებინა უპირატესი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, დაეძლია ინგლისის უპირატესობა ლევანტის ქვეყნებთან ვაჭრობაში, არ დაეშვა რუსეთის გაძლიერება თურქეთის კოლონიების ხარჯზე. თავისი პოზიციების გაძლიერების მიზნით საფრანგეთის დიპლომატიამ 1768 წელს უბიძგა თურქეთს რუსეთთან ომისაკენ. საფრანგეთი ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისიდან ეწეოდა ენერგიულ ბრძოლას ხმელთაშუა ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპიროს (კონსტანტინეპოლის, სმირნას) მშვიდობიანი ეკონომიური დაპყრობისათვის. ამ მიზანს ემსახურებოდნენ ახლო აღმოსავლეთის ყველა პუნქტში მოფენილი მრავალრიცხოვანი ფრანგი მისიონერები, რომლებიც ამავე დროს დახელოვნებული პოლიტიკური აგენტები იყვნენ და თურქეთის იმპერიის სამფლობელოებს „გულითადი შეთანხმების“ თვალთმაქცურ ბადეში ხვევდნენ.

დროდადრო საფრანგეთი ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე რუსეთთან გარიგებასაც მიმართავდა (1887 წ. სავაჭრო ხელშეკრულება), მაგრამ ეს ხელშეკრულებანი ფრანგ ექსპანსიონისტებს ხელს არ უშლიდა რუსეთის შეზღუდვის ფარული თუ აშკარა ღონისძიებანი გაეტარებინათ (ფერერ-სოვბეფის ავანტიურა ირანში და მრავალი სხვ.).

ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს წინა აზიის ქვეყნებში, მათ შორის ამიერკავკასიაში, შპიონაჟის ფართო ქსელი ჰქონდათ გაბმული, ისინი ზვერავდნენ არა მარტო ერთმანეთს, არამედ რუსეთის საქმიანობასაც. ნაპოლეონის კამპანია ეგვიპტეში, რომელიც არსებითად წარუმატებლად დამთავრდა, მიზნად ისახავდა გამოედევნა ახლო აღმოსავლეთიდან არა მარტო ინგლისი, არამედ რუსეთიც და იქ განუყოფელი ბატონობა დაემკვიდრებინა. საფრანგეთის ჟირონდელი მოღვაწენი დიუმურიე და ლებრენი აპროექტებდნენ ყირიმის და საქართველოს გამოსვლას რუსეთის წინააღმდეგ[1].

1801 წლიდან, როცა რუსეთის ცარიზმმა აღმოსავლეთი სა-

---

[1] იხ. В. П. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г., Москва, 1951, стр. 233—241.

ქართველო შეიერთა და მასში თავისი სამხედრო ძალები შეიყვანა, ინგლისისა და საფრანგეთის ანტირუსული ღონისძიებანი ახლო აღმოსავლეთში გააქტიურდა.

ამიერკავკასიის შუაგულში რუსეთის მიერ სამხედრო პლაცდარმის შექმნას უდიდესი შეშფოთებით უყურებდნენ ირანისა და თურქეთის მმართველი წრეები. რუსეთი, როგორც მოვლენათა განვითარებიდან ჩანდა, მარტო აღმოსავლეთ საქართველოთი არ დაკმაყოფილდებოდა და მის უახლოეს გეგმებში მთელი ამიერკავკასიის დაპყრობა იყო ნავარაუდევი. 1802 წლის დეკემბერში გიორგიევსკში ყუბისა და თალიშის სახანოების, ტარკის-უცმია-კარაკაიტაგის საშამხლოების წარმომადგენლებმა აღიარეს რუსეთის მფარველობა. „გიორგიევსკის ხელშეკრულება“[1] ამ პროვინციების ირანისაგან ოფიციალურ განდგომას მოასწავებდა. ცარიზმი დასავლეთ საქართველოს საშინაო საქმეებშიც ერეოდა და იწყებდა ცალკეულ სამთავროთა გადაბირებას, რომ თანდათან მოეხდინა ოკუპაცია დასავლეთ საქართველოსი, რომელსაც თურქეთის იმპერია თავის საკუთრებად თელიდა. რუსეთის გაბატონება დასავლეთ საქართველოში არა მარტო საზღვარს უდებდა თურქეთ-ირანის შემდგომ აგრესიულ გეგმებს ამიერკავკასიაში, არამედ ამიერკავკასიიდან მათ სრულ განდევნას, მათ მიერ ადრევე მიტაცებული ქართული, სომხური და აზერბაიჯანული მიწა-წყლის გამოხსნის რეალურ პერსპექტივებს ქმნიდა. ამასთან, რუსეთის ამიერკავკასიის პლაცდარმი საზღვარს უდებდა ირან-თურქეთის აგრესიულ ღონისძიებებს საერთოდ წინა აზიაში და მათ რუსეთის კარნახის აღმასრულებლის მდგომარეობაში აყენებდა. ცხადია, თურქეთიც და ირანიც ამიერიდან იმის ცდაში იყვნენ, რომ რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, რუსეთი ამიერკავკასიიდან გაეძევებინათ და ჩაეკეტათ მისი სამხრეთის გზები.

არც ირანს და არც თურქეთს საკუთარი ძალებით ამ ამოცანის განხორციელება არ შეეძლოთ. ირანი მძიმე შინაგან კრიზისსა და რღვევას განიცდიდა. იფიტებოდა ძალები ოდესღაც ძლიერი ოსმალური იმპერიისა, რომლის შინაგანი განვი-

---

[1] Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею, т. I, д. 548, стр. 436 (შემდეგში Акты).

თარება ფეოდალიზმის დაბალი სტადიიდან გამოსვლას ვერ ახერხებდა. ასეთ ვითარებაში ამ მუსლიმანური ქვეყნების ბუნებრივ მოკავშირედ ჩანდნენ ევროპის მსხვილი კაპიტალისტური ქვეყნები — ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც წინ ეღობებოდნენ რუსეთის ძლიერების ზრდას ევროპულ და აზიურ ასპარეზზე. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო, კონიუნქტურის შესაბამისად, XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი ხან ინგლისის, ხან საფრანგეთის მოკავშირე იყო ძირითადი ევროპული კონფლიქტის გადაწყვეტაში, ახლო აღმოსავლეთში რუსეთისადმი მტრობა ინგლის-საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგიდან არასოდეს მოხსნილა. ინგლისიც და საფრანგეთიც ახლა ირან-თურქეთის ზურგს უკან იდგნენ და აქეზებდნენ მათ, იღებდნენ ანტირუსულ ღონისძიებებს და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ამიერკავკასიაში რუსეთისათვის ფეხი ამოეკვეთათ და ეკონომიურად და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებული ირან-თურქეთის ამიერკავკასიაში ბატონობის აღდგენის საფარქვეშ საკუთარი ბატონობისათვის მიეღწიათ. ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც თვალს გადაავლებს მთელი XIX საუკუნის მანძილზე ინგლისისა და საფრანგეთის ფარულ და აშკარა საქმიანობას ირანსა და თურქეთში.

საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის აგრესიულ-ანექსიონისტური პოლიტიკის მედროშე ნაპოლეონი, რომელიც მსოფლიო ბატონობის გეგმებს ადგენდა და მისი ძირითადი მოქიშპეების — ინგლისისა და რუსეთის გადათელვას პირველი რიგის ამოცანად აყენებდა, ახლო აღმოსავლეთსა და წინა აზიაში აძლიერებდა თავის აგენტურას, რათა ჩაეკეტა ინგლისის ვაჭრობა ინდოეთთან და განედევნა რუსეთი ამიერკავკასიასა და ყირიმიდან. თურქეთ-ირანის გადაბირების მიზნით ამ ქვეყნებში სხვადასხვა დროს ზედიზედ იგზავნება დიპლომატიური მისიები და საიდუმლო აგენტები (სებასტიანის, ბრიუნის მისიები თურქეთში; რომიეს, ჟობერის მისია ირანში). ნაპოლეონის წერილში თურქეთის სულთნისა და ირანის შაჰის მიმართ გამოთქმულია სურვილი საფრანგეთის მეთაურობით მოეწყოს კოალიციური ომი რუსეთისა და ინგლისის წინააღმდეგ. დასავლეთის ძლიერი მოკავშირის წაქეზებით შე-

გულიანებული ირანისა და თურქეთის მმართველი წრეები რუსეთის მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვენ ჯარების გაყვანას საქართველოდან.

ირანის შაჰი ვარაუდობდა, რომ საქართველოდან რუსეთის განდევნისათვის ბრძოლაში გამოიყენებდა იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დახმარებას და ჰპირდებოდა მას დამოუკიდებლობას. 1804 წელს ირანის ჯარები შეიჭრნენ აზერბაიჯანში, მაგრამ კავკასიაში რუსეთის ძალების მთავარსარდლის ციციანოვის წარმატებითმა საბრძოლო ოპერაციებმა ჩაშალეს ირანის დაპყრობითი გეგმები. ნაპოლეონის წაქეზებითვე რუსეთის წინააღმდეგ ომისათვის ენერგიულად ემზადებოდა თურქეთიც. ფრანგი სპეციალისტების დახმარებით თურქეთი ამაგრებდა ფოთის, სოხუმისა და ბათუმის ციხე-სიმაგრეებს. 1806 წლის მიწურულში თურქეთი ომს უცხადებს რუსეთს. აქ საომარ ასპარეზად საქართველოს ტერიტორია ხდება. სულთანი ამ ომით აპირებდა აღედგინა საქართველოში თავისი ბატონობა. ამრიგად, საქართველოში რუსეთის დამკვიდრების პირველ ათწლეულშივე საფრანგეთისა და ინგლისის მმართველმა წრეებმა მოახერხეს ერთდროულად რუსეთის წინააღმდეგ ირანისა და თურქეთის ამხედრება. ამ პერიოდში ახლო აღმოსავლეთში მხოლოდ ფრანგულ-ინგლისურ ენას და ოქროს ჰქონდა გასავალი. არც ერთ ქვეყანას არ უფიქრია და არც ჰქონია შესაძლებლობა მის მიერ წაქეზებული ირან-თურქეთისათვის სამხედრო ძალები მიეშველებინა. მათი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში სხვისი ხელით ნარის გლეჯის პოლიტიკა იყო. რუსეთმა კი თავისი სამხედრო ძალებით ამ ხანგრძლივ და მძიმე ბრძოლებში არა მარტო შეინარჩუნა ამიერკავკასიაში თავისი პლაცდარმი — საქართველო, არამედ განამტკიცა და გააფართოვა ეს პლაცდარმი და საქართველოსთან ერთად კავკასიის მუსლიმანური სახანოებიც მიიმტკიცა.

1812 წლის ბუქარესტის ზავი მოასწავებდა არა მარტო თურქეთის წინააზიური აგრესიული გეგმების ჩაშლას, არამედ ნაპოლეონის საფრანგეთის ახლო აღმოსავლური პოლიტიკის სერიოზულ მარცხს. თურქეთის დამარცხებამ ნაპოლეონს ჩაუშალა გეგმები რუსეთის წინააღმდეგ კარზე მომდგარ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში თურქეთის ფრონტის გამოყენე-

ბისა. რუსეთს კი შესაძლებლობა მისცა თავისი ძალები დუნაის ფრონტიდან დასავლეთით გადაეყვანა და კავკასიის ფრონტზე ირანის წინააღმდეგ გამოეყენებინა.

ბუქარესტის ზავის დადებიდან 4 თვის შემდეგ, როცა ნაპოლეონის ჯარი რუსეთის საზღვრებში იყო შეჭრილი, ინგლისის სამხედრო წარმომადგენელი რუსეთში ვილსონი ალექსანდრე პირველს რჩევას აძლევდა: დაებრუნებინა სულთნისათვის უველაფერი, რაც ბუქარესტის ტრაქტატით შეიერთა. ამ მანევრით, ვილსონის აზრით, შესაძლებელი გახდებოდა თურქეთის ჩათრევა ნაპოლეონის წინააღმდეგ ომში. საკითხი აქ პირველ რიგში ეხებოდა დასავლეთ საქართველოს, რომელსაც ვილსონი თურქეთის კანონიერ კუთვნილებად მიიჩნევდა[1].

მიუხედავად ნაპოლეონის რუსეთზე შემოსევისა და ფრანგი დამპყრობლების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებისა, რუსეთმა არა მარტო შეძლო 1812 წელს ამიერკავკასიაში ირანის და მის ზურგს უკან მდგომი საფრანგეთის აგრესიული გეგმების ჩაშლა, არამედ 1812 წლის მიწურულის ბრძოლებში (ასლანდუზთან და ლენქორანთან) სასტიკად დაამარცხა ირანის ჯარები და აიძულა ირანი ზავი ეთხოვა. 1813 წ. გულისტანის ზავით ირანმა აღიარა Status quo, ე. ი. ცნო რუსეთის მფარველობაში შემავალი უველა ის კავკასიური მუსლიმანური სახანო, რომლებიც ომის დასაწყისში რუსეთს ეკუთვნოდა, აგრეთვე ომის პერიოდში შემოერთებული დასავლეთ საქართველოს პროვინციები.

ირან-თურქეთის კავკასიური აგრესიის მთელ პერიოდში ინგლისი, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ წლებში საფრანგეთის წინააღმდეგ რუსეთთან კავშირში მოქმედებდა, ახლო აღმოსავლეთში ანტირუსულ პოლიტიკას განაგრძობდა. ტილზიტის ზავის შემდეგ კი 1807—1811 წლების განმავლობაში, როცა რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმება ძალაში რჩებოდა, ინგლისი უველა ზომას მიმართავდა, რომ თურქეთ-ირანის ძალები გაეერთიანებინა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1807 წელს ინგლისელებს ირანში მივლინებული ჰყავდათ

---

[1] იხ. А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., 1960, стр. 186.

სპეციალური დესპანი ლორდი ჰარფორტი, რომელიც ცდილობდა ირანის ამიერკავკასიაზე ლაშქრობა განეხორციელებინა[1].

1808—1809 წლებში ირანში გაცხოველებით მუშაობდა ლონდონიდან მივლინებული ჰარფორტ ჯონსონი, რომელსაც დავალება ჰქონდა მიცემული გამოეყვანა ირანი ფრანგული გავლენიდან, გადაექცია იგი ინგლისის მოკავშირედ, მიეღწია ირან-თურქეთის ძალთა გაერთიანებისა და კავკასიიდან რუსეთის განდევნისათვის.

1809 წელს ინგლისსა და ირანს შორის ხელმოწერილ იქნა „კავშირისა და მეგობრობის“ ხელშეკრულება. ინგლისმა ირანის მმართველს აღუთქვა ყოველწლიური ფულადი სუბსიდია 160 ათასი თუმნის რაოდენობით და ირანის არმიის მომარაგება ზარბაზნებითა და ინგლისელი ინსტრუქტორ-ოფიცრებით. ინგლისის ჩარევით ირანში დაიწყო რეგულარული პოლკების ფორმირება, სადაც ჯარისკაცთა წვრთნას ხელმძღვანელობდნენ ინგლისელი ოფიცრები[2]. ინგლისელებმა ბაბა-ხანიც წააქეზეს შეეკრა კავშირი თურქეთთან და გაერთიანებული ძალებით ეწარმოებინათ შეტევა ამიერკავკასიაში რუსულ სამფლობელოთა წინააღმდეგ. ინგლისელთა ფულებით ჯიბესქელი მუსლიმანი მისიონერები მოედვნენ აგრეთვე კავკასიის მთიანეთის მუსლიმანურ სახანოებს, რომ ისინი რუსეთის წინააღმდეგ წაექეზებინათ. ამრიგად, ინგლისმა რუსეთის წინააღმდეგ „ჯიხადის“ — საღვთო ომის კამპანია გააჩაღა. ინგლისის წარმომადგენლებმა ირანსა და თურქეთში მიაღწიეს კიდეც ორი მუსლიმანური ქვეყნის ანტირუსულ შეთანხმებას და ჩაშალეს რუსეთ-ირანის სამშვიდობო მოლაპარაკება. ირან-თურქეთის შეთანხმება ითვალისწინებდა კომბინირებულ ლაშქრობას ამიერკავკასიაში. ამ ლაშქრობის წარმატება ინგლისის მმართველ წრეებს უქმნიდა კავკასიის ეკონომიური დაპყრობის ფართო პერსპექტივებს.

1814 წელს ინგლისმა ირანის მთავრობასთან დადო ახალი

---

1 Акты, т. III, стр. 446—457.

2 Н. А. Смирнов, Политика России на Кавказе в XVI—XIX веках, Москва, 1958, стр. 175.

ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა ირანის პოლიტიკურ და ეკონომიურ დამონებას და ინგლისური კოლონიური პოლიტიკის იარაღად გადაქცევას[1]. ირანი დათანხმდა გაეუქმებინა ხელშეკრულებანი და კავშირები ინგლისისადმი მტრულად განწყობილ ევროპულ ქვეყნებთან, არ გაეტარებინა ირანზე ამ სახელმწიფოთა ჯარები და გამოეყვანა თავისი არმია ინგლისის დასახმარებლად, თუ ავღანეთსა და ბრიტანულ ინდოეთს შორის ომი ატყდებოდა. სამაგიეროდ ინგლისი ირანს ჰპირდებოდა დახმარებას ევროპულ ქვეყნებთან ომის შემთხვევაში ან ინდოეთიდან ჯარების მიშველებით ან ყოველწლიურად 200 ათასი თუმნის სუბსიდიის მიცემით. აღუთქვამდა ზრუნვას გულისტანის ზავის პირობების გადასინჯვისა და ირანის სასარგებლოდ რუსეთ-ირანის საზღვრების შესწორების საქმეში. ხელშეკრულება, პირველ რიგში, ცხადია, რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. ხელშეკრულება, რომელიც ინგლისს ფაქტიურად არაფრით არ ავალდებულებდა, ირანს ინგლისური ახლოაღმოსავლური აგრესიული პოლიტიკის ფარვატერად ხდიდა. ამიერიდან ირანი თავის საერთაშორისო კავშირებს ინგლისის კონტროლს უქვემდებარებდა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე არსებითად ხელს იღებდა[2]. ინგლისელთა მოთაფლული დაპირებებით გამხნევებული შაჰის აგრესიული წრე გაცხოველებით ამზადებდა არმიას რუსეთთან ახალი ომისათვის, ინგლისელი ინსტრუქტორები წვრთნიდნენ ირანის შეიარაღებულ ძალებს. სამხრეთ აზერბაიჯანის მმართველი შაჰის შვილი და მემკვიდრე აბას-მირზა გარშემორტყმული იყო ინგლისელი სამხედრო და პოლიტიკური მრჩევლებით[3].

ირან-რუსეთის სასაზღვრო კონფლიქტის მშვიდად მოგვარების ცდამ რუსეთის მხრივ (ერმოლოვის მისია 1817 წ.) შედეგი არ გამოიღო. ირანის წარმატებამ თურქეთის წინააღმდეგ ომში კიდევ უფრო გააღვივა აქ ესპანსიონისტური განწყობილება. ინგლისელი წამქეზებლები გამუდმებით უთვალთვალებდნენ რუსეთის საშინაო მოვლენების მსვლელობას და

[1] М. С. Иванов, Очерки истории Ирана, 1958, стр. 137.

[2] იქვე, გვ. 137.

[3] А. В. Фадеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

მისთვის მახვილის ჩაცემის ხელსაყრელ შემთხვევას არჩევდნენ, ინგლისელი მზვერავები გულმოდგინედ სწავლობდნენ ამიერკავკასიაში რუსეთის ბატონობის სუსტ მხარეებს. ალექსანდრე პირველის გარდაცვალება და პეტერბურგში დეკაბრისტების გამოსვლა მათ კავკასიაზე დარტყმის ყველაზე ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს. ინგლისელებმა გაავრცელეს ხმა, თითქოს რუსეთში ალექსანდრე პირველის გარდაცვალების შემდეგ ძმებს შორის ტახტისათვის ატეხილმა დავამ გამოიწვია საყოველთაო არეულობაო. ამავე ხანებში ოსტინდოეთის კამპანიამ შაჰს მისცა დიდი ხნის დანაპირები სუბსიდია 728 ათასი მანეთის რაოდენობით და ამასთან გააფრთხილა, რომ შემდგომში სუბსიდიების მიცემა მხოლოდ რუსეთთან ომის შემთხვევაში მოხდებოდა[1]. 1826 წლის 23 ივნისს ირანის სასულიერო ზედაფენამ რუსეთის წინააღმდეგ საღვთო ომი გამოაცხადა. აბას-მირზას მეთაურობით ირანის არმია რუსეთის კავკასიურ სამფლობელოებში შეიჭრა.

რუსეთის წინააღმდეგ ორწლიანმა ომმა (1826—1827 წწ.) ირანს და მის ზურგს უკან მდგომ ინგლისს ყოველგვარი იმედი გაუცრუა. რუსეთის არმია თვით ირანის ტერიტორიაზე შეიჭრა და ქალაქები: თავრიზი, ხოი, მარანდი და სხვ. დაიკავა. შაჰის ინგლისელი „მეგობრები“ შეშფოთდნენ ირანის მთლიანად დაკარგვის რეალური საფრთხის პირობებით და ურჩიეს ირანს სასწრაფო ზავი რუსეთთან. 1827 წლის თურქმანჩაის საზავო ხელშეკრულებამ დააწესა რუსეთ-ირანის ახალი საზღვარი. ირანის ბატონობიდან განთავისუფლდა და რუსეთის მფლობელობაში მოექცა ერევნისა და ნახჭევნის სახანოები (ორდუბადის ოლქით). ირანს აეკრძალა კასპიის ზღვაზე სამხედრო ფლოტის მშენებლობა. რუსეთი მშვენივრად იყო ინფორმირებული ირანში ინგლისელთა გეგმების შესახებ და კასპიის ზღვაზე სამხედრო ბატონობას ისწრაფოდა არა იმდენად ირანის, რამდენადაც ინგლისის გეგმების ჩაშლის მიზნით.

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ახლო აღმოსავლეთში ვითარება დაიძაბა. თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყდნენ ბერძნები. ლეგიტიმიზმის პრინციპების ერთ-

---

[1] А. В. Фадеев. დასახ. ნაშრომი, გვ. 203.

გულმა რუსეთის მონარქმა აჯანყებულ ბერძნებს არსებითი დახმარება არ გაუწია. ბერძნებმა, დაკარგეს რა რუსეთის მხრივ ენერგიული დახმარების იმედი, თავიანთი ბედი ჩააბარეს ინგლისს, რომელიც ამიერკავკასიის პოზიციებზე მომაგრების იმედების ჩაფუშვის შემდეგ ბალკანეთში აპირებდა გაბატონებას, მაგრამ ინგლისის მმართველ წრეებს ისიც ესმოდათ, რომ ამიერიდან ბალკანეთის საკითხი შავი ზღვის ძლიერი სახელმწიფოს — რუსეთის სრული გვერდის ავლით ვერ გადაწყდებოდა. საბერძნეთის ბედის შესახებ წინასწარი გარიგება პეტერბურგში რუსეთის საიმპერატორო ტახტზე ნიკოლოზ I ასვლის შემდეგ მოხდა. პეტერბურგის ოქმს, ნიკოლოზის აზრით, ბალკანეთსა და თურქეთში ინგლისის მოქმედების ერთგვარი რეგლამენტაციის დანიშნულება ჰქონდა. ამ შეთანხმებას ლონდონში მოლაპარაკების შემდეგ საფრანგეთიც შეუერთდა.

ცარიზმმა მოხერხებულად ისარგებლა ინგლისთან შეთანხმებით, აგრეთვე ბალკანეთში თურქეთის გართულებული მდგომარეობით და გადაწყვიტა ახალი ნაბიჯი გადაედგა აღმოსავლეთის პროგრამის ნაწილობრივ განსახორციელებლად. თურქეთს მან მოსთხოვა რუსეთთან ადრე დადებული ხელშეკრულების დაცვა. 1826 წელს ირანის შაჰის შეჭრა ამიერკავკასიის საზღვრებში სწორედ იმ დროს მოხდა, როცა რუსეთმა თურქეთის სულთანს ულტიმატუმი წარუდგინა (აკერმანის კონვენცია). რუსეთისათვის მოულოდნელი იყო ირანის გამოსვლა და, ცხადია, თურქეთში მის გეგმებს წარუმატებლობა ემუქრებოდა. დადასტურებულია, რომ ირანის გამოსვლა ამ მომენტში ინსპირირებული იყო ინგლისელთა მიერ და მიზნად ისახავდა ცარიზმისათვის მდგომარეობის განგებ გართულებას. რათა ყურადღება ირანზე ყოფილიყო გადატანილი, მაგრამ ინგლისის დიპლომატიის გამოცდილი მესვეური კანინგი მოტყუვდა იმაში, რომ გადაჭარბებულად შეაფასა ყაჯართა იმპერიის ძალები და ვერ გაითვალისწინა ის სავალალო შედეგები, რაც ინგლისის გავლენისათვის ამ ომს მოჰყვა[1].

აკერმანის კონვენცია რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის

[1] А. В. Фадеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

მორიგ დიპლომატიურ გამარჯვებას მოასწავებდა, მაგრამ ნავარინის ბრძოლის შემდეგ გააფთრებულმა თურქეთმა არა მარტო დაკეტა გზები რუსული ვაჭრობისათვის, არამედ გადაწყვიტა რუსეთი ახლო აღმოსავლეთიდან საბოლოოდ განედევნა. ამ მიზანს ემსახურებოდა ქრისტიანული სამყაროს წინააღმდეგ მუსლიმანთა საღვთო ომის გამოცხადება.

რუსეთ-თურქეთის ომი ამ ორი ქვეყნის რეაქციული ანექსიონისტური პოლიტიკის შინაარსით იყო გაჟღენთილი. ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანთა და ბალკანეთის სლავ თანამოძმეთა მუსლიმანური ძალადობისაგან დაცვის რუსული აბრა, ცხადია, ვერ ფარავდა ცარიზმის მმართველი ზედაფენის დამპყრობლურ ზრახვას, თუმცა, ობიექტურად, როგორც ამას ქვევით ვნახავთ, ამ ხალხებისათვის ომს მართლაც გამათავისუფლებელი მნიშვნელობა ეძლეოდა.

ომში თურქეთი, პირველ რიგში, ამიერკავკასიას უმიზნებდა და მის მთლიანად დაპყრობას ითვალისწინებდა. მისი ჯარები ყარსის, ერევნის და ახალციხის მხრიდან თბილისს უტევდნენ. რომ აქ რუსული რეზიდენცია მოეშალათ და ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრი დაესაკუთრებინათ. მაგრამ, ირანის ომში დაღლილობის მიუხედავად (რაზედაც თურქები დიდ იმედებს ამყარებდნენ), რუსეთის ჯარებმა პასკევიჩის მეთაურობით და ქართულ-სომხური ლაშქრის ენერგიული მხარდაჭერით არა თუ ჩაშალეს თურქთა დამპყრობლური გეგმები, არამედ წარმატებითი შეტევა გააჩაღეს და თურქეთს ხელიდან გაჰსტაცეს ფოთი და ახალციხე-ახალქალაქის საფაშოები.

ბალკანეთისა და კავკასიის ფრონტებზე რუსეთის არმიის წარმატებებს შეშფოთებით ადევნებდნენ თვალყურს ევროპის დიდი სახელმწიფოები. ინგლისის მთავრობა ახლა იმას ცდილობდა, რომ არ დაეშვა თურქეთის განადგურება. იგი აშკარად თანაუგრძნობდა პორტას და თავის ძალებს ხმელთაშუა ზღვაში აძლიერებდა, რომ კონსტანტინეპოლი დაეცვა რუსული აგრესიისაგან. დუნაის ქვეყნებში შეჭრით იმუქრებოდა ავსტრიაც. ახალი გართულებანი რუსეთს არ აწყობდა, რადგან მიზანს მიღწეულად თვლიდა და ომის გაგრძელებაც აღარ შეეძლო ასეთ ვითარებაში. პრუსიის მონარქიის შუამდგომლობით დაიდო ადრიანოპოლის შეთანხმება.

ადრიანოპოლის ზავი რუსეთის დიდი გამარჯვება იყო. ცარიზმმა აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტის პრობლემა დიდად წასწია წინ, იგი მიუახლოვდა კიდეც მის სანუკვარ მიზანს — კონსტანტინეპოლს. მნიშვნელოვნად განამტკიცა სტრატეგიული პოზიციები კავკასიაში. აქ ცარიზმმა არა მარტო გააფართოვა თავისი სამფლობელო თურქეთისაგან წინათ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის ხარჯზე (ახალციხე-ახალქალაქის პროვინცია, ფოთი და სხვ.), არამედ თურქეთი აიძულა ეცნო სპარსეთთან ომის შედეგად რუსეთის მიერ მოპოვებული წარმატებანი. ამასთან, თურქეთი ამ ომით იმდენად დასუსტდა და დაუძლურდა, რომ ამიერკავკასიაში მისი ექსპანსია დიდი ხნით აღიკვეთა.

XIX საუკუნის 20—30-იან წლებში ახლო აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციების გაფართოება-განმტკიცება ინგლისის, საფრანგეთისა და ავსტრიის ინტერესებს უპირისპირდებოდა. ინგლისის ექსპანსიის ბურჟუაზიული წრეები დიდად იყვნენ შეშფოთებულნი ამ მდგომარეობით და წარუმატებლობას კანინგის ნაადრევი სიკვდილითა და ველინგტონის ბეცი პოლიტიკით ხსნიდნენ. განსაკუთრებით მტკივნეულად განიცადეს ინგლისის ბურჟუაზიულმა წრეებმა ანდრიანოპოლის ზავი და უნკიარ-ისკელესის 1833 წლის შეთანხმება.

ადრიანოპოლის ზავის დადებისთანავე ინგლისში მოწვეულ იქნა მინისტრთა საბჭოს სასწრაფო სხდომა. პეტერბურგში ინგლისის წარმომადგენელს დაევალა ადრიანოპოლის ტრაქტატის წინააღმდეგ პროტესტით გამოსვლა. ინგლისის აგრესიული წრეები განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ტრაქტატის სწორედ იმ სტატიების წინააღმდეგ, რომლებიც სულთნის უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხებს შეეხებოდა. ახალციხისა და შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს რუსეთთან შეერთებას ინგლისის ნოტა აფასებდა როგორც სხვა სახელმწიფოთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ აქტს, რომელიც არღვევდა „ევროპის წონასწორობას". ცხადია, ინგლისის მმართველ წრეებს ყველაზე მეტად ის აწუხებდათ, რომ რუსეთის ეს გამარჯვება ურტყამდა ინგლისის შემდგომ კოლონიურ ექსპანსიას აზიის ქვეყნებში.

ინგლისის მმართველ წრეებში განსაკუთრებული შეშფო-

თებით რუსეთ-თურქეთის ახალ, უნკიარ-ისკელესის შეთანხმებას შეხვდნენ. უნკიარ-ისკელესი ავსებდა ადრიანოპოლის ტრაქტატის ყველაზე არსებით ნაკლს — დარდანელის სრუტეს კეტავდა შავი ზღვის გარეშე სახელმწიფოთა გემებისათვის, ხოლო რუსეთს ხმელთაშუა ზღვაში გასვლის საშუალებას აძლევდა. ეს შეთანხმება ინგლისმა სამართლიანად მიიჩნია ახლო აღმოსავლეთში სამუდამოდ ფეხის ამოკვეთის აქტად და ყველა ღონისძიებას მიმართა მისი ჩაშლისათვის. შავი ზღვის სრუტეებზე შვიდი წლის შეუპოვარი დიპლომატიური ბრძოლის შემდეგ ინგლისმა მართლაც მოახერხა საერთო ევროპულ შეთანხმებაში ჩაეხშო უნკიარ-ისკელესი. ეს რუსეთის დიპლომატიურ მარცხს მოასწავებდა.

40-იან წლებში და 50-იანი წლების დასაწყისში ინგლისის დივერსიული საქმიანობა კავკასიაში ძლიერდება და ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობა დაძაბულობის ახალ ფაზაში გადადის. კაპიტალისტური ინგლისი ახლა მეტი გააფთრებით ისწრაფვის ახალი ბაზრებისა და ნედლეულის წყაროსკენ. კონსტანტინეპოლი და ახლო აღმოსავლეთი მას მიაჩნია არა მარტო უახლოეს გზად ინდოეთის სამფლობელოებისაკენ, არამედ როგორც ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიცია ევროპაში გაბატონებული მდგომარეობისათვის. ინგლისელი ბურჟუაზიული პუბლიცისტები შეშფოთებით მოაგონებენ მთავრობას, რომ, თუ კონსტანტინეპოლში რუსები დამკვიდრდებიან, დაიკარგება არა მარტო ახლო აღმოსავლეთი, არამედ ინდოეთიც, და ინგლისი მალე აღმოჩნდება ჰოლანდიის ან ევროპის რომელიმე პატარა სახელმწიფოს მდგომარეობაში, და რომ ახლო აღმოსავლეთში ბრძოლა ინგლისისათვის ბრძოლაა.

1830 წლიდან ინგლისის საგარეო პოლიტიკის განთქმული დიპლომატი ლორდი პალმერსტონი ახლო აღმოსავლეთიდან რუსეთის გამოდევნისა და იქ ინგლისის ეკონომიური და პოლიტიკური გაბატონების აქტიური მომხრეა. იგი, პირველ რიგში, შავი ზღვის სრუტეებში რუსეთის უპირატესობის გაუქმებისათვის იბრძვის და 1841 წლის ლონდონის კონვენციის საშუალებით აღწევს კიდეც ამას. ინგლისი, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების მწარე გამოცდილების მიუხედავად, აცხოველებს ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურ

სახელმწიფოთა რუსეთის წინააღმდეგ წაქეზების პოლიტიკას. 40-იან წლებში ინგლისის მმართველი წრეები განსაკუთრებულ იმედს კავკასიის მთიანეთის ანტიკოლონიურ მოძრაობაზე ამყარებენ, ინგლისის დიპლომატია ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ ირან-თურქეთის ძალთა გაერთიანებას და კავკასიის მუსლიმანური მთიელი ტომების დახმარების საბაბით რუსეთის წინააღმდეგ მათ ერთობლივ შეტევას მიაღწიოს. თავის მხრივ, თურქეთი და ირანი ვერ შერიგებიან კავკასიაში ადრინდელი სამფლობელოების დაკარგვას და ყოველგვარ ანტირუსულ მოძრაობას იმედით შესცქერიან, თან ფარულ დახმარებას არ აკლებენ, რადგან რუსეთის წინააღმდეგ აშკარა ომის შესაძლებლობა, შინაგანი დაუძლურების გამო, აღარ გააჩნიათ. ირან-თურქეთის და მათ ზურგს ამოფარებული ინგლისის მთავარ იმედს კავკასიაში გაჩაღებული მიურიდული მოძრაობა წარმოადგენს. ახლა ისინი მთიელი ტომების მოსარჩლედ გამოდიან და დამოუკიდებლობას აღუთქვამენ მათ, თუ მიღწეული იქნება საერთო ღონისძიებით კავკასიიდან რუსეთის განდევნა.

ინგლისელი, თურქი და ირანელი ემისრები 30—40-იან წლებში მთის აულებში გაცხოველებით ეწევიან რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის პროპაგანდას. ჩერქეზთა შორის გავრცელებულ მოწოდებაში, რომელიც ინგლისელთა კარნახითაა დაწერილი, ნათქვამია, რომ „ჩერქეზმა ხალხმა უნდა შეადგინოს 40-ათასიანი ლაშქარი და ამხედრდეს მტრის წინააღმდეგ. ამის შედეგად რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I, დაინახავს რა მისი იმპერიის წინააღმდეგ აღმართულ საფრთხეს, უბრძანებს თავის ჯარებს დატოვონ კავკასია და დაიხიონ თავიანთ ევროპულ საზღვრებში“[1].

ინგლისელი ჯეიმს ჰაბუნი ჩერქეზებს მოუწოდებს: „თუ თქვენს შორის აღდგენილ იქნება სათანადო წესრიგი და ჯეროვნად მოეწყობით, — ამას ინგლისი მოახერხებს, — მაშინ კავკასიის მკვიდრნი, ე. ი. ჩერქეზები, დაღესტნელებთან ერთად შეძლებენ შეიჭრან არა მარტო ასტრახანსა და თბილისში, არამედ, თუ მხედველობაში მივიღებთ მათ მამაცობასა და გუ-

---

[1] ე. ბურჯუღაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა, 1953, გვ. 57.

ლადობას, უნდა გვწამდეს, რომ ისინი მიაღწევენ... თვით მოსკოვის კარიბჭემდე"[1]. თურქეთის სულთანი შამილს აღუთქვამს კავკასიაში მისი მოადგილის მაღალ თანამდებობას. ინგლისელები ამასთან ფარულად კავკასიელი მიურიდებისათვის იარაღით დახმარებასაც მიმართავენ, 1836 წელს სოხუმის რაიონში შეპყრობილ ინგლისურ გემ „ვიკსენს", რომელსაც კაპიტანი ჯორჯ ბელი მართავდა, იარაღი მიჰქონდა ჩერქეზებისათვის. ინგლისელთა ინსპირირებით ეწყობა 1840 წელს ანტირუსული გამოსვლები გელენჯიკის რაიონში და სხვ.

ამიერკავკასიაში თავიანთი დამპყრობლური ინტერესების განხორციელების რეალური შესაძლებლობა ინგლისის მმართველმა წრეებმა ყირიმის ომში დაინახეს. მართალია, ამ ომის ძირითადი დამნაშავე და წამომწყები რუსეთის ცარიზმი იყო, მაგრამ რუსეთთან ერთად ომის გაჩაღებაში დანაშაული მიუძღოდათ თურქეთსა და მის მოკავშირეებს — ინგლისსა და საფრანგეთს, რომლებიც თურქეთის დაცვის საბაბით რუსეთის დაუძლურების, დანაწევრების, ახლო და შუა აღმოსავლეთში თავიანთი ბატონობის განმტკიცების ფართო გეგმებს ისახავდნენ. დოკუმენტებით დადასტურებულია, რომ ინგლისის აგრესიული მმართველი ზედაფენა ამ ომში ვარაუდობდა რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა ავსტრია, პრუსია, შვეცია და ამ ქვეყნების საშუალებით ეგლიჯა ნარ-ეკალი, ხოლო თვით, გამარჯვებულს, ყველაზე დიდი ნადავლი მიეღო. პალმერსტონის გეგმა ითვალისწინებდა შვეციისათვის ფინეთისა და ალანდის კუნძულების დაბრუნებას, ბალტიისპირეთის გადაცემას პრუსიისათვის, პოლონეთის სამეფოს აღდგენას, მოლდავეთის, ვალახეთის და დუნაის შესართავის გადაცემას ავსტრიისათვის, ხოლო ყირიმისა და კავკასიისა — თურქეთისათვის[2]. ყოველივე ამას პალმერსტონი, როგორც მისი პრესა ამტკიცებდა, აკეთებდა „ცივილიზაციისათვის ბარბაროსობის წინააღმდეგ". ინგლისი თითქოს არაფერს იღებდა რუსეთის დანაწილების ხარჯზე, მაგრამ არავისთვის დამალული არ ყოფილა, რომ ამ

---

1 ე. ბურჯანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 447.

2 История дипломатии, т. I, 1945, стр. 447.

გადანაწილების შემდეგ იგი ახლო აღმოსავლეთის ფაქტიური მფლობელი და ევროპული პოლიტიკის ტონის მიმცემი უნდა გამხდარიყო.

თურქეთისა და ინგლისის ინტერესები ყირიმის ომში ყველაზე მეტად სწორედ კავკასიის საკითხში ემთხვეოდა ერთმანეთს. საკუთარი ძალებით თურქეთს თავისი ადრინდელი კავკასიური სამფლობელოების დაბრუნება არ შეეძლო.

ევროპის უმსხვილესი ქვეყნების თურქეთის მხარეზე ომში ჩაბმა იმას ნიშნავდა, რომ თურქეთს ამ სამფლობელოთა დაბრუნების ყველაზე ხელსაყრელი მომენტი დაუდგა. მით უმეტეს, რომ კავკასიიდან რუსეთის განდევნა თურქეთზე ნაკლებად ინგლისს როდი აინტერესებდა. ომის დირიჟორობა თავიდანვე ინგლისის მმართველმა წრეებმა აიღეს ხელში, მათვე აირჩიეს რუსეთზე შეტევის პოზიციები და გაანაწილეს ძალები.

თურქეთის არმიის ძირითადი საბრძოლო ოპერაციები კავკასიის ფრონტზე სწორედ ინგლისელთა მითითებით გაიშალა. ამასთან, თურქეთის არმია ინგლისური იარაღით იყო აღჭურვილი. ყოველგვარი წვრილმანი ოპერაცია ინგლის-საფრანგეთის სარდლობის რჩევითა და უშუალო მონაწილეობით მუშავდებოდა, ხოლო ამ ოპერაციების პრაქტიკული განხორციელებისათვის თურქთა კორპუსები ინგლისელი გენერლებით, შტაბის ოფიცრებითა და ინსტრუქტორებით იყო გამაგრებული.

ინგლისის მმართველი წრეები თურქეთს კავკასიას უსევდნენ არა იმიტომ, რომ რუსეთის მიერ „დაჩაგრული“ თურქეთისადმი მფარველობა და მისი ძველი ძლიერების აღდგენა ეწადათ. ეს იყო ინგლისის აგრესიული წრეებისათვის ტრადიციული პოლიტიკა სხვისი ხელით ნარის გლეჯისა. თუ ჩამორჩენილი თურქეთი კავკასიას დაიპყრობდა, ეს იქნებოდა სწორედ ინგლისისათვის მოპოვებული კოლონიური შენაძენი. კონსტანტინეპოლში, ინგლისელთა ელჩის სტაფორდ რედკლიფის უშუალო მონაწილეობით, მოკავშირეთა სარდლობის შტაბში მუშავდებოდა საქართველოში თურქეთის დიდი არმიის შეჭრის დეტალები, რედკლიფი 1865 წ. 12 ივლისს პალმერსტონისადმი გაგზავნილ დეპეშაში აღნიშნავდა, რომ ექსპედიციისათვის მზადება სრული სისწრაფით მიმდინარეობს. შეიძლე-

ბოდა დაგვეზოგა ძვირფასი დრო, თუ მე სასწრაფოდ მივიღებდი სატელეგრაფო ცნობას, ეთანხმება თუ არა მთავრობა ენერგიულ დივერსიას რუდუტ-კალეთი და ქუთაისით საქართველოში[1]. ინგლისის მთავრობა ჯერჯერობით რუსეთის წინააღმდეგ შეტევის ძირითად მიმართულებად ყირიმს თვლიდა და ამიტომ მაინცდამაინც დიდი ხალისით არ თანხმდებოდა მოკავშირეთა ძალების დანაწევრებაზე. თურქეთისა და ინგლისის გაერთიანებული ძალებით ამიერკავკასიაში შეჭრა მას სევასტოპოლის დაცემის შემდეგ ჰქონდა ნავარაუდევი, მაგრამ სევასტოპოლელთა გმირულმა დაცვამ, კავკასიაში მურავიოვის სარდლობით რუსების ენერგიულმა წინსვლამ და ყარსის დაკარგვის საფრთხემ ინგლისის სარდლობა დაარწმუნა თურქთა საექსპედიციო კორპუსის საქართველოში შეჭრის აუცილებლობაში. ეს ოპერაცია, მიუთითებდა კ. მარქსი, წარმოადგენდა ერთადერთ სტრატეგიულ იდეას, რომელიც ამ ომმა წარმოშვა. იგი ნიშნავდა ექსცენტრული პოზიციის დაკავებას გარემომცველი არმიის მიმართ — მუქარას თბილისისათვის, აზიაში რუსების ძალაუფლების ამ ცენტრალური პუნქტისათვის. მუქარას, რომელიც მურავიოვს აიძულებდა უკან დაეხია ყარსიდან იმის შიშით, რომ იგი მოწყვეტილი იქნებოდა ოპერატიული ბაზისა და საკომუნიკაციო ხაზისაგანო[2].

ინგლისის მთავრობა კავკასიაში რუსეთისათვის მახვილის ჩასაცემად დაღესტნელი მიურიდების გამოყენებას ვარაუდობდა. შამილი უკვე ამზადებდა სამხრეთით გაჭრას, რომ თურქთა ჯარებს შეერთებოდა. ინგლისი, როგორც ამას თვით პალმერსტონი აღიარებდა, ახლა ყველაზე ახლო იყო „სანუკვარ მიზანთან". კავკასიის დაპატრონება სავსებით რეალური ჩანდა. პალმერსტონის მიერ შედგენილ რუკაში, რომელიც რუსეთის დამარცხების შემდეგ გეოგრაფიული საზღვრების ახალ მოხაზულობას ითვალისწინებდა, კავკასია რუსული მფლობელობის გარეთ იყო დატოვებული. პალმერსტონს ღრმად სწამდა, რომ თურქი ფაშა და თურქი ჯარისკაცი ამიერიდან კავკასიაში ინგლისის სტრატეგიული და ეკონომიური

---

[1] იხ. ე. ბურჯულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 95.

[2] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. X, 1933, стр. 55[5].

ბატონობის საიმედო დამცველი და ხელშემწყობი ძალა იქნებოდა.

მაგრამ ინგლისელ კოლონიზატორთა ვარაუდი ამჯერადაც გაქარწყლდა. რუსეთის იარაღს წარმატება სწორედ აზიურ ფრონტზე ჰქონდა და თურქეთმა არა თუ აღადგინა თავისი „კუთვნილი“ სამფლობელოები, არამედ მისი საიმედო ფორპოსტი ყარსიც დაკარგა. პარიზის კონფერენციაზე ინგლისელი დიპლომატები ტყავში ძვრებოდნენ, რომ მცირე აზიაში რუსეთის პოზიციები როგორმე შეესუსტებინათ, მაგრამ არც ამ მცდელობას მოჰყოლია შედეგი. სწორედ ამ პერიოდში რუსეთმა განამტკიცა კავკასიაში თავისი პოზიციები იმითაც, რომ საბოლოოდ გატეხა შამილის წინააღმდეგობა და დაასრულა კავკასიის მთიანეთის პოლიტიკური დაპყრობა.

ინგლისის მმართველ წრეებს ყირიმის ომის შემდეგაც არ შეუსუსტებიათ ყურადღება წინა აზიის მიმართ და ყველა ხელსაყრელ შემთხვევას მოხერხებულად იყენებდნენ იმისათვის, რომ თურქული აგრესიაც წაექეზებინათ და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება არ დაეკლოთ. ასე ხდებოდა არა მარტო რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომში, როცა კავკასიის ფრონტის გახსნამ ინგლისის მმართველ წრეებს აქ თავიანთი პოზიციების აღდგენა-განმტკიცების იმედი ჩაუსახა, არამედ 1914—1918 წლების პირველ იმპერიალისტურ ომშიაც, როცა ინგლისი რუსეთის მოკავშირე იყო და მისი დახმარებით იმ პერიოდის ძირითადი მოწინააღმდეგის — გერმანიის განადგურებისათვის იბრძოდა. ინგლისის აგრესიული მმართველი წრეების ამ ვერაგული პოლიტიკის შესახებ ბევრი დოკუმენტი და ნარკვევი არსებობს. მაგრამ ამჟამად ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელება ჩვენს უშუალო მიზანს არ წარმოადგენს.

რას გვეუბნება კავკასიისათვის დიდ სახელმწიფოთა მიერ გაჩაღებული შეუპოვარი ბრძოლების მთელი ეს ისტორია?

XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე ევროპის კონტინენტზე რუსეთის იმპერია ერთ-ერთი უძლიერესი კოლონიური სახელმწიფოა. ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ხრწნა და ამ სისტემის წიაღში კაპიტალისტური ურთიერთობის თანდათანობითი მძლავრი განვითარება რუსეთის რეაქციული თავად-

აზნაურული კლასის ინტერესების დამცველ ცარიზმს ფეოდალური ურთიერთობის სიბრტყივ განვითარებას, ახალი საზღვაო ნავსადგურების, ვაჭრობის ახალი გზების, შინაგანი და საგარეო ბაზრების გაფართოების და სტრატეგიული ბაზების მოპოვებისათვის შეუნელებელ ბრძოლას უკარნახებს.

ცარიზმის საგარეო პოლიტიკის დამპყრობლურ-ანექსიონისტური ტენდენციები, პირველყოველისა, შეპირობებულია ექსპლოატატორული თავადაზნაურული კლასის ეკონომიური ინტერესებით და უპირატესად იმპერიის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრების მომიჯნავე ტერიტორიების „ათვისებაში“ გამოიხატება. მაგრამ ცარიზმის საგარეო პოლიტიკის აქტიურ შემტევ ხასიათს ეკონომიურ ინტერესებთან ერთად პოლიტიკური მოტივებიც აპირობებს. ცარიზმის ახალ-ახალი დაპყრობანი და იმპერიის სწრაფი ზრდა განამტკიცებდა სახელმწიფო ხელისუფლებას, პირველ რიგში, თვით მონარქის პრესტიჟს. ექსპლოატაციისაგან სულშეხუთული და მჩაგვრელი კლასის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის განწყობილი მოსახლეობის ყურადღებას მიმართავდა საგარეო წარმატებისაკენ და გამარჯვებათა ხმაურში ანელებდა ანტიფეოდალური ბრძოლის განწყობილებას.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც ცარიზმმა წარმატებით გადაწყვიტა ბალტიის ზღვაზე გასვლის, უკრაინისა და ბელორუსიის მიწა-წყლის რუსეთთან შეერთების უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანა, საგარეო პოლიტიკის წინა პლანზე დადგა იმპერიის სამხრეთით „ფანჯრის გაჭრის“, შავ ზღვაზე დამკვიდრების, ახლო აღმოსავლეთში სტრატეგიული ბაზების შექმნის ამოცანა. ეს ამოცანა უპასუხებდა რუსეთის თავადაზნაურული კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს იმით, რომ განამტკიცებდა და აფართოებდა მის ყმურ სამფლობელოებს სამხრეთით, ხსნიდა რუსული პროდუქციის გატანისათვის სამდინარო და საზღვაო გზებს, ზღვარს უდებდა თურქეთის ანექსიონისტურ ტენდენციებს და უზრუნველყოფდა სამხრეთის საზღვრის უშიშროებას. ასე წარმოიშვა რუსეთის საგარეო პოლიტიკაში „აღმოსავლეთის საკითხი“, რომელიც მთელი XIX საუკუნის მანძილზე, რევოლუციურ აფეთქებათა

შუალედებში, რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკის ცენტრში იდგა. რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის დიდი პრობლემების ორგანულ, შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა ე. წ. კავკასიის საკითხიც, რადგან კავკასია ცარიზმს მიაჩნდა ახლო აღმოსავლეთში გაბატონების უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ დასაყრდენად და პლაცდარმად აღმოსავლეთის საკითხში მთავარი მოქიშპეების — თურქეთისა და ირანის და მათ ზურგს უკან მდგომი ევროპული აგრესიული სახელმწიფოების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მაგრამ დამპყრობლურ-ანექსიონისტური ტენდენცია ახალი კოლონიური სამფლობელოების შექმნისა და სტრატეგიული ბაზებისათვის გააფთრებული ბრძოლა არ წარმოადგენდა მხოლოდ რუსეთის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის შინაარსს და „აღმოსავლეთის საკითხიც“ არასოდეს ყოფილა მისი მონოპოლია. კოლონიური დაპყრობებისა და ძარცვისაკენ მისწრაფება კაპიტალისტური განვითარების გზაზე შემდგარ მსხვილ ევროპულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ძირითადი ტენდენცია იყო ყოველთვის. დიდი ბრიტანეთის იმპერია, რომელიც ჯერ კიდევ კაპიტალის პირველდაგროვების პროცესში უდიდესი კოლონიური სახელმწიფო გახდა ევროპაში, ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვებისა და სამრეწველო გადატრიალების შემდეგ გააფთრებულ ბრძოლას ეწევა ახალი კოლონიური სამფლობელოების დაპყრობისათვის და ცდილობს ახლო აღმოსავლეთში გაიჩინოს არა მარტო გასაღების ბაზარი და ნედლეულის წყაროები, არამედ სტრატეგიული ბაზები ინდოეთიდან უახლოესი სავაჭრო გზების სრული დასაკუთრებისა და უშიშროებისათვის. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპაში რუსეთის ძალისა და ავტორიტეტის სწრაფი ზრდით შეშფოთებული ინგლისის მმართველი წრეები პირველი რიგის მიზნად რუსეთის ძლიერების შესუსტებას, კერძოდ, მისთვის ახლო აღმოსავლეთის პოზიციების წართმევას ისახავენ. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ბრძოლაში ისინი ეყრდნობიან თურქეთისა და ირანის მმართველ წრეებს, რომლებიც ყირიმიდან და კავკასიიდან რუსეთის განდევნის და აქ ძველი სამფლობელოების აღდგენისათვის გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან. ინგლისის მმართველ წრეებს

მიაჩნიათ, რომ წინა აზიაში, რომლის სტრატეგიული დაპყრობა რუსეთმა ინგლისს უკვე „დაასწრო“, ირან-თურქეთის მფლობელობის აღდგენა უზრუნველყოფს მის ეკონომიურ და პოლიტიკურ გაბატონებას და უახლოებს გზებს ინდური კოლონიების შეუფერხებელი ძარცვისათვის.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საფრანგეთის მმართველ წრეებში ახლო აღმოსავლეთისადმი ინტერესი ძლიერდება. ეს ინტერესი განსაკუთრებით ცხოველდება მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად მომძლავრებული მსხვილი ბურჟუაზიის დამპყრობლური პოლიტიკის მესვეური ხდება ნაპოლეონ ბონაპარტე, რომელიც მსოფლიო ბატონობის პრეტენზიებს აცხადებს და უძლიერესი მეტოქეების — ინგლისისა და რუსეთის დაუძლურება-დამონების პოლიტიკას ახორციელებს. ინგლის-ინდოეთთან დამაკავშირებელი ახლო აღმოსავლეთზე მიმავალი გზების დაპატრონებასა და რუსეთის ახლოაღმოსავლური სტრატეგიული პოზიციების მოშლას ნაპოლეონი თურქეთისა და ირანის მეშვეობით ვარაუდობს და აქეზებს მათ აგრესიას კავკასიისა და ყირიმის წინააღმდეგ.

ამრიგად, ნაპოლეონის საფრანგეთი — XIX საუკუნის პირველი ათეულის ყველაზე ძლიერი მონარქია ევროპაში, ამიერკავკასიაში ირანულ-თურქული დამპყრობლური ღონისძიების პირველი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგაც მეორეხარისხოვან პოზიციებზე ჩამოქვეითებული საფრანგეთის მმართველი ზედაფენა ახლოაღმოსავლური პოზიციების დაპყრობას შეუნელებელი ინტერესით ეკიდება, მაგრამ ამიერიდან მისი ღონისძიებანი უპირატესად რუსეთის წინააღმდეგაა მიმართული და ინგლისის მმართველ წრეებთან კავშირში წარმართავს კავკასიური პოზიციებიდან რუსეთის განდევნის პოლიტიკას.

სიმართლეს მოკლებულია და ბურჟუაზიული ინგლისისა და საფრანგეთის დამპყრობლურ-ანექსიონისტური პოლიტიკის შენიღბვა-გამართლებას ემსახურება ბურჟუაზიული ისტორიკოსების ვერსია იმის შესახებ, რომ თითქოს ინგლისსა და საფრანგეთს ირან-თურქეთის მფარველობა ეწადათ, როცა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას ებრძოდნენ ახლო აღ-

მოსავლეთში, რომ თითქოს ამიერკავკასიის ხალხების რუსული კოლონიური უღლისაგან გამოხსნა და დამოუკიდებლობის აღდგენა იყო მათი მცდელობის ძირითადი მიზანი[1].

XVIII—XIX საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის დაპატრონებისათვის რუსეთის ცარიზმისა და ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების გაშმაგებული დიპლომატიური და ეიარაღებული ბრძოლების სრული და ობიექტური სურათი მხოლოდ საბჭოთა ისტორიკოსებმა აღადგინეს[2].

საბჭოური ისტორიოგრაფიის ამ ნაკვეთებში გარკვეულია აღმოსავლეთის საკითხების არა მარტო წარმოქმნის მიზეზები და სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი, არამედ ის ობიექტური შედეგებიც, რაც ახლო აღმოსავლეთის და წინა აზიის ხალხებისათვის დიდი სახელმწიფოების დამპყრობლურ პოლიტიკას მოჰქონდა.

---

1 G. Webster, The Policy of Castlereagh, London, 1925.

W. Pemperleg. Foreign policy of Caning. London, 1925. მისივე England and near East, v. I,London. 1925.

Ch. Petrie, The Life of George Caning, London, 1945.

D. M. Lang, The Last Jears of the Georgian monarchy 1618—1832, New-Jork, 1957.

2 А. В. Фадеев, Россия и восточный кризис 20-х годов XIX в., изд. Ак. наук СССР, Москва, 1958; მისივე, Россия и Кавказ первой трети XIX в.

О. П. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г. Москва, 1951, მისივე, Россия. Закавказье и международные отношения в XVIII веке, Москва, 1966.

А. Р. Иоаннесян, Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия, Ереван, 1958,

Н. А. Смирнов, Политика России на Кавказе в XVI — XIX вв., Москва, 1958.

З. Т. Григорян, Присоединение восточной армении к России в начале XIX в., 1959, Москва; მისივე, Борьба Англии и Франции против освобождения Армении из-под Ирано-Турецкого ига, «Вопросы истории», 1952, № 3.

Присоединение Азербайджана к России и его прогрессивные последствия в области экономики и культуры. Баку, 1955.

ე. ბურჯულაძე, ყირიმის ომი და საქართველო.

მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში.

ა. სურგულაძე, რუსეთი XIX ს. პირველ ნახევარში, თბილისი, 1962.

ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის რუსეთის, თურქეთის, ირანის, ინგლისისა და საფრანგეთის მმართველი წრეების ამ შეუპოვარ და შეურიგებელ ბრძოლებში ამიერკავკასია ყოველთვის ყურადღების ცენტრში იდგა და მისი ხალხების ისტორიული ბედ-იღბალი სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ამ ბრძოლების შედეგებთან. ისტორიკოსი ვალდებულია გაარკვიოს — შეეძლო თუ არა კავკასიის ხალხებს დიდ სახელმწიფოთა ამ დამპყრობლურ ჰიდილში დამოუკიდებელი არსებობის შენარჩუნება, და თუ არა, რომელი ქვეყნის მფარველობის აღიარება უპასუხებდა მისი ბუნებრივი ისტორიული განვითარების ტენდენციებს, მისი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული წინსვლის პერსპექტივებს?

ობიექტურ მკვლევართა შორის დავას არ იწვევს ის, რომ თურქეთისა და ირანის აგრესიულ-დამპყრობლურმა პოლიტიკამ კავკასიის ხალხებს ხუთასი წლის განმავლობაში გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა.

ირანული აგრესიის საშინელება კავკასიის ხალხთაგან ყველაზე მწვავედ აზერბაიჯანელმა და სომეხმა ხალხებმა განიცადეს. აზერბაიჯანი საუკუნეთა მანძილზე ირანელი ფეოდალების სათარეშო ობიექტს წარმოადგენდა, ეს გამუდმებული შემოსევები აპარტახებდნენ ისედაც ჩამორჩენილ, ფეოდალურ არტახებში შებოჭილ ქვეყანას. აზერბაიჯანს მართაგდნენ ირანელი ბეგლარბეგები, რომლებიც მოსახლეობას ტყავს აძრობდნენ ათასგვარი გადასახადებით. გამუდმებული თავდასხმების, შინაფეოდალური ომების, შაჰის მოხელეთა მიერ მოსახლეობის განუკითხავი ძარცვის ვითარებაში აზერბაიჯანის ეკონომიკა განუწყვეტელ უკანსვლას ან, უკეთეს შემთხვევაში, ერთ წერტილზე გაყინვას განიცდიდა[1]. XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან აზერბაიჯანელი ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ირანის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით გათამამებულმა თურქებმა გადაწყვიტეს მთელი აზერბაიჯანის ოკუპაცია მოეხდინათ. თურქმა დამპყრობლებმა გაძარცვეს და დაანგრიეს შაბერენი, შემახა, ყარაბახის ოლქი.

[1] Присоединение Азербайджана к России и его прогрессивные последствия в области экономики и культуры, Баку, 1955, стр. 12.

თურქი და ირანელი დამპყრობნი სისასტიკეში თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. მარტო ნადირ-შაჰის მმართველობის დროს ირანში აზერბაიჯანმა 4 გამანადგურებელი შეტევა იგემა. ირანული ბატონობა აზერბაიჯანში შავი ჭირის მძვინვარებას ჰგავდა. აზერბაიჯანელი ხალხი შეუპოვრად იბრძოდა დამპყრობთა წინააღმდეგ. ანტიკოლონიური მოძრაობის კერები ხშირად ჩნდებოდა აზერბაიჯანის ხან ერთ, ხან მეორე მხარეში, მაგრამ ფიზიკურად დაუძლურებულ, ეკონომიურად გაღატაკებულ და მორალურად დაშინებულ ხალხს საკუთარი ძალებით არ შეეძლო ძლიერი და სასტიკი დამპყრობლების განდევნა.

გაცილებით ტრაგიკული აღმოჩნდა ბედი სომეხი ხალხისა, რომლის ძლიერი და განვითარებული სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ XI საუკუნეში მოშალეს თურქ-სელჯუკთა ურდოებმა; მონღოლთა ორსაუკუნოვანი თარეშის შემდეგ XVI—XVII საუკუნეთა მანძილზე სომხეთის ტერიტორია ირან-თურქეთის დამპყრობლური ომების ასპარეზს წარმოადგენდა. ამ ომებში განუკითხავად იჟლიტებოდა სომეხი ხალხი და პარტახდებოდა ქვეყანა. საბოლოოდ დამპყრობელთა შორის სომხეთის დანაწილება მოხდა: თურქეთი გაბატონდა დასავლეთ სომხეთში, ირანი — აღმოსავლეთ სომხეთში. ქურთი და თურქი შეიხები და ბეგები დასავლეთ სომხეთში განუკითხავად ძარცვავდნენ მოსახლეობას, ფიზიკურად ანადგურებდნენ მათ, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ ისლამის სჯულს, ხოლო ირანელი ბეგლარბეგები და ხანები აღმოსავლეთ სომხეთს ძარცვავდნენ შაჰის ხაზინის შესავსებად. ამასთან, ისლამის სჯულს ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ. სომეხი ხალხი არასოდეს შერიგებია ირან-თურქეთის ბატონობას, რომელიც მას გაჭრობას უქადდა, მაგრამ აჯანყებები დამპყრობთა წინააღმდეგ ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა. სომეხ პატრიოტებს ქვეყნის გამოხსნის მიზნით მრავალჯერ მიუმართავთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, მაგრამ ამ ცდას რეალური შედეგები არასოდეს მოჰყოლია.

ასეთ ვითარებაში აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხებისათვის ჭეშმარიტად გამათავისუფლებელ მისიას ასრულებდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის ომები. რუსეთის

ცარიზმის აგრესიული საგარეო პოლიტიკა, ცხადია, რუსეთის რეაქციულ თავადაზნაურობასა და მომძლავრებული ვაჭართა კლასის ინტერესებს აკმაყოფილებდა, როცა თურქეთს და ირანს ხელიდან სტაცებდა აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებს, მაგრამ ცარიზმის ინტერესებისაგან დამოუკიდებლად, ობიექტური თვალსაზრისით, ამ ხალხებისათვის რუსეთის დამპყრობლურ ომებს ჭეშმარიტად გამათავისუფლებელი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თურქმანჩაის ზავით რუსეთმა საბოლოოდ დაუდო ზღვარი ირანის პრეტენზიებს აზერბაიჯანის მიმართ, განამტკიცა აქ თავისი ბატონობა და დაასრულა აზერბაიჯანის რუსეთთან შეერთების პროცესი, ამავე ზავით დამთავრდა სომეხ ხალხზე ირანელთა ბატონობის შავბნელი ხანა და აღმოსავლეთ სომხეთის ტერიტორია (ერევნის და ნახჭევნის სახანოები) რუსეთის კავკასიურ მფლობელობაში მოექცა. ორივე ხალხის ცხოვრებაში რუსეთთან შეერთება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი პროგრესული მოვლენა იყო. მართალია, რუსეთის მფლობელობაშიც აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხებს კოლონიური ჩაგვრის უღელი უნდა ეზიდათ, მაგრამ დაპყრობილი ხალხების სოციალურ-ეკონომიური დამონების, განუკითხავად ძარცვის და ფიზიკური გადაშენების იმ პოლიტიკასთან შედარებით, რასაც აღმოსავლეთელი კოლონიზატორები ახორციელებდნენ, ცარიზმის კოლონიური ჩაგვრაც შვებად მოჩანდა. ამასთან, რუსეთის მფლობელობაში მოქცევა ამ ხალხებს არა თუ ფიზიკური გაჭრობით არ ემუქრებოდა, არამედ ეროვნული კონსოლიდაციის გზებს უხსნიდა. ფეოდალური გაყინულობისა და მუდმივი დეგრადაციის ვითარებაში მოქცეულ მათ ეკონომიკას აღმავლობის პერსპექტივებს უსახავდა, რადგან სპობდა ფეოდალურ შინაომებს, ხანების თავგასულობასა და თვითნებობას მოსახლეობის ძარცვაში. ქვეყნად მშვიდობიან ცხოვრებას ამკვიდრებდა და ინტენსიური მეურნეობის შესაძლებლობას ამყარებდა. ხოლო მშვიდობა, ეკონომიური ცხოვრების დაწინაურება, ვაჭრობა-აღებმიცემობის გაცხოველება, რუსეთის ერთიანი ბაზრის ორბიტში აღმავალი კაპიტალისტური ურთიერთობის მქონე ამ ხალხების ჩაბმა, თავისთავად, ცარიზმის ინტერესების საპირისპიროდ, კულტურული აღმავლობის, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების, ეროვ-

ნული მოძრაობის გაცხოველების პირობებს ქმნიდა, მით უმეტეს, რომ კავკასიელ ხალხებს ამ ბრძოლაში, როგორც დასაყრდენი და მოკავშირე, მოსარჩლედ ცარიზმის სოციალურ-პოლიტიკური ჩაგვრისაგან სულშეხუთული რუსი ხალხი ჰყავდა.

ამიერკავკასიელი ხალხებიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე თავისი ეროვნული სუვერენიტეტი მხოლოდ ქართველმა ხალხმა შეინარჩუნა. მაგრამ საქართველო, ისევე როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი, თურქეთისა და ირანის მუდმივი ქიშპობის საგანს, მუდმივ საომარ ასპარეზს წარმოადგენდა, რასაც ქვეყნის აოხრება-გაპარტახება ახლდა. ჯერ კიდევ 1555 წელს ირანმა და ოსმალეთმა საქართველო დაინაწილეს. ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ყიზილბაშების სამფლობელოდ გამოცხადდა, იმერეთის სამეფო თავის სამფლობელოებითურთ და სამცხის დასავლეთი ნაწილი ოსმალეთმა დაისაკუთრა[1]. ამ დროიდან მოკიდებული საქართველოს ტერიტორიაზე გამუდმებით პარპაშებდნენ მუსლიმანი დამპყრობლები. ქართველი ხალხის შეუპოვარი ბრძოლის შედეგად ამ აგრესიის წინააღმდეგ მეზობლები ვერ ახერხებდნენ საქართველოში მუდმივ და უშფოთველ გაბატონებას. საქართველო დამოუკიდებლობას დიდი სისხლის ფასად მაინც ინარჩუნებდა, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი დამოუკიდებლობა. ქართველი პოლიტიკური მესვეურები, თავისი ხალხის საზიანოდ, დამპყრობელთა კარნახისა და მუქარის ქვეშ იძულებულნი იყვნენ განეხორციელებინათ ირანის ან თურქეთის ინტერესებიდან გამომდინარე სოციალური თუ პოლიტიკური ღონისძიებანი. თურქეთმა იმდენი მაინც გააკეთა, რომ მიიტაცა საქართველოს კულტურული აკვანი სამცხე-საათაბაგო, აჭარა, ლაზეთი და იქ ცეცხლითა და მახვილით გაავრცელა ისლამის სჯული. ირანმა, როგორც დამპყრობელმა, საქართველოში მართალია ფეხი დიდი ხნით ვერ მოიკიდა, მაგრამ რამდენი სისხლის ფასად უჯდებოდა ქართველ ხალხს აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა, უთვალავ შემოსევათაგან როგორ იჯიჯგნებოდა მისი სხეული და როგორ უკაცურდებოდა მისი მიწა-წყალი?! საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ ორი შემოსევა — შაჰაბაზ

---

1 საქართველოს ისტორია, ტ. I, თბილისი, 1958, გვ. 282.

პირველისა XVI საუკუნის დასაწყისში და აღა-მაჰმად-ხანისა XVIII საუკუნის მიწურულში. ორთავე ეს შემთხვევა თითქოს საწყისი და დამამთავრებელი რგოლია ქართველი ხალხის აოხრება-გაპარტახების შეუჩერებელი პროცესის ერთიანი ჯაჭვისა, რომლის დაშლა ალბათ დიდხანს შეუძლებელი იქნებოდა, რომ ირანის მრისხანე მეტოქედ და მტრად კავკასიაში რუსეთი არ გამოჩენილიყო.

ირან-თურქეთის აგრესიის გაძლიერების გამო დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე და მუსლიმანური სამყაროს კოლონიად გადაქცევის შემდეგ ქართველობის სრულიად გაქრობის საშიშროება ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა ყურადღებას რუსეთის მზარდი სახელმწიფოსაკენ მიმართავდა. ეს უეჭველად სწორი პოლიტიკური ალღო არ შეუცვლია საქართველოს სამეფო კარს მთელი სამი საუკუნის განმავლობაში. რამდენადაც გააფთრებულ და გამანადგურებელ ხასიათს იღებდა ირან-ოსმალური აგრესია, იმდენად მეტი იყო ლტოლვა რუსეთისაკენ.

1783 წლის ტრაქტატი[1] ქართველი პროგრესული მმართველი წრეების საუკუნეობრივი მისწრაფების განხორციელებას წარმოადგენდა. რუსეთის პროტექტორატის ქვეშ შინაგანი ავტონომია არა მარტო ერეკლეს, არამედ იმერეთის მეფე სოლომონ მეორესაც აწყობდა. ამიერიდან ირან-თურქეთის აგრესიის აღკვეთის, დასავლეთ საქართველოს თურქეთის კლანჭებიდან გამოხსნის, საქართველოს გაერთიანების, ისტორიულ საზღვრებში მისი აღდგენის საუკუნეობრივ ოცნებას რეალური საფუძვლები ჰქონდა.

მფარველობითი ტრაქტატი ნამდვილად წარმოადგენდა ქართული პროგრესული პოლიტიკური წრეების გამარჯვებას. იგი დაგვირგვინება იყო იმ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლებისა, რომელთაც ქართველობა პოლიტიკური დაჩიხულობიდან, ბარბაროსული გარემოცვიდან გამოსვლისათვის ეწეოდა. იმ პირობებში ეს იყო თურქულ-ირანული აგრესიიდან უკეთესი გამოსავალი და რუსული გეზისათვის სამსაუკუნოვანი ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება.

[1] 1783 წ. ტრაქტატის შესახებ ვრცლად იხ. ი. ცინცაძის ნაშრომში: 1783 წლის ტრაქტატი, თბილისი, 1963.

მაგრამ ტრაქტატს გააჩნდა მეორე მხარეც -- რასაც მკვლევარები ზოგჯერ ივიწყებენ. ეს იყო საქართველოს სუვერენულ მდგომარეობაზე, მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, მის თვითმყოფობაზე ხელაღების პირველი ნაბიჯი. შეზღუდა რა ნაწილობრივ თავისი სუვერენული უფლებები და დაუმორჩილა რა იგი რუსეთის საიმპერატორო კარის ნება-სურვილს, ამით საქართველოს სამეფო ხელისუფლებამ დაუშვა მის საშინაო საქმეებში გარეშე ძალის ჩარევა. ისტორიის ხანგრძლივი გამოცდილებით დადასტურებულია, რომ კლასობრივ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ეს ხელშეკრულებანი, ეს ტრაქტატები თავიანთ პირვანდელ შინაარსს იშვიათად თუ ინარჩუნებენ. ყველაფერი ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული, ძლიერი მხარე ყოველთვის იმას ცდილობს, რომ ხელშეკრულება თავისი ინტერესებისათვის გამოიყენოს და ამ მიმართულებით გააღრმავოს. 1783 წლის ტრაქტატი რუსეთისათვის დიდ დიპლომატიურ წარმატებას მოასწავებდა (ასე შეაფასეს იგი ევროპაშიც). მან უკვე ფეხი მრიკიდა კავკასიაში, შექმნა აქ თავისი პირველი პლაცდარმი და მისი სახით გაიჩინა ადგილობრივი პოლიტიკური ერთეული, რომელიც მისი ინტერესების სადარაჯოზე იდგა და მისივე კარნახით მოქმედებდა. იმისათვის, როგორც ძლიერი მხარისათვის, ამ აქტის შემდეგ გაადვილებული ჩანდა პლაცდარმის გაფართოება და შემომტკიცება, თავისი ნება-სურვილის გაღრმავება და საქართველოსათვის თავზე მოხვევა.

ამრიგად, 1783 წლის ტრაქტატს მრავალ პროგრესულ შედეგთან ერთად დიდი ჩრდილოვანი მხარეც ახასიათებდა იმ მომენტში ეს საუკეთესო გამოსავალი ჩანდა, თუმცა საქართველოს მაშინდელი პოლიტიკური მესვეურნი დარწმუნებულნი არ ყოფილან, რომ ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის იმ გზით წავიდოდა, რომელმაც ბოლოს და ბოლოს საქართველო სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციამდე მიიყვანა.

ასეთი იყო ტრაქტატის ორი მხარე. ვიმეორებთ, რომ იმ ვითარებისათვის იგი იყო დიდმნიშვნელოვანი პროგრესული აქტი ერის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ამასთან ერთგვარი მსხვერპლიც და სარისკო ნაბიჯიც. ამიერიდან ყველაფერი

იმაზე იყო დამოკიდებული, შეძლებდნენ თუ არა საქართველოს მესვეურები შეეკავებინათ რუსეთის შემდგომი მოძალება და საშინაო საქმეებში ჩარევისაკენ მისწრაფება; შეძლებდნენ თუ არა რუსეთის დახმარება გამოეყენებინათ საქართველოს დაკარგული მთლიანობისა და ძლიერების აღსადგენად, თუ დათმობდნენ ახალ პოზიციებს და რუსეთს ახლო აღმოსავლეთში ფართო ოპოზიციას შეუქმნიდნენ.

ეს ასეც მოხდა.

მაგრამ, რუსეთმა (ამას ქვემოთ ვნახავთ) ტრაქტატის პირობები არ დაიცვა და, ისარგებლა რა საქართველოს სამეფო კარზე დატრიალებული ამბებით, 1801 წელს ქართლ-კახეთს მოუსპო დამოუკიდებლობა, ამასთან დასავლეთ საქართველოს დაპყრობასაც მიჰყო ხელი. რუსეთის ცარიზმის მხრივ ასეთი აგრესიული ნაბიჯები საქართველოს მმართველ ზედაფენას, ცხადია, აღარ მოსწონდა და მას წინააღმდეგობას უწევდა. რუსეთის ცარიზმის დამპყრობლური ტენდენციების აღკვეთისათვის ბრძოლაში არც აღმოსავლეთ, არც დასავლეთ საქართველოს მესვეურებს რუსეთის მფარველობის, მასთან მჭიდრო კავშირურთიერთობის აზრი არ შეუცვლიათ. ქართველი პროგრესული საზოგადოებრიობა მხოლოდ ცარიზმის მოჭარბებულ ანექსიონისტურ ტენდენციებს ებრძოდა და 1783 წლის ტრაქტატის აღდგენისაკენ მიისწრაფოდა. ამ ნიშნით მიმდინარეობდა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ანტირეჟიმული, ხოლო შემდეგ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, ვიდრე დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ეროვნული საკითხი რუსეთის ხალხებისათვის საბოლოოდ არ გადაწყვიტა.

ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში ტერიტორიულად მცირე სახელმწიფოთა ბედი უმეტესად ტრაგიკულია. იგი მსხვილ სახელმწიფოთა ცილობის საგანია და ხშირად უხდება „ხურდა ფულის“ როლის შესრულება. მის კარებთან ყოველთვის ძლიერი მეზობლის დამპყრობლური მახვილია აღმართული.

ევროპისა და აზიის მიჯნაზე მდებარე პატარა საქართველოს, უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს, რომელსაც ძლიერი დამპყრობლის თვალი გამუდმებით უდარაჯებდა, ძალიან ესაჭიროებოდა სწორი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევა და

ამასთან, მესვეურთა დიპლომატიური ნიჭი, რომ ეროვნული სახის შენარჩუნების ნარეკლიან გზაზე უშეცდომოდ ევლო, უფსკრულში არ გადაჩეხილიყო და ფიზიკურად არ გამქრალიყო. საუკუნეობრივმა გამოცდილებამ ქართველ ხალხს უჩვენა, რომ სხვა გზა, გარდა რუსეთის ქვეშევრდომობისა, მისთვის არ არსებობდა. ამიტომ მოხდა, რომ 1801 წლის შემდეგ, ცარიზმის უხეში კოლონიური ჩაგვრის მიუხედავად, ქართველი ხალხი მის ყველაზე საიმედო მეზობელ ხალხთან იდგა მხარდამხარ და მასთან ერთად ებრძოდა ცარიზმის რეაქციულ პოლიტიკას და ზიზღით აქცევდა ზურგს იმ პირმოთნე დაპირებებს, რასაც რუსეთის კავკასიიდან განდევნისათვის მებრძოლი ირან-თურქეთი და მათ ზურგს უკან მდგომი ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეები აღუთქვამდნენ.

ამ ფაქტის განხილვისას, რომელიც ამ პერიოდის კავკასიის პოლიტიკურ ვითარებას არკვევს, ბუნებრივად წამოიჭრება კითხვა: კი მაგრამ, რა მოხდებოდა, რომ ამიერკავკასიის ხალხებს, კერძოდ ქართველ ხალხს, ინგლისური ან ფრანგული ორიენტაცია აერჩია? რა ბედი ეწეოდა ჩვენს ქვეყანას, რომ ინგლისის ან საფრანგეთის კოლონიურ პოლიტიკას წარმატება მოჰყოლოდა და რუსეთისათვის ჩაეკეტათ კავკასიონის უღელტეხილი?

მარქსისტ ისტორიკოსს, რომელიც ხალხთა ისტორიულ ბედს მეცნიერული პოზიციიდან იკვლევს და მისი საშინაო და საგარეო ცხოვრების მკაცრი ანალიზიდან გამომდინარე პერსპექტივასაც თვალს უსწორებს, ასეთ კითხვაზე პასუხი უეჭველად მოეთხოვება.

უდავოა, რომ ინგლისიც და საფრანგეთიც XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე სოციალურ-ეკონომიური ცხოვრებითა და კულტურული დონით რუსეთზე მაღლა იდგნენ. ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობიდან გათავისუფლებული ეს ქვეყნები სწრაფ აღმავლობას განიცდიდნენ. ისიც ფაქტია, რომ რუსეთის ცარიზმი დაპყრობილი ხალხების ძარცვაში საფრანგეთისა და ინგლისის კოლონიზატორებს არაფრით ჩამოუვარდებოდა და ცარიზმის უღელქვეშ მგმინავ კავკასიის ხალხებს ეროვნული ჩაგვრის მძიმე ხვედრი ელოდათ. მაგრამ საკითხის დასმა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ ამ დამპყრობთაგან რო-

მელი იყო „უკეთესი“, არ შეიძლება. პირველ ყოვლისა აქ გარკვეული უნდა იქნას ის კონკრეტული გეგმები, რომელთაც თითოეული დამპყრობელი მხარე ისახავდა კავკასიაში.

კავკასიისათვის ინგლისისა და საფრანგეთის ბრძოლის მთელი ისტორია ნათლად გვიდასტურებს, რომ ორივე ეს ქვეყანა პირველი რიგის ამოცანად ახლო აღმოსავლეთის ორ უმსხვილეს ქვეყანაში — თურქეთსა და ირანში გაბატონებას თვლიდა, რადგან სწორედ ეს ქვეყნები ფლობდნენ შავი და კასპიის ზღვების ოქროს გასაღებს და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზებს ხსნიდნენ. თურქეთიც და ირანიც ამ დროს მსხვილ და ძლიერ სახელმწიფოებრივ ერთეულებს წარმოადგენდნენ და მათი პოლიტიკური დაპყრობა, მათი კოლონიად გადაქცევა ორივე მხარისათვის გამორიცხული ჩანდა. ევროპის პოლიტიკური წონასწორობის იდეა, რასაც ამ დროს ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის დიპლომატია წინა პლანზე აყენებდა, საერთოდ გამორიცხავდა თურქეთისა და ირანის როგორც პოლიტიკური ერთეულების მოშლას და რომელიმე მოქიშპე ქვეყნისათვის მიკუთვნებას. ეკონომიური გაბატონება ამ პირობებში რეალური მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ჩანდა. აქაური სტრატეგიული ბაზების დაპატრონება და მდიდარ შესაძლებლობათა მქონე მუსლიმანური სამყაროს გადაქცევა ინგლისური ან ფრანგული პროდუქციის გასაღების ბაზრად და მეტროპოლიის მრეწველობისათვის საჭირო სანედლეულო დანამატად ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა.

ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიას გააჩნდა იმის ღრმა რწმენა, რომ თავისუფალი ვაჭრობის ვითარებაში იგი ყოველთვის დაჩაგრავდა მეტოქე ქვეყნების ბურჟუაზიას. ინგლისელ და ფრანგ დიპლომატებს ისიც კარგად ესმოდათ, რომ ეკონომიური გაბატონება თურქეთსა და ირანში უნდა შომხდარიყო ამ ქვეყნების მმართველი წრეების მხარდაჭერით, ასეთი მხარდაჭერის მოპოვებას კი ამ წრეების ინტერესების გათვალისწინება და მათი დაკმაყოფილება სჭირდებოდა. ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ თურქეთისა და ირანის პირველი რიგის ინტერესებს ამ დროისათვის წინა აზიის პლაცდარმიდან რუსეთის განდევნა და კავკასიაში ადრინდელი ბატონობის

აღდგენა შეადგენდა. ინგლისიც და საფრანგეთიც სიამოვნებით მიდიოდნენ ამ „დათმობაზე“ და თურქეთისა და ირანის ფაშას გულუხვად სთავაზობდნენ იმას, რასაც თვითონ არ კარგავდნენ. ამიერკავკასიაში თურქეთ-ირანის ძალაუფლების აღდგენა მათთვის ორი მოსაზრებით იყო ხელსაყრელი: ევროპის კონტინენტზე მეტისმეტად მომძლავრებულ რუსეთს ხელიდან ეცლებოდა ახლო აღმოსავლეთის პლაცდარმი და მუდმივი საფრთხის ქვეშ რჩებოდა მისი სამხრეთი საზღვარი, მეორეც — თურქული და ირანული ხიშტები კავკასიაში საიმედო მცველი იქნებოდა ინგლისური და ფრანგული საქონლისა და ქვეყნის კოლონიურ ძარცვას უშიშარს გახდიდა.

ამრიგად, კავკასიაში ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორების პოლიტიკის წარმატება აქ თურქეთ-ირანის ძალაუფლების აღდგენას ნიშნავდა ფაქტიურად. ოღონდ ყველაფერი ეს ირანელი და თურქი ჯარისკაცების სისხლით უნდა განხორციელებულიყო. ინგლისისა და საფრანგეთის მმართველ წრეებს სამაგიეროდ ოქრო და იარაღი არ ენანებოდათ.

მაგრამ ჩვენთვის ხომ ცნობილია, რას ნიშნავდა ირანის და თურქეთის ბატონობის აღდგენა კავკასიაში. ირანიც და თურქეთიც ამ დროს ხომ ფეოდალიზმის განვითარების ყველაზე დაბალ, ბარბაროსულ სტადიაზე იდგნენ. მოდუნებულ ეკონომიკას დაჩიხულობიდან გამოსვლისათვის სასიცოცხლო ძალები აკლდა. სულთნისა და შაჰის ხაზინა დაპყრობილი ქვეყნების თავშეუკავებელი ძარცვით ივსებოდა. ცხადია, თურქეთ-ირანის უღელქვეშ კავკასიელი ხალხების სამეურნეო ცხოვრება და კულტურა მუდმივი ჩამორჩენილობისა და გაჩანაგებისათვის იყო განწირული, რომ არაფერი ვთქვათ იმ ინტენსიურ ასიმილაციაზე, რაც ამ ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის ერთერთ ძირითად კომპონენტს შეადგენდა და ქართველი და სომეხი ხალხებისათვის მომაკვდინებელი საფრთხე უნდა გამხდარიყო.

ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორები კავკასიიდან რუსეთის განდევნისათვის ბრძოლაში კავკასიელი ხალხის გულისმოგებას ცდილობდნენ. ისინი მათ დამოუკიდებლობას აღუთქვამდნენ, მაგრამ ვინ არ იცის დაპირებათა ფასი პოლიტიკაში?

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას რეალურად ირან-თურქეთის ბატონობის აღდგენა და დასავლეთელ იმპერიალისტებზე დამოკიდებულება მოჰქონდა მხოლოდ.

ორიენტაციის საკითხში შეიძლება ადვილად მოტყუვდეს ცალკეული პიროვნება, ქვეყნის რომელიმე მესვეური, მაგრამ მოტყუება ხალხისა, რომელსაც გასაოცრად მახვილი და სწორი ალღო გააჩნია, შეუძლებელია. შემთხვევითი როდია, რომ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის დიდი სიმძიმის მიუხედავად, როცა ამიერკავკასიაში მოქიშპეთა გააფთრებული შეიარაღებული შეტაკებანი იწყებოდა, კავკასიელი ხალხი რუსეთის მხარეზე იყო და თავგამოდებით ებრძოდა თურქ-ირანელ დამპყრობლებსა და მათ ზურგს უკან მდგომ დასავლეთელ წამქეზებლებს.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რომელიც თვით ამიერკავკასიელმა ხალხებმა შეასრულეს რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. 1826—1827 წლების რუსეთ-ირანის და 1828—1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომებში რუს მხედრობას გვერდით ედგა ქართული და სომხური ლაშქარი. ყირიმის ომში კავკასიის ფრონტზე რუსეთის დიდი წარმატებანი ამიერკავკასიელი ხალხის საბრძოლო აქტივობით იყო შეპირობებული. ქართველები ხომ უდიდესი სიძულვილით შეხვდნენ ოსმალთა შემოსევას და მთელი ძალები მის განდევნას მოახმარეს. „უმადურებასა და ისტორიის უმეცრებაში შეცოდავს ყველა ის, — წერს აკად. ე. ტარლე, — ვინც სათანადოდ ვერ შეაფასებს იმ ძალზე არსებით როლს, რომელიც კავკასიის ფრონტმა შეასრულა 1853—1855 წლების ომში, და იმ მაღალ მორალურ მამაცობას, რომელიც გამოამჟღავნეს საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის სახალხო მასებმა მშობლიური მიწა-წყლის დაცვის საქმეში თურქეთის ხარბი დამპყრობლური გეგმებისაგან, რომელიც დიდად იყო წახალისებული მოკავშირეების (უფრო ზუსტად ინგლისელების) მიერ, მის ყველაზე უფრო აულაგმავ ყაჩაღურ ფორმებში“[1].

პრაქტიკა ჰეშმარიტების სასინჯი ქვაა. 1918—1920 წლებში ამიერკავკასიის ხალხებმა პრაქტიკულად გამოსცადეს დასავ-

[1] Э. В. Тарле, Крымская война, т. II, 1950, стр. 541.

ლეთის სახელმწიფოთა ბატონობის მთელი არსი. რა შედეგები მოჰყვა რუსეთიდან ჩამოცილებას და ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტებზე ორიენტაციის აღების იმ პოლიტიკას, რომელიც ამიერკავკასიელი ხალხების ინტერესების საპირისპიროდ გაბატონებულმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურმა პარტიებმა განახორციელეს? დასავლეთის კოლონიზატორები მხოლოდ იმას ისწრაფოდნენ, რომ ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთზე თავდასხმის პლაცდარმად გადაექციათ და ჩაეხშოთ ამიერკავკასიელი ხალხების რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. ამასთან ისინი უწყალოდ ძარცვავდნენ ამიერკავკასიას, აბუჩად იგდებდნენ მის ხალხებს და აწარმოებდნენ მოსამზადებელ მუშაობას სამუდამო კოლონიური დამონებისათვის. ამიტომ იყო, რომ ამიერკავკასიის მშრომელი მასების ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ შეუპოვარი ხასიათი ჰქონდა[1]. ამ ბრძოლაში ამიერკავკასიის მშრომელი მასების იმედი სწორედ საბჭოთა რუსეთი იყო, სადაც ცარიზმი დასამარდა და იმპერიის კოლონიური ხალხების სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან საბოლოო განთავისუფლების ლენინური პოლიტიკა ხორციელდებოდა.

სავსებით კანონზომიერია და თავისი შინაარსით პროგრესული ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტისთვის. ხალხის კოლონიური ჩაგვრა-დამონება, რა სახითაც არ უნდა იყოს იგი, ბოროტებაა. მაგრამ ბოროტებაც არის და ბოროტებაც. ამიერკავკასიაში რუსეთის ცარიზმის კოლონიური ბატონობა, ირან-თურქეთის და მათ ზურგს უკან მდგომი ინგლის-საფრანგეთის კოლონიურ ბატონობასთან შედარებით მაინც ნაკლები ბოროტება იყო.. ამასთან, რუსეთის ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის მიღმა და მის საპირისპიროდ ქართველი და რუსი ხალხის თანაცხოვრებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მთელი რიგი ფაქტორები, რომელთაც ორივე ხალხისათვის დადებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ამ პროგრესულ ფაქტორებზე ჩვენ ზევითაც ვილაპარაკეთ და უფრო დაწვრილებით შემდგომში გვექნება საუბარი.

---

[1] იხ. ა. სურგულაძე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში, ტ. II, 1961, გვ. 79—229.

ზემომოტანილი წანამძღვრები კი საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში მთელი XIX საუკუნის მანძილზე და ამ კოლონიური პოლიტიკის აღმოფხვრისათვის გაჩაღებული დიდი მოძრაობანი.

რუსეთის ცარიზმი, ამიერკავკასიის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდების შემდეგ შეუპოვრად ეწეოდა ამ მხარის პოლიტიკურ, შემდეგ კი ეკონომიურ დაპყრობა-ათვისებას.

განვიხილოთ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური დაპყრობისა და კოლონიური ათვისების ეს პროცესები.

3. საქართველო-ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობა ცარიზმის მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში

საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი მანიფესტი სელმოწერილ იქნა იმპერატორ პავლე პირველის მიერ 1800 წლის 18 დეკემბერს. ეს აქტი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულის გაუქმებას და მის რუსულ გუბერნიად გადაქცევას მოასწავებდა. მანიფესტი ხელყოფდა ქართველ ბაგრატიონთა დინასტიურ უფლებებს, რითაც არღვევდა იმ საზეიმო დაპირებას, რომელიც 1783 წლის ტრაქტატით იყო ნავარაუდევი და რასაც რუსეთის მთავრობა ქართველ ელჩებთან მოლაპარაკებისას ყოველთვის ადასტურებდა[1].

პავლე პირველს არ დასცალდა საქართველოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევის განხორციელება. 1801 წლის 12 მარტს იგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა, რომელიც პავლეზე გაცილებით ჭკვიანი და ამასთან ცბიერი მმართველი იყო, საქართველოს საკითხის ასე ხელაღებით გადაწყვეტისაგან თავი

[1] П. Б. Бутков, Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год, ч. II, 1869, стр. 465. С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. I, 1907, стр. 25.

შეიკავა, რადგან გაითვალისწინა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის უცერემონიო ლიკვიდაციას არც საქართველოში და არც საერთაშორისო ასპარეზზე სასურველი შედეგები არ მოჰყვებოდა. იმპერატორმა კავკასიის ხაზის სარდალს გენერალ კნორინგს დაავალა გაეთვალისწინებინა ქართული საზოგადოებრივი აზრი რუსეთთან შეერთების თაობაზე და წარედგინა მოხსენება სახელმწიფო საბჭოში განსახილველად. ამასთან, თავისი მოხელე წინასწარ გააფრთხილა, როგორ ეწარმოებინა ეს შესწავლა და როგორი უნდა ყოფილიყო დასკვნები. თბილისში მოვლენილმა კნორინგმა „შეისწავლა“ ქართული საზოგადოებრიობის სხვადასხვა ჯგუფის თვალსაზრისი და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრება თითქოს მთელი ხალხის ნება-სურვილს გამოხატავდა[1].

აკად. ნ. ბერძენიშვილი მართებულად შენიშნავს, რომ „ქართველ ხალხს რუსეთთან კავშირი მართლაც რომ სრული გულით სურდა, მაგრამ სურდა სწორედ იმისათვის, რომ „გამოხსნა — აღდგომა“ მას ქართველობით შეძლებოდა. ხოლო, თუ როგორ ფორმებში წარმოედგინა ქართველ ფეოდალურ საზოგადოებას ეს კავშირი რუსეთთან, ამის მოწმობა იყო, ერთის მხრივ, უმრავლესობის პოზიცია, რომელიც 1783 წლის ტრაქტატის დაცვას გულისხმობდა, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართველი ელჩების მიერ წარმოდგენილი მოხსენება-პროექტი, რომელიც ქართული ფეოდალური საზოგადოების მეორე დიდი ნაწილის პოლიტიკურ შეხედულებათა გამოსახულება იყო“[2].

კნორინგის მოხსენება, რომელიც ქართველი საზოგადოებრიობის ჭეშმარიტ თვალსაზრისს არ გამოხატავდა და ვითარებას ცალმხრივად, რუსეთის საიმპერატორო ტახტის სარგებლიანობის კუთხით აფასებდა, იმპერატორმა განსახილველად სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა. სახელმწიფო საბჭოში იყო საპირისპირო აზრიც (ინტიმური კომიტეტისა), რომელიც სა-

---

[1] Акты, т. I, стр. 425—431.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბილისი, 1965, გვ. 225.

ქართველოში რუსული მმართველობის ასე ხელაღებით შემოღებას საზიანოდ თვლიდა, მაგრამ იმპერატორის პოზიციამ, რომელიც გრაფ მუსინ-პუშკინის მოხსენებით[1] იქნა გამაგრებული, მხარდაჭერა პოვა. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ალექსანდრე პირველის ცნობილი მანიფესტი 1801 წლის 12 სექტემბრის თარიღით, სადაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაცია და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა ასე იყო მოტივირებული: „არა ძალთა შემატებისათვის, არა ანგარებისათვის, არა საზღვართა გაფართოებისათვის ისედაც მსოფლიოში უდიდესი იმპერიისა ვიღებთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს, — მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვიკარნახებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მოვაპყრათ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელსაც შეეძლება განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველყოს პირადი და ქონებრივი უშიშროება და პიროვნების კანონისმიერი დაცვა"[2].

იმპერატორის მანიფესტი თბილისში, სიონის ტაძარში, ქართველ უფლისწულთა და თავადიშვილთა შეკრებაზე მომდევნო წლის 8 მაისს გამოაქვეყნეს. საქართველოში მოვლინებულ ახალ ხელისუფლებას უკვე შიეღო საჭირო ღონისძიებანი, რათა იმპერატორის მანიფესტის გამოცხადება „მშვიდ" და „საზეიმო" ვითარებაში ჩატარებულიყო. წესრიგის დასამყარებლად თბილისში მოვლინებულ რუსულ საოკუპაციო ნაწილებს უკან, როგორც წესი, მოსდევდა მოხელეთა შტატი, რომელთაც 1801 წლის 12 სექტემბრის დებულების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველო უნდა ემართათ. მხარის უზენაესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალი ამიერიდან მთავარსარდალი ანუ „მთავარმართებელი" (გენერალი კნორინგი) ხდე-

---

1 მუსინ-პუშკინი ჯერ კიდევ პავლე პირველის დროს იყო საქართველოში მიელენილი ამ მხარის ეკონომიური დაზვერვის მიზნით. მუსინ-პუშკინმა ჯერ პავლე პირველს, შემდეგ სახელმწიფო საბჭოს გაუგზავნა სპეციალური მოხსენებანი, სადაც ასაბუთებდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდ ეკონომიურ სარგებლიანობას რუსეთისათვის და ამ აქტს ქართველი ხალხის ყველა ფენის გულწრფელ სურვილად ასაღებდა.

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 257.

ბოდა. მის პირველ თანაშემწეს საქართველოს სამოქალაქო საქმეების მართვაში წარმოადგენდა „საქართველოს მმართველი“ (კოვალენსკი). მთავარმართებელი თავმჯდომარეობდა საქართველოს უზენაეს მთავრობას — სპეციალურ სათათბირო ორგანოს, რომელიც ოთხ ექსპედიციად (აღმასრულებელ, სამოქალაქო, სისხლის სამართლის და სახაზინო) იყოფოდა და მთავარმართებლის მითითებით იკრიბებოდა იმ საკითხთა განსახილველად, რომელთაც კოლეგიალური გარჩევა სჭირდებოდა[1].

აღმასრულებელი ექსპედიცია, რომელსაც „საქართველოს მმართველი“ თავმჯდომარეობდა, ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი განყოფილება იყო საქართველოს უზენაეს მთავრობაში. იგი განაგებდა მთელ მხარეს „კანონების ძალითა და იმპერატორის სახელით“, მისდამი დაქვემდებარებულ ოლქებში აქვეყნებდა კანონებს და განკარგულებებს და თვალყურს ადევნებდა მათ ცხოვრებაში გატარებას, სჯიდა ამ კანონებისა და განკარგულებების ურჩთ[2]. დანარჩენი ექსპედიციები პირველისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იყვნენ და ქვეყნის მმართველობის ცალკეულ დარგებს განაგებდნენ. ქართული ელემენტის მონაწილეობა უზენაეს მთავრობაში მეტად უმნიშვნელო იყო. ყველა ექსპედიციას რუსი მოხელენი მეთაურობდნენ, მათი შერჩევით ექსპედიციაში შეყვანილი რამდენიმე ქართველი მოხელე მხოლოდ მრჩეველის როლს ასრულებდა და რუს მოხელეს 12 სექტემბრის დებულების დაუბრკოლებლად განხორციელებაში ეხმარებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მართვის ასეთი ორგანიზაცია რუსეთის კანონმდებლობიდან იყო აღებული და იმეორებდა 1775 წლის დებულებას გუბერნიის მმართველობის შესახებ[3]. ამდენად ალექსანდრე პირველის დებულება არ განსხვავდებოდა პავლე პირველის დებულებისაგან, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ერთ საგენერალ-გუბერნატოროდ და ორ პროვინციად ვარაუდობდა და რუსულ მმართველობას ამყარებდა. ფორმა-

[1] Акты, т. I, стр. 437.

[2] იქვე.

[3] ი. სურგულაძე, ნარკვევები საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიიდან, თბილისი, 1965, გვ. 340.

ლური სხვაობა იყო მხოლოდ ის, რომ გარკვეული მოსაზრებით მეორე დებულებაში გუბერნია „საქართველოთი" იყო შეცვლილი და მმართველობაში ქართული ელემენტიც იმდენად იყო დაშვებული, რომ იგი მხარის წმინდა რუსული კანონ-წესებით მართვას ვერ დააბრკოლებდა.

მთელი ოკუპირებული ტერიტორია ცარიზმმა ხუთ მაზრად და ხუთ დისტანციად დაანაწილა[1] (მაზრები: გორის, დუშეთის, ლორის, თელავისა და სიღნაღის; დისტანციები: ბორჩალოსი, ყაზახის, შამშადილის, ბამბაკისა და შურაგელისა). მაზრებისა და დისტანციების ადგილობრივი მმართველობის დებულებაც საგუბერნიო მმართველობის რუსული კანონმდებლობიდან იყო აღებული. თითოეული მაზრის ადმინისტრაციულ აპარატს შეადგენდა საერობო პოლიცია, სასამართლო აპარატი — მაზრის სასამართლო. საერობო პოლიციის თავმჯდომარედ ინიშნებოდა კაპიტან-ისპრავნიკი (რუსი მოხელე). სასამართლოს თავმჯდომარეც უსათუოდ რუსი მოხელე უნდა ყოფილიყო. წარჩინებული წოდების წარმომადგენელი ქართველები სამაზრო მმართველობაშიც დამხმარის როლს განასახიერებდნენ მხოლოდ და რუსული კანონმდებლობის განხორციელებას მეთვალყურეობდნენ. დისტანციებს სამხედრო-საოლქო უფროსები განაგებდნენ. აქ კიდევ უფრო შეზღუდული იყო ადგილობრივი ელემენტის მონაწილეობა მმართველობაში[2].

საქართველოს მმართველობის ზემოდასახელებული დებულება წმინდა რუსული იყო თავისი შინაარსითა და სულისკვეთებით. იგი ჩვენში სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს ამყარებდა და საქართველოს კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელში აბამდა. დებულება თვით პრინციპშივე უპირისპირდებოდა საქართველოს მმართველობის იმ შინაარსს, ქართველმა ელჩებმა გიორგი მეთორმეტის სურვილის თანახმად რომ შეიმუშავეს. „საქართველოს მმართველობა, — შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, — ქართული აღარ იყო. ის რუსული იყო რუსი მმართველით და რუსი უფროსებით სათავეში და ქართულ ელემენტს აქ დამხმარე, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ

[1] Краткий исторический обзор образования Тифлисской губернии, стр. 24 — 25.

[2] იქვე. გვ. 28—29.

დებულებით საქართველო პოლიტიკურად აღარ არსებობდა, რეალურად ის რუსეთის გუბერნია იყო"[1].

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო იმ ფართო დაპყრობითი გეგმისა, რომლის განხორციელება ცარიზმის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში იდგა. კავკასიის სტრატეგიული პოზიცია საიმედო მაშინ იქნებოდა, თუ მის ბუნებრივ საზღვრებს რუსული მმართველობის ხელი ყველგან მისწვდებოდა. აღმოსავლეთ საქართველო კი ბუნებრივად დაუცველი მცირე ტერიტორია იყო მხოლოდ, რომელიც ხასიათცვალებადი მუსლიმანური სახანოების გარემოცვაში იმყოფებოდა და თურქეთის ან ირანის მმართველი წრეების მიერ ინსპირირებული ხან-ფაშების შემოსევის მუდმივი საფრთხის წინაშე იდგა. გადადგა რა ამიერკავკასიაში დამკვიდრებისათვის პირველი ნაბიჯი, ცარიზმს შემდეგიც უნდა გადაედგა, ე. ი. დაპყრობა ბოლომდე — კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიონის უღელტეხილამდე უნდა მიეყვანა. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მფლობელობას აღმოსავლეთ საქართველოში კავკასიის გზით მოწყვეტა და სამარცხვინო აღსასრული მოელოდა.

ამიერკავკასიის უზენაესმა ხელისუფალმა და საქართველოში რუსთა ჯარის მთავარსარდალმა კნორინგმა, საქართველოში მმართველობის ორგანიზაცია რომ დაამთავრა, ცარიზმის მფლობელობის გაფართოების საზრუნავს მოჰკიდა ხელი. ჩრდილოეთ აზერბაიჯანისა და მთის ფეოდალ მმართველებს წერილები დაუგზავნა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე მათთან მოსალაპარაკებლად შეკრება მოსთხოვა. 1802 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ქ. გიორგიევსკში ყუბის და თალიშის ხანებთან, ტარკისა და უცმია-კარაკაიტაგის შამხლებთან, ტაბასარანის ოლქის მმართველთან და სხვებთან მოლაპარაკების შედეგად დაიდო 26 დეკემბრის გიორგიევსკის ხელშეკრულება, რომლითაც ეს სამფლობელოები რუსეთის მფარველობაში ნებაყოფლობით შესვლას აღიარებდნენ[2].

1803 წლიდან საქართველოს ახალი მთავარმართებელი გე-

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 261.

[2] Н. Дубровин, Закавказье 1803—1806 гг., 1866, стр. 483.

ნერალი პავლე ციციანოვი ენერგიულად შეუდგა აზერბაიჯანის დამორჩილებას. პირველი დარტყმის ობიექტად გარკვეული მოსაზრებით ჭარ-ბელაქნის საზოგადოება იქნა შერჩეული. ჭარ-ბელაქნის მხრიდან აღმოსავლეთ საქართველოს განუწყვეტლად ესხმოდნენ თავს ლეკი აბრაგები. ჭარ-ბელაქანზე გადიოდა დაღესტნიდან ახალციხის საფაშოში მიმავალი გზა. ჭარ-ბელაქანში იყრიდნენ თავს რუსული მმართველობით უკმაყოფილო ქართველი თავადები, რომელთაც ალექსანდრე ბატონიშვილი ედგა სათავეში. ამრიგად, ჭარ-ბელაქნის დაპყრობა, გააფართოებდა რა რუსეთის პლაცდარმს ამიერკავკასიაში, იმავე დროს აღკვეთავდა ანტირუსული მოძრაობის მძლავრ კერას, რომ არაფერი ვთქვათ იმ ეკონომიურ სარგებლობაზე, რაც ბუნებრივი სიმდიდრით უხვად დაჯილდოებული ამ მხარის დაკავებას უნდა მოჰყოლოდა. 1803 წლის მარტში გენერალ გულიაკოვის ჯარებმა მოხალისე ქართველ მოლაშქრეებთან ერთად დაამარცხეს ლეკთა რაზმები და ჭარ-ბელაქანი დაიკავეს. რუსეთის ამ გამარჯვებამ კაკ-ენისელის სულთანი აიძულა რუსეთის ქვეშევრდომობა ეღიარებინა[1].

ჭარ-ბელაქანთან რუსი და ქართველი მხედრობის გამარჯვება ქართველი ხალხის ინტერესებს შეესაბამებოდა. ეს იყო ლეკთა მიერ ნაძალადევად მიტაცებული ქართული მიწა-წყალი, რომლის გამოხსნას XVIII საუკუნეში ენერგიულად ცდილობდნენ საქართველოს მესვეურები. სამართლიანობა მოითხოვდა, რომ რუსეთის ცარიზმს ეს მიწა-წყალი საქართველოსათვის შეეერთებინა და იქ მოსახლე ქართველები ლეკთა ჯამაათების უღლისაგან გაეთავისუფლებინა. მაგრამ ციციანოვმა, რომელიც რუსეთის მთავრობის პოლიტიკის ერთგული გამტარებელი იყო, ძალაში დატოვა ლეკთა ბატონობა ჭარ-ბელაქანში, სამაგიეროდ მას ხარკის სახით ყოველწლიურად 220 ფუთი აბრეშუმის გადახდა დააკისრა.

1803 წლის მიწურულში რუსთა მხედრობამ აზერბაიჯანის ციხე-სიმაგრე განჯას დასავლეთიდან შეუტია. 1803 წლის დეკემბერში სპარსეთის ერთგული ჯევათ-ხანი, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობაზე უარი თქვა, რუსთა ალყაშემორტყმულ განჯის ციხე-სიმაგრეში იყო ჩაკეტილი. 1804 წლის 2 იანვარს

[1] С. Эсадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

რუსებმა ეს ციხე-სიმაგრე იერიშით აიღეს. ამიერიდან განჯის სახანო, ელიზავეტპოლის ოლქის სახელწოდებით რუსეთის კავკასიურ სამფლობელოში შევიდა[1]. განჯის სახანოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის მორჩილება აღიარეს შურაგელის ოლქის, ყარაბაღისა და შაქის ხანებმა, აბას-მირზას დივერსიას განჯაში წარმატება არ მოჰყოლია. ციციანოვმა გეზი ბაქოზე აიღო, გზად შირვანის ხანიც შემოიერთა, მაგრამ გამარჯვებით გათამამებული მოულოდნელად ჰუსეინ-ყული-ხანის ვერაგობას შეეწირა[2].

1806 წელს რუსეთმა შეიერთა დერბენდის, ყუბის, ბაქოს, ხოლო 1809 წელს თალიშის სახანოები. ჩრდილოეთით აზერბაიჯანის სახანოთა რუსეთთან შეერთების პროცესი ძირითადად მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. აზერბაიჯანის მოსახლეობა რუს მეომრებში ირანის მონობიდან გამათავისუფლებელ ძალას ხედავდა. ის წინააღმდეგობა, რომელსაც რუსეთის მხედრობა აწყდებოდა, სპარსეთის და თურქეთის აგენტების საქმე იყო. ცარიზმის დამპყრობლური მიზნების მიუხედავად, ირან-თურქეთის ბატონობის ლიკვიდაცია და რუსეთთან შეერთება ობიექტურად აზერბაიჯანელი ხალხის ინტერესებს შეესაბამებოდა[3].

აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებისთანავე რუსეთის ცარიზმმა გადაუდებლად ჩათვალა თავისი კავკასიური სამფლობელოს გაფართოება არა მარტო კასპიის ზღვის, არამედ შავი ზღვის მიმართულებით. იგი რეალურად მსჯელობდა. როცა ვარაუდობდა, რომ ქართლ-კახეთში მისი პოზიციები მტკიცე და საფუძვლიანი ვერ იქნებოდა, ვიდრე ამიერკავკასიასთან აკავშირებდა მხოლოდ დარიალის მოუწყობელი გზა, რომელსაც ჩაკეტვის საფრთხე ემუქრებოდა. კავკასიონის მთავარეხილის კომუნიკაციის საფლანგო-საზღვაო კომუნიკაციებით განმტკიცება და გაფართოება მთავარი პირობა იყო კავკასიის პლაცდარმის შენარჩუნებისა. ამიტომაც აღმოსავლეთ

---

[1] С. Эсадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—32.

[2] Утверждение русского владычества на Кавказе. Тифлис. 1901, стр. 232.

[3] Присоединение Азербайджана к России и его прогрессивные последствия в области экономики и культуры, стр. 32.

ამიერკავკასიაზე შეტევის დროს ერთდროულად ცარიზმი დასავლეთ ამიერკავკასიასაც უტევდა დაჟინებით. დასავლეთ ამიერკავკასიის ძირითადი პოლიტიკური ერთეულის — ისტორიული საქართველოს ორგანული ნაწილის — იმერეთის სამეფოს დაკავება, აღმოსავლეთ საქართველოს „ნებაყოფლობითი შეერთების“ შემდეგ, საერთაშორისო არენაზე ბუნებრივ და კეთილშობილურ აქტად გამოიყურებოდა.

დასავლეთ საქართველო ამ დროს მეტად ჩახლართული პოლიტიკური ვითარების წინაშე იდგა. მართალია, სოლომონ პირველმა თავისი ჭკვიანური საშინაო და საგარეო პოლიტიკით ოსმალო დამპყრობთა თარეშით აოხრებული და დაუძლურებული ქვეყანა შესამჩნევად მოაღონიერა და იმასაც კი მიაღწია, რომ სულთნის ფაქტიური ბატონობა აღკვეთა, მაგრამ ოსმალეთი დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის ერთ ნაწილში (ფოთი, აჭარა-ქობულეთი) ისევ პარპაშობდა და იმერეთის სამეფო-სამთავროთა შორის გაუთავებელ შუღლსა და შინაომს დასავლეთ საქართველოზე ადრინდელი განუკითხავი ბატონობის აღდგენისათვის იყენებდა. წარუმატებლად დამთავრდა სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის ბრძოლა დასავლეთ საქართველოს განკერძოებულობის აღკვეთისა და იმერეთის სამეფოს მთლიან პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებისათვის. სამეგრელოს, გურიის, აფხაზეთის, სვანეთის სამთავროები პოლიტიკურ დამოუკიდებლობას იჩემებდნენ და შეუპოვრად ებრძოდნენ იმერეთის მეფის ცენტრალისტურ ტენდენციებს. ამასთან, ეს სამთავროები მუდამ წაკიდებული იყვნენ სასაზღვრო მიწა-წყლის გამო და ერთმანეთთან ბრძოლაში საერთო მტრული ძალის — ოსმალეთის — გამოყენებასაც კი არ ერიდებოდნენ. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს პროგრესული წრეები ისწრაფოდნენ ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას, მაგრამ ამ კეთილშობილურ მისწრაფებას წინ ეღობებოდა ის, რომ რუსეთის ხელდებულ ერეკლეს ვერ გაებედა ოსმალეთის განაწყენება[1] და მისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ აღიარებული დასავლეთ საქართველოს შეერთება. დასავლეთ საქართველოს პროგრესული წრეები, ისე როგორც

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 235.

აღმოსავლეთ საქართველოსი, მტკიცედ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ აგრესიული მუსლიმანური მეზობლების დამპყრობლური მისწრაფების აღდგენა, ოსმალეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის გამოხსნა და კოლონიური უღლისაგან ქვეყნის გადარჩენა რუსეთთან კავშირის გზით, რუსეთის მფარველობაში შესვლით იყო მხოლოდ შესაძლებელი. ამიტომ სოლომონ პირველიც და სოლომონ მეორეც ერეკლეს მსგავსად რუსულ ორიენტაციას მტკიცედ ადგნენ. მაქსიმე ქუთათელის ელჩობა 1768 წელს რუსეთის მფარველობის აღიარებას ითვალისწინებდა. რუსული მმართველობის დასავლეთ საქართველოზე გავრცელების ცდას წარმოადგენდა აგრეთვე „ერეკლე მეორესა, ერთი მხრით, ხოლო სოლომონ მეორესა, გრიგოლ დადიანსა და სიმონ გურიელს შორის, მეორე მხრით, 1790 წლის „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული“ ხელშეკრულება“[1]. 1794 წელს სოლომონ მეორემ წერილით მიმართა ჩრდილოეთ კავკასიის რუსული არმიის სარდალ გუდოვიჩს და დახმარება სთხოვა სამეგრელოსა და გურიის მთავრების წინააღმდეგ, რომლებიც იმერეთის მეფეს[2] ოსმალთა და ლეკთა ჯარებით ებრძოდნენ. 1796 წელს სოლომონმა პეტერბურგს მიავლინა ელჩები[3] (კათალიკოსი მაქსიმე და თავადი ზურაბ წერეთელი) საგანგებო დავალებით: მსგავსად ქართლ-კახეთისა იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობის ქვეშ აყვანისათვის მიეღწიათ.

ამრიგად, ცხადია და დავას არ იწვევს, რომ იმერეთის უკანასკნელი მეფე რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი იყო და საქართველოს გადარჩენის ერთადერთ გზას რუსეთის მფარველობაში ხედავდა. ამის შემდეგ, ერთი შეხედვით, თითქოს გაუგებარი ხდება ის მტრული პოზიცია, რომელიც სოლომონ მეორემ 1801 წლის აქტის შემდეგ რუსეთის მიმართ დაიკავა. მაგრამ გაუგებარი და საკვირველი არაფერია: სოლომონ მეორე, ისე როგორც ერეკლე, რუსეთის მფარველობას იმიტომ

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 235.

2 Акты, т. I, стр. 553—554.

3 ვ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 1957, გვ. 134.

ესწრაფოდა, რომ „თავისი ქვეყანა დამოუკიდებელი განვითარების პოლიტიკურ სამშვიდობოზე გამოეყვანა[1]. ერეკლესა და სოლომონს „გამოხსნა-აღდგომის“ უზრუნველყოფის საქმეში სჭირდებოდათ საქართველოს გარეშე ძალა. ყველაფერი ეს ეტეოდა 1783 წლის ტრაქტატის ჩარჩოებში. შინაურ საქმეებში კი საქართველო დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, მისი სუვერენული სახელმწიფოებრივი უფლებები არ უნდა შელახულიყო და ბაგრატიონთა დინასტიის სამეფო-მემკვიდრეობითი უფლება ხელუხლებლად უნდა დარჩენილიყო. ამ იდეის ერთგული იყო სოლომონ მეორე და აქეთკენ იღვწოდა, მაგრამ 1801 წლის მოვლენებმა მას იმედები გაუცრუა. რუსეთმა ფარატინა ქაღალდად აქცია 1783 წლის ტრაქტატი, მან ქართლ-კახეთის ანექსია განახორციელა, მმართველობის საუკუნეობრივ საჭეს ჩამოაცილა ბაგრატიონთა გვარი და რუსული რეჟიმი დაამყარა. ეს, ცხადია, სოლომონს არავითარ შემთხვევაში არ აწყობდა.

ერეკლე მეფე არ მოსწრებია ამ ამბებს, მაგრამ ისტორიკოსისათვის ძნელი არ უნდა იყოს შემდეგი ვარაუდის დაშვება: ერეკლეს რომ 1801 წლამდე ეცოცხლა, რუსეთის ანექსიონისტურ ღონისძიებებს ისევე აღუდგებოდა წინ, როგორც სოლომონი. სოლომონი და ერეკლე ერთი აზრის, ერთნაირი მისწრაფების სახელმწიფო მოღვაწენი იყვნენ. ამდენად, 1801 წლის შემდეგ სოლომონი ცოცხალ ერეკლე მეორეს განასახიერებდა.

1801 წლის დასაწყისში „ქართლ-კახეთში მეფის ხელისუფლების შენარჩუნების შესახებ იმედი ჯერ კიდევ ცოცხლობდა“[2]. სამეფო ხელისუფლების მრავალ პრეტენდენტს შორის ამტყდარ დავაში იმერეთის მეფეც ერეოდა და იულონ ბატონიშვილის უფლებას იცავდა. რადგან ერეკლე ცოცხალი აღარ იყო, მისი დაწყებული საქმის გაგრძელების მოთავეობას ახლა სოლომონი იჩემებდა. საქართველოს სამეფო ტახტზე იულონი 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის პირობებში — ასეთი

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 247.

2 ქ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 137.

ოყო მისი იდეალი. ამ მიზანს ემსახურებოდა ჯაფარიძის ელჩობა რუსეთის ხელმწიფესთან, მაგრამ ქართლ-კახეთის ბედი უკვე გადაწყდა და სოლომონის გეგმებს განხორციელება აღარ ეწერა. ამასთან, იულონის მფარველობაში შენიშნული სოლომონი რუსეთის ხელისუფალთათვის უნდო და საეჭვო პიროვნებად იქცა. ეს ეჭვები ყოველდღიურად იზრდებოდა, რადგან იმერეთის მეფის კარი ყველა იმ უფლისწულთა და თავადთა მთავარი თავშესაფარი ხდებოდა, რომლებიც რუსეთის მმართველობას გამოქცეოდნენ და გარეშე ძალის დახმარებით თუ რუსეთის განდევნას არა, 1783 წლის ტრაქტატის პირობების აღდგენას ცდილობდნენ.

მაგრამ ასეთი დიდი საქმეების მოთავეობისათვის სოლომონს საჭირო პირობები და ძალები აღარ გააჩნდა. მას საკუთარ საბრძანებლოში შინაომი ჰქონდა ატეხილი. ურჩი გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ ბრძოლას ბოლო აღარ უჩანდა. ამასთან, დადიანი იმერეთის მეფისაგან თავდაცვისა და სადავო ლეჩხუმის დაპატრონების მიზნით რუსეთის მოშველიებას აპირებდა.

1802 წელს კნორინგის ნაცვლად საქართველოში მომავალ ახალ მთავარმართებელ პაველე ციციანოვს პეტერბურგში საიდუმლოდ მისცეს დავალება: ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა გამოეყენებინა დასავლეთ ამიერკავკასიის სამეფო-სამთავროთა რუსეთთან შეერთებისა და შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროებზე ფეხისმოკიდებისათვის[1]. ციციანოვს ურჩიეს იმერეთის საშინაო საქმეებში ჩარევის საბაბად გამოეყენებინა ანა დედოფლის შვილის კონსტანტინეს გათავისუფლება, რომელიც სოლომონს დატყვევებული ჰყავდა როგორც მძევალი. ამ მიზნით მიავლინეს იმერეთში რუსი მოხელე სოკოლოვი, რომელიც კონსტანტინეს გათავისუფლების ცდასთან ერთად, იმერეთის საშინაო და საგარეო საქმეების ფარულ დაზვერვას აწარმოებდა[2].

როგორც აღვნიშნავდით, ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის შემოღების პერიოდში იმერეთის მეფეს სამეგრელოს

---

[1] Акты, т .I, стр. 457.

[2] იქვე, გვ. 339.

მთავართან ჰქონდა ომი გაჩაღებული. სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. სამთავროს შიგნით არეულობა ძლიერდებოდა. ძმას კაცია დადიანი სამთავრო ტახტს ეცილებოდა, თავადები აღარ მორჩილებდნენ. სოლომონი კი დაჭირავებულ ლეკთა რაზმებით უტევდა. გრიგოლ დადიანი ამ მდგომარეობიდან გამოსავალს რუსეთის მფარველობაში შესვლით ხედავდა[1]. 1802 წლის 5 ოქტომბერს გ. დადიანი თავის მოყვარეს დავით ბატონიშვილს სთხოვდა ეშუამდგომლა ციციანოვის წინაშე, რათა რუსეთის მფარველობაში აეყვანა სამეგრელოს სამთავრო[2]. ამასვე სთხოვდა დადიანი იმერეთში მივლინებულ რუს მოხელე სოკოლოვს. „რადგან თქვენ, — სწერდა იგი, — ინებეთ იყოთ მეგობარი ჩემი მოყვრის ბატონიშვილის დავითისა, ამიტომ განდობთ თქვენ ჩემს საქმეს. მაქვს სურვილი გავხდე ქვეშევრდომი... ხელმწიფისა, რათა თავი დავაღწიო ძლიერ მეფეს სოლომონს, და თუ ამ განზრახვაში ვერაფრით დამეთანხმებით. მაშინ მომეცით ნება, რომ ჩემი ქონებით და ოჯახით გავხდე ოტომანთა პორტის ქვეშევრდომი“[3].

სამეგრელოს მთავრის ეს სათხოვარი რუსეთის გეგმებს ეპასუხებოდა. სამეგრელოში პლაცდარმის გაჩენა იმერეთის მეფის შანსებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის დიდად ართულებდა, რადგან იგი აღმოსაქლეთ და დასავლეთ მხრიდან რუსეთის არმიის მარწუხებში ექცეოდა და იძულებული ხდებოდა ციციანოვის კარნახის აღმასრულებელი ყოფილიყო. მაგრამ გრიგოლ დადიანის წინადადებას რუსეთის საიმპერატორო კარი პირველ ხანებში მაინც ფრთხილად ეკიდებოდა, რადგან სამეგრელოში ჯარის მომარაგების საკითხი და ახალციხის ახალი ფაშას პოზიცია გაურკვეველი ჩანდა. ციციანოვი პირველი რიგის ამოცანად მაინც ფოთის დაკავებას თვლიდა, რადგან აქედან იყო შესაძლებელი ახალი კომუნიკაციის გახსნა

---

[1] Акты, т. I, стр. 760.

[2] იქვე, გვ. 452.

[3] იხ. ა. ფირცხალაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, 1955, გვ. 23.

და დასავლეთ საქართველოზე შემდგომი შეტევის განვითარება[1]. გრიგოლ დადიანს-ციციანოვი აიმედებდა, რომ დაიცავდა მის ინტერესებს, ოღონდ მიეღო წინადადება სამეგრელოს მფარველობაში აყვანის შესახებ და ურჩევდა ყველაფერი ეს გარკვეულ მომენტამდე საიდუმლოდ შეენახა.

კონსტანტინეპოლიდან მიღებული ცნობების შემდეგ იმის შესახებ, რომ დაუძლურებული პორტა დასავლეთ საქართველოსათვის ხელს ვერ გამოიღებდა და მის საშინაო საქმეებში ჩარევა ციციანოვს თავისუფლად შეეძლო, სამეგრელოს შეერთების საკითხი აღარ გადადებულა — დაიწყო ციციანოვსა და დადიანს შორის მიმოწერა შეერთების პირობების თაობაზე[2]. ციციანოვის მიერ წამოყენებული პირობები დადიანს სავსებით აწყობდა. „...შენს მმართველობას გადავეცი თავი ჩემი და შენ გთხოვ განაგო საქმენი ჩემნი". — სწერდა დადიანი ციციანოვს, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი სრულ კაპიტულაციას აცხადებდა და მის სამთავროს საგარეო და საშინაო ცხოვრების ბედს საქართველოს მთავარმართებელს ანდობდა.

„თხოვნის პუნქტებს" გ. დადიანმა 1803 წლის 2 დეკემბერს მოაწერა ხელი. 4 დეკემბერს მან სამეგრელოს თავადებთან ერთად საზეიმოდ დაიფიცა რუსეთის იმპერიის ერთგულებაზე[3]. 1804 წლის ივლისში დადიანის ქვეშევრდომობის ფიცის აქტი დამტკიცდა და გამოიცა რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის რესკრიპტი გ. დადიანისადმი.

„ჩაგრიცხავთ რა თქვენ რუსეთის ქვეშევრდომთა შორის, ჩვენ გვსურს ეს „არა გასაფართოებლად ესრეთაც უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიისა შინა", არამედ თანავუგრძნობთ სამეგრელოს მკვიდრთა გაჭირვებულ მდგომარეობას, რომელთაც მეზობლები ყოველი მხრით ავიწროებენ, მოვიღეთ რა მოწყალება, გადავწყვიტეთ ეს ჩვენი ერთმორწმუნე ხალხი მივიღოთ რუსეთის მფარველობა-დაცვის ქვეშ, რომლის

---

[1] Акты, т. I, стр. 457.

[2] იქვე, გვ. 459—460.

[3] Утверждение русского владычества на Кавказе, стр. 107—108.

ფრთებქვეშაც დე მიეცეს სამეგრელოს მშვიდობიანობა, და იგემოს მან დიდი ხნის მოწყურებული მყუდროება, უშიშროება, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სხვა ოლქების თანაბრად"[1]. — ნათქვამია დადიანისადმი ბოძებულ სიგელის პროექტში. ეს ტექსტი ძალზე ჩამოგავს რესკრიპტის იმ ტექსტს, რომლითაც ალექსანდრე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფლობელობაში აღიარა. ცარიზმი არ ღალატობდა ტრადიციას. თავის დამპყრობლურ აქტებს ტანჯული ხალხისადმი „მოწყალების" ნიღბით ფარავდა.

რესკრიპტის მიხედვით რუსეთის მფარველობაში შესულ დადიანს სამთავროს მემკვიდრეობითი მფლობელობა უმტკიცდებოდა. მისივე უფლებაში რჩებოდა სამთავროს შინაური მმართველობა და სამართალი. ქართლ-კახეთის მმართველობის დებულებასთან შედარებით ეს გაცილებით ლმობიერი და სამართლიანიც იყო. პეტერბურგში დადიანისათვის ასეთ უპირატესობას არ ითვალისწინებდნენ. ნავარაუდევი იყო იგი დაეტოვებინათ სამეგრელოს „უფროსად", ჩვეულებრივი მოხელის უფლებებში[2], მაგრამ ციციანოვის დასაბუთებამ საქმე დადიანის სასარგებლოდ გადაწყვიტა. კავკასიის ცბიერ პროკონსულს დადიანის პატივით აღჭურვა ამიერკავკასიის სხვა სამთავროთა დასანახად სჭირდებოდა, დადიანის უფლებების შეზღუდვა და სამეგრელოს ჩვეულებრივ რუსულ პროვინციად გადაქცევა კი, როცა იქ რუსეთის არმია ფეხს მოიკიდებდა. ყოველთვის შეიძლებოდა[3].

სამეგრელოს რუსეთთან შეერთება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. დასავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთმა გაიჩინა საიმედო პლაცდარმი, საიდანაც შავი ზღვის კავკასიური სანაპიროებისაკენ გზის გაკაფვა ადვილად შეიძლებოდა. სამეგრელოში რუსეთის ბატონობა დასავლეთ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებსაც აიძულებდა საბოლოოდ გაერკვიათ თავიანთი

---

1 ა. ფირცხალაიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 28.

2 იხ. Акты, т. II, стр. 468.

3 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 295.

პოლიტიკური ბედ-იღბალი. „გახანგრძლივებულ ფეოდალურ-ვასალურ წყობილებაში დაჩიხული ეს სამთავროები"... მწიფე ეაშლებივით ხელში უცვივოდნენ ახალ დამპყრობლებს"[1]. მათი მომავალი გადაწყვეტილი იყო. ჩათრევას ჩაყოლა სჯობდა. რუსეთის ქვეშევრდომობის სურვილს გამოთქვამდნენ გურიის მთავარი ჭაიხოსრო და აფხაზეთის მთავარი ქელაიშ-ბეგი შარვაშიძე. ამ სამთავროთა იმერეთის მეფესთან წაკიდების და რუსეთის მფარველობაში ჩათრევის ქსელს ხლართავდა დასავლეთ საქართველოში სპეციალურად მივლინებული რუსი მოხელე ლიტვინოვი.

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე მისთვის არასახარბიელო ვითარებაში ჩაყოლის გზას დაადგა. საგანგებო ელჩები გაუგზავნა მან ციციანოვს და რუსეთის ქვეშევრდომობა ითხოვა. შეთანხმება ვერ მოხერხდა, რადგან ციციანოვმა მიუღებლად ჩათვალა სოლომონის გადაჭრითი მოთხოვნა მისთვის ლეჩხუმის შენარჩუნების შესახებ. ამ პროვინციას ხომ ციციანოვი დადიანს სთავაზობდა. ციციანოვმა მის მიერ შედგენილი „სათხოვართა პუნქტების" ტექსტი შესთავაზა სოლომონს, რომელსაც თანხმობის გარდა სხვა გზა აღარ ჰქონდა, რადგან იმერეთში რუსი მოხელეები მუქარითა და მისყიდვით აღწევდნენ სოლომონის დასაყრდენი მოხელე-თავადების გადაბირებას.

1804 წლის 16 აპრილს ციციანოვი და სოლომონი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს სოფ. ელაზნაურში. ლეჩხუმის საკითხმა აქაც ჩაშალა მათი შეთანხმება. გაგულისებული ციციანოვი დაემუქრა სოლომონს, რომ ამიერიდან ისინი ერთმანეთს „ბრძოლის ველზე ხმალამოწვდილნი" შეხვდებოდნენ[2].

ციციანოვს იმერეთის დაპყრობის გადადება აღარ უნდოდა, მაგრამ ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას უწევდა ანგარიშს და ამიტომ ფრთხილობდა. იმერეთის სამეფოს იარაღით დაპყრობა დიდ რისკთან და ხარჯთან იყო დაკავშირებული. მას საკმაო ძალებიც არ გააჩნდა, რომ კავკასიისაკენ ორი— დასავლეთი და აღმოსავლეთი მიმართულებით ერთდროულად

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 295.

[2] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 169; Акты, т. II, стр. 314.

იარაღით ევლო წინ. ირანი, თურქეთი და მათ ზურგს უკან მდგომი დასავლური ქვეყნები ცარიზმის აშკარა ანექსიონისტურ ნაბიჯებს უპასუხოდ არ დატოვებდნენ. მით უმეტეს, რომ ოსმალეთი ამ დროს რუსეთის მოკავშირე იყო, რუსეთის მთავრობას აწყობდა თურქეთთან კეთილმეზობლური დამოკიდებულება. ციციანოვი იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ მფარველობაში აყვანილ სოლომონს თანდათან მოთოკავდა და დაიმორჩილებდა. იმერეთის მეფის გამძლეობის გამოსაცდელად ელაზნაურის პირველი მოლაპარაკების შემდეგ ციციანოვმა მართლაც იშიშვლა ხმალი (20 აპრილს რუსთა ჯარები რამდენიმე იმერულ სოფელში შეიჭრნენ და ხალხს რუსეთის ერთგულებაზე აფიცებდნენ). სოლომონმა მოლაპარაკების განახლება აძჯობინა. თავის მხრივ ციციანოვიც დათმობაზე წავიდა და ლეჩხუმის დაბრუნების შესახებ იმერეთის მეფეს საიდუმლო დაპირება მისცა. ამის შემდეგ შეთანხმება მიღწეულ იქნა და შეიკრა 1804 წლის ე. წ. ელაზნაურის ტრაქტატი.

ელაზნაურის ტრაქტატით იმერეთის მეფე ძირითადად იგივე მდგომარეობაში ექცეოდა, როგორც დადიანი. რუსეთი. მართალია, აღიარებდა სოლომონის მემკვიდრეობით უფლებას (თუ შვილი არ ეყოლებოდა სოლომონს, ეს უფლება კონსტანტინე ბატონიშვილზე გადადიოდა), მაგრამ მტკიცე ჩარჩოებში აყენებდა მას და ფაქტიურად რუსი მოხელეების ნება-სურვილის აღმსრულებლად ხდიდა. თუმცა ტრაქტატით გურია აღიარებულ იქნა იმერეთის ვასალურ სამთავროდ, მაგრამ სოლომონს ეს დიდად ვერ ანუგეშებდა, რადგან ამიერიდან გურიაც რუსეთის მფარველობაში შედიოდა და რუსეთისაგან დამოუკიდებლად გურიის საქმეებში ვერ ჩაერეოდა. ციციანოვის იჭვნეული დამოკიდებულება სოლომონისადმი და იმერეთში მივლინებულ რუს მოხელეთა საქმიანობა იმის მანიშნებელი იყო, რომ იმერეთის სამეფოს თუნდაც ნომინალური დამოუკიდებლობის დღეები დათვლილი ჰქონდა. სოლომონი არც ისე ბეცი პოლიტიკოსი იყო, რომ ეს არ ეგრძნო, მაგრამ ელაზნაურის ტრაქტატი მას სულმოთქმის საშუალებას მაინც აძლევდა, რომ შემდგომში ვითარება დამშვიდებით აეწონა და რაიმე ეღონა.

იმერეთის მფარველობაში აყვანის შემდეგ კავკასიის მთავარმართებლის ციციანოვის მოქმედება დასაელეთ ამიერკავკასიაში ანექსიონისტური ტენდენციების ზრდით აღინიშნა. ციციანოვი ამზადებდა ფოთის დაკავებას. 1804 წლის ოქტომბერში ყირიმიდან გამოგზავნილი რუსთა რაზმები ხობის შესართავთან გადმოსხეს. ციციანოვმა აფხაზეთის საშინაო საქმეებშიც იწყო ჩარევა. გენერალ რიგკოფის რაზმებმა, რომლებიც აფხაზეთში უნდა შეკრილიყვნენ, გზად ანაკლიის ციხეც დაიკავეს. ოსმალეთის აქტიურმა საპასუხო ღონისძიებებმა მართალია ციციანოვი აიძულა ანაკლიის ციხე დაეცალა და ოსმალეთის ქვეშევრდომ ქელაიშ ბეგისათვის ჩაებარებინა. მაგრამ ეს დროებით უკან დახევას მოასწავებდა. ციციანოვს გადაწყვეტილი ჰქონდა ფოთის ციხე, რომელსაც იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, და მასთან შავი ზღვის მთელი ჩრდილო სანაპიროები ოსმალეთისათვის წაერთმია.

სამეგრელოში რუსული პოლკის შეყვანამ, სადავო ლეჩხუმის სამეგრელოს საკუთრებად აღიარებამ, ლიტვინოვის მიერ გაშლილმა ინტრიგულმა ქსელმა სოლომონი დაარწმუნა, რომ მალე მის სამეფოს გაქრობა მოელოდა. ახლა სოლომონი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ამიერკავკასიაში რუსული მმართველობის მოშლისათვის მებრძოლი ძალები გაეერთიანებინა. ამ მიზნით კავშირს აბამდა სპარსეთთან, ოსმალეთთან, ფარულად უკავშირდებოდა ანტირუსულად განწყობილ ქართველ თავადებს და მათ ბელად ალექსანდრე ბატონიშვილს, იმედით შეჰყურებდა ქართლის მთიანეთში დაწყებულ ანტირეჟიმულ მოძრაობას, მაგრამ სოლომონის იმედები ცრუვდებოდა. რუსეთის მხედრობის წარმატება სპარსეთთან ომში, მთიულეთის აჯანყების ჩახშობა, იულონისა და ფარნაოზის რუსეთს გადასახლება, აღმოსავლეთ კავკასიის მუსლიმანურ სახანოებზე რუსეთის ხელისუფლების გავრცელება, ჭუთაისში რუსული პოლკის დაბანაკება, სოლომონის შვილიშვილის გიორგი ბატონიშვილის მუხურის ციხიდან განთავისუფლება — ყველაფერი ეს სოლომონის ღონისძიებებს ძირს უთხრიდა და მისი სამეფოს აღსასრულის ჟამს აახლოებდა.

როცა 1806 წელს რუსეთ-თურქეთს შორის ომი დაიწყო, სოლომონს ხელი თითქმის ყველგან მოცარული ჰქონდა. ომმა

სოლომონის ჩამქრალი იმედები გამოაცოცხლა. ოსმალეთი ახლა რუსული ანექსიონისტური ღონისძიებების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი ბუნებრივი მოკავშირე ჩანდა. გარეგნულად სოლომონს თავი ისე ეჭირა, თითქოს ამ ომში ნეიტრალიტეტს იცავდა. ფარულად კი ანტირუსულ ძალებს აქეზებდა და ხელს უწყობდა, ხოლო რუსეთის მხედრობის იერიშებს ფოთზე შეძლებისდაგვარად ხელს უშლიდა.

თავისთავად იბადება კითხვა: ნუთუ სოლომონ მეორე, იმ დროის განათლებული და ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც ისტორიის გაკვეთილებით კარგად იცოდა საქართველოში თურქ დამპყრობთა ბატონობის საშინელი შედეგები, იმაზე თანახმა გახდა, რომ სამეფო ტახტის შენარჩუნების ვარაუდით ქართველი ხალხის ინტერესები გაეწირა და ოსმალთა უღელში გაება თავისი ქვეყანა?

უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ სოლომონ მეორე თავის ქვეყანაში თურქების გაბატონებას არავითარ შემთხვევაში არ შეურიგდებოდა. მთელი მისი საქმიანობა იმის დასტურია, რომ სოლომონი ტახტის სიყვარულს თავისი ხალხის ბედ-იღბალს არ ანაცვალებდა და მას გააფთრებული „ბაბრის“ ხახაში არ ჩააგდებდა. თურქეთის უღლისაგან თავისი ქვეყნის საბოლოო გამოხსნისაკენ იყო მიმართული არაერთგზისი ცდები რუსეთის მფარველობაში დასავლეთ საქართველოს აყვანისათვის. მაგრამ სოლომონს, რომელიც არც თუ ისე ცუდად ერკვეოდა იმ დროის საერთაშორისო ვითარებაში და ევროპის დიდ სახელმწიფოთა ძალების თანაფარდობაც გაეგებოდა, მიაჩნდა, რომ რუსეთისადმი მთელი ძალების დაპირისპირებით შესაძლებელი გახდებოდა მისი დამპყრობლური ღონისძიებების შენელება და თვითმყოფი პოლიტიკური ერთეულის შენარჩუნება.

დაუძლურებული თურქეთის ძველი უფლების აღდგენა საქართველოზე იმდროინდელი დიდი სახელმწიფოების ძალთა ჭიდილში სოლომონს გამორიცხულად ეჩვენებოდა. მან ისიც კარგად იცოდა, რომ ქართველი ხალხი, რომელსაც თურქ დამპყრობთა უღლის სიმძიმე საკუთარ ზურგზე ჰქონდა გამოცდილი, არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვებოდა რუსეთის წინააღმდეგ თურქეთის ჯარებთან ერთობლივ ბრძოლაში. სოლო-

მონის ბრძოლის მთელი შინაარსი რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი შინაგანად დამოუკიდებელი საქართველოს შენარჩუნება იყო. იგი აგრძელებდა ერეკლე მეორისა და სოლომონ პირველის ტრადიციებს და ამ ბრძოლაში, უკიდურესი გაჭირვების ჟამს, გარეშე ძალასაც მიმართავდა, რომელიც მას დროებითი დახმარებისათვის, ძალთა გასაწონასწორებლად, ხოლო შემდეგ რუსული მმართველობისათვის მეტი დამთმობლობის გამოსაძალავად სჭირდებოდა მხოლოდ.

მაგრამ სოლომონი, კეთილშობილური იდეების მიუხედავად, მაინც ცდებოდა. იგი უნებლიედ „ექცეოდა მტრული ოსმალეთის ბანაკში"[1]. რეაქციულ და მტრულ ძალებზე დაყრდნობით პოლიტიკური თვითმყოფობისათვის ბრძოლას ობიექტურად მავნე შედეგები ახლდა. ქართველთა ძირითადი ამოცანა ამ დროისათვის დასავლეთ საქართველოზე ოსმალური ბატონობის ნაშთების სრული მოშლა იყო და ამ ამოცანის განხორციელება რუსული იარაღით ხერხდებოდა. ამიტომ იყო, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში ფოთთან, ახალციხესთან თუ ახალქალაქთან რუსებთან ერთად ქართველებიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ.

რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში კავკასიაში რუსული მმართველობისა და იმერეთის მეფის დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდა. ციციანოვის მომდევნო მთავარმართებლები აგრძელებდნენ იმერეთზე დაწოლის ხაზს და სოლომონს ავიწროებდნენ. სოლომონი რუსებს ელაზნაურის ტრაქტატის მუხლების დარღვევას უჩიოდა და იმერეთში რუსთა მომძლავრებას წინ ეღობებოდა. იმერეთის მეფე ამასთან, არც თუ უსაფუძვლოდ ეჭვობდა, რომ რუსი ხელისუფალნი მისი ოჯახის დატყვევებას და სხვა ქართველ ბაგრატოვანთა ოჯახის მსგავსად რუსეთში გადასახლებას აპირებდნენ. ამიტომ იგი ქუთაისს გაეცალა და თავისი რაზმით თავი ახალციხის სასაზღვრო სოფლებს შეაფარა.

რუსეთის მთავრობამ სოლომონის წინააღმდეგ დადიანი და გურიელი აამოქმედა. 1810 წ. 20 თებერვალს სოლომონის ხელისუფლების დამხობა ტორმასოვმა საჯაროდ გამოაცხადა

---

1 საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, წ. I, გვ. 407.

ქუთაისს. უშედეგოდ დამთავრდა ტორმასოვთან სოლომონ ლეონიძის მოლაპარაკებაც. 1810 წლის 1 აპრილს მთავარსარდლის მითითებით სოლომონი მოტყუებით „მოლაპარაკებაზე“ მიიწვიეს, მაგრამ დააპატიმრეს და თბილისს ჩამოიყვანეს[1]. ამით თითქოს დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ სულ მალე ტყვე სოლომონი ერთგულმა პირებმა თბილისიდან გააპარეს. გაქცეულმა სოლომონმა ახალციხეს მიაშურა. ამიერიდან სოლომონი რუსეთის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე გადავიდა და სათავეში ჩაუდგა 1810 წლის იმერეთის აჯანყებას. ტორმასოვმაც თავი მიანება ცერემონიებს და იმერეთის დაპყრობას იარაღით შეუდგა. აჯანყებულთა წინააღმდეგობა ცხარე ბრძოლის შემდეგ მაინც გატეხა რუსეთის ჯარმა. იმერეთი მთლიანად ოკუპირებულ იქნა. ამრიგად, გადაწყდა დასავლეთ საქართველოს ბედიც: იქ რუსული მმართველობა დამყარდა.

იმერეთის დამორჩილებასთან ერთად მთავარმართებელ ტორმასოვი გურიის საქმეებსაც აგვარებდა. გურიელს ტორმასოვი ჰპირდებოდა დადიანის მსგავსად რუსეთის მფარველობაში აყვანას, თუ იმერეთის მეფესთან ბრძოლაში როგორც რუსეთის ერთგული თავს გამოიჩენდა. გურიელიც დაპირების მოლოდინში თავს არ ზოგავდა და 1000 კაცისაგან შედგენილი რჩეული ჯარით რუსეთის მხარეზე იბრძოდა[2]. 1810 წლის 1 ივნისს ტორმასოვმა პეტერბურგისაგან დამოუკიდებლად გააფორმა გურიელის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა, რაც შინაარსით სამეგრელოს ტრაქტატის განმეორებას წარმოადგენდა.

ისმის კითხვა — კავკასიის რუსული ხელისუფლება რატომ თვლიდა დასაშვებად დასავლეთ საქართველოს წვრილ სამთავროთა ავტონომიურ მმართველობას, მაშინ, როცა ქართლ-კახეთსა და იმერეთში სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს ახორციელებდა? ცარიზმის მოხელეთა განზრახვის ამოცნობა რთული საქმე როდია. იმ პირობებში, როცა მას ხელთ ეპყრა ყველაზე უფრო ძლიერი, დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მესვეური პოლიტიკურ-კულტურული ცენტრები — თბილისი და ქუთაისი, ისტორიულად ყოველთვის მათზე დამოკიდებული ცალ-

[1] Акты, т. IV, стр. 239.

[2] იქვე, გვ. 437.

კეული სამთავროები ამინდს ვერ შეცვლიდნენ. ამიერიდან დადიანიც და გურიელიც, მათთან ურთიერთობის განსხვავებული ფორმების მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლების ყურმოჭრილი მონები იყვნენ და მისი მითითებით მოქმედებდნენ. მოჩვენებითი დამოუკიდებლობა წამქეზებლის როლს ასრულებდა აფხაზეთის მთავრისთვისაც, რომელსაც რუსეთი იმერეთის შემდეგ უმიზნებდა. ფრიად საყურადღებოა ერთი გარემოება, რასაც ცარიზმის ერთგული მოხელე ტორმასოვი თავის უმაღლეს ხელისუფალს — ალექსანდრე პირველს უმეღავნებდა: „ამ საქმაოდ ვრცელი მხარის გაყოფით ოთხ სამფლობელოდ, როგორც, მაგალითად, იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთია, რომელთაგან 3 უკანასკნელს მართავენ განსაკუთრებული მფლობელები თავიანთი უფლებებით, კანონებითა და ქვეყნის ჩვეულებებით, ადვილი იქნება მისი შენარჩუნება... იმ რაზმების რიცხვით, რომლებიც ახლა აქ იმყოფებიან, მით უფრო მაშინ, როცა საშუალება გვექნება აუცილებელ შემოხვევაში ერთი მთავრის ძალა მეორეს დავუპირისპიროთ“[1].

ეს ძველი რომაული დევიზი კარგად ჰქონდათ შეთვისებული ცარიზმის საგარეო პოლიტიკის მესვეურებს. ტორმასოვის ამ მოსაზრებას პეტერბურგში მთლიანად იზიარებდნენ, მით უმეტეს, რომ კავკასიაში დიდი ძალების დაბანდების სიძნელეების გამო მოქიშპე მთავართა ურთიერთდაპირისპირების შესაძლებლობა ამ მხარეში რუსეთის ბატონობის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

დასავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთს წარმატება მაშინ ექნებოდა, თუ რუსეთი შავი ზღვის კავკასიურ სანაპიროებზე დამკვიდრდებოდა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აფხაზეთის სამთავროს შემოერთებას ენიჭებოდა. ცარიზმი აფხაზეთის დაპყრობას „საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენის“ მოტივით ამართლებდა. ქელაიშ ბეგის მოკვლის შემდეგ აფხაზეთის სამთავრო ტახტის დასაკუთრებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა და ქელაიშ ბეგის უფროსი შვილის სეფერ ალი-ბეის (გიორგი შარვაშიძის) მხარე ეკავა, რომელიც ანტიოსმალურ ორიენტაციას ამჟღავნებდა და ქრისტიანულ

---

[1] Акты, т. IV, стр. 437.

სჯულზე იყო მოქცეული. ტორმასოვის შუამდგომლობით რუსეთის მთავრობამ შარვაშიძე მფარველობაში აიყვანა, ხოლო 1810 წლის აპრილში წყალობის ნიშანი და ინვესტიტურის სხვა ნიშნებიც გამოუგზავნა და მის ოჯახს პენსიონიც დაუნიშნა. 1810 წლის ოქტომბერში, როცა რუსეთის მთავრობამ სოხუმი ოსმალეთს წაართვა, რუსეთის ქვეშევრდომ შარვაშიძეს ზეიმით ჩააბარეს იმპერატორის წყალობა. ამრიგად, გადაწყდა აფხაზეთის საკითხიც. აფხაზეთი, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „აზიური“ დილეგიდან ცარიზმის „ევროპულ“ საპყრობილეში“[1] აღმოჩნდა.

თურქეთთან 1806—1812 წლების ომში შავი ზღვის კავკასიური სანაპიროების შეერთების საქმე რუსეთმა მაინც ვერ გადაწყვიტა. იგი მხოლოდ სანაპირო ქალაქ სოხუმში დამკვიდრდა. ფოთი ისეც ოსმალებს დარჩათ. ცარიზმი მარჯვე შემთხვევას უცდიდა, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროები ოსმალეთისათვის მთლიანად გამოეტაცა და ამით აღეკვეთა დასავლეთ ამიერკავკასიაში თურქეთის მთავრობისა და მის ზურგს უკან მდგომი ინგლისელი კოლონიზატორების აგრესიული ზრახვები. თურქეთთან 1828—1829 წლების ომში ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა წინ. 1828 წლის 15 ივლისს რუს-ქართველთა რაზმებმა ფოთი ოსმალებს გამოსტაცეს. ოსმალთა ბატონობას ბოლო მოეღო აგრეთვე თურქეთის მიერ სამი საუკუნის წინ მიტაცებულ სამხრეთ საქართველოს რაიონებში (ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი, ჩილდირი). მაგრამ ოსმალთა მფლობელობაში ისევ დარჩა ბათუმ-ქობულეთის ტერიტორია. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროებზე რუსეთის ძალაუფლება ჩოლოქთან წყდებოდა.

XIX საუკუნის 30-იან წლებში, როცა რუსეთი კავკასიის მთიანეთის დაპყრობას შეუდგა, დღის წესრიგში სვანეთის საკითხიც დადგა. დასავლეთ საქართველოს ქარიშხლიან მოვლენებში სვანეთის სამთავროს მკრთალი მონაწილეობის[2] მიუ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 407.

2 მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 252.

ხედავად, მეფის მთავრობას მიაჩნდა, რომ სვანეთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოზიცია იყო კავკასიის მთიანეთის დაპყრობისათვის. სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის საზღვარზე მდებარე სვანეთი არა მარტო ახალი მნიშვნელოვანი კომუნიკაცია იყო ცარიზმისათვის, არამედ საჩეჩნოსა და დაღესტანზე შეტევის ხელსაყრელი პოზიციაც. მიუხედავად იმისა, რომ სვანეთი თავისებური გეოგრაფიული პირობების გამო ძნელად მისადგომი მხარე ჩანდა, ცარიზმი მაინც შეუდგა ამ საქმეს და 1833—1834 წლებში თავისი ბატონობა დადე'შქელიანთა სამთავრო სვანეთზე გაავრცელა[1], რუსეთის მფლობელობის გარეთ დარჩა მხოლოდ ე. წ. თავისუფალი სვანეთი, მაგრამ მის დამოუკიდებლობას ცარიზმი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა და ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდა, რომ მათი შეერთება მშვიდობიანი გზით განეხორციელებინა. „თავისუფალმა სვანეთმა“ დამოუკიდებლობა XIX საუკუნის 70-იან წლებამდე შეინარჩუნა.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმმა მეტი დაჟინებით განაგრძო კავკასიის მთიელთა ანტაგონისტური მოძრაობის ლიკვიდაცია. 1856 წლიდან რუსეთის ჯარები განუწყვეტელ შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ ჩეჩნეთისა და დაღესტნის სიღრმეში. შამილის სამფლობელო თანდათან ეიწროვდებოდა, მისი ძალები მცირდებოდა. 1859 წელს შამილის უკანასკნელი თავშესაფრის — ვედენოს აღებით კავკასიის მთიანეთის დამორჩილების ნახევარსაუკუნოვანი ოპერაცია დამთავრდა. მეფის ჯარებმა ამის შემდეგ წარმატებით განახორციელეს ოპერაციები დასავლეთ კავკასიაში. კავკასიის ომები საბოლოოდ მხოლოდ 1864 წელს დასრულდა. ამ ომში გამარჯვების ეპოპოვება — კავკასიის მთიანეთის საბოლოო დამორჩილება, კავკასიის პოლიტიკური დაპყრობის დასასრულს წარმოადგენდა.

თურქეთის წინააღმდეგ 1877—1878 წლების ომში ცარიზმმა თავის კავკასიურ სამფლობელოს ბათუმი, ყარსი და არდაგანიც შესძინა. ამ დროიდან ვიდრე პირველ მსოფლიო

---

1 მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 257.

ომამდე კავკასიაში მშვიდობა სუფევდა, მაგრამ მისი ხალხები ცარიზმის კოლონიური უღლის ქვეშ გმინავდნენ. კავკასიაში პოლიტიკურად განმტკიცებული ცარიზმი ამიერიდან მეტი ინტენსივობით ახორციელებდა მის ეკონომიურ ათვისებას.

4. ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში

ცარიზმს, გარდა სტრატეგიული და პოლიტიკური ინტერესებისა, საქართველოში წმინდა ეკონომიური ინტერესები იზიდავდა და შესაძლებლობის შესაბამისად მისი, როგორც კოლონიის, ეკონომიურ ათვისებას მიმართავდა.

როგორც ცნობილია, ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის წიაღში XIX საუკუნის დასაწყისისათვის საკმაოდ მომძლავრებული იყო კაპიტალისტური წყობა, რომელიც იმპერიის მმართველ ზედაფენას აიძულებდა ეძებნა გასაღების ბაზრები და ნედლეულის წყაროები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანისა და ევროპული ფაბრიკატის შემოტანის მოკლე და უშიშარი გზები. კაპიტალის პირველდაგროვების პროცესისათვის დამახასიათებელი ტენდენციები კავკასიას, ისე როგორც რუსეთის ახლად[1] შეძენილ სხვა „შინაგან კოლონიებს", ფეოდალური ვაჭრული ზედაფენების ყაჩაღური ექსპლოატაციის ასპარეზად ხდიდა.

კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეების ეკონომიური სარგებლობის შესახებ რუსეთის მეცნიერებას XVIII საუკუნის დასასრულისათვის უკვე საკმაოდ მდიდარი მონაცემები გააჩნდა. ი. ლერხის, ს. გმელინის, ი. გიულდენშტეტის, პ. პალასის ექსპედიციების მასალები ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მესვეურთათვის წარმტაც პერსპექტივას ხატავდა „ნაყოფიერი და უხვი" ქვეყნის ექსპლოატაციისათვის. პოტიომკინი ეკატერინე მეორისადმი გაგზავნილ წერილში საქართველოს მფარველობაში აყვანის სარგებლიანობას მოტივირებას უკეთებდა და ერთ-ერთ არგუმენტად მის წიაღისეულ სიმ-

---

[1] А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., стр. 67.

დიდრეს ასახელებდა. ცნობილია, რომ სახელმწიფო საბჭოში საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის დადებითად გადაწყვეტა დიდად განაპირობა საქართველოს ეკონომიური დაზვერვისათვის მივლინებული გრაფის მუსინ-პუშკინის მოხსენებამ, რომელიც საქართველოს ხატავდა როგორც დიდი ეკონომიური შესაძლებლობის, წიაღისეულით მდიდარ, აზიასთან რუსული ვაჭრობის გაინტენსიურებისათვის საჭირო ქვეყანას[1].

რუსეთის საფეიქრო მრეწველობისათვის, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში მრეწველობის ყველაზე დაწინაურებულ დარგს წარმოადგენდა, საჭირო ნედლეულის ძიება აქტიურად წარმოებდა. უცხოეთიდან შემოტანილი ნედლეულის შესაცვლელად რუსი მრეწველები კოლონიურ სამფლობელოებში უფრო იაფ წყაროებს უმიზნებდნენ და ამ მხრივ ამიერკავკასია — მატყლის, ბამბისა და აბრეშუმის ქვეყანა, მათ ფარჯო პერსპექტივებს უსახავდა. ცნობილია, რომ საქართველოს პირველი მმართველი, ავანტიურისტი კოვალენსკი აქტიურად ეწეოდა მატყლით სპეკულაციას და თბილისში მაუდის ფაბრიკის აშენებასაც კი აპირებდა[2]. მთავარმართებელმა ციციანოვმა საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაიწყო ზრუნვა თბილისში ბამბის ძაფსახვევი ფაბრიკის ასაგებად, რომელსაც პეტერბურგის ალექსანდროვის ფაბრიკა ბამბის ძაფით უნდა მოემარაგებინა. პეტერბურგში ძაფის გაგზავნას ციციანოვი ვარაუდობდა შავი ზღვით ტაგანროგამდე და იძლეოდა იმის გაანგარიშებას, თუ რამდენად იაფი და მომგებიანი იქნებოდა ეს ნედლეული რუსული მრეწველობისათვის. ბაქოს სახანოს დაპყრობისთანავე რუსეთის მთავრობის წრეებში იხილებოდა პროექტი ბაქოში ბამბეულისა და აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკების დაარსების შესახებ[3]. გენერალმა კნორინგმა 1802 წელს პოლკოვნიკ დრეინიაკინს მისცა საიდუმლო დავალება დაწვრილებით შეესწავლა და აღეწერა ქართლ-კახეთის ეკონომიური რესურსები, დუქ-

---

[1] П. Бутков. Материалы для новой истории Кавказа, ч. II, стр. 464.

[2] Акты, т. II, стр. 247.

[3] Т. К. Рожкова, Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке и русская буржуазия, 1949, стр. 133 — 139.

ნებისა და ფაბრიკების რიცხვი, ქალაქებში გამართული ბაზრობანი, საბაზრო პროდუქციის წყაროები, გზები, მეთევზეობისა და ხე-ტყის დაცურებისათვის გამოსადეგი მდინარეები, წიაღისეული სიმდიდრენი, მოსახლეობის რაოდენობა, მამულების ვარგისიანობა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ეკონომიურ ცხოვრებას შეეხებოდა. ეს, როგორც პროფ. პ. გუგუშვილი შენიშნავს, უნდა ყოფილიყო „ვრცელი გეგმა ამ ქვეყნის შესწავლის, ე. ი. ეკონომიური დაპყრობისა — კოლონიური ძარცვისა და ექსპლოატაციისათვის“[1]. ასეთივე აღწერას იმერეთის სამეფოში აწარმოებდა საგანგებოდ მიელინებული რუსი მოხელე სოკოლოვი[2]. სამეგრელოს სამთავროს შეერთებას პოლიტიკურ ინტერესებთან ერთად საფუძვლად ედო ეკონომიური სარგებლობის თვალსაზრისი. ციციანოვი სამეგრელოს შემოერთებას ამზადებდა და იმპერატორს უსაბუთებდა ამ კუთხეში დამკვიდრების დიდ ეკონომიურ სარგებლობას. ლიტვინოვმა 1804 წელს შეადგინა კიდეც სამეგრელო-იმერეთის კოლონიური ექსპლოატაციის გეგმა, რომელშიაც მთავარი ადგილი ეჭირა მინდვრების დამუშავებას, ტყეების ექსპლოატაციას გემთმშენებლობისათვის, პოტასიუმისა და შალეულის ქარხნებისათვის ნედლეულის გატანას, მარილით ვაჭრობას და სხვ. „დრო აღმოაჩენს მეურნეობის ახალ დარგებს, რომლებიც ჯერ უცნობია“ — დასძენდა სოკოლოვი[3]. 1804 წელსვე ციციანოვი ასტრახანის პოლკის მეთაურს გენერალ ზავალიშინს ატყობინებდა სამეგრელოსა და იმერეთის მდინარეებში თევზის სიუხვეს და სთხოვდა გამოეგზავნა სპეციალისტი, რომელიც იჯარით ხელსაყრელ პირობებში მოაგვარებდა თევზჭერის საქმიანობას[4]. ლიტვინოვი ციციანოვს რჩევას აძლევდა მოეგვარებინა სამეგრელოში ზღვის სანაპიროზე შეშის დამზადება და ყირიმში გატანა, აბრეშუმის პარკისა და ნართის შესყიდვა რუსეთის ბაზრისათვის[5]. ციციანოვი თავის მხრივ ენერგიას არ იშურებ-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. I, 1949, გვ. 92.

[2] იქვე, გვ. 95.

[3] იქვე, გვ. 421—422.

[4] Акты, т. II, стр. 419.

[5] იქვე, გვ. 241.

და, რომ ვაჭრობის საქმე საქართველოში ხელიდან გამოეცალა თურქი და სომეხი ვაჭრებისათვის და რუსებისათვის გადაეცა. ამასთან, ვაჭრობის მომგებიანი სახეები (მარილით, ხორცით, არყით, თამბაქოთი, ღვინით და სხვ.), რუს მოხელეთა აზრით, საქართველოში მონოპოლისტ მოიჯარადრეებს უნდა გადასცემოდათ, რომლებიც პირად გამდიდრებასთან ერთად ხაზინასაც მისცემდნენ შემოსავალს.

მოტანილი მაგალითებიდან ცხადია, რომ ცარიზმი საქართველოს და ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის მხარდამხარ ამ მხარის კოლონიურ ექსპლოატაციასაც ეწეოდა. ცარიზმის მოხელენი ამზადებდნენ ნიადაგს საქართველოს რუსეთის სამრეწველო ნედლეულის ბაზად და რუსული პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაქცევისათვის.

ამიერკავკასიაში ვაჭრობის ინტენსიური გაჩაღების ერთერთ პირველ დაბრკოლებას წარმოადგენდა აქ გაბატონებული შინაფეოდალურ საბაჟოთა (ე. წ. რახტარების) სისტემა. საგზაო გადასახადის გარდა ბაჟი ედო ყველა საქონელს, რაც კი ბაზარზე გავიდოდა. ბაჟები იჯარით იყო გაცემული. მარტო თბილისში რუსეთის მმართველობის დამკვიდრების დროს ბაჟის 15 იჯარა იყო გაცემული. ბაჟების ეს სისტემა დიდად აფერხებდა ვაჭრობას, აძვირებდა საქონელს, კომერსანტებს შორეთიდან საქონლის შემოტანის ხალისს უკარგავდა. შემოტანილ საქონელზე მაღალი ბაჟებით მეტად უკმაყოფილონი იყვნენ მოსკოველი ვაჭრები, რომლებმაც ამის თაობაზე 1802 წლის დეკემბერში იჩივლეს კიდეც ციციანოვთან. ციციანოვმა პირველმა მიაქცია ყურადღება ვაჭრობის შემფერხებელი ამ სისტემის ლიკვიდაციის აუცილებლობას და ენერგიულად იშუამდგომლა პეტერბურგის წინაშე საბაჟოთა არსებული სისტემის გაუქმების შესახებ[1]. ციციანოვის პროექტი მოწონებულ იქნა და 1804 წლის 4 მარტის განკარგულებით რუსეთის ადრინდელი ამიერკავკასიული მფლობელობის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ 4 საბაჟო იქნა დატოვებული (სურამის, წალკის, პარაკლისის, შამშადილის)[2].

[1] Акты, т. II, стр. 244—245.

[2] М. К. Рожкова, Из истории экономической политики царизма в Закавказье, жур. «Историч. записки», Москва, 1946, стр. 172.

ციანოვმა ფაქტიურად ვერ განახორციელა მრავალრიცხოვან საბაჟოთა ლიკვიდაცია. მალე კავკასიას ახალი მთავარმართებელი გუდოვიჩი მოევლინა, რომელმაც საბაჟოების საკითხს სხვაგვარად შეხედა და იგი ხაზინის შემოსავლის ერთერთ მთავარ წყაროდ მიიჩნია. კომერციის მინისტრ რუმიანცევისადმი მოხსენებაში გუდოვიჩმა დაასაბუთა, რომ შეუძლებელია ადგილობრივ საბაჟოთა გაუქმება, რადგან იგი ხაზინის მთავარ ფულად წყაროს წარმოადგენსო. ბაჟის ქართული წესით აკრეფის თაობაზე გუდოვიჩს პეტერბურგში დაეთანხმნენ და 1804 წლის განკარგულება მოხსნილ იქნა, მაგრამ თბილისელი და მოსკოველი ვაჭრები კვლავ დაჟინებით აღდგნენ საბაჟოთა ქართული წესების წინააღმდეგ. „საქართველო სხვა არაფერია, თუ არა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ახალი ოლქი“ და საკვირველია, რომ ქართული საბაჟო ფულს იღებს „რუსულ ქალაქ თბილისიდან რუსეთში გატანილ საქონელზე, — ნათქვამია ერთ-ერთ ასეთ საჩივარში[1]. ვაჭრების შეუპოვარმა ჩივილმა პეტერბურგის კომერციის სამინისტრო აიძულა ისევ გადაეხედა ამ საკითხისათვის და ნაწილობრივ აღედგინა 1804 წლის განკარგულება. ყოველ შემთხვევაში, შინაგანი ბაჟები რუსეთიდან საქართველოში შემოტანილ საქონელზე მოხსნილ იქნა.

ეკონომიურ დარგში ფართო კოლონიურ მიზანდასახულობათა მიუხედავად, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ცარიზმი მაინც ვერ ახერხებდა გადაედგა მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები საქართველოს ეკონომიური ათვისების საქმეში. ამიერკავკასია ამ დროს განუწყვეტელი ომების ასპარეზს წარმოადგენდა და ცარიზმის ძირითად ამოცანას ამიერკავკასიაში მტკიცე გაბატონება, ირანელ და თურქ დამპყრობთა ფეხის ამოკვეთა წარმოადგენდა. ომში მობილიზებული იყვნენ ადგილობრივი ძალები, ყველაფერი ომის ინტერესებს ექვემდებარებოდა. ეს ომები და აჯანყებანი მშვიდ ცხოვრებას და სამეურნეო-ეკონომიურ აღმავლობას გამორიცხავდნენ. მართებულად მიგვაჩნია მოსაზრებანი იმ ავტორებისა, რომლებიც ამ პერიოდის ცარიზმის ეკონომიურ პოლიტიკას საქართველო-

[1] М. К. Рожкова. Из истории экономической политики царизма в Закавказье, жур. «Историч. записки», Москва, 1946, стр. 172.

სა და ამიერკავკასიაში ახასიათებენ როგორც ინტენსიური დაზვერვის[1] პერიოდს, იმის პირველ ცდებს, რომ კავკასია რუსეთის მრეწველობის ნედლეულის ბაზად და მისი პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაექციათ. მთელ ამ პოლიტიკას, ცხადია, წმინდა კოლონიური შინაარსი ჰქონდა[2]. რუსეთის ცარიზმის ეკონომიურ ღონისძიებებს ამიერკავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გარდა აფერხებდა რუსეთის საუკუნეობრივი ეკონომიური ჩამორჩენილობაც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამიერკავკასია დაიპყრო არა ბურჟუაზიულმა, არამედ თავადაზნაურულმა რუსეთმა[3].

ამიერკავკასიის ბაზრის მთლიანად დაპყრობის შეუძლებლობით უნდა აიხსნას ის დათმობანი, რაც ცარიზმმა უცხოური ვაჭრობის მიმართ 1821 წლის ე. წ. შეღავათიანი ტრანზიტის დაშვებით განახორციელა.

ერმოლოვის შუამდგომლობით ცარიზმის მიერ დაშვებულმა შეღავათიანმა ტრანზიტმა ამიერკავკასიის ვაჭრობას გზა გაუხსნა ევროპის ბაზარზე. პარტო-ფრანკოს უფლებით რედუტ-კალეში გახსნილი ნავსადგური მნიშვნელოვანი სავაჭრო ბაზა გახდა, საიდანაც უცხოური საქონელი მოედინებოდა ამიერკავკასიაში და ირანისაკენ. ამოძრავდნენ თბილისელი ვაჭრებიც, რომლებიც, მართალია, ჯერჯერობით არც დიდ კაპიტალებს ფლობდნენ და არც მსხვილი სავაჭრო ოპერაციების გამოცდილება გააჩნდათ, მაგრამ მაინც ხალისით ჩაებნენ უცხოეთთან აღებ-მიცემობაში. „ტრიესტში, მარსელში და სხვა ევროპულ ქალაქებში მათ მიერ ნაყიდი საქონლის ნაწილი თვით ამიერკავკასიაშივე სწრაფად საღდებოდა, ნაწილი კი სპარსეთში იგზავნებოდა. თბილისელმა ვაჭრებმა სპარსეთს გააცნეს ევროპული მანუფაქტურის პროდუქცია, რომლითაც ახლა სავსეა აქაური ბაზარი და სახალხო მოთხოვნილებას აკმა-

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. I, გვ. 89.

[2] Н. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., стр. 73.

[3] И. П. Петрушевский, Система русского колониального управления в Азербайджане первой половины XIX в. წიგნში — Колониальная политика российского царизма в Азербайджане в 20 — 60-х гг. XIX в., М. Л. 1936, стр. 5.

ყოფილებს"[1]. — წერდა დიუკრუასი. თავისუფალი ვაჭრობის პერიოდში თბილისთან ერთად საქართველოს სხვა საქალაქო ცენტრებიც ცხოველი აღებ-მიცემობის ობიექტებად იქცა მაგრამ ამ შეღავათს საქართველოს ეკონომიკის ბედისათვის გადამწყვეტი როლი არ შეუსრულებია. სამეურნეო ცხოვრების საერთო ჩამორჩენილობა და მისი ნატურალურ-კარჩაკეტილ ხასიათი, ინტენსიური სასაქონლო მეურნეობის განუვითარებლობა აქტიური ვაჭრობის გაჩაღებას ჯერ კიდევ შეუძლებელს ხდიდა. განუწყვეტელი ომებისაგან ეკონომიურად განადგურებული მოსახლეობის სყიდვითი უნარიანობა დაბალი იყო. უცხოეთთან ვაჭრობას უპირატესად კომპრადორული ხასიათი ჰქონდა და მას არსებითი გავლენა არ მოუხდენია მხარის ეკონომიურ ცხოვრებაზე, რომელიც ჯერ კიდევ შინაგანად უძრავ მდგომარეობაში იმყოფებოდა. უცხოეთთან ვაჭრობის გაცხოველების მიუხედავად, მხარის ეკონომიურ უძრაობას კარგად ახასიათებს ა. გრიბოედოვი, რომელიც, როგორც ცნობილია. შეღავათიანი ტრანზიტის წლებში თბილისში ცხოვრობდა და ამ ვითარების მომსწრე იყო. „ვაჭრობა რამდენიმედ გამოცოცხლდა 1821 წლის ბრძანებულებით. ზოგიერთი თბილისელი ვაჭარი ამ დროიდან მიემგზავრება ხოლმე საქონლისათვის ლაიპციგში, წარმატებით ასაღებენ მათ აქაც და სპარსეთშიც და მნიშვნელოვან კაპიტალებს იხვეჭენ. მაგრამ სახაზინო ვალდებულებებით ყველაზე მეტად დამძიმებულ მემამულეთა და მიწათმოქმედთა კეთილმდგომარეობაზე ამან სულაც არ იმოქმედა, სრულიად არ წაახალისა შინაგანი მრეწველობა. არ წარმოშვა არც ერთი ფაბრიკა, არ აყვავდა არც მიწათმოქმედება, არც მებაღეობა... რამდენიმე წლის განმავლობაში უცხოეთის ორ-სამ ხომალდზე მეტი არ მოსდგომია სამეგრელოს ნაპირებს და არც თავისი საქონლის გასაღების ცდისათვის არ მოითხოვდნენ ადგილობრივ მკვიდრთა ნაწარმოებებს, რადგან ისინი ევროპელთათვის მოსახმარებლად გამოუსადეგარნი არიან მათი მცირე მნიშვნელობისა და არასრულფასოვნების გამო და მაშინაც, როცა თბილისის ბაზარი აჭრელებულია შემოზიდული

[1] И. Дюкруасн. О заграничной торговле Закавказского края. იხ. Кавказский календарь, 1853, стр. 411.

საქონლით, მეთვალყურის თვალი ამაოდ დაუწყებს ძებნას შინაურ ნაკეთობას ან პროდუქტებს, რომელზედაც მათი გაცვლა შეიძლებოდეს"[1]. მართალია, თავისუფალი ვაჭრობის პერიოდს მოჰყვა ამიერკავკასიაში ფრანგ მეწარმეთა (გამბა, კასტელა, ტრიბოდინო, მორენასი და სხვ.) სიხარბე ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე საფაბრიკო საქმიანობის გაჩაღებისა, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ შინაგანი ეკონომიური ცხოვრების დონე დაბალი და კაპიტალისტური ურთიერთობისათვის ჯერ კიდევ მოუმზადებელი იყო, ამ წამოწყებებმა ვერ გაიხარეს. არც ეს უცხოელი მეწარმენი იყვნენ კაპიტალისტური ეპოქის წარმომადგენლები[2]. ფრანგი ავანტიურისტები, ცარიზმის მხარდაჭერითა და შეღავათებით გათამამებულნი, ყოველგვარი კაპიტალის გარეშე მოევლინენ ამიერკავკასიას და ადგილობრივი მოსახლეობის კოლონიური ძარცვის ხარჯზე აპირებდნენ გამდიდრებას.

უცხოეთთან ამიერკავკასიის თავისუფალი ვაჭრობა რუსეთის ვაჭართა ინტერესებს არ უპასუხებდა. ეს საგრძნობი გახდა ნიჟნინოვგოროდის ბაზარზე, სადაც ამიერკავკასიელი ვაჭრები უფრო და უფრო ნაკლები რაოდენობით იძენდნენ რუსულ პროდუქციას. რუსმა ფაბრიკანტებმა განგაში ატეხეს და საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტში იჩივლეს. რუსი ფაბრიკანტების ენერგიულ დამცველად გამოვიდა რუსეთის ფინანსთა მინისტრი კანკრინი, რომელმაც დაასაბუთა უცხოეთთან თავისუფალი ვაჭრობის იმპერიის ინტერესებთან შეუსაბამობა და ასეთი ვაჭრობის მკვეთრი შეზღუდვა მოითხოვა. 1825 წელს მინისტრთა კომიტეტში კანკრინის მიერ წარდგენილი მოხსენება ამიერკავკასიაში თავისუფალი ტრანზიტის გაუქმების მოთხოვნას შეიცავდა. ერმოლოვის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, კანკრინის განმეორებითი (1827 წ.) მოთხოვნისა და კავკასიის ახალ მთავარმართებელ პასკევიჩის მხარდაჭერით თავისუფალი ტრანზიტი 1836 წელს ამკრძალავი

---

[1] გრიბოედოვისა და ზავილეისკის მოხსენებითი ბარათი პასკევიჩისადმი, იხ. რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, შედგენილი ვ. შადურის მიერ, 1949, გვ. 76.

[2] М. К. Рожкова, Из истории экономической политики царизма в Закавказье, стр. 175.

ტარიფით შეიცვალა და უცხოური საქონლისათვის გზა არსებითად დაიკეტა.

ცარიზმის ასეთი შემობრუნება ამიერკავკასიის ეკონომიურ პოლიტიკაში ვითარების შეცვლით იყო შეპირობებული. ცარიზმმა წარმატებით დაასრულა ომები ირანთან და თურქეთთან და ამით გადაწყვიტა ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის საკითხი. თურქმანჩაის ხელშეკრულებამ რუსეთის ვაჭრობას ამიერკავკასიაში და კასპიის ზღვაზე გზები გაუხსნა. რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში ლაიპციგის ბაზარზე გზის დაკეტვამ ამიერკავკასიელი ვაჭრები უფრო მჭიდროდ ნიჟნი-ნოვგოროდთან დააკავშირა. ადრიანოპოლის ტრაქტატით და განსაკუთრებით უნკიარ-ისკელესის შეთანხმებით რუსეთმა მოიპოვა ევროპასთან შავი ზღვით ვაჭრობის უპირატესობა. კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფი განვითარების შედეგად გაიზარდა რუსეთის ბურჟუაზიის ლტოლვა განაპირა კოლონიურ მხარეებში, მათ შორის ამიერკავკასიაში. ყველა ამ ხელსაყრელმა პირობამ ცარიზმს უკარნახა ამიერკავკასიის ეკონომიური დაზვერვისაგან, რასაც ის ძირითადად 1801—1830 წლებში აწარმოებდა[1], გადასულიყო ამიერკავკასიის უშუალო

---

[1] დაზუსტებას საჭიროებს მ. კ. როქკოვას დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს 1801—1830 წლებში თვითმპყრობელობა მიზნად არ ისახავდა დაუფლებოდა ამიერკავკასიას, როგორც გასაღებისა და ნედლეულის ბაზას (იხ. М. Т. Рожкова, Из истории экономической политики российского царизма в Закавказье, გვ 178). ცარიზმს, როგორც აღვნიშნავდით, ასეთი მიზანდასახულობანი ამოძრავებდა ამთავითვე, როგორც კი ფეხი შემოდგა ამიერკავკასიაში. ამ მიმართულებით იგი ინტენსიურ დაზვერვას ეწეოდა და გადადგა კიდეც ზოგიერთი პრაქტიკული ნაბიჯი. მაგრამ მხარის სტრატეგიული შემომტკიცებისათვის ბრძოლის ვითარებაში ეკონომიური დაპყრობის ამოცანა მეორე რიგში იყო გადაწეული. 30-იანი წლებიდან კი, პირველის წარმატებითი განხორციელების შემდეგ, ეკონომიური ამოცანა წამყვანი გახდა. როქკოვას ამ თვალსაზრისს არღვევს მის მიერვე მოტანილი სტატისტიკური მასალები. მარტო 1829 წელს ამიერკავკასიიდან რუსეთში გატანილ იქნა 15 ათასი ფუთი აბრეშუმის ნედლეული, მაშინ როცა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან (იტალია, საფრანგეთი, ირანი და სხვ.) შეტანილ იქნა რუსეთში მხოლოდ 12,5 ათასი ფუთი (იხ. როქკოვა, გვ. 129—130). მხოლოდ ეს ციფრებიც ცხადყოფს, რომ ამ დროისათვის ამიერკავკასია რუსეთის აბრეშუმის მრეწველობის ძირითად სანედლეულო ბაზად იყო გადაქცეული.

ეკონომიური ათვისების, მისი ეკონომიური დაპყრობის პოლიტიკაზე.

ამიერკავკასიის კოლონიური ათვისების კომპანია თურქმანჩაის ზავის დადებისთანავე კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის პასკევიჩის თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით გაიშალა. პასკევიჩის შეხედულება ამიერკავკასიის ეკონომიურ დანიშნულებაზე ემთხვეოდა იმპერიის ფინანსთა მინისტრის კანკრინის შეხედულებას, რომელიც 1827 წელს სახელმწიფო საბჭოში წარდგენილ მოხსენებით ბარათში (კანონი საქართველოს შესახებ) წერდა: „ამიერკავკასიის პროვინციები არ შეიძლება უსაფუძვლოდ იწოდოს ჩვენს კოლონიად, რომელმაც სახელმწიფოს უნდა მოუტანოს სამხრეთის ჰავის ნაყოფებით ფრიად მნიშვნელოვანი სარგებლობანი"[1]. ამიერკავკასიაზე, როგორც მეტროპოლიის ეკონომიურ დანამატზე. შეხედულებამ განსაზღვრა აქ სამხედრო-საოკუპაციო მმართველობის გადახალისების, ფეოდალური ურთიერთობის თავისებური რუსული სისტემისათვის შეუთავსებელ სპეციფიკათა ლიკვიდაციის აუცილებლობა, რაც 1829—1830 წლების სენატის რევიზიამ წამოაყენა[2]. პასკევიჩი ადასტურებდა კანკრინის მოსაზრებას საქართველოზე, როგორც კოლონიაზე. ფინანსთა სამინისტროსადმი 1830 წლის 5 ოქტომბრის მიმართვაში აღნიშნავდა: „განა არ უნდა ვუყურებდეთ საქართველოს როგორც კოლონიას, რომელიც ჩვენს ფაბრიკებს მიაწვდიდა ნედლ მასალას (აბრეშუმს, ბამბას და სხვ.) და სანაცვლოდ რუსეთისაგან მიიღებდა მანუფაქტურულ ნაკეთობას"[3].

სენატორებმა მეჩნიკოვმა და კუტაისოვმა შეისწავლეს ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის მდგომარეობა, მისი რესურსები, მმართველობის სისტემა და თავის დასკვნაში მხარის უკეთ ათვისების მიზნით მისი მმართველობის რუსულ გუბერნიასთან ნიველირების წინადადება წამოაყენეს. რევიზიის მასალები შევიდა წიგნში „რუსეთის მფარველობის ჩამოყალიბება

---

[1] დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, 1959, გვ. 7.

[2] იხ. Акты, т. VII, Всеподданнейший доклад сенаторов Кутайсова и Мечникова от 23 сентября 1831 г.

[3] Акты, т. VI, стр. 140.

კავკასიის იქითა მხარეში“ (გამოვიდა 1836 წ.), სადაც გადმოცემულია „საერთო თვალსაზრისი ამიერკავკასიაზე, როგორც რუსეთის კოლონიაზე“[1], „მიმოხილვაში“ ხაზგასმულია, რომ რუსეთის მთავრობას აქვს სრული საფუძველი უყურებდეს ამიერკავკასიის პროვინციებს როგორც კოლონიას და ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე აწესრიგებდეს მის მმართველობას. «Название За-кавказья колониею России, в первые проявленное, открывает все виды на таможния владения — это есть именно та точка, с которой должны смотреть на них, и давать направление системе всех действий»[2]. — ნათქვამია მიმოხილვაში.

ირანთან და თურქეთთან ომებში გამარჯვებამ, რითაც ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის და სტრატეგიულ ბაზად გადაქცევის ამოცანა ძირითადად გადაწყვეტილი აღმოჩნდა, წარმოშვა ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების მრავალი პროექტი. თითოეულ ამ პროექტს ნათლად ატყვია მისი ავტორის კლასობრივი თვალსაზრისი. პასკევიჩ-ქანკრინის შეხედულებას ამიერკავკასიის მომავალი ეკონომიური მოწყობის საკითხზე არ იზიარებდა ბარონი როზენი, რომელიც, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში რუსეთის რეაქციული ფეოდალური წრეების ინტერესებს ასახავდა და ეჭვის თვალით უყურებდა იმ შეღავათებს, რასაც კანკრინი და მისი ჯგუფი რუსეთის სამამულო მრეწველობის განვითარებისათვის ითვალისწინებდა.

რუსეთის პრესაში 30-იან წლებში უკვე დაიწყო კამათი ამიერკავკასიის როგორც კოლონიის დანიშნულებისა და მისი ექსპლოატაციის მიმართულების შესახებ. ასე მაგალითად, 1834 წელს ჟურნალ „სინ ოტეჩესტვაში“ გამოქვეყნდა პ. ვიშესლავცოვის სტატია რუსეთისათვის ამიერკავკასიის სამეურნეო და სავაჭრო დანიშნულებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ კავკასიის ბუნებრივი ათვისება ხელს შეუწყობს „მთელი რუსეთის მანუფაქტურის აყვავებას“ და, რომ ამ საქმეში უნდა ჩაებან რუ-

---

[1] Образование Российских владений за Кавказом, Санк.-Петербург, 1836.

[2] იქვე, გვ. 13.

სი მფლობელები და კაპიტალისტები. „ამიერკავკასიას, როგორც რუსეთის კოლონიას, არ უნდა ჰქონდეს თავისი მანუფაქტურა“[1], რადგან მას შეუძლია კონკურენცია გაუწიოს რუსეთისას, რომ აქ მხოლოდ ნედლეულის პირველადი დამუშავება უნდა ხდებოდეს რუსეთის მრეწველობის საჭიროების მიხედვით. ჟურნალის ეს თვალსაზრისი მკაფიოდ ასახავს კოლონიური სამფლობელოსადმი მეტროპოლიის ბურჟუაზიის დამოკიდებულებას.

კლასობრივი თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების ის პროექტი, რომლის ავტორები არიან ცნობილი რუსი პოეტი ა. გრიბოედოვი და პასკევიჩის მთავარმართებლობის დროს საქართველოს მმართველი ზავილეისკი.

1828 წელს გრიბოედოვმა და ზავილეისკიმ პასკევიჩს წარუდგინეს „რუსეთის ამიერკავკასიული კომპანიის დაფუძნების პროექტი“. იგი ითვალისწინებდა კავკასიის აქითა მხარეზე მდებარე დოვლათიან პროვინციებში მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, მებამბეობის, კოლონიალურ სამღებრო, სააფთიაქო და სხვა პროდუქციათა წარმოების შემოღებისა და გაუმჯობესებისათვის[2] რიგ ღონისძიებათა განხორციელებას.

გრიბოედოვს და ზავილეისკის საჭიროდ მიუჩნევიათ კომპანიის მიერ ამიერკავკასიის „გამოუყენებელი მიწების შეძენა“[3], „სახაზინო ბაღების დათმობა“ და ამ მიწებზე გადმოსახლებულთა (უპირატესად სომხების)[4] დასახლება, თავისუფალი ზღვაოსნობა და ამ გზით საქონლის რუსეთში ან საზღვარგარეთ გაზიდვა[5]. ამ მიზნის ძირითად ბაზად ბათუმის გადაქცევა. „ამიერკავკასიის ბუნებას ყოველივე მოუმზადებია ადამიანისათვის“, — აღნიშნავენ პროექტის ავტორები, — საჭიროა მხოლოდ ამ დოვლათის ორგანიზებული გამოყენება“[6].

---

[1] А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., стр. 73.

[2] რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, გვ. 67.

[3] იქვე, გვ. 69.

[4] იქვე, გვ. 70.

[5] იქვე, გვ. 71.

[6] იქვე.

„კერძო ადამიანთა... ცალკეულ გამარჯვებას ამ მხარის აყვავება კეთილდღეობის სასურველ საფეხურზე... არც შეუძლიათ. საჭიროა მწარმოებელ კაპიტალისტთა ძალ-ღონის გაერთიანება ერთ საზოგადოებაში. უნდა დაწესდეს სამიწათმოქმედო, სამანუფაქტურო და სავაჭრო კომპანია, რომელიც შეძლებს შეუდგეს ბუნების ყველა იმ სიმდიდრეთა მოპოვებას, რომელთა წარმოება, დამუშავება, გაუმჯობესება და აგრეთვე გასაღება ყველაზე შორეულ სახელმწიფოებში ყოველ ცალკეულ კერძო საშუალებებს აღემატება“[1]. აუცილებელია საერთო შემადგენლობაში გაერთიანდეს საბრუნავი კაპიტალების მასა ანუ ერთ საზოგადოებაში გაერთიანდეს საკმაო რიცხვი მწარმოებელი კაპიტალისტებისა[2], რომლებსაც ექნებათ მთავრობის მხარდაჭერა, გარკვეული პრივილეგიები და შეღავათები. ავტორებს მიაჩნიათ, რომ მხოლოდ ასეთი ორგანიზირებული ექსპლოატაციით შეიძლება ამიერკავკასიამ რუსეთის ეკონომიკას სარგებლობა მოუტანოს.

ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების სხვა პროექტებთან შედარებით გრიბოედოვისა და ზავილეისკის პროექტი პროგრესულია[3]. პროექტი შთაგონებულია დიდი რუსი მწერლის, საქართველოს გულწრფელი მეგობრის ალ. გრიბოედოვის კეთილშობილური მისწრაფებით — ეკონომიურად დაბეჩავებული, ხანგრძლივი ომებისაგან გაპარტახებული, მაგრამ დიდ ეკონომიურ შესაძლებლობათა მქონე საქართველო და ამიერკავკასია მოწინავე ეკონომიური ცხოვრების გზაზე დააყენოს და აამაღლოს როგორც რუსეთის სარგებლობა, ისე ამიერკავკასიის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონე.

კანკრინ-პასკევიჩ-განის პროექტებთან გრიბოედოვისა და ზავილეისკის პროექტის შედარება და მათი კლასობრივი თვალსაზრისით შეფასება გვაფიქრებინებს, რომ ორთავე შემთხვევაში საქმე გვაქვს ამიერკავკასიის ათვისების მისწრაფებასთან, მაგრამ პირველ შემთხვევაში ეს ათვისება განხილულია ფეოდალურ-ბატონყმური ზედაფენის პოზიციიდან, მეორე

1 რუსი მწერლები საქართველოს შესახებ, გვ. 81.

2 იქვე.

3 დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, გვ. 13.

შემთხვევაში — რუსეთის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე გამძლავრებული ბურჟუაზიული წრეების პოზიციიდან. თავისთავად ცხადია, რომ იმ ვითარებისათვის მეორე პირველზე პროგრესულია. მაგრამ, ცხადია, სავსებით მაინც არაა დაპირისპირებული ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიურ პოლიტიკასთან, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეჩვენება[1].

ცნობილია, რომ ეკონომიური პროგრამა დეკაბრისტებისა, რომლის მხურვალე თანამგრძნობი იყო ა. გრიბოედოვი, რუსეთის სწრაფი ბურჟუაზიული განვითარებისაკენ იყო მიმართული. ამასთან დეკაბრისტები, მათი კლასობრივი შეზღუდულობის გამო, სცოდავდნენ ეროვნულ საკითხში და რუსეთის განაპირა ნაციონალური რაიონების რუსიფიკაცია ბუნებრივ და აუცილებელ პროცესად მიაჩნდათ. გრიბოედოვის და ზავილეისკის პროექტს, რომელიც თავისი შინაარსით დიდი მასშტაბის ბურჟუაზიული წამოწყებაა, უსათუოდ აზის დაღი ამ კლასობრივი შეზღუდულობისა, მაგრამ ამასთან გააჩნია დიდი პერსპექტიულობაც: ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების ის გზები, რომლებიც პროექტშია დასახული, განკუთვნილია ბურჟუაზიული რუსეთისათვის და სისხლხორცეულად უკავშირდება იმ გვიანდელ გეგმებს, რომელსაც XIX საუკუნის მიწურულისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის რუსეთის ბურჟუაზიულ-მონოპოლისტური წრეები სახავდნენ და ახორციელებდნენ ამიერკავკასიაში.

საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური წინსვლის ე რ ო ვ ნ უ ლ ი პ ო ზ ი ც ი ი დ ა ნ გაგება, რაც ზემოდასახელებულ პროექტებს არ გააჩნიათ, ახასიათებს ალ. ჭავჭავაძის პროექტს, მის ცნობილ ნარკვევებში რომაა მოცემული. ალ. ჭავჭავაძე ფიქრობდა, რომ კავკასიისათვის ომების დასრულების შემდეგ იქმნებოდა ფართო პერსპექტივები საქართველოს ეკონომიური აღორძინებისათვის, მაგრამ ეს საქმიანობა უნდა წარმართულიყო ადგილობრივი ძალების მეშვეობით, უცხო ელემენტების ჩარევის გარეშე. „რუსეთიდან მიწათმოქმედთა გადმოსახლება ვერ დააკმაყოფილებს უმთავრეს მიზანს, ვინაიდან ისინი ვერ შეძლებენ ტროპიკულ ნაწარმთა

[1] ი ხ. დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

დამუშავებას, რომელნიც ხარობენ ჩრდილოელ მცხოვრებთათვის დამღუპველ, ფრიად სიცხიან ადგილებში. ამ სასარგებლო საქმისათვის ადგილობრივი მცხოვრებნი უნდა გამოვიყენოთ"[1]. ალ. ჭავჭავაძეს აქვს იმის რწმენა, რომ მრეწველობა, რომლის კვალიც კი გამქრალა გამუდმებული ომიანობის გამო, საბოლოო მშვიდობიანობის დამყარებისთანავე კვლავ აღორძინდება[2]. ალ. ჭავჭავაძის „ნარკვევში" გამოთქმული ეს მოსაზრება წარმოადგენდა გარკვეულ მანიშნებელ პროტესტს იმ კოლონიზატორული ღონისძიებებისადმი, რომელთაც ცარიზმი ამ დროს უკვე ახორციელებდა. ცარიზმის მოხელეები მარკიზ პაულიჩი, რტიშჩევი, ერმოლოვი და პასკევიჩი სწორედ ამ დროს ეწეოდნენ ამიერკავკასიის უცხოელი კოლონიზატორებით დასახლების პროპაგანდას და პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ მას.

საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების საქმეში ზავილეისკის, ალ. ჭავჭავაძის, აგრეთვე უცხოელ კაპიტალისტ-თაოსნების (გამბას, მორენასის და სხვ.) პროექტებს ცარიზმი იმდენად უწევდა ანგარიშს, რამდენადაც ისინი მის ძირითად მიზანდასახულობას პასუხობდა. ამ პროექტთა ცალკეული ელემენტები მართლაც უფავსდებოდა ამიერკავკასიაში ეკონომიური გაბატონების, ბუნებრივად უხვად დაჯილდოებული მხარის გეგმაზომიერი ექსპლოატაციის პოლიტიკას. მაგრამ ამ პროექტებში დახატული წარმტაცი პერსპექტივების მიუხედავად, ცარიზმი და მისი მოხელეები ამიერკავკასიაში ერთი მტკიცე ხაზის გატარებას მოითხოვდნენ, კერძოდ, წარემართათ ამ მხარის სამეურნეო-ეკონომიური განვითარება ისეთი მიმართულებითა და ტემპებით, როგორითაც იგი რუსეთის მაშინდელი ეკონომიური ცხოვრების დონეს და ფეოდალურ-ბატონყმური ვაჭრული ზედაფენების ინტერესებს შეესაბამებოდა. ამ მხრივაა დამახასიათებელი ის „საშუალო ხაზი", რომელიც კანკრინს და მისი თვალსაზრისის გამავრცელებელ პასკევიჩს, ბარონ როზენს და ვორონცოვს ჰქონდათ აღებული.

---

[1] ალ. ჭავჭავაძე, თხზ., საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801—1831 წლამდე, თბილისი, 1940, გვ. 254.

[2] იქვე. გვ. 254.

1833 წელს თბილისში უკვე დაარსებულ იქნა სოფლის მეურნეობის მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის წამხალისებელი „საზოგადოება“. 1836 წელს — „მეაბრეშუმეობის და სავაჭრო მრეწველობის გამავრცელებელი ამიერკავკასიის საზოგადოება“, 1831 წელს ზავილეისკის ინიციატივით შეიქმნა „ამიერკავკასიის სავაჭრო დეპო“, მზადდება რიგი პროექტებისა ყაზან-კავკასიის, ამიერკავკასია-ირანის სავაჭრო კომპანიების მოსაწყობად. თბილისში 1831 წლიდან მუშაობდა კასტელას აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, 1839 წელს თბილისშივე გაიხსნა შაქრის ქარხანა და სხვ.

30-იანი წლების სავაჭრო-საწარმოო წამოწყებებმა წარმატება ვერ მოიპოვეს და 40-იანი წლების პირველი ნახევრისათვის მათი უმრავლესობა დაიხურა. მთავრობამ სპეციალურად მოავლინა მოხელეები, რომ ამ წარუმატებლობის მიზეზები გაერკვიათ. ფინანსთა სამინისტროს მოხელე გეგენმაისტერი თავის მოხსენებით ბარათში ძირითად მიზეზად შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმებას ასახელებდა. 1831 წლის ტარიფმა შეზღუდა ამიერკავკასიის ვაჭრობა, სამაგიეროდ გააძლიერა კონტრაბანდაო, აღნიშნავდა გეგენმაისტერი და დასძენდა: 1831 წლის ტარიფის მიზანი იყო ამ მხარის გადაქცევა რუსეთის კოლონიად, რომელსაც უნდა მოემარაგებინა მისი სამრეწველო წარმოებანი ნედლეულით... ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელი იყო სხვაგვარად, თუ არა ხელოვნური საშუალებებით, ამიტომაც ნაცვლად იმისა, რომ მხარისათვის ბუნებრივი განვითარების საშუალება მიეცათ, იგი პოლიტიკური და სამრეწველო ცდის ფორმად გადააქციეს... ახლანდელმა ამკრძალავმა სისტემამ მართლაც დაარღვია თბილისის ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან, მაგრამ არა რუსეთის, არამედ თურქეთისა და სპარსეთის სასარგებლოდ, რადგან იქიდან მოედინება ყოველგვარი საქონელი როგორც აზიური, ისე ევროპული. იქითკენაა ამჟამად მიმართული ყველა მცხოვრების თვალყური და ეს იმ დროს, როცა შამილს აღმართული აქვს წინასწარმეტყველის დროშა დაღესტანში, როცა მუსლიმანები ღელავენ ამიერკავკასიის სამხრეთ ოლქებშიც, მთავრობა კი ყოველმხრივ აახლოებს მათ მეზობელ ერთმორწმუნეებთან. კავკასიის იქითა

მხარისათვის არაა საშიში ევროპული თავისუფალი აზროვნება, აქ საშიშია აზიური უმეცრება[1].

რუსი მოხელე, რომელიც იმპერიაში გაბატონებული ფეოდალურ-ბატონყმური იდეოლოგიის ტიპიური გამომხატველია, ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ განვითარებას ნაადრევ, ხელოვნურ პროცესად მიიჩნევდა. რუსეთის კაპიტალისტურ ეკონომიკას იმ დროისათვის მართლაც არ გააჩნდა საჭირო ძალები, რომ ამიერკავკასია მთლიანად ჩაეთრია თავის ოპერაციებში და მისი გეგმაზომიერი ექსპლოატაცია ეწარმოებინა. ბატონყმური სისტემა ამუხრუჭებდა და ახშობდა ბურჟუაზიის სავაჭრო-სამრეწველო წამოწყებებს არა მარტო განაპირა რაიონებში, არამედ ცენტრშიაც.

გეგენმაისტერის პროექტს ევროპული საქონლისათვის კვლავ გზის გახსნის შესახებ მხარდაჭერა ხვდა წილად. ვორონცოვმა, რომელიც სწორედ ამ ხანებში მოევლინა კავკასიას, ამიერკავკასიაში თავისუფალი ვაჭრობა პოლიტიკური მშვიდობისა და სტრატეგიული უშიშროების მძლავრ საშუალებად გამოაცხადა. 1846 წლის 14 დეკემბრის დებულებით ამიერკავკასიაში დასავლეთ ევროპული საქონლისათვის ტრანზიტი გაიხსნა. ამრიგად, 40-იან წლებში ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების პოლიტიკაში ბურჟუაზიული ტენდენციები შესუსტდა, კავკასიის მთიანეთის მოძრაობის აღმავლობა ცარიზმს უკარნახებდა ყურადღების ცენტრი პოლიტიკური დაპყრობის დასრულებაზე გადაეტანა, მეტროპოლიის ბურჟუაზიის პირველი გატაცება, გამოწვეული ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისებით, დროებით შენელდა.

რუსეთის მეტროპოლიის ბურჟუაზიის დროებითი წარუმატებლობა სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ საქართველო და ამიერკავკასია ამ დროისათვის ბურჟუაზიული პროცესების დასანერგად მოუმზადებელ, ნატურალურ ჩარჩოებში ჩაკეტილ და ეკონომიურად უძრავ მხარეს წარმოადგენდა, რომლის ეკონომიური განვითარებაც ნელა, მაგრამ მტკიცე გზით მიემართებოდა. რუსეთის ერთიანი ბაზრის სისტემაში ამიერკავკა-

---

[1] იხ. М. К. Рожкова, Из истории экономической политики Российского царизма в Закавказье, стр. 195.

სიის ჩართვა მაინც თავის საქმეს აკეთებდა. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში მშვიდობის დამყარება, ლეკთა თარეშის აღკვეთა სამეურნეო ცხოვრების წინსვლის პერსპექტივებს ქმნიდა. ახლა იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო ცხოვრების წინსვლისათვის, ჯერ კიდევ ერეკლესდროინდელი ღონისძიებების უფრო ფართო მასშტაბებით განხორციელებისა, რომელიც XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე რთულმა საშინაო და საგარეო ვითარებამ შეაფერხა.

40—50-იანი წლების საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობდა ნატურალური მეურნეობის რღვევა, სასაქონლო მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარება. 40-იან წლებში საქართველოში პურის და სიმინდის ექსპორტი მაღალ დონეზე იდგა. 1847 წ. საქართველოდან გატანილ იქნა 170 916 მანეთის პური. 1846 წ. — 112 000 მანეთის სიმინდი. სასაქონლო პურის და სიმინდის მოყვანას დიდი ყურადღება ექცეოდა, რადგან ხორბლეულით ვაჭრობა ერთ-ერთ ყველაზე შემოსავლიან საქმეს წარმოადგენდა. 50-იანი წლების საქართველოში მოყვანილი მარცვლეულის $^1/_4$ ბაზარზე გადიოდა. მშვიდობიან პირობებში მალე დაწინაურდა მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგი, როგორიც იყო მეღვინეობა.

40-იან წლებამდე ქართული ღვინო ძირითადად ადგილობრივ ბაზარს ემსახურებოდა, მაგრამ სწრაფად იზრდებოდა მისი მოთხოვნილება რუსეთის ბაზარზეც. კახეთისა და დასავლეთ საქართველოს რიგი რაიონები ინტენსიურად ეწეოდნენ ღვინით ვაჭრობას. 1858 წ. მარტო სიღნაღის მაზრაში 1 350 000 ვედრო ღვინო და 100 000 ვედრო არაყი გაიყიდა.

განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა მეაბრეშუმეობა. 60-იანი წლების დასაწყისში კახეთში 1200 ფუთ, ხოლო დასავლეთ საქართველოში 1600 ფუთ აბრეშუმს იღებდნენ ყოველწლიურად, ეს მაშინ, როცა ფუთი აბრეშუმი 100 მანეთამდე ფასობდა. აბრეშუმი გაჰქონდათ რუსეთისა და ევროპის შორეულ ბაზრებზე, რაც ქვეყანას მნიშვნელოვან შემოსავალს აძლევდა.

სასაქონლო დანიშნულება ჰქონდა აგრეთვე მეთამბაქოეობას და მებამბეობას, რომლებმაც XIX საუკუნის 30—40-იან

წლებში საქართველოში დიდი განვითარება პოვა. აღმავლობის გზაზე დადგა მებაღეობა, მესაქონლეობა და სხვ. უცხოური და ადგილობრივი საქონლით ვაჭრობა იმართებოდა არა მარტო მსხვილ ქალაქებში (თბილისში, ქუთაისში, გორში, თელავში და სხვ.), არამედ სასოფლო ბაზრებზეც იზრდებოდა რიცხვი ადგილობრივი მსხვილი ვაჭრებისა, რომლებსაც მნიშვნელოვანი კაპიტალი ჰქონდათ დაგროვილი. ვაჭრობასთან ერთად სწრაფად ვითარდება ხელოსნური წარმოება. იზრდებოდა ამქრული ორგანიზაციები, მრავლდებოდნენ ამქარგარეშე ხელოსნებიც. თავს იჩენდა ფეოდალურ-ამქრული ორგანიზაციების კრიზისი, წვრილი წარმოებიდან მსხვილ წარმოებაზე გადასვლის თავისუფალი კონკურენციის ტენდენციები. ჩნდებოდა კაპიტალისტური მანუფაქტურები: აბრეშუმის, შაქრის, მინის, ტყავის, საპნის; აგურის წარმოება ვითარდება არა მარტო თბილისში, არამედ საბაზრო ცენტრებშიც. 1852 წელს თბილისის გუბერნიაში არსებობდა 154 საწარმო, რომელთა წლიური პროდუქცია 211 820 მანეთს შეადგენდა. 1858 წლისათვის კი საწარმოთა რიცხვი 239-მდე გადიდდა, ხოლო წლიური პროდუქცია 512 320 მანეთამდე ავიდა[1]. საგლეხო რეფორმის წინა წელს კი თბილისის გუბერნიაში 417 საწარმოა, რომლებმაც 688 708 მანეთის პროდუქცია გამოიმუშავეს. მრეწველობა შედარებით სუსტადაა განვითარებული დასავლეთ საქართველოში, მაგრამ აქაც შესამჩნევია ზრდის ტენდენციები. მაგალითად, 1852 წელს ქუთაისის გუბერნიაში მოქმედებდა 12 საწარმო 6 735 მან. წლიური პროდუქციით; 1861 წელს კი საწარმოთა რიცხვი 42-მდე გაზრდილა, ხოლო წლიური პროდუქციის რაოდენობა 23 398 მანეთამდე[2].

კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებას თან ახლავს ქალაქების დაწინაურება, სავაჭრო-სამრეწველო მოსახლეობის ზრდა. იზრდება რაოდენობა დაქირავებული მუშებისა; დაქირავებული შრომა ქვეყნის ეკონომიკაში მტკიცე და მზარდ პოზიციას იკავებს.

ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების მხარდამხარ

---

[1] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 2რ.

[2] იქვე, გვ. 222.

მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს სოფლის მეურნეობაში. ბურჟუაზიული ურთიერთობა იჭრება გლეხურ და საბატონო მეურნეობაში.

გლეხურ მეურნეობას თანდათან მტკიცედ ეძლევა სასაქონლო ხასიათი, სოფლად ვითარდება წვრილი გლეხური წარმოება, მასობრივ ხასიათს იღებს გარესაშოვნებზე გლეხების გასვლა, მიმდინარეობს გლეხური მოსახლეობის სოციალური დიფერენცირება, ჩნდება ფენა მდიდარი გლეხებისა, რომლებიც მნიშვნელოვან კაპიტალს ფლობენ და მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს ეწევიან. ახლად წარმოქმნილ გლეხურ-ბურჟუაზიულ მეურნეობებში დაქირავებული შრომაა გამოყენებული. ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ახალი, კაპიტალისტური პროცესი — სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განუხრელი ზრდა — ახალ საზრუნავს უჩენს მემამულეს და აიძულებს თაეისი მეურნეობის ახლებურად მოწყობა-ინტენსიფიკაციაზე იფიქროს. რაციონალური მეურნეობანი, ისე როგორც რეფორმამდელ რუსეთში, აქაც ჩნდება. მეურნეობის „ევროპულ ყაიდაზე“ ანუ კაპიტალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის ძირითადი მიზანი მათი სასაქონლო დანიშნულების ზრდაში მდგომარეობს. 30-იანი წლებიდან ასეთი მეურნეობანი თითქმის ერთდროულად იწყებენ აღმოცენებას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ალ. ჭავჭავაძის, დიმიტრი აფხაზის, სოლომონ გურგენიძის, ბარონ ნიკოლაის, კუჩენბახის, ანანოვის, ივ. მუხრან-ბატონის, სოლომონ ანდრონიკაშვილის, ნ. ჩიჯავაძის და სხვათა მეურნეობანი. ამ მეურნეობათაგან ნაწილი (კუჩენბახის, ანანოვისა) უკვე ბურჟუაზიულია, ნაწილიც მისკენ ლტოლვის ტენდენციებს ამჟღავნებს.

ნატურალური მეურნეობის რღვევის, სასაქონლო ფულადი ურთიერთობის ინტენსიური განვითარების, სამრეწველო-კაპიტალისტური წარმოების გაფართოების, გლეხობის სოციალური დიფერენცირების, მემამულური მეურნეობის ბურჟუაზიული ევოლუციის, მუშახელის ბაზარზე გამოსვლის ეს ცხოველი და მზარდი პროცესი იმაზე მიუთითებს, რომ 40—50-იანი წლების საქართველო კაპიტალისტური წყობის მკვიდრ ნიადაგზე დგას და ბურჟუაზიული განვითარების გზით მიემართება. ძველი

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისი, მის წიაღში წარმოშობილი ჯერ კიდევ სუსტი, მაგრამ სიცოცხლისუნარიანი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება აქაც, ისე როგორც რუსეთში, შესამჩნევია ცხოვრების ყველა უბანზე. საქართველოში, ტერიტორიულად პატარა და ხანგრძლივ ომებით გაპარტახებულ ქვეყანაში ეს პროცესი, ცხადია, რუსეთთან შედარებით ვიწრო მასშტაბებითა და მინიატურულ ფორმებში გვევლინება მხოლოდ, მაგრამ აქ მნიშვნელობა ენიჭება არა რაოდენობას, არამედ პროცესის თვისობრივ მხარეს. თვისობრივად კი რუსეთის ერთიანი ბაზრის ორბიტში მოქცეული საქართველო ძველი და ახალი ურთიერთობის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების სიმწვავეს განიცდის. ჩვენშიაც კვდება ძველი და იბადება ახალი, რომელიც ნელა და მტკივნეულად მიიწევს წინ დრომოჭმული ურთიერთობით ჩახერგილ გზაზე. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ საქართველო რუსეთის ცარიზმის განაპირა კოლონიური მხარეა და სწორედ ეს მდგომარეობა განაპირობებს ეკონომიური განვითარების მძიმე და ამასთან ცალმხრივ, სპეციფიკურ ხასიათს.

*

*

ბატონყმობის გაუქმებამ და მომდევნო ბურჟუაზიულმა რეფორმებმა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რუსეთში გზა გაუხსნეს კაპიტალიზმის განვითარებას. რეფორმებმა რუსეთი გამოიყვანა მძაფრი სამეურნეო კრიზისიდან, დააჩქარა მისი ნატურალური კარჩაკეტილობის საბოლოო დამსხვრევა, გააფართოვა მისი საშინაო და საგარეო ბაზარი. ბატონყმობის მოსპობამ რუსეთის მრეწველობას უხვად მისცა მისთვის საჭირო და მუდამ საძებარი მუშახელი და დააჩქარა ახალი საზოგადოებრივი კლასების — ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ფორმირება. კაპიტალისტურ ურთიერთობათა დამკვიდრებამ რუსეთის სოფლებში და სასაქონლო მეურნეობის ინტენსიურმა ზრდამ საბოლოოდ გლეხთა კლასის დიფერენციაცია გამოიწვია. ბურჟუაზია გაბატონდა ქალაქად და სოფლად, მან ხელთ იგდო ქვეყნის ეკონომიკის საკომანდო პუნქტები. ცარი-

ზმი ამ ახალი, ეკონომიურად გაბატონებული კლასის ინტერესების ანგარიშგამწევი გახდა, მაგრამ რუსეთის თავადაზნაურულ კლასს რეფორმის შემდგომაც არ დაუკარგავს თავისი ყოვლისშემძლეობა. რუსეთის თავადაზნაურული კლასის ინტერესების დამცველმა ცარიზმმა თვით განახორციელა ეს რეფორმები, რათა შეენარჩუნებინა პოლიტიკური ბატონობის ეკონომიური საფუძველი — მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა. კაპიტალიზმის განვითარების მხარეში ცარიზმის მიერ შემონახული ფეოდალურ-ბატონყმური ნაშთები ყოველთვის ძნელად დასაძლევ დაბრკოლებებს ქმნიდნენ. ამიტომ რუსეთში რეფორმის შემდეგაც მტკივნეულად მიმდინარეობდა ახალი ურთიერთობის სრული გამარჯვება მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. კაპიტალიზმს კვლავ უჭირდა ეკონომიკის სიღრმეში შეღწევა, უჭირდა ძველი ურთიერთობათა ნაშთების სრული და სწრაფი ლიკვიდაცია და ამიტომ იგი, ისე როგორც მყარ ნიადაგზე მიშვებული წყალი, მიისწრაფოდა არა სიღრმეში, არამედ სიგანეზე, რადგან აქ ნაკლებად შემაჩერებელი დაბრკოლებანი ხვდებოდა. ამას ხელს უწყობდა ცარიზმის მიერ XIX საუკუნეში დაპყრობილ ტერიტორიათა სიფართოეც. რუსეთის კაპიტალიზმს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რომ არ შეძლებოდა გაფართოება უკვე რეფორმისშემდგომი პერიოდის დასაწყისში დასახლებული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, მაშინ ამ წინააღმდეგობას კაპიტალისტურ მსხვილ ინდუსტრიასა და სოფლის ცხოვრების არქაულ დაწესებულებებს (გლეხთა მიმაგრება მიწაზე და სხვ.) შორის მალე უნდა გამოეწვია ამ დაწესებულებათა სრული გაუქმება, გზის სავსებით გაწმენდა სამიწათმოქმედო კაპიტალიზმისათვის რუსეთში. მაგრამ საკოლონიზაციო განაპირა მხარეებში ბაზრის ძებნის და პოვნის შესაძლებლობა (მეფაბრიკისათვის), ახალ მიწებზე გადასვლის შესაძლებლობა (გლეხისათვის) ასუსტებს და აყოვნებს ამ წინააღმდეგობის სიმწვავეს და მის გადაჭრასო[1].

ახალ, კაპიტალისტურ ეპოქაში იმპერიის განაპირა კოლონიური მხარეების ეკონომიური ათვისების პროცესი ინტენსიუ-

---

[1] იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3.

რად წარიმართა და ბურჟუაზიის ინტერესებს დაუმორჩილდა. კოლონიური მხარეების ეკონომიური ექსპლოატაციის გაძლიერებისათვის ამოქმედდა რუსული და უცხოური კაპიტალი.

ამიერკავკასიაში ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაცია ცარიზმმა იმგვარად განახორციელა, რომ დაიცვა თავადაზნაურული კლასისა და მეტროპოლიის ბურჟუაზიის ინტერესები. ადგილობრივი თავადაზნაურული წოდება, რომელსაც ცარიზმი თავის კოლონიურ ქვეყანაში მძლავრ დასაყრდენ ძალად მიიჩნევდა, უხვად დააჯილდოვა გლეხების ხარჯზე, რომელთაც დროებით სარგებლობაში გამოეყო გაცილებით ნაკლები რაოდენობა მიწებისა, ვიდრე რეფორმამდე ფლობდნენ. ამასთან, შინაყმები და ხიზნები მთავრობამ სავსებით უმიწაწყლოდ დატოვა, ხოლო „ნადელის" სარგებლობისათვის გლეხებს აუტანელი გადასახადები დააკისრა. თბილისის გუბერნიის კერძომფლობელობითი 128574,77 დესეტინა მიწიდან 992 216,11 დესეტინა ანუ 77,17%[1] თავადაზნაურულ საკუთრებად დარჩა. ქუთაისის გუბერნიის კერძომფლობელობითი 638474,19 დესეტინიდან 495125,36 დესეტინა ანუ 77,55% თავად-აზნაურების საკუთრებად დარჩა.

კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი ნიკოლოზ მეორისადმი წარდგენილ მოხსენებაში აღნიშნავდა: „ბატონყმობის გაუქმება ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი საქართველოში, მემამულეთათვის მეტისმეტად ხელსაყრელ და გლეხებისათვის არახელსაყრელ პირობებში მოხდა. მთავრობამ საკუთრივ რუსეთში მიღებული პრინციპებისაგან განსხვავებით, გლეხთა პიროვნული დამოკიდებულების შეწყვეტის გამო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიათა თავად-აზნაურებს გადაუხადა ყოფილ მემამულეთა გლეხების თითოეულ სულზე 25 მანეთიდან 50 მანეთამდე, რამაც შეადგინა 7 მილიონი მანეთის თანხა და ამით უფრო გაზარდა ბატონყმობის დროს არსებული გლეხთა საადგილმამულო ვალდებულებების ნორმები"[2].

[1] Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях, под ред. Ф. Гогничашвили. 1910, стр. XI.

[2] Всеподданейшая записка по управлению кавказским краем ген. адютанта графа Воронцова-Дашкова, 1907, стр. 68.

დაიცვა რა თავისი პირველი მოკავშირისა და დასაყრდენის — ადგილობრივი თავადაზნაურობის ინტერესები, ცარიზმმა მეტროპოლიის ბურჟუაზიასაც გაუხსნა ხელ-ფეხი ამიერკავკასიის ეკონომიური ექსპლოატაციისათვის. გაძარცვული გლეხობის სახით შეუქმნა მას იაფი ადგილობრივი მუშახელი.

ცარიზმის მხარდაჭერით გათამამებულმა ბურჟუაზიამ ახალ ეპოქაში ინტენსიურად მოჰკიდა ხელი კოლონიების ეკონომიურ ათვისებას. უპირველესი საშუალება ამ მხრივ რკინიგზა აღმოჩნდა. რუსეთის „...ბურჟუაზია იწყებს თავის კოლონიებში გიგანტური რკინიგზების შენებას, ქმნის იქ ბაზარს, შეაქვს ახალგაზრდა ქვეყანაში ბურჟუაზიული წყობილების სიმშვენიერენი, იქაც განსაკუთრებული სიჩქარით ზრდის სამრეწველო და სამიწათმოქმედო ბურჟუაზიას, ხოლო მწარმოებელთა მასას მუდამ მშიერ უმუშევართა რიგებში ისვრის“[1] — ასე ახასიათებდა ვ. ი. ლენინი რეფორმისშემდგომი ბურჟუაზიის სწრაფვას განაპირა კოლონიური მხარეებისაკენ, რომელშიც, ცხადია, ამიერკავკასიაც იგულისხმება.

საგლეხო რეფორმა ამიერკავკასიაში დასრულებულიც კი არ იყო, როცა ცარიზმმა აქ დაიწყო სარკინიგზო მშენებლობა. რომელსაც მხარის ეკონომიური ათვისებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. 1871 წ. გაიხსნა რკინიგზის ხაზი ფოთ-ყვირილას შორის, ხოლო 1872 წ. თბილის-ფოთის სარკინიგზო ხაზი. 1883 წ. დაემატა ბაქო-ბათუმის ხაზი. მალე ბაქო-ბათუმის რკინიგზის ხაზს ქუთაისი, ტყიბული და ბორჯომი დაუკავშირდა. თბილისი მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძად იქცა. რკინიგზების მშენებლობას მოჰყვა სარკინიგზო დეპოების და რკინიგზის მთავარი სახელოსნოს შექმნა თბილისში.

რკინიგზების გაყვანამ საქართველოსა და ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებს ადრევე დახარბებული რუსი და უცხოელი საქმოსნები ერთბაშად მიიზიდა. მხარის მრავალფეროვანი მეურნეობის დასაუფლებლად მოზღვავდა რუსული და უცხოური კაპიტალი. ბათუმის შემოერთებამ ამიერკავკასიის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 369.

ვაჭრობის პერსპექტივები გააფართოვა. „რკინიგზებმა, ფოსტა-ტელეგრაფმა დასერეს და შეაერთეს ევებერთელა სახელმწიფოს დაშორებული ადგილები ერთმანეთთან და მათთან ერთად ჩვენი საქართველოც. გემებმა შავი და კასპიის ზღვები გააპეს და ორ ზღვათა შუა ხმელეთის მიუვალი მთები, სადაც მეფეები და მთავრები ომიანობის დროს მტრისაგან თავს იფარავდნენ, რკინიგზებმა გახვრიტეს და ახალმა „ვეშაპმა“ მიაკივლა მიყრუებულ მიდამოებს. ბუნება და ადამიანები შეკრთნენ, გამოიღვიძეს და თვალების ფშვნეტით ქართველი ჯერ შორიდან მიაჩერდა ამ ცხოველს და მერე თვითვე შეაჯდა და გაჰყვა“[1] — წერდა ლ. კეცხოველი გაზ. „ბრძოლის“ ფურცლებზე 1901 წელს. მეტროპოლიის ბურჟუაზია, როგორც წესი, ამიერკავკასიის კოლონიურ მხარეს ეკონომიურ დანამატად ითვალისწინებდა მხოლოდ. მის გეგმებში სრულიად არ შედიოდა ამიერკავკასიის საწარმოო სიმძლავრის შექმნა, ინდუსტრიული განვითარება. კოლონიურ განაპირა მხარეს მეტროპოლიის მრეწველობის ნედლეულით მომარაგება უნდა დაკისრებოდა. ამიერკავკასია ამ მხრივ ბრწყინვალე პერსპექტივებს სახავდა. აქ უხვად მოიპოვებოდა სამრეწველო ნედლეული — ნავთობი, ქვანახშირი, მარგანეცი, სპილენძი; მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო ნედლეული — ბამბა, მატყლი, თამბაქო, ღვინო და სხვ. რუსი და უცხოელი კაპიტალისტები დააცხრნენ ამ ნედლეულს. ინტენსიურად დაიწყო ბაქოს ნავთობის ამოღება და მალე იგი იმპერიის უმძლავრესი ბაზა გახდა (თუ XIX საუკუნის 60-იან წლებში ბაქოში ნავთობის მოპოვება 557,000 ფუთს არ აღემატებოდა, 1902 წლისათვის მან 637,7 მილიონ ფუთს მიაღწია). ბაქოს ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე ბათუმის ნავსადგურიდან წარმოებდა. ამან ბათუმის სამრეწველო აღმავლობა განაპირობა. დაიწყო ჭიათურის მარგანეცისა და ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება, სპილენძის გამოდნობა. მხარის ეკონომიური ექსპლოატაციის ინტენსიურად დაწყებამ საქართველოსა და ამიერკავკასიაში რიგი სამრეწველო საწარმოების აგების საჭიროებაც გამოიწვია. ცარიზმი ძუნწად მიდიოდა ამ დათმობაზე, რადგან კოლონიურ

[1] გაზ. „ბრძოლა“, 1901, სექტემბერი, № 1.

განაპირა მხარეში პროლეტარიატის მრავალრიცხოვანი კადრის გაჩენისა ეშინოდა. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიული საქმოსნები აქ მაინც აგებდნენ ახალ-ახალ საწარმოებს, რომელთა ძირითადი დანიშნულება იაფი ნედლეულის ადგილობრივი დამუშავება და დიდძალი მოგების მიღება იყო. მრეწველობის წამყვანი დარგების განვითარება კი ხელოვნურად ფერხდებოდა. რუსეთის ბურჟუაზიას უფრო აწყობდა რუსეთიდან შემოეტანა თავისი საფაბრიკო-საქარხნო პროდუქცია. კოლონიის, როგორც გასაღების ბაზრის დანიშნულება ამ მხრივაც ვლინდებოდა. ამიერკავკასიის ნახევრად კუსტარული საწარმოები ველარ უძლებდნენ იაფი და მაღალხარისხოვანი საფაბრიკო პროდუქციის კონკურენციას. „თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური“ სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონისა და სოდის, ტყავის და სხვ. შინამრეწველური დამუშავება. ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავიანთ ნაწარმს. ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიური კოსტუმის ევროპულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივი ღვინოსათვის, რომელიც პირველად გამოჰქონდათ გასაყიდად (რაც იწვევდა მეკასრეობის განვითარებას) და რომელიც თავისი მხრივ იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის... კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციისა და მისი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად წარმოებდა აგრეთვე ამ ზრდით მიჩქმალული

პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ“[1].

ამრიგად, ის, რაც ცარიზმმა კავკასიაში ვერ გააკეთა XIX საუკუნის პირველ ნახევარში მისი ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო (ვერ აითვისა ამიერკავკასია ეკონომიურად), გააკეთა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. XIX საუკუნის 80—90-იანი წლებისათვის ამიერკავკასიის ეკონომიური ათვისების პროცესი ინტენსიურად გაიშალა და ამიერკავკასიის ეკონომიური დაპყრობა ძირითადად (და არა სავსებით) დასრულდა.

მართალია, საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც ცარიზმი ერთგვარად ზღუდავდა მრეწველობის განვითარებას, მაგრამ ამ შეზღუდვას არ ჰქონია მკაცრი, ამკრძალავი ხასიათი. ამიერკავკასია არ იყო ისეთი ტიპის კოლონია, როგორიც, მაგალითად, ინდოეთი ან აფრიკის ქვეყნები. ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობისა და ეკონომიური ათვისების მთელი პროცესი, იმპერიის მმართველი ზედაფენის თვალსაზრისით, იყო ამ მხარის რუსეთის პოლიტიკურ სხეულთან შერწყმის პროცესიც. ცარიზმი ამ ქვეყნებს „თავისად“ უყურებდა და სრულიადაც არ აწყობდა მისი ხალხის მიტოვება მარტო კოლონისტ-მტაცებელთა ანაბარა. შემოერთებული განაპირა ნაციონალური რაიონების იმპერიის სხეულთან შერწყმისათვის ბრძოლა და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ნიველირება ერთგვარად დადებითი და პროგრესული იყო ამ ხალხებისათვის, რადგან ხელს უწყობდა ეკონომიური ცხოვრების სწრაფ აღმავლობას, ეს იყო ის სპეციფიკა, რომელიც რუსეთის „შინაგან კოლონიებს“ განასხვავებდა, ვთქვათ, ინგლისის კოლონიებისაგან.

XIX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში შეიქმნა მთელი რიგი სააქციო საზოგადოებანი (ადელხანოვის, ტაიროვ-ალიხანოვის თამბაქოს ფაბრიკების, იარალოვის ლითონდამმუშავებელი წარმოებისა და სხვ.). რუსეთის კაპიტალისტ-მრეწველები თავისუფალი კონკურენციის ვითარებაში საქართველოშიც იწყებდნენ მხრების გაშლას. ცარიზმს ამ წამოწყებათათვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. დამახასიათე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3. გვ. 703—704.

ბელია, რომ ცარიზმის მიერ ადგილობრივ ვაჭარ-მრეწველთა ინიციატივის დაშვების პოლიტიკა ტარდებოდა სწორედ იმ დროს, როცა გაცხოველებით მიმდინარეობდა ბრძოლა ეროვნული კულტურის, პირველ რიგში, ქართული ენის წინააღმდეგ (დონდუკოვ-კორსაკოვის, იანოვსკის და სხვ. ღონისძიებანი). ამაშიაც იჩენდა თავს „შინაგანი კოლონიებისათვის“ დამახასიათებელი ასიმილატორული ტენდენცია. რუსეთის ბურჟუაზიის მიერ ამიერკავკასიის ეკონომიური დაპყრობა-ექსპლოატაციის მთელ ამ პროცესს ერთგულად ემსახურებოდა ცარიზმი, რომელმაც ადრევე განახორციელა მისი პოლიტიკური დაპირება და ახლა რუსი ჯარისკაცის ხიშტებით იცავდა მეტროპოლიის ბურჟუაზიის მძარცველურ საქმიანობას.

*
* *

ამიერკავკასიის დაპყრობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა მხარის კოლონიზაცია, ე. ი. თავისუფალ მიწაზე უცხო ხალხის ჩასახლება. კოლონიზაციას აქ ცარიზმი პოლიტიკური და ეკონომიური მოსაზრებით ახორციელებდა. იგი იმედოვნებდა, რომ კოლონისტები გადაიქცეოდნენ საიმედო დასაყრდენად ადგილობრივი მოსახლეობის გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. შეაფერხებდნენ ადგილობრივი ეროვნული კონსოლიდაციის პროცესებს, გააღვივებდნენ ნაციონალურ და რელიგიურ შუღლს, რაც საბოლოო ჯამში მას დაპყრობილი ხალხის ძარცვას და დამორჩილებას გაუადვილებდა. კოლონიზაციას უნდა მოჰყოლოდა გავერანებული, აუთვისებელი მიწების დამუშავება, ამასთან მეურნეობის იმ სახის განვითარება, რომელსაც მეტროპოლიის ბურჟუაზია საჭიროებდა. კოლონისტების დახმარებით გაადვილდებოდა მხარის გადაქცევა ცარიზმის სამრეწველო წარმოების ნედლეულის წყაროდ, მის სამეურნეო დანამატად.

გეგმები ამიერკავკასიის კოლონიზაციისათვის ამ ქვეყნების პოლიტიკური დაპყრობისთანავე ჩაისახა და ხორციელდებოდა კიდეც. კნორინგისადმი ბრძანებაში ალექსანდრე პირველი მიუთითებდა: „განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ საზღვარ-

გარეთიდან საქართველოში ქრისტიანი კოლონისტების მოზიდვას", კნორინგს ამ მიზნით უნდა შეედგინა მხარის ტოპოგრაფიული და კამერალური აღწერა, აღერიცხა გაველარებული ადგილები, კოლონისტები დიდი რაოდენობის მიწების მიცემით უნდა მიეზიდათ[1].

სამეგრელოს ქვეშევრდომობაში აყვანისთანავე პეტერბურგში დაიბადა აზრი შავი ზღვის სანაპიროზე კაზაკთა კოლონიზაციისა. ამ საქმის გამო ადამ ჩარტორისკი პ. ციციანოვს სთავაზობდა კაზაკ კოლონისტთა მოწყობის წინადადებას და გეგმებს, მაგრამ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას აფერხებდა, თუმცა ამ პერიოდშიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობდა თურქეთის პროვინციებიდან ლტოლვილ სომეხთა და ბერძენთა დასახლება[2]. 1810-იანი წლებიდან საქართველოს კოლონიზაციის საკითხს აქტიურად აყენებენ აქაური მთავარმართებლები: რტიშჩევი, ერმოლოვი, პასკევიჩი და სხვები. 1812 წელს შედგენილ იქნა საქართველოს თავისუფალი მიწების კოლონიზაციის პროექტი. რტიშჩევმა 1814 წელს იმპერატორს წარუდგინა „სრულიად საქართველოს გენერალური რუკა", ვრცელი ახსნა-განმარტებით, სადაც მხარის ინტენსიური კოლონიზაციის იდეას აყენებდა. მისი აზრით, კოლონისტები საქართველოში დანერგავდნენ მანუფაქტურულ წარმოებას და აქაურ ნაყოფიერ, მაგრამ გაველარებულ მიწებს ააყვავებდნენ. ადგილობრივ მცხოვრებლებს მისცემდნენ მეურნეობის წარმოების ნიმუშს[3]. ასევე გულმოდგინედ ახასიათებდა საქართველოს კოლონიზაციის აუცილებლობას ერმოლოვი. იგი უპირატესობას ანიჭებდა გერმანელ კოლონისტებს, რომელთაც, მისი აზრით, აქვთ საკმაო ცოდნა მეურნეობის უკეთ დაყენებისათვის და შეუძლიათ ადგილობრივ მცხოვრებლებს მისცენ მეურნეობიდან სარგებლობის კეთილი მაგალითი[4].

კოლონიზაციისადმი მისწრაფების მიუხედავად, ცარიზმმა

---

[1] Акты, т. I, стр. 435—436.

[2] იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტომი I, 1949, გვ. 463—465.

[3] Акты, т. V, стр. 932—933.

[4] იქვე, ტ. VI, გვ. 248—249.

საქართველოში გაბატონების პირველ 15 წელს მხოლოდ კოლონისტის 300-მდე ოჯახი დაასახლა. 1817 წლიდან ეს პროცესი გაცხოველდა. ალექსანდრე პირველმა გერმანელ სექტანტებს ნება მისცა კავკასიაში დასახლებისა. ბავარიიდან დაძრული 7 000 გერმანელი სექტანტი 1817 წელს უკვე ოდესაში ჩავიდა. მთავრობამ 1 000 000 მანეთი გაიღო კოლონისტთა მოსაწყობად ამიერკავკასიაში. ამავე წლის სექტემბერში თბილისს უკვე მოადგა გერმანელ კოლონისტთა პირველი ჯგუფი. მთავრობამ კოლონისტები ჩაასახლა სართიჭალაში, დიდუბის სახაზინო მიწებზე, კუკიაზე, ბორჩალოს დისტანციაში, შამქორის, განჯის სახაზინო მიწებზე, აბასთუმანსა და სხვ.

გერმანელ კოლონისტთა ეს 494 ოჯახი (რომელთაც ამიერკავკასიის საუკეთესო ნაყოფიერი ადგილები მიეცათ, 19 164 დესეტინა) მთავრობამ ყოველმხრივ უზრუნველყო და იმედოვნებდა, რომ ეს დანახარჯი ანაზღაურებული იქნებოდა მეურნეობის სანიმუშო მოწყობით, მაგრამ მთავრობის იმედი არ გამართლდა. სექტანტებს არ აღმოაჩნდათ გერმანელი გლეხისათვის დამახასიათებელი შრომისმოყვარეობა და უნარი. 1919 წ. კოზოდავლევისადმი მოხსენებაში ერმოლოვი ჩიოდა კოლონისტთა უზნეობასა და ზარმაცობაზე. ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ კოლონიზაციისკენ მისწრაფება 20-იან წლებში მინელდა.

რუსეთ-ირანის (1826—1827) და რუსეთ-თურქეთის (1828—1829) ომებმა ამიერკავკასიის კოლონიზაციის პროცესი გააინტენსიურა. ირანის აზერბაიჯანიდან 1828—1829 წლებში ამიერკავკასიაში პასკევიჩის ინიციატივით გადმოსახლდა დაახლოებით 8249 ოჯახი სომხებისა, რომლებიც ძირითადად ნახჭევნის ოლქში დაასახლეს.

1829—1831 წლებში თურქეთის საფაშოებიდან (არზრუმი, ყარსი, ბაიაზეთი) ამიერკავკასიაში გადმოსახლდა 14 044 ოჯახი (დაახლოებით 84 000 სული), გადმოსახლებული ბერძნებისა და სომხების (7052 სული) 1119 ოჯახი წალკის რაიონში დაასახლეს. რუსეთის მთავრობას ამიერკავკასიაში სომხების თურქეთიდან გადმოსახლების ვრცელი გეგმა ჰქონდა 1856 წელს, როცა კავკასიის ფრონტზე რუსეთის საომარმა ოპერაციებმა წარმატება განიცადა, მაგრამ ეს გეგმა არსე-

ბითად ჩაიშალა. 1854—1856 წლებში ამიერკავკასიაში სულ 176 ოჯახი გადმოსახლდა, მათ შორის იყვნენ მუსლიმანები და კერპთაყვანისმცემელი იეზიდებიც[1].

ამიერკავკასიის პოლიტიკურ შემომტკიცებას ცარიზმმა მთელი ნახევარი საუკუნე მოანდომა. მთიელთა წინააღმდეგ დაწყებული ომი თანდათან ფართო და საშიშ ხასიათს იღებდა. დაპყრობილთა სეპარატისტული განწყობილება ღვივდებოდა, ასეთ რთულ ვითარებაში ცარიზმმა მიზანშეწონილად მიიჩნია ამიერკავკასიის კოლონიზაცია რუსულ სამხედრო დასახლებათა მოწყობით. რუსული კოლონიების შექმნისას ცარიზმის მიზანდასახულობა ნათლად გამოსჭვივის ბარონ როზენის მიმართ ნიკოლოზ პირველის ბრძანებაში, სადაც ნათქვამია: „შედგენილ იქნას პროექტი კავკასიის სამხედრო კოლონიზაციისა, სადაც დასახლებულ იქნან ცოლიანი რიგითი ჯარისკაცები, რომელთაც 15-წლიანი სამსახურის ვადა მოიხადეს, რათა შეიარაღებული რუსი მოსახლეობის დაბინავებით უფრო და უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ბატონობა კავკასიაში და ამგვარ დასახლებათა საშუალებით, რამდენადაც შესაძლებელია, დავიახლოოთ კავკასიის ხალხები“[2].

რუსული კოლონიზაცია წმინდა ეკონომიური მოსაზრებითაც წარმტაცად ესახებოდა ცარიზმს. ამიერკავკასიამ რუსეთს უნდა მისცეს ის პროდუქცია, რომელსაც ევროპას ორივე ინდოეთი აძლევს, ხოლო ასეთ ინდოეთად ამ მხარის გარდაქმნას ხელს შეუწყობს ამ ქვეყნის რუსებით კოლონიზაციაო, ამტკიცებდა ჟურ. „სინ ოტეჩესტვა“. 1827 წელს ცარიზმმა განიზრახა კიდეც ამიერკავკასიის სასაზღვრო რაიონებში უკრაინიდან 80 000-მდე სული კაზაკი დაესახლებინა, მაგრამ ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა. სამაგიეროდ, 30-იანი წლებიდან ამიერკავკასიის სხვადასხვა სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტში შეიქმნა სამხედრო კოლონიები (თბილისის გარეუბანი, წალკა, მანგლისი, ახალციხე, განჯა და სხვ.).

ცარიზმი ხელგაშლით ახორციელებდა რუსეთის ტერიტო-

---

1 იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. I, გვ. 611.

2 იქვე, გვ. 615.

რიაზე მოსახლე ერეტიკოს-მწვალებელთა ამიერკავკასიაში გადასახლებას. ოციან წლებში შავი ზღვის სანაპიროზე დაიწყო სკოპცების დასახლება. ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ამიერკავკასიას მოაწყდა რუსეთიდან გადმოსახლებული დუხაბორების დიდი ჯგუფი, რომლებიც დასახლებულ იქნენ შირვანის და ყარაბახის რაიონებში, ახალციხისა და ბორჩალოს მაზრებში. 40-იანი წლების დასაწყისში დუხაბორთა ახალი ჯგუფები დასახლებულ იქნენ ნახჭევნის, თალიშის და ყუბის მაზრებში. 1855 წლისათვის ამიერკავკასიაში უკვე იყო 50 რუსული სექტანტური სოფელი 3524 ოჯახით (22 351 სული: მალაკანები, დუხაბორები, სუბოტნიკები, სკოპცები და სხვ.).

60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმების შემდეგ კაპიტალიზმის ინტენსიური განვითარების პერიოდში ცარიზმი ამიერკავკასიის კოლონიზაციის გეგმებს აფართოებდა, ამასთან ამიერიდან იბრძოდა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე მხოლოდ რუსული მოსახლეობის მომრავლებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის გლეხური მოსახლეობა მიწის დიდ სივიწროვეს განიცდიდა და სრულიად უმიწაწყლო გლეხთა რაოდენობაც საკმაოდ დიდი იყო, მთავრობა რუს კოლონისტებს აძლევდა საუკეთესო და დიდი რაოდენობის მიწებს, უწევდა მათ ფულად და ნატურალურ დახმარებას. თუ 1908 წლამდე კოლონისტებისათვის ცარიზმს ამიერკავკასიაში გამოყოფილი ჰქონდა 258 580 დესეტინა საუკეთესო მიწა, 1908—1912 წლებში დამატებით გამოჰყო 217 601 დესეტინა. 1908—1912 წლებში ცარიზმმა ამიერკავკასიაში ჩაასახლა დაახლოებით 6560 რუსი ოჯახი[1]. ვ. ი. ლენინი, დაუნდობლად ამხელდა რა ამიერკავკასიაში ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის არსს, მიუთითებდა: „თუ მცირემიწიანების მხრივ კავკასიელ გლეხთა მდგომარეობა ბევრით არაფრით განსხვავდება რუსეთის გლეხთა მდგომარეობისაგან, მაშინ საკითხავია — საიდან იქმნება მიწის საკოლონიზაციო ფონდი კავკასიაში და რისთვის ხდება იქ გადასახლება ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი გლეხების განსახლება მოახდინონ?

---

[1] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. I, გვ. 740.

„გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილ-მამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის“ კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის“[1].

—

* * *

ცარიზმის სამხედრო ძალებით ახალი ტერიტორიების დაპყრობას ყოველთვის მოჰყვებოდა და საქართველოშიც მოჰყვა რუს მოხელეთა მზა შტატი, რომელსაც იარაღით შემომტკიცებული მხარის რუსული სულისკვეთებით მართვა ეკისრებოდა. ამასთან, მოხელეთა უმრავლესობა დაპყრობილი მოსახლეობის ძარცვას და მის ხარჯზე გამდიდრებას ესწრაფოდა.

სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც საქართველოში ცარიზმმა დაამყარა, თავისი ბუნებით შეუთავსებელი იყო ხალხისათვის, რომელიც მმართველობის სრულიად სხვაგვარ, მარტივ და ადვილად ასატან წესებს იყო შეჩვეული. მოსახლეობამ ვერაფერი გაიგო რუსული ბიუროკრატიული აპარატის ბუნებისა. გუბერნატორები, პოლიცმაისტრები, კაპიტან-ისპრავნიკები, კომენდანტები მისთვის სრულიად უცხონი და მიუღებელნი გახდნენ. რაც მთავარია, მოსახლეობას არ ესმოდა ენა ამ ახლად მოვლენილი მმართველებისა და ახალი წესების შეგუებისადმი მისწრაფების შემთხვევაშიც მოხელეებსა და ხალხს შორის უფსკრული იყო გათხრილი.

მაგრამ უბედურება მარტო ის როდი იყო, რომ ქვეყნის ახალი მართვა-გამგეობა თავისი ბუნებით ქართველი ხალხისათვის მიუღებელს, მის ტრადიციებთან შეუთავსებელს და უცხოს წარმოადგენდა. ხალხის ისედაც მძიმე მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა და პირდაპირ აუტანელს ხდიდა მოხელეთა უმრავლესობის თვითნებობა და ძალმომრეობა. უკულტურო და უზნეო მოხელენი გაუგონარ ბოროტმოქმედებას სჩა-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 101.

დიოდნენ დაპყრობილ ქვეყნებში. უმოწყალოდ ძარცვავდნენ მას პირადი გამდიდრების მიზნით, აბუჩად იგდებდნენ და შეურაცხყოფდნენ მოსახლეობის ადამიანურ ღირსებებს.

ასეთი უზნეობის და სიხარბის, მექრთამეობისა და მტაცებლობის ტიპიური განსახიერება იყო საქართველოს პირველი მმართველი კოვალენსკი, რომელმაც იმდენი სისაძაგლე ჩაიდინა, რომ არა მარტო ქართველი საზოგადოებრიობა, არამედ ცარიზმის მმართველი ზედაფენაც მოთმინებიდან გამოიყვანა. კნორინგის ნაცვლად 1803 წ. კავკასიაში მოვლინებული ციციანოვი აღშფოთებული იყო მმართველობაში გამეფებული ქაოსითა და ბოროტმოქმედებით და კოვალენსკის სწერდა: „თქვენ შეურაცხყოფდით მათ (ქართველებს) თქვენის ქცევით და ამით აიძულეთ შეეძულებინათ მმართველობა იმ ზომამდე, რომ მე აქ ვიხილე საშინელი დრტვინვა რუსული მმართველობის წინააღმდეგ“[1]. ცარიზმის ოფიციალურ დოკუმენტებში კოვალენსკის ბოროტმოქმედების შესახებ მრავალი ფაქტი მოიპოვება. განსაკუთრებით უდიერად ექცეოდა იგი ქართველ ბატონიშვილებს და უმაღლესი წრის თავადაზნაურობას, რის გამოც გააღვივა კიდეც რუსული მმართველობისადმი სიძულვილი. „ადამიანთა არც ერთი ტომი ისე არ დამცირებულა, როგორც საქართველო“ — წერდა კოვალენსკის საქციელით შეშფოთებული გარსევან ჭავჭავაძე. ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსები სავსებით ადასტურებენ ხალხისათვის ახალი მმართველობის შეუთავსებლობას და ამის დახმარებით რუს მოხელეთა ბოროტმოქმედების უსაზღვროებას.

მოხელეთა თვითნებობა, — აღნიშნავს ისტორიკოსი ნ. დუბროვინი, — უკიდურეს საზღვრამდე აღწევდა. ქართველმა ხალხმა, რომელიც მრავალრიცხოვანი სამეფო გვარის გამანადგურებელ უღელს გაურბოდა, თანამედროვის მოწმობით, თავს დაიდგა უფრო მძიმე უღელი კოვალენსკის ნათესავებისა, რომლებსაც საქართველოს მთავრობაში უმთავრესი ადგილები ეჭირათო[2].

„იმ ბოროტმოქმედებათა გარდა, რომლებიც საქართველოს

---

[1] Акты, т. II, стр. 20.

[2] იხ. Н. Дубровин, Тысяча восемьсот второй год в Грузии.

მმართველ კოვალენსკისა და მის მოხელეთა მიერ იქნა ჩადენილი და რომელთაც ხალხის საყოველთაო აღშფოთება და დრტვინვა გამოიწვიეს, ახალი მმართველობა უძლური იყო ვინმე დაეკმაყოფილებინა, რადგან 12 სექტემბრის მანიფესტით აღიარებულ კეთილ ზრახვებს დაუპირისპირდა გარემოებანი, რომელთაც მმართველობის მოწყობა არ ითვალისწინებდა. ექსპედიციები და საერობო მმართველობა, ჩვეული რუსული ფორმალობით ინსტანციებიდან ინსტანციებში, დაწესებულებიდან დაწესებულებაში საქმეების გადატანა, ყოველივე ეს უცხო და აუტანელი აღმოჩნდა ხალხისათვის, რომელიც საქმის ასე გაჭიანურებას როდი იყო შეჩვეული... მმართველობის სუსტი მხარე იყო მოხელეთა მხრივ ენის უცოდინარობა მაღალ და დაბალ დაწესებულებებში... სამოქალაქო საქმეების წარმოება ვახტანგის კანონიერებისა და ქართულ ზნე-ჩვეულებათა მიხედვით ვერ განხორციელდებოდა, რადგან არ არსებობდა სათანადო სახელმძღვანელო ინსტრუქცია. ამასთან, როგორც დაბალ მოხელეებს, რომლებიც ხალხთან ახლოს იდგნენ და საპოლიციო მმართველობის გაძღოლა ევალებოდათ, ასევე მაღალი თანამდებობის მოხელეებსაც ვახტანგის კანონებსა და ადგილობრივ ჩვეულებებზე წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ. მათ არ გაეგებოდათ იმ ხალხის არც ენა, არც სული და ხასიათი, რომელსაც მართავდნენ"[1] — წერდა ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსი ს. ესაძე ვორონცოვ-დაშკოვისადმი 1907 წელს წარდგენილ თავის მოხსენებაში.

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი, რომლის ყურამდეც მიაღწია ხალხის აღშფოთების ხმამ, იძულებული შეიქნა კნორინგი და შემდეგ კოვალენსკიც გადაეყენებინა. უმაღლეს მთავარსარდლად კავკასიას მოვლენილი ციციანოვი და საქართველოს მმართველი ტუჩკოვი თითქოს შეუდგნენ რუს მოხელეთა ბოროტმოქმედების აღკვეთის ღონისძიებათა გატარებას, მაგრამ მდგომარეობის არსებითი შეცვლა არ იყო მოსალოდნელი და არც მომხდარა. ცარიზმის პოლიტიკა სა-

---

[1] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом... стр. 56—57.

ქართველოს მიმართ პრინციპში უცვლელი რჩებოდა[1]. ციციანოვმა, გაცილებით ჭკვიანმა და გამოცდილმა მოხელემ, ვიდრე კნორინგი იყო, პირიქით, უფრო გეგმაზომიერად მოჰკიდა ხელი რუსული მმართველობისადმი მტრული დაჯგუფებების ლიკვიდაციას და ცარიზმის პოზიციების განმტკიცებას სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით.

ციციანოვს უკეთ, ვიდრე სხვას, გაეგებოდა რუსული მმართველობის შეუთავსებლობა დაპყრობილი ხალხისადმი, მაგრამ არსებითი ცვლილებებისაგან მაინც თავს იკავებდა, რი.ჲ ამით, მისი აზრით, რუსეთის მთავრობის პრესტიჟი არ შელახულიყო. მიუხედავად ამისა, ციციანოვმა პეტერბურგში წარადგინა მოსაზრებანი მმართველობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ (მაგალითად, საქართველოს მმართველის ნაცვლად საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობის შემოღება, მაზრებში საოლქო სამმართველოს შექმნა, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების ექსპედიციების გაერთიანება და სხვ.). პეტერბურგში ეს მოსაზრებანი გაიზიარეს[2], მაგრამ მათი პრაქტიკული გატარება ციციანოვს აღარ ხვდა წილად.

საქართველოს მმართველ უმაღლეს მოხელეებზე გაცილებით მეტ სისაძაგლეს სჩადიოდნენ სამაზრო მმართველობის მოხელენი, კერძოდ, კაპიტან-ისპრავნიკები, რომელთაც საქმე უშუალოდ მოსახლეობასთან ჰქონდათ. ისინი განუკითხავად ძარცვავდნენ, ცემდნენ და შეურაცხყოფდნენ, სახლკარს უწვავდნენ და ხშირად სიცოცხლეს ასალმებდნენ გლეხებს, რომლებსაც ამ მოხელეების მიერ დამკვიდრებული წესის და რუსული ენის არაფერი გაეგებოდათ. ქართველი გლეხობა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლას მხარდაჭერით შეხვდა და რუსეთისაგან ქვეყნის დაცვას, მშვიდობას და სჯულის პატივისცემას მოელოდა. სინამდვილეში გლეხებს იმედი გაუცრუა და ძველი დრო, როცა ქვეყანას ქართული ადათ-წესებით მართავდნენ, სანატრელი გაუხადა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოს მთიანეთი, კერძოდ, და-

[1] შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, VIII, 1940, გვ. 34.

[2] იქვე, გვ. 58.

რიალის უღელტეხილის გასწვრივ მოსახლე გლეხობა, რომელთაც დაეკისრა განსაკუთრებით მძიმე ბეგარა სახელმწიფო გზის მოვლა-პატრონობისა. ცარიზმის დროსვე გამოქვეყნებულ ოფიციალურ მასალებში, კერძოდ, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ აქტებში მოტანილი მასალაც კი ცხადყოფს ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის შემაძრწუნებელ ხასიათს. ანანურის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი, როცა ყამურის ხეობაში შევიდა (1804 წ. 27 მარტს), „შეიპყრო ოსები და გობში, საიდანაც ძაღლებს აჭმევდნენ, ჩაასხა ყველის შრატი, ჩაყარა შიგ მკვდარი კატები, სხვა უწმიდურება და აჭამა მათ. ასევე ოსების 8 სახლს ცეცხლი წაუკიდა. ხანძარში 3 000 კოდი ქერი დაიღუპა“[1]. კაპიტან-ისპრავნიკი შეუბრალებლად აწიოკებდა მთიელთა სოფლებს, განუკითხავად მიერეკებოდა მათ სამუშაოზე, ართმევდა ხარ-ურემს, წლის სარჩოს, ამასთან 'ძეურაცხყოფდა მათ.

მთიელმა მოსახლეობამ ვერ გაუძლო ასეთ ძარცვა-აწიოკებას და როცა მოხელეთა ძალადობას ჯარში გაწვევის ამბავიც დაერთო, მთამ ხელთ აიღო იარაღი რუსი მოხელეებისა და ჯარის გასადევნად. იმავე აქტებში მოტანილია დოკუმენტი, რომელიც მთიელთა 1804 წლის აჯანყების მიზეზებს გვაუწყებს. მთიელები თავიანთ გამოსვლას შემდეგნაირად ასაბუთებდნენ:

„) კაცისაგან თითქმის მოუთმენელს სიცივეში სტეფანწმინდიდამ ანანურამდენ საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავსწმინდეთ.

2) ჩვენგან გაკეთებულს ამავ გზაზე წვიმისაგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს; ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვღგნენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაგათხეველი ჯაუნარისძე.

3) მოვიდა თოვლი და ამოიცსო ჩვენგანავე გაკეთებული გზა; ასეთს დროს მოგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს; წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიშოთემ

[1] Акты, т. II, стр. 305.

ხმლის ცემით მიგვყარა, წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი კაცი იქ გაიჭყლიტა.

4) მოვიდნენ ოთხმოცი სალდათი და თორმეტი ცხენიანი ყაზახი; ამათ უნდებოდათ დღეში სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი. ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს.

5) ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ქირა; ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი. — ესეც მოვითმინეთ.

6) ორნი დედაკაცნი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახითა სცემდნენ.

7) გვიბრძანეს და ოთხი საკრე დავსწვით: ერთი ზაჭათკარს, მეორე ბურდულისკარს, მესამე ნადიბარის კარზე და მეოთხე ამირიძის კარზე.

8) თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს ერთობით ჯარში უნდა წამოხვიდეთო და იქედამ გავიგონეთ ჩვენ უნდა წავეყვანეთ, ჩვენთან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენს უკან სალდათი და შეწყვდეულნი ცემით რუსეთს უნდა გადავერეკნეთ. დედაკაცნი და რომელნიც წვრილნი, შინ დარჩებიან, ხიდების საკეთებლად კირი იმათ უნდა ვაზიდვინოთო, — ესეები იმათგან გავიგონეთ.

9) დაგვიდვეს ფიცით შვიდის წლის სითარხნე, არც ერთი წელი დაგვაცალეს: წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვისაც, დებულების მაგივრად სულ თეთრი გამოგვართვეს ორის წილისა, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერც ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატანინეს თეთრი და წაიღეს. გამოგვართვეს ცხვარზედ ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი, ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთ ლიტრა ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი.

10) ვისაც თითო კოდი ქერი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰკითხეს.

11) ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ და ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ, ჩაფარიც თავიანთი ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ, ქერსა და თივას უფასოთ გვართმევდნენ და ცხენსაც უქირაოდ და კურიელიც ჩვენი ცხენით დაჰყავდათ.

ჩვენ ამ ზემო ხსენებულის მწუხარებისაგან, რომელნიც ყოვლადმოწყალის ხელმწიფის უძლეველის ჯარის საქართველოში გაძლიერებას ღმერთსა ვსთხოვდით, ახლა ამას ვითხოვთ, რომ მსწრაფლის განსაცდელით ერთობით დავინთქნეთ. ჩვენ ძალს არ ვიქადით, რომ რუსთ ვებრძოდეთ. ჩვენ ერთობით აწ ეს ვირჩიეთ, თუ სხვა არა მოგვეველინა რა განსაცდელი ამ მოუთმენელის მწუხარებისაგან, ჩვენის ხელით ჩვენს სახლს ცეცხლი უნდა მოუკიდოთ, ცოლშვილი შიგ შევყაროთ, ჩვენც შიგ შევიდეთ და დავიწვნეთ. ამ ტანჯვას და მათრახით სიკვდილს და ჩვენის ცოლებისას უწესოს საქმით დახახვას ეს გვირჩევნია, რომ ასე დავიხოცნეთ, — მარტო მთიულეთში ცემით ოცდა სამი კაცი მომკვდარა სხვას გარდა"[1].

ჩვენ ამ და სხვა მასობრივ მოძრაობათა შინაარსსა და ზომართულებაზე ცალკე თავში ვილაპარაკეთ, აქ ეს ფაქტები იმისთვის მოგვაქვს, რომ ცხადვყოთ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის აუტანელი ხასიათი. ერთსაც დავძენთ, როცა ფრონტზე მყოფმა ციციანოვმა გაიგო მთიელთა აჯანყების ამბავი, თავის ხელქვეითებს ბრძანება მისცა: „დაუნდობლად სჩეხეთ და აკუწეთ მეამბოხენი, გაანადგურეთ მათი სოფლები. ხელი უნდა ავიღოთ შეწყალების ყოველგვარ აზრზე. მათ ისე უნდა მოექცეთ, როგორც ბოროტმოქმედთ და ბარბაროსებს"[2].

ციციანოვის მომდევნო მმართველების დროს საქართველოს კოლონიური ექსპლოატაციის პროცესი უფრო გაძლიერდა, მოსახლეობის ადგილობრივ ბატონყმურ ჩაგვრას რუსი მოხელეთა დაკანონებული ძალადობა გადაეხლართა.

რუსულ მმართველობას ხელიც არ უხლია ადგილობრივ თავად-აზნაურთა პრივილეგიებისათვის. ბეგარა-გამოსაღებები, რომელთაც ყმა გლეხები ბატონებს უხდიდნენ, უცვლელი დარჩა. მთავრობამ გლეხობა სამარცხვინოდ მიუგდო თავადაზნაურობას, რომლის გულისმოგებაც მას აწყობდა: 1807 წლის ბრძანებით გლეხების სამოქალაქო საქმეთა გარჩევაც თავადაზნაურ მემამულეთა ხელში გადავიდა. რუსული მმართველობის მიერ დაწესებულ ვალდებულებათაგან განსაკუთრებით

---

[1] Акты, т. II, стр. 311.

[2] Н. Дубровин, Закавказье.., стр. 351.

აუტანელი გლეხობისათვის საგზაო ბეგარა გახდა. 1803 წლიდან მოკიდებული „საქართველოს ყოველწლიურად მშვიდობიანობის დროსაც კი უფასოდ გამოჰყავდა 112—154 ათასამდე ურემი, ხარ-კამეჩით შებმული და 99 780 სატვირთო ცხენი თავისი ჩალვადრებით". — არანაკლებ გამანადგურებელი იყო მეორე ბეგარაც — რუსეთის საოკუპაციო ჯარის გამოკვება ადგილობრივი პურით, რომელსაც მმართველობა იძენდა მის მიერ დაწესებულ ფასებში. მთავრობა თვითეულ მაზრას აწერდა პურის ჩაბარების სავალდებულო რაოდენობას, თვითვე აწესებდა ფასებს, რომელიც საბაზრო ფასის ნახევარს ან მეოთხედს შეადგენდა მხოლოდ. „ფასების დაწესებასა და განაწილების შესახებ, რეკვიზიციის წესით — სამუალებასა და მოსავლის ანგარიშგაუწევლად, — იგზავნებოდნენ პროვიანტ-კომისიონერები, თვითეულ მათგანს ყაზახთა რაზში ახლდა, რომელსაც მთელი ოპერაციის განმავლობაში მცხოვრებნი ინახავდნენ თავიანთი ხარჯით; დახმარება ამ რაზმებისა. რომელნიც ვითომდა სახაზინო ფულების დასაცავად იყვნენ იქ, აუცილებელი იყო პურის შესყიდვის დროს, ვინაიდან ფასის სიმცირით ხალხი ფრიად იყო გამწარებული. თავის საკუთრებას იცავდა და ისე არ ელეოდა მას, სანამ ძალით არ წაართმევდნენ და ხორციელად არ დასჯიდნენ. ხანდახან პროვიანტის გამოღება გაწერის მიხედვით ისეთ სოფლებს დაეკისრებოდა ხოლმე, რომელთაც რაიმე მიზეზის გამო საკუთარი პური არ ჰქონდათ და იძულებული იყვნენ სხვებისაგან შეესყიდათ იგი. ამისთანა შემთხვევაში კომისიონერები შემდეგ ორივ მიმართავდნენ: თვითონ იძენდნენ მათ მაგიერ პროვიანტს და მათგან ფულს ღებულობდნენ, მაგრამ არა სახაზინო ფასების მიხედვით; გარდა ამისა, ფულს ახდევინებდნენ მცხოვრებთ აგრეთვე მოტანასა და ჩაბარებაში, ვინაიდან პურის ჩაბარების დროს მცხოვრებს ყოველთვის გაწერილზე მეტს ართმევდნენ"[2]

ა. ჭავჭავაძეს, როგორც ქართველთა ანტიკოლონიური მოძრაობის თანამგრძნობს, შეიძლება დავწამოთ სურათის გამუქე-

[1] ა ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801—1831 წლამდე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 247.

[2] იქვე, გვ. 248.

ბა, მაგრამ მის მიერ აღნიშნულ ფაქტებს ადასტურებენ ცარიზმის ოფიციალური მოხელენიც, ადასტურებს ცარიზმის ოფიციალური ისტორიოგრაფიაც.

1829—1831 წლებში საქართველოში სარევიზიოდ მრველნილი სენატორი მეჩნიკოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა: „ბევრ მცხოვრებს ართმევდნენ უკანასკნელ ლუკმას და სათესლე პურსაც კი არ უტოვებდნენ. საჩაზინო გლეხები ვალდებული იყვნენ სხვა გლეხებზე სამჯერ მეტი პური ჩაებარებინათ. უფრო მეტიმე იყო პურის გადაზიდვა ხანდახან სამასი ვერსის მანძილზე. კარგავდნენ რა თავიანთ საქონელს შორეულ სამხედრო ტრანსპორტზე და ჭირისგანაც, მათ ტრანსპორტის გასამართავად სხვა საქონელი უნდა დაექირავებინათ და მასში იმ ფასზე ხუთჯერ მეტი უნდა გადაეხადათ, რაც ხაზინისაგან იყო დაწესებული... საგადასახადო პურს გაწერილზე მეტი რაოდენობით კრებდნენ ადგილობრივი უფროს-მოხელენი და თავისთვის იტოვებდნენ"[1]. ცარიზმის მოხელეთა მექრთამეობის, გამომძალველობის, მოსაჯლეობის აბუჩად აგდების მრავალი ფაქტი აქვს მოტანილი ისტორიკოს დუბროვინს. საკმაოდ დიდი მასალა მოიპოვება კოლონიური ჩაგვრის აუტანელი ხასიათის შესახებ „აქტებშიც".

1812 წლის კახეთის აჯანყების მასალებში, კერძოდ საგამომძიებლო კომისიის საქმეებში, სადაც თავმოყრილია აჯანყებული სოფლების საჩივრები და სათხოვრები, დაწვრილებითაა აღწერილი ის უბედურება, რაც ახალი მმართველობის შემოღებით დაატყდა თავს მოსახლეობას[2].

გლეხები ჩივიან კაპიტან-ისპრავნიკების უსამართლობასა და ძალადობაზე, საგზაო ბეგრის სიმძიმეზე, სასამართლოს მოხელეთა მექრთამეობა-გამომძალველობაზე, საოკუპაციო ჯარების

---

[1] Акты, т. VIII, стр. 10—11.

[2] კახეთის 1812 წლის აჯანყების მასალები, კერძოდ, პაულიჩის მიერ დანიშნული კომისიის სახელზე აჯანყებული სოფლების მოსახლეობის საჩივრები და სათხოვრები, რომლებიც ახლა მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში ინახება, შეისწავლა და გაროსაცემად მოამზადა შ. ხანთაძემ, რომელმაც დიდი პატივი დაგვდო და ნება დაგვრთო დოკუმენტების გამოქვეყნებამდე ამ მასალებით გვესარგებლა. პატივცემულ შ. ხანთაძეს დიდ მადლობას მოვახსენებთ. კრებულიდან ჩვენს მიერ გამოყენებული მასალები სქოლიოში მითითებულია: „კახეთის 1812 წლის აჯანყების მასალების" ხელწოდებით.

აღვირახსნილობაზე, მოსახლეობის ფიზიკურ და სულიერ შეურაცხყოფაზე.

საგზაო ბეგარას სოფ. ბოდბეს მცხოვრებნი ასე ახასიათებენ:

„ფოთის ქალაქში ზურგით მოვიტანეთ სურსათი, ურმები რომ ვერ მიუდგა, ოსმალშიგა დაკუავით თხუთმეტი ურმით და რაც იქ ხარი იყო, ერთი აღარ მოვიდა; და რაც მეხრე იყო, ნახევარი იქ დარჩა და რაც მოვიდა, ისიც დამძრალი. და ამას გარდა, როცა ხელმწიფის ჯარი ომობდა, ჩვენც სურსათი იქ გვიზიდნია: გუმრს, განჯას, ერევანსა და საცა საომრად მიდიოდნიან, ჩვენც თან სურსათი გვიზიდნია და კიდევ ყარაულად დავდევდით და ჯარათაც და როგორც ესენი იბოცებოდნენ და სისხლსა ღრიდნენ, ჩვენც ისე ვიხოცებოდით ხემწიფის ერთგულებისათვინ, ჩვენის ეკლესიის სამსახურად“[1].

იმავე სოფლის საჩივარში კაპიტან-ისპრავნიკთა უსამართლობა-გამომძალველობაზე ნათქვამია: „ასორმოცდაათი ურემი პური ფასიანი და უფასო რომ მიგვიცია წელსა და ოთხმოც ურემს კიდევ გვთხოვდნენ, რაც ეს სურსათი გაგვიღია, ექვსი აბაზი მოგცემია კოდში და ჩვენ ერთმანეთში კოდი ოთხ მილანთულად გვიყიდნია, ხუთს აბაზ ქირას ვაძლევდით და ერთი აბაზი ღა გრჩებოდა. ერთის სურსათის მოკრეფაში ღვინოს. ქერსა და პურს გარდა სამასორმოცდაათი ქათამი გამოგვართვეს. პატნეგირმა ჯარი ჩაგვიყენა, მანამ ხუთმეტი ურემი ქრთამი არ გამოგვართვა ქერი, მანამ ჯარი არ აყარა, ოთხი ურემი კიდევ სოფელში შაჭამა ქერი. ჭურსა, ღვინოსა და საკლავებს გარღვევა და აკლება მეტ იყო. გამოგზავნის პრავნიკმა იასაული და გვიბარის. არ ვიცოდით რაზე და გვიბარებდა, ჩვენ შიშით იქ ვერ მივედით, რომ მტყუანი და მართალი ერთს ანგარიშში მიყვანდათ. ამ მიზეზით წაგვართვის ორი სამი თუმანი, ერთი ვაქირელი კაცი გაიქცა და შარი მოუდვეს შენი მოყვარე იყოო, დაიჭირეს ის ბოდბური ოთარაშვილი გოგია და თრამეტი თუმანი წაართვეს, ხუნაშვილი ლაზარე დაიჭირეს და შვიდი თუმანი წაართვეს. ხუნაშვილს გაგლოს დადევდნენ დასაჭერად, შიშით იქ ვერ ჩავიდა და ექვსი თუმანი წაართვეს,

[1] კახეთის 1812 წლის აჯანყების მასალები.

ძმანაშვილი აბრამ დაიჭირეს და შვიდი თუმანი წაართვეს და გაუშვეს. რა დანაშაულზედ? ბეგაშვილი, ნადირაშვილი დაიჭირეს, რვა თუმანი გამოართვეს, ბაღაღაშვილს დათიას რვა თუმანი გამოართვეს, ბაღაშვილს გოგიას შვიდი თუმანი გამოართვეს. ბეგარისათვინ სალდათი რომ მოვიდოდა და ორი საათი ხარი დაგვეგვიანებია, დედაკაცებს იჭერდნენ და ურემში აბამდნენ, ვაძლევდით გვცემდნენ, ვაჭმევდით გვცემდნენ, ვასმევდით გვცემდნენ“[1].

თელავის მაზრის მცხოვრებთა მოხსენებაში ნათქვამია:

„მოგვეცა უეზდის სასამართლო, რომლიდამაც ჩვენი ყოველი საჩივარი უნდა შესრულებულიყო ხოლმე ექვს თვეს და თუნდა ერთს წელიწადს, მაგრამ ვაი ჩვენ, უბედურთ, დღესაც მრავალი საჩივრები არის ჩვენი იქ დარჩომილი ხუთის წლისა და მეტისაც, რომ უპასუხონი ვართ დარჩომილნი და არც გვამტყუნებს და არც გვამართლებს...

სუდია და სეკრეტარი რომ მეტად შეგვაწუხებდნენ, რომ საქმე დაგვიანდის, გვთხოვიან ქრთამი. რომ მეტად შეწუხებული ვიყავით, მეტი რა გზა გვქონდა, უნდა მიგვეცა ქრთამი დაწყებული ხუთის თუმნიდამ სამოცსა და ოთხმოც თუმნამდის და ამასაც ხომ ერთ მოჩივარს არ გამოგვართმევდა, ორსავ მხარეს გამოგვართმევდნენ, მაგრამ მაინც ამითაც არ გვეშველა რა, ქრთამიც აღებული აქვსთ და საჩივარიც დარჩომილი და გადაუწყვეტელია ისევ და ვართ ხალხი შეწუხებული იმდენის დაკარგვისათვის და პასუხის მოუცემლობისათვის. და თუ საჩივარი ვისმე გვაქვს, დღესაც შიშით ვეღარ გვიჩივლია; რომ ქრთამი მოგვინდება, არა გვაქვს და რომ შევიდეთ სასამართლოში, პასუხი არ მოგვეცემა და ვიყავით ამისთანას მწუხარებასა და ვაების ცხოვრებაში“[2].

კახეთის აჯანყების მონაწილე სოფლების განმარტებითი ბარათებიდან ზღვა მასალის მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მძიმე და გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენეს მოსახლეობა ცარიზმის მოხელეებმა, რამდენად აუტანელი იყო საგზაო-სატრანსპორტო ბეგარა, „პროვიანტი“ ანუ პურის

---

1 კახეთის 1812 წლის აჯანყების მასალები.

2 იქვე.

სავალდებულო გაყიდვა, რამდენად უცხო იყო მეფის რუსეთის სასამართლო წარმოება და აღმაშფოთებელი ის უზნეო საქციელი, რასაც მისი მოხელეები ჩადიოდნენ. მოხელეების ამ განუკითხავმა ძარცვა-გლეჯამ მიიყვანა კახეთის მოსახლეობა აჯანყებამდე. მდგომარეობა უკეთესი როდი იყო დასავლეთ საქართველოში. იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ ქვეყნის სათავეში მოქცეული მეფის რუსეთის მოხელეები აქაც განუკითხავად ბატონობდნენ, თუმცა ცარიზმმა იმის შიშით, რომ ახლად შემოერთებულ დასავლეთ საქართველოში შფოთი და არეულობა არ მომხდარიყო, უფრო ფრთხილად და თანდათანობით დაიწყო აქ ახალი რეჟიმის განხორციელება. 1819—1820 წლებში იმერეთსა და გურიაში ცარიზმის მმართველობის წინააღმდეგ იფეთქა აჯანყებამ, რომელსაც მძლავრი და მასობრივი ხასიათი ჰქონდა.

მოსახლეობის შეუპოვარი და შეიარაღებული ბრძოლა ცარიზმის კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ ნათელი ვამოხატულება იყო იმ იმედგაცრუებისა, რაც ახალი მმართველობის დაწესებას მოჰყვა საქართველოში. მოსახლეობისათვის ეს რეჟიმი უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა, ცარიზმმა ვერ მოიგო საზოგადოებრიობის ვერც ერთი ფენის გული. უვარგისნი იყვნენ არა მარტო კავკასიის სამმართველოდ მოვლენილი ცარიზმის მოხელეები, არამედ უვარგისი და ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცხო და შეუფერებელი ჩანდა მმართველობის ის სამხედრო-საოკუპაციო სისტემა, რომელიც ცარიზმმა კავკასიას მიუყენა. კავკასიის ადმინისტრაციული მოწყობის უვარგისობას აქ მოვლენილი ყოველი ახალი მთავარმართებელი მის წინამორბედს აბრალებდა და სრულებითაც არ უწევდა ანგარიშს კავკასიელი ხალხის ინტერესებს, მმართველობის სისტემაში მორიგ „გაუმჯობესებას“ კოლონიური სალტეების მოჭერის გზით წარმართავდა.

1829 წელს მთავარმართებელ გრაფ პასკევიჩის მოწვევით ამიერკავკასიას ეწვია სენატის რევიზია პ. ი. კუტაისოვისა და ე. ი. მეჩნიკოვის შემადგენლობით. რევიზიამ შეისწავლა კავკასიის ადმინისტრაციული მმართველობა და სააშკარაოზე გამოიტანა ის საშინელი უკანონობა და ქაოსი, რომელიც ამიერკავკასიაში ცარიზმის მმართველობის რეჟიმის დროიდან იყო

გამეფებული[1]. რევიზორებმა კავკასიაში შენიშნული აღმაშფოთებული უწესოებანი, როგორც წესი, უკვე სცენიდან ჩამოსულ ციციანოვს, გუდოვიჩს, ტორმასოვს, ერმოლოვს, სტრეკალოვს, სიპიაგინს და სხვ. გადააბრალეს[2]. გამოცდილმა კოლონიზატორმა პასკევიჩმა, რევიზიის ამ დასკვნების საფუძველზე მოხერხებულად მოიხსნა პასუხისმგებლობა ამიერკავკასიაში შექმნილი შეურიგებელი მდგომარეობისათვის და იმავე სენატორების მხარდაჭერით ახალი პროექტი შეიმუშავა ამიერკავკასიის კოლონიური მმართველობისა, რომელიც 1831 წელს რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I წარუდგინა.

დაცხრა თუ არა საომარი ოპერაციები ამიერკავკასიაში და პროვინციების შემოერთებაც დასრულდა, პასკევიჩმა დროზე მოჭმულად ჩათვალა მმართველობის სამხედრო შერეული სისტემა და სცადა დაენერგა სამოქალაქო მმართველობა მეფის რუსეთის სისტემისა. პროექტში სავსებით იყო გამორიცხული ქართველი და ამიერკავკასიელი ხალხების კანონები და ადათ-ჩვეულებანი, ამასთან, ადგილობრივი ელემენტების მონაწილეობა მმართველობაში. მხოლოდ მუსლიმანურ პროვინციებში, ისიც დროებით, ძალაში რჩებოდა ადგილობრივი სამართალი. პროექტი გაჟღენთილი იყო რუსიფიკაციის სულისკვეთებით და საფუძველშივე სპობდა შინაგანი დამოუკიდებლობის გაფართოების იმ იდეებს, რაც უცხო მმართველობით შეწუხებულ ქართველობას ჯერ კიდევ არ ჩაქრობოდა. პასკევიჩს მიაჩნდა, რომ შერეული მმართველობის სისტემა ადგილობრივი კანონ-ჩვეულებათათვის დამთმობლობა იყო და წინ ეღობებოდა ამ ხალხების ასიმილაციის პოლიტიკას, რომლის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიური ათვისება.

პასკევიჩის პროექტს, რომელიც სახელმწიფო საბჭოში იქნა განხილული, ერთსულოვანი მხარდაჭერა არ ჰქონია. კავკასიის ახალი მთავარმართებელი ბარონი როზენი ნაადრევად თვლიდა ამიერკავკასიაში რუსული სამოქალაქო მმართველობის შემო-

---

1 რევიზიის მასალები. იხ. Акты, т. I, VII, VIII.

2 М. Полиевктов, Ревизия закавказского края сенаторами Кутаисовым и Мечниковым и фонд дел этой ревизий в историческом архиве в Ленинграде, თსუ შრომები, ტ. XV, 1940, გვ. 83.

ღებას. სახელმწიფო საბჭოსთან კავკასიის საქმეთა მოსავლელად 1833 წელს საგანგებო „კავკასიის კომიტეტი“ დაარსდა. ბარონ როზენმა ამ კომიტეტში პასკევიჩის საპირისპირო თვალსაზრისი წარადგინა. კავკასიის კომიტეტმა გადაწყვიტა საკითხი ადგილობრივ შეესწავლა და თბილისში ხელმეორედ მოავლინა სენატის რევიზია ამჯერად ბარონ განის ხელმძღვანელობით. ბარონი განი, რომელიც დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწეობდა საერთოდ, თანამედროვეთა დამოწმებით, ამ მისიისათვის შეუფერებელი კანდიდატი იყო. იგი არ იცნობდა ამიერკავკასიის ხალხებს, მათ კანონ-ჩვეულებებსა და ტრადიციებს და მისი შესწავლით არც დაინტერესებულა. გაიზიარა რა პასკევიჩის თვალსაზრისი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული მოწყობისა, განმა საჩქაროდ შეადგინა ახალი პროექტი, რომელიც რუსეთის შიდაგუბერნიების მმართველობის ასლს წარმოადგენდა. განმა იმასაც მიაღწია, რომ 1837 წელს თბილისში სტუმრად მყოფ იმპერატორ ნიკოლოზ პირველს გაღაუშალა ამიერკავკასიაში გამეფებული ქაოსის სურათი და მიაჩეჩა თავისი სახელდახელო პროექტი. მთავარმართებელი როზენი, რომელიც განის თვალსაზრისს არ იზიარებდა, იმპერატორმა გადააყენა. მის ნაცვლად კავკასიის მთავარმართებლად მოავლინა გენერალი გოლოვინი, რომელიც განის თვალსაზრისს იზიარებდა.

1840 წელს, სახელმწიფო საბჭოში განხილვის შემდეგ, განის პროექტი დამტკიცდა. სარეფორმო დებულებით ამიერკავკასია „საქართველო-იმერეთის“ გუბერნიად და „კასპიის ოლქად“ გაიყო. ახალი ადმინისტრაციული დაყოფა ეროვნული მთლიანობის მოშლას გულისხმობდა. მაგალითად, საქართველო-იმერეთის გუბერნიაში საქართველოს გარდა სომხეთი და აზერბაიჯანის ნაწილიც (ყოფ. განჯის სახანო) შედიოდა. დებულება რუსული მმართველობის ფორმებს ამკვიდრებდა. საქალაქო სამართლიდან განიდევნა ვახტანგ VI კანონები. ადგილობრივ ელემენტებს მართვა-გამგეობაში გზა დაეხშო.

განის რეფორმა იყო ცარიზმის მიერ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ამიერკავკასიის კოლონიური ათვისების საქმეში, მაგრამ იმდენად უხეში, მოუქნელი და ეპოქისათვის შეუსაბამო, როგორც ცარიზმის მთელი შენობა. ახალი დებულე-

ბის შემდეგ უფრო გამწვავდა კოლონიური ჩაგვრა, რამაკ გაზარდა ამიერკავკასიის მოსახლეობის ყველა ფენის უკმაყოფილება. განსაკუთრებით მწვავე და მიუღებელი აღმოჩნდა ეს რეფორმა გურია-იმერეთის პროვინციებისათვის. სადაც აქამდე მმართველობა ასე თუ ისე ადგილობრივ ჩვეულებასთან იყო შეხამებული. რეფორმა მთავარი საბაბი გახდა 1841 წლის გურიის ცნობილი აჯანყებისა.

განის რეფორმის შეუსაბამობა მალე იმდენად ცხადი შეიქნა, რომ პეტერბურგში მომწიფდა აზრი მისი გადასინჯვის შესახებ. აღმოსავლეთის საკითხს იმპერიის საგარეო პოლიტიკაში ამ დროს ცენტრალური ადგილი ეკავა და კავკასიაში შფოთი და არეულობა (როცა ეს მხარე ჯერ კიდევ შემომტკიცებული არ იყო) ცარიზმს არ აწყობდა. სამხედრო-საოკუპაციო უხეში რეჟიმის მოქნილი კოლონიური პოლიტიკით შეცვლა აუცილებელი ჩანდა და ცარიზმიც ამ გზას დაადგა. ახალი პოლიტიკის მეთაურად პეტერბურგში არჩეულ იქნა თავადი მ. ვორონცოვი. ეს ფართოდ განათლებული რუსი არისტოკრატი, რომელიც ახალგაზრდობიდანვე იცნობდა კავკასიას, გაცილებით ჭკვიანი და გამოცდილი იყო, ვიდრე კავკასიის ადრინდელი მთავარმართებლები. ეპოქის მოთხოვნილებებში ღრმად გარკვეულ ვორონცოვს სწამდა, რომ ცარიზმის ინტერესების დაცვა ამიერკავკასიაში უფრო შეიძლებოდა ადგილობრივი გაბატონებული კლასებისადმი გამიზნული მომთაფვლელ-შემპარავი პოლიტიკით, ვიდრე მარტო სამხედრო მეთოდებით, ხიშტებითა და მათრახებით.

ნიკოლოზ პირველმა ზვიადი ვორონცოვი ფართო რწმუნებებით აღჭურვა. კავკასია ამიერიდან რუსეთის იმპერიაში სამეფისნაცვლო გახდა. ვორონცოვის მეფისნაცვლობის წლებში კავკასიაში გატარებული ღონისძიებანი ამ მხარეში ცარიზმის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის შემდგომ განმტკიცებას ემსახურებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ვორონცოვის პროექტით ცარიზმმა ამიერკავკასია ხუთ გუბერნიად გაჰყო[1].

---

1 1846 წლის კანონით ამიერკავკასია დაიყო თბილისის, ქუთაისის, შემახის და დერბენტის გუბერნიებად. 1847 წ. დერბენტის გუბერნია მაჩნა, შემავალი ახალი სახანოებით კასპიისპირეთის მხარედ გადაკეთდა. 1849 წ. შეიქმნა ერევნის გუბერნია.

ამით მან ამიერკავკასიის ადრინდელი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულების სახელწოდებებიც კი არქივს ჩააბარა. ვორონცოვი ამასთან არანაკლები დაჟინებით, ვიდრე მისი წინამორბედი, ცეცხლითა და მახვილით უტევდა კავკასიის მთიანეთს, რომ იქ აზვირთებული ანტიკოლონიური მოძრაობა ჩაეხშო და უდრეკი მთიელნი დაემონებინა. ვორონცოვის გარნიზონები ფრთხილად დარაჯობდნენ ცარიზმის მიერ შემოერთებულ ამიერკავკასიულ ქალაქებსა და სოფლებს და ანტირუსული და ანტიფეოდალური მოძრაობის ყოველგვარ გამოვლინებას ძირშივე ახშობდნენ.

მაგრამ კავკასიის კოლონიური ათვისების ვორონცოვისებური მეთოდი, შინაარსის უცვლელობის მიუხედავად, მაინც განსხვავებული, ეპოქასთან შეხამებული და ცარიზმისათვის მომგებიანი აღმოჩნდა. საქმე იმაში იყო, რომ ვორონცოვმა ცარიზმის ბატონობის გასამტკიცებლად ამიერკავკასიაში ფართოდ აამოქმედა, თუ შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიური კომპონენტები, იგი ამიერკავკასიის თავადაზნაურული წოდების კლასობრივ გულისნადებს ჩაწვდა და ამ გრძნობებზე ააგო თავისი გეგმები. ვორონცოვის წინამორბედნი ქართველ და საერთოდ ამიერკავკასიელ გაბატონებულ წოდებას ეჭვის თვალით უცქერდნენ, სეპარატიული მოძრაობის მოთავედ მიაჩნდათ იგი და მისი პრივილეგიების ხელყოფას ახორციელებდნენ შეძლებისდაგვარად. ადგილობრივი ფეოდალური არისტოკრატია ამ პოლიტიკას, ცხადია, მტრულად უპასუხებდა და თავისი კლასობრივი ინტერესების დაცვის საფარქვეშ სოციალურ პროტესტს ხშირად ეროვნულ სამოსელში ხვევდა და სახალხო მოძრაობის ხარჯზე აპირებდა ძველი პრივილეგიების შენარჩუნებას. ვორონცოვმა, პირიქით, ხელი გაუწოდა გალატაკების გზაზე შემდგარ, ეჭვიან, განდგომილ თავადაზნაურულ არისტოკრატიას და დაუვაებით თანდათან ჩაითრია იგი კოლონიურ ღონისძიებათა გატარების საქმეებში. ვორონცოვმა ბოლო მოუღო მთავრობასა და თავადაზნაურობას შორის წოდებრივ საკითხზე წარმოქმნილ ხანგრძლივ გაუგებრობას, მანვე გადაწყვიტა სათავადო აზნაურების თავადთა მფლობელობიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელ აზნაურებად გაფორმე-

ბის საქმე[1]. თავად-აზნაურთა სასარგებლოდ გადაწყვიტა ბატონისა და ყმის დამოკიდებულების მრავალი სადავო საკითხი და ყმა გლეხებს მემამულის უღლისაგან თავდახსნის საშუალებები არსებითად მოუსპო, თავადაზნაურობას გაუხსნა ბანკი და გაჩანაგების გზაზე შემდგარი მეურნეობის აღორძინებისათვის გრძელვადიანი სესხი მიაშველა, მანვე გაატარა ამიერკავკასიის ეკონომიური დაწინაურების ღონისძიებანიც. ვორონცოვმა გადაახალისა და უღირსი პირებისაგან გაწმინდა მხარის მმართველი აპარატი, მასში ადგილობრივ თავადაზნაურულ წოდებასაც გზა გაუხსნა. ვორონცოვმა განახორციელა რიგი კულტურული ღონისძიებებისა (ქართული და რუსული თეატრების, იტალიური ოპერის, საჯარო ბიბლიოთეკის, გაზეთ „კავკაზის" დაარსება, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ადგილობრივი თავადაზნაურული წოდების შვილთა მიღლინება, სასწავლებლების დაარსება და სხვ.), რითაც პატრიოტული თავადაზნაურული ინტელიგენციის გულიც მოიგო. თავადაზნაურობამ, იგრძნო რა მისი წოდებრივი დაფასება, ვორონცოვის გარშემო შემოიკრიბა და, ჩინ-მედლების ცთუნებას აყოლილს, გაუყუჩდა ეროვნული ტკივილები. ვორონცოვის ეკონომიურ და კულტურულ საქმიანობას მართლაც მოჰყვა დადებითი შედეგები. განვითარდა სასაქონლო მიწათმოქმედება, გაცხოველდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, მრეწველობაში გამძლავრდა კაპიტალისტური საწყისები, თბილისი ზრდა-აღმავლობის გზას დაადგა. პატრიოტულმა ქართველმა თავადაზნაურულმა ინტელიგენციამ გატაცებით მოჰკიდა ხელი ერის სულიერი კულტურის აღორძინების საქმეს.

ყველაფერი ეს ის ობიექტური შედეგებია, რომლებიც ცარიზმისაგან დამოუკიდებლად და მისი ნების საპირისპიროდ ხორციელდებოდა. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სუბიექტური მიზანდასახულობა კი, რასაც ვორონცოვი უნარიანად და შეუპოვრად ახორციელებდა, კავკასიის ათვისებას ანუ სხვანაირად მის გარუსებას ემსახურებოდა.

ვორონცოვისეულ პოლიტიკას, ე. ი. საიმპერიო ტახტთან ადგილობრივი არისტოკრატიის დაახლოებას, აგრძელებდნენ

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, ტ. I, გვ. 211.

კავკასიის მომდევნო მეფისნაცვალნი — ბარიატინსკი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი და სხვები. 50-იანი წლების მიწურულში ცარიზმმა წარმატებით დაასრულა კავკასიის მთიანეთის საბოლოოდ დაპყრობისათვის წამოწყებული ხანგრძლივი ომი. 1859 წლის 25 აგვისტოს დაატყვევეს შამილი, ხოლო 60-იანი წლების დასაწყისისათვის დამორჩილებულ იქნა დასავლეთი კავკასია. კავკასიის მთიანეთის დაპყრობის ფინალი აღინიშნა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე შემორჩენილი ნახევრად დამოუკიდებელი სამთავროების გაუქმებით. 1857 წელს დასრულდა სამეგრელოს სამთავროს შინაგანი დამოუკიდებელი არსებობა, 1959 წელს — სვანეთისა. 1864 წელს გაუქმდა აფხაზეთის სამთავროც. ცარიზმმა ამით დაასრულა ნახევარსაუკუნოვანი შეიარაღებული ბრძოლა კავკასიის მთლიანი პოლიტიკური დაპყრობისათვის და ახლა მეტი ინტენსივობით მოჰკიდა ხელი მის ეკონომიურ ათვისებას, რასაც ქვეყანაში გამძლავრებული კაპიტალისტური ურთიერთობის ინტერესები კარნახობდა.

მაგრამ კავკასიის საბოლოო დაპყრობა-დამორჩილება დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ყირიმის ომში დამარცხებულ და საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციებშესუსტებულ თავადაზნაურულ იმპერიას საკუთარ სახლშივე გაუჩნდა ხანძარი. გლეხური რევოლუციის რეალური საფრთხე და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების აუცილებლობა უკარნახებდა მმართველ წრეებს განეხორციელებინა ბურჟუაზიული რეფორმები ზევიდან, რომ ამით თვითმპყრობელობის რევოლუციური, ქვემოდან დამხობის რეალური საფრთხე აღეკვეთა. მძლავრ რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას მხარი აუბა ნაციონალური განაპირა რაიონების ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობამაც. პოლონეთის, ბალტიისპირეთის, უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის პროგრესული, დემოკრატიული ძალები დაირაზმნენ ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის უღლისაგან გასათავისუფლებლად. პოზიციებშესუსტებული ცარიზმი იძულებული გახდა ერთგვარად მაინც მოეშვა უხეში კოლონიური ძალადობის ქანჩები და ბურჟუაზიული ხასიათის დაწინაურებანი, ცხადია, უფრო შეცვლილ ფორმებში, განაპირა ნაციონალურ რაიონებშიც გაეტარებინა.

60-იანი წლების ბურჟუაზიული რეფორმები ცარიზმმა ამიერკავკასიაში მისი დასაყრდენი წოდების — თავადაზნაურობის ინტერესების დაცვით ჩაატარა და კიდევ უფრო უმოწყალოდ გაძარცვა გლეხები, ვიდრე რუსეთში.

ამიერკავკასიაში, როგორც კოლონიურ ქვეყანაში, ბურჟუაზიული ურთიერთობისათვის გზის გაკაფვა და წოდებრივი პრინციპების გაშლა ცარიზმს არ აწყობდა, მაგრამ იმავე ძალამ, რომელმაც აიძულა იგი მოეხდინა ბატონყმობის გაუქმება რუსეთში, ცარიზმი განაპირა კოლონიურ რაიონებშიც ასეთი დათმობის აუცილებლობამდე მიიყვანა. სამაგიეროდ, საგლეხო რეფორმა და საერთოდ მომდევნო ბურჟუაზიული რეფორმები ამიერკავკასიაში განხორციელდა შეკვეცილად, კოლონიური მფლობელობის ინტერესთა მაქსიმალური გათვალისწინებით და იმ ფენების გულისმოსაგებად, რომლებიც სოციალური თვალსაზრისით ცარიზმის საიმედო ბურჯად იყვნენ მიჩნეული.

გლეხთა გათავისუფლების კანონი ამიერკავკასიაში პირველად თბილისის გუბერნიაში გამოცხადდა. ეს იყო 1864 წლის ნოემბერში. ერთი წლის შემდეგ რეფორმა გავრცელდა ქუთაისის გუბერნიაზეც (სამეგრელოში — 1867 წელს, აფხაზეთში — 1870 წელს და სვანეთში — 1871 წელს). 60-იანი წლების მეორე ნახევარში რეფორმა ამიერკავკასიის ყველა გუბერნიაზე გავრცელდა.

ამიერკავკასიაში ცარიზმმა უფრო მტკიცედ და ენერგიულად შემოინახა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთები. გლეხობას შეუმცირდა მიწის ნაკვეთები, არ მიეცა ტყე და საძოვარი, გადასასადები კი გაუდიდდა. მემამულეებმა ფაქტიურად არა თუ შეინარჩუნეს რეფორმამდელი მფლობელობა, არამედ გააფართოეს კიდეც „ჩამონაჭრების“ ხარჯზე, ამასთან მიიღეს დიდძალი ფულადი შემოსავალი უმეების „გათავისუფლების“ გამო. ცნობილი ქართველი მოღვაწის ნ. ნიკოლაძის განსაზღვრით „რეფორმა იყო მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება“[1].

ცარიზმი, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, კიდევ უფრო ძუნწი აღმოჩნდა მომდევნო ბურჟუაზიული რეფორმე-

---

[1] ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 177.

ბის ამიერკავკასიაზე, როგორც კოლონიურ ქვეყანაზე, გავრცელების საქმეში. საერობო რეფორმა, კონსტიტუციური მმართველობის ეს სუროგატიც კი, ამიერკავკასიაში საერთოდ არ განხორციელებულა. ე. წ. „სასოფლო მმართველობა“, რომელიც, ნაცვლად ერობისა, ცარიზმმა ამიერკავკასიაში გაატარა. პოლიციისა და მთავრობის სამაზრო მოხელეთა უსიტყვო მონა-მორჩილი დაწესებულება იყო, რომლის მთელი საქმიანობა მთავრობის გადასახადთა აკრეფით ამოიწურებოდა.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ხასიათმა ყველაზე ნათლად სასამართლო რეფორმის ამიერკავკასიაში გატარების საქმეში იჩინა თავი. ეს რეფორმა, როგორც ცნობილია, ყველაზე თანმიმდევრული ბურჟუაზიული რეფორმა იყო 60-იანი წლების რეფორმათა შორის, რომელიც ცარიზმს საერთოდ არ აწყობდა, მით უმეტეს კოლონიურ ქვეყანაში. ახალი პრინციპებით სასამართლო ორგანიზაცია ამიერკავკასიაში ცარიზმმა 1867 წლიდან დააწესა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ არ დაუშვა მოსამართლეთა არჩევითობა, არ დაუშვა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, ამასთან საქმის გამოძიება მომრიგებელ მოსამართლეებს დააკისრა. ამრიგად, ცარიზმმა ამიერკავკასიას თავზე მოახვია მთავრობის მოხელეთა ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატზე სავსებით დამოკიდებული სასამართლოები, სადაც საქმის წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. რეფორმის ასეთ შელამაზებას ანუ ფაქტიურად არარაობამდე დაყვანას, ცარიზმი იმით ამართლებდა, თითქოს ამიერკავკასიის საზოგადოებრიობა ჯერ კიდევ მოუმზადებელი იყო სასამართლოს ისეთი ძირფესვიანი რეფორმისათვის, როგორც რუსეთში განხორციელდა. ამ მოტივების მიღმა კი იმალებოდა უხეში კოლონიური ჩაგვრის მთელი სისტემა, რომელსაც ცარიზმი ახალ ვითარებაში არა ძალადობითა და პირდაპირობით, არამედ შეპარვით და მობოდიშებით ახორციელებდა.

კოლონიურ პოლიტიკას დაუქვემდებარა ცარიზმმა საქალაქო რეფორმაც. მართალია, ღარიბი მოსახლეობის 1865 წლის აჯანყების შემდეგ თბილისს, როგორც სამეფისნაცვლო რეზიდენციას, საქალაქო მმართველობა ებოძა, რომელმაც გაბურჟუების გზაზე შემდგარ თავადაზნაურობას და ახლად ფეხადგმულ ბურჟუაზიას ერთგვარი პრივილეგიები დაუმკვიდრა,

მაგრამ სამმართველო აპარატი მთლიანად ცარიზმის მოხელეებს დაუქვემდებარა მაინც. 1874 წლიდან თბილისზე გავრცელდა რუსეთის საქალაქო რეფორმის დებულებანი, მაგრამ აქ კიდევ უფრო მეტად, ვიდრე რუსეთის ქალაქებში ქალაქის მმართველობა გუბერნატორსა და პოლიციას ექვემდებარებოდა. ამიერკავკასიის გუბერნატორებს საგანგებოდ ევალებოდათ განსაკუთრებით ეთვალთვალათ ადგილობრივი ორგანოებისათვის და არ დაეშვათ მათი ინიციატივა. თბილისის ქალაქის მმართველობა გუბერნატორის კალთებქვეშ შეხიზნული საცოდავი დაწესებულება იყო, რომელიც მხოლოდ კომუნალურ მეურნეობას უვლიდა და სხვა საკითხებში არ ერეოდა. რაც შეეხება ამიერკავკასიის საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებს, იქ საქალაქო რეფორმა უფრო გვიან განხორციელდა (მაგალითად, ქუთაისსა და ბათუმში 1888 წელს, ხოლო სოხუმსა და ფოთში — 1892 წელს, გორში, დუშეთში, სიღნაღში, ახალციხეში, ახალქალაქში — 1894 წელს) და უფრო მეტი „ზომიერების“ დაცვით.

60—70-იან წლებში რუსეთში რევოლუციური სიტუაცია სუფევდა. რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა არყევდა თვითმპყრობელობის ბურჯებს. ცარიზმს უჭირდა და ამ გაჭირვების შედეგი იყო კიდეც ბურჟუაზიული შინაარსის რეფორმები. იმპერიის ცენტრებში გაღვივებულ რევოლუციურ ბრძოლას მხარს აძლევდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა იმპერიის განაპირა-ნაციონალურ რაიონებში. ეროვნული ძალები კონსოლიდაციას იწყებდნენ პოლონეთში, ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიასა და ამიერკავკასიაში.

მასების აქტივობით შეშფოთებული ცარიზმი იძულებული იყო ოდნავ მოეშვა კოლონიური ჩაგვრის მუხრუჭები და ერთგვარი გასაქანი მიეცა ნაციონალურ-კულტურული ძალებისათვის, რომლებიც კონსოლიდაციას და ეროვნული ტრადიციების აღორძინებას იწყებდნენ. ამ ვითარებით კარგად სარგებლობდნენ საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები, რომელთაც 60—70-იან წლებში ენერგიულად მოჰკიდეს ხელი მასების გათვითცნობიერების, ეროვნული შეგნების გაღვივების საქმეს და გააჩაღეს მძაფრი ბრძოლა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

მაგრამ ცარიზმი, როგორც ცნობილია, რევოლუციურ-დემოკრატიულ ძალებთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა. 80-იანი წლებიდან იგი შეტევაზე გადავიდა. რუსეთში სასტიკი პოლიტიკური რეაქციის ხანა დაიწყო. რეაქციამ კი თავისი მახვილი ერთდროულად მიმართა რევოლუციური კერებისა და „სეპარატიზმის“ აღმოსაფხვრელად.

პოლიტიკური რეაქციის მთელ პერიოდში ცარიზმი აშკარად ახორციელებდა იმპერიის განაპირა ხალხების შევიწროების, ჩაგვრა-დამონების ღონისძიებებს. იგი ისწრაფოდა ფინეთის და პოლონეთის ისედაც მოჩვენებითი დამოუკიდებლობის აღმოსაფხვრელად, გზას უკაფავდა ანტისემიტიზმს და აქეზებდა ებრაელი მოსახლეობის რბევას, პროვოკაციული მეთოდებით ერთმანეთს უსისინებდა მუსლიმან და ქრისტიანულ მოსახლეობას, მიმართავდა ახალ ადმინისტრაციულ დაყოფებს იმ მიზნით, რომ ხმარებიდან ამოეღო ზოგიერთი ერის საჩელწოდებაც კი, სკოლებიდან დევნიდა ეროვნულ ენას და ყველა ამ საზიზღროებათა თეორიული დასაბუთებისათვის პროპაგანდას უწევდა რეაქციულ პანსლავისტურ „თეორიებს“. სწორედ ამ დროს გამოვიდა ასპარეზზე ბნელეთის მოციქულთა მთელი ჯგუფი (კატკოვი, ლეონტიევი და სხვ.), რომელიც პროგრესის სახელით გზას უკაფავდა ველიკორუსულ დიდმპყრობელურ შოვინიზმს. პატარა ერებს „მათივე სიკეთისათვის“ ეროვნულ ტრადიციებზე ხელაღებას და გარუსებას ურჩევდა, თვითმპყრობელობას აკისრებდა მთელი სლავური სამყაროს გაერთიანების მისიას; რუსეთის იმპერიაში შემავალ პატარა ერებს ისტორიის შავ მასალად თვლიდა, ხოლო რუსებს მსოფლიოში უდიდესი ცივილიზაციის, მომავლის რჩეულ რასად აღიარებდა.

პოლიტიკური რეაქციის ხანა ამიერკავკასიაში კოლონიური ჩაგვრის მკვეთრი გაძლიერებით აღინიშნა. რუსიფიკატორული განზრახვით ცარიზმმა სრულებით ამოშალა ხმარებიდან ამიერკავკასიის ერების სახელწოდებანი. ამიერკავკასიული გუბერნიები უშუალოდ იმპერიის ცენტრს დაექვემდებარა. გუბერნატორებს საიდუმლო დავალება მიეცათ სახელმწიფო სამსახურში არ დაეშვათ ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები, რადგან, რეაქციის აზრით, მათ სეპარატიული მისწრა-

ფებანი ემჩნეოდათ. ამასთან, მეტი ცენტრალიზაციის მიზნით, გაუქმდა მეფისნაცვლობა და აღსდგა მთავარმართებლობა. ეს ღონისძიებანი მიმართული იყო იმ მოჩვენებითი ავტონომიის წინააღმდეგ, რაც ამიერკავკასიას აქამდე თითქოს გააჩნდა ფორმალურად მაინც.

კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობაზე დანიშნული ღონდუკოვ-კორსაკოვი ამიერკავკასიაში ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ შეტევის სულისჩამდგმელი გახდა. მან მხარში ამოიყენა უკიდურესი რეაქციონერები—კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი, ეგზარხოსი პავლე და სხვები, რომლებმაც მიზნად დაისახეს ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული მეობის წაშლა და მისი გადაქცევა რუსეთის იმპერიის მორჩილ განაპირა მხარედ.

რეაქციონერებმა გააფთრებით შეუტიეს ეროვნულ სკოლებს, ბეჭდვით სიტყვას, ეროვნულ თეატრებს და სხვა კულტურულ წამოწყებებს. მრავალი ჟურნალისა და გაზეთის გამოცემა შეწყდა. ცენზურა არ აჭაჭანებდა სეპარატისტული არა ოპოზიციური სულისკვეთების წერილებს. ეროვნული თეატრები აბუჩად აიგდეს. საცენზურო კომიტეტი მოითხოვდა ადგილობრივ გამოცემათა სრულიად შეწყვეტას იმ მოტივით, რომ რუსეთთან სარკინიგზო კავშირის შემდეგ შესაძლებელია ამიერკავკასია რუსული პრესით დავაკმაყოფილოთო. ინტენსიური იერიშები მიიტანეს ეროვნულ ენებზე. იანოვსკიმ გააფთრებული დევნა დაუწყო ქართულ ენას და მოითხოვა მისი ამოღება სწავლებიდან.

რეაქციონერებმა დაიწყეს კავკასიის ხალხთა შორის ეროვნული შუღლის ჩანერგვა-გაღვივება, ამასთან გააძლიერეს კავკასიის კოლონიზაცია რუსეთიდან ჩამოსახლებული ელემენტებით. რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შემოერთებულ სამხრეთის ქართულ პროვინციებს ცარიზმმა რუსული რეჟიმი დაუწესა.

მაგრამ ცარიზმის რეაქციულ ღონისძიებათა გაძლიერება, მისი კოლონიური პოლიტიკის გააქტიურება-გამძაფრება XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაემთხვა რუსეთსა და მას განაპირა ნაციონალურ რაიონებში გამათავისუფლებელი მოძრაობის მესამე ეტაპის დასაწყისს, დაემთხვა პროლეტარული

მოძრაობის გაქანებას, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისიდან დიდი გრიგალის სახე მიიღო...

იმპერიალიზმის ეპოქაში ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო, მაგრამ მის საპირისპიროდ აზღვავებული პროლეტარული და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ისეთ საფეხურზე ავიდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის განკითხვის დღეები დადგა. XX საუკუნის ეს ჭარიშხლოვანი ეპოქა ცალკე შესწავლის საგანია და ჩვენი ნარკვევის ჩარჩოებს სცილდება.

* * *

ამიერკავკასიაში ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ანალიზიდან ერთი ძირითადი დასკვნა გამომდინარეობს: ეს პოლიტიკა ანექსიონისტურ-მძარცველური იყო და ამიერკავკასიის ხალხების ეროვნულ გადაშენებას, მათ გარუსებას ისახავდა მიზნად. ერების სუვერენიტეტის ხელყოფა, დაჩაგვრა-დამონება, უცხოური რეჟიმის თავზე მოხვევა, რასაც მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოები მცირე ერების მიმართ ახორციელებდნენ და ახორციელებენ დღესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თავისი შინაარსით, ცხადია, რეაქციულია და მიუღებელი. ასევე რეაქციული, მძარცველური იყო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკაც; ამიტომაც, რუსეთის იმპერიას ოქტომბრის რევოლუციამდე ხალხთა საპყრობილეს უწოდებდნენ.

მაგრამ რუსი და არარუსი ხალხების, კერძოდ, რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული ურთიერთობა რომ მხოლოდ ცარიზმის რეაქციული, კოლონიზატორული პოლიტიკის ჩარჩოებში მოვათავსოთ, ისტორიის უხეშ ფალსიფიკაციამდე მივალთ. ამ ურთიერთობას გააჩნია მეორე მხარე — ობიექტურად პროგრესული შედეგები, რომლებიც განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა არარუსი და რუსი, კერძოდ, რუსი და ქართველი ხალხის ურთიერთობის მთელ მანძილზე. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა და საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურად პროგრესული შედეგები თავისთავად ორი

სხვადასხვა საკითხია და შეიძლება ითქვას, რომ საერთოც კი არაფერი აქვთ. საქმე იმაშია, რომ ყოველივე ის დადებითი, რაც ბალტიისპირეთის, უკრაინის, შუა აზიის და ამიერკავკასიის ხალხებს რუსეთთან შეერთებამ მოუტანა; ყველა ის პროგრესული პროცესი, რომლებიც ამ ხალხების პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში რუსეთთან შეერთების შემდეგ მიმდინარეობდა, ხორციელდებოდა ცარიზმის ნების წინააღმდეგ და საპირისპიროდ იმ მჩაგვრელი, კოლონიური პოლიტიკისა, რასაც ცარიზმი მიმართავდა. ცარიზმი არასოდეს დაინტერესებულა, მაგალითად, ამიერკავკასიაში ან შუა აზიაში კაპიტალიზმის განვითარებით, პირიქით, ამ მხარეებში ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობის დაკონსერვებას უწყობდა ხელს. ცარიზმი მხოლოდ რუსულ კაპიტალს აქეზებდა ამ მხარეების საძარცვავად, მაგრამ თუ ისტორიული კანონების ძალით კაპიტალიზმი ამ განაპირა-ნაციონალურ რაიონებში მაინც იკაფავდა გზას, ამაში ცარიზმს არავითარი როლი არ შეუსრულებია.

ცარიზმი განაპირა კოლონიურ მხარეებში განგებ ნერგავდა სიბნელესა და უვიცობას, ასახლებდა იქ რუს კოლონიზატორებს, რომ რუს და არარუს მოხელეთა შორის ეროვნული შუღლი გაეძლიერებინა; ახშობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, ძირშივე კლავდა დაჩაგრული ერების საუკეთესო ადამიანთა ინიციატივას და იარაღით ებრძოდა განაპირა ქვეყნების ხალხთა ყოველგვარ აქტივობას, მაგრამ სწორედ ცარიზმის ნების გარეშე და მის საპირისპიროდ რუსეთის დემოკრატიულ კულტურას ნაზიარები განაპირა კოლონიური ქვეყნების ხალხები გამოდიოდნენ სიბნელიდან და უვიცობიდან და წინ სწევდნენ თავიანთ კულტურას, ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ასაზრდოებდა და იერთებდა რუსეთის რევოლუციური ბრძოლის ფართო მდინარე, რუსეთის მუშათა კლასისა და გლეხების შეტევა ცარიზმზე აღაფრთოვანებდა და იკრებდა განაპირა ნაციონალური რაიონების მუშათა და გლეხთა ბრძოლას. ამრიგად, ცარიზმის ნების საპირისპიროდ იქმნებოდა ერთიანი ფრონტი რუსეთისა და განაპირა-კოლონიური რაიონების მშრომელებისა მათი საერთო მტრის თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ცხადია,

ამ საერთო ფრონტის შექმნაში ცარიზმს არა თუ რაიმე როლი არ შეუსრულებია, პირიქით, მთელ ძალ-ღონეს იგი ამ ფრონტის გათიშვას და მათ ცალ-ცალკე დამარცხებას ანდომებდა.

ჩვენი ნაშრომის მიზანდასახულობა, მისი არქიტექტონიკა საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით განვიხილოთ ამიერკავკასიას, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან თანაცხოვრების ობიექტურად პროგრესული შედეგები, მაგრამ სავალდებულოდ მიგვაჩნია ძირითად ხაზებში დებულებათა სახით მივუთითოთ საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურად პროგრესულ ამ პროცესებზე, როგორც განმსაზღვრელ ფაქტორებზე ხალხების ისტორიულ ურთიერთობაში.

1. რუსეთთან თანაცხოვრებით ქართველმა ხალხმა თავიდან აიცილა მონობა ირან-ოსმალეთისა, რომლებიც, მარქსისა და ენგელსის დახასიათებით, „...ფეოდალიზმის ყველაზე დაბალ და ბარბაროსულ სტადიაზე იდგნენ“ და საშინელ ასიმილატორებს წარმოადგენდნენ.

საქართველოში დამკვიდრებით რუსეთმა, შეიქმნა რა ხელსაყრელი პლაცდარმი, ინტენსიურად იწყო შეტევა თურქეთ-ირანის წინააღმდეგ. რუსეთის ომები ირანთან და თურქეთთან სავსებით შეესაბამებოდა ამიერკავკასიის ხალხთა ინტერესებს, რადგან თურქი და ირანელი დამპყრობლებისაგან აზერბაიჯანის და სომხეთის განთავისუფლებას საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენა მოჰყვა.

რუსეთთან თანაცხოვრების შემდეგ დაწინაურდა საქართველოს ეკონომიური ცხოვრება. რუსეთთან შეერთებამდე აგრესიული გარემოცვის რკალში მომწყვდეული საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო მეურნეობიდან განზე იდგა და ირან-ოსმალეთის და ლეკთა განუწყვეტელი თარეშისა და ქართველი თავად-აზნაურების თავაშვებული პარტიკულარული მისწრაფებების ვითარებაში ნგრევა-დეგრადაციას განიცდიდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ კი, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა, ჰბუგავდა

ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევ. და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შეშაძრწუ. ნებელ სახსოვრად-ღა დარჩა"[1]. მშვიდობიანმა პირობებმა 30 წლის შემდეგ შექმნა შედარებით ხელსაყრელი ვითარება სა. მეურნეო ცხოვრების აღმავლობისათვის. საქართველო რუსე. თის კაპიტალისტური გზით მიმავალი ცხოვრების ფერხულში ჩაება, დაიწყო ფეოდალური პარტიკულარიზმის აღგვა, ცალ. კეულ კუთხეთა შორის ნატურალური კარჩაკეტილობის ნგრევა. მოსახლეობამ ხელი მოჰკიდა ინტენსიურ კულტურებს, გაიზარ. და მოსახლეობა. კაპიტალიზმმა საქართველოც ერთ მთლიან სა. მეურნეო ერთეულად დააკავშირა და დაასრულა ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბების პროცესი.

რუსეთთან შეერთებამ შექმნა ფართო შესაძლებლობახი ქართველი ხალხის გარკვეული და მაღალი სულიერი კულტუ. რის განვითარებისა. ილიას სიტყვებით, „რუსულმა სკო. ლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულ. მავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გა. მოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ"[2].

ამრიგად, რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო საქართვე. ლოს ცხოვრების წინსვლას, ბატონყმური ურთიერთობის ლი. კვიდაციას, კაპიტალიზმის განვითარებას, ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად ჩამოყალიბებას, საქართველოში მუშათა კლასის წარმოშობას, რევოლუციური მოძრაობის აზვირთებას და მომზადა ნიადაგი რუს ხალხთან ერთად სოციალური და კოლონიური ჩაგვრისაგან საბოლოო განთავისუფლებისათვის.

ცარიზმის რეაქციულ-კოლონიზატორული პოლიტიკის წი. ნააღმდეგ ბრძოლაში მტკიცდებოდა და ვითარდებოდა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა. ცარიზმის და კაპიტალიზ. მის წინააღმდეგ საერთო ბრძოლის ინტერესები და მისწრაფე. ბანი რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ეროვნების ხალხს ერთიანი საბრძოლო დროშის ქვეშ რაზმავდა. ამ ერთიანობაში ხალხები ბრძოლით მიიკვლევდნენ გზას სოციალისტური წყო. ბილებისაკენ, რამაც ჩვენს ხალხს ბედნიერება მოუტანა.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ტ. IV, 1955, გვ. 217.

[2] იქვე, გვ. 369.

ასეთია საქართველოს რუსეთთან შეერთების, რევოლუციამდელ რუსეთთან ქართველთა თანაცხოვრების შეფასების ორი მხარე. თუ ამ ორი მხარიდან ერთ რომელიმეს ზურგს შევაქცევთ, მივიღებთ საკითხის ცალმხრივ და არასწორ გაშუქებას. ერთ შემთხვევაში მკვლევარი შეიძლება ადგილობრივ ნაციონალისტურ, ხოლო მეორე შემთხვევაში ველიკოდერჟავულ შეხედულებათა ტყვეობაში აღმოჩნდეს. მარქსისტ-ლენინელი ისტორიკოსებისათვის კი ორთავე ეს შეხედულება მავნე და მიუღებელია.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში სწორადაა განსაზღვრული რუსეთთან შეერთების ეს ორი მხარე: „სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაუქმება და უცხო რეჟიმის დამყარება საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში განცდილ დიდ მარცხს მოასწავებდა. ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია ამ მოვლენას და შეუნელებლივ განაგრძობდა ბრძოლას მანამდის, ვიდრე მან, დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, თავისუფლება და სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ მოიპოვა“.

თავი II

კახეთის თავადური შეთქმულება 1802 წელს

საქართველოში რუსული მმართველობის წინააღმდეგ პირ·
ლი გამოსვლა 1802 წელს მოხდა. ისტორიაში ეს გამოსვლა
ლმენჩურის შეთქმულების სახელითაა ცნობილი.

შეთქმულების ძირითად ბირთვს კახეთის (ქიზიყის) თავა-
)ბი შეადგენდნენ, თუმცა მასთან მრავალი ძაფით იყვნენ და-
ჯშირებული ქართლის თავადებიც. შეთქმულების ორგანიზა-
ირებად გამოვიდნენ ქართველი ბატონიშვილები. ქართლ-
ხეთის ძირითადი საზოგადოებრიობა (გლეხობა, აზნაურები)
მოსვლაში არ მონაწილეობდა.

ვითარება, რომელშიც ეს შეთქმულება აღმოცენდა, მეტად
ვისებური იყო:

რუსული მმართველობის დამკვიდრება აღმოსავლეთ საქარ-
ელოში იმ დროს დაემთხვა, როცა იგი ღრმა შინაგან კრიზისს
ინცდიდა. აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შეძოსევით
ჯენებული ღრმა ჭრილობები მოუშუშებელი იყო. ქვეყანას
იდურესად უჭირდა ეკონომიურად. დამპყრობთა წინააღმდეგ
ჟუდმებული ომების ვითარებაში ისედაც შემცირებული
ოახლეობა მეურნეობას თითქმის ვეღარ ეწეოდა.
ლეკები განუკითხავად თარეშობდნენ. ყმადნაფიცი სახანო-

ერთ დროს შიშის გამო ერეკლეს რომ მორჩილებდნენ,
ა საქართველოს მტრულ ძალებთან აბამდნენ კავშირს და
ართველოს წინააღმდეგ გალაშქრებას ამზადებდნენ. მათ
ელმხრივ აქეზებდა აღა-მაჰმად-ხანის მემკვიდრე ბაბა-ხანი.
ელსაც მის წინაპართა მსგავსად საქართველოს დედაბიწის
დან აღგვა და რუსეთისათვის კავკასიონის გზის ჩაკეტვა
ელი რიგის ამოცანად მიაჩნდა. რუსეთის წინააღმდეგ

რევანშისა და მახლობელ აღმოსავლეთში ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის იბრძოდა ოსმალეთი, რომელსაც ზურგს უკან დასავლეთელი წამქეზებლები (ინგლისი, საფრანგეთი) ედგნენ.

ერეკლეს გარდაცვალებამ ქვეყანას გამოაცალა ის მტკიცე, ჭკვიანი და ავტორიტეტული მეთაური, რომელიც ქვეყნის შიგნით რეაქციულ ძალებს ასე თუ ისე თრგუნავდა, ყმადნაფიცი და მეზობელი ქვეყნების განდგომა-აგრესიას აკავებდა. გიორგი ერეკლეს ძის ხანმოკლე მეფობაში მამისეული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხაზით არავითარი მნიშვნელოვანი ღონისძიება არ გატარებულა. პირიქით, ნგრევას მიეცა ერეკლესდროინდელი სასარგებლო წამოწყებანი, დაჭკნენ სამეურნეო და კულტურული აღმავლობის ის ყლორტები, 60—70-იან წლებში რომ აღმოცენდნენ. ქვეყნის წინსვლის გზები ისევ ჩაიხერგა და დაჩიხულობამ იჩინა თავი. რუსეთთან ურთიერთობის საკითხშიც ქართველმა პოლიტიკოსებმა გადაუხვიეს ერეკლესეულ ხაზს და თხოვნის პუნქტებში ქვეყნის შინაგანი დამოუკიდებლობის შემცირების ხარჯზე მომხდარი ცვლილებებით ერთგვარად წააქეზეს კიდეც ცარიზმის აგრესია. ავადმყოფ გიორგის თავის ხანმოკლე მეფობაში ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ თავისი ძმებისა და დედინაცვლის მტრული ღონისძიებანი გაეუვნებლებინა და სამეფო ტახტი შვილისათვის დაემკვიდრებინა. ლეკთა დაქირავებული ჯარი, რომელიც ძირითადად სწორედ ამ მიზნით გაიჩინა გიორგიმ, მძიმე ტვირთად აწვა ისედაც დაცარიელებულ ხაზინას. არც გიორგის დაუსინებელ მტრებს — ერეკლეს ქვრივ დარეჯანსა და მის შვილებს ეძინათ. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თაყვანდებს იბირებდნენ და აზერბაიჯანის სახანოებისა და ახალციხის ფაშას დახმარებით აპირებდნენ სამეფო ტახტის დაპატრონებას. ალექსანდრე ბატონიშვილს უკვე მოესწრო საქართველოს მტრული ძალების შეხიზნება და მათი მეშვეობით იკვალავდა გზას ტახტისაკენ. 1800 წელს ალექსანდრე წინ გამოუძღვა კიდეც ომერ-ხანის ოცათასიან ლაშქარს. მართალია, ამჯერად იგი დამარცხდა და გაიქცა, მაგრამ ახალი შემოსევის საფრთხე არ ჩამქრალა. მართებულად მიუთითებს აკად. ნ. ბერძენიშვილი: „1783 წლიდან, ვიდრე 1800 წლამდე, ქართლ-კახეთი თანდათან

ეცემოდა, იშვიათად განუცდია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ასეთი ხანა: თითქოს მთელი მსოფლიო მტრად აუტყდა სუსტ ქვეყანას. საგარეო მტრები შინაურ მტრებს, რეაქციონერ თავადებს, დაუკავშირდნენ. ამ ძლიერმა კავშირმა ქართველი საზოგადოების მოწინავე ძალები დროებით დაამარცხა"[1].

გიორგი ერეკლეს ძე 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა. იგი თითქოს მშვიდად ჩავიდა საფლავში იმის ფიქრით, რომ დაამარცხა დედინაცვალი და ნახევარძმები და ტახტი თავის შვილსა და შთამომავლობას დაუმკვიდრა. იმედად საქართველოში რუსეთის იმპერატორის მიერ მოვლინებული ჯარი და მოხელენი ეგულებოდა. მაგრამ სულ მალე ვითარება სწორედ იმის საწინააღმდეგოდ შეტრიალდა, რასაც გიორგი ვარაუდობდა.

დავით გიორგის ძეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ აუმხედრდნენ ბიძები. ინტრიგების ქსელს ისევ დარეჯანი ხლართავდა და უნარიანად ხელმძღვანელობდა დავითის მტრულ ძალთა დაჯგუფებას. ბატონიშვილებს იმდენად სძულდათ იგი, რომ ერჩივნათ საქართველოში მეფობის სრული მოსპობა და რუსების ძალაუფლების დამკვიდრება, ვიდრე დავითის ქვეშევრდომობა[2]. ჯერ კიდევ მეფე გიორგის აგონიის დღეებში იულონი და ვახტანგი ქართლის თავადებს აიძულებდნენ ხელი მოეწერათ რუსეთის იმპერატორისათვის გასაგზავნ თხოვნაზე, რათა ტახტი გიორგის შემდეგ იულონს დამკვიდრებოდა[3].

არც დავითი იჯდა გულხელდაკრეფილი. მისი ზემოქმედებით კახელი თავადები უკვე ფიცულობდნენ დავითის ერთგულებაზე და იულონს და ფარნაოზს დებდნენ ბრალს ქვეყნის ღალატში — ტახტის მოპოვების მიზნით მტრულ ძალებთან დაკავშირებაში[4]. „თითოეული მხარე ლაზარევთან და კხორინგთან ჩიოდა, მეორეს აბეზღებდა და ამართლებდა ტახტისაკენ სწრაფვას"[5].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 343.

[2] იქვე.

[3] Акты, т. I, стр. 234—235.

[4] იქვე, გვ. 235.

[5] იქვე, გვ. 297.

რუსეთის მმართველობა, ვიდრე სრულებით გააუქმებდა მეფობას საქართველოში, მხარს მაინც დავით გიორგის ძეს უჭერდა და მის მოქიშპეებს დევნიდა. ამ დევნის გამო იულონი და ფარნაოზი იმერეთს გადაიხვეწნენ. იმერეთის მეფე სოლომონი მათ დახმარებას აღუთქვამდა მამისეული ტახტის მოპოვებაში. იულონი და ფარნაოზი უქმად არ ისხდნენ ტახტის მოლოდინში. ისინი წერილებს უგზავნიდნენ ქართლისა და კახეთის ერთგულ თავადებს და დავითის წინააღმდეგ გამოსვლისას ძზადყოფნას ავალებდნენ. ამასთან, კავშირს ამყარებდნენ ახალციხის ფაშასთან, ლეკებთან, რომ დანიშნული დროისათვის ჯარი მოეშველებინათ.

რუსეთის ცარიზმმა, როგორც ვნახეთ, გადაწყვეტილება მიიღო სავსებით მოესპო საქართველოს შინაგანი დამოუკიდებლობა. ამ გადაწყვეტილების მიღებაში ერთგვარი როლი მართლაც შეასრულა იმ ცილობამ და შფოთმა, რასაც გიორგი XII შემდეგ ჰქონდა ადგილი და რის შესახებაც კარგად იყვნენ ინფორმირებული როგორც პავლე[1], ისე ალექსანდრე პირველი.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტმა, რომელიც თბილისში 1802 წლის 12 აპრილს გამოცხადდა ოფიციალურად და 8 მაისიდან ძალაში შევიდა, ტახტისმაძიებელი ყველა ბატონიშვილი მშრალზე დატოვა. გაქარწყლდა დავითის იმედებიც ტახტიდან გადაყენებული, შეურაცხყოფილი და გაბოროტებული ბორჩალოში გაიხიზნა.

ბატონიშვილთაგან ტახტის მაძიებელთა ჯგუფს ახლა თვით დავითიც მიემატა, რომელმაც მიზანშეწონილად ჩათვალა მოქიშპე ბიძებთან დაზავება და ბაგრატიონთა ტახტის აღდგენა-შენარჩუნებისათვის გაერთიანებული ძალებით ბრძოლა.

რუსეთის მთავრობის მანიფესტის გამოცხადების დღეს თბილისში მოწვეული იყო ქართლ-კახეთის თავადობა. შეფიცვა პეტერბურგიდან მითითების თანახმად საზეიმო ვითარებაში უნდა ჩაეტარებინათ. ოფიციალური ზეიმი საარტილერიო სალუტებით დაგვირგვინდა. მაგრამ ცერემონიალის მიღმა რუსეთის მხრივ შიში და უნდობლობა, ქართველი დიდკაცობის მხრივ იმედგაცრუება და სიძულვილი იმალებოდა. ქართველი

[1] Акты, т. I, стр. 247.

დიდკაცობა, რომელიც დიდად თანაუგრძნობდა 1783 წლის ტრაქტატის დებულებებს, ცარიზმის მხრივ ვერაგობად და ძალადობად მიიჩნევდა რუსული მმართველობის შემოღებას, რასაც ქართული ფეოდალური იერარქიისა და საუკუნეებრივი ადათ-წესების მსხვრევა უნდა მოჰყოლოდა. ანექსიურ ღონისძიებებში დახელოვნებულმა ცარიზმმა იცოდა, რომ ახალ მმართველობას იძულებით ახვევდა თავზე იმ ხალხს, რომელმაც თავისი ბედი მიანდო, ამიტომ, მოსალოდნელი გართულების თავიდან აცილების მიზნით, არმია მზადყოფნაში ჰყავდა. შეფიცვის დღეს სიონის მთელი ტერიტორია, სადაც ქართველი დიდკაცობა იყო თავმოყრილი, რუსი ჯარით იყო გარშემორტყმული.

შეფიცვა „მშვიდად“ ჩატარდა. მაგრამ ადგილებზე დაბრუნებულ თავადებს შიში და მოუსვენრობა დაეუფლათ. ქართველი ფეოდალური დიდკაცობა მიჩვეული იყო დიდ პატივსა და უზრუნველ შემოსავალს, სამემკვიდრო თანამდებობას, ნახევარხელმწიფობას თავის საკუთარ საბატონო სათავადოში. მოურავობის ძველ ინსტიტუტს, ყმაზე სულ-ხორციანად ბატონობას... პატივსა და სარგოს მეფისა თუ დედოფლის კარზე... რუსების მიერ შემოღებული მმართველობა ერთი ხელის დაკვრით აუქმებდა და ამსხვრევდა საუკუნეთა მანძილზე შექმნილ სისტემას, ქართულ ფეოდალურ-ვასალურ ტრადიციებს. ამიერიდან რუსული მოხელეობა მკვიდრდებოდა, სადაც ქართველი თავადი „უბრალო კალმის კაცი“ ხდებოდა და უგვარო რუსი მოხელის ხელქვეითად იქცეოდა; ამიერიდან მოურავებს კაპიტან-ისპრავნიკები შეცვლიდნენ, რომლებიც თავადის განკარგულებას ყურადაც არ იღებდნენ და მის „ქონებას“ თვითონ განაგებდნენ რუსული მმართველობის მითითების თანახმად, ყმაც კი თავადის განუკითხავი მორჩილებიდან გამოდიოდა და მმართველობას თავადის დაუკითხავად იგი სახაზინო უწყებაში შეეძლო გადაერიცხა.

ქართველი თავადისთვის ეს ახალი სისტემა დიდი ტრაგედია იყო. შერიგება ნიშნავდა ძველი პრივილეგიების სამუდამო გამოთხოვებას. ამ პრივილეგიებს დაცვა სჭირდებოდა და ქართველი დიდგვარიანები აღსდგნენ რუსული მმართველობის წინააღმდეგ. ამრიგად, თავადურ რეაქციას არა იმდე-

ნად ეროვნული, რამდენადაც სოციალური საფუძველი ჰქონდა. „ამით ქართველი თავადი საკუთარ სოციალურ-პოლიტიკურ უპირატესობას იცავდა იმ საფრთხისაგან, რომელიც მას რუსული ცენტრალისტური სახელმწიფო წყობილების სახით დამუქრებოდა“[1].

ქართველმა ბატონიშვილებმა, რომლებიც ტახტის დაბრუნებისათვის იბრძოდნენ, ქართველი თავადობის სახით ერთგული მოკავშირე შეიძინეს.

რუსული მმართველობის დამკვიდრებას, რაც ძირფესვიან ცვლილებას ნიშნავდა ქვეყნის ცხოვრებაში, საზოგადოების სხვა ფენებიც, ცხადია, ეჭვის თვალით უცქერდნენ. ახალი მმართველობა, რომელიც უმთავრესად უხეში, უვიცი, მექრთამე და მორალურად გახრწნილი პირებისაგან შედგებოდა, ამ ეჭვს კიდევ უფრო აღვივებდა.

ექსპედიციები ისე გაიხსნა, რომ ხალხმა არაფერი იცოდა მისი დანიშნულებისა და ფუნქციების შესახებ. არც ერთმა განათლებულმა ქართველმა არ იცოდა ამა თუ იმ საქმის ვაჭრობისთვის უნდა მიემართა. რუსული კანონ-სამართალი ძალაში შევიდა, მაგრამ სადამდე ვრცელდებოდა საერო მოხელეთა ძალაუფლება, სრულიად გაურკვეველი იყო. გაურკვეველი იყო ისიც, თუ რა რჩებოდა ძალაში ბატონის ძველი პრივილეგიებიდან, როგორი იქნებოდა გლეხის ურთიერთობა ბატონთან[2]. ქართველებმა რუსული არ იცოდნენ, რუსმა მოხელეებმა — ქართული.

უმაღლესი და სამაზრო მმართველობის მოხელეობა შთაგონებული იყო იმ აზრით, რომ ყველა ქართველი ახალი მმართველობის წინააღმდეგი და მოღალატეა. თვით კნორინგი ქართველობას იმის ღირსადაც კი არ თვლიდა, რომ რუსეთის ქვეშევრდომად ეღიარებინა და გენერალ ლაზარევს ამის გამო უსაყვედურებდა კიდეც. ძალაში შედიოდა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი ყველა თავისი უარყოფითი თვისებით[3].

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ., II, გვ. 266.

[2] Н. Дубровин, Тысяча восемьсот второй год в Грузии, стр. 294.

[3] იქვე, გვ. 231.

ახალ რეჟიმს მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებაც მოჰყვა. პირველმოთხოვნილების საგნები ქართლ-კახეთში გაძვირდა. ოქროს ფულის კურსი მკვეთრად დაეცა, ვერცხლი სავსებით გაქრა ბაზრიდან. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მთავრობის ჯარებიც, რომლებიც ადგილობრივ ბაზართან იყვნენ დაკავშირებული და თავიანთი ხელფასით არსებობა არ შეეძლოთ; სამოქალაქო მოხელეობას ფული არცკი ეძლეოდა. კოვალენსკის ბრძანებით მათ ურიგდებოდათ მაუდი, რომელიც ბაზარზე ღირებულების მესამედად თუ იყიდებოდა[1]. გაბოროტებული მოხელეობა და ჯარი ჯავრს ადგილობრივ მცხოვრებლებზე იყრიდნენ და სადაც კი მოიხელთებდნენ, ძარცვავდნენ უმოწყალოდ. საერთო დაძაბულობის, შიშისა და ეჭვის ვითარებაში სწრაფად ვრცელდებოდა და იზრდებოდა ყოველგვარი ჭორი, რასაც რუსეთის მმართველობის შეურიგებელი და ხელისუფლების მაძიებელი ელემენტები თესავდნენ. გავრცელდა ხმა, რომ რუსებმა ქართველი თავადაზნაურობა რუსეთში უნდა გადაასახლონ და მოურავობა უნდა გააუქმონო[2].

გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის საგარეო საქმეთა რწმუნებულ სოკოლოვთან საუბარში სწორად ხსნიდა ქართველი თავადების უკმაყოფილება-გაბოროტების მიზეზებს (ეს საუბარი 1802 წ. 2 ნოემბერს შემდგარა).

ქართველობა, — ამბობს გ. ჭავჭავაძე, — რუსული მმართველობისადმი დადებითად იყო და არის განწყობილი, მაგრამ ადგილობრივ მოხელეთა უსამართლო მოქმედებაა სწორედ საფუძველი იმ დრტვინვისა, რომელიც თანდათან ძლიერდება და შეიძლება აჯანყებაში გადაიზარდოს. რუსული მმართველობა შეურაცხყოფს ქართველებს, ართმევს მათ იმ უფლებებს, რაც იმპერატორმა დაუმკვიდრა. მოხელეთა თავაშვებული, თვითნებური ქცევით უკმაყოფილო მოსახლეობაში ადვილად ვრცელდება ყოველგვარი ჭორი, ქართველებს მართლაც ეშინიათ იმისა, რომ არ აღსრულდეს ის ხმები, რაც ამჟამად მთელ ქვეყანაშია მოდებული — თითქოს თავადაზნაურობა რუსეთს უნდა გადაასახლონ, რომ მოურავობა, რაზედაც დაფუძნებულია

---

[1] Н. Дубровин, Тысяча восемьсот второй год в Грузии, стр. 235.

[2] Акты, т. II, стр. 10—11.

ქართველი თავად-აზნაურების განსაკუთრებული უფლებები და სარგებლიანობა, უნდა მოიშალოს, ვინაიდან ხალხს არა გაეგება რა რუსული კანონებისა, არ იციან მთავრობის მოხელეთა ძალაუფლების შესახებ, ბატონების მათდამი და მათი ბატონებისადმი დამოკიდებულების ახალი წესის შესახებ[1].

როგორც ვხედავთ, საერთო-სახალხო დრტვინვის მიზეზი მრავალი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გლეხობა მაინც დუმდა. ქართველ ყმა გლეხს ახალ მმართველობაში დასაკარგავი თითქმის არაფერი გააჩნდა. მას ნაკლებად აღელვებდა ქართველი თავადაზნაურობის რუსეთში გადასახლების ამბავი. ფარულად იგი ალბათ ახარებდა კიდეც. გლეხი გაჩანაგებული იყო. მას ცალ-ცალკე და ერთად სულს ხდიდნენ ბატონიშვილებიც და საკუთარი ბატონებიც. მის მეურნეობას ლეკი აჩანაგებდა, მას თათრის გამოჩენის შიში მუდამ თან სდევდა. ასეთ ვითარებაში რუსული მმართველობა გლეხს მხსნელად ეჩვენებოდა. რუსი ხელმწიფის ძლიერების ამბავი გლეხობაში ფართოდ იყო გავრცელებული. ძლიერი ხელმწიფე კი გლეხს ყოველთვის და ყველგან თავის მფარველად, თავგასული საკუთარი ბატონის ამლაგმავ უმაღლეს ძალად მიაჩნდა. ხელმწიფე. გლეხის აზრით, კანონს მოიტანდა, რომელსაც გლეხიც და თავადიც უნდა დამორჩილებოდნენ, და უცხო მოძალადეთაგან დაიფარავდა.

ასე ფიქრობდა ქართველი ყმა გლეხი საქართველოს რუსეთთან შეერთების პერიოდში და განზე იდგა იმ ფაციფუცისაგან, რასაც ახალი მმართველობის საწინააღმდეგოდ თავადები ეწეოდნენ. „ჯერ კიდევ მცირე ხანი გასულიყო რუსული მმართველობის გამოსვლიდან და ქართველ გლეხს ჯერ კიდევ სისრულით არ ეგემნა ამ ახალი მმართველობის სიავკარგე, ხოლო ძველი ქართული მმართველობის სიმწარე კი მას ცხოვლად ახსოვდა"[2], — წერდა აკად. ნ. ბერძენიშვილი.

ქართველი ბატონიშვილები და თავადები, მართალია, ირწმუნებოდნენ გლეხობას ავამხედრებთო, მაგრამ გულში გლეხ-

---

[1] Акты, т. II, стр. 10—11.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 271.

თა მხარდაჭერის დიდი იმედი მაინც არ ჰქონდათ. ამიტომ იყო, რომ მიზნის განსახორციელებლად უპირატესად მაინც გარეშე ძალას ეტანებოდნენ. ყველაზე საიმედო მოკავშირე და დამხმარე რუსული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში ისევ მეზობელი თათრული სახანოები, ლეკები, სპარსეთის შაჰი და ახალციხის საფაშო ჩანდა. თავადობა დიდ იმედებს ამყარებდა ალექსანდრე ბატონიშვილზე, რომელიც საქართველოს საზღვრებიდან ადრე იყო გაქცეული და დიდი ხანია მოთავეობდა ანტირუსული ძალების კოალიციას ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურ სამყაროში. მოკავშირედ ქართველ თავადებს ეგულებოდათ იმერეთის სამეფოც, რომლის გამგებელი სოლომონ მეორე იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს იფარავდა, მათ სააჯანყებო სამზადისს ხელს უწყობდა და თავადაც ააქტიურებდა ღონისძიებებს რუსული მმართველობის წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგან ქართველ ბატონიშვილთა ხვედრში თავის ხვალინდელ ხვედრს ხედავდა.

1802 წლის ზაფხულისათვის კახელ თავადთა გამოსვლა მომზადდა, შეთქმულთა ძალები ასე იყო დანაწილებული:

შეთქმულების ცენტრალური ფიგურა, მისი პირველი წამქეზებელი და ორგანიზატორი ერეკლეს ქვრივი დარეჯან დედოფალი თბილისში, აელაბარში, იყო მოკალათებული. ყველა ბატონიშვილი დარეჯანთან იყო დაკავშირებული და ათანხმებდა თავის მოქმედებას. დარეჯანი კარგად იყო ინფორმირებული ყოველივე იმის შესახებ, რაც ქართლ-კახეთის გარეთ ხდებოდა, დიდი კონსპირაციულობის მიუხედავად მაინც ახერხებდა სისტემატური კავშირი ჰქონოდა ალექსანდრე ბატონიშვილთან, ჯევად-ხანთან, შერიფ-ფაშა ახალციხელთან, იმერეთში გადახვეწილ იულონთან და ფარნაოზთან, რათა სცოდნოდა რა ძალებს გამოიყვანდნენ ისინი აჯანყების შემთხვევაში. დარეჯანის მომხრეები ქალაქში ავრცელებდნენ ხმებს რუსი მხედრობის სისუსტის, რუსების წინააღმდეგ მუსლიმანური სამყაროს ერთობლივი გამოსვლის შესახებ. ისინი დივერსიებსაც მიმართავდნენ. დარეჯანის მომხრეებმა ამ დღეებში დაწვეს ავლაბრის ხიდიო, — აღნიშნავდა თავის დასმენაში გენ. ლაზარევი[1].

[1] Акты, т. I, стр. 360—361.

შეთქმულების მეორე მთავარი მონაწილე და ორგანიზატორი, სამეფო ტახტისათვის ყველაზე შეუპოვარი და დაუცხრომელი მებრძოლი იულონ ერეკლეს ძე თავის ძმა ფარნაოზთან ერთად იმერეთში მოქმედებდა. მისი ერთგული კაცები იმერეთიდან ქართლსა და კახეთში მიმოდიოდნენ და თავადობას სამოქმედოდ აქეზებდნენ. იულონს იმედი ჰქონდა არა მარტო ქართლ-კახეთის თავადობის მხარდაჭერისა, არამედ ახალციხის ფაშისა, რომლის ტერიტორია ლეკთა სათარეშო რაზმების თავშესაფარი იყო და რომელიც ქართლ-კახეთის საქმეებში უხერგიულად ერეოდა. იულონი წინასწარ იყო ინფორმირებული კახელ თავადთა განზრახულობაში და ვარაუდობდა, რომ დაიწყებდნენ თუ არა მოქმედებას შეთქმულნი, სოლომონ მეორისაგან ბოძებული ჯარითა და ახალციხის ფაშისაგან მოშველიებული ძალით გამოელაშქრა თბილისზე და დაემხო ახლად მოვლენილი რუსული მმართველობა და სამეფო ტახტზე დამჯდარიყო.

იულონი კელმენჩურზე გამოსვლის წარუმატებლობის შემდეგაც არ კარგავდა იმედებს და ფიქრობდა ახალ-ახალი ძალები ჩაება რუსული რეჟიმის დამხობისათვის ბრძოლაში. კელმენჩურის ტრაგედიის შესახებ ახლად ინფორმირებული იულონი 1802 წ. 8 აგვისტოს მიხეილ ერისთავს სწერდა: „ბრწყინვალეო თავადო, ბატონო. ერისთვის შვილო მიხეილ. მერე ამის წინათ რაც მოხდა, სოფლის ვითარებით მოხდა. ასე სჭირს სოფლის ვითარებას. მაგრამ ბოლოს კარგად მომხდარა საქმე. ასე იქნება ახლა, ამას ქრისტიანობის ფიცით და მამის ჩვენის ფიცით გწერ, მენდე, რომ თუ ღმერთმან ბედნიერება მაღირსა, შენზედ ყოვლის ჩემის შეძლებით საქართველოში შენის ბედნიერების მცდელი ვიყო და გამაძლებინებელი. ასე რომ შენი გულიც დაჯერდეს. კახეთის ამბავსაც შეიტყობდი, როგორც შეერთებულან და შენც ჩვეხზედ ერთგულად იქმნენ. სხვას ჩვენს სრულს ამბავს ამ წიგნის მომტანი გიამბობს და როგორც შემოგვეთვალოს ისე დაიჯერე საქმე. ამაზედ კიდევ ჩვენს ნამუსს და კაცობას ენდე. ყოვლის ფრით ხათრთქამი იყავ. აგვისტოსჳ, ქორონიკონს უე"[1].

---

[1] Акты, т. I, стр. 247.

მსგავს წერილს იულონი ქართლის თითქმის ყველა გამოჩენილ თავადს უგზავნიდა და გულუხვი დაპირებებით მათ გახიზვნას ვარაუდობდა.

რუსეთის მმართველობის საწინააღმდეგო მოძრაობაში შეთქმულთა ერთ-ერთ მთავარ იმედს ვახტანგ ბატონიშვილი წარმოადგენდა. ვახტანგი საარაგვოში იყო გახიზნული. საარაგვო, რომელიც ვახტანგს მამისგან ბოძებულ საკუთრებად მიაჩნდა, ყველაზე ხელსაყრელი სტრატეგიული პოზიცია ჩანდა რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი ამოკლებდა რუსეთიდან საქართველოში მომავალ ერთადერთ გზას დარიალის ხეობაზე. საარაგვოში ვახტანგი აჯანყებისათვის აქტიურ სამზადისს ეწეოდა. იგი ხელს უშლიდა დუშელი ისპრავნიკის საქმიანობას, აქეზებდა მცხოვრებლებს არ გაეწიათ მისთვის ანგარიში, აგროვებდა ძალებს — ვითომ ლეკთა თავდასხმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ნამდვილად რუსეთის ჯარების საპირისპიროდ. ვახტანგს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ოსთა და თაგაურელთა ხელმძღვანელობასთან, რომლებიც რუსების წინააღმდეგ აქტიურ დახმარებას (პირველ რიგში დარიალის გზის სრულ გადაკვეთას) აღუთქვამდნენ. ვახტანგ ბატონიშვილს სისტემატური კავშირი ჰქონდა დამყარებული დედასთან და ძმებთან და აჯანყების სამზადისის შესახებ კარგად იყო ინფორმირებული[1].

ტახტიდან გადაყენების შემდეგ დავით გიორგის ძეს ფარხმალი არ დაუყრია. თბილისს იგი დროებით გაეცალა და ბორჩალოში გადავიდა, თითქოსდა სპილენძის საბადოების ექსპლოატაციისათვის მუშების მოსაგროვებლად. რუსი მმართველობისათვის თვალის ასახვევად სპილენძის გამოდნობის საკითხზე მუსინ-პუშკინს წერილებს სწერდა და რჩევა-დარიგებას სთხოვდა[2]. შემდეგ დავითი ბორჩალოელ თათრებთან გადავიდა, რომ მთის მაღალ ჰაერზე დაესვენა და შერყეული ჯანმრთელობა აღედგინა. დავითის ყველა ეს მანევრი აჯანყებისათვის სამზადისს მოასწავებდა. იგი ძალებს აგროვებდა, ამასთან გაცხოველებულ მიმოწერას აწარმოებდა ბიძებთან,

---

[1] Акты, т. I, стр. 68.

[2] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 241.

რომლებიც მას მოკავშირეებად მიაჩნდა ტახტის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე განლაგებულ შეთქმულ ბატონიშვილთა ერთ-ერთი მთავარი იმედი ალექსანდრე იყო. 1802 წლის გაზაფხულისათვის ალექსანდრე ერევნის მხარეში იდგა და სპარსეთის შაჰისაგან მტკიცე დაპირება ჰქონდა მიღებული დიდძალი ჯარის გამოყვანაზე. თავის მხრივ ერევნის ხანიც აღუთქვამდა დახმარებას. ლეკთა რაზმებიც თითქოს ალექსანდრეს ლაშქარს უნდა შეერთებოდნენ. ალექსანდრე საქართველოში ყაზახ-ბორჩალოს მხრიდან „დიდძალი ჯარით“ უნდა შემოჭრილიყო[1] იმ დროს, როცა ბატონიშვილები მოქმედებას დაიწყებდნენ. ალექსანდრეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული აგრეთვე განჯის, ყარაბაღის, შაქ-შირვანის, ერევნის, ნახჭევნის ხანებთან, რომლებიც რუსების გარეკვის ალექსანდრესეულ გეგმებს დიდად თანაუგრძნობდნენ და ისწრაფოდნენ რუსების გარეკვას მანამ, ვიდრე მათი მხედრობა მცირერიცხოვანი იყო.

შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო თეიმურაზ ბატონიშვილი, რომლის საუფლისწულო (სურამი) ქართლ-კახეთის იმერეთთან დამაკავშირებელ ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენდა. თეიმურაზ გიორგის ძე ჯერ ბიძებს ებრძოდა და თავის ძმას, დავითს, ეხმარებოდა ტახტის გამტკიცებაში. ხოლო რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ იმანაც რუსების წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით ბრძოლა გადაწყვიტა.

თეიმურაზის მთავარ დასაყრდენს თავადნი აბაშიძეები წარმოადგენდნენ, რომლებსაც ახალციხის ფაშასთან და იმერეთის სამეფოსთან მუდმივი კავშირი ჰქონდათ. აჯანყების წინა დღეებში თეიმურაზს საკმაოდ ძლიერი რაზმი ჰყავდა მზად.

1802 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან შეთქმულთა აქტიურობამ იმატა. თბილისს, სადაც შეთქმულების ყველა ძაფი იყრიდა თავს, განსაკუთრებული მოუსვენრობა დაეტყო. ქალაქში ზედიზედ ვრცელდებოდა ხმები (ცხადია, შეთქმულთა

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 268.

ბანაკიდან) საქართველოზე ყოველი მხრიდან თავდასხმისა და რუსების სისუსტის შესახებ. გენერალ-მაიორი ლაზარევი 1802 წლის 20 ივლისს კნორინგისადმი გაგზავნილ მოხსენებაში შეშფოთებით წერს იმ საშიშ მდგომარეობაზე, რომელშიც რუსული მმართველობის რეზიდენცია აღმოჩნდა. ლაზარევი საჭიროდ ცნობს ძალების ამოქმედებას, კერძოდ, ალგეთიდან ჯარის ნაწილების ჩამოყვანას თბილისში და მათ ავლაბარში განლაგებას, სპეციალური რაზმის გაგზავნას დუშეთში ბატონიშვილ ვახტანგის ღონისძიებათა ჩასაშლელად[1]. გამოსვლის ყველაზე საშიშ რაიონად ლაზარევს, არც თუ უსაფუძვლოდ, კახეთი მიაჩნია, რასაც, მისი სიტყვით, უმიზნებს ალ. ბატონიშვილი, რომელიც, ლაზარევის ყანკარგულებაში არსებული ცნობებით, დიდძალი ჯარებით ბელაქანშია დაბანაკებული. მეორე დღეს, 21 ივლისს, პოლკოვნიკ სოლენიუსისაგან მიღებულ ცნობებზე დაყრდნობით ლაზარევი კნორინგს აცნობებს კახეთის თავადთა გამოსვლის შესახებ და თან დასძენს, რომ აჯანყებულებს 40000-მდე კაცი უნდა ჰყავდესო[2].

ლაზარევმა, იმის მიხედვით, თუ როგორ იყვნენ განლაგებული შეთქმულთა ძირითადი პუნქტები, სასწრაფოდ დააზარისხა თავისი ჯარებიც. ჯარების ყველაზე დიდი რაოდენობა, ეგერთა და გრენადერთა ბატალიონები, ყაბარდოს მუშკეტერთა პოლკის ასეულები, არტილერია კახეთში გაგზავნა. სასაზღვრო პუნქტებში განლაგებული რუსთა ძალები საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ.

მთავრობის ღონისძიებათა გააქტიურებამ თავადთა გამოსვლაც დააჩქარა. შეთქმულთა აზრით, დაყოვნებას შეეძლო მხოლოდ ზიანი მოეტანა. რუსები საეჭვო პირებს ზედიზედ აპატიმრებდნენ. შეთქმულთაგან ზოგიერთი რუსთა მხარეზე გადადიოდა, ზოგიც უშიშროების მიზნით საქართველოს საზღვრებიდან გარბოდა და ალ. ბატონიშვილს ან რომელიმე სახანოს ეკედლებოდა. ყველაფერი ეს შეთქმულთა ძალების შემცირებას იწვევდა.

21 ივლისს საქართველოს მმართველ კოვალენსკის და კახეთში განლაგებული სამხედრო ძალების უფროსს გულიაკოვს

[1] Акты, т. I, стр. 359—360.

[2] იქვე.

კახელ თავადთა ერთმა ჯგუფმა წერილით მიმართა, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი:

„პირველი ჩუენი მოხსენება ეს არის: საქართველო ერთი მცირედნი ქვეყანა ვართ. ჩვენ გვებრძოდა დიდი ხელმწიფე ერის ხონთქარი; ჩვენ გვებრძოდა ყეენი და ყმანიც იმისნი ვიყავით. ჩვენ გვებრძოდა დაღესტანი, რომ ისიც ერთი დიდი ქვეყანა არის, მაგრამ ამაებს არცერთს თავი არ დაუდევით; თუმცა ძალას გვატანდნენ, ზოგჯერ კიდეც დაგვიჭირეს, მაგრამ თავი არც ერთს არ დაუდევით, ამისათვის წარმართნი იყვნენ. როდესაც ამათ დაგვიჭირეს, ვერც მაშინ და ვერც მისუკან ჩვენში ვერც მოშალეს მეფობა, ვერც მოშალეს ეფისკოპოსობა, ვერც მოშალეს თავადობა, ვერც მოშალეს გლეხობა, რომ ყოველს ფერს თჳთ თქვენი თვალი ხედავს. ამ დიდროვანის ურჯულოთ მტერთაგან რომ მოსვენება არა გვქონდა, ხმლითაც ბევრი მოვიშორეთ, მართლისა და ტყუილის თქმითაც და მიცემითაც დაღისტანს ვიშორებდით. ამ გაჭირვებაში რომ ვიყავით, ჩვენი მეფენი ეეედრებოდნენ ყოვლად-მოწყალეს ხელმწიფეს, რომ ქრისტიანობის გულისათვის მოწყალება მოეღო და რუსეთის საფარველი გვდებოდა. ჩვენს მეფესაც პატივი და დიდება მომატებოდა, უკლესიებსაც და ეფისკოპოზსთაც, თავადთაც და გლეხთაც და უშიშრობაშიც ვყოფილიყავით. ინება ყოვლად-მოწყალემ ხელმწიფემ და საქართველო რუსეთს შეაერთა და მანიფეშტები გვიბოძა, რომ ყოველს ფერს მოწყალებას თვითეულად გვიბრძანა, იმისთანა ბრძანება და მადლობა მოვახსენეთ და სხვა რაც მოწყალება მანიფეშტით გვიბრძანა, თქვენგან არ აღგვისრულდა: უშიშროება გვიბრძანა. რაში ჩანს? სოფლებს და სოფლელებს გლეჯენ ლეკნი და არას ნაღვლობთ. ეკლესიებისა და ეფისკოპოსთ პატივის მომატება ბრძანა, — თქვენ ყმა და მამული მთლად ჩამოართვით. თავადთ პატივის მიმატება გვიბრძანა, ჩვენ, რომელნიც ჩვენის ბატონებისაგან პატივცემულნი ვიყავით და იქიდამ ვრჩებოდით, ის პატივი მოგვეშალა; ვისაც დიდის ღვაწლით და სისხლ-დათხევით სოფლები სახელოთ გვეჭირა, ის მოგვიშალეთ; გლეხთ თორმეტს წელიწადს მოწყალება უბრძანა ხარჯის გამოურთმეველობისა; ჩვენის დაქცეულის ქალაქისა გვიბრძანა, რაც შემოსავალი ძართებელთ ჯამაგირს

გადარჩეს, დაქცეულის ქალაქის აღსაშენებლად დახარჯუ-ლიყო — ესეც არ მოხდა: ამათ ხარჯი ეთხოვათ, ამათ იწყინეს, თორემ ჩვენს ხალხზედაც გამოაცხადებდით, მაგრამ დაიდუმეთ. ამის გარდა ოჯახის-შვილნი თავადნი დაიჭირეთ და ქიზიყელნი უფროსი კაცნი და მათ უველამ თავი იმართლეს და სიმართლით გამოცხადდნენ. რაც ყოვლადმოწყალემ ხელმწიფემ გვიბრძანა, ფიცი თუ სხვა რამ, ყოველი ფერი აღგვისრულებია, რომ თვით ჩვენი წერილები აცხადებს; თქვენ ამ მწუხარებაში მიგვეცით, ამას გარდა ახლა ვაჩსაძეებს მოუხდენ, დაჭერას უპირებდნენ, არ დაეჭერნენ. არ ვიცით რა დანაშაული გვაქვს? თუ ხელმწიფის ბრძანებით გვიშვრებით, გამოგვიცხადეთ, ისე გარდაგვხდეს; თუ თქვენ თავად გვიშვრებით, ერთობით თავადნი და გლეხნი მოგახსენებთ, იმის პასუხი უნდა მოგვცეთ, რომ ჩვენც ხელმწიფეს არზი მივართოთ და ჩვენი შეჭირვება მოვახსენოთ: ხელმწიფის უბრძანებლივ თავადთ ნუ დაიჭერთ, არც ძართებული არის; რომელიც თავადნი გაიქცნენ, ქალაქში რომ წიგნი გამოჩნდა, იმ ხმის შიშმა გააქცივა, ერთი ამისი პირი კავალენცკისაც მივწერეთ და შენც მოგართვით, რომ ეს ჯარი თქვენი კამანდისანი არიან"[1].

ეს წერილი მთლიანად იმიტომ მოვიტანეთ, რომ ნათლად ახასიათებს კახელ თავადთა გულისტკივილს და შეთქმულების გამომწვევ მიზეზებს. გულიაკოვმა წერილის მომტანი პირები: თავადები სიმონ და დავით ქობულოვები, იოსებ ჭავჭავაძე, ეპისკოპოსი ელეფთერი დააპატიმრა და გამოძიებას შეუდგა. დაპატიმრებულთა შორის იყო სომეხი კაზარი გაირახტაროვი, რომელმაც შეთქმულების შესახებ მრავალი საყურადღებო ცნობა მისცა გულიაკოვს. მანვე აჩვენა ქობულოვის წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისადმი. აღსანიშნავია, რომ ერთი ამ წერილთაგანი შიფრებით იყო შედგენილი. ჩანს, შეთქმულებს ჰქონიათ კოდი, რომელსაც ფრიად საიდუმლო მიმოწერისათვის იყენებდნენ[2].

თავადთა დაპატიმრებამ მღელვარება კიდევ უფრო გააძლიერა და შეთქმულების მონაწილეებმა გადაწყვიტეს საპასუხო ღონისძიებანი განეხორციელებინათ.

[1] Акты, т. I, стр. 388.

[2] იქვე, გვ. 362.

ადგილობრივი რუსული მმართველობისაგან რომ საჩივრებზე პასუხი ვერ მიიღეს, შეთქმულებმა გადაწყვიტეს უშუალოდ რუსი იმპერატორისათვის მიემართათ. ალექსანდრე პირველისადმი გაგზავნილ წერილში შეთქმულნი წერდნენ:

„ერთობით კახეთსა შინა მცხოვრებნი საძღუდელონი და საერონი მუხლ-დადგმით მოვახსენებთ ყოვლად უდიდებულესსა მფარველობასა თქვენსა უსრეთ:

უმოწყალესო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენისა იმპერატორებისა დიდებულებისასა დაგვაფიცეს, მყის გამოგვიცხადდა მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებინოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფებისა თქვენისასა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობასა ქვეშე.

ეს ფრანციულთ მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან. ჩუჱნს ბატონებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ უარ ვყოთ; ათას ორი წელი მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მემკვიდრეობენ და ეგრეთვე (მრავალი ამათგანი ჩვენის გულისათვის წამებულან) ქრისტესთვის და ჩვენთვის სისხლი დაუთხევიათ და ჩუჱნც ამათ წინ ამოვწყვეტილ-ვართ მრავალნი.

ეს ჩუჱნნი ჰაზრი არ არის, — მაცთურთა კაცთაგან მომხდარია. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩუჱნზედ მრავალ-გვარად გარჯილის და ღუაწლდადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და იმ ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობას ქვეშ გვამყოფოთ, და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს, ისე გვიმსახუროთ.

ამას ვითხოვთ თქვენის დიდებულებისაგან მუხლ-დადგმით და სულთქმით“[1].

იმპერატორისადმი ამ თხოვნას ხელს აწერს კახეთის 65 თავადიშვილი.

ქართლ-კახეთში ბაგრატოვანთა ტახტის აღდგენისა და მეფედ იულონის დამტკიცების შესახებ შეთქმულთ, როგორც ჩანს, წერილობითი დოკუმენტი შეუდგენიათ. ამ დოკუმენტს საგანგებო პირები დაატარებდნენ და მომხრე თავადებს ხელს აწერინებდნენ. მოსამზადებელ საქმიანობას სათავეში ქიზიყელი

[1] Акты, т. I, стр. 387.

ანდრონიკაშვილები, ეაჩნაძეები და ჯანდიერიშვილები ედგნენ. 24 ივლისს შეთქმული თავადების დიდი ჯგუფი, რომელთანაც ქიზიყის ქვეყნა მამასახლისებიც იყვნენ, სოფ. მაღაროს მახლობლად შეიკრიბა[1].

შეკრების მიზანი იულონისადმი შეფიცვა იყო. შეთქმულებმა ბოდბელი მიტროპოლიტი იხმეს და იულონ ბატონიშვილის ერთგულებაზე დააფიცეს. „ოცდა ოთხს ჩუმნ დავეებარებინეთ და ხიზიყის მოხელეები, მიეედით და ასე იფიცეს ჯერ ხელმწიფის ერთგულებაზე და მასუკან იულონ ითხოვეს. ლაკბეზედ იყო ის ფიცი“, — აღნიშნავს თავის ჩვენებაში ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე[2].

იულონის შეფიცვას ხალხში გახმიანება, გლეხკაცობის ძიძხრობა სჭირდებოდა. მეფის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება შეთქმულთ სოფ. მაღაროში გადაუწყვეტიათ. მეორე დღეს შეთქმულნი მაღაროსაკენ გამგზავრებულან, რომ პირველ რიგში მაღაროს მოსახლეობა დაეფიცებინათ. მაღაროს მახლობლად. მდინარე კელმენჩურთან შეთქმულებს მოსახლეობა უხმია და დაფიცებას შედგომიან. „ოცდახუთის შაბათ დღეს კეცმენჩურზე გადმოვიდნენ, — აღნიშნავს იგივე იოანე, — ხიზიყის ხალხი მოვიდა სოფლიდამ და დაიფიცეს ჯერ ხელმწიფის ერთგულებაზე და მასუკან იულონის ძემკვიდრეობაზე, რადგან მეფის ირაკლის ანდერძი ასე არის, თუ იმის დიდებულება ინებებს“[3].

გლეხობას თავადობის სატკივარი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, არ აწუხებდა და რუსთა მმართველობის შემოღებას თუმცა ეჭვით, მაგრამ მაინც იმედიანად შეჰყურებდა, მისგან მეურნეობისა და პირობების დაცვას მოელოდა. ამიტომაც თავადურ შეთქმულებას, როგორც ჩანს, გლეხები არ აღუფრთოვანებია. პირიქით, ვისაც საკმაო გამბედაობა გააჩნდა, საერთოდ უარი უთქვამს იულონისადმი შეფიცვაზე, რადგან ეს რუსული მმართველობის წინააღმდეგ გალაშქრება იქნებოდა. მხოლოდ ნაწილი გლეხობისა აჰყოლია შეთქმულ თავადებს

---

[1] Акты, т. I, стр. 391.

[2] იქვე.

[3] იქვე.

(ზოგი შიშის გამო, ზოგი მოსალოდნელი დამსახურების იმედით) და კელმენჩურზედ დაუფიცებია. რუსი მოხელეობა, რომელთაც იცოდნენ შეთქმულთა სამზადისის შესახებ[1], გაფაცებით ადევნებდა თვალს ყოველ მათ მოძრაობას. ჩანს, მათ არც ლაკბე-კელმენჩურის ყრილობა გამოპარვიათ. შეფიცვა მიმდინარეობდა, როცა შეთქმულთ თავზე ისპრავნიკი წაადგა „რამდენიმე ყაზახით, თან ჯარი მოჰყვა და არტილერია"[2]. რუს ოფიცრებს, ცხადია, შეთქმულთა მოთავეების დაპატიმრების მიზანი ჰქონდათ. როგორც ჩანს, შეთქმულთ დიდი მამაცობა, ერთსულოვნება და მოხერხებულება გამოუჩენიათ, მოთავენი არ გაუციათ და არც სისხლის ღვრამდე მიუყვანიათ საქმე.

მას შემდეგ, როცა ჯარმა მიაკვლია შეთქმულთა კვალს და იულონის მეფობაზე დაფიცების ფაქტს ზედ წაასწრო, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ახლა ერთობლივი და სწრაფი მოქმედება იყო საჭირო. ეს ჰქონდათ მხედველობაში შეთქმულთ. როცა მოწოდებით მიმართეს მთელი კახეთის ხალხს.

„მათს ბრწყინვალებას, ერთობით შიგნით კახეთის თავადთა და გლეხთ, ერთობით მოკითხვას მოვახსენებთ ერთობით ენდრონიკა-შვილები, ვაჩნაძეები და ერთობით ქიზიყელნი. მეორე დღეს რომ იცოდა ხუთი არის, აქ კელმენჩურზედ შევიყარენით, დავიფიცეთ იულონის მეფობაზედ და რომელიც კაცი დაიჭიროს, იმაზედ სისხლი დავთხიოთ ერთად. ამ ამბავში რომ ვიყავით, პოდპოლკოვნიკი მოგვიხდა ჯარით და არტილერიით; ჩვენც მაგრა დავხუდით, დაბრუნდა ისევ, ახლა თქვენც მაგრა და მხნედ იყავით გლეხიც და თავადიც; კიდევ გაცოდინებთ ამბავს... გავაზელნო, ყვარელნო, ენისელთ მოურავნო, ნოდარიანო (ჯორჯაძე), — თქვენც ჩვენის ძმობისაგან ვერ გახვალთ. ყოვლად სამღვდელოო ნეკრესელო, შენც ამაზედ მხნე უნდა იყო, ხალხი გაამხნევო და ფიცით შეკრა ხელმწიფის ერთგუ-

---

[1] Акты, т. I, стр. 390.

[2] შეთქმულებს იმპერატორისათვის წერილი პეტერბურგში დარეჯან დედოფლის ხელით უნდა გაეგზავნათ. დარეჯანს, რომელიც არაერთგზის იყო შენიშნული შეთქმულებაში მონაწილეობაზე და დღედადღე დაპატიმრებას ელოდა, როგორც ჩანს, სურვილი გამოუთქვამს პეტერბურგში წასვლაზე თავის ორ ქალიშვილთან ერთად.

ლობაზედ და იულონის მეფობაზედ. მაყა-შვილებო, ჩოლოყა-შვილებო, ყორჩიბაშიშვილებო, ბაზიერთ-ხუცის-შვილებო და ერთბობით ჩოლოყა-შვილებო, თქვენც ასე ქენით. ივლისის კე ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე. დავით გარესჯის წინამძღვერი ერთობით ენდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჯანდიერაშვილები, ერთობით ხიზიყის მოხელენი და ხიზიყელნი გწერთ"[1].

შეთქმულთ საჭიროდ ჩაუთვლიათ კვლავ მიეწერათ წერილი ქართლ-კახეთის რუსული მმართველობისათვის, ამჟამად გენერალ-მაიორ ლაზარევისათვის. 26 ივლისის თარიღით დაწერილ წერილში შეთქმულნი ჩიოდნენ, რომ პირველი წერილის პასუხი არ გვაღირსეთო, პირიქით, გულიაკოვმა ჩვენი წერილის მიმტანნი დააპატიმრა, ახლა კი კახეთში ყველა თავადს სდევენო. ჩვენ ახლა ქიზიყს შევიყარენით, იმპერატორის და იულონის ერთგულებაზე დავიფიცეთ, ხელმწიფესაც არზა მივართვით. ამ საქმეში რომ ვუყავით პოდპოლკოვნიკი მოგვიხდა ჯარით და არტილერიით და „კინაღამ ხელმწიფის ორგულობაში არ შეგვიყვანაო"[2]. ახლა გემუდარებით, ეს შფოთი დააწყნაროთ, ან ხელმწიფის საწყენ საქმე'ში არ მიგვცეთ და ან ეს ხალხი ხელმწიფეს არ დაუკარგოთ, რომ ჩვენი ძმანი არიან უსამართლოდ დაჭერილნი, ის გვებოძოს, რომ შფოთი დაწყნარდესო და სხვ. ამავე თარიღით შეთქმულთ წერილი მიუწერიათ რუსეთის მმართველობის სამსახურში მყოფ ქართველ თავადთათვის, ივანე ორბელიანის, ივანე ჩოლოყაშვილის, ალექსახდრე და ჭაიხოსრო მაყაშვილისათვის, რომლებიც, როგორც ჩანს, შეთქმულ თავადებს ადრევე აფრთხილებდნენ ხელი აეღოთ რუსეთის მმართველობის საწინააღმდეგო მოქმედებაზე[3].

კელმენჩურის ყრილობის შემდეგ შეთქმულთა აქტივობა მინელდა. მმართველობის სასტიკმა რეპრესიებმა შეასუსტეს მაიი ძალები. მხოლოდ აქა-იქ, ქართლ-კახეთის რაიონებში ადგილი ჰქონდა რუსული მმართველობით უკმაყოფილო თავადთა სპორადულ, სტიქიურ გამოსვლებს. მაგალითად, სწორედ ამ დღეებში სისტემატურ შეკრებას აწყობდნენ მანავის შეთქმული თავადები, რომლებიც ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშ-

[1] Акты, т. I, стр. 363.

[2] იქვე, გვ. 390.

[3] იქვე, გვ. 401.

ქარს მოელოდნენ და ადგილობრივ მცხოვრებთ ურჩევდნეს გადმოსულიყვნენ შეთქმულთა მხარეზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სოფელს აოხრებით ემუქრებოდნენ[1]. მანავში სპეციალურად მივლინებული რაზმის გამოჩენის შემდეგ შეთქმულხი ტყეს შეეხიზნენ. მრავალი დაიჭირეს, მრავალიც დაჭერის შიშით კახეთიდან გაიქცა. შეთქმულებს არ აღმოაჩნდათ ერთი პირი და მოქმედების კოორდინაციის უნარი. კახელნი რომ აქტიურობდნენ, ქართლელნი სდუმდნენ. ბატონიშვილმა ვახტანგმა დარიალის ხეობის ჩაკეტვისათვის ვერაფერი გააკეთა, ტუჩკოვის რაზმის უნარიან მოქმედებას ვახტანგ ბატონიშვილმა ვერაფერი დაუპირისპირა და ბოლოს იძულებული გახდა დანებებოდა მას. ვახტანგი თბილისში ჩამოიყვანეს და მტკიცე ზეთვალყურეობა დაუწესეს. მმართველობამ ყოველმხრივ შეიბოჭა არა მარტო დარეჯანი და მარიამი, რომლებიც თბილისში შეთქმულთა მოთავეობაში იყვნენ შენიშნული, არამედ ყველა საეჭვო ქართველი თავადი. თბილისი რუსეთის მმართველობამ საგანგებოდ გაამაგრა. დარეჯანის სასახლეს ავლაბარში პატრულები დაუყენეს და სავსებით მოწყვიტეს სამყაროს.

ვერც იულონი და ფარნაოზი აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე. დაპირება ბევრი იყო. საჭიროების შემთხვევაში კი მათ ჯარი არც სოლომონ მეორემ მისცა, არც ახალციხის ფაშამ მიაშველა. იულონი და ქაიხოსრო ასამდე ერთგული მოლაშქრით ქართლის საზღვარს მიადგნენ იმ მიზნით, რომ აჯანყებულ კახელ თავადობას მიშველებოდნენ, მაგრამ, წააწყდნენ რა რუსეთის მრავალრიცხოვან ჯარს, უკანვე გაბრუნდნენ[2]. დავითსა და ფარნაოზს კახელ შეთქმულთა დასახმარებლად აღარ გამოუდვიათ თავი, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც შეთქმულებმა იულონს შეჰფიცეს ერთგულება.

ყველაზე დიდი იმედი შეთქმულთ ალექსანდრე ბატონიშვილისა ჰქონდათ. მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილმა ვერ მოახერხა დროზე ჯარით მიშველება. ამის მიზეზი, როგორც ალექსანდრე აღნიშნავს, შეიძლება ზოგიერთი ქართველი შეთქმულიც იყო, რომელთაც დააბნიეს დახმარებისათვის მზად-

---

[1] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

[2] Акты, т. I, стр. 401.

მყოფი ბატონიშვილი. ერთი რამ ცხადია, შეთქმულებმა ალექსანდრე ბატონიშვილთან მჭიდრო კონტაქტი ვერ დაამყარეს, მოქმედების დაწვრილებითი გეგმა და ზუსტი დრო ვერ შეუთანხმეს. მთავრობამ ხელთ იგდო კახელ თავადთა წერილი ალექსანდრე ბატონიშვილისადმი და თვით აღმოჩნდა საქმის კურსში. იმავე წლის სექტემბრის წერილში ალ. ბატონიშვილი ერთგულ კახელ თავადობას შემდეგს აუწყებდა:

„...ჩვენ ყარაბაღიდან ყიზილბაშისა და ადირბეჟანის ჯარებით მოვიდოდით, მაგრამ ყაზახიდამ და ზოგი ერთის ქართველთა და კახთაგან წიგნები მოგვივიდა; ასე მოეწერათ, — ამ ხელად თქვენ ჯარების წამოყვანა არ გეჭირებათო, თქვენ განჯას ჩამოდით, როგორც თქვენის გულის წადილი იქნება, ჩვენ ისე აღვასრულებთო, ახლა ჩვენც განჯას ჩამოვედით, თქვენც ამასა გწერთ: როგორც თქვენის ერთგულობისა და სიყვარულობისაგან ვიცოდით, იმ რიგად მხნედ მოიქეცით... თქვენც არჩივეთ; თუ რომ დიდის ჯარებით დამიბარებთ, დიდროვანს ჯარებს წამოვიყვანთ; თუ რომ დიდროვანს ჯარებს არ მოინდომებთ, რამდენსამე ათასის კაცით დამიბარებთ, იმდენის ათასის კაცით წამოვალ. ღუთის მოწყალებით მაგათი მაინდამ გაყვანა დიახ ადვილია“...[1].

წერილიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი თითქოს ინანიებს კიდეც შეთქმულთ დროზე ჯარი რომ ვერ მოაშველა და თავის უმოქმედობას გაუგებრობას აბრალებს. საბაგიეროდ, განჯიდან აქტიური მოქმედებისათვის მზადყოფნას იუწყება. მაგრამ ამ დროისათვის შეთქმულთა ძალები გატეხილი იყო, ივლისის ბოლოს კახეთში დამატებითი რაზმებით გაემართა თვით გენერალ-მაიორი ლაზარევი. 2 აგვისტოს ლაზარევი მაღაროში იყო. აქედან მან კახელ თავადობას წერილობითი მოწოდება გაუგზავნა. მან მოითხოვა შეცდომის აღიარება და 5 აგვისტოსათვის მოსალაპარაკებლად სიღნაღს შეკრება. 5, 6, 7 აგვისტოს ლაზარევთან კოლექტიურად და ცალ-ცალკე მიდიოდნენ კელმენჩურის ყრილობის მონაწილე შეთქმული თავადები და დანაშაულს ინანიებდნენ[2]. ლაზარევმა მათ რუსული

[1] Акты, т. I, стр. 404.

[2] Н. Дубровин, Тысяча восемьсот второй год в Грузии, стр. 259—260.

ᲫᲛᲐრთველობის ერთგულებაზე ხელახალი ფიცი ჩაძოართვა და დაავალა იულონისათვის გაეგზავნათ წერილი და ეცნობებინათ ახალი გადაწყვეტილება, ე. ი. რუსულ მმართველობასთან შერიგება. თავადები იძულებული გახდნენ ლაზარევის ეს მოთხოვნა შეესრულებინათ. ის ურჩი თავადები კი, რომლებიც ალ. ბატონიშვილთან ერთად ადრე გაიქცნენ, მონანიებას გაურბოდნენ და რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებას ფარულად ეწეოდნენ. კოვალენსკის ბრძანებით მათ ᲫᲐძულები ჩაძოართვეს.

10 აგვისტოს ლაზარევი თბილისს დაბრუნდა, სადაც გენერალ-მაიორმა ტუჩკოვმა დუშეთს შეპყრობილი ვახტანგ ბატონიშვილი ჩამოიყვანა. ვახტანგი დედისეულ სახლში, ავლაბარში, მოთავსდა. ამ სახლს რუსი პატრულები მიუჩინეს. ასე რომ, შეთქმულების მოთავენი შინაურ პატიმრობაში აღმოჩნდნენ. თბილისში ნებით ჩამოვიდა თეიმურაზ ბატონიშვილიც. შეთქმულთა ჯერ კიდევ მიმალულ ნაწილს ერთგვარი იმედი ᲫᲝჰფინა თბილისში გარსევან ჭავჭავაძის ჩამოსვლამ. გარსევან ჭავჭავაძის სახლში თავადების მალული სტუმრობა და თათბირი გახშირდა. ეს ამბავი, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი არ დარჩენია რუსეთის მმართველობას. კოვალენსკი 15 ნოემბრის თარიღით კნორინგისადმი მოხსენებაში მიუთითებს გარსევან ჭავჭავაძის ჩამოსვლასთან დაკავშირებით შეთქმულთა გააქტიურებას და მოსალოდნელ საშიშროებას: „თავადთა იწყეს შეკრებანი და თათბირები, რაც მაუწყებელია მათი ახალი გონებრივი მოძრაობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საშიშროებას შეიცავს“[1]. კოვალენსკი ᲫᲝითხოვს Ძითითებებს, რა ღონისძიებანი მიიღოს გარსევან ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

გარსევან ჭავჭავაძის თბილისში ჩამოსვლის ᲫᲝᲫენტისათვის შეთქმულება საბოლოოდ გამომჟღავნებული და დამარცხებული იყო. ლაზარევი ქართლ-კახეთში მშვიდობიანობას აღდგენილად თვლიდა. შეთქმულების მონაწილენი ჩამოდიოდნენ ქალაქში და პატიებას ითხოვდნენ.

---

[1] Акты, т. I, стр. 405.

1802 წლის შეთქმულების შესახებ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა აზრია გამოთქმული.

1802 წელს ქართლ-კახეთის თავადურ გამოსვლას ჯერ კიდევ ისტორიკოსმა დუბროვინმა მიაქცია ყურადღება, რომელშაც სპეციალური ნარკვევი უძღვნა ამ მოძრაობას ჟურნ. „ვესტნიკ ევროპის“ ფურცლებზე[1]. დუბროვინმა განიხილა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები, ქართული სახელმწიფოებრივი წყობილება და სამართალი, იმასთან შესადარებლად, რაც რუსულმა მმართველობამ 1801 წლის შემდეგ საქართველოში დააკანონა. ამასთან დუბროვინი არ მორიდებია სააშკარაოზე გამოეტანა ის ბოროტმოქმედებანი, რაც აღმოსავლეთ საქართველოში რუსების გაბატონებას მოჰყვა. ამ დაპირისპირების შემდეგ დუბროვინმა ასეთი კითხვა დააყენა:

„შეიძლება თუ არა დავადანაშაულოთ ქართველები, რომლებსაც, როგორც ჩვენ ვნახეთ, ჰქონდათ თავისებური ჩვეულებანი და წესები, დავადანაშაულოთ იმაში, რომ ისინი შეეჩვივნენ ეცქირათ თავისი მეფისათვის, საკუთარი, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვალებით, რომ მათ არაფერი გაეგებოდათ ჩვენი მმართველობისა ჩვენი სასამართლო წარმოების წესებისა... ხალხისათვის უცხო აღმოჩნდა ის ადმინისტრაციული ღონისძიებანი, რომლებიც კარგი იყო ველიკორუსული გუბერნიებისათვის. ეჭვი არ არის, რომ ქართული თვითმმართველობა არანაკლებ ბოროტმოქმედებას შეიცავდა, ვიდრე უმაღლესმა მმართველობამ დაუშვა, რომ მეფისა და თავადების თვითნებობა ხალხს მძიმე უღლად აწვა, მაგრამ ეს თვითნებობა მაინც ხალხის ხასიათთან და ტრადიციებთან იყო შეხამებული. საუკუნეთა მანძილზე იგი ჩვეულებაში გადაიზარდა და ქართულ პოლიტიკურ სხეულს შეუსისხლხორცდა. ქართველი თავადი ვერ გაბედავდა გლეხისათვის მოეთხოვა იმაზე მეტი, რასაც ადრე ითხოვდა. ის სამსახური შეეს-

---

[1] И. Дубровин, Тысяча восемьсот второй год в Грузии, «Вестник Европы». № 1 1867.

რულებინა, რაც წინათ არ შეუსრულებია. უმაღლესმა მმართველობამ თავისი შექმნის პირველი დღიდანვე დაარღვია ეს ხალხური ჩვეები და ამით მრავალი უკმაყოფილება და წყენა წარმოიქმნა. ქართველები ძველ წესრიგს იცავდნენ, ჩვენი მმართველობა ახლისადმი მორჩილებას მოითხოვდა. მანიფესტის გამოცხადების დღესვე ამ ნიადაგზე წამოიჭრა გაუგებრობანი და სახალხო უკმაყოფილება. ბოროტმოქმედებანი, რამაც მხარის ადმინისტრაციაში მოიკიდა ფეხი, ახალ სიბაბს აძლევდა უწესრიგობასა და ხალხის აღშფოთებას"[1].

დუბროვინის მოტანილი სიტყვებიდან ჩანს, რომ მას ქართული საზოგადოებრიობის უკმაყოფილების მიზეზი კარგად აქვს მინიშნებული, მაგრამ თავადური შეთქმულების კონკრეტული მიზეზები აქ მაინც არაა ახსნილი. ლაპარაკია ქართველებზე საერთოდ, მაშინ როცა აჯანყებას მხოლოდ ქართლ-კახეთის გაბატონებული ზედაფენა აშზადებდა. დუბროვინი არაა მართალი მაშინაც, როცა ფიქრობს, თითქოს 1802 წლის მოძრაობა საერთოდ რუსების წინააღმდეგ იყო მიმართული. ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, რომ შეთქმულებს არც უფიქრიათ და არც აწყობდათ რუსულ ორიენტაციაზე ხელის აღება და რუსეთის მფარველობიდან გამოსვლა.

პროფ. ო. პ. მარკოვა 1802 წლის შეთქმულების საფუძვლად სამართლიანად აცხადებს თავადაზნაურობის „ვიწრო კლასობრივ ინტერესებს"[2], მაგრამ ისიც დუბროვინის მსგავსად ცდება, როცა ფიქრობს, თითქოს „კახეთის შეთქმულების მიზანს საქართველოდან რუსების განდევნა" შეადგენდა[3].

აკად. ნ. ბერძენიშვილს კახელ თავად-აზნაურთა ეს „პოლიტიკური გამოსვლა" ქართველი საზოგადოების ფართო მასისათვის არაპოპულარულად, ამასთან წინააღმდეგობრივი ხასიათის მოძრაობად მიაჩნია[4].

პროფ. ა. კიკვიძე 1802 წლის ქართლ-კახეთის თავადურ მოძრაობას ფეოდალური ნაციონალიზმის გამოვლინებად

---

[1] Н. Дубровин, დასახ. ნაშრომი, გვ. 239—240.

[2] О. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г., стр. 28.

[3] იქვე, გვ. 29.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 273.

თვლის. ამ მოძრაობაში, „როცა თავადაზნაურობა მთელი მოსახლეობის, ე. ი. ქართველი ხალხის სახელით გამოდიოდა, მას მხოლოდ საკუთარი კლასობრივი ინტერესები ამოძრავებდა“[1]. — ასკვნის ავტორი.

მართლაც უდავოა, რომ კლასობრივი ინტერესები თავადთა შეთქმულების ძირითადი შემაპირობებელი მიზეზი იყო. თავადაზნაურობას საუკუნეებით განმტკიცებული პრივილეგიების დაკარგვისა ეშინოდა.

მაგრამ რუსეთის ცარიზმიც ხომ თავადაზნაურული კლასის ინტერესებს გამოხატავდა. ცარიზმს „მაღალი წოდება, — როგორც სამართლიანად შენიშნავს ა. კიკვიძე, — თავისი ხელისუფლების დასაყრდენად მიაჩნდა“[2]. ამრიგად, ქართველი თავად-აზნაურების კლასობრივი შიში ერთგვარ გაუგებრობაზე იყო აღმოცენებული და უფრო რუსული მმართველობის უხეში ქცევიდან გამომდინარეობდა, ვიდრე ცარიზმის პოლიტიკისაგან ამიერკავკასიასა და საქართველოში.

1802 წლის შეთქმულების შეფასება, როგორც მხოლოდ თავადური რეაქციისა და სეპარატიზმისა, მართებულად არ გვეჩვენება.

შეთქმულების გარშემო არსებული ყველა დოკუმენტი იძაზე მიგვითითებს, რომ თავადობას არ ჰქონია საქართველოდან რუსეთის განდევნის განზრახვა. შეთქმულების მოთავეთა წერილი იმპერატორ ალექსანდრე პირველისადმი, კოვალენსკისადმი, გულიაკოვისა და ლაზარევისადმი ამის ნათელი ილუსტრაციაა. ამ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ ქართველი თავადობა ერთგულია იმ ტრაქტატისა, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წელს დაიდო. რუსეთის იმპერატორი ქართველთა მეფედ და მფარველადაა აღიარებული, მისდამი ერთგულებას თავადობა ახალი ფიცით ადასტურებს. იგი მხოლოდ იმას ჩივის, რომ მანიფესტით მოცემული პირობები არ სრულდება. ქართველი თავადობა მოითხოვს 1783 წლის ტრაქტატის მუხლების საფუძველზე ძალაში დარჩეს შინაგანი მმართველობა. რუსეთის მმართველობამ ბაგრატიონთა სამე-

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), 1954, გვ. 44.
[2] ი ქ ვ ე.

ფო ტახტი ხელუხლებელი დატოვოს და წოდებათა დამოკიდებულების საქმეში არ ჩაერიოს. ამ პირობებში ქართველი თავადობა მზადაა რუსეთის ხელმწიფისადმი ერთგულ სამსახურზე.

ისმის კითხვა, იყო თუ არა გულწრფელი ქართველი თავადობის მიერ რუსეთის მფარველობის აღიარება, ხომ არ იყო ეს შეთქმულთა ტაქტიკური ხერხი ქართლ-კახეთის რუსული მმართველობის დასამშვიდებლად?

საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში ქართველი თავადობის გულწრფელი სურვილია. უკეთეს გამოსავალს აგრესიული მუსლიმანური სამყაროთი შემოფარგლული საქართველო ნამდვილად ვერ ხედავდა და ვერც დაინახავდა. შეთქმული თავადობის ეს გულწრფელობა ნათლად ჩანს გარსევან ჭავჭავაძისადმი მიწერილ საიდუმლო წერილში. ქართველ თავადობას გარსევან ჭავჭავაძე სწორად მიაჩნდა 1783 წლის ტრაქტატის ერთ-ერთ ორგანიზატორად და მოამაგედ.

„ჩვენ ერთობით კახნი, შენი ძმანი, ერთ-ხმობთ ძოგახსენებთ: ჩვენი ამბავი გამოცხადებული გექნებათ და აწ ამას მოგახსენებთ. გამოგვიცხადეს ჩვენის სახელოების ჩამორთმევა, გამოაცხადეს ეკლესიების მამულის ჩამორთმევა და ესე გვესმის, რომ ორის წლის ხარჯსა დათხოვენ ხალხსაო და შენც შემეცნებული ბრძანდები, თუ რა მწუხარება და ჭმუნვა იქნება ჩვენს გულში.

მათის იმპერატორის დიდებულებისათვის არზა ძიგვირთძევია და შიგ გამოგვიცხადებია სხუას ჩვენს სრულს ჰაზრს ჭავჭავაძე გარსევან განაცხადებს თქვენის დიდებულების წინაშეო. ხომ იცი, ჩვენი ჰაზრი ერთი ეს არის, — რომელიც მეფის ირაკლისაგან უკანასკნელი ანდერძია, ეს დამტკიცდეს, რომელიც შენგანაც დაბეჭდილია და ჩვენგანაც, მაგათის მფარველობის და ჩვენგან რაოდენ შესაძლებელი სამსახური იყოს, გვიმსახუროს და მიირთოს.

ეს შენს ნებაზე მოგვინდია; ამჯობინო, გამოაცხადე და არ ამჯობინო დაიდუმე და ჩვენ კი უმეტესად სამჯობინოთ ვრაცხთ მაგათის დიდებულებისათვისაც და ჩვენთვისაც ამის დამტკიცებას, ა მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ ჩ ვ ე ნ ი გ ა რ შ ე მ ო მ ე ზ ო ბ ე ლ ნ ი უ ფ რ ო მ ა გ ა თ ი ს მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ი ს უ ღ ე ლ ს

მოუდრეკენ ქედსა თვისსა. ჩვენი ჰეშმარიტი სიტყვა ეს მოგვიხსენებია, რომ ის ანდერძი დამტკიცდეს (ხაზი ჩვენია — ა. ს.); მათის დიდებულებისათვისაც მოგვიხსენებია სწორეთ ჩვენი საზოგადო მწუხარება ეს არის"[1].

ამ დოკუმენტში, რომლის გულწრფელობაში შეუძლებელია ეჭვი შევიტანოთ, შეთქმული თავადობა გარსევან ჭავჭავაძეს იმპერატორის კარზე წარმომადგენლობას აკისრებს, მისი პირით ის ალექსანდრე პირველს მფარველობის ხელშეკრულების აღდგენას სთხოვს და ერთგულ სამსახურს აღუთქვამს. აქვე ნათლად ჩანს, თუ რატომ მიაჩნიათ შეთქმულებს რუსეთის მფარველობა ქართლის ბედის ყველაზე საუკეთესო გადაწყვეტად. „ჩვენი გარშემო მეზობელნი უფრო მაგათის მორჩილების უღელს მოუხრიან ქედს თვისსაო" — სწორად ასკვნიან ისინი. შეთქმულთა შორის ურყევი იყო რწმენა, რომ მუსლიმანური აგრესიის ალაგმვა მხოლოდ რუსული ძალით არ შესაძლებელიო.

თუ ქართველ თავადობას ღრმად აქვს შეგნებული მუსლიმანური აგრესიული გარემოცვიდან რუსეთის მფარველობით გამოსვლის შესაძლებლობა და აუცილებლობა, ცხადია, მაშინ უმართებულო იქნებოდა მათთვის ამ მუსლიმანურ სამყაროზე დაყრდნობით ქართული სამეფო ტახტის აღდგენის განზრახვა შეგვეწამებინა[2]. მართალია, ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელზედაც შეთქმულნი დიდ იმედებს ამყარებდნენ, ფიქრობდა თათრული სახანოების და ირანის გამოყენებას, მაგრამ ბატონიშვილის ამ განზრახვას მაინც ტრაქტატისდროინდელი ვითარების აღდგენა ედო საფუძვლად. მუსლიმანური ჯარები ალექსანდრეს დროებით საშუალებად მიაჩნდა ერეკლესეული პოლიტიკის აღსადგენად და განსახორციელებლად. რამდენად რეალური და პერსპექტიული იყო ალექსანდრე ბატონიშვილის ეს ჩანაფიქრი, სხვა საქმეა. ერთი კი ფაქტია, ალ. ბატონიშვილს მამისეული გეზის ღალატი და მუსლიმანურ გარემოცვაში გათქვეფა არასოდეს მიზნად არ დაუსახავს. პირიქით,

---

[1] Акты, т. I, стр. 389.

[2] საქართველოს ისტორია, დამხ. სახელმძღვანელო, ნაწ. I, გვ. 400.

იგი გულითადი ქართველი პატრიოტი და მისი ერის ფიზიკური და სულიერი გადარჩენისათვის დაუცხრომელი მებრძოლი იყო. ალ. ბატონიშვილი ხომ ზოგიერთ ეჭვიან ქართველ თავადს შემდეგაც, 1812 წლის აჯანყების დროს, არწმუნებდა წერილით, რომ სპარსელთა ჯარი, რომელიც მას მოჰყვება, საქართველოში დასარჩენად და საბატონოდ კი არ მოდის, არამედ დროებით, რუსთა განდევნაში დასახმარებლადო[1].

ამრიგად, საქართველოს მომავალ შეთქმულებს სრულებითაც არ ესახებოდათ ირანის უღელქვეშ ყოფნა. რუსეთის მფარველობის შეცვლა ირანის მფარველობით ქართული საზოგადოებრიობის არც ერთი დასის იდეალი არ ყოფილა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის, საერთოდ, გამორიცხული ჩანდა ირანის ბატონობა საქართველოზე. ირანი ძლიერი შინაგანი კრიზისის წინაშე იდგა და მისი ადრინდელი პრეტენზიები ახლო აღმოსავლეთში გაბატონებულ მდგომარეობაზე განწირული იყო. ამიტომ სრულიად დაუსაბუთებელი და უმართებულო ჩანს პროფ. მარკოვას დასკვნა იმის შესახებ, თითქოს საქართველოს „დამოუკიდებლობის“ აღდგენა ნიშნავდა ირანთან ვასალური დამოკიდებულების დამყარებას“[2].

რუსეთის მფარველობის ქვეშ ქართული თვითმმართველობის აღდგენა-შენარჩუნება, რუსეთის დახმარებით აგრესიული მუსლიმანური გარემოცვის გარღვევის პროგრესული პოლიტიკური კურსი იყო, რის განხორციელებისათვის ბრძოლასაც ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა მოწინავე ნაწილმა საუკუნეები შეალია. ამრიგად, დაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი თავადობის პოლიტიკური იდეალი თავისი შინაარსით ეროვნულ-პროგრესული იყო, იგი მთელი ქართველი ხალხის ინტერესებს უპასუხებდა, ცარიზმის აგრესიას წინ ეღობებოდა და ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნების კეთილშობილურ იდეას ემსახურებოდა.

მაგრამ ამ პროგრესულ პოლიტიკურ იდეალს ვერ უთავს-

---

1 იხ. ნ. ბერძენიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1955, ტ. I, გვ. 479.

2. О. П. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г. стр. 45.

დებოდა ის სოციალური კონსერვატიზმი, რომლითაც გამსჭვალული იყო 1802 წლის თავადური შეთქმულება.

ქართველ თავადობას სიტყვის გაგონებაც კი არ სურდა სოციალურ ურთიერთობაში რაიმე ცვლილებაზე. თავადს მამულიცა და ყმაც საშვილიშვილო საკუთრებად მიაჩნდა. რაიმე ცვლილებას ამ ურთიერთობაში ვერ შეურიგდებოდა. სათავადო სახელმწიფოში პატარა სახელმწიფო იყო, რომლის მოშლის წინააღმდეგ თავადობა აგრეთვე თავდადებით იბრძოდა. თავადი მთელი ენერგიით ებღაუჭებოდა იმ საშვილიშვილო სამემკვიდრეო თანამდებობებს, რაც მას, როგორც ფეოდალურ მოხელეს, ჰქონდა მოპოვებული. თავადი გარკვეული სახით ქვეყნის მართვა-გამგეობაშიც მონაწილეობდა და ამ პატივს, ცხადია, უბრძოლველად ვერ შეელეოდა. ერთი სიტყვით, ქართველი თავადის სოციალური იდეალი რეაქციული, საზოგადოებრივი პროგრესისათვის შეუთავსებელი და მავნე იყო.

ვთქვათ, თავადურ შეთქმულებას გაემარჯვა, რუსული მმართველობა გაუქმებულიყო, რომელიმე ბატონიშვილს სამეფო ტახტი დაეკავებინა და აღდგენილიყო ყოველივე ისე, როგორც თავადობა მოითხოვდა.

არაა ძნელი წარმოსადგენი, რომ ეს მართლაც ისტორიული ჩარხის უკუღმა დატრიალება იქნებოდა. ჯერ ერთი, ქართველი ბატონიშვილები ერთი რომელიმეს მეფობას ვერასოდეს შეურიგდებოდნენ და მათ შორის მუდმივი შუღლი და მტრობა იქნებოდა, რაც საქართველოში შფოთსა და არეულობას გაამეფებდა. ბატონიშვილთა დაჯგუფება ერთიმეორეს წაჰკიდებდა ქართველ თავადობას. ერთი ბატონიშვილი მეორის წინააღმდეგ გარეშე ძალის გამოყენებას შეეცდებოდა უთუოდ და ისევ დაიწყებოდა ქართველთა საშინაო საქმეებში ირანისა თუ თურქეთის მესვეურთა პარპაში. სათავადოები ისევ იბოგინებდნენ, ქვეყნის გაერთიანება, მისი სამეურნეო-კულტურული წინსვლა შეფერხდებოდა, საწარმოო ძალები ისევ შებოჭილ ვითარებაში იქნებოდა.

ამით ჩვენ ის გვინდა ვთქვათ, რომ ქართული ფეოდალიზმი გამოუვალი კრიზისის წინაშე იდგა. ქვეყნის წინსვლა-განვითარება შეუძლებელი იყო მისი სრული მოსპობის თუ არა, არსე-

ბითი გადახალისების გარეშე, იმ მნიშვნელოვანი რეფორმების გარეშე, რასაც ერეკლე მეორეც ითვალისწინებდა. შეუძლებული იყო სათავადოებისა და ქვეყნის პროგრესის შეთავსებაც.

დრომოჭმული ქართული ფეოდალური ინსტიტუტი რაღაც ძალას, შინაგანი იქნებოდა თუ გარეგანი, უნდა დაენგრია, ისე შეუძლებელი იყო ქვეყნის წინსვლა-განვითარება. ქართველი თავადი კი მას არათუ ანგრევდა, არამედ იცავდა გარეშე (თუმცა უხეში და უცხო) დამანგრეველი ძალისაგან. აქ იჩენდა თავს თავადური მოძრაობის რეაქციული მხარე, მისი კონსერვატიზმი.

ამ მოძრაობის ეს ორმაგი და წინააღმდეგობრივი ხასიათი კარგად აქვს მინიშნებული ნ. ბერძენიშვილს, როცა აღნიშნავს: „ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესული იდეა გამტარებლად ქართველი თავადობა არ გამოდგებოდა. ის, როგორც კლასი, დიდი ხანია პატრიოტულ-პროგრესული აღარ იყო, ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესულ იდეაში ქართველი თავადები რეაქციულ შინაარსს, თავადურ-ვასალური წყობილების შენარჩუნების იდეას სდებდნენ, რაც ქართველი ფართო საზოგადოებრიობისათვის სრულიად მიუღებელი იყო. ამიტომ ქართველი გლეხი არ გაჰყვა თავის ბატონს რუსული მმართველობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ეს თავადაზნაურული მოძრაობაც გაირიყა“[1].

1802 წლის მოძრაობაში ყველა თავადს არ მიუღია მონაწილეობა. ამ კლასის ზოგიერთ წარმომადგენელს ჯერ ნეიტრალური პოზიცია ეკავა და მოვლენების განვითარებისადმი მეთვალყურეობას ამჯობინებდა. თავადობის მეორე ჯგუფი კი რუსული მმართველობის დაარსების დღიდანვე აღმოჩნდა მის სამსახურში და, ცხადია, შეთქმულთა დამარცხება-განადგურებაში ეხმარებოდა რუსეთის მთავრობას.

როგორ უნდა შეფასდეს თავადობის „რუსული პარტიის“ პოზიცია და როლი? თუ შეთქმული თავადობის სოციალური

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 273.

იდეალი მავნე იყო და საბოლოო ჯამში მათი გამოსვლა რეაქციის წისქვილზე ასხამდა წყალს, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რუსული პოზიციის თავადობა, პირიქით, პროგრესს განასახიერებდა და თავისი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამით „ფეოდალურ ნაციონალიზმს უპირისპირდებოდა?“.

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არა.

რუსული პარტია რუსეთის მმართველობის დამკვიდრების პერიოდში ჩამოყალიბდა. ეს პარტია, ჩანს, ადვილად შეურიგდა ქართული სახელმწიფოებრიობის ლიკვიდაციის, ეროვნული სუვერენიტეტის გაუქმების მტკივნეულ აქტს და რუსული მმართველობა მისი პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფას დაუკავშირა. ამ პარტიიდან ჩვენ ვერც ერთ ადამიანს ვერ დავასახელებთ, რომელსაც ადრე გასჩენოდეს რუსული მმართველობისადმი ტრფიალების გრძნობა და იგი რაიმე იდეასთან დაეკავშირებინოს. „რუსული პარტიის“ მთავარი წარმომადგენლები (ივანე ორბელიანი, გიორგი ამილახვარი, გიორგი ციციშვილი, დარჩო ბებუთიშვილი, ზაქარია ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, სოლომონ თარხნიშვილი, ალექსანდრე მაყაშვილი, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, მიხეილ და შამშე ერისთავები და სხვები) არავითარი პატრიოტული საქმეებით არ გამოირჩეოდნენ რუსული მმართველობის დამყარების წინ. ქართველი სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების დროს მათი პოზიცია განსაზღვრა არა იდეურმა სფერომ, არა ორიენტაციის საკითხმა, არამედ პიროვნულმა, ანგარებით აღსავსე მოსაზრებამ: ახალ მმართველობაში მათ ძლიერი და მომავლის მქონე ძალა დაინახეს და მის მხაოეზე დადგნენ. ახალი მმართველობისადმი სამსახური მათ, ამასთან ერთად, მაღალ თანამდებობას, ყმა-მამულის ხელუხლებლობას და უზრუნველყოფილ მომავალს უქადდა. ეს იყო მათი ეროვნული ნიჰილიზმის გამოხატულება, იმ სენის გამეორება, რომელიც არა ერთ და ორ ფეოდალს გამოუჩენია ჩვენს ქვეყანაში უცხოელი დამპყრობლების დროებითი გაბატონების ვითარებაში.

ამრიგად, ქართველი თავადობის რუსული პარტიის მცირე ჯგუფი იმ დროს არავითარ იდეურ-პოლიტიკურ ძალას არ გამოხატავდა. იგი მხოლოდ ცარიზმის უხეში კოლონიური

პოლიტიკის ხელშემწყობი შტრეიკბრეხერული ძალა იყო და, როგორც სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ფარვატერი, რა თქმა უნდა, მავნე მოვლენას წარმოადგენდა.

პროფ. მარკოვას აზრი იმის შესახებ, რომ ქართველი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში რუსული მმართველობა ქართველი თავადობის რუსულ პარტიას ეყრდნობოდაო[1], გადაჭარბებულია და არაა მართებული. რუსული მმართველობა ქართველი თავადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის განმტკიცებაში თავის სამხედრო ძალებს ეყრდნობოდა მხოლოდ. ქართველი თავადობის რუსული პარტია ძალზე მცირე ჯგუფი იყო, რომელიც მხოლოდ ხელშემწყობ, დამხმარეს როლს ასრულებდა რუსული საოკუპაციო რეჟიმის განხორციელებაში. მიუხედავად დიდი ერთგულებისა, ამ პარტიის წარმომადგენლებს, ეროვნებით ქართველთ, რუსული მმართველობა მაინც ეჭვის თვალით უყურებდა და არ ენდობოდა.

ის ჭეშმარიტი პროგრესული ძალა, რომელსაც რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და ქვეყნის შინაგანი დაჩიხულობის ლიკვიდაციისათვის ზრუნვა ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა, რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი და მუსლიმანური აგრესიისაგან მოსვენებულ ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები უნდა წამოეწყო, ქვეყნის ცენტრალიზაცია გაეპორციელებინა, აელაგმა თავადური რეაქცია და დემოკრატიული ელემენტებისათვის გზა გაეხსნა პოლიტიკურ ცხოვრებაში — იმ მომენტისათვის არ ჩანდა. ამ ძალამ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მართალია, იჩინა თავი, მაგრამ, საუკუნის ბოლოს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების გამო, ისევ გაქრა, ცხადია, დროებით. აი ეს ძალა, იმ დროისათვის ჩამკვდარი, შემდეგ XIX საუკუნის ოცდაათიანი წლებისათვის გაღვივებული და წელმომაგრებული, იყო სათავე ქართული პროგრესული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობრივი ხასიათისა და მარცხისა, 1802 წლის მოძრაობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ალექსანდრე პირველი ფრიად დააფიქრა ქართული გაბატონებუ-

---

[1] О. П. Маркова. Восстание в Кахетии... стр. 30.

ლი წოდების ფრონდისტულმა განწყობილებამ, მან საჭიროდ ჩათვალა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის ოდნავ შემსუბუქება მაინც, უხეში და უპატიოსნო მოხელეების შეცვლა. რაც მთავარია, პეტერბურგში დაიბადა აზრი ახლად შემოერთებული მხარის მმართველად გამოენახათ ეროვნებით ქართველი, რომელსაც ამ ხალხის ტრადიციების, ისტორიული ხასიათის, ადრინდელი მმართველობის ფორმების ახალთან შეგუების უკეთესი ცოდნა და გამოცდილება ექნებოდა. ქართველი საზოგადოებრიობის საერთო უკმაყოფილება, რუსული მმართველობის შექმნას რომ მოჰყვა, ცარიზმის აზრით, კავკასიის შემაერთებელი მხარის ბედის ეროვნებით ქართველი მმართველისათვის ჩაბარებასაც უნდა შეესუსტებინა. ალექსანდრე პირველმა მშვენივრად იცოდა ისიც, რომ ამ ქართულ სხეულში რუსული სული იდგა და ცარიზმის კოლონიზატორულ საქმეებს ასეთი კაცი უკეთ მოუვლიდა.

ასე მოევლინა კავკასიას პავლე ციციშვილი (ციციანოვი), რომელმაც თავადაზნაურული ფრონტის ორგანიზატორების გასაჭრობად და თავადური ოპოზიციის გულის მოსაგებად მართლაც ენერგიული მუშაობა ჩაატარა.

თავი III

მასობრივი მოძრაობანი XIX საუკუნის პირველ მეოთხედში

1802 წლის თავადური შეთქმულება, როგორც ვნახეთ, „შორს იყო ხალხისაგან". მაშინ გლეხობა ან აშკარა თანაგრძნობით ეკიდებოდა რუსულ მმართველობას, რომლისგანაც უცხო და შინაური მარბიელების ალაგმვას და წესრიგისა და მშვიდობის დამყარებას მოელოდა, ან ჯერჯერობით ლოდინის პოზიცია ეკავა, გამომცდელის ეჭვიანი თვალით აკვირდებოდა და წარსულთან შედარების მიხედვით სწონიდა ახალი რეჟიმის სარგებლიანობას.

მაგრამ ცარიზმის უხეშმა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმმა მალე გაუცრუა გლეხობას იმედები. მანიფესტის გამოცხადებიდან ორ-სამ წელსაც არ გაუვლია, რომ გლეხობამ მტკივნეულად იგრძნო მისი ჩაგვრის გაორკეცება; ახალ ვითარებაში ხარბ და გულქვა ბატონს გვერდში ამოუდგა უცხო ტომის მძარცველი, რომელმაც ხიშტი და მათრახი დაატრიალა და გლეხს უკანასკნელი სარჩო-საბადებელი მოსთხოვა. უფასო ბეგარა დააკისრა. ოჯახი აუწიოკა, ცარიზმის უვიცი, უხეში, ხარბი და ამორალური მოხელენი ქართველ გლეხკაცობას მორღოლი ბასკაკების მსგავსად დაერივნენ და იმპერატორის სახელით ტყავი გააძრეს. ამრიგად, ძველ, შეჩვეულ ჭირს, ახალი, შეუჩვეველი ჭირი დაემატა.

გაორკეცებულ ჭირს გლეხობამ ვეღარ გაუძლო, მისი აღშფოთების ფიალა აივსო და სახალხო აჯანყებები ნაკადად გადმოიღვარა. პირველი აჯანყება 1804 წელს დაიწყო. ცარიზმის წინააღმდეგ მასობრივ მოძრაობას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში სისტემატური ხასიათი მიეცა.

ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ სახალხო აჯანყებათა ასე ხშირ და მასობრივ შემთხვევებს რუსეთის იმპერიის არც ერთ განაპირა რაიონში არ ჰქონია ადგილი.

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასობრივ ანტიკოლონიურ მოძრაობათაგან ამ თავში ქართლის მთიანეთის 1804 წლის, კახეთის 1812 წლის და იმერეთის 1819—1820 წლების აჯანყებებს განვიხილავთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყველა ეს აჯანყება ძირითადად ერთიდაიმავე მიზეზებით იყო გამოწვეული და თავიანთი ხასიათითაც მეტად მსგავს, თითქმის ერთგვაროვან მოძრაობას წარმოადგენდა.

1. ქართლის მთიანეთის აჯანყება 1804 წელს

1804 წელს, როცა ცარიზმი საქართველოს პლაცდარმის გაფართოებას ეწეოდა გაცხოველებით და კავკასიის თათრულ სახანოებს ზედიზედ ანადგურებდა, ანანურის მაზრაში იფეთქა ძლიერმა აჯანყებამ ცარიზმის კოლონიური ძალადობის წინააღმდეგ.

აჯანყება დაიწყო მაისში, ციციანოვის ერევნის სახანოზე ლაშქრობის პერიოდში და დაახლოებით 5 თვის განმავლობაში გრძელდებოდა. აჯანყების უკანასკნელი კერების ლიკვიდაცია ცარიზმმა ოქტომბრის ბოლო რიცხვებისათვის მოახერხა ძხოლოდ.

არაგველთა აჯანყებამ ქართლის თითქმის მთელი მთიანეთი მოიცვა (ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები, ხანდო, ჭართალი, გუდამაყარი, ხანდა, ფხაოსტი, ქსანი, ხევი, თრუსო, ქარჩახი, ჟამური და სხვ.)[1]. აჯანყება მასობრივი (მასში დაახლოებით 1500-ზე მეტი გლეხი მონაწილეობდა) და ამასთან საგლეხოც იყო. აჯანყების პირველი ინიციატორები და ხელმძღვანელები დაბალი წრიდან იყვნენ გამოსულები (ლეკან საზღაიძე, შიო ბურდული, თათარა ჩქარეული, პაპუნა ჩებოლაური, ნ. და ო. ბედუიძენი, ნ. ბენიამიძე და სხვები)[2].

---

[1] ვ. ი. ტ ო გ ო ნ ი ძ ე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), 1951, გვ. 83.

[2] იქვე, გვ. 86.

აჯანყებულები მიზნად ისახავდნენ რუსთა სამხედრო საგუშაგოების დარბევა-დაპატრონებას, სამხედრო გზის გადაკეტვას, რათა საქართველოს მთავრობას ჩრდილოეთ კავკასიიდან დამხმარე ძალები ვერ მიეღო და ცარიზმის მოხელეთა პარპაში საბოლოოდ აღეკვეთათ. პირველი იერიში აჯანყებულებმა კაიშაურის ციხეზე მაისის დამდეგს მიიტანეს და ბრძოლით დაიკავეს იგი. ამის შემდეგ აჯანყება ძირითადად 3 საბრძოლო კვანძად ჩამოყალიბდა (ხევის, ლომისის და ციხისძირის)[1].

ხევის დაჯგუფების უახლოეს ამოცანას წარმოადგენდა სტეფანწმინდის საგუშაგოს დაკავება, რუსების გარეკვა და აქ გამაგრებულ გაბრიელ ყაზიბეგის (ჩოფიკაშვილის) გადაბირება. ივლისში აჯანყებულებმა, მოშალეს რა რუსთა კომუნიკაციები, ხევში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს და სტეფანწმინდას ალყა შემოარტყეს. აჯანყებულთა მხარეზე გადავიდნენ თაგაურელი ოსები და ხევსურები. 13 ივლისს გაბრიელ ყაზიბეგი იძულებული გახდა აჯანყებულთა ულტიმატუმი მიეღო. იქ მყოფი რუსთა ნაწილები სტეფანწმინდიდან და საერთოდ აჯანყებულთა მიერ დაკავებული ტერიტორიიდან განდევნილ იქნენ.

აჯანყებულთა მეორე ჯგუფის ოპერატიულ ამოცანას სამაზრო ცენტრის — ანანურის დაკავება შეადგენდა. ამ მიმართულებით მთიელთა საბრძოლო მოქმედება ივნისის პირველი რიცხვებიდან დაიწყო. მათ ჩახერგეს კაიშაურიდან ანანურამდე მისასვლელი მთელი გზა და მოვლენების განვითარებას უცდიდნენ ლომისას და სტეფანწმინდის მიმართულებით, რაც ანანურზე შეტევის წარმატების გამაპირობებელი იყო. ანანურის მისადგომებთან აჯანყებულთა დიდძალი მასა იყო თავმოყრილი. ანანურის კაპიტან-ისპრავნიკ პეტრიკოვის დასმენაში აჯანყებულთა რაოდენობა დაახლოებით 4000 კაცითაა განსაზღვრული[2].

ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციას მთიანეთის აჯანყებაში ლომისა წარმოადგენდა. ლომისაზე გამავალი გზები

[1] ვ. ი. ტ ო გ ო ნ ი ძ ე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1840 წ.), 1951, გვ. 43.

[2] Акты, т. II, стр. 308.

უკავშირდებოდა არა მარტო მთიანეთის ყველა მხარეს, არამედ ქართლს. აჯანყებულებს ამ გზით ბარის მოსახლეობასთან სისტემატური კავშირი ჰქონდათ და მათ შეიარაღებული გამოსვლისათვის აქეზებდნენ. ამავე გზით წარმოებდა მიმოწერა ქართველ ბატონიშვილებთან. აჯანყებულთა ლომისას დაჯგუფება ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო და სწრაფად იზრდებოდა, ასე რომ, თუ მთავრობა ამ უბანს არ დაეპატრონებოდა, მას წინაშე იდგა რეალური საშიშროება აჯანყების კერების გაფართოებისა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში.

მთიულეთის აჯანყება ახალი დაწყებული იყო, როცა ციციანოვი ერევნის ხანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. მთავარმართებელმა საქართველოს ახალ მმართველ ვოლკონსკის ჩააბარა საშინაო საქმეები და დავალება მისცა აჯანყება უახლოეს ხანებში სისხლში ჩაეხშო და მთიულები სამაგალითოდ დაესაჯა. საქართველოში რუსთა ჯარი ამ დროს ძალზე ცოტა იყო დარჩენილი. მთავარი ძალები ციციანოვს ერევნის ხანზე სალაშქროდ ახლდა. ვოლკონსკი საფუძვლიანად შიშობდა, რომ მის განკარგულებაში მყოფი მცირე ძალებით აჯანყებულთა იარაღით დამორჩილება შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ აჯანყებულთა კერების სალიკვიდაციოდ მოქმედებაში ვოლკონსკიმ ერთდროულად ჩააბა გენერალ-მაიორ ტალიზინის, მაიორ მელას და თორნიკე ერისთავის რაზმები.

ვოლკონსკი პირველ ხანებში აჯანყებულთა დაშოშმინებას ტკბილი სიტყვით, დაპირებითა და ქრთამებით ვარაუდობდა. მისი განკარგულებით აჯანყებულებთან არაერთგზის გამართულ მოლაპარაკება მთავრობის მოხელეებმა (რ. ერისთავმა, ტალიზინმა, გ. ამილახვარმა, თეიმურაზ მუხრანბატონმა, არქიმანდრიტ დოსითეოსმა და სხვ.), მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

11 ივნისს ტალიზინი შეუდგა აჯანყებულთა ციხისჯვრის დაჯგუფების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას. გოდორეთის მთაზე აჯანყებულთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის წინააღმდეგ (1000 კაცზე მეტი) მთელი დღე შეუსვენებელი ბრძოლა მიმდინარეობდა. ტალიზინმა ბოლოს წარმატებას მიაღწია, მეამბო-

ჩეებს სიმაგრეები დაატოვებინა[1]. მომდევნო დღეებში ტალიზინმა მეამბოხეები შეავიწროვა და ქართლის ხეობისკენ გარეკა, სადაც მათ გზა შტაბს-კაპიტანმა კიტკევიჩმა გადაუღობა. ორმხრივ ცეცხლში მოქცეულმა აჯანყებულებმა მედგარი ბრძოლით გაარღვიეს ალყა ტალიზინის უბანზე და ბარისკენ გაიკაფეს გზა.

ამის შემდეგ ტალიზინი ლომისას დაჯგუფების სალიკვიდაციო ოპერაციებში ჩაება.

ლომისასთან აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედება ჯერ კიდევ ივნისის შუა რიცხვებში დაიწყო. აქ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქსნის ერისთავები, რადგან აჯანყების ხანძარი მას სამფლობელოს ემუქრებოდა. ერისთავებს თან ახლდა რუსთა რაზმები მაიორ მელას ხელმძღვანელობით. ივნისის ბრძოლებმა ვერც ერთ მხარეს ვერ მოუტანა წარმატება. აჯანყებულთა მოლაპარაკებამ ერისთავებთან შედეგი ვერ გამოიღო. ერისთავნი რუსეთის მმართველობისადმი ერთგულებას იჩემებდნენ. აჯანყებულთა რიცხვი ლომისას უბანზე თანდათან იზრდებოდა. ივლისის დასაწყისისათვის, როგორც ვოლკონსკის ციციანოევსადმი მოხსენებიდან ჩანს, აჯანყებულთა რაოდენობა 3 000 კაცს აღემატებოდა. ივლისის განმავლობაში კვლავ გრძელდებოდა ბრძოლები. ამასთან, ლომისას დაჯგუფებას შეემატნენ სტეფანწმინდის აღების შემდეგ გათავისუფლებული მეამბოხენი. თითოეული მხარე ბრძოლის შუალედებში ინტენსიურად საქმიანობდა: მთიულნი მოციქულებს გზავნიდნენ და მთიელთა ახალ-ახალი სოფლების მიმხრობისათვის მცდელობდნენ, საქართველოს მთავრობის მოხელენი კი აქ აჯანყებულთა გზების ჩაკეტვას, ძალების გათიშვას და მათ გადაბირებას მიმართავდნენ.

ლომისას უბანზე ბრძოლები აგვისტოს დასაწყისიდან გააქტიურდა. 3 და 9 აგვისტოს ცხარე ბრძოლებს ჰქონდა ადგილი. 9 აგვისტოს ბრძოლაში მაიორ მელას, რომელიც ლომისას ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, აჯანყებულებმა ყველა გზა მოუჭრეს. ლომისას ბანაკი ერისთავ-მელას რაზმებმა დატოვეს. ეს აჯანყებულთა დიდი სტრატეგიული წარმატება იყო. ამიერიდან მთიულებმა ხელთ იგდეს ქსნის ყველა სამფლობელო და ქართ-

---

[1] Акты, т. II, стр. 316.

ლისაკენ მიმავალი გზა[1]. ლომისას დაკავებამ მეამბოხეთა მოქმედების რადიუსი გააფართოვა. ერისთავთა სამფლობელოს გლეხობა აჯანყებულთა მხარეზე გადავიდა. ერისთავთა სოფლებში აჯანყებულმა გლეხობამ მებატონეების სახლ-კარი დაარბიეს. საფრთხე თვით გორს დაემუქრაო[2], — აღნიშნავს დუბროვინი.

ლომისას ხაზის ჩაშლის შემდეგ უშუალო საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა ანანური და დუშეთი. 20 აგვისტოს აჯანყებულთა ერთი რაზმი თავს დაესხა კიდეც დუშეთს და დასწვა სახაზინო ყაზარმა[3]. ოსებმა თითქმის მთლიანად მოსპეს რუსთა ერთი პოლკი, რომელიც სამხედრო გზის გასაწმენდად დაიძრა ჩრდილოეთ კავკასიიდან. ის აგვისტოში, ჩვენი აზრით, მთიანეთის აჯანყების უმაღლეს ფაზას წარმოადგენდა, საქართველოში ცარიზმის ბატონობა ბეწვზე ეკიდა. მთავარმართებელ ციციანოვს ერევნის სახანოზე ლაშქრობას ჯერჯერობით კარგი პირი არ უჩანდა. ბორჩალოს თათრები რუსებს გადაუდგნენ და ციციანოვი თითქმის მოწყვეტილი იყო არა მარტო რუსეთს, არამედ საქართველოს ცენტრ თბილისსაც კი. მუსლიმანური სამყარო რუსი გენერლის წინააღმდეგ ახალ-ახალ ძალებს აბამდა ბრძოლებში. ციციანოვს კი რუსეთის დახმარების იმედი გადაწყვეტოდა. რაც შეეხება საქართველოს, ალ. ფრონელის (ყიფშიძის) ხატოვანი გამოთქმით, იგი „ერთ თვალუწვდენელ აღელვებულ-აბობოქრებულ ზღვას წარმოადგენდა. ზღვის ტალღები გაუწყვეტლივ ეხეთქებოდა რუსთა მხედრობას და ჰლამობდა მის შთანთქმას. პროვინციებში გაბნეულნი რუსის მაღალხარისხოვანი მოხელენი ტფილისს მოაშურებდნენ, რადგან სატახტო ქალაქის სიშორით ყოფნა საშიში იყო. გრაფი მუსინ-პუშკინი იძულებული შეიქმნა, თავი დაენებებინა მადნების მუშაობისათვის ბორჩალოს მაზრაში და ტფილისს დაბრუნდა. დაბრუნდა აგრეთვე ტფილისსა ყაზახის მაზრის მოურავი, ელჩად ნამყოფი და რუსთაგან დაჯილდოებული „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის“ ხარისხით თ. გარსევან ჭავჭავაძე, რადგან მისის სა-

---

[1] Н. Дубровин, Закавказье..., стр. 367.

[2] იქვე.

[3] Акты, т. II, стр. 331.

მოურავოს თათრობა შეირყა, იარაღი აისხა და აქეთ-იქეთ გაიფანტა"[1].

სექტემბერში მთიულეთის აჯანყებაში ახალი ეტაპი სცენაზე ფარნაოზ ბატონიშვილის გამოჩენამ შეიტანა.

კახეთის თავად-აზნაურთა 1802 წლის აჯანყების მარცხმა ერეკლეს ბატონიშვილებს გული არ გაუტეხა. ისინი უქმად არ ისხდნენ და ქართლ-კახეთთან და საქართველოს მოსაზღვრე მუსლიმანურ სამყაროსთან სისტემატური კავშირურთიერთობა ჰქონდათ. ბატონიშვილები ვარაუდობდნენ, რომ ქართლ-კახეთის მოსახლეობა აღდგებოდა რუსული რეჟიმის წინააღმდეგ. ან რომელიმე თათრული სახანო წარმატებას მიაღწევდა ციციანოვის წინააღმდეგ ბრძოლაში, ან საქართველოდან გადახვეწილი ბაქრის (ალექსანდრე) შემოუტევდა რუსეთის მმართველობას ირანელი მხედრობით. ამის მოლოდინში იმერეთს გახიზნული ბატონიშვილები ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას აქეზებდნენ და ანტირუსული მოძრაობისათვის ამზადებდნენ.

ცნობამ ქართლის მთიანეთში აჯანყების დაწყების შესახებ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებამდე როგორც კი მიაღწია, ტახტის მაძიებლებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მოქმედება. 3 ივლისს ისინი ჭუთაისიდან გამოვიდნენ მცირე ამალით, რომ ბორჯომის ხეობით საციციანოში გადასულიყვნენ, იქ გეგმები დაეწყოთ და მთიულეთისათვის მიეშურებინათ. მაგრამ ბატონიშვილთა გეგმებს განხორციელება არ ეწერა. 24 ივლისს როვნოცკის მეთაურობით რუსთა რაზმებმა, რომლებიც ქართლის საზღვრებს ფხიზლად დარაჯობდნენ, ზოგიერთი ქართველი თავადის დახმარებით მიაგნეს ბატონიშვილების საიდუმლო საღგომს საწურბლიასთან. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ იულონი შეიპყრეს. ფარნაოზმა მოასწრო გაქცევა. ენერგიული ფარნაოზი ხანგრძლივი ფარული ხეტიალის შემდეგ კახეთში ჩავიდა და ერთგული თავადების შემოკრება დაიწყო. კახელი თავადების ერთმა ჯგუფმა, რომელსაც 1802 წელმა უმტყუნა, იფიქრა ძველი პრივილეგიების აღდგენის საუკეთესო დრო ახლა დაგვიდგაო და ბატონიშვილს აჰყვა. ალავერდობის წინა დღეს,

---

[1] ა ლ. ფ რ ო ნ ე ლ ი (ყიფშიძე), მთიულეთი 1804 წელს (ისტორიული ამბავი), გვ. 202.

13 სექტემბერს, თავადობამ თათბირი გამართა და მთიულეთში ფარნაოზის ხლების წინადადება მიიღო. ალავერდობის დღეს ფარნაოზს ახმეტის გზით მთიულეთისკენ მრავალრიცხოვანი ამალა გაჰყვა. საგულისხმო ის არის, რომ რუსეთის მთავრობას გადაუდგნენ და ფარნაოზს მიეკედლნენ საერობო პოლიციის ქართველი მოხელენი ქობულაშვილი და ჯანდიერი[1].

18 სექტემბერს ფარნაოზი შეუქმულ კახელ თავადობასთან ერთად მთიულეთის აჯანყების ცენტრში სტეფანწმინდაშია. ამიერიდან იგი ქართლის მთიანეთის გამოსვლის სათავეში დგება და ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ გააფართოოს აჯანყების მასშტაბები, გადაიბიროს რაც შეიძლება მეტი წარჩინებული გვარი საქართველოსი, დაუკავშირდეს ალექსანდრე ბატონიშვილს და გაერთიანებული ძალებით ამოუკვეთოს ფეხი საქართველოში რუსულ მმართველობას. სტეფანწმინდიდან შიკრიკები ისწრაფიან ყველა მიმართულებით: თაგაურელებთან და თრუსოელებთან, რათა ჩაჰკეტონ საქართველოსკენ მიმავალი სამხედრო გზა და არ მისცენ საშუალება ჩრდილოეთ კავკასიაში მდგომ რუსის ჯარებს ციციანოვს დახმარება გაუწიონ; ფშაველებთან და ხევსურებთან, რომ ისინიც შეუერთდნენ მთიანეთის გამოსვლას და ქუდზე კაცი გამოიყვანონ; ქართლელ და კახელ თავადებთან, რომელთაც მამისადმი ერთგულებას მოაგონებს და გამარჯვების შემთხვევაში მრავალ წყალობას აღუთქვამს[2]. ფარნაოზი ქსნის ერისთავებთან შერიგების ხერხსაც მიმართავს და მიხეილ ერისთავს უგზავნის მგრძნობიარე წერილს — დავიწყებას მისცენ ყველა ძველი უთანხმოება და უსიამოვნება და „საქართველოს განთავისუფლების ისტორიულ ჟამს“ იგი სიყვარულით და ძმური დახმარებით შეცვალონ.

მაგრამ ფარნაოზის ყოველგვარი ცდა განწირულია. იგი აჯანყებას მესვეურად იმ დროს მოევლინა, როცა რუსეთის ხელისუფლებას კრიზისული ფაზა დაძლეული ჰქონდა, აჯანყება დალმავალი გზით მიექანებოდა და სუსტდებოდა, ხოლო ერევნის ლაშქრობიდან დაბრუნებული გაბოროტებული

---

1 ა ლ. ფ რ ო ნ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 253.

2 იქვე.

ციციანოვი მისი საბოლოო ლიკვიდაციისათვის გადამწყვეტ დარტყმას ამზადებდა.

ოქტომბრის დასაწყისში ციციანოვმა აჯანყებულ მოიულეთზე გადამწყვეტი შეტევა დაიწყო. ციციანოვის დაბრუნებამ და ორგანიზებული შეტევის დაწყებამ მთიანეთზე, ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილების მიერ აღთქმულ დახმარებაზე იმედგაცრუებამ აჯანყების მონაწილე და მისი მხარდაჭერისათვის მზადმყოფი მრავალი კახელი და ქართლელი თავადიშვილი გამოაფხიზლა, რომლებიც ახლა ისევ რუსთა ერთგულებაზე დებდნენ თავს. ფარნაოზის ლაშქრის რიგები შეთხელდა; სამი მიმართულებით ერთდროულმა შეტევამ აჯანყებულნი წელში გატეხა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კავკასიიდან დაძრულმა სპეციალურმა რაზმმა გენერალ-მაიორ ნესვეტაევის სარდლობით 13 ოქტომბერს სიონთან ბრძოლაში ფარნაოზ ბატონიშვილის ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. ნესვეტაევმა მთელი გზა ანანურამდე გამარჯვებით განვლო[1]. ხიდები აღდგა, სამხედრო გზა ისევ გაიხსნა.

მთიელთა გამოსვლის ჩახშობის შემდეგ ციციანოვი ლიახვის ხეობაში გაეშურა ამბოხებულ ოსთა დასაწყნარებლად. ციციანოვმა ოსები დაამარცხა, სანიმუშოდ დასაჯა ისინი. მთიანეთის აჯანყების მეთაურები შეიპყრო და მათ საგანგებო გამოძიება დაუნიშნა.

1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყების შემდეგ ციციანოვი იძულებული გახდა ერთგვარი წესრიგი შეეტანა კაპიტან-ისპრავნიკების მიერ მთიელთა ძარცვის საქმეში, მაგრამ მთიელთა გული მაინც ვერ მოიგო. 1805 წელს გუდამაყრელები ისევ აუჯანყდნენ რუს მოხელეებს და გზები ჩაუხერგეს ანანურის კაპიტან-ისპრავნიკს. მთიელთა სპორადული გამოსვლები 1807 წელსაც ხდებოდა. მამაცი მთა, ვიდრე საბოლოოდ არ

---

[1] 12 ოქტომბრის მარცხის შემდეგ ფარნაოზ ბატონიშვილს სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ საქართველოდან გადახვეწილ თავის ძმებს შეხიზნებოდა. ამ მიზნით იგი ერევანს გაპარვას აპირებდა, მაგრამ თავზე ორბელიანის რაზმმა დაატყვევა და ციციანოვს მიჰგვარა. იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები, როგორც ამბოხების სულისჩამდგმელნი და მესვეურები, ციციანოვმა დაუყოვნებლივ რუსეთს გადაასახლა.

გასტეხა იგი ცარიზმმა, ენერგიულად ებრძოდა მისთვის უცხო, მიუღებელ რეჟიმს.

1812 წლის აჯანყება კახეთში

მთიანეთის აჯანყების ჩახშობას ცარიზმის უღელქვეშ მოქცეული ქართლ-კახეთის მოსახლეობის სიმშვიდე და მორჩილება სრულებითაც არ მოჰყოლია. რუსი მოხელეების პარპაში და ძალადობა იზრდებოდა. იზრდებოდა ხალხის ტანჯვა და უკმაყოფილებაც.

მოძრაობის კერები ხან იმერეთში, ხან ქვემო ქართლში, ხან ისევ მთიანეთში იჩენდა თავს, მაგრამ მთავარმართებელთა დამსჯელი ექსპედიციები ახერხებდნენ ამ სუსტი და გათიშული კერების ლიკვიდაციას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ამიერკავკასიაში ცარიზმს ორი ფრონტი ჰქონდა გახსნილი: ერთ ფრონტზე იგი თავისი კლაცდარმის გაფართოებას და ახალ-ახალი ტერიტორიის შემოერთებას ეწეოდა, მეორე ფრონტზე კი დამორჩილებული ხალხების ანტირეჟიმულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას ახშობდა და თავის ბატონობას მათრახებითა და ხიშტებით ამკვიდრებდა. 1804 წლის შემდეგ შინაურ ფრონტზე რუსეთის ცარიზმს ამიერკავკასიაში ყველაზე მომაკვდინებელი საფრთხე 1812 წელს შეექმნა, როცა ერთბაშად იფეთქა კახეთის მძლავრმა აჯანყებამ.

კახელი გლეხობის ერთსულოვან გამოსვლას თავისი კონკრეტული მიზეზები ჰქონდა.

ცნობილია, რომ ცარიზმმა დიდი ხნის წინ დაიწყო ომი თურქეთისა და ირანის წინააღმდეგ. საქართველოს საზღვრები აღმოსავლეთით, სამხრეთითა და დასავლეთით ერთ მთლიან საბრძოლო ფრონტს წარმოადგენდა. მომრავლებული რუსეთის ჯარებისათვის ზურგის სამსახური თითქმის მთლიანად ქართველ მოსახლეობას ჰქონდა დაკისრებული. განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვა ქართველობას სატრანსპორტო ბეგარა და არმიის პურით მომარაგება.

„სადაც კი ლაშქრობდა ხელმწიფის ჯარი, ჩვენ იქ სურსათი უნდა მიგვეტანა ყველგან, — გომბორში, ერევანში და საითკენაც კი დაიძროდნენ, ჩვენც უკან მივსდევდით ურმებით და

ს.ურსათს ვეზიდებოდით. მივდიოდით სადარაჯოდ და საომრად და, როგორც სალდათები ანთხევდნენ სისხლს, ისე ჩვენც ვიღლიტებოდით... როცა ურმების გასაყვანად გაჩნდებოდნენ სალდათები, საკმარისი იყო ორი საათი დაგვგვიანებოდა ხარების შებმა, რომ დედაკაცები გამოერეკათ და შეებათ ურემში. ორმოცი ურმის მაგიერ ბარგიბარხანას დაუდებდნენ ოც ურემზე, რადგან საქონელი უზომოდ დადებულ ურემს ვერ ერეოდა, მოგვცვინდებოდნენ გაბრაზებული სალდათები და გვცემდნენ. ერთი კვირის მაგიერ თვეობით ვეყარეთ ბეგარაზე. არ ავდარი, ან თოვლი მოგვისწრებდა, საქონელი გვეხოცებოდა და შინ ცარიელ-ტარიელი ვბრუნდებოდით"[1].

„ორი დღით რომ წაგვიყვანდნენ ბეგარაზე, სამ თვეს გვტოვებდნენ, ნებას არ გვაძლევდნენ საქონელი ურმიდან გამოგვეშვა საბალახოდ, ან ჩვენ წავსულიყავით ხოლმე პურის საშოვნელად, ვიხოცებოდით შიმშილით და როცა ვთხოვდით — ან პური გვაჭამეთ, ან გაგვიშვით სოფლად საგზლის საშოვნელადთქო, მიწაზე მიგვითითებდნენ ხოლმე სჭამეთო"[2].

აუტანელმა საგზაო ბეგარამ შუშა საქონლის დიდი რაოდენობა იმსხვერპლა, რამაც კიდევ უფრო გააუარესა მოსახლეობის მდგომარეობა და არმიის სურსათით მომარაგების საქმეც.

„1811 წელი მოუსავლიანი იყო და კავკასიის ხაზზე 10 000 ჩეტვერტი პურის მიზიდვა, რაც აღრევე იყო ნავარაუდევი, არ მოხერხდა. ტორმასოვს შესასყიდი თანხები მოხელეებზე გაცემული ჰქონდა და მის მემკვიდრე პაულიჩს არმიის მომარაგების საქმეს მოგვარებულად უხატავდა. სინამდვილეში პურის საწყობები ცარიელი იყო, არმიას ერთი თვის მარაგიც არ გააჩნდა და შიმშილობის რეალური საფრთხე იყო ჩამოწოლილი.

პაულიჩმა გამოსავალი იმაში ნახა, რომ მოხელეებს უბრძანა არმიისათვის საჭირო სურსათი მოსახლეობიდან ამოექაჩათ. შით უმეტეს, რომ მოხელეები არწმუნებდნენ მთავარმართებელს — გლეხებს ხორბალი აქვთ, მაგრამ მალავენო"[3].

---

[1] ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX ს.), 1954, გვ. 81.

[2] Акты, т. V, стр. 62.

[3] ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

პაულიჩმა 1811 წლის მოსავლიდან მარტო სიღნაღის მაზრას 40 000 კოდი ხორბალი შეაწერა, პურის ამოქაჩვის დაჩქარების მიზნით მანვე აღმოსავლეთ საქართველო შვიდ ოლქად დაჰყო და თითოეულ ოლქს უფროსი დაუნიშნა. თელავის და სიღნაღის ოლქის უფროსობა მორალურად გახრწნილ და სისხლისმღვრელ გენერალ პორტნიაგინს ჩაბარდა, რომლის სახელის გაგონებაც კი, გენერალ რტიშჩევის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოსახლეობაში ზიზღს და აღშფოთებას იწვევდა[1].

და აი, მთავრობის მოხელენი დაერივნენ სოფლებს. მაგრამ რა შეეძლო მიეცა კახეთის გლეხობას, რომელიც ძლივს გადაურჩა შავი ჭირის ეპიდემიას და 1811 წლის მოუსავლიანობის გამო თვით შიმშილობდა?

„ჩვენზე პური იყო გაწერილი, კოდში ექვს აბაზს გვაძლევდნენ, მაშინ, როდესაც ჩვენ თვითონ ოთხ მანეთად ვყიდულობდით კოდ პურს. კოდზე მანეთს ვაძლევდით გადატანაში, ასე რომ მხოლოდ აბაზი გვრჩებოდა. ერთხელ სურსათის მოგროვების დროს მოგვტაცეს 35 ქათამი, ღვინის, პურისა და ქერის გარდა, პორტნიაგინმა ჯარი ჩაგვიყენა სოფელში და სანამ ხუთმეტი ურემი ქერი არ წაიღო, ჩვენგან ჯარი არ გაიყვანა“[2]. — ჩიოდნენ გლეხები. კახეთის გლეხთა აუტანელ მდგომარეობას როდი მალავდნენ ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსებიც, რომლებიც 1812 წლის აჯანყებას შეხებიან.

„გლეხთა სახლებში პურს რომ ვერ ნახულობდნენ, ჯარისკაცები გლეხის საქონელს და ფრინველს დაერეოდნენ და უანგარიშოდ ხოცავდნენ. ღვინოს ხომ სვამდნენ და სვამდნენ, რასაც ვერ მოერეოდნენ, მიწაზე ღვრიდნენ და ბაღ-ბოსტნებს შეესეოდნენ და ანადგურებდნენ. ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბოროტმოქმედებანი გლეხის აწიოკებით როდი ისაზღვრებოდა. ისინი ქალებსაც არ ინდობდნენ და ქმრების თვალწინ ნამუსს ხდიდნენ“[3].

ყოველგვარ გასაჭირს და შეურაცხყოფას ვიტანდით, მაგრამ „ხელიდან ცოლების წაგლეჯა აღარ შეგვეძლო მოგვეთმინა“, — აღნიშნავენ ბოდბისხეველი გლეხები.

---

[1] О. Маркова, Восстание в Кахетии, стр. 50.

[2] Акты, т. V, стр. 61—62.

[3] Н. Дубровин, Закавказье, История войн, V, стр. 463—464.

პაულიჩის მიერ კახეთის სოფლებიდან ხორბლის ამოქაჩვას მოსახლეობის ენით აუწერელი აწიოკება, შეურაცხყოფა, ცემა-ტყეპა, დაპატიმრება და მსხვერპლიც ახლდა. გლეხობის მიერ წარდგენილი საჩივრებიდან ამის საილუსტრაციოდ ზღვა მასალის მოტანა შეიძლება.

ასეთი ძალადობის მიუხედავად მთავრობა პურის დამზადების გეგმას ვერ ასრულებდა მაინც და ეს იმიტომ, რომ პური არ იყო: მოხელეებს არ სჯეროდათ, რომ გლეხებს მართლაც არ ჰქონდათ ხორბლეული (ეჭვობდნენ გადამალესო) და მთავრობას გაბერილად უხასიათებდნენ გლეხთა „ურჩობას". პაულიჩმა ამის შემდეგ ის გამოსავალი ნახა, რომ გადაწყვეტილება მიიღო ურჩ სოფლებში ეგზეკუცია ჩაეყენებინა. „ეკზეკუციები — ეს უკანასკნელი მუგუზალი იყო, თოფის წამლის საწყობში რომ შეიტანეს, — აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი. — კახეთის ოლქის სამხედრო უფროსის, მეჭრთამე და მრუში გენერალის პორტნიაგინის დრაგუნები მცირე რაზმებად კახურ სოფლებს მოედვნენ და ისე მოქმედებდნენ, ვითომც ოსმალო იანიჩრები ან სპარსელი ყიზილბაშები ახლად დაპყრობილ გიაურების ქვეყანაში გამარჯვებას იმკიანო"[1].

ეგზეკუციის გაუკითხავმა თარეშმა ხალხის მოთმინების ფიალა აავსო და დაგუბებულმა ბოღმამ ერთბაშად გადმოხეთქა.

აჯანყების პირველი კერა ახმეტა იყო. ამ სოფელს ეგზეკუცია 1812 წლის 31 იანვარს ეწვია. გლეხებმა გადაწყვიტეს სახლებში არ შეეშვათ მოძალადენი და ხელი მოჰკიდეს იარაღს. ასმეტელების გამოსვლის ამბავი მეზობელ სოფლებს და რაიონებს მოედო (თიანეთი, მანგლისი, მატანი და სხვ.). გლეხები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მოქმედებას, გარეკეს საეგზეკუციო რაზმები და გეზი თელავზე აიღეს, რომელიც 2 თებერვალს დაიკავეს. აჯანყებულებმა ჩაკეტეს თელავისა და სიღნაღის თბილისთან დამაკავშირებელი გზები.

აჯანყება ელვისებური სისწრაფით ედებოდა კახეთის სოფლებს. აჯანყდნენ ქიზიყელები, რომლებმაც ხუთ თებერვალს სიღნაღს ალყა შემოარტყეს და იერიშით აიღეს იგი. 6 თებერ-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 435.

ეალს მეამბოხეთა ახალი რაზმი ბოდბისხევში რუსთა ჯარების ბანაკს დაესხა თავს და თითქმის კაანადგურა. ყაბარდოს პოლკიდან, რომელიც აქ იყო გამაგრებული, მცირე ნაწილმა შეძლო მხოლოდ ალყის გარღვევა და ყარაღაჯის ციხისთვის თავის შეფარება. ამავე დღეს დაეცა რუსთა ბანაკი ანაგაში, აქ განლაგებულ ყაზახთა პოლკის მეამბოხეთ ერთი კაციღა გადაურჩა, რომელმაც პოლკის დაფლეთილი დროშა მიუტანა პორტნიაგინს. აჯანყების ალი ბობოქრობდა მანავსა და კაკაბეთში, მარტყოფსა და საგარეჯოში. აჯანყების ალი ქართლშიც შეიჭრა.

მთიანეთის ქართველობამ კვლავ აისხა იარაღი და სამხედრო გზა ჩაკეტა. აჯანყებას ფშავ-ხევსურეთმაც დაუჭირა მხარი. აღმოსავლეთი საქართველო გლეხური რევოლუციის ხანძარში ჩაეფლო.

აღსანიშნავია, რომ კახეთის გლეხთა ერთსულოვან აჯანყებას რუსული მმართველობის წინააღმდეგ იმთავითვე სათავეში მოექცნენ კახელი თავადები (სიმონ და ადამ ბებურიშვილები, ნინია ანდრონიკაშვილი, ოთარ ქართველიშვილი, იოსებ სიდამონიშვილი და სხვები). რამდენად ეთანხმებოდა ერთმანეთს გლეხობისა და თავადაზნაურობის მიზნები, ამაზე ქვევით ვილაპარაკებთ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: კახელ თავადობაში 1802 წლის მარტის შემდეგაც არ ეძინა აზრს ძველი თავადური პრივილეგიების აღდგენისა. გლეხთა ამ გამოსვლაში მან დაინახა ის ძალა, რომლითაც მისი აზრის განხორციელება იყო შესაძლებელი. თავადობამ, რომელსაც ომის გამოცდილება და ტრადიციები ჰქონდა, აჯანყებას ერთგვარად ორგანიზებული ხასიათი მისცა და გარკვეული საბრძოლო გეგმით წარმართა მისი მოქმედება. აღსანიშნავია, რომ კახეთში განლაგებული რუსთა ჯარები იმთავითვე ერთმანეთისაგან იზოლირებული აღმოჩნდნენ, კომუნიკაციები გადაიჭრა, რუსეთთან დამაკავშირებელი გზები ჩაიკეტა.

პორტნიაგინის ცდა დამხმარე რაზმებით გადაერჩინა რუსთა პოსტები კახეთში, ამაო აღმოჩნდა. მალე აჯანყების ალში გაეხვია თვით საგარეჯოც, სადაც პორტნიაგინი თავისი ძირითადი ძალებით იდგა. პორტნიაგინი საგარეჯოელებმა სძლიეს. ხაშმს შეეკედლა. მაგრამ აჯანყებულნი „მიუხდნენ ხაშმზედაც. იქმნა მუნ ბრძოლაჲ მიშველებულისა მხედრობასა რუსთასა

შორის, რომელიცა მიაშველა პორტნიაგინსა ღიანარალმა ბარონ კლოდტმან ხუთასი მხედრობანი რუსთანი. მაშინ იძლივნენ და მოსწყდნენ მრავალნი და ნაშთნი წავიდნენ ტფილისს და კახნიცა ავიდნენ ხაშმისა თავსა სამებას"[1].

აჯანყების ასეთმა სწრაფმა წარმატებამ საქართველოს მთავრობა დააბნია და საგონებელში ჩააგდო. ცარიზმის მმართველობას საქართველოში მეორედ დაუდგა ყოფნა-არყოფნის ღღე. დარიალის გზა ჩაკეტილი იყო, არმიის საკმაო ნაწილი აჯანყებულთა მიერ გაყლეტილი ან ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. გლეხური აჯანყების ალი კი იზრდებოდა და ფართოვდებოდა. მარტყოფსა და ხაშმში გამარჯვებულთ შეტევის უახლეს ზღუდედ თბილისი ჰქონდათ ნავარაუდევი. საქართველოს მეზობელი სახანოები და ირანი ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მოვლენათა განვითარებას და მზად იყვნენ რუსთა ბატონობის დასამხობად. ისევ აქტიურობდა ალექსანდრე ბატონიშვილი და საქართველოში შემოჭრისათვის ემზადებოდა.

მარკიზ პაულიჩმა, გაიგო თუ არა აჯანყების ამბავი, მყისვე იყნოსა საფრთხე და თბილისს მოაშურა. პაულიჩმა მეამბოხეთა ძირითადი კერების სალიკვიდაციოდ მის ხელთ მყოფი ძალები დაანაწილა. ამასთან აჯანყებულებს მუქარით აღსავსე წერილი გაუგზავნა — იქნებ ამით დავაშინო და იარაღი დავაყრევინოო. თვით მძლავრი რაზმით და რუსეთის ერთგულ ქართველ თავადიშვილთა თანხლებით ხაშმს გაემგზავრა. პაულიჩმა დაუყოვნებლივ დაიწყო შეტევა სიღნაღისა და თელავის მიმართულებით. მისი ვარაუდით ის უშაკოვის რაზმს, რომელიც დუშეთ-ანანურის მიმართულებით უტევდა აჯანყებულებს, თელავში შეუერთდებოდა.

პაულიჩის რეგულარული რაზმები, რომელნიც საარტილერიო ნაწილებით გააძლიერეს, სასტიკი ბრძოლით მიიკვლევდნენ გზას. აჯანყებულნი ვერ უმკლავდებოდნენ კარგად შეიარაღებული და რიცხვმრავალი ჯარის გეგმაზომიერ მოქმედებას. პაულიჩი და უშაკოვი ყველაფერს წვავდნენ და ანადგურებდნენ, შეპყრობილ აჯანყებულებს მაგალითისათვის ჩამო-

---

[1] მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილ ღავით გიორგისძისა და მისი ძმებისა, თბილისი, 1905, გვ. 104.

აბრჩობდნენ. პაულიჩის ძლიერი ლაშქრობის ამბავმა და-აფრთხო მეამბოხენი, დიდმა ნაწილმა იარაღი დაჰყარა. 29 თებერვალს პაულიჩი სიღნაღში შევიდა. ქიზიყელი მამასახლისები პორჩილებით შეხვდნენ.

ყველაზე დიდი წინააღმდეგობა პაულიჩს ჩუმლაყის მიდამოებში ელოდა. აქ 4000-ზე მეტი მეამბოხე იყო გამაგრებული. პირველ და ორ მარტს აქ აჯანყებულ გლეხობასა და მთავრობის ჯარებს შორის სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა. საბოლოო გამარჯვება წილად ხვდა პაულიჩს, რომელიც ამის შემდეგ დაუბრკოლებლად შევიდა თელავის სიმაგრეში.

ჩუმლაყის ტრაგედიამ აჯანყების ბედი გადაწყვიტა.

წარმატებით მოქმედებდა პოლკოვნიკ უშაკოვის რაზმიც, რომელმაც თიანეთის მთელი გზა ცეცხლითა და მახვილით განვლო. იგი 10 მარტს ჩავიდა თელავში. 10 მარტს მარკიზ პაულიჩს კახეთის აჯანყება დამარცხებულად, ხოლო წესრიგი აღდგენილად მიაჩნდა. მაგრამ კახეთი სრულებითაც არ იყო დამშვიდებული და მეორედ გამოსვლამდე ეს შუალედი, ალ. ფრონელის მოხდენილი დახასიათებით, ჰგავდა „ღვეზელფის ვარვარებას“, რომელსაც აჯანყების ახალი ცეცხლი უნდა გამოეწვია.

პაულიჩმა აჯანყების მიზეზების გასარკვევად კომისია შექმნა. მოურავებს გლეხობაში რუს მოხელეთა მიმართ საჩივარი უნდა შეეკრიბათ, რასაც შემდეგ კომისია განიხილავდა.

მალე პაულიჩი იმპერატორის ბრძანებით დედაქალაქში გაიწვიეს. საქართველოს ახალი მთავარმართებელი მოევლინა (გენ. რტიშჩევი), რომელსაც პაულიჩისაგან მეტი სისასტიკე და ნაკლები გონიერება ასხვავებდა მხოლოდ.

პაულიჩი პეტერბურგში ტრაბახობდა კახეთში აჯანყების სწრაფი ლიკვიდაციის შესახებ, მაგრამ ეს სრულიადაც არ იყო მართალი.

ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში იარაღით გამოვიდნენ შილდას, გრემის, ენისელის, საბუეს გლეხები, რომლებიც შმატოვის რაზმს დაესხნენ თავს. პაულიჩის შუაკაცებმა აჯანყების ალი დააცხრეს, მაგრამ კახეთის ცაზე აჯანყების სეტყვის ღრუბლები ისევ მუქდებოდა.

აპრილის ბოლოს და მაისის დასაწყისში აჯანყების ცეცხლი ერთდროულად დაინთო თელავის გაღმა მხარესა და ჭიზიყში.

გაღმა მხარეში აჯანყებულ გლეხებს მათ მიერ მოწვეულ ლეკთა რაზმი წამოეშველა. აჯანყებულებმა შმატოვის რაზმები უკუაგდეს და თელავზე აიღეს გეზი.

რტიშჩევმა ხელმეორედ აჯანყებულ კახეთში გენერალ-მაიორი სტალი მიავლინა, მთავარმართებლის მითითებით სტალბა მოწოდებით მიმართა აჯანყებულებს. ხალხს იგი დანყნარებას სთხოვდა და უხეში მოხელეების ალაგმვას პირდებოდა. სამართლიანობის აღდგენას აღუთქვამდა. ამასთან რტიშჩევმა გააუქმა პაულიჩის მიერ ჩამოყალიბებული კომისია და მოურავებს ამბოხების მიზეზების გამორკვევა აუკრძალა. რტიშჩევის დაპირებებმა ამნისტიის შესახებ, ამბოხებაში აქტიურად მონაწილე თავადობის ხასიათცვალებადობამ, გარედან დახმარებაში იმედგაცრუებამ აჯანყებულთა მხურვალე ენთუზიაზმი თანდათან გააცივა. აჯანყებულთა რიგები თხელდებოდა, სოფლები სიღნაღ-თელავის გზით მიმავალ გენერალ სტალს მორჩილად ხვდებოდა. აჯანყების ადრინდელი წამქეზებლები და მოთავე კახელი თავადები ახლა მხარში ამოუდგნენ მარშალ დიმიტრი ორბელიანს და რუსეთის მხედრობასთან ერთად მონაწილეობდნენ ურჩი სოფლების დამორჩილებაში. მაისის ბოლოსათვის კახეთი დროებით დაცხრა, რითაც დასრულდა აჯანყების მეორე ეტაპი.

მაგრამ „ღველფის ვარვარება" მაინც არ დამთავრებულა. ამბოხების მოთავენი მთავრობის სასჯელის შიშით ტყეში იყვნენ გახიზნულები. გაძვალტყავებულ გლეხობას მთავრობის მოხელეთა მოთხოვნები ისევ აჯანყებისაკენ უბიძგებდა. არაგვის ხეობა ისევ ურჩობდა. ქართლის სოფლებშიც წინასააჯანყებო განწყობილება სუფევდა. უცხო და მტანჯველი რეჟიმით შეშფოთებული ხალხი ყრუდ ბობოქრობდა, რაღაცას ელოდა, თვალი გარეთ ეჭირა, დამხმარის გამოჩენას ელოდა.

ასეთ დამხმარედ გლეხობას და რეჟიმით უკმაყოფილო თავადობას ალექსანდრე ბატონიშვილი მიაჩნდა. ერეკლეს მეკვიდრის წერილები ხელიდან ხელში გადადიოდა. დიდძალი ჯარით მოელოდნენ სახელგანთქმულ მეფისწულს, რომლის

სახელი, როგორც „გამათავისუფლებლისა“, მაშინ ყველას პირზე ეკერა და რომანტიკულ ბურუსში იყო გახვეული.

ალექსანდრეს წერილებით გამხნევებული არაგველები გამოსვლას ჯერ კიდევ ივნისში ვარაუდობდნენ. თვის დასაწყისში მათ ანანურთან რუსთა საგუშაგოებს შეუტიეს, მაგრამ გაბრიელ ყაზიბეგის, ერისთავების, კობიაშვილების დახმარებით მთავრობამ მოახერხა სამხედრო ეზა ხელახალი გადაკეტვისაგან ეხსნა.

აგვისტოს თვეში მთავარმართებელი რტიშჩევი ყარაბახში ირანელებთან ზავზე მოსალაპარაკებლად იყო წასული. საქართველოს საქმეებს დიმიტრი ორბელიანი განაგებდა. ალექსანდრე ბატონიშვილმა ნამდვილად ყველაზე მოხერხებული დრო შეარჩია და 6 სექტემბერს ერევნიდან ფარული გზებით მცირე ამალით თიანეთს მიაშურა. აქედან ბატონიშვილმა მორბედნი აფრინა ქართლ-კახეთის ყველა მხარეს და მოწოდებით მიმართა ქართველობას იარაღი აეღოთ რუსთა მმართველობის დასამხობად.

ალ. ბატონიშვილის ჩამოსვლამ კახეთში თავადობის ერთ ნაწილს ისევ აღუძრა ერეკლესდროინდელი საქართველოს აღდგენის იმედები. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ბატონიშვილმა, ამდენი დაპირებისა და მოლოდინის შემდეგ, ფეხი შემოდგა საქართველოს მიწაზე. ბატონიშვილის ამალა საათობით იზრდებოდა, მისი ერთგულნი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი მოდიოდნენ ქართლისა და კახეთის სოფლებიდან.

ალექსანდრე მოქმედების თადარიგს შეუდგა. დანიშნა ცალკე მოქმედი ჯგუფების სარდლები, ყველა მათგანს სამოქმედო ამოცანა დაუსახა. ახლა ის საქართველოს გულში ტრიალებდა და, როგორც გადმოგვცემენ, ალავერდობის დღისათვის მეფედ კურთხევასაც ამზადებდა.

მაგრამ მთაეროაბას საგანგებო ღონისძიებები ჰქონდა მიღებული. პოლკოვნიკ ტიხანოვსკისა და ორბელიანის რაზმები ბატონიშვილის კვალს მისდევდნენ და სავარაუდო გზებს უხერგავდნენ. 25 სექტემბერს შილდასთან ბრძოლაში ორთავე მხარემ დიდი ზიანი ნახა. მალე ტიხანოვსკის და ორბელიანის ძალები გაერთიანდნენ, რამაც მათ დიდი უპირატესობა მიანი-

ჭა, მაგრამ ალექსანდრე ბრძოლის პარტიზანულ მეთოდებზე გადავიდა და სწრაფი მანევრირებით მტერს გზა-კვალი აუბნია. ალ. ბატონიშვილის და ორბელიანის ჯარებს შორის ფიცხელი შეტაკებანი მოხდა შილდასთან (13 ოქტომბერს), სიღნაღთან (18 ოქტომბერს), მაღაროსთან (24 ოქტომბერს), ჩალაუბანში (29 ოქტომბერს). ამ ბრძოლებში მთავრობის კარგად შეიარაღებულ რეგულარულ ნაწილებს ნაკლები ზარალი მოსდიოდათ და მეტი შევსება. ალ. ბატონიშვილის ლაშქრის რიგები კი თანდათან თხელდებოდა. აღარც გარედან დახმარების იმედი ჩანდა, რადგან რუსეთი ირანთან ბრძოლაში წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და აბას-მირზა თავგზააბნეული გარბოდა კოტლიარევსკის უნარიანი დარტყმების შედეგად.

26 ნოემბერს ჩაილურთან ბატონიშვილს საბოლოო შეხვედრა მოუხდა რუსეთის ჯარებთან. ლეკებისა და ზოგიერთი თავადიშვილის ღალატმა მოშალა ალექსანდრეს ფრონტი და მან ძლივს მოახერხა ორბელიანს ხელიდან გასხლტომოდა. თიანეთიდან ბატონიშვილმა ხევსურეთს ამოჰყო თავი, საიდანაც ისევ მალე სპარსეთს გადაიხვეწა.

ამგვარად, ნოემბრის რიცხვებისათვის კახეთის აჯანყება საბოლოოდ დასრულდა.

8. 1810—1820 წწ. აჯანყება იმერეთში

XIX საუკუნის პირველ ოციან წლებში ცარიზმის ბატონობის წინააღმდეგ სახალხო პროტესტის მესამე მძაფრ გამოვლინებას იმერეთის 1819 წლის აჯანყება წარმოადგენს.

ცარიზმმა იმერეთის სამეფო 1810 წელს გააუქმა. სოლომონ მეორის განდევნის შემდეგ აქ შემოღებული რუსული მმართველობა განასახიერებდა იმავე სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს, როგორიც ცარიზმს ქართლ-კახეთში ჰქონდა დამყარებული. მართალია, ქართლ-კახეთში დაუცხრომელი შფოთით და იმერეთის მოსაზღვრე ოსმალეთის აქტიური ღონისძიებით დაშინებული ცარიზმი ფრთხილობდა და იმერეთის ადრინდელ პოლიტიკურ ცხოვრებასთან ახალი მმართველობის ერთგვარ შეგუებას ცდილობდა („მდივანი", მოურავობა და სხვ.), მაგრამ ყველაფერი ეს მოჩვენებითი და დროებითი დათმობანი

იყო მხოლოდ. საერთაშორისო ასპარეზზე გამოდარებისა და კავკასიის ომების დასრულებისთანავე ცარიზმი უეჭველია დასავლეთ საქართველოში ამ ცერემონიებზე ხელს აიღებდა და გაერთიანებულ საქართველოში ერთიან პოლიტიკურ წყობილებას დაამყარებდა.

ახალი რეჟიმის დამყარების წლებში დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა უაღრესად რთული და კრიზისული იყო.

1810 წლის აჯანყების შედეგები მოსახლეობისათვის მეტის-მეტად სამძიმო აღმოჩნდა. აჯანყების მრავალი აქტიური მონაწილე სასჯელის შიშით ტყეს შეეხიზნა და პარტიზანულ ბრძოლას განაგრძობდა ახალი მმართველობის წინააღმდეგ. რუსი ჯარები სოფლებში დათარეშობდნენ და მოსახლეობას პირიდან უკანასკნელ ლუკმას აცლიდნენ. მეურნეობის ნორმალურად წარმართვა მუშახელის განთესვის გამო ფერხდებოდა. ძლიერმა ყინვებმა ჭირნახული მთლიანად გაანადგურა. ხალხი დაიმშა. 1811 წელს მთელი იმერეთი შიმშილობდა. რკოსა და ვაზის რტოების ნაფქვით, ხის ძირებითა და ბალახით იკვებებოდა. უჩვეულო ზამთარმა შინაური პირუტყვიც ერთიანად ამოჟლიტა. შემოდგომაზე ისეთი წყალდიდობა დაიწყო, რომ ბარის სოფლები ერთიანად მოაოხრა და წყლით დაფარა. მოსახლეობა ამ რაიონებიდან დედაბუდიანად აიყარა და ან მთებს შეეხიზნა ან სხვა მხარეში გადაიხვეწა.

დამშეული მოსახლეობის უბედურებას ზედ დაერთო შავი ჭირის ეპიდემიაც, რომელიც დასავლეთ საქართველოში ახალციხის მხრიდან გავრცელდა. შავმა ჭირმა და შიმშილმა მარტო ერთი წლის განმავლობაში იმერეთში 32 750 კაცი იმსხვერპლა. შიმშილისა და შავი ჭირის შიშით ხალხი გარბოდა.1 450 კაცი გაიხიზნა იმერეთიდან. ომიანობის, შიმშილობის, შავი ჭირის შედეგებმა დიდი ხნით გატეხა და დააუძლურა იმერეთი. ამის უველაზე ნათელ ილუსტრაციას მოსახლეობის რაოდენობის სტატისტიკა წარმოადგენს. 1810—1820 წლებში იმერეთის მოსახლეობა განახევრდა. ორასი ათასი კომლიდან ასი ათასი კომლიღა დარჩა.

ერმოლოვი იმერეთის მდგომარეობას ჭირიანობის წლებში ასე ახასიათებდა: „იმერეთში მძვინვარე უძლიერესი შავი ჭირი და

შიმშილი იმდენად საშინელი იყო, რომ მამები თავიანთ შვილებს სამუდამო მონობაში ჰყიდდნენ ლუკმაპურისათვის, სასოწარკვეთილი დედები კი შიმშილისაგან გალეულ ბავშვებს ტყეში და შარა-გზებზე ტოვებდნენ"[1].

ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის სიმწვავე დასავლეთ საქართველოში იმთავითვე უფრო მძიმე და აუტანელი იყო, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ამ სიმძიმეს, ერთი მხრივ, სავარგულო მიწების მეტისმეტი სიმცირე და, მეორე მხრივ, გაბატონებული წოდების — თავადაზნაურობის უჩვეულო რიცხობრივი სიმრავლე აპირობებდა, ყოველ 6 გლეხურ კომლზე იმერეთში საშუალოდ ერთი სარჩენი ბატონი (თავადი, აზნაური, მღვდელი) მოდიოდა[2]. თითზე ჩამოსათვლელი იყვნენ მრავალყმიანი თავადიშვილები. უმრავლესობას რამდენიმე კომლი ყმა ჰყავდა, რომლებიც ყველამდე იყვნენ ჩაფლულნი ფეოდალურ ვალდებულებებში. მძიმე ფეოდალურ ვალდებულებებს იმერეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ სახელმწიფო ვალდებულებანიც დაემატა. 1811 წელს იმერეთის საყოველთაო შიმშილობის პირობებში მთავრობამ მოსახლეობას პური არ შეაწერა, მაგრამ ყველა სხვა გადასახადი და ბეგარა-ვალდებულება ძალაში დატოვა. „ოჯახშიდ იმერეთშიდ დღეს თავისთავის მუშაობა არ არის თუ გზის ჩეხით, თუ ციხის შენებით, თუ მშიერის მუშაობით თქვენთვის, თუ სხვისი და სხვისი მწუხარებით, რომელიც ჩვენის მეფის ხელშიდ არც ერთი არა გვქონია და თავისუფალი ვიყავით. შეუძლებელიც არის რომ მოგართვათ 480 ცხენი. არ ძალგვიძს დახოცვითა და აოხრებითა"[3]; — ჩიოდნენ იმერელი გლეხები მთავრობისადმი მიმართულ თხოვნაში 1811 წელს. აქედან ნათლად ჩანს, რომ დამშეული და გაპარტახებული მოსახლეობა, რომელსაც გამანადგურებელი სენი ჰქონდა დარეული, ფეოდალურ ვალდებულებათა გარდა ასრულებდა რუსული მმართველობის

---

[1] Иваненко. Гражданское управление на Кавказе, стр. 128.

[2] Акты, т. IV, стр. 345; Н. Б. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819—1820 гг., Материалы истории Грузии и Кавказа 1942, т. III, вып. 1942 г., стр. 40—45. ვ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 71—83.

[3] Акты, т. IV, стр. 358.

მსხვილ ბეგარა-ვალდებულებებს — გზების გაყვანას, ციხეების შენებას და მრავალ სხვას, ამავე დროს, მეფის მოხელეები მუშა საქონლის რეკვიზიციას მიმართავდნენ.

ამრიგად, რუსეთის მმართველობის დამკვიდრებისთანავე გლეხობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ყმა გლეხი ორმაგი ჩაგვრის ობიექტი გახდა, მისი უღლის სიმძიმე გაორკეცდა. ცარიზმის მოხელეთა თავგასულობამ და მოვლენილმა უცხო რეჟიმმა გლეხს ოსმალობის მძიმე პერიოდი მოაგონა.

1811 წელს ცარიზმმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა მოსპო. კათალიკოსის ნაცვლად დააწესა ეგზარხოსის თანამდებობა, რომელიც უმაღლესი სინოდის განსაკუთრებულ განყოფილებას დაუმორჩილა. ცარიზმმა აგრეთვე დიდად შეამცირა ეპარქიათა რიცხვი და საეკლესიო ხარჯების მკაცრი რეგლამენტაცია მოახდინა. 1811 წლის კანონი ეკლესიას ართმევდა ყმას და მამულს და მას სახელმწიფო საკუთრებად აცხადებდა. ამგვარად, ეკლესიას ხელიდან ეცლებოდა საუკუნეებით შეძენილი ფეოდალური საკუთრება, პრივილეგიები, იგი ჩვეულებრივ ბიუროკრატიულ დაწესებულებად იქცეოდა. ამ ღონისძიებასთან ერთად ცარიზმი შეუდგა ეკლესიიდან ქართული სულისკვეთების ნელ-ნელა გამოდევნას, რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებაში ეკლესიის გამოყენებას. პირველი ეგზარხოსი ვარლაამი (ერისთავი) მთავრობამ გადააყენა და რუმინეთში გაიწვია იმ საბაბით, რომ იგი გაბედულად და ენერგიულად ვერ მოქმედებდა ახალი კანონის პრაქტიკული განხორციელებისათვის. ეგზარხოსის თანამდებობაზე დაინიშნა რიაზანის არქიეპისკოპოსი ფეოფილაქტე რუსანოვი. ახალი ეგზარხოსის პირველი ღონისძიება იყო რუსულ ენაზე წირვა-ლოცვის შემოღება (კვირაში სამჯერ) და ამავე დროს საეკლესიო ქონების აღწერა, რაც იმერეთში 1819 წელს თვით ფეოფილაქტეს უშუალო ზედამხედველობით მიმდინარეობდა.

საეკლესიო რეფორმა შეეხო არა მარტო სამღვდელოების ინტერესებს, არამედ მემამულეთა ინტერესებსაც. სამღვდელოების ზედაფენა კარგავდა დიდ, უზრუნველ შემოსავალს და დამოუკიდებლობას. ასევე ზარალდებოდა მემამულე — თავადი, რომელსაც მღვდლები საკუთრებაში ჰყავდა. მრავალი სამღვდელო პირი, ეპარქიათა შემცირების გამო, სავსებით

ეთხოვებოდა სამსახურს. რეფორმის შედეგად მდგომარეობა გაუუარესდა საეკლესიო გლეხობასაც, რადგან ახალი კანონის შემდეგ მას საეკლესიო გადასახადი უწესდებოდა. გლეხები, რომლებიც ეკლესიის საკუთრებას შეადგენდნენ, მთავრობამ თვითნებურად ჩარიცხა ხაზინის განკარგულებაში, მაგრამ ეკლესია რომ არ გაენაწყენებინა, მის მიმართ ამ გლეხთა ვალდებულებანი ძალაში დატოვა. ძალაში დარჩა მოურავის გამოსაღებიც. ამრიგად, — შენიშნავს პროფ. ნ. მაჭარაძე, — „კაბალა გასამკეცდა"[1].

მთავრობის ახალი ღონისძიება, რომელიც საზოგადოების თითქმის ყველა კლასის და ფენის ინტერესებს შეეხებოდა, ანტირეჟიმული მოძრაობის წამქეზებელი საშუალება აღმოჩნდა. იმერეთში ამ დროს მოსახლეობის განწყობილება მეტად დაძაბული იყო და ერთი ნაპერწკალიც კი კმაროდა ხანძრის გასაჩაღებლად. საქმე ისაა, რომ სოლომონის მომხრე თავადობა ბლომად იყო შემორჩენილი იმერეთში და ანტირუსული გამოსვლის გეგმებს აწყობდა. თავადაზნაურობის ეს ოპოზიციური განწყობილება ამ რეფორმის შემდეგ გადაედო სასულიერო წრეებსაც, რომელთაც, როგორც ცნობილია, ხალხზე ზემოქმედების მძლავრი საშუალებები გააჩნდათ. იმერეთის ტყეებში ჯერ კიდევ იმალებოდნენ 1910 წლის აჯანყების მონაწილენი. ეს ორმაგი ჩაგვრით გაძვალტყავებული გლეხობა მდგომარეობის გაუარესების შიშით მზად იყო ყოველგვარ რისკზე წასულიყო. ამ ვითარებაში სწრაფად გაიზარდა აჯანყების ხანძარი და იგი თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო.

აჯანყების პირველ კერად იქცა შორაპნის ოლქი, სადაც იმერეთის სხვა რაიონებთან შედარებით მოსახლეობა ყველაზე ღარიბი იყო. აჯანყებულებმა გარეკეს აღწერის მიზნით მივლინებული მოხელენი, განახორციელეს თავდასხმა რუსთა გარნიზონებზე. მღელვარება სწრაფად მოედო ქუთაისის რაიონებს. დაიწყო ხალხმრავალი შეკრებანი. აჯანყების მოთავეებმა შეიმუშავეს მოთხოვნილება, რომელიც ხალხის სახელით იმერეთის მმართველ გენერალ კურნატოვსკის გაუგზავნეს. მოთხოვნილებაში დასაბუთებული იყო რეფორმის შეუსაბამობა

[1] Н. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819—1820 гг., 1942, стр. 62.

გაღატაკებული იმერეთისათვის. აჯანყებულები მმართველს სთხოვდნენ არ დაეშვა იმერეთში რეფორმის განხორციელება[1].

აჯანყებულნი მოითხოვდნენ იმერეთიდან ეგზარხოს ფეოფილაქტეს გაწვევას; მოხელეთა მიერ რეფორმასთან დაკავშირებით შედგენილი სიების გამოტანას და დაწვას. ამასთან იმუქრებოდნენ, რომ არ დაწყნარდებოდნენ, ვიდრე მათ თვალწინ ყველა ეს მოთხოვნა შესრულებული არ იქნებოდა[2].

შორაპნისა და ქუთაისის აჯანყებულებმა მხარდაჭერის მოწოდებით მიმართეს რაჭის მოსახლეობას[3]. რაჭას არ დაუყოვნებია და მალე აჯანყების ალი მთელ რაიონს მოედო, აჯახყების კერები დღითი დღე ფართოვდებოდა. მასში ჩაბმული აღმოჩნდა არა მარტო იმერეთის მოსახლეობა, არამედ გურიაც და სამეგრელოც. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯერ კიდევ ფორმალური დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, სამეგრელოში და გურიაში ფეოფილაქტეს მივლინებულმა მოხელეებმა ვერ მოახერხეს საეკლესიო ქონება-მამულების აღწერა. მოსახლეობის მიერ გამოძევებულნი ქუთაისს ხელცარიელი დაუბრუნდნენ[4].

იმერეთის 1819—1820 წლების აჯანყება მოსახლეობის ყველა ფენას მოედო. აჯანყების მოთავე-ინიციატორს და ძირითად ბირთვს, ცხადია, რუსული მმართველობით უკმაყოფილო თავადაზნაურობა წარმოადგენდა. აჯანყებაში გლეხობის მასობრივი ჩაბმა საკუთარი კლასობრივი ინსტინქტით იყო შეპირობებული და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, გლეხობამ მას ანტირეჟიმულთან ერთად ანტიბატონყმური ხასიათიც მისცა.

თავადაზნაურობის ერთი ნაწილი, რომელიც უკვე შერიგებოდა რუსეთის მმართველობის დაწესებას და ახალი რეჟიმის ერთგულებისათვის ჩინ-მედლებს და სამსახურებრივ დაწინაურებას მოელოდა, იმთავითვე აჯანყების მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა და მთავრობას ენერგიულ დახმარებას უწევდა მის ჩახშობაში.

---

[1] Акты, т. VI, ч. I, стр. 535.

[2] იქვე, გვ. 536.

[3] იქვე, გვ. 391.

[4] იქვე, გვ. 536.

მეორე ნაწილი მერყევ მდგომარეობაში იყო. ისინი თავდაპირველად თანაუგრძნობდნენ აჯანყებას და ფარულად მხარს უჭერდნენ ანტირეჟიმულ მოძრაობას, მაგრამ თუ მთავრობის ძალები წარმატებას მიაღწევდნენ, პოზიციის შეცვლას მტკივნეულად არ განიცდიდნენ და კრიზისულ მომენტში ტოვებდნენ აჯანყებულთა ბანაკს. თავადაზნაურობის ამ ნაწილის ღალატი აჯანყებისადმი განსაკუთრებით მას შემდეგ გახშირდა, რაც გლეხთა მოძრაობამ აშკარა ანტიბატონყმური მიმართულება მიიღო.

თავადაზნაურობის მესამე ნაწილი ბოლომდე ერთგული დარჩა აჯანყებისა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ სოლომონ მეორისდროინდელი რეჟიმი აღედგინა. თავადაზნაურობის ეს ჯგუფი იმედოვნებდა გარედან მხარდაჭერას და ყველაზე რეალურ დახმარებას იგი მოელოდა საქართველოს სამეფო ტახტის უიღბლო და ხანგრძლივ მაძიებელ ალექსანდრე ბატონიშვილისაგან, რომელსაც იმერეთის მოძრაობის ამბავი მისვლოდა და რუსული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლთ მიშველებას აღუთქვამდა.

მაგრამ ქართული მინარჩიური წყობილების აღდგენის ამ მომხრეთა შორის ერთსულოვნება არ ყოფილა. ერთი ნაწილი დასავლეთ საქართველოს აღდგენილი მონარქიის ტახტზე ბაგრატიონთა გვარს ვარაუდობდა და ყველაზე სასურველ კანდიდატად ალექსანდრე ბატონიშვილს ასახელებდა, მეორე ჯგუფს კი სამეფო კანდიდატად თავადი ივანე აბაშიძე (იმერეთის მეფის სოლომონ პირველის შვილიშვილი) ჰყავდა შერჩეული[1].

---

[1] თავისი პოზიციით ივანე აბაშიძე შეთქმულ თავადთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც თავიდანვე მერყეობდნენ და უმტკივნეულოდ იცვლიდნენ პოზიციას. ი. აბაშიძე აჯანყებულებთან იყო. მართალია, აჯანყების გამარჯვება მას სამეფო გვირგვინს უმზადებდა, მაგრამ იგი ახლო ურთიერთობაში იყო ცარიზმის მოხელეებთანაც და არ თაკილობდა აჯანყების კრიზისულ პერიოდში მის ღალატს. ცბიერი ფეოდალი აჯანყებას პირადი ინტერესებისთვის იყენებდა და მტრულად განწყობილ პირებს ანგარიშს უსწორებდა. აბაშიძის ასეთი პოზიცია საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სამეფო ტახტის დაკავების შემდეგ იგი რუსეთის ცარიზმთან საერთო ენას გამონახავდა და მისივე მფარველობაში იმავე უფლებებით დარჩებოდა, როგორითაც დადიანი და გურიელი სარგებლობდნენ.

იმერეთის გამოსვლა, მართალია, პირველ სტადიაში მშვიდობიან ხასიათს ატარებდა და მთავრობის მიმართ ულტიმატუმს არ გასცილებია, მაგრამ მმართველობა ფრიად შეშფოთდა და ღონისძიებანი მიიღო მოძრაობის ჩახშობისათვის. მთავრობამ პირველ რიგში ქუთაისის მისადგომები გაამაგრა, რომ აჯანყებულებს დასავლეთ საქართველოს ცენტრის მოშლის საშუალება არ მისცემოდათ. დასავლეთის სამხედრო ძალების დასახმარებლად ერმოლოვის ბრძანებით აგვისტოში ქუთაისისაკენ დაიძრა გენერალ რენიაკინის რაზმი, რომელიც კაზაკთა პოლკის, ხერსონესის ბატალიონისა და საარტილერიო ბატარეისაგან შედგებოდა.

აჯანყებულებმა მთავრობის საექსპედიციო ძალების წინააღმდეგ ენერგიული ზომები მიიღეს. მათ გაამაგრეს სურამის უღელტეხილი და ჩახერგეს გზები მოლითთან. სოჭაში აჯანყებულებმა გამოდევნეს მთავრობის მოხელეები და ხელთ იგდეს ძალაუფლება.

აჯანყება იმდენად საყოველთაო იყო, რომ მთავრობამ მისი კერების რიგრიგობით ლიკვიდაცია ვერ მოახერხა. მთელ იმერეთში ცარიზმის ბატონობა ბეწვზე ეკიდა. ერმოლოვი ამ დროს დაღესტანში ლაშქრობით იყო დაკავებული და იმერეთის მმართველობისადმი მაშველი ჯარების მიწოდება უჭირდა. ველიამინოვმა, სწორად შეაფასა რა ვითარება, იმერეთის მმართველობას ურჩია მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა კონფლიქტი, შეეწყვიტა საეკლესიო მამულების აღწერა. იარაღი პირველმა არ გამოიყენოთო — აფრთხილებდა ველიამინოვი მმართველობას[1]. ველიამინოვმა იმერეთის ხალხს მიმართა აგრეთვე მოწოდებით, სადაც პოპულარიზაციას უწევდა რუსეთის ძლიერებას და ურჩევდა ხელი აეღოთ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამასთან პირდებოდა ფეოფილაქტეს გაწვევას და საეკლესიო მამულების აღწერის შეწყვეტას[2].

ერმოლოვმა, შეაფასა რა ვითარების სირთულე, დაყვავების პოლიტიკა გამოიყენა. მან მითითება მისცა ქუთაისის მმართველობას არ გაემწვავებინა მდგომარეობა.

---

[1] Акты, т. VI, стр. 743.

[2] იქვე, გვ. 538.

მთავრობის მოწოდებამ და მმართველობის თავდაცვითმა ღონისძიებებმა შედეგი არ გამოიღო. აჯანყება არ დამცხრალა. მისი კერები ფართოვდებოდა. აჯანყებულები მეტ აგრესიულობას იჩენდნენ. შემაშფოთებელი ცნობები მოდიოდა ახალციხის ფაშას აქტიურობისა და ალექსანდრე ბატონიშვილის იმერეთში შეპრისათვის მზადების შესახებ. ასეთ ვითარებაში ერმოლოვმა ამჯობინა ენერგიული ზომების მიღება. ფრთხილი და უინიციატივო კურნატოვსკი გადააყენეს და მის ნაცვლად დანიშნეს გენერალი პუზირევსკი, რომელიც გაბედული მოქმედებით იყო ცნობილი და ერმოლოვს აჯანყების სწრაფ ლიკვიდაციას აღუთქვამდა.

პუზირევსკიმ აჯანყების ჩახშობა მღვდელმთავრებისა და უველაზე გავლენიანი თავადების დაპატიმრებით დაიწყო. 1820 წლის მარტში ქუთაისში მოტყუებით მიპატიჟებული მიტროპოლიტები ქუთათელი და გელათელი და აგრეთვე თავადი სეხნია წულუკიძე, მდივანბეგები მიქელაძე და სხვები დააპატიმრეს. მთავრობას ხელიდან დაუსხლტა ივანე აბაშიძე, რომელიც გურიაში გაიქცა.

გურიის მთავარი რუსული ორიენტაციის კაცი იყო და მათი მხარდაჭერით ეწეოდა ბრძოლას გავლენიანი ბიძის ქაიხოსროს წინააღმდეგ. ქაიხოსრო მისი დასმენით ანტირუსული მოძრაობის მოთავეობაში იყო შენიშნული. ივანე აბაშიძე იმერეთიდან გადახვეწის შემდეგ ქაიხოსროს შეეფარა სოფ. შემოქმედში. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ივანე აბაშიძე ქაიხოსროს აჯანყებისკენ აქეზებდა და გურიის ამოქმედებით აჯანყების გაფართოება-გაძლიერებისაკენ მიისწრაფოდა.

ენერგიულმა პუზირევსკიმ გადაწყვიტა ი. აბაშიძის და ქ. გურიელის დაპატიმრება. ამ მიზნით იგი გურიაში გაემგზავრა, თანმხლები ჯარები ჩოხატაურში დატოვა, თვით კი მცირე ამალით შემოქმედისაკენ დაიძრა. შემოქმედის ციხე-სიმაგრეში ქაიხოსრო არ აღმოჩნდა. უკან დაბრუნებულ პუზირევსკის შეეფეთა ქაიხოსროს მსახურთა ჯგუფი, რომელთაც პუზირევსკი მათრახით დაერია. ერთ-ერთმა მათგანმა (იოთამ ბოლქვაძემ) პუზირევსკი და მისი ერთი მხლებელი მოკლა, დანარჩენი

ქაიხოსროს კაცებმა შეიპყრეს და ბატონს გოგიეთში მიჰგვარეს[1].

პუზირევსკის მკვლელობას მოჰყვა მმართველობის დამსჯელი ღონისძიებანი და გურიის გლეხობის გამოსვლა მის წინააღმდეგ. პუზირევსკის მოადგილე ეგორსკის შემოქმედთან ცხარე ბრძოლა მოუხდა. მან მარცხი განიცადა. აჯანყებულებმა ხელთ იგდეს აგრეთვე რუსეთის ჯარის სადგომი დაბა ჩოხატაურში.

გურიის გამოსვლა თითქოს სიგნალი გახდა სამეგრელოსათვის, რომელიც აქამდე დუმდა. ლევანის ძმის გიორგი დადიანის მეთაურობით აჯანყებულმა რაზმებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს რუსთა ბანაკზე. ივანე აბაშიძე გურულთა რაზმით სამეგრელოში გადავიდა. აჯანყებულებმა მნიშვნელოვანი კომუნიკაციები დაიკავეს, მაგრამ ლევან დადიანის ენერგიული მოქმედებით სამეგრელოს გამოსვლა მინელდა და ძმასთან ბრძოლაში დამარცხებული გრიგოლი იძულებული გახდა აფხაზეთს გადახვეწილიყო.

იმერეთ-სამეგრელოს გამოსვლამ მთავრობა ახალი საშიშროების წინაშე დააყენა. ახალციხის ფაშა გააქტიურდა. ალექსანდრე ბატონიშვილიც რეალურ დაპირებას აძლევდა იმერელ თავადობას. მეფის მოხელეები გამოთქვამდნენ შიშს, რომ აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოსაც მოედებოდა. ერმოლოვმა უფრო ენერგიული ღონისძიებანი მიიღო. ახალ საექსპედიციო ძალებს სათავეში ა. ველიამინოვი ჩაუყენა. პუზირევსკის ნაცვლად დანიშნულ იმერეთის მმართველ გორჩაკოვს დავალება მიეცა აჯანყების კერები უსასტიკესი ზომების გამოყენებით ჩაეხშო. მთავრობის ძალებმა შეუპოვარი ბრძოლებით გაიკაფეს გზა რაჭისაკენ. თავადაზნაურობა აჯანყების ბოლო ეტაპზე გულუხვობას იჩენდა გამცემლობაში და ველიამინოვთან და გორჩაკოვთან ერთგულების ფიცსა დებდა. რაჭასთან ანგარიშგასწორების შემდეგ ველიამინოვი გურიაში გაემგზავრა და პირველ რიგში შემოქმედის ციხეს შეუტია. 24 ივლისს ცხარე ბრძოლაში ველიამინოვი შემოქმედს დაეუფლა და დაანგრია კიდეც იგი. მის მრავალრიცხოვან ჯარს ასევე შეუპოვა-

[1] В. Потто. Утверждение русского владычества на Кавказе, т. III, ч. II, стр. 517.

რი ბრძოლები გადახდა გრიგოლეთსა და ნიგოეთში. ველიამინოვი უმკაცრესი ზომებით უსწორდებოდა აჯანყებულებს. სწვავდა და ანადგურებდა ყოველივეს. დაახლოებით ორი თვე გრძელდებოდა მთავრობის საექსპედიციო ძალების განუკითხავი თარეში გურიაში. აგვისტოს დასასრულისათვის აჯანყება ჩაახშვეს. აჯანყების მოთავეთა ერთმა ჯგუფმა თურქეთს მიაშურა, ბევრი ტყეებში გაიხიზნა, ბევრიც შეიპყრეს. მთავრობა განაგრძობდა აჯანყების აქტიურ მონაწილეთა ძებნას და მათ მკაცრ დასჯას წლების მანძილზე.

1820 წლის შემოდგომისათვის დასავლეთ საქართველოში ცარიზმმა „წესრიგი" აღადგინა. ერმოლოვმა მრისხანე თვალები ისევ კავკასიის მთებს მიაპყრო.

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასობრივ მოძრაობათა ხასიათის შესახებ

ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოში XIX საუკუნის პირველი მეოთხედის აჯანყებათა შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული.

ამ მოძრაობათა მიზეზებისა და ხასიათის პირველი შემფასებელი იყო მათი თანამედროვე და რამდენადმე მონაწილეც გამოჩენილი ქართველი პოეტი-რომანტიკოსი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე.

ალ. ჭავჭავაძის ცნობილ ნარკვევში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801—1831 წლამდე" კარგადაა ნაჩვენები XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასობრივ მოძრაობათა საერთო მიზეზები. აქ ნაჩვენებია კოლონიურ ხელისუფალთა აღვირახსნილი მოქმედება, კაპიტან-ისპრავნიკებისა და პროვიანტ-კომისიონერების განუკითხავი პარპაში, საოკუპაციო რეჟიმის შეურიგებლობა ხალხის ტრადიციებთან, სახელმწიფო ბეგარებისა და ეგზეკუციების სიმძიმე და სხვ.[1].

საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ეს აჯანყებანი რუსე-

---

[1] ალ. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 241—255.

თის ცარიზმის ოფიციალურ ისტორიკოსთა ნაშრომებში[1] უნდა აღინიშნოს, რომ ცარიზმის ოფიციალურ ისტორიკოსებს არ შეულამაზებიათ საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების მძიმე პროცესი. ოფიციალურ ისტორიოგრაფიას მართალია, ცარიზმის მიერ საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა და ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლა სრულიად კანონზომიერ, სამართლიან, პროგრესულ აქტად მიაჩნდა, მაგრამ იგი არ ჩრდილავდა იმ მტკივნეულ მხარეს, რაც ამ პროცესს დაპყრობილი ხალხის ცხოვრებაში ახლდა. რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მასობრივ მოძრაობას ოფიციალური ისტორიოგრაფია ხსნიდა ხალხის საუკუნოვან ტრადიციებთან და ჩვეულებებთან ახალი რეჟიმის უცხოურობითა და შეუთავსებლობით და, რაც მთავარია, რუს მოხელეთა უვარგისობით, თანამდებობისათვის მათი შეუფერებლობით, იმ ძალადობითა და თვითნებობით, რითაც ასე „გამოიჩინეს" თავი და ქართული მოსახლეობა უკიდურეს გაბოროტებამდე მიიყვანეს. რა თქმა უნდა, რუსეთის ისტორიოგრაფიას ერთხელაც არ დაუსვამს კითხვა: უთავსდებოდა თუ არა ქართველი ხალხის ინტერესებს ცარიზმის კოლონიური ჩაგვრის მძიმე უღელი და შეეძლო თუ არა ცარიზმს ამ საკითხების ისე გადაწყვეტა, რომ ახალი რეჟიმი ხალხისათვის მტანჯველი არ ყოფილიყო. ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის ეს კითხვა არც არსებობდა, რადგან მის ძირითად მიზანდასახულობას შეადგენდა გამართლება იმ პოლიტიკისა, რასაც ცარიზმი მთელი XIX საუკუნის მანძილზე ამიერკავკასიის დაპყრობილი ხალხების მიმართ ატარებდა.

რევოლუციამდელ ქართველ მკვლევართაგან ანტირეჟიმული მოძრაობის საკითხები სპეციალურად შეისწავლა ალექსანდრე ფრონელმა (ყიფშიძემ), რომელმაც საინტერესო მონოგრაფიები მიუძღვნა მთიულეთის 1804 და კახეთის 1812 წლების ამბოხებებს[2].

---

[1] Закавказье 1803—1806 гг., История войн и владычества русских на Кавказе; В. Потто, Утверждение Русского владычества на Кавказе, 1—6 т.; Кавказская война, I—II т.; Иваненко, Гражданское Управление на Кавказе, 1901.

[2] ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წ. (ისტორიული ამბავი). მ ი ს ი ვ ე: ამბოხება კახეთისა 1812 წ. (ისტორიული ამბავი), 1907.

თავის ნარკვევში ალ. ფრონელი ფართოდ აშუქებს ორივე აჯანყების აღმოცენების მიზეზებს. ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებას აჯანყების წლებში, აჯანყების მსვლელობას, მთავრობის ღონისძიებებს აჯანყების ჩახშობის საქმეში. მონოგრაფიები დაწერილია საკითხის ღრმა ცოდნით და საინტერესოდ იკითხება.

მაგრამ ალ. ფრონელს თავისი პატრიოტული პოზიცია აიძულებს აჯანყება ცალმხრივად გააშუქოს, იგი სამართლიანად მიუთითებს იმ ველურ ძალადობაზე, რომელსაც რუსი მოხელეები იჩენდნენ ქართველი მოსახლეობის მიმართ და რამაც მოთმინებააღვსილი ხალხის შეიარაღებული გამოსვლა გამოიწვია, მაგრამ ვერაფერში ხედავს საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურად პროგრესულ მნიშვნელობას და ფეოდალურ-მონარქიული საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას აიდეალებს. „საქართველო მიეკედლა რუსეთს მზამზარეული სახელმწიფო მექანიზმით, ჯარით, მოხელეებით, კანონმდებლობით, პოლიცია-ადმინისტრაციით, განვითარებული წოდებრივი უფლებით, თავადაზნაურობით, სამღვდელოთი, გლეხკაცობით. მიწის მფლობელობაც კელაპტარივით ჩამოსხმული იყო და საკუთარი, გარკვეული ფორმა ჰქონდა. დარღვევას ვერავინ ჰბედავდა, რადგან დარაჯად ჩვეულება იდგა... იგივე ჩვეულება-ადათს განსაზღვრული ჰქონდა ხარჯი და ბეგარა. ორივე მძიმე ტვირთად არ აწვა ერსა, რადგან პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება სადა და მარტივი იყო. ძველ ცხოვრებას ახალთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა კიდევ, რომ გლეხკაცის ხელში და ხმარებაში იყო მამულ-დედული, ტყე და წყალი. კანონი და ჩვეულება სიმარტივის გამო ყველასათვის მისაწვდომი იყო“[1].

ალ. ფრონელის ეს გაიდეალებული წარმოდგენა ფეოდალურ საქართველოზე იმთავითვე განსაზღვრავდა მის დამოკიდებულებას აჯანყებებისადმი. ეს აჯანყებები ალ. ფრონელს ფეოდალურ-მონარქიული საქართველოს აღდგენისათვის ხალხის ერთსულოვან მოძრაობად მიაჩნდა და ამ მოძრაობის მთავარ მიზანს ამიერკავკასიიდან რუსეთის ფეხის ამოკვეთაში

---

[1] ალ. ფრონელი, ამბოხება კახეთისა, გვ. 7—8.

ხედავდა. ალ. ფრონელი საერთო ნიადაგზე აყენებდა ამ მოძრაობათა მონაწილე ყველა სოციალური ფენის მისწრაფებას. „ქართველობა“, მიუხედავად კლასობრივი სხვადასხვაობისა და ანტაგონიზმისა, ალ. ფრონელს ერთი მისწრაფებით შესისხორცებულ მასად მიაჩნდა და ამიტომ არც ცდილობდა გაერკვია რა ამოძრავებდათ ქართველ თავადაზნაურობასა და გლეხკაცობას, სად იწყებოდა მათი გზაგასაყარი, მოძრაობის წამქეზებელი თავადობის დიდი ნაწილი რატომ იცვლიდა პოზიციას და გადადიოდა მთავრობის მხარეზე. ერთი სიტყვით, ალ. ფრონელი 1804 და 1812 წლების მოძრაობას ნაციონალური პოზიციიდან აფასებდა. ამიტომაა რომ მშვენივრად დაწერილ მის ორთავე მონოგრაფიას ასე მძლავრად დაჰკრავს ისტორიული რომანტიზმის არომატი.

XIX საუკუნის მიწურულიდან რევოლუციამდელ საქართველოში, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი მძლავრი იდეური მიმდინარეობა იყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმი.

ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები (ფედერალისტები) მარქსისტებთან კამათში თავიანთი იდეური პოზიციების დასაცავად ხშირად მიმართავდნენ საქართველოს ისტორიას და XIX საუკუნემდელ ფეოდალურ-მონარქიულ საქართველოში ხედავდნენ კლასობრივ ჰარმონიას, რაც XIX საუკუნის დასაწყისიდან, მათი აზრით, ქართული სახელმწიფოებრიობის მოშლამ და რუსული მმართველობის დამყარებამ დაასამარა[1]. ქართველი ხალხის უბედურება, ა. ჯორჯაძის აზრით, წარმოდგა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობით. მართალია, ეს სახელმწიფოებრივი წყობილება უვარგისი და გამოუსადეგარი იყო (რუსეთთან შეერთებამდის), მაგრამ საჭირო იყო მისი რეორგანიზაცია, გაუმჯობესება და არა მოსპობა. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ხალხს ამ ასი წლის წინათ და ამიტომ ახდენდა აჯანყებას პოლიტიკური თავისუფლების შესანარჩუნებლად[2].

ამრიგად, ა. ჯორჯაძის აზრით, XIX საუკუნის აჯანყებანი ეს იყო ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლების აღსადგენად,

---

[1] იხ. ა. ჯორჯაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 109.

[2] იქვე.

ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ბრძოლა ერთსულოვანი და, ცხადია, პროგრესული. აქ საზოგადოების ყველა კლასი და ფენა ერთი აზრითა და მისწრაფებით იყო შთაგონებული და ეროვნული მოტივებით სულდგმულობდა მხოლოდ. „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, სწორედ მაშინ, როდესაც მკვიდრდებოდა ჩვენში რუსეთის მართვა-გამგეობა, ორი შესანიშნავი აჯანყება მოხდა. ორივე აჯანყება მიმართული იყო რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ და ორივე აჯანყებას ხალხური და არა ფეოდალური ხასიათი ჰქონდა“[1], — წერს ა. ჯორჯაძე.

ქართველი ფედერალისტების წინააღმდეგ, როგორც ცნობილია, შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდნენ ქართველი მარქსისტები, რომლებიც ეროვნულ საკითხს კლასობრივი პოზიციიდან განიხილავდნენ და მის გადაწყვეტას მშომელი მასების სოციალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებს უქვემდებარებდნენ.

ა. ჯორჯაძის წინააღმდეგ პოლემიკაში ნ. ჟორდანია ყურადღებას ამახვილებდა საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების პროგრესულობაზე და ანტირუსულ მოძრაობას განიხილავდა როგორც რეაქციულს. „ძირს ფეოდალი, გაუმარჯოს ბიუროკრატს“! აი რით შემოვიდა რუსეთი“[2]. — წერდა ნ. ჟორდანია.

კახეთის 1802 წლის შეთქმულება, ნ. ჟორდანიას აზრით, ეს იყო ქართველ ფეოდალთა ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ფეოდალობის აღსადგენად[3].

1804 წლის მთიულეთის აჯანყება არ ყოფილა ნაციონალური. ეს მოძრაობა გამოიწვია მოხელეთა თვითნებობამ და ბოროტმოქმედებამ[4]. „მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ნაციონალური მოძრაობა არაერთხელ ყოფილა, აღნიშნავს ნ. ჟორდანია, — მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავადაზნაურობის, ან ინტელიგენციის. არასოდეს ხალხის. კახეთის არეულობა გასული საუკუნის დასაწყისში,

---

1 ა. ჯორჯაძე, თხზ., ტ. 1, გვ. 72.

2 ნ. ჟორდანია, ეროვნული კითხვა, გვ. 67.

3 იქვე, გვ. 98.

4 იქვე, გვ. 99.

შეთქმულება მეოცდაათე წლებში იყო საქმე თავადაზნაურობის და მისი მაშინდელი გამოჩენილი შვილებისა"[1]. „გასული საუკუნის პირველ მეოთხედში, როცა თავადაზნაურობა ჯანყობდა და ახალ წყობილებას არ ურიგდებოდა, მთავრობა გლეხობის მხარეზე იყო, რომ ამით მებრძოლი წოდება გაემარტოებინა, შემდეგ, ოცდაათ-ორმოც წლებში მთავრობა ხან გლეხს იცავს, ხან ბატონს. შემდეგ, განსაკუთრებით ვორონცოვის დროს, ის გადაჭრით მებატონეს ემსახურება"[2].

როგორც ამონაწერებიდან ჩანს, ნ. ჟორდანია რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ აქ აღმოცენებულ იდეურ მიმდინარეობას ფეოდალურ ნაციონალიზმს უწოდებდა და ყველა იმ მოძრაობას, რომლებსაც თავადაზნაურობის მხრივ ჰქონდა ადგილი, ამ აზრის ქვეშ ათავსებდა, რეაქციულ მოვლენად განიხილავდა. ნ. ჟორდანია სწორად მიუთითებდა თავადისა და გლეხის ინტერესთა დაპირისპირებაზე (ფეოდალები ებრძოდნენ რუსებს, გლეხები ფეოდალებს), მაგრამ ცდებოდა. როცა საერთოდ გამორიცხავდა გარკვეულ მომენტში მათი ინტერესების დამთხვევას და აღიარებდა, რომ მთავრობა 40-იან წლებამდე გლეხობის მხარეზე გამოდიოდაო. ამგვარად, ნ. ჟორდანიამ, ვინაიდან თანმიმდევარი მარქსისტი არ ყოფილა, ვერ შეძლო მართებულად აეხსნა ამ მოძრაობათა ბუნება და ხასიათი.

1906 წელს ცარიზმის წინააღმდეგ რუსეთის იმპერიის მშრომელი მასების სოციალური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობის პერიოდში, როცა 17 ოქტომბრის მანიფესტი მთლიანად დასამარებული არ ყოფილა და ცარიზმიც იძულებული იყო კრიტიკას შერიგებოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ი. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ნაშრომი „პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა XIX საუკუნის საქართველოში"[3], რომელშიაც გაბედულად ამხილა ის ველური კოლონიური მძარცველური პოლიტიკა, რომელსაც ცარიზმი საქართველოს შეერთების

---

[1] ნ. ჟორდანია, ეროვნული კითხვა, გვ. 57.

[2] იქვე.

[3] Приват-доцент Джавахов. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., СПб, 1906.

დღიდან ამ მხარეში ახორციელებდა და რამაც გააღვივა აქტიური სოციალური და პოლიტიკური მოძრაობანი. ი. ჯავახიშვილმა პირველმა მოგვცა ამ მოძრაობათა ხასიათის მეცნიერული ანალიზი, ისტორიკოსის კრიტიკული თვალით აწონა მოვლენები და გააკეთა რიგი საგულისხმო მართებული დასკვნებისა, რომლებსაც დღესაც უყოყმანოდ იზიარებს ჩვენი ისტორიოგრაფია.

ი. ჯავახიშვილის აზრით, რუსეთთან შეერთებას საქართველოში მომხრეთა ძლიერი დასი ჰყავდა, მაგრამ ცარიზმის მიერ შემოღებული რეჟიმი იმდენად უცხო და შეუთავსებელი აღმოჩნდა ქვეყნისათვის, იმდენად გაიდგა ფეხი მის მოხელეთა თვითნებობამ და ძალადობამ, რომ თავადაზნაურობა ერთსულოვნად აღდგა თავზემოხვეული რეჟიმის წინააღმდეგ. თუ მანიფესტის გამოქვეყნებამდე საქართველოს ორიენტაციის საკითხში რამდენიმე პარტია გამოიკვეთა, მანიფესტის შემდეგ „ყველა პარტია თავის იდეალებსა და მისწრაფებებში გაერთიანდა. მხოლოდ ქართველი გლეხობა ჯერ კიდევ ლოდინის მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგანაც გულის სიღრმეში მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდა... მაგრამ არ გასულა დიდი დრო და ქართველმა გლეხობამ დაკარგა რუსეთის მმართველობისადმი სიმპათია და იმედები“[1].

ამრიგად, ი. ჯავახიშვილი მანიფესტის შემდეგ თავადაზნაურობას რუსული მმართველობის წინააღმდეგ მებრძოლ ერთიან ბანაკად მიიჩნევდა და არ გამორიცხავდა საქართველოს რუსეთთან შეერთების დადებით შედეგს გლეხობისათვის, რომელიც ადრე შინაური და გარეშე მძარცველების ხელში ჩავარდნილი, ახალი რეჟიმისაგან მშვიდობას და ფეოდალური თავგასულობის ალაგმვას მოელოდა.

რუსი მოხელეების ბასკაკურმა თარეშმა გააცრუა გლეხობის იმედები და იგი აღსდგა თავზემოხვეული მძიმე რეჟიმის წინააღმდეგ.

ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფიიდან კლასობრივი ბრძოლა საქართველოში პირველად ფ. მახარაძემ გააანალიზა და შეაფასა თავის ნაშრომში „საქართველო XIX საუკუნეში“.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V, 1953, გვ. 104.

ფ. მახარაძე განიხილავს 1804, 1812 და 1819—1820 წლების აჯანყებებს და ეს გამოსვლები მას ორმაგი (სოციალური და ეროვნული) ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატულებად მიაჩნია.

ფ. მახარაძის აზრით, გლეხთა აჯანყებები საქართველოში ცარისტული რეჟიმის დამკვირდებამდეც ხდებოდა და ისინი ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ იყო მიმართული[1]. განსაკუთრებით მძლავრ, გამოკვეთილ ხასიათს ატარებდა კლასობრივი ბრძოლა XVIII საუკუნეში, როცა გლეხობის დაკაბალება აუტანელი გახდა[2]. ამრიგად, გლეხთა გამოსვლები საქართველოში ცარისტული რეჟიმის დამყარებამდეც მიმდინარეობდა და სრულიადაც არ ყოფილა რაღაც ახალი ფაქტორი საქართველოს ისტორიაში, რაც თითქოს მხოლოდ და მხოლოდ ამ აქტს (შეერთებას) მოჰყვა. ძირითადი მიზეზი, რომელიც გლეხთა უკმაყოფილებას იწვევდა, იყო ბატონყმობა, რომელიც რუსეთის მფლობელობაშიც ხელუხლებელი დარჩა. ამ ძველ ფაქტორს რუსეთთან შეერთების დროიდან დაემატა ახალი ფაქტორი თვითმპყრობელობის სახით, რომელიც აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ იყო მიმართული და თავადაზნაურობისათვის მთავარ ძალას წარმოადგენდა. ასეთ მდგომარეობაში გლეხის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. მემამულეებმა მეფის არმიის სახით მეამბოხე გლეხთა წინააღმდეგ შეიძინეს საიმედო მზამზარეული ძალა. ამიტომ იყო, რომ ქართველი თავადაზნაურობის ფრონდისტული მოძრაობა, რაც პირველ წლებში ცარიზმის ანექსიური მოქმედებით იყო გამოწვეული, თანდათან მინელდა და გაბატონებული კლასი გლეხური რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში ცარიზმს ამოუდგა გვერდში[3].

1804, 1812, 1819—1820 წლების აჯანყებები ფ. მახარაძეს მიაჩნდა ერთგვარი ხასიათის მოძრაობად, რომელთა უშუალო

---

[1] Ф. Махарадзе, Грузия в XIX столетии (краткий исторический очерк), 1933, стр. 23.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 25.

შამომწვევი მიზეზი რუსი მოხელეების აღვირახსნილი თარეში იყო[1].

XIX საუკუნის საქართველოს გლეხთა მოძრაობას 1933 წ. სპეციალური ნარკვევი უძღვნა პროფ. გ. ხაჭაპურიძემ, რომელმაც დაწვრილებით განიხილა 1804, 1812 და 1819—1820 წლების მოძრაობანი[2]. გ. ხაჭაპურიძემ XIX საუკუნის მასობრივ და იდეურ მოძრაობათა დახასიათებაში სავსებით გაიზიარა ფ. მახარაძის თვალსაზრისი. შემდეგ წლებში გამოცემულ მონოგრაფიაში „საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“ გ. ხაჭაპურიძემ 1804 წლის აჯანყება ეტაპებად დაყო. პირველი ეტაპი — წმინდა გლეხური გამოსვლა — მისი აზრით, სამართლიანი იყო. „ამ აჯანყებამ რეაქციული ხასიათი მიიღო იმ მომენტიდან, როცა აჯანყების ხელმძღვანელობა ხელთ იგდო ფეოდალურმა დიდკაცობამ, რომელიც გარეშე ძალთა დახმარებით ცდილობდა მიეღწია თავისი კლასობრივი მიზნებისათვის რუსეთიდან საქართველოს ჩამოშორებისათვის“[3]. ასეთივე თვალთახედვა გამოსჭვივის 1812 და 1819—1820 წლების აჯანყებათა შეფასებაში.

XIX საუკუნის საქართველოს ოცწლეულის მასობრივ აჯანყებებს ვრცელი მეცნიერული ნარკვევი უძღვნა პროფესორმა ა. კიკვიძემ, რომელმაც ამ დროის რთული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების დამაჯერებელი ახსნა მოგვცა. ა. კიკვიძის გამოკვლევებმა დიდად შეუწყო ხელი XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან გააზრებას. მაგრამ ა. კიკვიძის ზოგიერთი მოსაზრება, კერძოდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმოცენებისა და მისი მამოძრავებელი ძალების მისებური გაგება ჩვენ სადავოდ მიგვაჩია. პროფ. ა. კიკვიძე აღნიშნავს:

„მთიელთა აჯანყება იყო პირველი დიდი ბრძოლა, რომელიც კოლონიური ჩაგვრის ნიადაგზე საქართველოში გლეხთა სტიქიურ აჯანყებად განვითარდა. აჯანყებული გლეხები თავდავიწყებით იბრძოდნენ ნაციონალური თავისუფლებისათვის,

---

[1] იხ. ფ. მახარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27—29.

[2] გ. ხაჭაპურიძე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოს მე-19 საუკუნეში, 1933.

[3] გ. ხაჭაპურიძე, შრომები, II, 1958, გვ. 68.

რომლითაც ისარგებლეს ტახტის მაძიებელმა ბატონიშვილებმა და დაძრეს უკმაყოფილო თავადაზნაურული წრეები გლეხებთან შესაერთებლად, მაგრამ შეუძლებელი იყო ეს შეერთებული ბრძოლა... რადგან თავადაზნაურობის ამ ნაწილის ბრძოლა იქ იწყებოდა, სადაც გლეხთა ბრძოლა თავდებოდა... ფეოდალურ ნაციონალიზმს, როგორც სუსტ პოლიტიკურ მოძრაობას, არ შეეძლო არა თუ ხალხის ფართო მასები შემოეკრიბა, მას არ შეეძლო თვით თავადაზნაურული მასის გაერთიანება"[1].

შემდეგ: „გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს თავისებურ ადგილს იჭერს საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიაში. ეს იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა, უმძაფრესი პროტესტი, ხალხის შეტევები ცარიზმის სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიის წინააღმდეგ, რომლის კოლონიური ზომებისაგან იძარცვებოდა მოსახლეობა... გლეხობა ერთსა და იმავე დროს ებრძოდა როგორც კაპიტან-ისპრავნიკებს, ისე თავადაზნაურობას. უმწეო იყო ის ამ ბრძოლაში, მიუხედავად მისი სიმართლისა; მიუხედავად მისი გმირობისა"[2].

„იმერეთის აჯანყება, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა, წარმოიქმნა მეფის რუსეთის ახალი კოლონიური ზომების საფუძველზე, რაც საეკლესიო რეფორმაში გამოიხატა"[3].

დღემდე არსებულ ყველა ნარკვევში, რომლებიც ეხება გლეხთა აჯანყებებს XIX საუკუნის საქართველოში (პროფ. გ. ხაჭაპურიძე, ნ. მახარაძე, ო. მარკოვა) ნაჩვენებია გლეხთა მოძრაობის მხოლოდ ანტიფეოდალური ხასიათი და უგულებელყოფილია ამ მოძრაობის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათი.

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა (XIX ს. პირველ მეოთხედში), რომელიც ამ დროს გლეხთა აჯანყებად ვლინდებოდა, ყველგან სტიქიურ ხასიათს ატარებ-

---

[1] ა. კიკვიძე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა, დისერტაცია. მისივე: საქართველოს ისტორია XIX საუკუნეში. გვ. 60—61

[2] იქვე, გვ. 89.

[3] იქვე, გვ. 118.

და... ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გლეხობა დახმარებისათვის თავის კლასობრივ მტრებს — თავადებსა და აზნაურებს მიმართავდა, მაგრამ, ჩქარა რწმუნდებოდა რა იმაში, რომ თავადაზნაურობის ინტერესები მტრული იყო მისდამი, მკაცრად ილაშქრებდა თავადაზნაურობის წინააღმდეგ...[1] მხოლოდ გლეხთა მოძრაობა შეიძლება ყოფილიყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა"[2].

XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას საწინააღმდეგო შეფასება მისცა პროფ. ნ. ბერძენიშვილმა 1955 წელს ა. კიკვიძის სადოქტორო დისერტაციის რეცენზიაში.

პროფ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში თავადაზნაურობის ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ არ იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი, ეს იყო „ნაციონალურ-რეაქციული" მოძრაობა[3]. ასევე XIX საუკუნის პირველი ნახევრის, უფრო ზედმიწევნით — პირველი მეოთხედის საქართველოს გლეხთა გამოსვლები მეტად მცირედ შეიცავდა ისეთ მომენტებს, რაც მათ დაუპირისპირებდა მებატონეებს. არსებითად ეს იყო ფეოდალური საქართველოს გლეხთა ამბოხებანი იმ ახალი, უფრო მოწინავე წყობილების წინააღმდეგ, რომელიც ჩამორჩენილ ქვეყანაში უცხო ხელით (და სასჯელის სახით) შემოდიოდა.

„ეროვნულ-გამათავისუფლებელს ეს მოძრაობა არ გულისხმობდა და სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ „გლეხთა აჯანყებას" იდეურად და ფიზიკურად იგივე თავადაზნაურობა ხელმძღვანელობდა"[4].

ამრიგად, ნ. ბერძენიშვილის აზრით, XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მოძრაობანი რესტავრატორული და რეაქციული იყო[5].

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია XIX საუკუნეში, გვ. 119.

[2] იქვე, გვ. 118.

[3] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა XIX საუკუნეში (რეცენზია). იხ. ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, 1955, გვ. 469.

[4] იქვე, გვ. 471.

[5] იხ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. 2, გვ. 244—292 (ადრე ნ. ბერძენიშვილს ქართველი თავადაზნაურების მოძ-

ჩვენ მიერ განხილულ მოძრაობათა შესახებ საბჭოურ ისტორიოგრაფიას სპეციალური მონოგრაფიული ნაშრომიც გააჩნია. 1951 წელს ქართლის მთიანეთის აჯანყებას მეცნიერული ნარკვევი უძღვნა აწ განსვენებულმა ისტორიკოსმა ვ. ტოგონიძემ[1]. მკვლევარმა ფართო ფონზე გაშალა მთიულეთის მოძრაობა. გაარკვია აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XIX საუკუნის დამდეგს, მოიხილა გლეხთა მდგომარეობა XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე და დაწვრილებით აღწერა აჯანყების აღმოცენების, მსვლელობის, დამარცხების პროცესი, მოახდინა მისი პერიოდიზაცია, მოგვცა გამოსვლის შეფასება. ვ. ტოგონიძის აზრით, „1804 წლის აჯანყებას შეიძლება წმინდა გლეხური აჯანყება ვუწოდოთ, რამდენადაც ეს აჯანყება მიმართული იყო არა მარტო ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის, არამედ ადგილობრივ ფეოდალთა მძლავრობის წინააღმდეგ“[2].

კახეთის 1812 წლის აჯანყების შესახებ ფუნდამენტალური მონოგრაფიული გამოკვლევა დაწერა რუსმა მეცნიერმა პროფ. ო. პ. მარკოვამ[3]. მონოგრაფიაში დაწვრილებითაა გაანალიზებული საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე, აჯანყების აღმოცენების მიზეზები, მისი განვითარების ეტაპები, აჯანყებაში თავადაზნაურობის მონაწილეობის მიზეზები, ირან-თურქეთის და ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების დამოკიდებულება საქართველოს საკითხისადმი 1800—1812 წლებში და სხვ. დიდძალი საარქივო მასალის, რუსული და უცხოური წყაროების ლიტერატურის ბაზაზე დაწერილი ეს მონოგრაფია ერთ-ერთი ფუნდამენტალური ნაშრომია XIX საუკუნის პირველი ათწლეულის საქა-

---

რაობაზე, კერძოდ, სოლომონ მეორის ბრძოლაზე, იმერეთის გლეხთა აჯანყებაზე საპირისპირო მოსაზრება აქვს გამოთქმული). ნ. ბერძენიშვილის ზემომოყვანილ მოსაზრებებს არ ემთხვევა აგრეთვე XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოძრაობათა ის შეფასება, რომელიც მის მიერ 1949 წ. დაწერილ ნარკვევში „საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში“ არის წარმოდგენილი.

1 ვ. ტ ო გ ო ნ ი ძ ე, ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.), 1951.

2 იქვე, გვ. 141.

3 О. П. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г., 1957.

რთველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, საგარეო ურთიერთობის, საქართველოში ცარიზმის კოლონიური რეჟიმის ხასიათის გარკვევას რომ ისახავს მიზნად.

პროფ. მარკოვას აზრით, „კახეთის 1812 წლის აჯანყება მატარებელი იყო ორგვარი ხასიათისა. რუსი სამოქალაქო და სამხედრო მოხელეების ჩაგვრისა და თვითნებობის წინააღმდეგ და საკუთარ მემამულეთა შევიწროების წინააღმდეგ მებრძოლი მასების პროგრესულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ძველი პრივილეგიების აღდგენისათვის, ფეოდალური საქართველოს აღდგენისათვის ფეოდალთა რეაქციულ ბრძოლასთან იყო გადახლართული“[1]. მარკოვას მიაჩნია, რომ ქართველი თავადაზნაურობის ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ ნიშნავდა ორიენტაციის ერეკლესეულ გადაწყვეტაზე ხელაღებას და გარემომცველ მუსლიმანურ სამყაროსთან დაკავშირებას, რაც, ცხადია, თავისი შინაარსით რეაქციული იყო. ამასთან, ქართველობის ანტირუსული მოძრაობა იმ პერიოდში, როცა რუსეთი ნაპოლეონის ჯარების წინააღმდეგ დიდ გამათავისუფლებელ ომს ეწეოდა, ნიშნავდა მტრული ძალებისადმი გამოსარჩლებას, რაც აგრეთვე თავისი შედეგებით რეაქციული იყო.

1942 წელს ნ. ბ. მახარაძემ გამოაქვეყნა მონოგრაფიული შრომა „იმერეთის 1819—1820 წლების აჯანყების შესახებ“[2]. ეს ვრცელი მეცნიერულად გამართული ნარკვევი ჯერჯერობით ერთადერთი, სპეციალური გამოკვლევაა, რომელიც ამ მოძრაობის დეტალურ განხილვასა და შეფასებას იძლევა. ნ. მახარაძის აზრით, 1819—1920 წლების აჯანყება უპირატესად გლეხური იყო. გლეხობა ამ აჯანყებაში გამოდიოდა, ერთი მხრივ, ფეოდალური ჩაგვრისა და მისი გაძლიერების წინააღმდეგ და ამით საშიშროების წინაშე აყენებდა ფეოდალურ-მემამულურ წყობილებას იმერეთში, მეორე მხრივ, გლეხობა პროტესტს გამოთქვამდა იმ სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმისა და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელიც აქ რუსეთის ცარიზმმა

---

1 О. П. Маркова, დასახ. ნაშრომი, გვ. 314.

2 Материалы по истории Грузии и Кавказа, III выпуск, Восстание в Имеретии 1819—1820 гг., 1942.

დაამკვიდრა[1]. რაც შეეხება უმაღლეს თავადაზნაურობას, მისი ნაწილი, ნ. მახარაძის აზრით, თავიდანვე აღმოჩნდა რუსეთის ცარიზმის მხარეზე, ხოლო მეორე ნაწილი თავადაზნაურობისა, რომელიც აჯანყებაში მონაწილეობდა, უუნარო იყო შეემჭიდროებინა მასები, რადგან უგულებელყოფდა გლეხთა ინტერესებს და გამოდიოდა ფეოდალური წყობილების დრომოჭმული ფორმების დასაცავად. ეს თავადაზნაურობა იმერეთის რეაქციული სამღვდელოების გარშემო იყო შემოკრებილი და იმერეთის მეფობის აღდგენის მოთხოვნით ისაზღვრებოდა. ეს თავადაზნაურობა გლეხთა მასების სიმპათიითა და მხარდაჭერით ვერ ისარგებლებდა, რადგან იგი „ფეოდალური ნაციონალიზმის“ ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი[2].

იმერეთის აჯანყების შესახებ მოგვითხრობს პროფ. მ. დუმბაძე თავის ერცელ მონოგრაფიულ ნარკვევში „დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“. მკვლევარს მიაჩნია, რომ ამ „მოძრაობის დასაწყისში მოწინააღმდეგე კლასები ერთიანდებოდნენ კანონიერი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ თანაბრად არ მოსწონდათ უცხო რეჟიმი. უკმაყოფილო თავადაზნაურობას სურდა აღედგინა ძველი ფეოდალური დაშლილობის სისტემა, რომელიც რუსეთის ცენტრალიზებულმა მმართველობამ მოსპო, გლეხები კი არა მარტო უცხოურ რეჟიმს, არამედ სოციალურ ჩაგვრასაც უცხადებდნენ პროტესტს, ამიტომ ფეოდალებს გლეხებისაც ეშინოდათ. მათი გაერთიანებაც დროებითი და წინააღმდეგობით აღსავსე იყო. მოძრაობის განვითარების პროცესში მერყეევი ფეოდალები ცარიზმის ბანაკში გადადიოდნენ. აღნიშნული აჯანყება, მიუხედავად მასში მონაწილე ფეოდალთა რეაქციული მიზნებისა, წარმოადგენდა ძლიერ პროტესტს ცარიზმის დამპყრობლურ-კოლონიური პოლიტიკის და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ[3].

XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის მასობრივი მოძრაობის ისტორიოგრაფიულ მონაპოვარს თუ შევაჯამებთ, გან-

---

1 ნ. მახარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 123.

2 იქვე.

3 მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 1957, გვ. 233—236.

სხვაებული თვალსაზრისები ასეთნაირად დალაგდება: ზოგ ავტორს ეს აჯანყებანი ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობად მიაჩნია, ზოგს, პირიქით, რესტავრატორულ და რეაქციულ მოძრაობად ესახება. ავტორთა ერთი ჯგუფი ვარაუდობს, რომ ეს იყო წმინდა გლეხური აჯანყებანი მიმართული ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ და გლეხთა სტიქიურ აღშფოთებას გამოხატავდნენ. ავტორთა მეორე ჯგუფი კი ამტკიცებს, რომ აჯანყება მიმართული იყო ორმაგი — კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, ხოლო თავადაზნაურულ-ნაციონალური მოძრაობა მასთან დროებით და შემთხვევით მიკედლებულ მერყევ რეაქციულ ძალას წარმოადგენდაო.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა განსაზღვრული ეპოქის სპეციფიკურ ნიშან-თვისებათა შემცველი მოძრაობაა. ეს მოძრაობა ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევისა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების ეტაპზე წარმოიქმნება. მოძრაობის მესვეური ახლად ფორმირებული ბურჟუაზიაა, რომელიც ყველაზე მეტადაა დაინტერესებული სუვერენული სახელმწიფოს აღდგენა-ჩამოყალიბებით. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, პირველ რიგში, პოლიტიკური ბრძოლაობაა და ამიტომაც განსაზღვრული პროგრამით მიმდინარეობს. ამასთან, ეს პროგრამა ძველისა და დრომოჭმულის გადალახვას, ეპოქის შესაფერი ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებისათვის ხელშემწყობ პოლიტიკურ დაწესებულებათა შექმნას ითვალისწინებს. ეროვნული მოძრაობა სოციალური მოძრაობაა და იგი ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ, ამ სისტემის დამსხვრევისაკენ, ახალ სოციალურ (ბურჟუაზიულ) ურთიერთობათა გაბატონებისაკენ არის მიმართული.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ეს ნიშან-თვისებანი XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას არ უდგება, ამ მოძრაობათა მონაწილე კლასები ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საპროგრამო დონემდე ჯერ კიდევ ამაღლებული არ არიან.

XIX საუკუნის დამდეგის საქართველოში განუხრელად ბატონობს ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობა. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლების, ლე-

კიანობის, ფეოდალური შინაომების თითქმის პერმანენტული ხასიათის გამო ქვეყნის სასიცოცხლო ძალები დაკნინებულია, კულტურული კერები ჩაფერფლილია. ბურჟუაზიული ურთიერთობის ის ყლორტები, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რომ აღმოცენდნენ და ერის სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნის და კულტურული აღორძინების ნიშნებს იძლეოდნენ. აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შემოსევებისა და ერეკლეს ზოგიერთ უნიჭო მემკვიდრეთა უმოქმედობის ვითარებაში ისევ დაჭკნენ. ?უცხო რეჟიმის იძულებითი დაკანონების ეს წლები, როცა ქვეყანა საომარი მოქმედების გაშლილ ასპარეზს წარმოადგენს, ნორმალური ცხოვრების, მეურნეობის აღორძინების, საწარმოო ძალთა ამოქმედების პირობებს ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს. ამრიგად, არც სოციალური ბაზა და არც კონკრეტული პოლიტიკური ვითარება ეროვნული მოძრაობის გაჩაღებისათვის XIX საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული.

XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის აჯანყებებში, როგორც დავინახეთ, საზოგადოების ძირითადი კლასები: გლეხობა და თავადაზნაურობა მონაწილეობს. მოძრაობის წამომწყები და წამყვანი ძალა გლეხობაა და მოძრაობაც თავისი ხასიათით უპირატესად გლეხური ია. ამასთან, გლეხობა იბრძვის იმ სოციალურ-პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ, რომელმაც იგი უკიდურეს გაბოროტებამდე მიიყვანა. ქართველი გლეხის ისტორიაში ზემომითითებული მოძრაობანი რაღაც ახალსა და უჩვეულოს სრულებით არ წარმოადგენენ. ქართველი გლეხი ყოველთვის ებრძოდა უცხო ძალას, რომელიც მის დამონებას ცდილობდა, ებრძოდა მის უშუალო ბატონს, როცა იგი ექსპლოატაციას აძლიერებდა და ხელყოფდა მის ადამიანურ უფლებებს. შორეულ საუკუნეებში რომ არ ვეძიოთ მაგალითები, საკმარისია გავიხსენოთ XVIII საუკუნე, როცა გლეხთა სოციალური პროტესტის ძლიერი გამოვლინების მრავალი ფაქტი მოგვეპოვება. გლეხთა მოძრაობის სხვადასხვა ფორმა: თავდასხმითი ბრძოლა, ბეგარა-ვალდებულებაზე უარის თქმა, აყრა-გაქცევა და აჯანყება ამ საუკუნეში მრავლად გვხვდება. საკმარისია დავასახელოთ გლეხთა დიდი მასშტაბის მოძრაობა XVIII საუკუნის მიწურულში, გლეხთა გამოსვლები

არაგვის საერისთავოში 1743 წელს, სამეფო გლეხთა მოძრაობა 1785 წელს და მრავალი სხვ.

საქართველოს რუსეთთან შეერთებას ქართველი გლეხი იმედით შეხვდა. იგი ვარაუდობდა, რომ ახალი რეჟიმი მშვიდობას დაამკვიდრებდა, ყიზილბაშ დამპყრობლებს მოაცილებდა ქვეყანას, ლეკიანობას ალაგმავდა და მის თავგასულ მებატონესაც შეზღუდავდა. ქრისტიანული რუსეთი, ძლიერი და ვრცელი ქვეყანა, მის წარმოდგენაში გაჭირვებისაგან მხსნელსა და მფარველ ძალას განასახიერებდა.

მაგრამ გლეხობის იმედები გაცრუვდა. სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი აღმოჩნდა იმის საპირისპირო, რასაც გლეხი მოელოდა. უსირცხვილო და გათამამებული მოხელეობა დიდიდან პატარამდე ქართულ სოფლებს საძარცვავად მოეფინა და ამ ძარცვამ და მასთან დაკავშირებულმა ძალადობამ მასობრივი და აუტანლად მძიმე ხასიათი მიიღო. ახალი რეჟიმის მიერ შემოღებული ბეგარა-გადასახადი დაემატა ყველა იმ ვალდებულებას, რომლებსაც ისინი თავიანთი მებატონის მიმართ იხდიდნენ. ამგვარად, გლეხური ჩაგვრა გაორკეცდა და იმდენად დამძიმდა, რომ აუტანელი გახდა.

1804, 1812, 1819—1820 წლების აჯანყების დოკუმენტებსა და მასალებში არ მოიპოვება ფაქტები, სადაც გლეხობა საქართველოს რუსეთთან თანაცხოვრების წინააღმდეგ გამოდიოდეს. გლეხობა ადგილობრივ რუს მოხელეთა უზნეობას, სიხარბეს, აღვირახსნილობას უჩივის და ცდილობს როგორმე მისი დრტვინვის ხმა შორეულ ხელმწიფეს მიაწვდინოს, რომელიც მის წარმოდგენაში კეთილ და სამართლიან მფარველს განასახიერებს.

აჯანყებული გლეხობა ამასთან არც საკუთარი ბატონის ჩაგვრას ივიწყებს და ყოველგვარ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებს, რომ მას ანგარიში გაუსწოროს. სამივე აჯანყებაში მეტ-ნაკლები სისრულით მოჩანს აჯანყებულ გლეხთა და თავად-აზნაურთა კლასობრივი ანტაგონიზმი. გლეხთა მისწრაფებაა საძულველ მებატონეებთან ანგარიშსწორება, ხოლო თავად-აზნაურთა მისწრაფებაა ჩაახშოს გლეხთა მოძრაობა მთავრობის ჯარების დახმარებით. ზოგიერთი ისტორიკოსი ქართლის მთიანეთის ან კახეთის გლეხობის აჯანყების ანტიბატონ-

ყმურ ხასიათს უარყოფს იმ მოტივით, რომ მთავრობის მიმართ აჯანყებულთა საჩივრებში არაა ფიქსირებული ბატონყმური ჩაგვრის ფაქტები და არაა მითითებული აჯანყების ანტიბატონყმური მიმართულებაო. ჩვენი აზრით, ეს არც იყო მოსალოდნელი. ყველა ამ აჯანყების უშუალო საბაბი რუს მოხელეთა ზომას გადასული უზნეობა ან რუსული მმართველობის საგანგებო ღონისძიებანი იყო. გლეხობა თავის საჩივრებში, რომლის მიზანს აჯანყების გამართლება წარმოადგენდა, ყურადღებას ამახვილებდა რუს მოხელეთა აღვირახსნილობაზე, რუსული მმართველობის ღონისძიებათა გამანადგურებელ შედეგებზე. ამასთან, გლეხთა საჩივრები უმეტეს შემთხვევაში მოძრაობას დროებით მიკედლებულ გაბატონებულ აზნაურთა მიერ იწერებოდა და, ცხადია, მასში ადგილობრივი ფეოდალური ჩაგვრის სიმძიმე გამოხატულებას ვერ პოულობდა.

ეროვნული მოძრაობა, როგორც ვთქვით, პოლიტიკური მოძრაობაა და მას გარკვეული პროგრამული მოთხოვნები გააჩნია. ეროვნულ მოძრაობას წინასწარ იდეური შემზადება სჭირდება. ამ შემზადებაში ხალხის ეროვნული გათვითცნობიერება, მათი ეროვნულ-პოლიტიკური გრძნობების გაღვივება იგულისხმება. ეს მისია ჩვეულებრივ ეროვნულ ინტელიგენციას აკისრია, რომელიც ზემოქმედების ყველა საშუალებას იყენებს მებრძოლი მასების დარაზმვისა და შემართებისათვის. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ქართველი გლეხობის ბრძოლა ორმაგი ჩაგვრის წინააღმდეგ და, პირველ რიგში, რუსული მმართველობის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ არ ყოფილა ასე შემზადებული, რადგან ჯერ კიდევ არ აღმოცენებულიყო ეს შემამზადებელი ძალები. ეს მოძრაობანი ყოველგვარი წინასწარი პროგრამის გარეშე დაიწყო და ასევე მიმდინარეობდა. საკმარისი იყო რუსულ მმართველობას, მაგალითად, შეეცვალა რომელიმე საძულველი მოხელე ან გაეუქმებინა ეგზეკუცია, ხელი აეღო საეკლესიო მიწების აზომვაზე ან გაეუქმებინა რომელიმე აუტანელი სახელმწიფო ვალდებულება, რომ მოძრაობა დამცხრალიყო. მოძრაობა არ გასცილებია მასში მონაწილე გლეხობის ადგილობრივ შემაწუხებელ გარემოებებს, მას არ მიუღია საერთო-

ეროვნული ტკივილებისათვის მოვლის, ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ხასიათი.

გლეხობა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი ძალა იყო ყოველთვის, მაგრამ ამ მოძრაობის შემოქმედად და მესვეურად იგი არასდროს გამოსულა. გლეხობის ბრძოლა ფეოდალიზმის ეპოქაში სოციალურ სფეროს არ ცილდებოდა. გლეხთა ანტიფეოდალურ განწყობილებას, მის სოციალურ პროტესტს ეროვნული არსით, ჩვეულებრივ, ბურჟუაზიული ინტელიგენცია წარმართავდა ხოლმე. ასე იყო უველგან, სადაც კი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა მიმდინარეობდა. ასე უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც, ამ მოძრაობას რომ ეროვნული ხასიათი მისცემოდა. მოძრაობის გამღვივებელი, მაპროგრამებელი, წარმმართველი ძალები კი, როგორც აღვნიშნეთ, მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ახლა გავარკვიოთ: რა როლს ასრულებდა მაინც ქართველი თავადაზნაურობის ის ჯგუფი, რომელიც ამ მოძრაობებს მიეკედლებოდა და მის სათავეში მოქცევას ცდილობდა?

ზევით, 1802 წლის შეთქმულების განხილვისას, ჩვენ უკვე განვსაზღვრეთ ქართველი თავადობის პოზიცია რუსული მმართველობისადმი და ანტირეჟიმული მოძრაობის გამომწვევი მიზეზები. XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის მასობრივ აჯანყებებში თავადაზნაურობის იგივე ჯგუფი მონაწილეობდა. ცარისტული რეჟიმით უკმაყოფილო თავადთა ჯგუფს 1802 წლის შეთქმულების დამარცხების შემდეგაც არ დაუკარგავს იმედი. პირველი გამოსვლის წარუმატებლობას იგი იმით ხსნიდა, რომ ქართველი გლეხი ვერ ჩაითრია მოძრაობაში. ახლა, როცა გლეხობა მასობრივად აღდგა და ამასთან, რუსეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა ჩაიკეტა, თავადაზნაურობის ამ ჯგუფმა თავისი პრივილეგიების აღდგენისათვის მომენტს უველაზე ხელსაყრელად წარმოიდგინა და, ჩაება რა მოძრაობაში, მისი საკუთარი მიზნების განხორციელების გზით წარმართვა განიზრახა. ასევე მოხდა 1812 წლის კახეთის აჯანყების დროსაც, როდესაც განსაკუთრებით მაცდუნებელი აღმოჩნდა საქართველოს ტერიტორიაზე ალექსანდრე ბატონიშვილის გამოჩენა, და 1819—1820 წლებში, როდესაც იმერეთის თავადაზნაურობის ნაწილმა გამოხატა იგივე მისწრაფებანი, რითაც

ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა სულდგმულობდა 1804 და 1812 წლებში.

რუსეთის მმართველობის მიერ შემოღებული რეჟიმისადმი მტრობა და სიძულვილი აპირობებდა ორი მოწინააღმდეგე, ანტაგონისტურად დაპირისპირებული კლასის (თავადაზნაურობისა და გლეხობის) ერთობლივ ბრძოლას XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის მასობრივ გამოსვლებში. მათი გზა საერთო იყო მხოლოდ ამ მიმართულებით. ამასთან, თავადაზნაურობა, ისტორიულად ქვეყნის მტრული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის მესვეური, ამჟამადაც ხელმძღვანელობას იჩემებდა.

მაგრამ გლეხობის ბრძოლას ძირითადად სოციალური შინაარსი განსაზღვრავდა და იგი ებრძოდა თავის მჩაგვრელ-ექსპლოატატორს მოსული იქნებოდა იგი თუ ადგილობრივი. ქართლის მთიანეთის აჯანყების დროს ქსნის და არაგვის ერისთავთა ხელქვეითი გლეხები ქართველები და ოსები ანგარიშს საველი უწესრიგოდ და განუკითხავად მიაქვთ![2].

ერისთავები კი დახმარებისათვის ციციანოვს მიმართავდნენ. გაგულისებული ციციანოვი მიხეილ ერისთავს სწერდა: „ოთხი ათასი კომლი გლეხის პატრონს ვერ მოგიხერხებიათ ერთი თქვენი კუთვნილი სოფელი დაამშვიდოთ. რატომ გგონიათ მთავრობა მოვალეა ყველა მემამულის ხალხი აწუნაროს, რომელიც პირველ რიგში იმიტომ ჯანყდება, რომ მისი შემოსავალი უწესრიგოდ და განუკითხავად მიაქვთ![2].

კახეთის აჯანყებაში მონაწილე თავადების დიდი ნაწილი ტოვებდა აჯანყებულთა რიგებს და მთავრობის მხარეზე გადადიოდა იმის შიშით, რომ გლეხობა მის საკუთრებას და ძალაუფლებას ემუქრებოდა. ხომ ცნობილია, როგორ აქტიურად ამოუდგნენ გვერდში პაულიჩს და რტიშჩევს კახეთისა და ქართლის მსხვილი თავადები, რომლებიც ამ აჯანყებაში კლასობრივი ინსტინქტით თავიანთი ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას ხედავდნენ.

მოძრაობის სოციალური ხასიათი ყველაზე ხელშესახებად მაინც 1819—1920 წლების იმერეთის მოძრაობაში გამოვლინ-

---

[1] Акты, т. II, стр. 326, 335.

[2] იქვე, გვ. 335.

და. იმერელი სახაზინო და საბატონო გლეხები აჯანყების პროცესში აშკარად აცხადებდნენ უარს სახელმწიფო და ფეოდალურ ვალდებულებებზე, ფიცს დებდნენ „არ დამორჩილებოდნენ თავიანთ მებატონეს“[1]. გლეხთა მოძრაობის ანტიბატონყმური ხასიათი შეიძჩნეოდა 1819 წელსაც კი, როცა გლეხობა და თავადაზნაურობა ერთად გამოდიოდნენ. მაგალითად, რაჭაში აჯანყებულთა 500-კაციანმა რაზმმა აიკლო აზნაურიშვილის სახლ-კარი. 1820 წელს კი აჯანყებამ გამოკვეთილი ანტიბატონყმური ხასიათი მიიღო, რაზედაც მთავრობის ოფიციალურ დასმენებშიცაა ლაპარაკი[2].

შემთხვევითი როდია, რომ იმერეთის აჯანყების მეორე საფეხურზე მასში მონაწილე თავადაზნაურობის უმრავლესობა მთავრობის მხარეზე გადავიდა და აქტიურად ეხმარებოდა აჯანყების ჩახშობაში. ასეთ შემობრუნებას თავადაზნაურობას, ცხადია, კლასობრივი ინსტინქტი უკარნახებდა.

ზემომოტანილი ფაქტიური მასალა იმაზე მეტყველებს, რომ ანტაგონისტურად დაპირისპირებული კლასების გზა აჯანყების გადამწყვეტ ეტაპზე ყოველთვის იყრებოდა. გლეხობა თავისი გზით მიდიოდა, თავადობას გლეხობისაგან არსებითად განსხვავებული მიზნები ამოძრავებდა და ერთობლივი მოქმედება გამორიცხული ჩანდა. ეს კლასობრივი ანტაგონიზმი, ინტერესთა წინააღმდეგობა მთავრობის საუკეთესო დამხმარე საშუალება იყო აჯანყებულთა ძალების გათიშვისა და მათი ცალ-ცალკე ლიკვიდაციისათვის.

ქართველი ფეოდალები, საქართველოში რუსეთის ცარიზმის მიერ დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ რომ იბრძოდნენ, არასოდეს მისულან რუსეთის მფარველობის ქვეშ ცხოვრების უარყოფამდე. უმართებულოა ზოგიერთი მკვლევარის აზრი იმის შესახებ, რომ ქართველი ფეოდალების ბრძოლა სამეფო ხელისუფლების აღსადგენად, ეს იყო ბრძოლა, საერთოდ, რუსეთის წინააღმდეგ, ბრძოლა რუსული ორიენტაციის წინააღმდეგ და შერიგება გარემომცველ მუსლიმანურ სამყაროს-

---

1 ა. მათიაშვილი, საბატონო გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX ს. 20—30-იან წლებში, საკანდიდატო დისერტაცია, 1964, გვ. 456.

2 Акты, т. VI, стр. 560.

თან[1]. გამოქვეყნებული აქტების და საარქივო დოკუმენტების გაცნობა ამგვარი დასკვნის უფლებას არ იძლევა.

ავიღოთ თუნდაც ქართველი ბატონიშვილების — იულონის, ფარნაოზის, დავითის, ვახტანგის და სხვ. წერილები მთავარმართებელის ან რუსეთის იმპერატორის სახელზე. ეს წერილები რუსეთის სამეფო კარისადმი კეთილი განწყობილებითაა გამსჭვალული. არსად სიტყვაც არაა ნახსენები რუსეთის მფარველობიდან გამოსვლის განზრახვის მიზანშეწონილობაზე. პირიქით, რუსეთის მფარველობა და მისი დამაკანონებელი ტრაქტატი აღიარებულია წმიდათა წმიდა აქტად, რომელსაც განუხრელად იცავენ ერეკლეს მემკვიდრენი. თვით ალექსანდრე ბატონიშვილსაც კი, რომელიც ზოგიერთი მკვლევარის ნაშრომში ირანული ორიენტაციის მიმდევრად და საქართველოს დაუძინებელ მტრადაა აღიარებული, 1783 წლის ტრაქტატი დადებით აქტად მიაჩნდა და იგი მთელ თავის დაუცხრომელ, მშფოთვარე ცხოვრებას ამ ტრაქტატის აღდგენას სწირავდა. 1802 წელს აჯანყების მონაწილე კახელ თავადთა წერილებში ცხადად ჩანს რუსეთთან თანაცხოვრების აუცილებლობის შეგნება და მფარველობითი ტრაქტატის მუხლებით გათვალისწინებული ურთიერთობის აღდგენის სურვილი. ქართველ თავადაზნაურობას ამ პოზიციიდან არც 1804, 1812 და 1819—1820 წლების გამოსვლებში გადაუხვევია.

კახეთის 1812 წლის აჯანყების მასალებში, რომელთაგან ნაწილი „აქტებშია“ გამოქვეყნებული, დიდი ნაწილი კი მოსკოვის სამხედრო-ისტორიულ არქივში ინახება, ვრცლადაა გადმოცემული გარემოებანი, რამაც მოსახლეობა, მათ შორის გაბატონებული წოდება, აჯანყებამდე მიიყვანა. თავადობა, რომელიც ამ წერილებს ხელს აწერს, უჩივის მანიფესტის შეუსრულებლობას და ყველაფერს რუსეთის ადგილობრივ მმართველობას, განსაკუთრებით, სამაზრო მოხელეობას აბრალებს.

ამრიგად, ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკური ორიენტაცია საქართველოში რუსეთის მმართველობის შემოღების შემდეგაც არ შეცვლილა. ისე როგორც ერეკლე და მისი დასი

---

1 ასეთ თვალსაზრისს ავითარებს, მაგალითად, ო. პ. მარკოვა თავის მონოგრაფიაში. იხ. О. П. Маркова, Восстание в Кахетии 1812 г.

XVIII საუკუნეში, ერეკლეს მემკვიდრენი და ქართველი თავადობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულშიც კარგად აფასებდნენ პოლიტიკურ სიტუაციას და დარწმუნებული იყვნენ, რომ საქართველოს ფიზიკური გადარჩენის, მისი გამოხსნისა და აღდგენის გზა მხოლოდ რუსეთზე გადიოდა. ამ თვალსაზრისს ვერ უნდა არღვევდეს აჯანყებულთა მიერ ახალციხის ფაშასთან ან ერევნის ხანთან გამართული მიმოწერა და ალექსანდრე ბატონიშვილისა და აბას-მირზას შეთანხმება თუ სხვა ფაქტები. ყველა ეს, ისე როგორც ლეკები, ბატონიშვილებს და ქართველ თავადობას მხოლოდ დროებით დამხმარე ძალად ესახებოდათ.

ანტირეჟიმულად განწყობილ ქართველ ფეოდალთა გულისნადები ნათლად მჟღავნდებოდა სათხოვართა იმ პუნქტებში, რომლებიც ფეოდალთა ერთმა ჯგუფმა 1806 წელს ცნობილი გენერლის პეტრე ბაგრატიონის პასუხად ჩამოაყალიბა.

ციციანოვის მოკვლის შემდეგ პეტერბურგში არჩევდნენ საქართველოში გამოსაგზავნ კანდიდატს. როგორც ჩანს, ასეთი სურვილი ქართველ ბაგრატიონთა გვარის შთამომავალს, რუსეთის არმიის სახელგანთქმულ გენერალს პეტრე ბაგრატიონსაც დაბადებია, ბაგრატიონი ალბათ ინფორმირებული იყო ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა დიდი ნაწილის ფრონდისტული განწყობილების შესახებ. მას გადაუწყვეტია უშუალოდ გაცნობოდა ამ პრეტენზიებს და საქართველოში გამომგზავრების შემთხვევაში წინასწარ მიეღო ზოგიერთი ღონისძიება განაწყენებულ თანამემამულეთა გულის მოსაგებად. პ. ბაგრატიონს საქართველოში თავისი ძმა ლეიბჰუსართა პოლკის პორუჩიკი რომანი გამოუგზავნია და მისთვის გამოუტანებია წერილები ქართველ წარჩინებულ თავადებთან.

რომანის ჩამოსვლას და პეტრეს წერილების გაცნობას ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა შეუჩოჩქოლებია. სწორედ იმ ხანებში თბილისში სათავადაზნაურო წინამძღოლის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. ქალაქში შეკრებილი იყვნენ ქართლ-კახეთის წარჩინებული წოდების წარმომადგენლები. პეტრეს წერილის საპასუხოდ ცარისტული რეჟიმით უკმაყოფილო თავადების ჯგუფს საიდუმლო თათბირი წამოუწყია. როგორც ჩანს, თათბირი ამ რეჟიმის ერთგული თავადობისაგან განცალ-

კევებით მიმდინარეობდა. ცარისტული რეჟიმის ერთგული თავადობა განაწყენებულა და უკმაყოფილება და შეხლა-შემოხლა იქამდე მისულა, რომ კინაღამ სისხლისღვრა დაწყებულა. ანტირეჟიმული მიმართულების თავადობას თავისი პრეტენზიები 11 მუხლად ჩამოუყალიბებია. მოთხოვნებში ნათქვამია, რომ ალდგეს ქართული სამართალი, ძალაში დარჩეს მოურავობა და გაუქმდეს კაპიტან-ისპრავნიკობა, საბატონო გლეხები არ გაუთანასწორონ სახაზინო გლეხებს, მოისპოს ქართველი თავადაზნაურობისადმი დამამცირებელი დამოკიდებულება და ყოველმხრივ გაათანასწორონ რუსეთის თავადაზნაურობასთან, გაათავისუფლონ 1804 წლის ამბოხების გამო დაპატიმრებულნი[1] და სხვ.

ამ მოთხოვნებში, რომლებიც მთავრობისაგან ფარულადაა შედგენილი და ქართველ კაცს ეგზავნება საიდუმლოდ პეტერბურგში, ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი რუსეთთან თანაცხოვრების შეუწყნარებლობაზე. პირიქით, ქართველი თავადაზნაურობა ტახტისადმი ერთგულების დემონსტრაციას ახდენს და ერთგულების საფასურად რუსეთის წარჩინებულ წოდებასთან უფლებებით და ღირსებით გათანასწორებას მოითხოვს.

არც ერთი ქართველი ბატონიშვილი, არც ერთი ქართველი თავადი ირან-ოსმალურ სამყაროს გარემოცვასა და მორჩილებაში ქვეყნის დაბრუნებას არ დაუშვებდა, რადგან ისტორიული გამოცდილებით იცოდა, რომ ეს გზა მისი ბატონობის ლიკვიდაციის და მასთან ერთად ერის ფიზიკური გაქრობის გზას წარმოადგენდა. დამახასიათებელია ახალციხის ფაშას მიერ იმერელ თავადთა „ერთგულების“ შეფასება. გენერალ კურნატოვსკის გადმოცემით, ახალციხის ფაშა იმერელ ფეოდალებს ახასიათებდა როგორც უაღრესად ცბიერ და ვერაგ ადამიანებს, რომლებსაც „ახლა არ სურთ რუსეთის მორჩილება და თურქებს ერთგულებას აღუთქვამენ, მაგრამ შემდეგ ძალ-ღონეს არ დაზოგავენ, რომ ისინიც თავიდან მოიცილონ“[2].

„ჩვენ რუსთხელმწიფის მფარველობას ვეძებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა, მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო...

[1] იხ. Акты, т. III, стр. 12.

[2] იქვე, ტ. I, გვ. 568.

რაც ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტით ნაბრძანები იყო, თქვენგნით არ შესრულდა". იმედგაცრუების გამო ასეთი გულისწყრომა წითელი ზოლივით გასდევს ყველა დოკუმენტს.

ქართველი თავადაზნაურობის ცდა, შეემსუბუქებინათ ცარიზმის კოლონიური უღლის სიმძიმე, ვასალურ მდგომარეობაში გადაეყვანათ ანექსირებული ქვეყანა, აღეკვეთათ ხალხისათვის თავზემოხვეული უცხო სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი და აღედგინათ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული დამოკიდებულება, უეჭველია თავისთავად პროგრესული იყო. მაგრამ აჯანყების მონაწილე ქართველი თავადაზნაურობა, როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. ნ. ბერძენიშვილი, ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესული იდეის გამტარებლად არ გამოდგებოდა. ის, როგორც კლასი, დიდი ხანია პატრიოტულ-პროგრესული აღარ იყო. ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესულ იდეაში ქართველი თავადები რეაქციულ შინაარსს, თავადურ-ვასალური წყობილების შენარჩუნების იდეას ეძებდნენ, რაც ქართველთა ფართო საზოგადოებრიობისათვის სრულიად მიუღებელი იყო.

სოციალური კონსერვატიზმი, ე. ი. ძველი, დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის ხელუხლებლობა იყო თავადური მოძრაობის რეაქციული მხარე. აქ იყრებოდა გლეხობისა და თავადაზნაურობის გზები, აქ იჩენდა თავს მათი კლასობრივი ანტაგონიზმი. ეს თიშავდა, აჩიავებდა, ანაწევრებდა ეროვნული თვალსაზრისით უსათუოდ პროგრესულ მოძრაობას და უადვილებდა რუსეთის ცარიზმს მის დამარცხებას. ისე კი, ქართველი თავადაზნაურობის ბრძოლა სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმის აღკვეთისა და ტრაქტატით გათვალისწინებული დამოკიდებულების აღდგენისათვის სავსებით რეალური და პერსპექტივიანი იყო. ყველაფერი მებრძოლი ძალების სიმტკიცესა და შეუპოვრობაზე იყო დამოკიდებული. ცნობილია, რომ სწორედ იმ პერიოდში, როცა საქართველო ასე შფოთავდა, ცარიზმმა იარაღით დაიპყრო ფინეთი, მაგრამ ფინელ ხალხს სეიმი და კონსტიტუცია მისცა. 1814 წელს ცარიზმი დაეუფლა ვარშავის საჰერცოგოს და პოლონელ ხალხს საზეიმოდ აღუთქვა ეროვნული შინაგანი მმართველობის ხელუხ-

ლებლობა, კონსტიტუციის დაცვა. რა თქმა უნდა, ცარიზმი დაპყრობილი ხალხის მიმართ ასეთ ფერებას არ იყო მიჩვეული და იმ დროს, როცა იმპერიაში სიტყვა კონსტიტუციის ხმარებაც კი დანაშაულად ითვლებოდა, ცარიზმი მოწყალების გრძნობის მოჭარბების გამო როდი არიგებდა მას დაპყრობილ ხალხებზე. ცარიზმს ეშინოდა, ჯერ ერთი, იმისა, რომ ევროპის ცენტრში მდებარე კონსტიტუციურ ევროპულ სახელმწიფოებთან უშუალოდ მომიჯნავე პოლონეთისა და ფინეთისათვის ისევე აეყარა პოლიტიკურ-ეროვნული უფლებანი, როგორც ამას აზიაში — ახლო აღმოსავლეთის ასპარეზზე აკეთებდა; მეორეც, ცარიზმი ანგარიშს უწევდა იმ ეროვნულ-პროგრესულ ძალებს, რომლებიც ევროპაში აზვირთებული დემოკრატიული მოძრაობის ვითარებაში პოლონეთსა და ფინეთში მომძლავრებულიყვნენ და ეროვნული ძალების კონსოლიდაციას ეწეოდნენ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღსადგენად. ამიტომ ცარიზმს ყოველთვის ფხიზლად ეჭირა თვალი პოლონეთსა და ფინეთზე, მაგრამ, როცა თავს ძლიერად გრძნობდა, შეუპოვრად უტევდა მათ შინაგან დამოუკიდებლობას და კონსტიტუცია არარაობამდე დაჰყავდა.

საქართველოს შეერთებისას ცარიზმს არც ერთი, არც მეორე გარემოებისათვის ანგარიშის გაწევა არ დასჭირვებია. საქართველო გარემოცული იყო ფეოდალიზმის დაბალ სტადიაზე მდგომი მუსლიმანური სამთავროებით, სადაც აზიური დესპოტიზმი იყო გამეფებული და კონსტიტუციის ხსენებაც არ არსებობდა. თვით საქართველო, შინაგანად დაუძლურებული და ირანის უკანასკნელი შემოსევისაგან გაჩანაგებული, ერეკლეს უნიჭო მემკვიდრეთა ქიშპობის ვითარებაში თავისი ძალების კონსოლიდაციას ვეღარ ახერხებდა. ამიტომ არ გასჭირვებია ცარიზმს არარაობამდე დაეყვანა ტრაქტატის მუხლები და ქვეყნის ანექსია ქართული საზოგადოებრიობის ანგარიშგაუწევლად და თვითნებურად განეხორციელებინა.

ალექსანდრე პირველს და ცარიზმის უმაღლეს მოხელეებს კნორინგისა და მუსინ-პუშკინის მოხსენებათა საფუძველზე საქართველოზე ისეთი შეხედულება ჰქონდათ, რომ ალბათ არცკი ფიქრობდნენ მათ მიერ შემოღებულ რეჟიმს თუ რაიმე წინააღმდეგობა შეხვდებოდა. მაგრამ იმ მძლავრმა მოძრაო-

ბამ, რომელიც ოკუპაციის დღიდანვე საქართველოში დაიწყო და ყოველწლიურად ძლიერდებოდა, ცარიზმი დააფიქრა და ამ რეჟიმის შესამსუბუქებლად ნაბიჯები უკვე გადაადგმევინა. პირველი ნაბიჯი ასეთი დამთმობლობისა კავკასიის მთავარმართებლად ქართველი კაცის, თავად ციციშვილის დანიშვნა იყო. ალექსანდრე პირველი ვარაუდობდა, რომ ციციშვილი, რომელიც ტატხისადმი ერთგულებაში არაერთგზის ნაცადი იყო, უკეთ გაუგებდა ქართველობას, ოპოზიციურ ძალებთან საერთო ენას გამონახავდა და ამასთან ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილებდა თავმოყვარეობას იმ ქართველი პატრიოტებისა, რომლებიც რუსულ მმართველობაში, კნორინგ-კოვალენსკის აღვირახსნილობაში ეროვნულ შეურაცხყოფას ხედავდნენ.

ციციანოვი ცარიზმის ნება-სურვილის საუკეთესო აღმასრულებელი აღმოჩნდა. იგი, ერთი მხრივ, დაუღალავად ზრუნავდა რუსეთის მფლობელობის გაფართოებაზე, მეორე მხრივ, ოპოზიციური მოძრაობის ლიკვიდაციაზე. ციციანოვს საქართველოში ყოფნა მეტად მშფოთვარე და ხანმოკლე პერიოდში მოუხდა. ვერ ვიტყვით, რომ მას მამა-პაპის ქვეყანა სძულდა და თანდაყოლილ სისასტიკეს თანამოძმე ხალხის ეროვნული გრძნობების დასათრგუნავად იყენებდა. იგივე ციციანოვი ქართლ-კახეთში რუს მოხელეთა ბოროტმოქმედების ალაგმვისათვის, თბილისის მშენებლობისა და სწავლა-განათლებისათვის დიდ მზრუნველობას იჩენდა. ისტორიაში ვარაუდობით მსჯელობა მართალია სახიფათოა, მაგრამ დამაფიქრებელია მაინც ნიჭიერი მკვლევარის ალ. ფრონელის ვარაუდი, რომ გენ. ციციანოვი თ. პოტიომკინის ოცნებას — ამიერკავკასიაში ერთი საქრისტიანო სახელმწიფოს დაარსებას და მის გვირგვინოსნობას შეტრფოდაო[1].

საქართველოში შემოღებული საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქებაზე პეტერბურგში იმ დროს რომ ლაპარაკი წარმოებდა, ეს საეჭვო არაა. ამას ადასტურებს ციციანოვის სახელზე მოწერილი მომართვები — წარადგინოს მოსაზრება საქართველოს მმართველობაში ცვლილებების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ ციციანოვს არ დასცალდა. არც ისაა შემთხვევითი, რომ

[1] ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წელსა, გვ. 75.

ციციანოვის შემდეგ მის მონაცვლედ პეტრე ბაგრატიონი ემზადებოდა. ბაგრატიონი ხომ სამეფო გვარის (იესეს შთამომავალი) პირდაპირი წარმომადგენელი იყო. ქართველი წარჩინებული თავადებისადმი გამოგზავნილი პეტრეს წერილი იმას მოწმობს, რომ იგი წინასწარ ემზადებოდა ქართველ ოპოზიციურ ელემენტებთან კომპრომისისათვის და მათ სათხოვარ პუნქტებს ეცნობოდა, რათა იმპერატორისაგან ზოგიერთი დათმობა მიეღო. „იქნება მეც მოვიდე და თვითონ მე გიჩვენებო საქმის ერთგულებასა და სიყვარულსა“, — სწერდა პეტრე ბაგრატიონი ოთარ ამილახვარს“[1].

მაგრამ ვერც პეტრე ბაგრატიონის სურვილი განხორციელდა. ცარიზმი ვერ შეელია ამ უნიჭიერეს გენერალს, რომელიც დასავლეთის ფრონტზე დიდ საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა.

საქართველოში დაწესებული რეჟიმისადმი პეტერბურგის უმაღლესი წრეების კრიტიკული დამოკიდებულება აბედვინებს დავით ბატონიშვილს გადასახლების ვითარებაშიც იფიქროს ქართული მონარქიის რესტავრაციაზე და ამის შესახებ აღძრას კიდეც საკითხი. მხედველობაში გვაქვს 1812 წლის თარიღით შინაგან საქმეთა მინისტრის ო. პ. კოზიდავლევისადმი დავით ბატონიშვილის მიერ წარდგენილი პროექტი „საქართველოს წყობილების გაუმჯობესების შესახებ“[2]. დავითის ამ

---

[1] დ. გვრიტიშვილი, პეტრე ბაგრატიონის ერთი უცნობი წერილი, საქართველოს მეცნ. აკადემიის მოამბე, 1944, № 7, გვ. 744.

[2] იხ. Две записки царевича Давида о лучшем устройстве Грузии. წიგნში: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვეთი პირველი, გვ. 122—125. კოზიდავლევმა დავითის პროექტი იმპერატორს წარუდგინა. ალექსანდრე პირველის განკარგულებით პროექტი გადაეცა გენერალ-ლეიტენანტ მარკიზ პაულიჩს, რომელსაც დაევალა გამოეთქვა თავისი თვალსაზრისი. მარკიზ პაულიჩი და მისი მოხელენი მტრულად იყვნენ განწყობილნი ქართველი ბატონიშვილებისადმი და დავითის პროექტს იმთავითვე უარყოფითად მოეკიდნენ. იმპერატორისადმი წარდგენილ შენიშვნებში უარყოფილია დავითის ყველა (მათ შორის მრავალი გონივრული) მოსაზრება. პაულიჩის უარყოფითი დასკვნის შემდეგ დავითის პროექტის მსვლელობა შეწყდა. 1817 წელს დავით ბატონიშვილმა მეორედ მიმართა იმპერატორს და ითხოვა საქართველოს აღდგენა იმ უფლებებში, რასაც გიორგი XII სათხოვარი პუნქტები ითვალისწინებდა. და-

პროექტში არსებითად იგივეა განმეორებული, რასაც ქართველი თავადობა ითხოვდა 1802 წელს ან რაც 1806 წელს პეტრე ბაგრატიონისადმი გაგზავნილ წერილშია ჩამოყალიბებული, თუმცა განათლებული ქართველი ბატონიშვილი, ანგარიშს უწევს რა ახალ ეპოქას ევროპისა და რუსეთის ხალხთა ცხოვრებაში, ითვალისწინებს რიგ ღონისძიებებს, რომლებიც საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას აღმავლობის გზით წაიყვანდა.

საქართველოში აზვირთებული ანტირეჟიმული მოძრაობაც მტკიცე და ერთსულოვანი ვერ აღმოჩნდა. ვერ აღმოჩნდა იმდენად მძლავრი და შეკრული, რომ ცარიზმისათვის სერიოზული დათმობები გამოეძალა. ცარიზმი თანდათან მტკიცედ იკიდებდა ფეხს, აფართოებდა პოზიციებს, შინაგან სიმტკიცეს მოკლებული ანტირეჟიმული მოძრაობა კი დაჩიავებას განიცდიდა, რისი მიზეზიც თავადურ იდეოლოგიაში მდგომარეობდა. ქართველი თავადობა განწირული იყო როგორც კლასი და მას პროგრესული მოძრაობის მოთავეობა აღარ შეეძლო.

ასეთი ძალა, ე. ი. ახალი ძალა, ეროვნული ინტელიგენციის სახით ამ დროს მხოლოდ იბადებოდა და ნელ ზრდას განიცდიდა. ეს ძალა პირველად სამოღვაწეო ასპარეზზე ოცდაათიან წლებში გამოვიდა, ამიტომ ამ დროიდან სხვა ხასიათი და მიმართულება მიეცა ანტირეჟიმულ მოძრაობასაც. მან ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი მიიღო.

ვითის ეს სათხოვარი სპეციალურად განუხილავთ მინისტრთა კომიტეტში და დაუდგენიათ, რომ საქართველოს სამეფოს შეერთება რუსეთთან მოხდა საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის სურვილით. დაკით ბატონიშვილს, ისე როგორც სხვა ბატონიშვილებს, ჯერ კიდევ 1804 წელს გამოეცხადათ, რომ ეკრძალებოდათ საქართველოში დაბრუნება, რომ საქართველოს სამეფო სახლი პეტერბურგში უხვადაა დასაჩუქრებული მამულებით და სავსებით უზრუნველყოფილია...

თავი IV

1832 წლის შეთქმულება

XIX საუკუნის პირველი ნახევრის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანს 1832 წლის შეთქმულება წარმოადგენს.

თავად-აზნაურთა ამ გამოსვლამ (დამარცხების მიუხედავად) ქართველი, ეროვნული ინტელიგენციის ცხოვრებაში ღრმა კვალი დატოვა. მან სათავე დაუდო იმ მძლავრ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც XIX საუკუნის 60—70-იანი წლებიდან ქართველი ხალხის იდეური ცხოვრების ნიშანსვეტი გახდა.

შეთქმულებამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე. იდეური დასაბუთება ოცდათორმეტიანელთა მოძრაობას ბარათაშვილმა მისცა.

1. შეთქმულების აღმოცენება, საქმიანობა და პროგრამა

შეთქმულების პირველი ორგანიზაციული ჩანაფიქრი პეტერბურგსა და მოსკოვში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილთა წრეში აღმოცენდა.

ქართველი ბატონიშვილები, მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმმა უზრუნველყო მათი მატერიალური ცხოვრება, ვერა და ვერ შეურიგდნენ სამშობლოდან იძულებით გადასახლებას, მამაპაპური ღირსებისა და მამულების ჩამორთმევას. XIX საუკუნის 20-იან წლებამდე საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისათვის ბრძოლის მეთაური დავით ბატონიშვილი იყო, რომელიც მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს დაძოუკიდებლობის აღსასრულს და რუსეთის დედა-

ქალაქში ცარიზმის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშაც განაგრძობდა ბრძოლას, რათა მშობლიური ქვეყნის ავტონომიური უფლებებისათვის მაინც მიეღწია. ამასთან, საქართველოს მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტებსაც თხზავდა. დავითის ბრძოლას ამ მიმართულებით არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. 1817 წელს მინისტრთა კოლეგიამ სპეციალურად განიხილა დავითის სათხოვარი და უარყო იგი. დავითს ამის შემდეგ საქართველოს ბედით უცხო სახელმწიფოთა დაინტერესება უცდია და მათთან კავშირის გაბმასაც შედგომია; მაგრამ არაკჩეევის მკაცრმა გაფრთხილებამ, რომ ასეთი მოქმედებისათვის შემდგომში სამსახურის დაკარგვა და პეტერბურგიდან გაძევება მოელოდა, დავით ბატონიშვილის ოცნებას სამუდამოდ შეაკვეცა ფრთები და იმსხვერპლა კიდეც. დავითი თავის საქმიანობაში, ცხადია, მარტო არ ყოფილა. მის გარშემო შემოკრებილიყვნენ ერეკლეს მრავალრიცხოვან შვილთა შთამომავლები, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის იდეის მხურვალე თანამგრძნობი და პროპაგანდისტები იყვნენ.

1819 წლიდან, დავით ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ამ იდეალის მოთავენი პეტერბურგში პირველყოვლისა ფარნაოზი, ხოლო შემდეგ დიმიტრი ორბელიანის ძე და მოსკოვში ოქროპირ გიორგის ძე ბაგრატიონები იყვნენ.

ბატონიშვილთა ოჯახები პეტერბურგსა და მოსკოვში მოსწავლე და მოსამსახურე ქართველი ახალგაზრდების თავშესაყარს წარმოადგენდა. პეტერბურგში, მაგალითად, დიმიტრი ბატონიშვილის ბინაზე სისტემატურად იკრიბებოდნენ დიმიტრი, ელიზბარ, ზაქარია ერისთავები; დიმიტრი, ვახტანგ ორბელიანები; ალექსანდრე, ლუარსაბ, ივანე ჩოლოყაშვილები; გაბრიელ მამაცაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვ. სწორედ აქ ხანებშივე ცხოვრობდა ბაგრატ ბატონიშვილთან სოლომონ დოდაშვილი, რომელსაც, გარდა ბაგრატისა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონებთანაც.

საქართველოდან პეტერბურგში სასწავლებლად წასულ ქართველ თავადიშვილებს, რომელთაც მამაპაპეული ოჯახებიდან ჩრდილოეთში გაჰყვათ საქართველოს მონარქიის აღდგენისათვის ბრძოლის რომანტიკული მოგონებანი და მისი

მომავალი ბედისადმი მზრუნველობის მაღალი შეგნება, ბატონიშვილების ოჯახებში შექმნილი ატმოსფერო კიდევ უფრო უღვივებდათ საბრძოლო სულისკვეთებას და სამოქმედოდ განაწყობდათ.

პეტერბურგში მოსახლე ქართველი ბაგრატიონები დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ცენტრში ტრიალებდნენ და იმ დროის მოწინავე იდეებით სულდგმულობდნენ. დაუცხრომელი შემოქმედებითი საქმიანობით იყვნენ დაკავებული „კალმასობის“ ავტორი იოანე ბაგრატიონი და მისი ძმა დავითი, რომელმაც შექმნა „შემოკლებული ფიზიკის სახელმძღვანელო“; პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი ტექნიკაში სიახლეს ეძებდა და თავისი გამოგონებებით ფიზიკის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა; დავით გიორგის ძე ბაგრატიონი, რომელიც მშობლიური ქვეყნის ისტორიის შესანიშნავ წიგნებს ქმნიდა („საქართველოს ისტორია“, „ახალი ისტორია“); თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც ისტორიის დარგში თავისი მნიშვნელოვანი შრომების გამო მსოფლიო მეცნიერული საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილი პიროვნება იყო, და მრავალი სხვა. ეს ადამიანები თვალს უსწორებდნენ არა მარტო მაშინდელი მსოფლიოს მეცნიერულ აზრს, არამედ პოლიტიკურ იდეებსაც და ღრმა ინტერესით მეთვალყურეობდნენ იმ მღელვარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, რომლითაც ევროპა ცხოვრობდა. იმ სამეცნიერო და პოლიტიკურ სჯა-ბაასში, ბატონიშვილების ბინაზე რომ იმართებოდა, აქტიურად მონაწილეობდა პეტერბურგში ჩასული ქართველი ახალგაზრდობა და თავისებურ დასკვნებსაც აკეთებდა.

სწორედ შეთქმულების აღმოცენების წინა პერიოდია აღსავსე განსაკუთრებით მდიდარი იდეურ-პოლიტიკური მოვლენებით. ნაპოლეონის უღლისაგან თავდახსნილ ევროპაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ტალღები ბობოქრობდა. 1820 წელს ევროპის კონტინენტზე ერთდროულად იფეთქა ძლავრმა აჯანყებებმა. ესპანეთის შეუპოვარი საკონსტიტუციო ბრძოლა, იტალიის კარბონართა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, პორტუგალიის დემოკრატიული ძალების გამოსვლები, ღრმაიდეური მოძრაობა გერმანიაში,

პოლონეთის რევოლუციონერთა აქტივობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში — ყველაფერი ეს იმპერიის სატახტო ქალაქში მცხოვრებ მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას საბრძოლო სულისკვეთებას უღვივებდა. განსაკუთრებით შთაბეჭდავი შეიქმნა მათთვის დეკაბრისტების გმირული გამოსვლა სენატის მოედანზე თვით რუსეთში და მათი პირველი შეიარაღებული გაბრძოლება დესპოტიზმის წინააღმდეგ. ბევრ დეკაბრისტ შეთქმულს პირადად იცნობდნენ ქართველი ახალგაზრდები და სავარაუდოა, რომ მათი იდეური თანამოაზრენიც იყვნენ.

ასეთ ვითარებაში, როცა აღმგზნები გარემოებანი ირგვლივ ხშირდებოდა და ძლიერდებოდა, ბატონიშვილების შთამაგონებელ საუბარს ქართველ ახალგაზრდებთან თავისი ნაყოფი უნდა გამოეღო. დავით ჯორჯაძე საგამომძიებლო კომისიისადმი მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავდა, რომ „დიმიტრი ბატონიშვილი ხშირად ესაუბრებოდა მათ თავისუფლების შესახებ. საფრანგეთის, მისი ხალხის თავისუფალი ცხოვრების შესახებ. უხსნიდა მეფის შეზღუდული მონარქიის რაობას, საფრანგეთის ყველა მოქალაქის მონაწილეობის წესს მეფის არჩევებში. ესაუბრებოდა ამბოხებათა შესახებ, რომლებიც საფრანგეთში ხდებოდა. ზოგჯერ მსჯელობდა თავისუფალი ქალაქების მაინც ფრანკფურტისა და კრაკოვის შესახებ, აქებდა ამ ქალაქების ბედნიერ ცხოვრებას“[1].

ყველა ასეთი საუბრის დანიშნულება ერთი იყო: ახალგაზრდობა ევროპული ცხოვრების მაღალი დონითა და სილამაზით მოეხიბლათ. ამას. როგორც ძირითადი თემა, მოსდევდა საუბარი საქართველოს შესახებ: მისი წარსულის რომანტიკული თხრობა, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამაღელვებელი მაგალითები, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამუქებული დახასიათება, ერის ბედზე ზრუნვის შთაგონებანი, დამოუკიდებელი საქართველოს ახლებური პოლიტიკური ორგანიზაციის წარმტაცი სურათები და სხვ. ასეთ

---

[1] საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივი, ფ. 1475, რვეული XII, გვ. 1178.

ვითარებაში თანდათან ყალიბდებოდა ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლის აზრი და სულისკვეთება, რომელიც მალე ორგანიზაციულადაც ჩამოყალიბდა კიდეც.

შეთქმულთა მასალებში შემონახული ე. წ. „კანდრახტი“, როგორც პროფ. გ. გოზალიშვილი ვარაუდობს, მისი ორგანიზაციული გაფორმების პირველ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს. აქ აღნიშნულია: „წელსა 1828-სა დღესა 13 მაისისა შევკარით კანდრახტი, ასე რო რაც ჩვენის სარგებლობისათვის იყოა და ან რაც ჩვენ გვიფიქრია ვინც უმტყუნოს ან ამხანაგობაში და ან საერთო სარგებლობისათვის იყოს შეჩვენებული ღვთისაგან..

მე ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ თავადი
დ ი მ ი ტ რ ი ე რ ი ს თ ა ვ ი
მეც ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ თავადი
ე ლ ი ზ ბ არ ე რ ი ს თ ა ვ ი
მეც ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ თავადი
გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი
1828-სა წელსა
მაისის 13-ს დღესა
პეტერბურგში
ლიედეინში ჟანდსკის სახლ'ში“[1].

დოკუმენტიდან. ცხადია, არ ჩანს რაზეა საუბარი, რა ჩანაფიქრზე ან საერთოდ რა სარგებლობაზე შეთანხმებულან ხელისმომწერნი, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო კონსპირაციული მოსაზრებით. დაკითხვის დროსაც ეს ხელისმომწერნი ამტკიცებდნენ, რომ ეს „კანდრახტი“ მათ შინაურ საქმეებს შეეხებოდა, მაგრამ გამოძიებამ, შეთქმულთა დაპირისპირებამ დაადასტურა, რომ „კანდრახტი“ შეთქმულთა პირველ ორგანიზაციულ უჯრედს და მათ ფიცს წარმოადგენდა.

მაგრამ შეთქმულების ორგანიზაციის იდეა, ჩვენი აზრით, „კანდრახტის“ დადების დღეს არ აღმოცენებულა და მას წინ უსწრებდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა, ხანგრძლივი ფიქრი და მრავალნაირი გეგმა. ეს კარგად ჩანს გამოძიების მასალებიდან. მოსამზადებელი პერიოდი ორ წელს მაინც აღე-

---

[1] გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, 1832 წლის შეთქმულება, 1935, გვ. 17.

მატება და არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ უშუალოდ ებჯინება დეკაბრისტების გამოსვლას, რომელსაც, მიუხედავად დამარცხებისა, არ შეიძლებოდა ქართველ პატრიოტებზე უდიდესი წამქეზებელი და გამამხნევებელი ზეგავლენა არ მოეხდინა. „1825 წელს, — აღნიშნავს დიმიტრი ერისთავი, — მე ჩავედი პეტერბურგში, ვცხოვრობდი ფარნაოზ ბატონიშვილთან და ხშირად ვხვდებოდი დიმიტრი ბატონიშვილს, რომელთანაც ხშირად იყვნენ ხოლმე თავადები გიორგი და ელიზბარ ერისთავები. ის (დიმიტრი ბატონიშვილი) გვიამბობდა ჩვენი ისტორიიდან ამბებს თავისუფლებაზე, რითაც ჩვენ, ასე ვთქვათ, მოგვამზადა და მერე, დიმიტრი და ვახტანგ ორბელიანების ჩამოსვლის შემდეგ, ჩაგვინერგა რა ჩვენ აზრი თავისუფლებაზე, დაიწყო მათიც მომზადება“...[1].

შეთქმულთა წრის პირველი აქტივისტები პეტერბურგში თანდათან აფართოებდნენ თანამზრახველთა წრეს და მასში დედაქალაქში ჩასულ თავადებს აბამდნენ.

ასეთივე საქმიანობას ეწევიან ქ. მოსკოვში ოქროპირ ბატონიშვილის მეთაურობით, რომელიც კარგად იყო ინფორმირებული დიმიტრი ბატონიშვილის თაოსნობით წამოწყებული საქმის შესახებ და დროდადრო ახერხებდა კიდეც მასთან დაკავშირებას.

პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნებულ ქართველ თავადებს, რომლებიც განდობილი იყვნენ ფარულ საქმიანობაში, თან ჩამოჰქონდათ შეთქმულების იდეა და მას მეტად სანდო პირებს უზიარებდნენ. შეთქმულთა მასალებიდან კარგად ჩანს, რომ პეტერბურგში აღმოცენებული იდეა 1827—1829 წლებში საქართველოშიც იწყებდა ფარულ და ნელ ხორცშესხმას. შეთქმულთა წრე ფართოვდებოდა და აქაც მწიფდებოდა ნიადაგი მისი ორგანიზაციული გაფორმებისათვის.

შეთქმულების ორგანიზაციული გაფორმება 1830 წელს მოხდა თბილისში ოქროპირ ბატონიშვილის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. პეტერბურგსა და მოსკოვში საიმედოდ შემზადებული ქართველი ახალგაზრდები, რომლებიც თბილისში დაფანტულიყვნენ და ჯერჯერობით პრაქტიკული საქმიანობი-

---

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. IV, გვ. 583.

სათვის ხელი ვერ მოეკიდათ, ოქროპირმა შეკრიბა, შეაკავშირა და უახლესი სამოქმედო გეგმებით აღჭურვა ისინი. პირველი ხერხემალი და ძირითადი ბირთვი თბილისის ორგანიზაციისა ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი და სოლომონ დოდაშვილი გახდნენ[1]. ეს ბირთვი თავის გარშემო იკრებდა ახალ-ახალ ადამიანებს და აფართოებდა შეთქმულთა წრეს შეთქმულების კერები თბილისის გარდა საქართველოს სამაზრო ცენტრებშიც (თელავი, გორი, სიღნაღი) იქმნებოდა, 1830—1832 წლებში შეთქმულთა წრე იმდენად გაიზარდა და გაფართოვდა, რომ მასში ჩაბმული აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის მთელი თავადაზნაურული ინტელიგენცია.

როგორც ცნობილია, საგამომძიებლო კომისიამ შეთქმულების მონაწილე 145 კაცი გამოავლინა. ცხადია, ყველამ თანაბარი აქტივობა არ გამოიჩინა და „დამნაშავენიც“ ამის მიხედვით 10 კატეგორიად დაიყო. პირველი კატეგორიის დამნაშავედ ცნობილი იყვნენ ისინი, ვინც „თავისი შთაგონებით ბოროტგანზრახულებას დასაბამი მისცეს“[2] (დიმიტრი, ოქროპირ ბატონიშვილები); მეორე კატეგორიისა — შეთქმულთა თაოსნები, რომლებიც ხალხს აქეზებდნენ და ამბოხებას ამზადებდნენ (ელ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, იასე ფალავანდიშვილი, ს. დოდაშვილი); მესამე კატეგორიისა — ვინც აქტიურად მონაწილეობდა შეთქმულებაში და ეთანხმებოდა აჯანყების მოწყობას (თამარ ბატონიშვილი, დიმიტრი ერისთავი, ლუარსაბ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, მოლა ზამანა, ალექსანდრე ბატონიშვილი და მოლა მაჰმადა), დანარჩენი კატეგორიის დამნაშავენი შეთქმულთა საქმის კურსში მყოფნი, მაგრამ მათი პასიური თანამგრძნობელნი ან საერთოდ ეჭვმიტანილი პირები იყვნენ[3].

შეთქმულთა ცენტრი თბილისი იყო, მაგრამ ირკვევა, რომ მას მცირე ფილიალები საქართველოს მრავალ კუთხეში ჰქონდა. შეთქმულთა კერები, როგორც ვთქვით, იყო თელავში, სიღნაღსა და გორში. იყო ცდა იმერეთის თავადაზნაურობის

---

[1] იხ. გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28—30; ა. კაკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX ს.), გვ. 160—161.

[2] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

[3] Акты, т. VIII, стр. 409—411.

შეთქმულებაში ჩაბმისა. იმერეთში შეთქმულების პროპაგანდა დაკისრებული ჰქონდა აზნაურ თეიმურაზ ლორთქიფანიძეს, რომელმაც საიდუმლოების რამდენიმე პირისათვის განდობა მოასწრო მხოლოდ.

გამოძიების პროცესში გაირკვა, რომ შეთქმულებს გეგმაში ჰქონდათ ანტირუსულ მოძრაობაში ჩაებათ აფხაზეთის მთავარი შერვაშიძე, სამეგრელოს მთავრის მემკვიდრე პორუჩიკი დავით დადიანი, გურიის თავადობა. დაკითხვაზე შეთქმულები, ცხადია, თავს იკავებდნენ ეთქვათ ყველაფერი და მხოლოდ ისეთ ფაქტებს აღიარებდნენ, რომლებიც გახმაურებული იყო და დამალვა აღარ შეიძლებოდა. „მე შემიძლია ავაჯანყო მთელი აფხაზეთი, ორი ათასი აფხაზით სრულიად მოვწყვეტ მას რუსეთისაგან“, ამბობდა ვ. ორბელიანის მოწმობით კონსტანტინე შერვაშიძე. გ. ერისთავის ჩვენებით „ჰკვიანი და პატრიოტი ახალგაზრდა“ დავით დადიანი სავსებით იზიარებდა შეთქმულთა იდეებს. თვით დავით დადიანი შეთქმულებაში მონაწილეობას, რა თქმა უნდა, დაკითხვისას უარყოფდა, მაგრამ მას არ უარუყვია, რომ ქართველი თავადობა მასთან ხშირად საუბრობდა პოლიტიკაზე და რუსეთის საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა.

ამრიგად, 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი მთელი საქართველოს ამხედრებას ვარაუდობდნენ და შეთქმულება სრულებითაც არ იყო ისეთი ლოკალური, მხოლოდ თბილისური მასშტაბისა, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს აქვს წარმოდგენილი.

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეთქმულნი კავკასიის მასშტაბით ვარაუდობდნენ. კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობას, სომხებს აჯანყების დაწყებისთანავე თავიანთი რაზმები უნდა გამოეყვანათ. ამ მიმართულებით შეთქმულები უკვე აბამდნენ ქსელს თბილისში მცხოვრებ სომეხ და მუსლიმან გავლენიან პირებთან.

პირველი წარმატებისთანავე შეთქმულებს უნდა გაემაგრებინათ რუსეთის არმიის ამიერკავკასიაში შემოჭრისათვის სავარაუდო ყველა მიმართულება. კერძოდ, ქვებით ამოეყორათ დარიალის უღელტეხილი, ზარბაზნებითა და სანაპირო ჯარებით გაემაგრებინათ (ათი ზარბაზანი და ექვსი ათასი კაცი) შა-

ვი ზღვის სანაპირო, ხოლო კასპიის ზღვა, საიდანაც მსხვილი ოპერაციები არ იყო მოსალოდნელი — ოთხი ათასი კაცით და სხვ.[1]. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს შემდგომი მოქმედების ერთ-ერთი სავარაუდო მონახაზი იყო. ჩვენთვის ეს ფაქტი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში ჩანს შეთქმულების ფართო, კავკასიური მასშტაბები.

შეთქმულები იმთავითვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის მონაწილეობას, მის ხელმძღვანელობას მათ საქმიანობაში.

ალ. ჭავჭავაძისადმი ქართველი ფეოდალური დიდკაცობა უაღრესი პატივისცემით იყო გამსჭვალული. ერეკლე მეორის უახლოესი თანამებრძოლის, დიდი პატრიოტისა და ბრწყინვალე დიპლომატის გარსევან ჭავჭავაძის ოჯახი ოციან წლებშიც ძველი დიდების შარავანდედით ბრწყინავდა და ყველა ეროვნულ წამოწყებაში თაოსნის როლს განასახიერებდა.

ეკატერინე მეორის ნათლული, მრავალი ომის მონაწილე, ბრწყინვალედ განათლებული, ქართველთა შორის იმ დროს მაღალი ჩინის მქონე ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე, რომლის სასახლენი თბილისსა და კახეთში ქართველი, რუსი და უცხოელი ინტელიგენციის ერთ-ერთ მიმზიდველ თავშესაყარს წარმოადგენდა, შეთქმულთა ჩანაფიქრის სასურველი წინამძღოლი ჩანდა. მისი მონაწილეობა შეთქმულების ავტორიტეტს მაღლა სწევდა და წარმატების რწმენას უნერგავდა. კახეთის თავადობის დიდი ნაწილი თავის განწყობილებას, არცთუ უსაფუძვლოდ, ალ. ჭავჭავაძის განწყობილებას უფარდებდა.

„პირველი დიახ ჭკვიანი კაცი არის ჭავჭავაძე და განათლებული და ჩვენის გულისათვისაც ადრე დატყვევებული იყო რუსეთში. ამისი ნდობა შეიძლება და კარგს განკარგულებას მოახდენს და უცხო ზაგავორს გააკეთებს",—წერდა ალ. ორბელიანი და ამით გამოხატავდა შეთქმულთა საერთო განწყობილებას. „არც ერთ შეთქმულს არ უნდოდა მონაწილეობა გენერალ ჭავჭავაძის გარეშე"[2], — აღნიშნავს შეთქმულების მეორე მონაწი-

---

1 საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. IX, გვ. 1482.

2 იქვე, ფ. 1437, ანაწ. 29, რვ. I, გვ. 137.

ლე ელ. ერისთავი და ეს იმიტომ, რომ ალ. ჭავჭავაძე, როგორც გ. გოზალიშვილი შენიშნავს, იმ დროს საქართველოში „ყველაზე დიდი ფიგურა“ იყო[1].

შემთხვევითი როდია, რომ შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს დროებითი მთავრობის შემადგენლობაში ნავარაუდევი სამი კაციდან ერთი და მთავარი ალექსანდრე ჭავჭავაძე იყო (ალ. ჭავჭავაძე, ი. აფხაზი, გ. ერისთავი).

შეთქმულების მასალები სრულიად ცხადყოფს, რომ ალ. ჭავჭავაძე შეთქმულების საქმის კურსში იყო და მისი ორგანიზაციული კონსულტანტის როლს ასახიერებდა. მართალია, იგი არ მონაწილეობდა ყველა შეკრებაში, რომლებიც თბილისში იმართებოდა, მაგრამ მოვლენათა განვითარებას თვალყურს ადევნებდა და ისე წარმართავდა შეთქმულთა საქმიანობას. ალ. ჭავჭავაძე კონსპირაციული მოსაზრებით შეთქმულების ერთ-ერთ წამყვან მონაწილესთან ალექსანდრე ორბელიანთან იყო დაკავშირებული და მისი მეშვეობით ეცნობოდა საქმის მიმდინარეობას, მასვე ანდობდა გეგმებს, რომლითაც მომავალში შეთქმულებს უნდა ემოქმედათ.

გამოძიების პროცესში შეთქმულნი ან ძალზე ძუნწად ან საერთოდ არაფერს ლაპარაკობდნენ ალ. ჭავჭავაძის მონაწილეობაზე. ეს აიხსნება სხვადასხვა მიზეზებით: ჯერ ერთი, ყველა შეთქმულისათვის მართლაც უცნობი იყო ის როლი, რომელსაც ამ მოძრაობაში ალ. ჭავჭავაძე ასრულებდა, მეორეც, ქართველი თავადები მეტისმეტად უფრთხილდებოდნენ ალ. ჭავჭავაძის სახელს, მის სიცოცხლეს (ისე როგორც დეკაბრისტები პუშკინის სახელს უფრთხილდებოდნენ) და ყოველნაირად ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მისთვის სასჯელი, როგორც შეთქმულების უშუალო მონაწილისათვის.

შეთქმულნი ენერგიულად იღვწოდნენ, რათა თანამზრახველებად საქართველოში მყოფი რუსი და უცხოელი გავლენიანი პირებიც გაეხადათ. ბევრ შეთქმულს, რომლებიც რუსული მმართველობის მაღალ წრეებში ტრიალებდნენ, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ ზოგიერთი მოხელე არ თანაუგრძნობდა ცარიზმის უხეშ კოლონიურ პოლიტიკას და მსგავ-

---

[1] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

სად 40-იანი წლების დემოკრატიული მოღვაწეებისა, ფარულად ჩაგრული ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობას თანაუგრძნობდა კიდეც. ზოგი მოხელე პირადად იყო განაწყენებული მთავარმართებელზე, ზოგიც — იმ ერს ეკუთვნოდა, რომელსაც საქართველოზე არანაკლებ ჩაგრავდა მეფის რუსეთი.

შეთქმულები, როგორც ჩანს, დიდი მონდომებით იღვწოდნენ, რომ თბილისის გენერალ-გუბერნატორი პეტრე ზავილეისკიც გადაებირებინათ და თანამონაწილედ გაეხადათ. ზავილეისკი პოლონელი იყო, განათლებული და ლიბერალურად განწყობილი. იგი არ თანაუგრძნობდა ცარიზმის უხეშ კოლონიურ პოლიტიკას, რომლის სიმძიმესაც მწვავედ განიცდიდა როგორც საქართველო, ისე მისი სამშობლო პოლონეთი. სავარაუდებელია, რომ ზავილეისკი იმ პატრიოტული მოძრაობის საქმის კურსში იყო, რომელიც დეკაბრიზმის დროს და 1830 წლის აჯანყების წინ პოლონეთში მიმდინარეობდა. საქართველოს გამოსვლა პოლონეთის კვალდაკვალ რუსეთის წინააღმდეგ მას ალბათ შორეული სამხრეთიდან თანამემამულეთა ხელშეწყობის ყველაზე საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა[1].

ზავილეისკი, როგორც მაღალი თანამდებობის პირი, ცხადია, არ იყო გათქვეფილი შეთქმულთა მასაში და დაკავშირებული იყო მხოლოდ ხელმძღვანელ ბირთვთან. იგი ახლო ურთიერთობაში იყო ოქროპირ ბატონიშვილთან, ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, ალექსანდრე ორბელიანთან, დიმიტრი ორბელიანთან, ელიზბარ და გიორგი ერისთავებთან, ი. ჭილაშვილთან. როგორც ჩვენებებიდან ირკვევა, ამ ინტიმურ წრეში კიცხავდა იგი ცარიზმის უხეშ პოლიტიკას და პოლონეთის და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას თანაუგრძნობდა. ლიბერალური მიდრეკილების ზავილეისკი გუბერნატორობის დროს სჯიდა და თანამდებობიდან ხსნიდა უხეშ და უვიც რუს მოხელეებს. ცარიზმი ზავილეისკის მოქმედებით უკმაყოფილო

---

[1] ნ. ნიკოლაიშვილი, 1830—1931 წლების პოლონეთის აჯანყება და საქართველოს მოწინავე საზოგადოება, ჟურნ. „მაცნე", 1967, № 2, გვ. 73.

იყო და 1832 წელს გუბერნატორობიდან მოხსნა. მართალია. საგამომძიებლო კომისიამ ზავილეისკის საქმე ცალკე გამოყო და მასზე საიდუმლო მეთვალყურეობით დაკმაყოფილდა. მაგრამ ეს გადაწყვეტილება, ჩანს, ზევიდან იყო ნაკარნახევი და სრულებით არ მოწმობს ზავილეისკის გაურევლობას შეთქმულებაში, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ასაბუთებს[1].

შეთქმულებთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ აგრეთვე რუსი მოხელეები დ. პაუშენკო, ა. მელნიკოვი, ფრანგი ლეტელიე და სხვები.

„ტიტულიან სოვეტნიკ“ დიმიტრი პაუშენკოს, რომელიც დაბალი წრიდან იყო გამოსული, შეთქმულებათა სამზადისის პროცესში დუშეთის საერობო პოლიციის უფროსის თანამდებობა ეკავა. ამ თანამდებობიდან მოხსნის შემდეგ პაუშენკო დიდ მატერიალურ გაჭირვებაში ჩავარდა. იგი ქართველ თავადობასთან დაახლოებული პირი იყო და, როგორც შეთქმულების მასალებიდან ჩანს, არაეთხელ მიუღია მონაწილეობა იმ ინტიმურ საუბრებში, რომლებიც საქართველოს ბედს შეეხებოდა. დასტურდება, რომ პაუშენკო შეთქმულთა საქმიანობაშიც კარგად იყო გარკვეული. იგი შეთქმულთ აქეზებდა და დახმარებასაც აღუთქვამდა.

ასევე ახლო იდგა შეთქმულთა წრეებთან ელიზბარ და დიმიტრი ერისთავების სიძე „კოლეჟსკი სოვეტნიკი“ მელნიკოვი, რომელმაც იცოდა შეთქმულთა საქმიანობა. საგამომძიებლო კომისიის წინაშე კატეგორიული უარის მიუხედავად, ირკვევა, რომ იგი შეთქმულების თანამგრძნობელი პიროვნება იყო. მართებულად გვეჩვენება ლუარსაბ ორბელიანის ჩვენება მელნიკოვზე: „მან იცოდა ჩვენი შეთქმულება და განზრახვანი, თავის მხრივ იწონებდა და გვაძლევდა კიდეც რჩევებს“[2].

დიმიტრი ყიფიანი იგონებს: „...არც ეს ვიცი და არც მესმის რა მიზეზებით იყვნენ საქმეში გარეულნი ეს სამი რუსი ჩინოვნიკი: პაუშენკო, მელნიკოვი და ზავილეისკი. მხოლოდ

---

1 გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, შრომები, ტ. II, გვ. 195.

2 საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. X, გვ. 1693.

ვალად ვრაცხ ჩემს თავს ამაზედ ისა ვთქვა, რაც მქონდა გაგებული. მაშინდელ საზოგადოებაში ამათი რეპუტაცია იყო სრულიად უძრახველი, პაუშენკოს უცქეროდნენ, როგორც ნიჭიერ და სამაგალითო ჩინოვნიკს. მელნიკოვზე ამბობდნენ, რომ ის დიდად დამეგობრებული იყო ორ გამოჩენილ ქართველთან. ერთი იყო თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე და უზენაესი საქართველოს მმართველობის პროკურორი, სტატსკი სოვეტნიკი იაგორ გაბრიელის ძე ჭილაშვილი"[1].

საინტერესოა შეთქმულებთან თბილისში მყოფი საფრანგეთის საკონსულოს მდივნის ლეტელიეს ურთიერთობის საკითხი. პირველ თავში, სადაც საქართველოს მიმართ დასავლეთის სახელმწიფოთა გეგმებს ვიხილავთ, აღვნიშნეთ, რომ ახლო აღმოსავლეთისა და მისი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტის — საქართველოსადმი ინტერესი საფრანგეთის მმართველ წრეებში ყოველთვის დიდი იყო. ფრანგები ძალღონეს არ ზოგავდნენ კავკასიაში თავიანთი გავლენის გაძლიერების, კავკასიიდან რუსების განდევნისა და მხარის დაპატრონებისათვის. საფრანგეთს იმის ძალა არ შესწევდა, რომ კავკასიიდან რუსეთის განდევნისათვის იარაღით ებრძოლა. იგი ამისათვის ინგლისის მსგავსად ხან თურქეთის, ხან ირანის მმართველ წრეებს აქეზებდა და მათი ხელით ნარის გლეჯის პოლიტიკას აწარმოებდა. საქართველოში ანტირუსული მოძრაობის დაწყება ფრანგი კონსულისათვის მისი საიდუმლო დიპლომატიური საქმიანობის უდიდესი წარმატების საწინდარი უნდა ყოფილიყო. ამიტომ დაუახლოვდა იგი ანტირუსული განწყობილების გავლენიან პირებს — ოქროპირ ბატონიშვილს, ალ. ჭავჭავაძეს, ფარნაოზ და თეიმურაზ ბაგრატიონებს. ამიტომ ჩიოდა ქართველთა წრეებში საქართველოში განათლების საქმის მოუგვარებლობასა და რუსეთის ხელისუფლების უვარგის პოლიტიკაზე. ამიტომ ადარებდა რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ საფრანგეთის ალჟირულ პოლიტიკას. გიორგი ერისთავი კომისიას შემდეგ ჩვენებას აძლევს: „ბატონმა ლეტელიემ გაიგო, რომ მე საქართველოში მივემგზავრები. მთხოვა თ. ალ. ჭავჭავაძესთან წამეღო ორი თუ სამი

---

[1] დ. ყიფიანი, მემუარები, 1930, გვ. 135.

წერილი, რომელიც ადრესატს ჩავაბარე. გამგზავრების წინ, როცა ლეტელიესთან უნდა წავსულიყავი წერილების წამოსაღებად, დიმიტრი ორბელიანმა მთხოვა გამეცნო მისთვის ლეტელიე. ლეტელიესთან მივედით, იქ დაგვხვდა უცნობი პოლონელი მოხელე, რომელიც პეტერბურგის რომელიღაც დეპარტამენტში მსახურობდა და განსვენებულ დავით ბატონიშვილსაც იცნობდა თურმე... მახსოვს, ჩამოვარდა საუბარი და ლეტელიემ დაიწყო, რომ საქართველო ასე გაუნათლებელი, როგორც ახლაა არასოდეს არ ყოფილა, მთავრობა არ ზრუნავს მის განათლებასა და მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. საქართველო ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია, იგი დაქსაქსულია.... ლეტელიე საქართველოს მდგომარეობას მუქ ფერებში აღწერდა, პოლონელი მოხელე ლეტელიეს მოსაზრებებს ეთანხმებოდა, ამასთან აქებდა ქართველებს"[1].

დიმიტრი ორბელიანი, ადასტურებს რა გ. ერისთავის ჩვენებას, თავის მხრივ დასძენს, რომ „ლეტელიე გვირჩევდა საქართველომ უნდა ეცადოს თავი გაითავისუფლოსო"[2].

ფრანგ დიპლომატს თბილისში დაწყებული საქმის წარმატება საქართველოს ფრანგული გავლენის ქვეშ მოქცევის დასაწყისად ესახებოდა და ამ გზით აქეზებდა კიდეც შეთქმულებს. ლეტელიემ საქართველო ჯერ კიდევ შეთქმულების გამომჟღავნებამდე დატოვა და გამოძიება მაინცდამაინც აღარ დაინტერესებულა მისი მონაწილეობის საქმეში ღრმად ჩაეხედა. მაგრამ ის, რასაც შეთქმულები აღნიშნავდნენ, სავსებით საკმარისია შეთქმულებაში ლეტელიეს მონაწილეობის დასადგენად.

თავად-აზნაური შეთქმულები, ისე როგორც დეკაბრისტები. „შორს იყვნენ ხალხისაგან". საქართველოს ყმურ მოსახლეობას თავისი მებატონე-ექსპლოატატორები რუს მოხელეებზე ნაკლებად როდი სძულდა.

XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის მასობრივმა აჯანყებებმა ნათლად დაადასტურეს ამ ორი ანტაგონისტური ძალის ინტერესთა შეუთავსებლობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ცარიზმი ორთავეს სძულდა.

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. IV, გვ. 1556.

[2] იქვე.

მასალებიდან ირკვევა, რომ აჯანყებაში მასების მონაწილეობის საკითხი დიდად მტკივნეული და ერთ-ერთი ყველაზე თავსატეხი საკითხი იყო შეთქმულთათვის. ქართველი შეთქმულნი, ისე როგორც დეკაბრისტები, ეძიებდნენ მრავალგვარ ხერხსა და საშუალებას მასების გადასაბირებლად ან აჯანყებისადმი მოტყუების გზით მოსამხრობად.

პირველყოველისა, შეთქმულნი აჯანყების დღისათვის თავიანთი კუთვნილი გლეხების ნაწილის გამოყვანას კისრულობდნენ. „ჩვენ საზოგადოდ ისრე ვაწყობდით, და ესრეთ გვინდოდა, რომ ყველას გაგვეწერა და ქალაქში ჩამოგვეყვანა ვინც რაოდენს კაცს შეიძლებდა, — მივიწერეთ კიდეც. ლუარსაბს (ორბელიანს) ასი კაცი უნდა ჩამოეყვანა, ელიზბარ ერისთავს ორმოცი, მე ოცი, გიორგი დავითის ძე ერისთავს — ოცი. ელიზბარ ერისთავმა მითხრა მამუკაც (ორბელიანი) ასს კაცს მოამზადებსო, ბიძინა ერისთავი თანახმა არ შეიქნა და არც შემიძლიან რომ მე ჩამოვიყვანო ვინმეო, თუ ქალაქში მოხდება ბუნტიო, მაშინ არამც ოცსა ანუ ორმოცსაო ათასსაც ვიშოვნი რომ ჩამოვიდე, იმით ერთათაო...“ — აჩვენებდა გამოძიებისას ალ. ორბელიანი[1].

შეთქმულების აქტიურ მონაწილეებზე მებრძოლთა „შეწერის“ ფაქტს ადასტურებენ ლუარსაბ ორბელიანი, იასე ფალავანდიშვილი, ელიზბარ ერისთავი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი და სხვები. შეთქმულ თავადთა მიერ ჩამოყვანილი გლეხები მებატონეთა განზრახვაში განდობილები ალბათ არც იყვნენ. გლეხობის მცირე ნაწილს, განსაკუთრებით სანდოს და პატრონისადმი „თავდადებულს“ თუ ეცოდინებოდა წინასწარ რაზმებს შეგროვების მიზანი. თავადაზნაურობა კარგად ხედავდა იმასაც, რომ გლეხობისათვის ცარიზმის კოლონიური უღელი განსაკუთრებით მძიმე იყო, რუსი მოხელეების უზნეო და თვითნებური პარპაში გლეხობას სულს უხუთავდა. თავადობა ვარაუდობდა, რომ აგიტაცია საძულველ რუს მოხელეთა წინააღმდეგ და გულუხვი დაპირებანი გლეხობას დროებით მაინც თავად-აზნაურთა მხარეზე გამოსვლისათვის განაწყობდა.

---

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, ნაწ. 299, რე. IX, გვ. 1483.

ამიტომ იყო, რომ ისინი გლეხობაში წინასწარი აგიტაციის გაწევას და მათ შემზადებას ყველაზე ავტორიტეტულ პირებს ავალებდნენ. მასალებიდან ჩანს, რომ კახეთის გლეხობის წაქეზება და აჯანყებისათვის მომზადება სოლომონ დოდაშვილს ჰქონდა დაკისრებული, ხოლო ქართლელებისა — ელიზბარ ერისთავს[1].

ი. ფალავანდიშვილის ჩვენებით, ს. დოდაშვილს ამ მხრივ გადაუდგამს კიდეც ნაბიჯი. „ამა წლის ზაფხულში კახეთში ყოფნის დროს ის უამბობდა გლეხებს, თუ რუსებმა როგორ უსამართლოდ ჩაიგდეს ხელში საქართველო, ავიწროებენ ხალხს და სურთ ჯარის კაცის მოკრება, რაზედაც ვითომ უპასუხნიათ, ისინი მზად არიან პირველნი დაიხოცონ თუკი ტფილისში დაიწყებდნენ..."[2]. სოლომონ დოდაშვილი კატეგორიულად უარყოფდა ი. ფალავანდიშვილის ამ ჩვენებას, მაგრამ სხვა მასალებიდანაც ჩანს, რომ სოლ. დოდაშვილი კახეთის გლეხობის წამქეზებლად შეურჩევიათ და მას ეს დავალება ნებით თუ უნებლიედ უნდა შეესრულებინა.

გლეხობის წაქეზების ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ საბაბად შეთქმულები მიიჩნევდნენ ხმის დარხევას „სალდათად" გაწვევის შესახებ. შეთქმულთ კარგად ახსოვდათ 1829 წლის თბილისის „ბუნტის" ფაქტი და საერთოდ გლეხობის რეკრუტობისადმი განწყობილება. რომელიც რეფორმამდელ რუსეთში სამშობლოდან და ოჯახებიდან თითქმის სამუდამო განშორებას და აუტანელ სამსახურს ნიშნავდა.

მაგრამ გლეხთა ის მცირე რაზმები, რომელთა გამოყვანას შეთქმულნი ვარაუდობდნენ, 2—3 ათას კაცს არ აღემატებოდა. ამასთან, გლეხთა რაზმები რუსეთის რეგულარული და საუცხოოდ შეიარაღებული ნაწილების წინააღმდეგ საბრძოლველად არც გამოდგებოდნენ.

შეთქმულები ვარაუდობდნენ მოსყიდვის გზით მთავრობის ჯარის ნაწილების გადმობირებას. კერძოდ, ლაპარაკი შეეხებოდა თბილისში განლაგებულ სამოსწავლო ბატალიონს, სადაც ოთხი ქართველი ოფიცერი მსახურობდა, შეთქმულებს ამ

---

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რე. III, გვ. 405.

[2] გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

მხრივ გარკვეული ნაბიჯები გადაუდგამთ კიდეც, ქართველი ოფიცრებისათვის თავიანთი განზრახვა გაუნდვიათ და გადაუბირებიათ. ანტონ აფხაზი თავის ჩვენებაში აცხადებდა: „ალექსანდრე ორბელიანი ამბობდა, რომ სამოსწავლო ბატალიონის ყველა ოფიცერი მოსყიდული იყო და ჩვენმა ნათესავმა ნათელიშვილმაც, რომელიც ამ დროს ამ ბატალიონში იყო, ეს იცოდაო“[1].

შეთქმულთ თბილისის არსენალშიც მოუსინჯავთ ნიადაგი, არტილერიის საქმის მცოდნე კაცებიც შეურჩევიათ და იმედი ჰქონიათ, რომ აჯანყების დღეს არტილერიასაც გამოიყენებდნენ[2].

შეთქმულებს თბილისში მომსახურე პოლონელი ჯარისკაცების გადმობირების იმედი ჰქონდათ. ელიზბარ ერისთავი შეთქმულთა მხარეზე 500-ზე მეტ პოლონელს ვარაუდობდა. არ გამორიცხავდნენ ისეთ უკიდურეს ღონისძიებებსაც კი, როგორც, მაგალითად, ლოთებისა და მაწანწალების გამოყენება იყო. როგორც ცნობილია, აგზნებული ბრბოს, აგრეთვე ლოთებისა და მაწანწალების გამოყენების ვარაუდს აყენებდნენ დეკაბრისტებიც, რომელთაც მებრძოლი მასა არ გააჩნდათ.

შეთქმულებს, რომლებიც სამხედრო და პოლიტიკურ საქმეებში ღრმად ჩახედული ადამიანები იყვნენ, კარგად ესმოდათ, რომ აჯანყების წარმატება, რაც მოულოდნელობასა და იერიშის უპირატესობაზე იქნებოდა დამყარებული, საბოლოოდ არ წყვეტდა ბედს იმ საქმისას, რისთვისაც ისინი იღვწოდნენ. რუსეთი დიდი იყო, აურაცხელი არმია ჰყავდა და პატარა საქართველოს, თუნდაც მთელ ამიერკავკასიას მისი გამკლავება. მისი შეკავება არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო. ეს რეალური შიში აიძულებდა შეთქმულებს ეძიათ მხარდამჭერი ძალა ამიერკავკასიის გარეთ და ეფიქრათ ამიერკავკასიის პოლიტიკური ბედის გადასაწყვეტად დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, საფრანგეთის ჩარევაზე.

შეთქმულებისათვის არ უნდა ყოფილიყო უცნობი დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, ინგლისისა და საფრანგეთის კავ-

---

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. VI, გე. 962.

[2] იქვე.

კასიური გეგმები, მათი მცდელობა ირანისა და თურქეთის საშუალებით ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნისა და მხარის დაპატრონებისა. შეთქმულთა ვარაუდით, თუკი საქართველო საკუთარი ძალებით დაიწყებდა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ, საფრანგეთის მთავრობა სიამოვნებით იკისრებდა დახმარებას. და თუ რუსეთთან შეუძლებელი გახდებოდა ტრაქტატით გათვალისწინებული ურთიერთობის აღდგენა, საფრანგეთი გამოვიდოდა ასეთი მფარველის როლში და საქართველოს თავკაცებს ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციის საქმეებში დაეხმარებოდა[1].

შეთქმულთა ერთი ჯგუფი ძლიერი მოწინააღმდეგის გასამკლავებლად ლეკთა რაზმების გამოყენებას და ალექსანდრე ბატონიშვილის მეშვეობით ირანის მხარდაჭერასაც ვარაუდობდა. შეთქმულნი დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს აგრეთვე ეგვიპტის ფაშას მუჰამედ-ალის მოქმედებას, რომელიც თავისი სიუზერენის — თურქეთის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ წარმატებებს აღწევდა. მუჰამედ-ალიმ დაიკავა სირია. იგი ამ წარმატებებსაც არ სჯერდებოდა და თავის სამფლობელოს თურქეთის ხარჯზე აფართოებდა. საქართველოში მოდიოდა ხმები იმის შესახებ, რომ მუჰამედ-ალი წარმოშობით ქართველია, იგი საქართველოს საუკუნო მტერს, თურქეთს, დამხობას უმზადებს და, ამასთან, დაუძინებელი მტერია რუსეთისა და საფრანგეთსაა მინდობილიო. 1832 წელს ისეთი ხმებიც კი გავრცელდა, რომ ფაშამ ყარსი და ერზერუმი აიღოო. რა თქმა უნდა, ამ ამბებში ბევრი ჭორი და გადაჭარბება იყო, მაგრამ დამახასიათებელია, რომ სწორედ ამ მოვლენებმა აღუძრეს სურვილი შეთქმულებს ეგვიპტის ფაშასთან დაკავშირებისა.

შეთქმულთა საქმიანობა, ცხადია, უდიდესი კონსპირაციულობით მიმდინარეობდა. მიმოწერას ისინი საიდუმლო ანბანით აწარმოებდნენ. კოდის ავტორი იყო ფილადელფოს კიკნაძე, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე „აქტი გონივრულის" შედგენა[2]. ფილადელფოსის შიფრის[3] გარდა შეთქმულნი სარგებ-

1 საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. III, გვ. 344—345.

2 იქვე, რვ. IV, გვ. 565—670.

3 იქვე, რვ. III, გვ. 381.

ლობდნენ ნაწერის ამოცნობის საიდუმლო ხერხით. ასეთი ხერხი პეტერბურგიდან თბილისში მიმავალ ელ. ერისთავს შეასწავლა დიმიტრი ბატონიშვილმა. ეს იყო ალაგ-ალაგ ამოჭრილი ფოსტის ქაღალდის ნახევარი, რომელსაც წერილზე ადებდნენ და კითხულობდნენ იმას, რაც ჩვეულებრივი მკითხველისათვის უცნობი იყო[1].

შეთქმულთა საქმიანობა 1829 წლიდან დაწყებული, თანაბარი ინტენსივობით არ მიმდინარეობდა. შეთქმულთა გაცხოველებული სამზადისის პერიოდი დაიწყო 1831 წლიდან, როცა საქართველოში მოვიდა ხმა რუსეთის წინააღმდეგ პოლონეთის აჯანყების დაწყების შესახებ. „ამისთანა დროს ქართველები ვეღარ იშოვნიან"[2], — ამბობდა თამარ ბატონიშვილი და შეთქმულებს ავალებდა გაეცხოველებინათ სამზადისი. დაეწყოთ მოქმედება მანამ, ვიდრე მეფის რუსეთის ჯარები პოლონეთის წინააღმდეგ მოქმედებით იყვნენ დაკავებულები.

პოლონეთის აჯანყებას თბილისში დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს და შეთქმულების მესვეურნი მას ისე იყენებდნენ, როგორც ერთ-ერთ მძლავრ არგუმენტს რუსეთის წინააღმდეგ მოძრაობის დასაწყებად[3]. ამ პერიოდში განსაკუთრებული სისწრაფით იზრდებოდა შეთქმულთა წრე. მასში ახალი და ახალი პირები ებმებოდნენ. ენთუზიაზმიც მაღალი იყო, შეთქმულების დეტალები ზუსტდებოდა, მონაწილენი ფუნქციებს ინაწილებდნენ...

მაგრამ არ გაუვლია დიდ დროს და თბილისში მოვიდა პოლონეთის გამოსვლის მარცხით დამთავრების ამბავი. ეს იყო თავზარდამცემი ცნობა, რომელმაც ოცნებებით გახურებულ თავებს ერთბაშად ცივი წყალი გადაასხა. „1831 წელსა გვქონდა შეთქმულება და განკარგულებაც იყო მოხდენილი, თუ რომელ ჩვენგანს როგორ უნდა ემოქმედნა, მაგრამ ვუცდიდით მხოლოდ ამბავს. აიღებდნენ თუ არა რუსები ვარშავას. მაგრამ როგორც კი მივიღეთ ქალაქის აღების შესახებ

---

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. III, გვ. 371.
[2] იქვე, რვ. IX, გვ. 1481.
[3] იქვე, რვ. III, გვ. 344 ა.

ცნობა, ჩვენი საქმე ჩაიშალა"[1], — ამბობდა ა. აფხაზის ჩვენებით ალ. ორბელიანი.

პოლონეთის დამარცხების შემდეგ შეთქმულების საქმიანობის მინელებას სხვა აქტიური წევრებიც ადასტურებენ. გარკვეულ დრომდე, როგორც პროფ. ა. კიკვიძე აღნიშნავს, გამოსვლების სტრატეგიულ გეგმას და გაცხარებულ მზადებას ცვლიდა სალიტერატურო-პროპაგანდისტული მუშაობა. ასე რომ, შეთქმულთა ბრძოლა დაუბრუნდა თავის პირვანდელ მდგომარეობას[2].

1832 წლის დასაწყისიდან შეთქმულთა ენთუზიაზმი და პრაქტიკული საქმიანობა ისევ ცხოველდება. სოლ. დოდაშვილი თავისი ჟურნალის ფურცლებიდან აღვივებს პატრიოტულ სულისკვეთებას. გიორგი და დიმიტრი ერისთავები პეტერბურგიდან ბრუნდებიან. შეკრება ისევ ხშირ და ცხოველ ხასიათს ღებულობს. საერთაშორისო მოვლენებიც თითქოს შეთქმულთა სასარგებლოდ რთულდება. მუსლიმანურ სამყაროში დიდი მოძრაობაა. ეგვიპტის ფაშას ძლევამოსილი წინსვლა თურქეთს დაღუპვით ემუქრება. სულთანი საქმეში ჩასარევად ევროპელ სახელმწიფოებს მოუწოდებს. ინგლისი და ავსტრია თავს იკავებენ, საფრანგეთი აშკარად აცხადებს სიმპათიებს ეგვიპტის ფაშასადმი. რუსეთშიც ფაციფუცია და კონსტანტინეპოლში ჯარის ნაწილების გადასასხმელად ექსპედიციას ამზადებენ. გამათავისუფლებელი მოძრაობა ევროპაში, პოლონეთის დამარცხების მიუხედავად, ღვივდება. 1820 წლის რევოლუციის ხანძარი ჯერ კიდევ არაა ჩამქრალი. პეტერბურგიდან ჩამოტანილი ეს ცხელი ამბები ისევ აღვივებს იმედის ნაპერწკალს. თვით კავკასიის ფრონტზეც რუსეთის მდგომარეობა გართულებულია. ყაზი-მოლა აქტიურად იბრძვის და საქართველოში შემოჭრით იმუქრება. კავკასიის კორპუსის ჯარები დაბანდებულია მთიანეთში და წარმატებას პირი არ უჩანს. შეთქმულებაში ებმებიან „საიმედო" და „გავლენიანი" პირები. 1832 წლის ზაფხული განსაკუთრებით ცხელი თვეებია შეთქმულთა საქმიანობაში. ზუსტდება დეტალები, იკვეთება აჯან-

---

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. II, გვ. 181.

[2] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, გვ. 165.

ყების დაწყების გეგმა, მუშავდება ე. წ. „პირველი ღამის განკარგულება“[1].

„პირველი ღამის განკარგულება“ აჯანყების საწყის სურათს ასე წარმოგვიდგენს:

აჯანყების წამომწყები, მისი ცენტრი ქალაქი თბილისია. აჯანყება 1832 წლის 20 ნოემბერს იწყება. ნოემბრის შერჩევა შემთხვევითი არ ყოფილა. ზაქარია ჩოლოყაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, კორპუსის უფროსი (ბარონი როზენი) წასულია, კავკასიის მთებით ჯარებს გადმოსვლა არ შეუძლიათ. ზამთარში ჯარის ზღვით გადმოყვანაც შეუძლებელია[2]. რიცხვიც გააზრებულია. რადგან ამ დღეს უნდა დაწყებულიყო თავად-აზნაურთა წინამძღოლის არჩევნები და შეთქმულთა თავმოყრა დედაქალაქში მთავრობის ეჭვს არ გამოიწვევდა.

აჯანყება ფაქტიურად 19 ნოემბერს ღამით იწყებოდა. პირველი ამოცანა იყო მთელ ქალაქში ხმის გავრცელება „სალდათობის“ შესახებ. შეთქმულთა რწმუნებულებს ხალხი უნდა დაერწმუნებინა, რომ მთავრობა ჯარს თხოულობს, თავადობა არ აძლევს და მზადაა უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლოსო. (ამავე დღეს ლუარსაბ ორბელიანის ოჯახში, თათრის მოედანზე, დიდი ნადიმი უნდა გამართულიყო, სადაც ქართველ წარჩინებულებთან ერთად რუსეთის უმაღლესი მოხელეებიც იქნებოდნენ მოწვეული. ღამის პირველ საათზე მოედნიდან შუშხუნების ნიშანზე დაიწყებოდა მოქმედება. ფარულად შეიარაღებული ქართველი თავადები რუს მოხელეებს ამოჟლეტდნენ, ამოჟლეტდნენ იმ ქართველებსაც, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა. ამის შემდეგ მოქმედება უშუალოდ ქალაქში გადავიდოდა.

„პირველი ღამის განკარგულების“ მიხედვით შეთქმულების აქტიურ წევრებს ფუნქციები განაწილებული ჰქონდათ. მაგალითად, დიმიტრი ვახტანგის ძე ორბელიანი 40 კაცით ციხეზე უნდა წასულიყო, ზაქარია ჩოლოყაშვილს და გიორგი რევაზის ძე ერისთავს 200 კაცით ყაზარმებზე უნდა მიეტანა

---

1 საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. I, გვ. 10.

2 იქვე, რვ. VIII, გვ. 1333.

იერიში, ასევე მიმაგრებული იყვნენ შეთქმულები არსენალზე, „საპრავიანტო კომისიაზე“, „ხაზინაზე“, „ორდონანსჰაუსზე“, ნავთლუღის კომისიაზე, პურის მაღაზიაზე[1] და სხვა პუნქტებზე, რომელთა დაკავებას ქალაქში აჯანყების წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

შეთქმულთა შესაკრებ ადგილად თათრის მოედანი იყო შერჩეული. აქ დაუკრავდა აზიური მუსიკა (მოქმედების დაწყების ნიშანი), როცა ეკლესიებში ზარების რეკვა ატყდებოდა. შეთქმულთა მითითებით ქალაქის ეკლესიის მღვდლები და ბერები ღვთისმშობლის ხატზე დააფიცებდნენ მოსახლეობას და საზეიმო ელფერს მისცემდნენ „საქართველოს გათავისუფლებას“. შეთქმულები იმედოვნებდნენ, რომ „სალდათობით“ შეშფოთებული დაბალი მოსახლეობა ერთბაშად გამოვიდოდა მათთვის მხარდასაჭერად.

„პირველი ღამის განკარგულება“ ითვალისწინებდა ქალაქში წესრიგის დაცვას, დროებითი მმართველობის დაუყოვნებლივ ორგანიზაციას, ასევე დაუყოვნებლივ ზრუნვას „რეგულის“ (რეგულარული არმიის) შექმნაზე. ქალაქში პირველი წარმატება საქართველოს რაიონებსაც აამოქმედებდა. რაიონებიდან უნდა ჩამოსულიყვნენ თავადნი, აზნაურნი და ქუდზე კაცნი, რომელთაგან რეგულარული არმიის ორგანიზაცია უნდა დაწყებულიყო. ელ. ორბელიანის ჩვენებით ნავარაუდევი იყო აგრეთვე თამარ ბატონიშვილის გამოყვანა, როგორც ხელმძღვანელისა, რომლის განკარგულებანი იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ფუნქციების სიმბოლო. შერჩეული იყვნენ რეგულარული არმიის სარდლებიც კი (ალ. ჭავჭავაძე, ი. აფხაზი, ვ. ბებუთოვი, გ. ერისთავი, სავარსამიძე).

მიუხედავად იმისა, რომ შეთქმულნი მეტისმეტად ძუნწობენ ჩვენებებში და ცდილობენ ძირითადი მიჩქმალონ, აგრეთვე საქმიანობას გულუბრყვილო, პრიმიტიული ხასიათი მისცენ, რათა იგი გრძნობამოჭარბებულ ადამიანთა უნაყოფო, რუსეთისათვის უშიშარ მოქმედებამდე დაიყვანონ, დაკვირვებული თვალი მაინც შენიშნავს, რომ შეთქმულება მეტად ფართო ხა-

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. I, გვ. 10—12.

სიათს ატარებდა. მასში საქართველოს ინტელექტუალური ძალები მთლიანად იყვნენ ჩაბმული. იდეურად მას გამოკვეთილი სახე ჰქონდა, ორგანიზაციულად მტკიცედ იყო შეკრული და წინასწარ იყო დამუშავებული აჯანყების ყველა დეტალი. შეთქმულებს ისიც კი არ გამორჩენიათ, რომ აჯანყების დღისათვის ეროვნული დროშები — („რევოლუციის ბაირაღები") დაემზადებინათ. ამ დავალებას გატაცებით ასრულებდნენ შეთქმულებაში განდობილი ქალები. შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ შემოეღოთ ეროვნული ორდენები (დავით აღმაშენებლის, წმინდა ნინოსი) დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში წარჩინებულ პირთა დასაჯილდოებლად.

ნოემბრის ოცისათვის შეთქმულებმა განზრახულის სისრულეში მოყვანა ვერ მოახერხეს. აჯანყების ვადამ დაახლოებით ერთი თვით გადაიწია. ნოემბრის ბოლო და დეკემბრის პირველი რიცხვები, როგორც ეს ი. ფალავანდიშვილის დასმენიდან ჩანს, განსაკუთრებით ინტენსიური იყო შეთქმულთა ცხოვრებაში. სხდომები თითქმის ყოველდღე იმართებოდა, ზუსტდებოდა დეტალები, ფართოვდებოდა კავშირი, მაგრამ მზადების ამ უკანასკნელ, დამამთავრებელ ეტაპზე შეთქმულება მისმა ერთ-ერთმა აქტიურმა მონაწილემ იასე ფალავანდიშვილმა გასცა. ეს იყო 1832 წლის 9 დეკემბერს. ფალავანდიშვილმა თავის დასმენაში დაწვრილებით აღწერა შეთქმულების ჩასახვა და მსვლელობა, დაასახელა მისი მონაწილენი, გახსნა შეთქმულთა მიზანდასახულობა და „პირველი ღამის განკარგულებაც" კი.

ი. ფალავანდიშვილის გამცემლობას წინ უძღოდა შეთქმულების საქმის ერთგვარი გახმაურება. ბორჩალოელ თათრებში გავრცელდა ხმა ალექსანდრე ბატონიშვილთან ქართველი თავადების მიმოწერის შესახებ. შეიპყრეს კაცი, რომელიც ალექსანდრე ბატონიშვილთან იყო გაგზავნილი. შეთქმულების ამბავი მივიდა თბილისის გუბერნატორ ნიკო ფალავანდიშვილის ყურამდეც. შეთქმულები შეშფოთდნენ, საეჭვო დოკუმენტების სასწრაფოდ განადგურებას მიჰყვეს ხელი. აი, ამ ვითარებაში ყველაზე მეტი სიმხდალე და სულმდაბლობა გამოიჩინა ი. ფალავანდიშვილმა, რომელმაც იმის შიშით, რომ მთავრობა ყველაფერს მაინც გაიგებდა და მას, როგორც

მთავარ ფიგურას, არ აცდებოდა უმკაცრესი სასჯელი, ამჯობინა ერთგვარად შეემსუბუქებინა მდგომარეობა შეთქმულების გაცემით.

დაპატიმრება, სასჯელი

ი. ფალავანდიშვილის დასმენის შემდეგ, 1832 წლის 10 დეკემბერს, ბარონ როზენის განკარგულებით დაიწყო შეთქმულების მთავარ მონაწილეთა დაპატიმრება. როზენმა გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის, გენერალ-მაიორ ბაიკოვის და პოლკოვნიკ ტროტილევიჩის შემადგენლობით შექმნა საგამომძიებლო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა საქმეს.

პეტერბურგში იმპერატორის განკარგულებით დაარსდა საიდუმლო-საგამომძიებლო კომისია გენერალ-ადიუტანტ გრაფ ა. ორლოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა თვალყური ედევნებინა საქართველოს გარეთ და დედაქალაქში მცხოვრები ქართველი ბატონიშვილებისათვის. ამასთან, ნიკოლოზის მითითებით, თბილისის კომისიის მუშაობის საკონტროლოდ გაიგზავნა გენერალ-მაიორი ჩევკინი[1].

1833 წლის სექტემბერში თბილისის კომისიამ მუშაობა დაასრულა და გამოძიების მთელი საქმე ბარონ როზენს გადასცა. კომისიის მასალები და საკუთარი დასკვნები ბრალდებულთა შესახებ როზენმა სამხედრო მინისტრ ჩერნიშევს გაუგზავნა[2]. საქმეს გაეცნო თვით იმპერატორი, რომელმაც განკარგულება გასცა ყველა დამნაშავეთაგან სამხედრო სამართალში 13 პირის მიცემის შესახებ (ელ. ერისთავი, ალ. ორბელიანი, ს. დოდაშვილი, დ. ერისთავი, ნ. ორბელიანი, დ. ორბელიანი, მოლა ზამანა, მ. ორბელიანი, დ. პაუშენკო, ვახ. ორბელიანი, სოლ. რაზმაძე, ი. ერისთავი, ზ. ჩოლოყაშვილი).

1834 წლის 10 თებერვალს თბილისში სამხედრო სასამართლომ ყველა ბრალდებული პეტრესდროინდელი „სამხედრო

---

[1] Акты, т. VIII. стр. 396—411.

[2] იხ. იქვე, გვ. 391—393.

წესდების“ მიხედვით გაასამართლა და ცამეტივეს ოთხად გაკვეთა მიუსაჯა[1].

როზენის განმარტების შემდეგ სამხედრო სასამართლოს განაჩენი გენერალ-აუდიტორიატმა შეიწყალა და სიკვდილით დასჯა სხვადასხვა ვადის გადასახლებით შეცვალა (ელიზბარ ერისთავს და ს. რაზმაძეს სამუდამოდ, სხვებს სხვადასხვა ვადით 5 წლიდან 15 წლამდე)[2].

რაც შეეხება პეტერბურგში მცხოვრებ შეთქმულებაში შენიშნულ ქართველ ბატონიშვილებს, ცარიზმმა ისინი დედაქალაქიდან გააძევა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში დაფანტა.

რუსეთის ცარიზმი, როგორც ცნობილია, მისი ბატონობის წინააღმდეგ ყოველგვარ შეთქმულებას უმკაცრესად უსწორდებოდა. სახრჩობელა, სამუდამო კატორღა, ციმბირის ყინულები იყო ხვედრი იმ ადამიანთა, რომლებიც „მთლიანი და განუყოფელი რუსეთის“ ხელყოფას გაბედავდნენ. გავიხსენოთ ბედი დეკაბრისტებისა, პოლონელი პატრიოტებისა, პეტრაშეველებისა და სხვა ათასობით საუკეთესო ადამიანისა. ნიკოლოზ პირველი, რომელიც ტახტზე დეკაბრისტთა გვამებზე გადავლით ავიდა და მთელი სიცოცხლის მანძილზე მათი იდეური თანამოაზრეებისადმი უმკაცრესი სიძულვილის და შურისძიების გრძნობით იყო გამსჭვალული, განსაკუთრებულ სისასტიკეს მონარქიის მტრებისა და სეპარატისტების წინააღმდეგ იჩენდა.

---

[1] პეტრესდროინდელი სამხედრო წესდება იმ დროის სამხედრო სასამართლოებისათვის ერთადერთი სახელმძღვანელო იყო სასჯელის დასადებად. ახალი კოდექსი შემუშავებული არ ყოფილა, 1716 წლის წესდების მისედვით კი სასჯელთა სისტემა იმდენად მკაცრი იყო, რომ იგი სრულებით აღარ შეეფერებოდა დროის საერთო მიმართულებას და თვით უსასტიკესი ნიკოლოზ პირველიც კი მის გამოყენებას შეუფერებლად თვლიდა. ამიტომ პრაქტიკაში დამკვიდრდა ასეთი წესი: სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფლება განიხილავდა და თავის „აზრს“ გამოთქვამდა სასჯელის შემსუბუქების შესახებ. მთელი საქმე ადგილობრივი ხელისუფლების მოსაზრებასთან ერთად ეგზავნებოდა გენერალ-აუდიტორიატს პეტერბურგში, რომელიც ჩვეულებრივ იწყნარებდა ხოლმე ხელისუფლების მოსაზრებას (იხ. პროფ. მ. პოლიევქტოვი, საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში, საქართველოს არქივი, წიგნი II, 1937, გვ. 115—116).

[2] მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი.

და აი, პოლონეთის აჯანყება ახლად ჩამქრალი იყო, პოლონელ პატრიოტებს უმკაცრეს სასჯელს უმზადებდნენ, როცა სამხედრო მინისტრმა ჩერნიშევმა იმპერატორს მოახსენა საქართველოში დიდი შეთქმულების აღმოჩენის ამბავი. მოსალოდნელი იყო, რომ კავკასიაზე, მისი დაუმორჩილებლობის გამო, ისედაც აღრენილი ნიკოლოზი უმკაცრესად დასჯიდა ქართველ შეთქმულებს და ამით მშფოთვარე კავკასიის სეპარატისტულად განწყობილ ადამიანებს მკაცრ გაკვეთილს მისცემდა, მაგრამ ასე არ მომხდარა. იმპერატორმა „დიდი ლმობიერება“ გამოიჩინა და მისი მითითებით შეთქმულთა საქმის გამოძიება ცარიზმისათვის უჩვეულო ლიბერალურ ფორმებში წარიმართა. მსჯავრდადებულთა სასჯელიც შედარებით ჰუმანური იყო. ეს უცნაურობა შემდეგი გარემოებებით შეიძლება აიხსნას:

1. როზენმა 1832 წლის შეთქმულება არ გამოაცხადა ქართველი თავადაზნაურობის პოლიტიკური ორიენტაციის გამოვლინებად და იგი რამდენიმე პირის ბოროტგანზრახულობამდე დაიყვანა. როზენს აწყობდა შეთქმულების ასეთი ინტერპრეტაცია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საგრძნობლად უნდა შელახულიყო მისი, როგორც ამიერკავკასიის მმართველის, რეპუტაცია, რომელმაც ალღო ვერ აუღო თავადაზნაურობის — ცარიზმის დასაყრდენი ძალის — ორიენტაციას და დროულად არ მიიღო გადამჭრელი ზომები. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ბარონი როზენი ჩერნიშევისადმი მოხსენებაში ხაზს უსვამდა ქართველი თავადაზნაურობის შეურყეველ რწმენას და ერთგულებას საიმპერატორო ტახტისადმი[1].

2. შეთქმულება გამომჟღავნდა იმ დროს, როცა ცარიზმს კავკასიის ფრონტზე გართულებული მდგომარეობა ჰქონდა. კავკასიის მთიანეთი ბობოქრობდა და მისი დამორჩილების ყველა ცდა წარუმატებლობას განიცდიდა. ასეთ ვითარებაში ცარიზმს აუცილებლად სჭირდებოდა ქართველი თავად-აზნაურების მხარდაჭერა. „განსაკუთრებით სასიამოვნოა თქვენი

---

[1] იხ. Акты, т. VIII, стр. 391—411.

რწმენა, რომ ქართველ თავადაზნაურობას არ ახასიათებს მიდრეკილება იმ ბოროტგანმზრახველობისადმი, რომელიც დამნაშავეებმა გამოავლინეს, და რჩება მთავრობისადმი მორჩილი, გულმოდგინედ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას"[1], — წერდა ჩერნიშევი ბარონ როზენს. ქართველი თავადაზნაურების გულის მოგებას, მისდამი კეთილგანწყობილებას ახლო აღმოსავლეთში შექმნილი საერთაშორისო ვითარებაც უკარხანებდა ცარიზმს.

3. 1832 წლის შეთქმულების გამოაშკარავება იმ დროს მოხდა, როცა ცარიზმმა სასტიკად გაუსწორა ანგარიში პოლონეთს, რომელიც დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა. პოლონეთის გამოსვლას და ცარიზმის უსასტიკეს ანგარიშსწორებას პოლონელი ხალხისადმი დიდი გამოხმაურება მოჰყვა ევროპაში. ევროპის პროგრესული წრეები გულისწყრომით ლაპარაკობდნენ ცარიზმზე, რომელიც ახორციელებდა არარუსი ხალხების უხეშ ეროვნულ ჩაგვრას და სისხლის ღვრას. ევროპის მმართველი წრეები გარეგნულად პოლონეთის მფარველის როლს იჩემებდნენ, ცხადია, იმ მოსაზრებით, რომ ევროპაში რუსეთის გავლენა შეესუსტებინათ და პოლონეთი, რუსეთზე დასავლეთიდან შეტევის ეს შესანიშნავი პლაცდარმი, თავის გავლენის ქვეშ მოექციათ. ევროპაში განგებ ბევრს ხმაურობდნენ აგრეთვე ახლო აღმოსავლეთში ცარიზმის ძალადობის შესახებ. ინგლისი ფარულად აქეზებდა კავკასიის მთიანეთის მესვეურთ ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ვითარებაში 1832 წლის შეთქმულების პოლიტიკურ აქტად გამოცხადება ცარიზმისათვის არ იყო ხელსაყრელი და არცაა შემთხვევითი, რომ სენატი არ ჩარეულა, საერთოდ, შეთქმულების საქმეში. ცარიზმის მოსაზრება შეთქმულების მონაწილეთა დანაშაულის „შემსუბუქებაში" შენიშნული აქვს ალ. ორბელიანსაც, რომელიც თავის მოგონებაში წერს: „იქამდისინ ოსტატნი არიან რუსეთის მთავრობა, რომ იძულებულ ქმნილთა და შეწუხებულებს — ყველას ათქმევინეს შეთქმულებს და სხვანიცა მრავალნი ალაპარაკეს, რომ რაც მოხდა, ეს მამულის გამოხს-

---

[1] Акты, т. VIII, стр. 292—293.

ნის შეთქმა არ არის, სხვას მნიშვნელობას აძლევდნენ, რაღაც სხვა მიზეზებს. ეს რუსეთის მთავრობის საიდუმლო არის, რომელიცა იმან უნდა იცოდეს და სხვამ არავინ, რისთვისაც სდებდა სხვა მიზეზებსა"[1].

მართებულად შენიშნავს პროფ. ა. კიკვიძე, რომ „მთავრობის სასარგებლოდ საჭირო იყო ამ ბრძოლას გამოცლოდა სერიოზული ნიადაგი, მით უფრო აუცილებელი იყო საქმის ასე წარმართვა, რომ მეფის მთავრობას არ შეეძლო ქართველი თავადაზნაურობისათვის მიეცა ახალი და უფრო დიდი უკმაყოფილების საბაბი, მას არ შეეძლო ჩამოეცილებინა თავისი თანამშრომელი პრივილეგიური წოდება. აქედან განისაზღვრა სასჯელის ზომები შეთქმულების მონაწილეთა მიმართ"[2].

4. თვით შეთქმულებმა შეძლეს, რომ გამოძიებისათვის დაეშალათ საქმის არსებითი მხარე. შეთქმულნი ადრევე ითვალისწინებდნენ ჩავარდნის მოსალოდნელობას და ყოველ ახალ მინდობილს პირველ მოვალეობად აკისრებდნენ შეთქმულების გამომჟღავნების შემთხვევაში საიდუმლოების დაცვას.

„რაც არ უნდა გვტანჯონ, არ გამოვტყდეთ"[3], — უთხრა გიორგი ერისთავმა ალ. ორბელიანს დაპატიმრების წინ. ეს იყო დევიზი ყველა შეთქმულისა, მაგრამ იასე ფალავანდიშვილის დასმენა ისე დაწვრილებით იყო შედგენილი, რომ ყველაფრის დაფარვა ბოლომდე შეუძლებელი შეიქნა. ბევრმაც სულმდაბლობა გამოიჩინა. შეთქმულების წამყვანმა პირებმა ასეთ ვითარებაში უმჯობესად ჩათვალეს მათი მოქმედებისათვის პრიმიტიული ხასიათი მიეცათ, გამოეცალათ მისთვის პოლიტიკური და პროგრამული საფუძველი, გამოეცხადებინათ იგი შემცდარი ახალგაზრდობის უნაყოფო და განუხორციელებელ ოცნებად. შეთქმულებმა ამას (მით უმეტეს, რომ მთავრობასაც ასე აწყობდა) მიაღწიეს. ამიტომაა, რომ კომისიის დაკითხვის მასალებში ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი, ერთი შეხედვით, მეტად დაუწუხებელ, ბუნდოვან, მოუმწიფებელ მოვლენად გამოიყურება.

---

[1] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

[2] ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია, გვ. 178.

[3] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

1832 წლის შეთქმულების გაშუქება ქართულ ისტორიოგრაფიაში

1832 წლის შეთქმულება, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიაში, მომდევნო თაობის პოლიტიკურ მოღვაწეებს და მკვლევარებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ.

პირველი შეფასება 1832 წლის შეთქმულებას XIX საუკუნის 60—70-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადმა ილია ჭავჭავაძემ მისცა, რითაც მან ნათლად გამოხატა მისი თაობის, როგორც მემკვიდრის, დამოკიდებულება ოცდაათიანელთა პოლიტიკური იდეალებისადმი.

„მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველ წლების წეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედი დააკარგვინა, როცა შემთხვევა მიეცა, თავი თითქო მოსვენებას მისცა: გაუყუჩდა, და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილს ბედსა და გარემოებას... მართალია, ამ სენების ხანაშიაც კიდევ დაჰნათოდა ჩვენს ცხოვრებას შუქი წინა-დღის ჩამავალის მზისა, წინა-დღიდგან გამოყოლილნი და გულში ჩარჩენილნი ანდერძნი კიდევ ასულდგმარებდნენ საზოგადო მოღვაწეთა, და თუმცა ამისთანა მოღვაწეებმა, ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დაჰმარცხდნენ... დამარცხებულნი სრულად გაეცალნენ ცხოვრების სარბიელიდამ, დაიქსაქსნენ, თუმცა კი გულის ტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში“[1], — წერდა ილია ჭავჭავაძე.

ცენზურული შეზღუდვის ვითარებაში ილია ჭავჭავაძეს 1832 წლის შეთქმულების პირდაპირი დასახელება არ შეეძლო, მაგრამ ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ მოტანილ სტრიქონებში ქართველ ოცდაათიანელთა პოლიტიკური იდეოლოგიაა გადმოცემული. ილია ჭავჭავაძე არ იზიარებდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა კონსერვატიზმს, მაგრამ ეს შეთქმულება მაინც ცხოვრების ხნულში ჩაგდებულ პირველ თესლად

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, 1953, გვ. 203—204.

მიაჩნდა, რაც ახალ ვითარებაში უნდა გაღვივებულიყო და გაზრდილიყო.

დამახასიათებელია ისიც, რომ ი. ჭავჭავაძემ თერგდალეულთა პოლიტიკური ორგანო „დროება“ სოლომონ დოდაშვილის მიერ 1831 წელს დაარსებული გაზეთის მემკვიდრედ გამოაცხადა. 1876 წელს გაზ. „დროების“ ათი წლისთავთან დაკავშირებით გამართულ შეკრებაზე, რომელსაც. ს. მესხი, ნ. ნიკოლაძე, ბ. ღოღობერიძე, კ. მამაცაშვილი და სხვები ესწრებოდნენ, ი. ჭავჭავაძემ მადლიერების გრძნობით მოიხსენია მათი დიდებული წინაპრების — ს. დოდაშვილის, გ. ერისთავის ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში და თქვა: „უველას სამართალი ითხოვს, რომ უველას თავისი მიეწყოს. თუმცა იმ დროშაზედ, რომელზედაც უფ. მესხიევმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან; საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“[1].

ამ ამონაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე ოცდაათიანელთა საქმიანობას თვლიდა იმ საფუძვლად, რომელზედაც 60—70-იან წლებში ახალი ვითარების შესაბამისად ეროვნული მოძრაობა ახლებურად გაიშალა. ოცდაათიანელთა პოლიტიკური იდეალებისადმი ილიასმაგვარი დამოკიდებულება ნათლად გამოსჭვივის XIX საუკუნის 70—80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის ბრწყინვალე წარმომადგენლების: აკაკი წერეთლის, ი. ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილის და სხვათა შეხედულებებში.

1832 წლის შეთქმულებისადმი, როგორც საქართველოს ისტორიული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენისადმი, ინტერესი ქართულ ისტორიოგრაფიაში თერგდალეულთა შემდეგ უფრო გაცხოველდა.

ამასთან, XX საუკუნის დასაწყისიდან საზოგადოებრივ ასპარეზზე მრავალრიცხოვანი ბურჟუაზიულ-ნაციონალური პარტიების გამოჩენამ, რომლებიც თავიანთი პარტიული თვალსა-

---

[1] გაზ. „დროება“, 1876, № 24, იხ. მ. გ ო ც ა ძ ე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბილისი, 1954, გვ. 210—211.

ზრისით ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების შეფასებას სავალდებულოდ მიიჩნევდნენ, 1832 წლის შეთქმულებაზე შეხედულებანი მეტად გაამრავალფეროვანა.

ცნობილმა ქართველმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ 1905 წელს ჟურნალ „მოამბეში" დაბეჭდა 1832 წლის შეთქმულებისადმი მიძღვნილი სპეციალური წერილი სათაურით — „პოლიტიკური რომანტიზმი". ეს პირველი ვრცელი სტატია, რომელშიც „აქტებზე" დაყრდნობით მაშინდელ მეცნიერულ დონეზე გაშუქებულია შეთქმულების ჩასახვა, მისი საქმიანობა და დამარცხების მიზეზები"[1]. თვით სათაური მიგვითითებს, რომ ავტორი შეთქმულთა მიზნებს, მათ მთელ საქმიანობას უნაყოფო ოცნებად და დამარცხებისათვის წინასწარ განწირულად მიიჩნევდა.

კ. აბაშიძეს მიაჩნდა, რომ მიზანი, რასაც შეთქმულნი ისახავდნენ, თავისთავად დიადი, „რაინდული", „მომხიბვლელი" და „ზღაპრულის შარავანდედით" მოსილი იყო[2]. ეს იყო აღშფოთება ყოველივე იმისადმი, რაც „ჩირქსა ცხებს კაცისა და ერის ღირსებას", ეს იყო ბრძოლა მჩაგვრელი, უცხო ძალის წინააღმდეგ, ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. რუსეთის ცარიზმმა, კ. აბაშიძის სიტყვებით, „წაართვა ქართველებს ის, რის დასაცავადაც წუდებოდა და თავსა დებდა ხალხი საუკუნეების განმავლობაში". სამშობლოდაკარგული ქართველის გულში რუსეთის მთავრობისადმი წინააღმდეგობამ იმთავითვე დაიბუდა. ამ გაბოროტებამ თავისი გამოვლენა პოვა 1802, 1804, 1812 წლების აჯანყებებში. 1832 წლის შეთქმულება განაწყენებული თავადაზნაურობის უკანასკნელი გაბრძოლება იყო. მაგრამ შეთქმულებას არ ეწერა წარმატება და მისი ასე დამთავრება შედეგთა შორის „საუკეთესო იყო"[3]. შეთქმულებას არ ჰქონდა არც ისეთი ძალა, არც მოხერხება და არც ღონე, რომ რაიმე თვალსაჩინო სასარგებლო შედეგი მოჰყოლოდა. „თქმა არ უნდა, მისი საფუძველი ღრმა იყო, თქმა არ უნდა, დაწყება და ზოგიერთი ღონისძიება სწორედ

---

[1] კიტა აბაშიძე, ჟურნ. „მოამბე", № 1, 1905.
[2] იქვე, გვ. 3.
[3] იქვე, გვ. 26.

რიგიანი იყო. თქმა არ უნდა იმასაც, რომ კომისიას კარგად ვერ გამოურკვევია საქმე, მაგრამ ყოველივე ამის გარდა საქმის დამწყებთ არ დაუყენებიათ ისეთ საღ ნიადაგზე შეთქმულება, რომ რაიმე მოეტანოს, და ეს არათუ იმიტომ, რომ არ უნდოდათ, არამედ იმიტომ, რომ არ იყვნენ საკმაოდ განსწავლულნი და გამოცდილნი"[1].

კიტა აბაშიძის აზრით, 1832 წლის შეთქმულებით დასრულდა ქართველ თავად-აზნაურთა ფრონდისტული განწყობილება. „ამ დღიდან თავადაზნაურობა გადაგვარების გზას დაადგა, ვითომდა პოლიტიკურის რეალიზმის თაყვანისმცემელი შეიქმნა, ნამდვილად კი დაცემისა და გათახსირების მაგალითის მეტს აღარას იძლევა რას, ერთ დროს ეს ბრწყინვალე წოდება"[2].

კიტა აბაშიძის მსგავსი თვალსაზრისი შეთქმულების შესახებ გამოთქმული აქვს ფედერალისტური პარტიის იდეურ მესვეურს არჩილ ჯორჯაძეს. „ჩვენშიც იყო 1832 წლის „შეთქმულება", — წერს ჯორჯაძე, — ჩვენებურ მამულიშვილებს სწადდათ საქართველოს „განთავისუფლება", მაგრამ რა ბავშვური იყო მათი ოცნება და რა გულუბრყვილო მათი პოლიტიკური აზროვნება. უმეტეს შემთხვევაში, ნადიმებსა და სადილობის დროს სწყვეტდნენ თავიანთ საქმეებს, ღვინით შეზარხოშებულებს ვარდისფრად ეჩვენებოდათ ყოველივე. ხოლო შემდეგში, როდესაც ოცნების ფრთები შეაჭრეს, რა მალე დამშვიდნენ, რა წარმატებით და გულმოდგინეობით ემსახურებოდნენ სამოქალაქო თუ სამხედრო ასპარეზზე იმავ მთავრობას, რომლის წინააღმდეგ გუშინ ილაშქრებდნენ"[3]...

ქართული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლების არჩილ ჯორჯაძისა და კიტა აბაშიძის ასეთი დამოკიდებულება 1832 წლის შეთქმულებისადმი არ ყოფილა შემთხვევითი, იგი მათი პარტიის კლასობრივი თვალსაზრისიდან მომდინარეობდა.

ფედერალისტების ეროვნული ლოზუნგი, როგორც ცნობილია, მემამულურ-ბურჟუაზიულ რუსეთში საქართველოს ავ-

---

[1] კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე, ჟურნ. მოამბე, № 1, 1905, გვ. 36.

[2] იქვე, გვ. 48.

[3] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზ., წიგნი მეხუთე, 1914, გვ. 199.

ტონომია იყო. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მეფის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ იდეალად მიაჩნდათ. ქართველი ხალხის უბედურების ძირითად მიზეზს ა. ჯორჯაძე ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობაში ხედავდა, ხოლო ამ ხალხის იდეალს სახელმწიფოებრიობის აღდგენასა და მის რეორგანიზაციაში[1]. ფედერალისტებს მიაჩნდათ, რომ ქართველი სახელმწიფოებრიობის დაცვის უკეთილშობილესი მისია ვერ შეასრულა თავადაზნაურობამ. მისი ბრძოლა ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის არ იყო რეალური, არ იყო პოპულარული. თავადაზნაურობა XIX საუკუნისათვის გადაგვარების გზას დაადგა, დაკნინდა, ვერ შეეგუა ცივილიზაციის ეპოქას, ვერ შეელია ნადიმებსა და დროსტარებას. ერის განთავისუფლების კეთილშობილური საქმე მათ ნადიმებზე უნდოდათ გადაეწყვიტათ. ხალხისაგან ფარულად მოქმედებდნენ. ამიტომ მათი პატრიოტიზმი (პოლიტიკური რომანტიზმი), მტკიცე წინააღმდეგობას რომ წააწყდა, გაქარწყლდა და ტახტისადმი ერთგულების გრძნობითა და ჩინისმოყვარულობით შეიცვალა.

ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის მისია, ფედერალისტების აზრით, მემკვიდრეობით მიიღო ქართულმა ბურჟუაზიამ, რომელიც მთელი ერის ინტერესებს განასახიერებს და უნარიც გააჩნია სათავეში ჩაუდგეს საერთო-ეროვნული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას. პოლიტიკური რომანტიზმი ბურჟუაზიამ პოლიტიკურ რეალიზმად, ყოველდღიურ საბრძოლო ამოცანად გადააქცია. ამიტომაც ბურჟუაზიის დროშის ქვეშ მთელი ქართველი ერი უნდა დაირაზმოს, ხოლო ერის ყველა წოდება, ყველა კლასი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთო ნიადაგზე დადგეს[2] და დავიწყებას მისცეს ყოველგვარი საწყენი, კლასობრივი შფოთი და არეულობანი.

ისტორიულ ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ ქართველი ფედერალისტების ეს თვალსაზრისი ასახავდა არა მთელი ერის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართული ბურჟუაზიის ინტერესებს, ბურჟუაზიისა, რომელსაც ხალხის დაბ-

---

[1] კ. აბაშიძე, თხზ., ტ. I, გვ. 109; ტ. II, გვ. 171, 226.
[2] იხ. ა. ჯორჯაძე, თხზ., ტ. IV.

მარებით გამდიდრების გზაზე ლელოს გატანა და ქვეყნის საბაჟო ზღუდეებით შემოფარგვლა სურდა.

ბურჟუაზიის იდეოლოგები განგებ აფუჩეჩებდნენ ქართველი ერის სხვადასხვა კლასს შორის გამწვავებულ ანტაგონისტურ წინააღმდეგობას, ებრძოდნენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, რომ ამით გაერთიანებული რევოლუციური ფრონტი დაესუსტებინათ. ბურჟუაზიულ-მემამულური რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს პოლიტიკური ავტონომია სხვა არა იყო, თუ არა საქართველოს მშრომელი მასების ექსპლოატაციის დაკანონება.

ცხადია, მარქსისტებს, რომლებიც სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან მშრომელი მასების განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდნენ, არ შეეძლოთ გაეზიარებინათ ბურჟუაზიული ნაციონალისტების თვალსაზრისი ქართველი ხალხის არც მომავალზე და არც წარსულზე. ისიც ცნობილია, რომ ქართველმა მარქსისტებმა ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მთელი იდეოლოგია შესანიშნავად გამოამზეურეს და გააცამტვერეს.

900-იან წლებში გამძლავრებული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის კლასობრივი ბუნების მხილებას და ნაციონალურ საკითხში პროლეტარიატის ინტერესების განმარტებას ისახავდა მიზნად ი. ბ. სტალინის სტატია — „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“, რომელიც 1904 წელს გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლაში“ გამოქვეყნდა.

ი. ბ. სტალინმა ამ სტატიაში ბრწყინვალე განმარტება მისცა ეროვნული საკითხის თავადაზნაურულ, ბურჟუაზიულ და პროლეტარულ თვალსაზრისებს, განიხილა თვითეული მათგანის კლასობრივი საფუძველი, მოგვცა მათი ბუნების შეფასება მშრომელი მასების გამათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებით. თავის ძირითად დებულებებს ი. ბ. სტალინმა წარუმძღვარა მარქსისტული ჰეშმარიტება იმის შესახებ, რომ „ნაციონალური საკითხი“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერესებს ემსახურება, სხვადასხვა ელფერს იღებს იმის მიხედვით, თუ რომელი კლასი და როდის წამოაყენებს მას“[1].

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, 1953, გვ. 32.

„იყო ჩვენში, მაგალითად, — აღნიშნავს ი. ბ. სტალინი, — ეგრეთწოდებული თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი“, როცა — „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა. იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამრიგად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედიღბალი! ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“, ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოძრაობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადაზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში“[1].

ი. ბ. სტალინის ნაშრომის ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ იგი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, 1832 წლის შეთქმულების ბუნების გარკვევის ამოსავალი, მისი შეფასების საზომი გახდა ქართულ მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში.

მარქსისტი ისტორიკოსები ვალდებულად თვლიდნენ თავს შეთქმულების შეფასებისას ი. ბ. სტალინის აღნიშნული ციტატა მოეტანათ და შეთქმულება ფეოდალური ნაციონალიზმის რუბრიკის ქვეშ მოექციათ, რათა ამით მისი „რეაქციული ხასიათი“ დაედასტურებინათ.

მაგრამ, თუ ი. ბ. სტალინის სტატიის ამ ადგილს ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ 1832 წლის შეთქმულება სხვა ასპექტშია მოქცეული და „ფეოდალური ნაციონალიზმის“ რეაქციულ არსს არ ექვემდებარება. მოტანილ ციტატაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ ფეოდალურ-მონარქიულმა ნაციონალიზმმა შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ქართველების ცხოვრებას. ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა თავი, თუ მხედ-

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32—33.

ვ ე ლ ო ბ ა შ ი ა რ მ ი ვ ი ღ ე ბ თ (ხაზი ჩვენია—ა. ს.) ქართველი თავად-აზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველობის წინააღმდეგ კავკასიაშიო.

ძნელი არაა იმის ამოცნობა, რომ „ზოგიერთი შეთქმულება რუსი მმართველობის წინააღმდეგ“, პირველ რიგში, 1832 წლის შეთქმულებაა, რომელიც, ი. ბ. სტალინის განმარტებით, ისეთ ფაქტთა რიგს განეკუთვნება, რომლითაც ქართველობამ თავიც ისახელა და. რომელმაც ქართველების ცხოვრებას შესამჩნევი კვალიც დააჩნია. ამრიგად, 1832 წლის შეთქმულება გამოცალკავებულია ფეოდალური ნაციონალიზმის საერთო მოძრაობიდან, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც დასაბამი მისცა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას XIX საუკუნეში. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ი. ბ. სტალინის სტატიის დანიშნულებას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის კრიტიკა და პროლეტარიატის ნაციონალური საკითხის განმარტება შეადგენდა, ამიტომ მას ყურადღება არ გაუმახვილებია 1832 წლის შეთქმულებაზე. გამოყო რა იგი ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის მოძრაობათაგან, როგორც დადებითი მოვლენა, მან მთელი ყურადღება ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე გადაიტანა. შემთხვევითი როდია, რომ ამ სტატიაში ი. ბ. სტალინს ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი XIX საუკუნის მეორე ნახევრის იმ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, რომელიც უაღრესად დადებითი მოვლენა და წამყვანი მოძრაობა იყო ქართველთა ცხოვრებაში XIX საუკუნის მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში. ი. ბ. სტალინს 1832 წლის შეთქმულება და თერგდალეულთა ეროვნული მოძრაობაც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენებად მიაჩნდა. ისინი არ ექვემდებარებოდნენ არც ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოძრაობის მესვეურნი თავად-აზნაურთა კლასს ეკუთვნოდნენ, და არც ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს და ამდენად მისი სტატიის განსახილველი საგნების გარეშე იდგნენ.

რაც შეეხება ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის სხვა მოძრაობებს, ამ რუბრიკის ქვეშ ი. ბ. სტალინს ნაგულისხმევი აქვს და ისტორიკოსმა უნდა განიხილოს 1802 წლის თავადაზნაურული შეთქმულება და ის მოძრაობანი, რომელთაც

ქართველი თავადაზნაურობა 1804, 1812 და 1818—1819 წლების მასობრივ აჯანყებებთან მიტმასნებისას იჩენდა. 1832 წლის შეთქმულება კი, როგორც ზევით დავინახეთ, სრულიად განსხვავებულ მოვლენათა რიგს ეკუთვნის.

1832 წლის შეთქმულება თავადაზნაურულ, რეაქციულ მოძრაობად მიაჩნდა ნ. ჟორდანიას. არჩილ ჯორჯაძესთან გაცხარებულ კამათში ნ. ჟორდანიამ ყველა მოძრაობა, მიმართული რუსეთის წინააღმდეგ და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, რეაქციულად გამოაცხადა. „მას შემდეგ, — წერს ნოე ჟორდანია, — რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ნაციონალური მოძრაობა არაერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავადაზნაურობის, ან ინტელიგენციის, არასოდეს ხალხის. კახეთის არეულობა გასული საუკუნის დასაწყისში, შეთქმულება მეოცდაათე წლებში (დოდაევი და სხვ.) იყო საქმე თავადაზნაურების და მისი მაშინდელი განათლებული შვილების. შემდეგ მოწინავე წოდება შეურიგდა რუსეთის შემოსევას, ვერ შეურიგდა მხოლოდ ინტელიგენცია, რომელიც მუდამ „საქართველოს განთავისუფლებაზე“ ოცნებობდა. ან „1832 წლის შეთქმულება“ წმინდა ინტელიგენტური საქმე იყო; „საქართველოს განთავისუფლება“, პროგრამების დაწერა, ლიგის შედგენა და სხვ. ასეთი მერმეც ხშირად ყოფილა ჩვენი ინტელიგენციის ყურადღების საგანი, მარა არც ერთი ეს არ ხატავდა რომელიმე წოდების რეალურ მიდრეკილებას“[1]

ნ. ჟორდანია 1832 წლის შეთქმულებას 1860—1870-იანი წლების მოძრაობას უკავშირებდა, მაგრამ ორივე ინტელიგენციის უნაყოფო ოცნებად მიაჩნდა, რომელთაც ცხოვრებას კვალი ვერ დაამჩნია, რადგან არც ერთი წოდების ინტერესს არ გამოხატავდა.

რევოლუციამდელ საქართველოში 1832 წლის შეთქმულების შესახებ გამოითქვა რამდენიმე შეხედულება, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია იმჟამად რუსეთში მოღვაწე მკვლევარების ა. ხახანაშვილის და ი. ჯავახიშვილის თვალსაზრისი.

პროფესორმა ა. ხახანაშვილმა თავის ცნობილ ნარკვევში

[1] ნ. ჟორდანია, ეროვნული კითხვა, გვ. 57, 104—105.

Очерки по истории грузинской словесности (Литература XIX в.) ფართოდ განიხილა შეთქმულების მონაწილე ქართველ ოცდაათიანელთა (ს. დოდაშვილის, ფილადელფოს კიკნაძის, ა. ჭავჭავაძის, ალ. ორბელიანის) ლიტერატურა, ამასთან ცალკე ქვეთავი მიუძღვნა XIX საუკუნის დასაწყისის საზოგადოებრივ მოძრაობას საქართველოში. ხახანაშვილის აზრით, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა როლი საქართველოს ისტორიულ განვითარებაში თავისი მნიშვნელობით უტოლდება დეკაბრისტების როლს რუსეთში[1].

ა. ხახანაშვილის შრომებიდან არ ჩანს, თუ როგორ ესმოდა მას დეკაბრისტების როლი რუსეთში. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მას, როგორც ლიბერალური მიმართულების მკვლევარს, დეკაბრისტული მოძრაობა XIX საუკუნის რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესულ მოვლენად უნდა მიეჩნია. თუ ვარაუდი სწორია, ასევე პროგრესულად მიუჩნევია მას 1832 წლის შეთქმულებაც. ა. ხახანაშვილი ამ თვალსაზრისს არ შლის. მიუხედავად ამისა, უნდა მივიჩნიოთ, რომ რევოლუციამდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს შეხედულება ფრიად გაბედულად და პროგრესულად გამოიყურება.

1832 წლის შეთქმულებას ძირითადად სწორი შეფასება მისცა 1905 წელს გამოქვეყნებულ შრომაში მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტმა ივანე ჯავახიშვილმა. ი. ჯავახიშვილის სტატია, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის მშფოთვარე წლებშია დაწერილი, მიზნად ისახავდა რუსული საზოგადოებრიობისათვის აეხსნა მიზეზები ქართველი ხალხის იმ მძაფრი შემართებისა, რომელმაც მაშინ მთელი იმპერია და მსოფლიოც გააკვირვა. დაესაბუთებინა, რომ ამ მოძრაობას გააჩნდა ღრმა საფუძველი[2].

განიხილავს რა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში რუსული მფარველობის დამკვიდრებიდან, ი. ჯავახიშვილი იძლევა საქართველოში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობათა განხილვა-შეფასებას და მათ შორის

---

[1] А. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности (Литература XIX в.), 1906, стр. 29.

[2] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. V.

ყურადღებას ამახვილებს 1832 წლის შეთქმულებაზე. ი. ჯავახიშვილს 1832 წლის შეთქმულება მიაჩნია ცარიზმის მიერ საქართველოში დამკვიდრებული რეჟიმისადმი მტრული განწყობილების მორიგ გამოვლინებად, მაგრამ ამასთან ერთად განწირულად დამარცხებისათვის, რადგან იგი შორს იყო ხალხისაგან და მისი მხარდაჭერით ვერ ისარგებლებდა.

„ახლა, როდესაც გაგვაჩნია დოკუმენტები, შეიძლება ითქვას, რომ ი. ფალავანდიშვილის მხრივ გაცემის მიუხედავად, შეთქმულებას არავითარი წარმატება არ ექნებოდა. ეს არა იმიტომ, რომ ქართულ საზოგადოებრიობაში არასაკმაო იყო უკმაყოფილება და გაბოროტება იმ რეჟიმისადმი, რომელიც რუსეთის მთავრობამ შემოიღო, არამედ იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს ქართველ გლეხობაში მწიფდებოდა მძლავრი მღელვარება და იგი მხარს არ დაუჭერდა თავადაზნაურული წოდების ამბოხებას“[1].

ი. ჯავახიშვილს აქ მართებულად აქვს მინიშნებული თავადაზნაურული შეთქმულების სოციალურ კონსერვატიზმზე, რაც მისი დამარცხების ერთ-ერთი მთავარი შემაპირობებელი იყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მკვლევარი შეთქმულებას მაინც ანტიცარისტულ, გამათავისუფლებელ მოძრაობათა რიგში ათავსებს.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული კვლევა-ძიება გიგანტური ნაბიჯით წავიდა წინ და შეიქმნა ჩვენი ერის ჰეშმარიტად მეცნიერული ისტორია, 1832 წლის შეთქმულება მაინც შედარებით მივიწყებულ უბნად დარჩა.

30-იან წლებში პირველი ნაბიჯი ამ შეთქმულების მეცნიერული შესწავლის საქმეში გიორგი გოზალიშვილმა გადადგა, რომელმაც, გაიცნო რა მანამდე პეტერბურგში დაცული მასალები შეთქმულების შესახებ, ამ დოკუმენტებისა და მასალების ერთი ნაწილი ვრცელი შესავლით გამოაქვეყნა[2]. პროფ. გოზალიშვილმა შეთქმულება იმ დროის ევროპაში გავრცელებული ლიბერალური იდეების, კერძოდ, რუსეთში დეკაბრისტული მოძრაობის განმეორებად გამოაცხადა.

---

1 ი. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

2 იხ. გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, ტ. I.

1927 წელს ჟურნალ „საქართველოს არქივის“ მეორე წიგნში რუსეთის არქივების ბრწყინვალე მცოდნემ პროფ. მიხეილ პოლიევქტოვმა გამოაქვეყნა წერილი „საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის საქართველოში“[2]. მანამდე მკვლევარები ამ შეთქმულების შესწავლისას მხოლოდ აქტების VIII ტომში გამოქვეყნებულ მასალებს ეყრდნობოდნენ. პროფესორმა მიუთითა ლენინგრადის ფონდზე, რომელიც შეიცავდა 1832 წლის შეთქმულების მთავარ მასალას და ამ ფონდის აღწერილობაც მოგვცა. გაეცნო რა ამ ფონდებს, როგორც ძვირფას მასალას შეთქმულების ოდეური ჩანაფიქრის გაგებისათვის, მ. პოლიევქტოვმა მოგვცა კიდეც მისი ზოგადი შეფასება.

„თავისი გარეგნული ფორმების მიხედვითაც კი 1832 წლის შეთქმულება (მისი ჩასახვა ჯერ ისევ ოციანი წლების ბოლოს უნდა მივაკუთვნოთ) გვაგონებს იმ ნაციონალურ-გამათავისუფლებელ მოძრაობებს, რომლებითაც ასე მდიდარია იმავე ეპოქის ევროპული ქვეყნების ისტორია. ნახევრად მისტიური, ნახევრად რევოლუციური ხასიათის ფარული საზოგადოება, მორალური განახლების ქადაგება როგორც მოსამზადებელი საფეხური პოლიტიკური განთავისუფლებისათვის, ლიტერატურული პროპაგანდა, შეთქმულებითი ხასიათის გამოსვლა არასაკმარისი მასიური ორგანიზაციით მღვდელ-მონაზონი ფილადელფოს კიკნაძე ადგენს „ფარული და განუწყვეტელი მეგობრობის აქტს“ და წერს „იერემიას გოდებას ივერიის აწინდელი მდგომარეობის გამო“. სოლომონ რაზმაძე თხზავს პოლიტიკურ იგავს „დათვი და ცხვარი“ და თარგმნის „საფრანგეთის 1830 წლის მთავრობის დეკრეტებს“. დოდაშვილი იწყებს ქართული გაზეთის გამოცემას. დიმიტრი ერისთავი კომენტარებს უკეთებს საქართველოს რუსეთთან შეერთების 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტს და ადგენს „ამბოხების პირველი ღამის განკარგულებას“. მა-

---

[1] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[2] მ. პოლიევქტოვი, საარქივო მასალები 1832 წლის შეთქმულების ისტორიისათვის, საქართველოს სახ. არქივი, წ. II, 1927, გვ. 110—'23.

სონობა, კარბონარიზმი, პუშკინის „кинжал“-ი, მიცკევიჩის პოეზია და 1830 წ. პოლონეთის რევოლუციური მეთოდები. ყველა ეს, რასაკვირველია, მეტად დაყრუებული და დასუსტებული ტონით, აი რა აგონდება უპირველეს ყოვლისა ადამიანს, როდესაც მთელი თავისი სიფართით იშლება მის წინაშე 1832 წ. ქართული შეთქმულების სურათი“. (და შემდეგ შენიშვნაში) „იდეურად 1832 წლის შეთქმულება უეჭველად იმავე ხასიათის მოვლენაა, როგორც ყველა მოხსენებული. აქედან, რასაკვირველია, არ შეიძლება დასკვნის გამოტანა რაიმე ორგანიზაციული კავშირის არსებობის შესახებ ქართულ შეთქმულებასა და XIX საუკუნის 20—30-იანი წლების ევროპის რევოლუციურ მოძრაობათა შორის“[1].

მ. პოლიევქტოვი პირველი მკვლევარია, რომელმაც 1832 წლის შეთქმულება განიხილა 20—30-იანი წლების ევროპის ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობათა ფონზე და მათ იდეურ კავშირზე მიუთითა. გამოცდილ მკვლევარს ამის საფუძველს აძლევდა შეთქმულების საარქივო მასალების გაცნობა და ცოდნის ფართო ჰორიზონტი, რომლითაც ასე გამოირჩეოდა განსვენებული პროფესორი[2].

ოცდაათიანი წლების პირველი ნახევარი საქართველოში წვრილბურჟუაზიულ-მემამულურ და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ისტორიოგრაფიაზე მარქსისტული ისტორიოგრაფიის მძაფრი შეტევის და მისი საბოლოო იდეური დამარცხების პერიოდს წარმოადგენდა. ისტორიკოსთა ახალი თაობის მეკვლეები საქართველოს ისტორიის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით შესწავლის და მეცნიერულად განზოგადების საქმეში იყვნენ ბოლშევიკური პარტიის უძველესი მოღვაწენი: ფ. მახარაძე, მ. ტოროშელიძე, მ. ორახელაშვილი, პროფესორი გ. ხაჭაპურიძე და სხვები. მაგრამ ამ პერიოდის

---

1 მ. პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 111—112.

2 მ. პოლიევქტოვის შეხედულება 1832 წლის შეთქმულებაზე მთლიანად გაიზიარა პოეტმა და მკვლევარმა იოსებ გრიშაშვილმა, ალექსანდრე ჰაევჰავაძის თხზულებათა სრული კრებულის რედაქტორმა, რომელმაც 1940 წელს ვრცელი ნარკვევი უძღვნა ალ. ჰაევჰავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას (იხ. ალექსანდრე ჰაევჰავაძე, თხზულებანი, 1940).

ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია განიცდიდა ე. წ. „პოკროვსკის სკოლისა“ და „რაპელობის“ გავლენას, რაც ისტორიული კვლევა-ძიების დროს ხელოვნური სოციოლოგიური საქმეების შემუშავებასა და დემოკრატიული მემკვიდრეობისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებაში ვლინდებოდა.

სწორედ ამ ხანებში გამოაქვეყნა ფილიპე მახარაძემ თავისი ცნობილი ნაშრომი „საქართველო XIX საუკუნეში“, რომელიც საქართველოს ისტორიის მეტად მდიდარი და რთული პერიოდის მარქსისტულ-ლენინური სისტემატური გაშუქების პირველ ცდას წარმოადგენდა. ეს ნაშრომი დიდი მოვლენა იყო თავის დროზე, მან სწორი შეფასება მისცა საქართველოს ისტორიის რიგ საკვანძო საკითხებს და მართებულად მოხაზა მოვლენათა მსვლელობა და ურთიერთკავშირი, მაგრამ ამასთან ნაშრომი ზოგიერთი ფაქტისა და მოვლენის შეფასებაში ჰუმანიტარულ მეცნიერებებში იმ დროის მოდურ მიმდინარეობათა დაღს ატარებდა და პრინციპულ შეცდომებსაც შეიცავდა. ერთ-ერთ ასეთ შეცდომად ჩვენ მიგვაჩნია 1832 წლის შეთქმულების შეფასება, რომელიც სამწუხაროდ, დიდხანს იყო გავრცელებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

ფ. მახარაძემ ამ ნაშრომში სპეციალური ქვეთავი მიუძღვნა ოცდაათიანელთა მოძრაობას და მას „აზნაურულ-მონარქისტული შეთქმულება“ უწოდა. „შეთქმულებს მიზნად ჰქონდათ დასახული, — წერს ფ. მახარაძე, — ჩამოეშორებინათ საქართველო რუსეთისათვის და ტახტზე აეყვანათ ერთერთი უფლისწული, ე. ი. აღედგინათ მმართველობის ის სახე, რომელიც საქართველოში რუსეთის მხრივ ანექსიამდე არსებობდა. ერთი სიტყვით, საქართველო უნდა დაბრუნებოდა ძველ წეს-წყობილებას, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. 1832 წლის შეთქმულება იყო ქართველი მონარქისტების უკანასკნელი ცდა აღედგინათ ფეოდალური მონარქია. ამიტომ იგი შეიძლებოდა წინასწარვე ჩაგვეთვალა დამარცხებისათვის განწირულად“[1].

[1] Ф. Махарадзе, Грузия в XIX столетии (краткий исторический очерк), 1933, стр. 56.

ამ დროიდან 1832 წლის შეთქმულებას „ფეოდალურ-მო-ნარქიული“ ეწოდა და იგი მკვლევართა შრომებში განიხილებოდა როგორც იმ რიგის მოძრაობა, რომელიც საქართველოს ისტორიული ჩარხის უკუღმა დატრიალებას ისახავდა მიზნად. ფ. მახარაძის შეფასების გავლენითაა დაწერილი ის მკვეთრად უარყოფითი რეცენზია, რომელიც 1935 წელს შ. ჩხეტიამ გ. გოზალიშვილის ნაშრომზე გამოაქვეყნა[1].

1946 წელს ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა საიუბილეო გამოცემის წინწამძღვარებულ ისტორიულ-ბიოგრაფიულ ნარკვევში პავლე ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ნ. ბარათაშვილი, ავტორი „ბედი ქართლისა“, არის მემკვიდრე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოსახულება 1832 წლის შეთქმულებაში პოვა“. პ. ინგოროყვამ შეთქმულება მონარქისტულად გამოაცხადა, მაგრამ მისგან ე. წ. მემარცხენე ფრთა გამოყო და ეს უკანასკნელი დეკაბრისტებისა და ევროპის ოც-ოცდაათიანი წლების გამათავისუფლებელი მოძრაობის გავლენის ქვეშ მყოფ და მისი იდეებით გატარებულ დაჯგუფებად გამოაცხადა. პ. ინგოროყვას არ მოუცია თავის მოსაზრებათა დასაბუთება. მიუხედავად ამისა, 1932 წლის შეთქმულებაზე, როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე მინიშნება, ფრიად საყურადღებო და ანგარიშგასაწევი მოსაზრება იყო, რომელმაც შემდეგ დასაბამი მისცა. შეთქმულებაში პროგრესული ელემენტების უფრო გაბედულ ძიებას.

1949 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში გამოიცა 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილის სოლომონ დოდაშვილის ლოგიკა[2], რომელსაც წარემძღვარა რედაქტორის ალ. ქუთელიას ნარკვევი — „სოლომონ დოდაშვილი და მისი ლოგიკა“. ნარკვევში, რომელიც დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცელ მიმოხილვას შეიცავს, ცხადია, მოცემულია

---

[1] ჟურნ. „მნათობი“, 1935, № 12, გვ. 236—244.

[2] ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, ფილოსოფიის კურსი, პირველი ნაწილი, ლოგიკა, ალ. ქ უ თ ე ლ ი ა ს რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1949.

1832 წლის შეთქმულების შეფასება, საერთოდ, და გამოკვეთილია ს. დოდაშვილის როლი ამ შეთქმულებაში.

„გასაღები 1832 წლის შეთქმულების კლასობრივი ხასიათის გასაგებად, — აღნიშნავს ალ. ქუთელია, — მთელი იმ საზოგადოებრივ-ნაციონალური მოძრაობის ღრმა ანალიზის საფუძველზე, რომელიც წარმოიშვა საქართველოში რუსეთთან შეერთების შემდეგ, მოცემული აქვს ამხ. სტალინს სტატიაში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“[1]. მოჰყავს რა ი. სტალინის ცნობილი ციტატი, ალ. ქუთელია ასკვნის, რომ „1832 წლის შეთქმულება ქართველ უფლისწულთა და ყველაზე უფრო აგრესიულ თავადთა და აზნაურთა შეთქმულება იყო მეფის მმართველთა წინააღმდეგ კავკასიაში იმ მიზნით, რომ აღედგინათ თავიანთი დინასტია და პრივილეგიები“[2].

მაგრამ ალ. ქუთელიამ 1832 წლის „რეაქციული“, „ანტიხალხური“ შეთქმულების მთავარი მონაწილე ს. დოდაშვილი ცალკე გამოყო და სცადა დაესაბუთებინა, რომ დოდაშვილი შეთქმულებას მიემხრო არა ბაგრატიონთა მონარქიული დინასტიის აღსადგენად, „არამედ იმისათვის, რომ გაეთავისუფლებინა საქართველო რუსეთის ცარიზმის მხრივ ნაციონალური და პოლიტიკური ჩაგვრისაგან“[3], რომ დოდაშვილი იყო არა მონარქისტთა იდეოლოგი და მებრძოლი, „არამედ გამოჩენილი განმანათლებელი, ბურჟუაზიული დემოკრატი და რესპუბლიკელი“[4]. ამას მოსდევს მეტად დამაჯერებელი ანალიზი ს. დოდაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და მისი პოზიციისა შეთქმულებაში.

ალ. ქუთელიას ნარკვევში, რომელიც 1832 წლის შეთქმულებას სავალდებულო სქემით აფასებდა, ბუნებრივია, თავი იჩინა წინააღმდეგობამ. როგორ მოხდა, რომ „განმანათლებელი, ბურჟუაზიული დემოკრატი და რესპუბლიკელი“ სოლომონ დოდაშვილი ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელი იყო „რეაქციული“, ანტიხალხური შეთქმულებისა. ნაძალადევად

---

1 ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 1945, გვ. XXIII.

2 ს. დოდაშვილი, ლოგიკა, გვ. XXXI.

3 იქვე, გვ. XXXV.

4 იქვე.

გამოიყურება ამ წინააღმდეგობის ავტორისეული ახსნა. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო, რადგან ასეთ წინააღმდეგობამდე ავტორი შეთქმულების უკვე აღიარებული შეფასების უკრიტიკო მიღებამ მიიყვანა. ამავე თვალსაზრისით მიუდგა 1832 წ შეთქმულებას ლ. ბარამია, რომელმაც 1951 წელს ამ საკითხზე პატარა ნარკვევი გამოაქვეყნა.

1955 წელს პროფ. ა. კიკვიძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში (ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა)". ეს არის პირველი ვრცელი მონოგრაფია, რომელშიც განხილულია XIX საუკუნის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, მათ შორის განსაკუთრებით ვრცლადაა წარმოდგენილი 1832 წლის შეთქმულება[1].

პროფ. ა. კიკვიძემ 1838 წლის შეთქმულება გამოყო იმ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობიდან, რომელსაც. მისი აზრით, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს გლეხობა ეწეოდა. შეთქმულება მან „მასებისაგან იზოლირებულ", „სუსტ" და რეაქციულ-პოლიტიკურ მოძრაობად გამოაცხადა. „შეთქმულნი, — წერს ა. კიკვიძე, — უკან ეწეოდნენ საქართველოს. მათ არ შეეძლოთ მოეხდინათ გარდატეხა, რადგან არ ჰყავდათ დასაყრდენი მასა. სწორედ ამიტომ 1832 წლის შეთქმულება არ შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლად. ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა ეხება და ამოძრავებს ეროვნული ერთეულის — ქვეყნის მოსახლეობის ფართო ფენებს, 1832 წლის შეთქმულება კი არ შეხებია ქართველი მოსახლეობის სწორედ ამ ფართო ფენას.

1832 წლის შეთქმულება გამოხატავდა ფეოდალურ ნაციონალიზმს. ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი", სუსტი პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც იფარგლებოდა ფეოდალური არისტოკრატიის წრეებით"[2].

პროფ. ა. კიკვიძე არ იზიარებს შეთქმულების იდეურ ნაირ-

---

1 ა. კიკვიძის სადისერტაციო ნაშრომის შეხედულებანი გადმოცემულია მის მიერ 1956 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „საქართველოს ისტორია", 1954, ამიტომ ციტატებს ამ წიგნიდან ვადგენთ.

1 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, გვ. 190.

საბეობას, მას არც სოლომონ დოდაშვილი მიაჩნია „რესპუბლიკური იდეების“ მატარებლად. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილე „მთელი ქართველი ფეოდალური ინტელიგენცია“ მკვლევარს რეაქციული იდეოლოგიის ერთგულად მიაჩნია.

პროფ. ა. კიკვიძის საკვალიფიკაციო შრომის ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. ნიკო ბერძენიშვილმა არსებითად გაიზიარა ავტორის შეხედულება 1832 წლის შეთქმულებაზე. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართველი თავადაზნაურობის ბრძოლა რუსული მმართველობის წინააღმდეგ იყო „ნაციონალურ-რეაქციული მოძრაობა“, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს დისერტანტი“[1], — წერდა თავის რეცენზიაში ნ. ბერძენიშვილი. ამ მოძრაობის მიზანი იყო გაკოტრებული სოციალ-პოლიტიკური წყობილების (თავადურ-ბატონყმური სისტემის) აღდგენა, რომელმაც საქართველო 1795 წლის კატასტროფამდე მიიყვანა და რომელმაც ფეოდალურ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა დააკარგვინა[2]. ასეთი შეფასების მიუხედავად, პროფ. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ შეთქმულება ერთფეროვანი მასა არ ყოფილა, რომ შეთქმულებაში რეაქციონერ-რეტროგრადი თავადების გვერდით გარკვევით ჩანს პროგრესული ნაწილი, ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული წარმომადგენელი, რომელიც ირან-ოსმალეთისა და მიურიდების წინააღმდეგ რუსეთის ომის პროგრესულ მნიშვნელობას საქართველოსათვის ძალიან კარგად ხედავდა, სათანადოდ აფასებდა მას და, ილია ჭავჭავაძის გამოთქმით, ქართული დროშით ხელში ღირსეულად თანამშრომლობდა ამ პროგრესულ ძალას. საკუთარი სამშობლოს (საქართველოს) ინტერესები უკარნახებდა მას ასეთ მოქმედებას (ახლა ეს იყო ერეკლეს ანდერძი) და სამშობლოსავე ინტერესები აახლოვებდა ამ წრეს რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმულებთან. 1832 წლის შეთქმულება განწირული იმიტომ იყო, რომ შეთქმულთა პროგრესული ნაწილი არ იყო დარწმუნებული ამ აქტის სისწორეში, რომ ეს ნაწილი

[1] ნ. ბერძენიშვილი, საზ.-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. I, 1955, გვ. 469.

[2] იქვე.

ამიტომ მერყეობდა, პასიურობდა. თავიდანვე შეთქმულების აქტიური ნაწილი, რეაქციონერი თავადების წარმომადგენლები, ქართული ფეოდალური საზოგადოების ფართო მასებს მოწყვეტილი იყვნენ და მათი ხელმძღვანელობით შეთქმულება უნიადაგო იყო[1].

შეთქმულებაში პროგრესული ფრთის არსებობის, ხოლო არსებითად მოძრაობის უნიადაგობისა და ფეოდალურ-მონარქიული ხასიათის თვალსაზრისი გატარებულია საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში, რომელიც 195€ წელს გამოსცა ავტორთა კოლექტივმა.

1832 წლის შეთქმულებას ვრცელი ადგილი დაუთმო პროფ. გ. ხაჭაპურიძემ თავის დიდ მონოგრაფიაში „საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელიც 195C წელს გამოვიდა.

გ. ხაჭაპურიძემ ქართველი თავად-აზნაურების მოძრაობა რეაქციულ მოძრაობად, ბაგრატიონთა სამეფოს აღდგენისათვის ფეოდალური დიდკაცობის აჯანყებად მიიჩნია. მან უარყო შეთქმულებაზე დეკაბრისტების და ევროპის 30-იანი წლების გამათავისუფლებელი მოძრაობის ზეგავლენა, ხოლო დოდაშვილი, რომელიც „პროგრესულად მოაზროვნე“ იყო, შეთქმულებაში „ჩათრეულ“ და ამ შეთქმულების ხასიათის გარკვევის შემდეგ მისგან ჩამოშორებულ პიროვნებად აღიარა[2].

პროფ. მ. გოცაძემ 1955 წელს გამოსცა მონოგრაფიული ნარკვევი —„სოლომონ დოდაშვილი“, სადაც ვრცელი დახასიათება მისცა შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილის დოდაშვილის მსოფლმხედველობას.

ავტორი, იხილავს რა შეთქმულების ხასიათს, მიუთითებს. რომ „შეთქმულებაში ვხვდებით სხვადასხვა დასს, აქ არ არის. ერთიანობა სოციალური საკითხის თაობაზე, ერთიანობა ბრძოლის ხერხებზე, ერთიანობა მომავალი საქართველოს ბედზე და სხვ. მაგრამ შეთქმულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის მომხრე იყო.

---

1 გ. ხაჭაპურიძე, შრომები, II, 1958, გვ. 165—247.

2 იქვე.

საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა ფუჭ ოცნებას წარმოადგენდა. მას მომავალი არ ჰქონდა, იგი ხალხის ნება-სურვილს ეწინააღმდეგებოდა"[1].

აკად. შ. ნუცუბიძე 1832 წლის შეთქმულებას უშუალოდ უკავშირებს ანტირეჟიმულ გამოსვლათა იმ ვრცელ ჯაჭვს, რომელიც 1802—1820 წლებს შუაა გაჭიმული. ავტორი აქაც, ისევე როგორც ოციანი წლების მასობრივ აჯანყებებში, ხედავს ორ ჯგუფს, ორ მიმართულებას, რომელთაგან ერთი პროგრესულად, მეორე რეაქციულად მიაჩნია.

1832 წლის შეთქმულებაში, პროფ. შ. ნუცუბიძის აზრით, მოქმედებდა ორი ჯგუფი. მონარქისტ-რეაქციონერებისა, რომელთაც საქართველოში ძველი ფეოდალურ-მონარქიული რეჟიმის აღდგენა სურდათ და უმრავლესობას შეადგენდნენ, და რესპუბლიკელების, რომელთაც დეკაბრიზმის იდეური წყარო კვებავდა და რომელთა მეთაურიც ს. დოდაშვილი იყო.

„ეგოდენ დიამეტრალურად დაპირისპირებულ მონარქისტებსა და რესპუბლიკანელებს შეეძლოთ ერთი ხნით თავი მოეყარათ თვითმპყრობელობისადმი სიძულვილის ნიადაგზე, მაგრამ ხანგრძლივად ისინი ერთად ვერ ივლიდნენ და საბოლოოდ ერთიმეორეს უნდა დაშორებოდნენ"[2].

შ. ნუცუბიძის აზრით, ამიტომ ჩამოშორდნენ შეთქმულებას სოლომონ დოდაშვილი და მისი თანამოაზრენი: ყიფიანი, ავთანდილაშვილი, მამაცაშვილი. ამ პროგრესული ჯგუფის ჩამოცილების შემდეგ შეთქმულების საქმე ხელთ შერჩენიათ რეტროგრად-რეაქციონერებს.

პროფ. მ. გოცაძე 1954 წელს ქართული ჟურნალისტიკის შესახებ გამოქვეყნებულ ვრცელ მონოგრაფიაში[3] 1832 წლის შეთქმულებას ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის გამოვლინებად მიიჩნევს.

---

1 მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), 1955, გვ. 110.

2 შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, წ. II, 1958, გვ. 464.

3 მ. გოცაძე. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, წ. I, 1954, გვ. 28.

შეთქმულთა საერთო მონარქისტული მიმდინარეობიდან მ. გოცაძე გამოყოფს ს. დოდაშვილს, რომელიც მას დემოკრატად, რესპუბლიკური წყობილების მოტრფიალედ და ამიტომ შეთქმულებასთან დროებით დაკავშირებულ პიროვნებად მიაჩნია[1].

1832 წლის შეთქმულება „რომანტიკულ პატრიოტიზმად" გამოაცხადა ინგლისელმა მკვლევარმა, ცნობილმა ქართველოლოგმა დავით ლანგმა. მისი აზრით, უშედეგო იქნება ვეძიოთ რესპუბლიკური იდეოლოგიის ნიშნები 1832 წლის შეთქმულებაში. შეთქმულების მონაწილეთა მსოფლმხედველობა მონარქისტულ-ნაციონალისტურია[2]. როგორც ვხედავთ, დ. ლანგმა შეთქმულების შეფასების საკითხში გაიმეორა იმ დროის ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული თვალსაზრისი.

1832 წლის შეთქმულების და საერთოდ ოცდაათიანი წლების იდეური ატმოსფეროს შესახებ საყურადღებო აზრები აქვთ გამოთქმული ქართველ ლიტერატურათმცოდნეებს პროფესორებს დ. გამეზარდაშვილს, დ. ბენაშვილს, ვ. ბადურს, თოფურიას და სხვებს.

მკვლევარი დ. გამეზარდაშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ 1832 წლის შეთქმულება და ქართველ ოცდაათიანელთა იდეური მოძრაობა, საერთოდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელ ხასიათს ატარებდა, ხოლო ამ პერიოდის „ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა იყო საუკეთესო ნიადაგი კრიტიკული რეალიზმის განვითარებისათვის ქართულ მწერლობაში"[3].

დ. ბენაშვილს მიაჩნია, რომ „1832 წლის შეთქმულებას, გარდა სოციალური მიზეზისა, ღრმა ეროვნული საფუძველი ჰქონდა. როგორც არ უნდა შეფასდეს ეს შეთქმულება მომავალში, მაინც უნდა აშკარად ითქვას, რომ ის იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ხასიათის მოძრაობა"[4].

---

[1] მ. გოცაძე, ს. დოდაშვილი, გვ. 87, 112—113.

[2] **The last years of the Georgian monarchy. 1658—1832, David Marschall Lang, Columbia University, New-York, 1957, 280.**

[3] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, ტ. II, 1957, გვ. 72.

[4] დ. ბენაშვილი, მ. ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, 1959, გვ. 136.

ვ. შადურმა თავის საინტერესო ნაშრომში „დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართველი საზოგადოებრიობა“ ოცდაათწლიანელთა ლიტერატურული ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირა დეკაბრისტებს — რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის თავად-აზნაურ რევოლუციონერებს. ავტორი ცხადყოფს, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მოღვაწენი „იდეურად უახლოვდებოდნენ იმ მოღვაწეებს, რომელთაც ლენინმა უწოდა საუკეთესო ადამიანები თავად-აზნაურთა წრიდან“[1].

პროფ. ა. თოფურიამ 1960 წ. საკითხის დასმის წესით დაბეჭდა სტატია — „უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენების უფრო ღრმად შესწავლისათვის“, სადაც ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის შუქზე და კვალდაკვალ განიხილა. „განა საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლის ისტორია ძირითად ხაზებში არ ემთხვევა რუსეთში გამათავისუფლებელი მოძრაობის სამი მთავარი პერიოდის ლენინისეულ დახასიათებას?!

განა დეკაბრისტული მოძრაობის არაპირდაპირ, მაგრამ მაინც თავისებურ გამოძახილს არ წარმოადგენდა ქართველ თავად-აზნაურთა ვიწრო, ხალხის მასებისაგან მოწყვეტილი წრის მიერ 1832 წელს მოწყობილი შეთქმულება?“[2] — წერს ა. თოფურია.

სამწუხაროდ, დასახელებულ ავტორებს 1832 წლის შეთქმულების ამ სწორი შეფასების დასაბუთება არ უცდიათ.

პროფ. ი. კაჭარავა 1962 წელს გამოცემულ ნარკვევში — „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები“ მოკლედ შეეხო 1832 წლის შეთქმულების გაშუქებას ქართველ ისტორიკოსთა ნაშრომებში. ამასთან გამოთქვა შეხედულება, რომ ასპარეზზე „30-იან წლებში გამოდიან მონარქიული ნაციონალური საკითხის იდეოლოგები“. „ფეოდალურმა არისტოკრატიამ შეთქმუ-

---

[1] ვ. შადური, დეკაბრისტული ლიტერატურა და ქართული საზოგადოებრიობა. 1958, გვ. 488.

[2] ა. ა კ ა კ ი თ ო ფ უ რ ი ა, წერილები ლიტერატურულ საკითხებზე, 1960, გვ. 155

ლების გზა აირჩია". მაგრამ „შეთქმულებაში ჩაბმულ იქნენ ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომლებსაც შეთქმულებაში შეჰქონდათ კონსტიტუციური და რესპუბლიკური მოძრაობის საკმაოდ ჯანსაღი ნაკადი დეკაბრიზმით გაცხოველებული"[1].

1963 წელს გამოქვეყნდა ჩვენი ნაშრომი „რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში", სადაც განხილულია ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის იმპერიაში 1830-იან წლებში და წამოყენებულია ზოგიერთი ზოგადი დებულება 1832 წლის შეთქმულების, როგორც ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის დასაწყისის და მისი პროგრესული როლის შესახებ[2].

1832 წლის შეთქმულების მოკლე ისტორიოგრაფიული დახასიათებისას აქ წარმოდგენილ შეხედულებათა ნაირფერობა მნიშვნელოვან წილად იმითაა შეპირობებული, რომ მის შესახებ არსებული დოკუმენტური მასალა არაა გამომზეურებული. პროფ. გ. გოზალიშვილმა ამ მასალების მცირე ნაწილი გამოსცა, საქართველოს არქივში დაცულია დიდძალი მასალა, რომელიც დღემდე გამოქვეყნებას და ღრმა შესწავლას ელოდება.

1832 წლის შეთქმულება ღირსია სპეციალური მონოგრაფიული შესწავლისა მისი წყაროების პუბლიკაციის საფუძველზე. ეს ამოცანა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს და შევეცდებით გამოვთქვათ მხოლოდ ზოგიერთი მოსაზრება შეთქმულების საკვანძო საკითხებზე.

1832 წლის შეთქმულება და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის დასაწყისი საქართველოში

1832 წლის შეთქმულების შეფასებისას მკვლევარმა პასუხი უნდა გასცეს რამდენიმე კითხვას, რომლებსაც, ჩვენი აზრით,

---

1 ი. კაპარაია, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, 1962, გვ. 235.

2 ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში, 1963, გვ. 500—513.

არსებითი მნიშვნელობა აქვს ამ მოძრაობის ხასიათის და მისი მიზნების მართებული განსაზღვრისათვის. ეს კითხვებია:

1. რა ორიენტაციისა იყვნენ შეთქმულების მონაწილენი? უბრუნდებოდნენ ისინი იმ მუსლიმანურ სამყაროს, რომელსაც ქვეყანამ დიდი ბრძოლით დააღწია თავი XIX საუკუნის დასაწყისში, თუ კვლავ შეურყეველად იდგნენ რუსეთთან (ევროპასთან) თანაცხოვრების თვალსაზრისზე?

2. სურდათ თუ არა შეთქმულებს, თუნდაც მის უკიდურეს მემარჯვენეებს, ბაგრატიონთა ტახტის უცვლელად აღდგენა ანუ საქართველოს ისტორიული ჩარხის უკუღმა დატრიალება? როგორც ეს მრავალი მკვლევარის მიერაა აღიარებული, თუ ცარიზმისაგან თავდაღწეული საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაცია მათ იმ დროის მოწინავე იდეების გათვალისწინებით ჰქონდათ ნავარაუდევი?

3. რომელი მიმდინარეობა (ფრთა) სჭარბობდა შეთქმულთა შორის — რეაქციულ-კონსერვატორული, თუ კონსტიტუციურ-მონარქიული და რამდენად ახლო იდგა ეს უკანასკნელი დეკაბრიზმთან ან ევროპის 20—30-იანი წლების გამათავისუფლებელ მოძრაობასთან?

4. ემსახურებოდა თუ არა ქართველი ერის თვითშეგნების გაღვიძების, მისი პატრიოტული შემართების საქმეს შეთქმულთა საქმიანობა და შეძლეს თუ არა მათ დადებითი კვალი დაეჩნიათ საქართველოს ინტელექტუალური ცხოვრებისათვის?

5. რა იყო ის „თესლი", რომელიც, ი. ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ოცდაათიანელებმა ქართული ცხოვრების ხნულში „ჩასთესეს" და რამდენად შეუწყო ხელი ამ „თესლის" გაღვივებამ ეროვნული მოძრაობის შემდგომ აღმავლობას 60—70-იან წლებში?

* * *

კავკასიაში რუსული მმართველობის წინააღმდეგ შეთქმულება სრულებითაც არ გულისხმობს ხელაღებას იმ ორიენტაციაზე, რომელიც აღმოსავლურ-მუსლიმანურ გარემოცვაში გატანჯულმა ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ სამი საუკუნის

წინათ აირჩია საბოლოოდ და ამ ორიენტაციის სამსხვერპლოზე თაობათა უამრავი სისხლი დაღვარა.

ქართველი პატრიოტები შესანიშნავად ხედავდნენ ერისათვის იმ დიდ სარგებლიანობას, რაც რუსეთთან თანაცხოვრებამ მოუტანა. რუსეთი ერთადერთი ქვეყანა იყო მაშინ, რომელიც საქართველოს საუკუნო მტრებს: ოსმალეთსა და ირანს ახლო აღმოსავლეთში პოზიციების გაფართოებისათვის ბრძოლაში ზედიზედ ამარცხებდა და თანდათან ხელიდან გლეჯდა ადრე მიტაცებულ ქართულ მიწა-წყალს. რუსეთმა ალაგმა ლეკების გამუდმებული თარეში, რუსეთში ეწაფებოდა სწავლას ცოდნას მოწყურებული ქართველობა, რუსეთის საშუალებით შეეძლო მას ისტორიის პროგრესისათვის აეწყო ფეხი და. ს.ულისშემხუთველ მუსლიმანურ ასიმილატორულ ატმოსფეროდან დავდაღწეულს. ევროპული ცივილიზაციის შექი მოჰფენოდა. შეთქმულების მონაწილე ქართველი თავადობა არც ისე გაუნათლებელი, პოლიტიკურ ვითარებაში ჩაუხედავი და ბეცი იყო, რომ რუსული ორიენტაცია დაეგმო და ისევ აღმოსავლურ მუსლიმანურ გარემოცვაში ჩაკეტილიყო. ეს ჭეშმარიტად ერის ისტორიული ჩარხის უკუღმა დატრიალება იქნებოდა.

ქართველი შეთქმულები, იდეური სხვადასხვაობის მიუხედავად, ორიენტაციის საკითხში ერეკლეს პოლიტიკის თავდაყირაწყებამდე ერთგულნი იყვნენ. მათ იდეალს წარმოადგენდა 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატის მუხლების აღდგენა. შინაგან მმართველობაში დამოუკიდებელი, საგარეო საქმეებში კი რუსეთთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით მოქმედი საქართველო უპასუხებდა მათ პატრიოტულ ინტერესებს და ამისათვის იბრძოდნენ ისინი. ამის საილუსტრაციოდ მრავალი ფაქტის მოტანა შეიძლება.

შეთქმულთა საქმეებში ინახება 1801 წლის მანიფესტის შენიშვნები დაწერილი დიმიტრი ერისთავის მიერ. შეთქმულების ეს აქტიური წევრი ალექსანდრე პირველის მანიფესტს რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ მკაცრად აკრიტიკებს და მას უსამართლო აქტს, ერის შეურაცხმყოფელ დოკუმენტს უწოდებს. დ. ერისთავს მიაჩნია, რომ საქართველოს სამეფოზე რუსეთის იმპერიის „მფარველობა და უმაღლესი

ხელისუფლება სამართლიანი და სასარგებლო იყო, მაგრამ ეს რუსეთის მონარქებს ავალებდა დაეცვა ქვეყანა. სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა. ნაცვლად იმისა, რომ ახალგაზრდა ქვეყანას საკუთარი მმართველობის ორგანიზაციაში დახმარებოდა, რუსეთის მონარქმა მოიტაცა საქართველოს სამეფო გვირგვინი და ქვეყანა თავისი რკინის სკიპტრის ქვეშ მოაქცია, საქართველო ყველა გარყვნილი რუსი მოხელის გადასახლების ადგილად გადააქცია, ჩაკლა ახალგაზრდა ქართველობის ნიჭი და ნაცვლად იმისა, რომ შეერიგებინა მოპირისპირე პარტიები, ხელი მიჰყო ქართველთა წასისინებას"[1].

კრიტიკული შენიშვნები სრულად არაა მოღწეული. მას რამდენიმე ფურცელი აკლია, მაგრამ მოტანილი ადგილებიც ნათლად ადასტურებს, რომ დიმიტრი ერისთავი ტრაქტატის მომხრეა და გმობს ცარიზმის იმ აგრესიულ ღონისძიებას. რომელიც 1801 წელს განხორციელდა. „ყოველ შემთხვევაში რუსებთან განუყრელი უნდა ვიყოთ. მე და ჩემს ოჯახში მყოფნი ყველანი ამ აზრისა იყვნენ", — წერს ერთ-ერთ ჩვენებაში ალექსანდრე ჭავჭავაძე. ასეთი აზრი გამოსჭვივის შეთქმულების მონაწილეების ალექსანდრე ორბელიანის[2], თამარ ბატონიშვილის და სხვ. ჩვენებებშიც.

დაკითხვის პროცესში შეთქმულები, ცხადია, რუსეთის ცარიზმის სააუგოს არაფერს იტყოდნენ და მარტო მათ ჩვენებებზე დაყრდნობა იმის საილუსტრაციოდ, რომ შეთქმულნი რუსული ორიენტაციისანი იყვნენ, გაუმართლებელი და დაუჯერებელია მაინც. მაგრამ ქართველი პატრიოტები რომ სხვაგვარ ორიენტაციას ვერ აიღებდნენ და რუსეთთან თანაცხოვრება ერის კეთილდღეობის საწინდრად მიაჩნდათ, ეს სხვა კუთხით, სხვა მაგალითებითაც ნათლად დასტურდება. დამახასიათებელია შეთქმულების არამონაწილე, მაგრამ გულწრფელი ქართველი პატრიოტის ივანე აფხაზის სიტყვები: „ღმერთო ნუ მიიყვან რუსთა ესრეთსა განწირულობასა შინა, რომელ იძულებულ იყვნენ დატევებად საქართველოსა, რომე-

---

1 საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. V, გვ. 725; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 117—119.

2 საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. IV, გვ. 677—679.

ლიც მყისვე შეიქმნების მსხვერპლად უწესეობისა შინაგანი განხეთქილებისა და ზედა დასმისა დაუძინებელთა მტერთაგან"[1]. შეთქმულების მონაწილე გრ. ორბელიანი აფხაზთან საუბარში საწინააღმდეგო შეხედულებას ავითარებს, მაგრამ, როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს, პოეტის ერთგვარი დაეჭვება თავის პოზიციაში უნებლიედ მოჩანს ამ დიალოგის შესავლიდან, აგრეთვე იმის მიხედვითაც, რომ იგი საჭიროდ თვლის ასე დაწვრილებით გადმოგვცეს ი. აფხაზის საუბარი. „ან ვითარ ძლიერად და მართლად აღწერა აწინდელი მდგომარეობა საქართველოისა, რომელიცა უყვარს, ვითარცა ჭეშმარიტსა ძესა მამულისასა"[2], — ამბობს გრიგოლი.

ქართველ ოცდაათიანელთა პოლიტიკური ორიენტაციის სრული დახასიათება შესანიშნავად აქვს გადმოცემული ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც, მართალია, მცირეასაკოვნობის გამო შეთქმულების მონაწილე არ ყოფილა, მაგრამ არის მემკვიდრე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიისა, რომელმაც გამოსახულება 1832 წლის შეთქმულებაში პოვა. ამ იდეოლოგიის ნათელ გამოხატულებას „ბედი ქართლისა" და „საფლავი მეფისა ირაკლისა" წარმოადგენს, სადაც რუსეთთან თანაცხოვრება საქართველოს გადარჩენის და მისი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების ერთადერთ საშუალებადაა აღიარებული.

შეთქმულებს მიაჩნდათ, რომ ირანი და ოსმალეთი, საქართველოს ეს დაუძინებელი მტრები, რუსეთთან ომების შემდეგ იმდენად იყვნენ დასუსტებულნი, რომ საქართველოზე ადრინდელი პრეტენზიებით ველარ გამოვიდოდნენ, რომ ამ ქვეყნების მიერ საქართველოს მიტაცება გამორიცხული იყო და საერთოდ მოხსნილი იყო მუსლიმანური აგრესიის ის საფრთხე, რომელიც ადრე, საუკუნეთა განმავლობაში, ქართველ ხალხს სიცოცხლეს უმწარებდა. „ეგვიპტის ფაშა სულთანის წინააღმდეგ მოდის და მისი შვილი იბრეჰიმ ფაშა უკვე არზრუმშია. ხოლო სპარსელები ომის შემდეგ ისე გაღატაკდნენ, რომ

---

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. IV. გვ. 376.

[2] გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული. 1959, გვ. 172.

სულს ძლივს ითქვამენ"[1]. ასე ამხნევებდა ალექსანდრე ორბელიანი შეთქმულებს, როცა საუბარი საქართველოს მთავრობაზე და მისი მონაპოვარის შენარჩუნებაზე მიმდინარეობდა. შემთხვევითი როდია შეთქმულთა ცდა გაებათ კავშირურთიერთობა სულთნის წინააღმდეგ მებრძოლ ეგვიპტის ფაშასთან. რომელიც საფრანგეთის მფარველობით სარგებლობდა.

როგორც ცნობილია, შეთქმულნი საფრანგეთის დახმარებასაც არ გამორიცხავდნენ და იღვწოდნენ კიდეც, რომ შინაგანი მმართველობის ორგანიზაციაში საფრანგეთის კონსულტაციისათვის მიეღწიათ. აქედან ზოგ მკვლევარს ის დასკვნა გამოაქვს, რომ თითქოს შეთქმულნი ორიენტაციას იცვლიდნენ და რუსების განდევნის შემთხვევაში იმედს საფრანგეთის მფარველობაზე ამყარებდნენ. ეს არაა მართალი. შეთქმულებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ, რომ ნაპოლეონის დამარცხების შემდგომ დასუსტებული საფრანგეთი მისთვის ასე შორეულ საქართველოზე მფარველობას ვერ განახორციელებდა, რომ საფრანგეთის არაერთგზისი ცდა (ნაპოლეონის ძლევამოსილობის ეპოქაშიც კი) კავკასიიდან რუსეთის განდევნისა მარცხით დასრულდა, ხოლო ოციანი წლების მიწურულისათვის ირანში მისი გავლენა არარაობად იქცა. საფრანგეთთან და ინგლისთან სიახლოვე, საქართველოს ბედით ამ სახელმწიფოთა დაინტერესება იმ მოტივით იყო ნაკარნახევი, რომ ამ უკანასკნელთა გამოსარჩლებას რუსეთის მთავრობაზე მოეხდინა გავლენა, რომ საქართველოს მეტი შინაგანი ავტონომია მისცემოდა.

შეთქმულებს პოლონეთის ან ფინეთის გამოცდილება უკარნახებდა მათი ქვეყანა — საქართველო ევროპული დიპლომატიის ინტერესთა სფეროში მოექციათ და ამ ინტერესთა ჭიდილში განემტკიცებინათ დამოუკიდებლობა.

ამრიგად, 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი (ისე როგორც მათი წინამორბედი ქართველი არისტოკრატია, რომელიც 1802, 1804, 1812, 1819—1820 წლების აჯანყებებში მონაწილეობდა და ამ აჯანყებათა მეშვეობით აპირებდა მფარველობითი ტრაქტატის აღდგენას) რუსული ორიენტაციისანი იყვნენ და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულ-

[1] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

ნი მხოლოდ და მხოლოდ ფართო შინაგან ავტონომიას უმიზნებდნენ.

იყო თუ არა რეალური ეს ვარაუდი საერთოდ რუსეთის სინამდვილეში? რა თქმა უნდა, იყო. ცარიზმმა XIX საუკუნის პირველ ათწლეულში, როცა საქართველოში სასტიკ ანექსიას ახორციელებდა, იარაღით დაიპყრო ფინეთი, მაგრამ, როგორც ცნობილია, ანგარიშს უწევდა რა საეროაშორისო ვითარებას, ეპოქის სულისკვეთებას, სეიმი და კონსტიტუცია მისცა მას და ასე თუ ისე ანგარიშს უწევდა მის საშინაო თვითმმართველობას. ცარიზმმა ასევე დაისაკუთრა ვარშავის საჰერცოგო, მაგრამ მასაც სეიმი და კონსტიტუცია მისცა, თუმცა ცარიზმი თავისი ბუნებით კონსტიტუციურ მმართველობას ვერ იტანდა და რუსეთის შიდა გუბერნიებში და შინაგან „კოლონიებში" უმკაცრეს მონარქისტულ რეჟიმს ახორციელებდა.

ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ აზრი საშინაო თვითმმართველობისა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიური უფლებების ჩართვისა (ტრაქტატი), აზრი პროტექტორატის შესახებ იმ ეპოქისათვის უცხო და უტოპიური არ ყოფილა, ყველაფერი თვით ამ ქვეყნის შინაგან ძალებზე და ევროპაში ძალთა წონასწორობაზე იყო დამოკიდებული[1].

მკვლევართა ნაწილი 1832 წლის შეთქმულების რეაქციულობის მთავარ არგუმენტად აღიარებს იმას, რომ შეთქმულებს თითქოს საქართველოში მონარქიული წყობილების აღდგენა სურდათ, ე. ი. სურდათ დაბრუნებოდნენ პოლიტიკური წყობილების იმავე ფორმებს, რაც საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულისათვის იყო ანუ. სხვაგვარად. ისტორიის ჩარხს უკუღმა ატრიალებდნენ.

შეთქმულების პოლიტიკური პროგრამის ანალიზი ამ თეზისს სრულიად აქარწყლებს.

ჩვენთვის ცნობილია ის შეუპოვარი ბრძოლა, რომელსაც ქართველი რეაქციული თავადობა, ბატონიშვილების მეთაურობით, ძველი ქართული მონარქიული წყობილების აღდგენისათვის ეწეოდა. ამ ბრძოლების თვალსაჩინო გამოვლინება იყო

---

1 ა. სურგულაძე, რუსეთი XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 510.

1802 წლის შეთქმულება, 1804, 1812, 1819—1820 წლების გლეხთა აჯანყებებში თავადური ნაკადი. ცნობილია ისიც, რომ რეაქციული თავადობის და მათი მეთაურების ყველა ცდამ ამ მიმართულებით მარცხი განიცადა. მოძრაობის მეთაურები რუსეთის მმართველობამ საქართველოდან გადაასახლა.

მეცხრამეტე საუკუნის ოციანი წლების მეორე ნახევრისათვის, ე. ი. იმ პერიოდისათვის, როცა შეთქმულება აღმოცენდა, ქართული მონარქიული წყობილების რესტავრაციისათვის მებრძოლი ბატონიშვილებიდან ყველაზე აქტიურნი ცოცხალნი აღარ იყვნენ (ბატონიშვილი იულონი, დავითი).

რაც შეეხება დიმიტრი იულონის ძე და ოქროპირ გიორგის ძე ბაგრატიონებს, რომლებიც რეაქციული თავადობის ზემოაღნიშნულ მოძრაობაში მონაწილეობას არ იღებდნენ, მათ რუსეთის კულტურულ ცენტრებში (მოსკოვში, პეტერბურგში) ცხოვრებამ, ევროპაში მიმდინარე მძაფრი პოლიტიკური მოვლენების მეთვალყურეობამ და ანალიზმა საქართველოს პოლიტიკურ წყობილებაზე შეხედულებანი საფუძვლიანად შეუცვალა.

ცნობილია ისიც, რომ პეტერბურგში გადასახლებულ ქართველ ბატონიშვილთა იდეურ მესვეურს დავითს, რუსეთისა და ევროპის გამოცდილებათა შედეგად, თავისი ქვეყნის პოლიტიკური წყობილების გადახალისება აუცილებლად მიაჩნდა. ამის თვალსაჩინო დადასტურებას დავით ბატონიშვილის სახელმწიფო პროექტები და თხზულებანი წარმოადგენს.

ნიჭით, განათლებით, აღზრდით, პეტერბურგელ ბაგრატიონთა წრეში ერთ-ერთი მოწინავე იყო დიმიტრი იულონის ძე. დიმიტრი ამ დროისათვის, როგორც ჩანს, უკვე საკმაოდ იყო ჩახედული ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში, იცნობდა კონსტიტუციურ მონარქიას, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმას, მაინის ფრანკფურტისა და კრაკოვის მმართველობის სტატუტებს. ამასთან, როგორც შეთქმულები უჩვენებდნენ, მოსწონდა მეფის არჩევნებში ყველა ფრანგი მოქალაქის მონაწილეობის წესი, აქებდა მაინის ფრანკფურტისა და კრაკოვის პოლიტიკურ წყობილებას. გიორგი ერისთავის ჩვენებაში ნათქვამია ისიც, რომ დიმიტრი ბატონიშვილთან ყოველ კვირადღეობით თავს იყრი-

დნენ ქართველები და იმართებოდა მსჯელობა საქართველოზე — შეუძლია თუ არა მას იყოს დამოუკიდებელი; ლაპარაკობდნენ ხალხის უფლებაზე, იმ საშუალებებზე, რომლითაც საქართველოს განთავისუფლება იქნებოდა შესაძლებელი.

„ამის საუკეთესო საშუალებად ბატონიშვილი განათლებას აღიარებდა... აქებდა ფრანგებს, როგორც თავისუფლების დამცველთ“ და სხვ.

ძნელი არაა, რომ ბატონიშვილის ამ სიტყვებში დავინახოთ ადამიანი, რომელიც ცხოვრების ევროპული წესებისადმი სიმპათიითაა გამსჭვალული და იზიარებს ცარიზმის დესპოტიზმისადმი რუსი ახალგაზრდობის იმ პროტესტანტულ განწყობილებას, რომელიც ამ დროს ფრიად გავრცელებული იყო პეტერბურგის ახალგაზრდობაში. დიმიტრი ბატონიშვილი თავისი მსოფლმხედველობით, ცხადია, დეკაბრისტი არ ყოფილა, მაგრამ მისი საუბრის მიმართულება, უეჭველია, გვაძლევს უფლებას ლიბერალური იდეების მოტრფიალედ მივიჩნიოთ იგი და ქართული არქაული პოლიტიკური ცხოვრების აღდგენის მისწრაფების ბრალდება ჩამოვაცილოთ.

ახლა ოქროპირ ბატონიშვილის პოზიციას დავაკვირდეთ. შეთქმულნი უჩვენებენ, რომ ოქროპირ ბატონიშვილი, ისევე როგორც დიმიტრი, ქართველი ახალგაზრდობის ჩათრევას შეთქმულებაში თავისუფლებასა და დემოკრატიზმზე წარმტაცი თხრობით იწყებდა. ალ. ორბელიანი აღნიშნავს, რომ ოქროპირი უამბობდა მას საბერძნეთის ისტორიას და აქებდა ბერძენთა დემოკრატიულ მმართველობას. ვახტანგ ორბელიანი აჩვენებდა: „დოდაშვილმა თქვა, — როცა თბილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი, იმან მითხრა: „დიაღ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს გათავისუფლება, თუმცა მე საქართველოს გათავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბატონიშვილთა გვარიდან იქ ვინმე გამეფდეს, არამედ რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდაო“[1]. მართებულად შენიშნავს პროფ. ა. კიკვიძე: „განა ბატონიშვილებმა თვით საქართველოს მაგალითზე არ იცოდნენ, თუ რამდენად დრომოჭმული იყო ბატონყმობა — ფეოდალური წყობილება? ამ წყობილების წინააღმდეგ მოძრაობა და

1 საქართველოს ცსა, ფ. 147, რვ. 9, ფ. 1567.

რეფორმატორული მუშაობა დაიწყო ბატონიშვილთა წრეში ჯერ კიდევ გიორგი XII-ის კარზე და იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ ხომ ბატონყმური საქართველოს წინააღმდეგ შედგენილ საბრალდებულო აქტს წარმოადგენს“[1].

მაგრამ კითხვა ისმის: შეიძლება ბატონიშვილები დემოკრატიულ წყობილებაზე, საქართველოს მომავალ თავისუფლებაზე, საფრანგეთის მსგავს მმართველობაზე განგებ ლაპარაკობდნენ, რომ ახალგაზრდობა წაექეზებინათ, შეიძლება მათ შეთქმულების გაღვივებისათვის სჭირდებოდათ მხოლოდ ასეთი პროპაგანდა, შეთქმულების წარმატების შემდეგ კი მონარქიას აღადგენდნენ.

ასეთი ვარაუდი არავითარ ფაქტიურ მასალას არ ემყარება. ძნელია დაბეჯითებით მტკიცება იმისა, თუ რა კურსს აიღებდნენ ბატონიშვილები საქართველოს სამეფო ტახტს რომ დაუფლებოდნენ, მაგრამ თავისთავად ბევრის მთქმელია თუნდაც ის, რომ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ახალგაზრდობის წაქეზებას ისინი თავისუფლების, კონსტიტუციური მმართველობის, არჩევითი სისტემის უპირატესობის მომარჯვებით იწყებენ. ჩანს, ბატონიშვილები უკვე დარწმუნებული იყვნენ, რომ სხვაგვარი აგიტაცია ახალგაზრდობაში ანტირუსული მოძრაობის ენთუზიაზმს ვერ გააღვივებდა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ რუსეთის კულტურულ ცენტრებში აღზრდილ ქართველ ბატონიშვილებს, რომლებიც მშვენივრად იყვნენ ინფორმირებული ევროპაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შესახებ და რომელთა თვალწინ უკვე ნგრევას განიცდიდა დრომოჭმული მონარქიული რეჟიმი ევროპის ბევრ ქვეყანაში და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა უკვე ფრთებს ისხამდა (იტალია, პორტუგალია, ბალკანეთის ქვეყნები), რუსეთში კი დეკაბრისტებმა იარაღით ხელში აშკარა ბრძოლა გამოუცხადეს თვითმპყრობელურ რეჟიმს, საეჭვოა, რომ ამ ვითარებაში მათ საქართველოში მონარქიული ხელისუფლების ძველი ფორმებით აღდგენაზე, ერეკლესეული საქართველოს პოლიტიკური სხეულის რესტავრაციაზე ეოცნებათ და ანგარიში არ გაეწიათ იმისათვის, თუ

---

[1] ა. კ ი კ ვ ი ძ ე. საქართველოს ისტორია, გვ. 186.

საერთოდ როგორ შეიცვალა ვითარება, რა ძლიერად დაჰბერა ახალმა სიომ, წელი მოიმაგრა ახალმა ეპოქამ.

ბატონიშვილთა პოლიტიკური ჩანაფიქრის რეაქციულობაც რომ არასაეჭვოდ გამოვაცხადოთ და ერეკლეს შვილიშვილებს პაპისდროინდელი მმართველობის ტრფიალი მივაწეროთ, მხოლოდ, შეთქმულების საერთო პოლიტიკური კურსის გასარკვევად იგი მაინც არ გამოდგება.

ბატონიშვილების მიერ პეტერბურგში წამოწყებულმა მოძრაობამ, როგორც ვიცით, საქართველოში ფართო ხასიათი მიიღო. მასში სხვადასხვა დროს ჩაებნენ შემდეგში ერის თვალსაჩინო მოღვაწენი: ალექსანდრე, ვახტანგი, დიმიტრი, მამუკა ორბელიანები, ელიზბარ, გიორგი, ივანე, ლევან ერისთავები, ალექსანდრე ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, სოლომონ დოდაშვილი, სოლომონ რაზმაძე, ათნელოვი და მრავალი სხვ.

ამრიგად, შეთქმულებაში რიცხობრივად და იდეურად დომინირებული მდგომარეობა იმდროინდელმა ქართულმა ინტელიგენციამ, ოცდაათიანელთა პროგრესულმა თაობამ დაიკავა. ქართულ ისტორიოგრაფიაში 1832 წლის შეთქმულება ინტელიგენტურ მოძრაობად, ქართველი აზნაურული ინტელიგენციის პროტესტის გამოხატულებადაა აღიარებული. მართლაც, მასში წამყვანი როლი საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისში ან პეტერბურგსა და მოსკოვში განსწავლულ ახალგაზრდობას ეკავა. ამ ინტელიგენციას თავისი იდეოლოგია, თავისი პოლიტიკური კრედო ჰქონდა. იგი მისტირობდა წარსულის დიდებას, დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველო, მართალია, იდეალად მიაჩნდა, მაგრამ ახალ, ცივილიზებულ ეპოქაში ეს დამოუკიდებელი და ძლიერი საქართველო სრულიადაც არ წარმოუდგებოდა ისეთივე სახელმწიფოებრივი მექანიზმით, როგორც ეს შუა საუკუნეებში და თუნდაც მე-18 საუკუნეში იყო. დამოუკიდებელი საქართველო, მათი აზრით, ევროპის პოლიტიკური წყობილების ყაიდაზე უნდა მოწყობილიყო თავისი სამინისტროებით, თავისი წარმომადგენლობითი დაწესებულებებით და სხვ. ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც, როგორც საერთოდ აღიარებულია, ოცდაათიანელთა პოლიტიკურ იდეოლოგიას ასახავდა, იძლევა აბსოლუტიზმის ბრწყინვალე კრიტიკას და ჰკიცხავს ისეთ პოლიტიკურ

წყობილებას, სადაც მონარქები ხალხთა ბედს ისე განაგებენ, ვითარცა კამათლებს. მეფის მსაჯულის ამ ფიქრებში, რომელიც ამავე დროს პოეტის ფიქრებია, უმართებულო იქნებოდა არ დაგვენახა ოცდაათიანელი ქართველი ინტელიგენტი, რომელიც ახალი ეპოქის, ახალი ცხოვრების შესაბამისად მონარქიულ წყობილებას უსამართლობად, დრომოჭმულად თვლიდა და კანონიერად მიიჩნევდა მხოლოდ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც სახალხო წარმომადგენლობით ან სახელმწიფოს ძირითადი კანონით იქნებოდა შეზღუდული:

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მომადლებს ყოვლთა უფლებას,
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
ვანურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ასე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს![1]

ოცდაათიანი წლების ეს ქართველი ინტელიგენტები ძირფესვიანად განსხვავდებოდნენ თავიანთი მამებისაგან, რომლებიც 1802, 1804, 1812, 1819—1820 წლებში ქართული ფეოდალური მონარქიის აღდგენაზე ოცნებობდნენ. 1802 წლის კახეთის თავადური შეთქმულების ძირითადი ლეიტმოტივი მართლაც ერეკლესდროინდელი ქართული მონარქიის აღდგენა იყო. 1802 ან 1812 წლის მოძრაობის მონაწილე ქართველ თავადს სიტყვის გაგონებაც კი არ სურდა პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობის რაიმე ცვლილებებზე. იგი ამ მოძრაობაში იმიტომ მონაწილეობდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ რუსული მმართველობით გაუქმებული თავისი სამემკვიდრეო თანამდებობისათვის იბრძოდა, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობისათვის იბრძოდა, თავისი მამულისა და ყმის საქმეებში მმართველობის ჩარევის წინააღმდეგ იბრძოდა. მას აწყობდა ფეოდალური პარტიკულარიზმი, აწყობდა სუსტი და აზიურ ჟანგიან ბორბლებზე მოჭრიალე მონარქიული ურემი. ამრიგად, ქართველი ფეოდალის პოლიტიკური და სოციალური იდეალი რეაქციული იყო და საზოგადოებრივ პროგრესს ვერ უთვისდებოდა.

---

[1] ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, 1968.

ოცდაათიანელ ქართველ თავად ინტელიგენტს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ამგვარი იდეალი. მართალია, მისი კლასის ინტერესები ზღუდავდა მას და სოციალურ სფეროში მომწიფებული საკითხისაგან თავშეკავებას უკარნახებდა, მაგრამ პოლიტიკურ სფეროში ეპოქის საერთო მოთხოვნილება მის აზროვნებას ახალი გზით წარმართავდა. ქართველი ოცდაათიანელები, ისე როგორც დეკაბრისტები, ბრწყინვალე წოდებას ეკუთვნოდნენ. ისინი შეთქმულებაში ებმებოდნენ და წოდებრივ პრივილეგიებს, უზრუნველ ცხოვრებას დიდ საფრთხეში აგდებდნენ. დეკაბრისტებზე ცარიზმის ანგარიშსწორების ფაქტი მათ თვალწინ ედგათ, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლის ზღურბლთან ამ გაბედულ დგომას მაღალი პატრიოტიზმი, სამშობლოს მგზნებარე სიყვარული აპირობებდა. მათ მოძრაობაში არ იყო თავადური რეაქცია, არ იყო მხოლოდ კლასობრივი ინდივიდუალიზმი, ეს იყო ერის კეთილდღეობისათვის ზრუნვის გამოხატულება, მსგავსად იმ მოძრაობისა, რომელიც რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ აზვირთდა პოლონეთში.

გამოძიების პროცესში, როგორც ეს ცნობილია, შეთქმულნი მეტად ძუნწად სწორედ ამ პროგრესულ მხარეზე ლაპარაკობდნენ. მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ თვითმპყრობელური რუსეთის სამსჯავრო ყველაზე მკაცრად ადამიანებს პროგრესული პოლიტიკური იდეალებისათვის სჯიდა. ამიტომ შეთქმულთა მასალებში ძნელი მოსაძებნია ფაქტები, რომლებიც მათ პოლიტიკურ თვალსაზრისს უკამათოდ გამოკვეთავდა. მაგრამ ის, რაც საგამომძიებლო კომისიამ გამოავლინა, შეთქმულთა ლიბერალურ შეხედულებებზე მსჯელობის საშუალებას გვაძლევს მაინც.

შეთქმულნი საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებას ორ პალატიანად წარმოადგენდნენ. ზედა პალატაში მეფე და მისი მინისტრები იგულისხმებოდნენ, ქვედა პალატაში (სამმართველოში) ყველა მაზრის დეპუტატები. შერჩეული იყო მეფისა და მინისტრების კანდიდატებიც. მეფედ ალექსანდრე ბატონიშვილი უნდა მოეწვიათ. მინისტრთა პორტფელები კი ასე იყო განაწილებული: სამხედრო მინისტრი — ალექსანდრე ჭავჭავაძე, იუსტიციის მინისტრი — თავ. მუხრან ბატონი, ფინანსთა მინისტრი — ფალავანდიშვილი, შინაგან საქმეთა და განათ-

ლების მინისტრი — ჰილაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი — ბებუთაშვილი[1]. როგორც ვხედავთ, აქ საქართველოს მთავრობა სრულიადაც არ გამოიყურება ისე, როგორც ეს ერეკლე მეორის დროს იყო. ამ ძუნწი ცნობების საფუძველზე ძნელია გარკვევით ითქვას, აქ შეუზღუდველ თუ შეზღუდულ მონარქიასთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში, შეუზღუდველიც რომ ვივარაუდოთ, იგი არსებითად განსხვავდება მე-18 საუკუნის საქართველოს მონარქიული მმართველობისაგან. ეს მონარქია თავისი მინისტრებით, თავისი რეგულარული არმიით (რეგულის განწყობა[2]), თავისი ქვედა სამმართველო (საკონტროლო) აპარატით სავსებით შეეფერებოდა მონარქიული მმართველობის იმ დონეს, რომელიც ამ ეპოქისათვის რუსეთისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში იყო მიღწეული.

მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს ქვეყნის მმართველობის უფრო პროგრესულ ფორმასთან — შეზღუდულ მონარქიასთან. ზაალ ავთანდილაშვილის მოწმობით, შეთქმულებს „აჯანყების მეორე დღეს უნდოდათ მოეწვიათ სეიმი და ვიღრე მეფეს აირჩევდნენ, საქართველოს მმართველობა სეიმის წევრებისათვის უნდა ჩაებარებინათ, რომელნიც საზოგადოებას უნდა აერჩია“[3]. ბევრის მთქმელია ეს ერთი ფრაზა. აქ ნაგულისხმევი სახელმწიფოებრივი მმართველობა ძალიან ჩამოგავს დეკაბრისტთა ერთი ჯგუფის (ჩრდილოეთის ფარული საზოგადოების) კონსტიტუციურ მონახაზს, პოლონეთის ან ფინეთის მმართველობის სისტემებს. უეჭველია, შეთქმულნი კარგად იცნობდნენ ამ ქვეყნის მმართველობის წესებს და ცდილობდნენ მათი კრიტიკული გადამუშავების შედეგად თავიანთი ქვეყნის დონისა და შესაძლებლობის შესაფერი უკეთესი სისტემა შეექმნათ. ალექსანდრე ბატონიშვილის მეფედ მოწვევის განზრახვას შეთქმულთათვის ხელი არ უნდა შეეშალა მმართველობის პროგრესული სისტემის განხორციელებაში. ალექსანდრე უკვე მოხუცი და დაუძლურებული იყო. განათლებულ ქართველ თავადობას მისი დაყოლიება არ უნდა გასჭირვებოდა. რეაქციული თავადობის ის პარტია, რომელსაც ალექსან-

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1475, რვ. I, ფ. 75—80.

[2] იქვე.

[3] იქვე.

დრე ბატონიშვილი ეყრდნობოდა, პოლიტიკაში თვალსაჩინო როლს ვეღარ ასახიერებდა. შეთქმულთა ნაწილს ისიც ჰქონდა მხედველობაში, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე თამარ იულონის ასული დაესვა, რომელიც მმართველობის ევროპულ წესებში გათვითცნობიერებული იყო და, რომელიც შეთქმულთა მიზანდასახულობის განხორციელებაში უფრო იოლი დასათანხმებელი იქნებოდა.

არც ისაა უკუსაგდები ფაქტი, რომ ზოგიერთი შეთქმული უფრო რადიკალურად იყო განწყობილი და რესპუბლიკურ წყობილებას თანაუგრძნობდა.

შეთქმულების ერთ-ერთი იდეური მესვეურის სოლომონ დოდაშვილის რესპუბლიკელობაზე ჩვენს ისტორიოგრაფიაში საგანგებოდ გაამახვილეს ყურადღება მკვლევარებმა ა. ქუთელიამ და სხვ.

დოდაშვილი, როგორც რესპუბლიკელი, ა. ქუთელიამ შეთქმულთა საერთო იდეოლოგიიდან გამოაცალკევა. მკვლევარის აზრით, დოდაშვილი ცდილობდა არა მარტო თვით ჩამოცილებოდა შეთქმულებას, არამედ სხვებიც ჩამოეცილებინა[1].

სოლომონ დოდაშვილის წამყვანი როლი შეთქმულებაში მასალების თითქმის ყველა გვერდზე დასტურდება. დოდაშვილი ერთ-ერთი ინიციატორი იყო შეთქმულებისა და პირველ მაორგანიზებელ სამეულში შედიოდა. დოდაშვილი თბილისში კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ცენტრში იდგა და გარშემო იკრებდა ოცდაათიანელთა მთელ იმ ინტელიგენტურ თაობას, რომელიც სხვადასხვა დროს ამ შეთქმულებაში აღმოჩნდა ჩაბმული. 1831 წელსაც, როცა პოლონეთის აჯანყება დამარცხდა და პრაქტიკული საქმიანობა ქართველი შეთქმულებისა მინელდა, დოდაშვილი თავისი ჟურნალის ფურცლებზე შეთქმულთა იდეოლოგიას იცავდა და ავრცელებდა. შეთქმულების გაცემის წინაც იგი იმ ხელმძღვანელთა წრეში ტრიალებდა, რომელიც შეთქმულების იდეურ და ორგანიზაციულ მსვლელობას წარმართავდა. სოლომონ დოდაშვილი შეთქმულთა ორგანიზაციის ერთ-ერთი მეთაური და იდეოლოგი იყო. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს:

[1] ს. დოდაშვილი, ლოგიკა, ა. ქუთელიას წინასიტყვაობით და რედაქციით, გვ. XI—XII.

„მთელი არსებით იბრძოდა საქართველოს განვითარებისათვის“[1]. დოდაშვილი თავის აქტიურ მონაწილეობას საგამომძიებლო კომისიის წინაშე ჩქმალავდა და თავს შეთქმულებაში შემთხვევით მოსულ, უნდობლად განწყობილ პირად წარმოადგენდა.

სოლ. დოდაშვილი შეთქმულთა წრეში მართლაც უკიდურეს მემარცხენე ფრთას განასახიერებდა. მას არ მოსწონდა ცარიზმის სასტიკი კოლონიური რეჟიმი და მკაცრად აკრიტიკებდა. აკრიტიკებდა არა მარტო შეთქმულების პერიოდში, არამედ მისი აღმოჩენისა და განადგურების შემდეგაც, პატიმრობაში თავის ერთ-ერთ ჩვენებაში სოლომონი მიუთითებს: „ჩვენ ვმსჯელობდით იმ შევიწროებაზე, რომელსაც ადამიანი განიცდის სახელმწიფო დაწესებულებაში“[2]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მსჯელობისას სოლომონი და მისი თანამოაზრენი მკაცრად გმობდნენ ცარიზმის დესპოტიზმს, მის სასტიკ კოლონიურ სისტემას და გულწრფელად აწუხებდათ ხვედრი იმ ადამიანებისა, რომლებიც ცარიზმის დესპოტიზმის მსხვერპლს წარმოადგენდნენ.

სოლომონ დოდაშვილს ეწადა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენა, მაგრამ მას სრულებითაც არ იტაცებდა მონარქიული რეჟიმი, სადაც თავადაზნაურობას გაბატონებული მდგომარეობა ექნებოდა და ყველა სიკეთის ბატონ-პატრონი გახდებოდა, გლეხობა კი კვლავ მონურ მდგომარეობაში დარჩებოდა. სოლომონ დოდაშვილს უსათუოდ დაბალი წოდების ბედი (რომელსაც თვითონაც ეკუთვნოდა) აფიქრებდა და სრულიადაც არ თანაუგრძნობდა თავადაზნაურობის ყოვლისშემძლეობას. იგი ბტრულად იყო განწყობილი წყობილებისადმი, რომლის დროსაც თავადები იტყოდნენ „მე ერისთავარი ვარ“. „მე—ორბელიანი“, ხოლო მას და მისებრ დაბალგვარიანებს ჰკითხავდნენ „თქვენ კი ვინღა ბრძანდებითო“[3]

მაგრამ მხოლოდ დოდაშვილი ფიქრობდა ასე შეთქმულთა შორის? ანდა სავსებით განცალკევებული იყო იდეურად დო-

---

[1] იხ. ნ. ბერძენიშვილის რეცენზია ა. კიკვიძის სადოქტორო დისერტაციაზე, ისტ. ინსტ. შრომები, ტ. I, 1955, გვ. 474.

[2] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

[3] იხ. მ. გოცაძე, სოლ. დოდაშვილი, გვ. 78.

დაშვილი? ამის მტკიცება არავის შეუძლია, ისევე როგორც შეთქმულების ძუნწი მასალების გამო შეუძლებელია იმის მტკიცებაც, რომ დოდაშვილს თანამოაზრეთა ფართო წრე ჰყავდა. უფრო საფიქრებელი კია ეს უკანასკნელი. რადგან შეთქმულებაში გარდა სოლომონისა სხვაც ბევრი ერია არაბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი და განწყობილებითაც ისინი სოლომონთან უფრო ახლოს იდგნენ (სოლომონ რაზმაძე, ზაალ ავთანდილაშვილი და სხვ.).

შეთქმულებაში მონაწილეობდნენ ისეთი ადამიანებიც, რომელთა სახელი დღემდე ისტორიისათვის უცნობია. ალექსანდრე ორბელიანი თავის მოგონებაში აღნიშნავს:

„ბევრი კარგებიც ერიენენ ჩვენს საქმეში, მაგრამ ვისიც ამბავი და სახელი იასემ (გამცემმა) იცოდა. იმითი გამოჩნდა და ვისიც არა იცოდა რა, უფრო მომეტებულისა, იმათი არა გამოჩნდა რა, ისე დაფარულად დარჩა იმათი საქმე“[1].

ამ „გამოჩენილთა“ შორის ალბათ ზოგი სოლომონ დოდაშვილის იდეური მოწაფე და თანამებრძოლი იყო; მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ სოლომონ დოდაშვილი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა კახეთში და კახეთის დაბალი წოდების თავკაცობა მის თანამოაზრედ და ერთგულად უნდა ვიგულისხმოთ.

შეთქმულების მასალების შესწავლა გვაფიქრებინებს იმასაც, რომ იგი (შეთქმულება) ერთგვარ იდეურ კავშირში იყო დეკაბრისტულ მოძრაობასთან და მის არაპირდაპირ გავლენასაც განიცდიდა.

დეკაბრისტულ მოძრაობას უდიდესი გავლენა ჰქონდა მთელი რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობაზე. „დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს რუსეთი“. დეკაბრისტული იდეოლოგიით გატაცებული იყო რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობა, პიუსკიდავად იმისა, რომ საიდუმლო ორგანიზაციის წევრი ბევრი იმათგანი არ ყოფილა. დეკაბრისტებმა ასევე უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს გამათავისუფლებელ მოძრაობაზე პოლონეთში, უკრაინაში და, თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოშიც. განა შემთხვევითია ის, რომ შეთქმულების მონაწი-

---

[1] გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

ლემ, ჩვენმა სასიქადულო პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა რილეევის „ნალივაიკოს აღსარების“ ჩონჩხზე ააგო „გივი ამილახვრის აღსარება?“ განა შემთხვევითია, რომ სოლ. დოდაშვილის ქაღალდებში იპოვეს რილეევის წერილი დასჯის წინ ცოლისადმი მიწერილი? მრავალი ქართველი — შემდეგ შეთქმულების მონაწილე — პეტერბურგში დეკაბრისტთა გამოსვლის და დასჯის უშუალო მოწმე იყო. დეკაბრისტები — რუსეთის ბედნიერი მომავლისათვის წამებული ადამიანები, პროგრესისათვის უანგარო და გმირი მებრძოლები ხომ პეტერბურგელი ახალგაზრდების აღტაცებას იწვევდნენ. მით უმეტეს, აღტაცებას იმ ქართველი ახალგაზრდებისა, რომლებიც ცარიზმის რეჟიმის უსამართლობას თავისი მშობლიური ქვეყნის მიმართ არა მარტო სულიერად, ფიზიკურადაც განიცდიდნენ.

შეთქმულების აქტიური მონაწილე კაპიტანი ზაქარია ჩოლოყაშვილი დეკაბრისტული მოძრაობის ბევრ თვალსაჩინო მონაწილეს პირადად იცნობდა და მათ წრეშიც ტრიალებდა. ჩოლოყაშვილი სემიონოვის პოლკის ოფიცერი იყო 1820 წლიდან, იმ პოლკისა, რომელმაც რუსეთის არმიის ისტორიაში პირველმა მოაწყო აჯანყება ცარიზმის წინააღმდეგ (1820 წ.), რაც დეკაბრისტული მოძრაობის ერთ-ერთი წყაროო გახდა. ზაქარია ჩოლოყაშვილს დაწვრილებით სცოდნია დეკაბრისტთა მოქმედების გეგმა. ანტონ აფხაზის ჩვენებაში ნათქვამია, რომ ზაქარია ჩოლოყაშვილი მასთან საუბარში დაწვრილებით ახასიათებდა დეკაბრისტთა გამოსვლას, მის შეცდომებს. „დიახ, კინაღამ რუსეთი დაირღვა... თუ მეამბოხენი დეკემბრის 14 არსენალთან მოვიდოდნენ და არა სენატთან, უეჭველად გაიმარჯვებდნენ, მაშინ ბრბო მოჰკიდებდა იარაღს ხელს და ვა დატრიალდებოდა“[1], — ამბობდა ჩოლოყაშვილი. ჩოლოყაშვილი, როგორც აფხაზი გვაუწყებს, ხსნის მეამბოხეთა გეგმას, თუ ვინ როგორ აზრს აყენებდა. პესტელი ჩოლოყაშვილს ურჩევდა, რომ პოლონეთი, საქართველო და სხვა ოლქები აუცილებლად მათ მფლობელთ დაბრუნებოდათ“[2].

საიდან უნდა სცოდნოდა ჩოლოყაშვილს დეკაბრისტთა

---

[1] საქართველოს ცსა, ფ 1457, რვ. II, გვ. 193.

[2] იქვე.

მოქმედების გეგმა ან ის სხვადასხვა აზრი, რომლებსაც ამ გეგმის განხილვისას გამოთქვამდნენ? მეფის რუსეთი ხომ დეკაბრისტთა საქმეებს უდიდესი კონსპირაციულობით იძიებდა და საზოგადოებამ არაფერი იცოდა დეკაბრისტების საქმიანობის შესახებ. ჩოლოყაშვილი ალბათ დეკაბრისტებთან იმდენად დაახლოებული პირი იყო, რომ მას შეთქმულების გეგმას და მის გარშემო წამოყენებულ აზრებსაც კი უზიარებდნენ. მას ესაუბრებოდა პესტელი, მსჯელობდნენ საქართველოს ბედზე დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში.

ზ. ჩოლოყაშვილი ხშირად საუბრობდა დეკაბრისტთა მოძრაობაზე შეთქმულებთან და თანაც რჩევას იძლეოდა, რათა არ გაემეორებინათ დეკაბრისტთა შეცდომები.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მრავალი დეკაბრისტი, რომელიც ცარიზმმა კავკასიაში გადმოასახლა, მეგობრულ ურთიერთობაში იყო შეთქმულების მონაწილე ქართველ ინტელიგენტებთან.

1928—1929 წლებში თბილისში ცხოვრობდნენ კავკასიაში სხვადასხვა დროს გადმოსახლებული დეკაბრისტები: ალექსანდრე ბესტუჟევი (მარლინსკი), პავლე ბესტუჟევი, ალექსანდრე განგებლოვი, ვლადიმერ ოდოევსკი, ალექსანდრე ბერსტელი, ვალერიან გოლიცინი, ნიკოლოზ რაევსკი, ვლადიმერ ტოლსტოი, ვლადიმერ ვოლხოვსკი და სხვები. ეს ადამიანები ხშირად იკრიბებოდნენ და პოლიციის მკაცრი ზედამხედველობის მიუხედავად, მაინც ახერხებდნენ ერთმანეთისათვის გაეზიარებინათ თავიანთი აზრები, გაეცნოთ თავიანთი შემოქმედება. საქართველოში გადმოსახლებული დეკაბრისტები, რა თქმა უნდა, კარჩაკეტილ კასტას არ წარმოადგენდნენ. ისინი ხშირი სტუმრები იყვნენ ალ. ჭავჭავაძისა და სხვა ლიტერატურული სალონებისა, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ შეთქმულების მონაწილე მრავალ ქართველ ინტელიგენტთან, რომელთაც შეიძლება ადრე პეტერბურგიდანაც იცნობდნენ. ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ დასჯილ რუს დეკაბრისტებსა და შეთქმულების მონაწილე ქართველ ახალგაზრდებს შორის ინტიმური ურთიერთობის ძაფები არ გაბმულიყო, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა მათი ფარული გულისნადების ურთიერთგაზიარება. დეკაბრიზმის იდეური ზეგავლენა, როგორც აღვნი-

შნეთ. ატყვია საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის იმ პროექტებსაც, რასაც შეთქმულნი სახავდნენ.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვინდა ვამტკიცოთ, რომ ქართველი ოცდათორმეტიანელები იდეოლოგიურად დეკაბრისტებამდე ამაღლდნენ. ჩვენ მხოლოდ იმას მივუთითებთ, რომ დეკაბრისტულმა მოძრაობამ. მისმა გამათავისუფლებელმა იდეოლოგიამ მიიზიდა, წააქეზა იმ დროის ქართველი მოწინავე ინტელიგენცია, გააღვივა მათში უსამართლობისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება. დეკაბრიტული პატრიოტიზმი, უანგარობა და გმირობა ქართველ ახალგაზრდობაში მამულიშვილობისა და სიმამაცის ეტალონი გახდა.

რაც შეეხება დეკაბრისტულ იდეოლოგიას, ქართველმა ოცდაათიანელებმა, რომლებსაც კიდევ უფრო ბოჭავდა კლასობრივი შეზღუდულობა, ვიდრე დეკაბრისტებს, იგი ეროვნულ პრიზმაში გაატარეს, ეროვნული თავისუფლების იდეოლოგიას დაუქვემდებარეს. ეს არ მომხდარა შემთხვევით. ეს კანონზომიერიც იყო. ხომ ცნობილია, რომ ქართველი სამოციანელები ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის და სამოციანელთა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის მხურვალე თანამგრძნობნი იყვნენ. მაგრამ ეს იდეოლოგია მათ შაბლონურად კი არ გადმოიტანეს საქართველოში, არამედ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს დაუმორჩილეს. ასევე შეიძლება ითქვას შეთქმულების მონაწილეთა შესახებაც, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ერის თავისუფლებისათვის საკმარისი იყო მხოლოდ რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავის დაღწევა. ეს სოციალური კონსერვატიზმი, როგორც ცნობილია, პოლონეთის 1830 წლის აჯანყებასაც ახასიათებდა და დეკაბრიზმის პოლონელი თაყვანისმცემლებიც ამ შემთხვევაში იმავე პოზიციაზე იდგნენ, როგორც ქართველი ოცდაათიანელები.

ყოველივე ზემოთქმული იმის უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ 1832 წლის შეთქმულება პროგრესული საზოგადოებრივი მოძრაობაა და მის ძირითად მიზანდასახულობას შეიცავს: 1. ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა, 2. მისი პოლიტიკური მმართველობის ორგანიზაცია იმ დროის ევროპის სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გამოცდილების გათვალისწინებით.

აქ გვინდა შევეხოთ ერთ დოკუმენტს, რომლის ავტორია ს. დოდაშვილი. ეს დოკუმენტი შეთქმულების მონაწილეთა თვალსაზრისს მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გამოხატავს. პატიმრობაში ყოფნის დროს, 1833 წ. 23 იანვარს, ს. დოდაშვილს მოკლედ აღუწერია და საგამომძიებლო კომისიისათვის გადაუცია განმარტება „იმ ჩაგვრა-შევიწროებათა შესახებ, რაც ქართველთაგან მოუსმენია". აქ ნათქვამია:

„1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეები ძალიან ნელა კეთდება და არ ეფარდება არც ხალხის ხასიათს, არც ზნეჩვეულებებს. კანონს უკუღმართი აზრით ხსნიან და საქმეებს ფრიად არასწორად მთავრდება.

2. საქმეები ასეთ ადგილებში მხოლოდ ქაღალდზე მთავრდება და მათ გადაწყვეტილად თვლიან, თუმცა იშვიათია, რომ ვინმეს დაკმაყოფილებული პასუხი მიეღოს.

3. წუთიერ და მცირემნიშვნელოვან რამეზეც კი ნაბრძანებია თხოვნა გერბიან ქაღალდზე იქნას შეტანილი.

4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად და ძალიან სწრაფად გადაწყდეს, ნაბრძანებია შეტანილ იქნეს სასამართლოში, სადაც ძალიან დიდხანს გრძელდება.

5. მომჩივართაგან, როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე, უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე თვითონ საქმე ღირს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე არ იქნება მოსმენილი და არც არასოდეს დამთავრდება.

6. ყველაზე პატიოსან და ყველას მიერ პატივცემულ ადამიანს სჯიან ხოლმე, თუკი მან ოდესმე რაიმე ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რაც ძალიან ხშირად ხდება გულწრფელობით, კანონის უცოდინარობით და ქართველის მხიარული ხასიათის გამო თავისუფალი ლაპარაკით. რითაც შესაძლებელია არც არავითარ ზიანს არ აყენებს არავის, მაგრამ კანონით დანაშაულად ითვლება" (შემდეგ მოდის მაგალითები).

„ამგვარი საქმეები უამრავია, ეს ძალიან ამძიმებს მცხოვრებლებს და ისინი ხშირადაც ჩივიან, სხვები სიღარიბის ან ენის, თუ კანონის უცოდინარობის გამო სრულიად ხელს იღებენ თავიანთ უფლებებზე... ერთი სიტყვით, ქართველთა მთელი საჩივარი სახელმწიფო დაწესებულებებთან ჩაგვრა-

შევიწროებაზე არის დამყარებული"[1]. ეს, როგორც ალ. ქუთელია შენიშნავს, „უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია", რომელიც „მთელი სიცხადითა და დაუფარავი სარკაზმით ამხელს ცარიზმის მმართველობის ანტიხალხურობასა და ბიუროკრატიზმს საქართველოში"[2].

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის უვარგისობაზე ს. დოდაშვილი აქ მთელი ხალხის სახელით ლაპარაკობს. იგი გამოდის მოსარჩლედ არა რომელიმე ერთი კლასის ან წოდების, არამედ ყველა იმ ქართველისა, რომელთაგანაც ეს საჩივარი მოუსმენია. მას განსაკუთრებით აწუხებს ბედი იმ ღარიბებისა, რომლებიც ენის თუ კანონის უცოდინარობის გამო სრულიად იღებენ ხელს თავიანთ უფლებებზე.

თუ კაცი ამ დოკუმენტს ჩაუკვირდება, მასში ნათლად დაინახავს მონახაზს იმ ეროვნულ-გამათავისუფლებელი პროგრამისა, რომელიც შემდეგ, 60—70-იან წლებში, თერგდალეულებმა სრულად და გამოკვეთილად ჩამოაყალიბეს. დოდაშვილს მშვენივრად ესმის ერის გულისტკივილი, ესმის ცარიზმის კოლონიური უღლის აუტანლობის ძირითადი მიზეზები, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იმ ადამიანებისა, რომლებიც ღარიბები არიან და რომლებსაც ეროვნულთან ერთად სოციალური ჩაგვრის უღელი აქვთ დადებული. პატიმარი დოდაშვილი, რომელიც, ცხადია, სასჯელის შემსუბუქებისათვის იბრძოდა, მეტს ვერ იტყოდა ცარიზმის კოლონიური რეჟიმის აუტანლობის შესახებ. აქ მსუბუქად და შემპარავად ნათქვამია ყველაფერი ის, რაც ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველობას (და არა მხოლოდ თავადაზნაურობას) აწუხებდა.

მოტანილი დოკუმენტი კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ოცდათორმეტიანელთა მოძრაობა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველ ეტაპად ვაღიაროთ. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. 1832 წლის შეთქმუ-

---

1 საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. V, გვ. 809—812.

დოკუმენტი პირველად გამოაქვეყნა ალ. ქუთელიამ თავის ნარკვევში „სოლ. დოდაშვილი და მისი ლოგიკა". იხ. ს. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, ლოგიკა, 1949, გვ. XXXVI—XXXVIII.

2 იქვე, გვ. XXXVIII—XXXIX.

ლება უნდა შეფასდეს იმ დროის საერთაშორისო მოვლენების გათვალისწინებით. იმ როლით, რომელიც მას შეეძლო შეესრულებინა საერთო ეროვნულ მოძრაობაში.

1830-იანი წლების ევროპისა და რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრება ჭარიშხლოვანი მოვლენებით ხასიათდება. ესაა საერთოდ ევროპაში რევოლუციის აზვირთების პერიოდი, საფრანგეთში მონარქიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის, ბელგიაში რევოლუციური აღმავლობის პერიოდი, დამოკიდებულ ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გაჩაღების პერიოდი. რევოლუციის ტალღები მძლავრად ურტყამენ „საღვთო კავშირის“ ბურჯებს. რუსეთის, პრუსიის, ავსტრიის მონარქთა რეაქციულ გარიგებას რევოლუციისა და აგრესიის წინააღმდეგ სერიოზული საფრთხე ემუქრება. ნიკოლოზ I ხანძარი საკუთარ სახლშიც უჩნდება. იარაღით გამოდის პოლონეთი, რუსეთში გლეხთა მძლავრი მღელვარებანი მძვინვარებენ.

„საღვთო კავშირის“, ევროპაში რეაქციის ბურჯის, წინააღმდეგ საერთო მოძრაობა, ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლა საქართველოში, ცხადია, პროგრესულ მოძრაობად უნდა ჩაითვალოს. პოლონეთის 1830 წლის რევოლუცია თავისი კონსერვატული ხასიათის მიუხედავად, მარქსიზმის ფუძემდებლებს მაინც პროგრესულად მიაჩნდათ, რადგან იგი „საღვთო კავშირის“ ბურჯებს ურტყამდა და რეაქციის ფრონტს ასუსტებდა.

1830 წ., როცა იმპერატორი ნიკოლოზი და პრუსიის მეფე მზად იყვნენ განეხორციელებინათ თავიანთი გეგმა იმ მხრივ, რომ საფრანგეთზე ახალი თავდასხმით აღედგინათ ლეგიტიმისტური მონარქია, ამ დროს პოლონეთის რევოლუციამ გზა გადაუღობა, — წერდა ფ. ენგელსი[1].

ქართველ ოცდაათიანელებს, ისე როგორც პოლონელ პატრიოტებს, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი წვლილი შეჰქონდათ. 1832 წლის შეთქმულება მისი წარმატების შემთხვევაში იქნებოდა ერთ-ერთი უბანი იმ დიდი ფრონტისა, რომელიც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აზვირთებას იწყებდა ბალტიისპირეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში.

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XV, стр. 548.

რა თქმა უნდა, 1832 წლის შეთქმულება რუსი დეკაბრისტების მსგავსად „შორს იყო ხალხისაგან". მათი სოციალური პროგრამა კონსერვატიული იყო. ბატონყმურ ურთიერთობაში ისინი არავითარ ცვლილებას არ ითვალისწინებდნენ და, პირიქით, ცდილობდნენ უკვე შერყეული ურთიერთობის განმტკიცებას. ეს იყო 1832 წლის შეთქმულების ყველაზე სუსტი მხარე. აქ იჩენდა თავს მათი კლასობრივი მრწამსი, მათი შეზღუდულობა და მათი პოლიტიკური და სოციალური რომანტიზმიც. მართალია, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ზოგიერთი რადიკალურად განწყობილი პირი გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებასაც ითვალისწინებდა და ამ მოძრაობაში გლეხობის აყოლიებით მისი დარაზმვის დიდი იმედი ჰქონდა (ს. დოდაშვილი), მაგრამ ეს იმ ვითარებაში მაინც მოუმწიფებელი იდეა იყო და მას შეთქმულთა უმრავლესობა არ გაიზიარებდა.

მაგრამ ეს სოციალური კონსერვატიზმი 1832 წლის შეთქმულების რეაქციულ მოძრაობად გამოცხადების არგუმენტად მაინც არ გამოდგება. ეს, ვიმეორებთ, შეთქმულების ძალიან სუსტი უბანია, მისი ჩრდილოვანი მხარეა, მაგრამ მაინც პატარაა იმ დიდ, პროგრესულ მხარეებთან შეფარდებით, რაზედაც ზევით ვილაპარაკეთ. მივმართოთ ანალოგიას:

1830 წლის პოლონეთის აჯანყების დროს, როგორც ცნობილია, წინა პლანზე ეროვნული საკითხი იყო წამოწეული. თავადაზნაურული წოდების წარმომადგენელი პოლონელი ნაციონალისტები წინააღმდეგი იყვნენ ქვეყნის სოციალურ ურთიერთობაში რაიმე ცვლილებისა. ისინი ხელუხლებლად ტოვებდნენ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობას. მათი მიზანი მხოლოდ დამოუკიდებელი პოლონეთი იყო. პოლონეთის რევოლუცია ამრიგად კონსერვატიული რევოლუცია იყო, რამაც გააცივა გლეხობის ინტერესი ბრძოლისადმი, ჩამოაშორა იგი რევოლუციას. ამაზე მრავალჯერ მიუთითებდნენ მარქსი და ენგელსი. მაგრამ მიუხედავად ამ კონსერვატიულობისა, მარქსს და ენგელსს მიაჩნდათ, რომ რევოლუცია პროგრესის საქმეს ემსახურებოდა და დადებითი მოვლენა იყო, რადგან იგი გამოხატავდა ევროპის ჟანდარმის — მეფის რუსეთის წინააღმდეგ აღშფოთებას და ერთვოდა იმ საერთო ეროვნულ-

დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც „საღვთო კავშირის“ ძლიერებას ამხობდა.

*
*

შეთქმულების ჩასახვისა და მეფის რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ გამოსვლისათვის მზადების პერიოდი (1826—1832) ქართული იდეური ცხოვრების გაცხოველების, ქართული კულტურის წინსვლის, ქართული ერის თვითშეგნების გაღვივებისათვის ინტენსიური ბრძოლის პერიოდია.

პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“, რომელიც 1819 წელს გამოიცა და 1821 წლამდე არსებობდა, მართალია, დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ერის ცხოვრებაში, მაგრამ მეტად ხანმოკლე და ამასთან, როგორც პირველი წამოწყება, ნაკლულიც აღმოჩნდა. გაზეთი ვერ ეხმაურებოდა იმ დროის მტკივნეულ საზოგადოებრივ საკითხებს.

1822—1828 წლამდე საქართველოს გაზეთი არ ჰქონია. ახალი გაზეთის დაარსების იდეა შეთქმულების აღმოცენების იდეასთან ერთად ჩაისახა. როგორც ცნობილია, შეთქმულების ინიციატორები პეტერბურგში ძალიან წუხდნენ იმის გამო, რომ საქართველოში კულტურული ცხოვრება ჩამკვდარია და იგი განზე დგას იმ დიდი ძვრებისაგან, რაც ევროპასა და რუსეთში იჩენს თავსო. შეთქმულებს პირველი რიგის ამოცანად ერის გათვითცნობიერება, მამულიშვილური გრძნობების გაღვივება, მისი პატრიოტული შემართება მიაჩნდათ, რადგან სწორედ ამ თვისებათა მომწიფების ვითარებაში იყო შესაძლებელი ამ განზრახვის წარმატებით განხორციელება. ერის გამოღვიძების პირველ საშუალებად შეთქმულებს სამართლიანად მიაჩნდათ გაზეთი. ამიტომ იყო, რომ მათ შორის ყველაზე დიდი განათლებითა და გამოცდილებით აღჭურვილი სოლომონ დოდაშვილი 1827 წელს პეტერბურგიდან სამშობლოს გამოემგზავრა და ერთი წლის შემდეგ, 1828 წელს, სათავეში ჩაუდგა ახალი ქართული გაზეთის („თბილისის უწყებანი“) გამოცემის უაღრესად რთულ საქმეს. იმ დროისათვის ქართული გაზეთის დაარსებას სტამბის სათანადო ორგანიზაციაც ესაჭიროებოდა,

რაც აგრეთვე 1828 წლისათვის განხორციელდა და ერის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ქართული სტამბა, მართალია, არ იყო დამოუკიდებელი და ძლიერი, მაგრამ ქართველი მოღვაწენი ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ, რომ ქართული სტამბის ცალკე დაარსების და მისი გაფართოების საქმეც მოეგვარებინათ. „თბილისის უწყებანი“ იმდროინდელი მკაცრი ცენზურის პირობებში ეხმაურებოდა ყველა იმ მტკივნეულ საკითხს, რაც ქართულ საზოგადოებრიობას აწუხებდა და აინტერესებდა. „გაზეთში გაფანტული ცნობები, — წერს ამ გაზეთის მკვლევარი მ. გოცაძე, — ეხებოდნენ ცარიზმის პოლიტიკას, საქართველოს ეკონომიკას, კლასთა ბრძოლას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებს, ქართულ კულტურასა და განათლებას, მწერლობას, ზნე-ჩვეულებასა და სხვა საკითხებს. „თბილისის უწყებანი“ ანალოგიური უფლებებით აღუჭრვილ სხვა იმდროინდელ გაზეთებს არ ჩამორჩებოდა“[1]. „თბილისის უწყებანმა“ შემოიკრიბა იმ დროის ქართული კულტურის მოღვაწეთა ფართო წრე, აღძრა საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი და ერთგვარი ბიძგი მისცა საზოგადოებრივ აზრს, რომელიც მანამდე, პერიოდული ორგანოს არარსებობის პირობებში, მოდუნებული და მიძინებული იყო.

შეთქმულებასთან, მისი წევრების პროგრამასთან განუყოფლადაა დაკავშირებული აგრეთვე პირველი ქართული ჟურნალის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ დაარსება. ქართული ჟურნალი 1832 წელს აღმოცენდა. ეს იყო შეთქმულთა საქმიანობის ყველაზე ინტენსიური პერიოდი, ქართული ინტელექტუალური ცხოვრების გაცხოველების პერიოდი. აღსანიშნავია, რომ ჟურნალის გამოცემისათვის სამზადისი თბილისში შეთქმულების კერის აღმოცენებას ემთხვევა. 1828 წლიდან სოლომონ დოდაშვილი და შეთქმულების სხვა გამოჩენილი მონაწილენიც (ალ. ჭავჭავაძე, ალ. ერისთავი, ალ. ორბელიანი და სხვ.) იღვწოდნენ ჟურნალის გამოცემისათვის, მაგრამ იმდენად დიდი დაბრკოლებები აღუდგა წინ ამ

---

[1] მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 146—147.

კეთილშობილურ საქმეს, რომ მხოლოდ 1832 წლისათვის გახდა შესაძლებელი ჩანაფიქრის განხორციელება.

ჟურნალს განსაზღვრული პროგრამა ჰქონდა და იგი ეყრდნობოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიას. ჟურნალის ამოცანას, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, შეადგენდა „მისცემოდა ესეთ გუარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითსა ენისა ჩუენისა და მიახლოვებისათვის განბრძობილთა მცხოვრებთა ევროპითსათა... განეღვიძებინა თანამემამულეთა შორის სურვილი და სიყვარული ბუნებითსა ენისა და სიტყვიერებისა“[1].

ამონაწერი აშკარად მიუთითებს, რომ ჟურნალი ემსახურებოდა ეროვნების ბურჯის — ქართული ენის მოვლის საქმეს, ხალხში განათლების გავრცელების საქმეს, ევროპული ცხოვრების გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეს. ჟურნალი მაშინდელი ცენზურის სასტიკი მეთვალყურეობის ვითარებაში ვერ იტყოდა, თუ რას გულისხმობდა ცხოვრების ეროვნული წესის პოპულარიზაციაში, მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ამ წესებთან იყო დაკავშირებული მათი პოლიტიკური იდეოლოგია. ამრიგად, ჟურნალი გამოდიოდა როგორც პროპაგანდისტი და ორგანიზატორი იმ დიდი ეროვნული ჩანაფიქრისა, რომელსაც 1832 წლის შეთქმულება ასახავდა. ეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ყლორტების გაშლას, მისი სათავის ამოშენებას, ერის ინტელექტუალურ ცხოვრებაში ახალი ნაკადის გაჩენას გამოხატავდა.

ამ ჟურნალის დაკვირვებული მკვლევარი მ. გოცაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ჟურნალი ამბოხების იდეური შემზადების საქმეს ემსახურებოდა, რომ მის რედაქტორს ს. დოდაშვილს ევალებოდა მოეთავსებინა ჟურნალში „წერილები“ „Против правительства“, ეწერა „Волные сочиненія“ და სხვ. მართლაც, ს. დოდაშვილის „სალიტერატუროხი ნაწილნი“ ნაციონალურ კულტურას უმღერდა და ქებას ასხამ-

---

[1] სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი, 1832, თბ. საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველო, საისტორიო მოამბე, 1952, გვ. 315—316.

და. ჟურნალში სამშობლოს დაცვაზე და მტრებთან შეუდრეკელ ბრძოლაზე იყო ლაპარაკი"[1].

სალიტერატურო ნაწილში გამოქვეყნებული მასალები აშუქებდნენ ჩვენი ერის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და იცავდნენ მას გამყალბებლებისაგან, მოგვითხრობდნენ ქართული კულტურის, კერძოდ, ქართული ლიტერატურის ძირძველობაზე და მის მაღალ დონეზე. შორეულსაუკუნოვანი ქართული ენის ტრადიციებსა და მის მაღალ გამომსახველობით უნარიანობაზე. ყველაფერი ეს ემსახურებოდა ქართული სულიერი კულტურის აღორძინების კეთილშობილურ საქმეს.

შეთქმულების მონაწილენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქართველობაში მამულიშვილობის გრძნობის, პატრიოტული შემართების გაღვივებას. მათი ლიტერატურული მოღვაწეობის ძირითადი ლეიტმოტივი სამშობლო იყო. ისინი განადიდებდნენ სამშობლოს წარსულს, ქებადიდებით იხსენიებდნენ გმირებს, რომლებიც თავს დებდნენ უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსული მმართველობის დამკვიდრებას ყიზილბაშობას ადარებდნენ და თანამედროვეთ მოუწოდებდნენ მიებაძათ წინაპართათვის — აეღოთ მახვილი „მამულის გამოსახსნელად". „სალიტერატურონი ნაწილნში" დაიბეჭდა გიორგი ერისთავის პოემა „ოსური მოთხრობა", რომელიც აღწერდა მე-17 საუკუნის ლეგენდარული გმირების ელიზბარ, შალვა ერისთავების და ბიძინა ჩოლოყაშვილის თავდადებას სამშობლოსათვის. ამ პოემას რომ აქვეყნებდა, ჟურნალი უეჭველია უხმობდა თანამედროვე გმირებს, რომლებსაც ასეთივე თავდადება უნდა გამოეჩინათ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის განზრახულ ბრძოლაში. პოლიტიკური პროკლამაციის როლს ასრულებდა ლექსი „გივი ამილახვარის აღსარება", რომელიც გ. ორბელიანის მიერ რილეევის ცნობილ „ნალივაიკოს აღსარების" გადმოქართულებას წარმოადგენდა, და ჟურნალში დასაბეჭდად იყო განზრახული.

ჯერ ერთი, საინტერესოა თვით ის ფაქტი, რომ რილეევი მეტად ცნობილი და იდეურად მახლობელი პოეტი იყო ქართველ შეთქმულთათვის; ამას მოწმობს არა მარტო რილეევის პოემის

---

[1] ვ. გოცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

გადმოქართულება, არამედ სიკვდილით დასჯის წინ რილეევის მიერ ცოლისადმი მიწერილი ცნობილი წერილის გავრცელება შეთქმულთა შორის. გამოძიების პროცესში შემთქმულნი არ უარყოფდნენ თავიანთ სიმპათიებს რილეევისადმი, რომელიც ნიკოლოზ პირველმა სახრჩობელაზე აიყვანა. მას მთელი რუსეთისათვის ცნობილ ადამიანს უწოდებდნენ[1]. უდავოა, რომ შეთქმულები, როგორც აღვნიშნეთ, დეკაბრისტთა იდეოლოგიის გავლენას განიცდიდნენ.

„გივი ამილახვარის აღსარებას“ პოლიტიკური პრობლამაციის დანიშნულება აქვს. მისი მთავარი გმირი — გივი ამილახვარი თანამემამულეთ თათართა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებს და მონურ ცხოვრებას სიკვდილს არჩევს. თათართა წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდი ალეგორიულია. ავტორს მხედველობაში მისი თანამედროვე საქართველო აქვს და ამილახვარის მოწოდება სხვა არაფერია, თუ არა ქართველებისადმი მოწოდება აღსდგნენ რუსული მმართველობის დასამხობად.

„ერი ღაღადებს ვაებას და ვერვინ აღსდგა მფარველად,
მის ჟამით მტრისა სისხლისა ვარ დასათხევად მოსურნე
და ამა ფიქრით მოცულსა, სახე მაქვს ჭმუხვნილ, მრისხანე.
მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვნესის...
„ჟამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა!
ვუწყი მე მართლად, რომ ჯერ არს სიკვდილსა იგი ელოდეს,
ვინც ერის მაწუხებელსა, პირველად წინა-აღუდგეს!
მარა, მოძღვარო! მითხარ მე, ვის? სადა? რომელსა მხარეს?
თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ მოუსყიდიეს?
წარვსწყმდები, მამულისათვის, ვიცი, ვგრძნობ და აღვიარებ;
და ჩისთვის ესრედ ჩემს სიკვდილს ადრევ სიამით ვაკურთხებ“[2].

ამავე დანიშნულებას ემსახურება სოლომონ დოდაშვილის ლექსიც. იგი აჯანყებისაკენ მგზნებარე მოწოდებაა.

„მაისის თვესა იქმნას ძახება
გამოხატული ქართველთ უფლება
აღვიპყრათ ხელსა მახვილი
მივცეთ მტერთ შიში ძრიელი

[1] იხ. ქ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, გვ. 206.
[2] გრ. ორბელიანი, თხზ. სრული კრებული, 1959, გვ. 112.

შემოვიკრიბოთ გულით მსურველნი
ვეცეთ. ვეძგერნეთ გაგულებულნი
განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი,
ჩვენ მამულისა მაოხრებელნი
ქართველნო ხართ სადმე თუ არა
არავინ არ იცის მოეთ გონება"[1].

ხალხის გამოფხიზლების, მისი პატრიოტული სულისკვეთების გაღვივების, საქვეყნო საქმისათვის დარაზმვის საქმეს ემსახურებოდა ის პროკლამაციაც, რომელიც დოდაშვილის გაჩხრეკა-დაპატიმრებისას მის ქაღალდებში იპოვეს. „ქვეყნის დაარსებითგან, — ნათქვამია იქ,—მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თავისნი სჯულნი, თავისი სარწმუნოება, თავისი ენა, და თავისი ჩვეულება და ჰყვანდა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არასოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და ავსებდა მსოფლიოსა. მტერი მარადის მოწყლული იყო და დამხობილ მათგან. ხოლო აწ ხედავდა დამხობასა და არარაობასა მამულსა ჩვენისასა, ჰგრძნობთ შეიწროებას ყოვლისა კაცისასა, რაისთვის არს ესე ესრეთ, ნუ (თუ) ჩვენ არა ვართ შვილნი მამა-პაპათა ჩვენთანი. ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა, მაშა რაისთვის ცოცხალვართ"[2].

შეთქმულთა ეს საამბოხო ლექსები, ალბათ ხელნაწერთა სახით კონსპირაციულად ვრცელდებოდა შეთქმულთა შორის. დოდაშვილის ჟურნალის პატრიოტული მოთხრობები, მისი თავისუფალი აზრები დიდად უწყობდა ხელს ქართული საზოგადოებრიობის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეს.

სოლომონ დოდაშვილის პირად ქაღალდებში, კომისიას რომ ძიების საქმეში ჩაუკერებია, ინახება ერთი ანონიმური ლექსი,

---

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რე. X, ფურც. 1834.
[2] იქვე. ფურც. 1833.

რომელიც კარგად ასახავს ცარიზმის ანექსიონისტური პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველი დიდგვარიანების განწყობილებას და ისევე როგორც სხვა მოტანილი ლექსები, ალბათ ქართულ მოსახლეობაში ანტირეჟიმული აჯანყების სულისკვეთების გაღვივებას ემსახურება.

ლექსი ასეთია:

„სკვითთ წაგვართვეს მთლად ქვეყანა,
არც კი მოგვცეს კაცი ერთი;
ქართლ კახეთსა არ დაჰჯერდნენ,,
ზედ დაიდვეს იმერეთი:
მწირობაში დავგლახავდით
შემწე არ გვყავს არცა ერთი,
შევთხოვოთ ზენას სამართალსა
ვნახოთ ვითა განსჯის ღმერთი“.

ლექსის უკანა გვერდზე საგამომძიებლო კომისიისაგან მიწერილია: დოდაშვილის განცხადებით, ეს ლექსი დაწერილია იოანე ბატონიშვილის მიერ და გამოგზავნილია პეტერბურგიდან.

დოდაშვილის განცხადება კომისიას არ მიუჩნევია საეჭვოდ. ლექსი რომ მართლაც დოდაშვილს არ ეკუთვნის, ფაქტია, რადგან როგორც სტილით, ისე ხელწერით დიდად განსხვავდება დოდაშვილის ნაწერებისაგან. საგამომძიებლო კომისიას ამ საკითხზე შემდგომი ძიება საჭიროდ აღარ ჩაუთვლია, რადგან იოანე ბატონიშვილი, რომელიც დოდაშვილმა ავტორად გამოაცხადა, ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილ აქტებში, სადაც 1832 წლის შეთქმულების საქმეზე საგამომძიებლო კომისიის მასალებია დაბეჭდილი, მოტანილია რუსული თარგმანი ამ ლექსისა, რომელიც აქაც გამოცხადებულია იოანე ბატონიშვილის შემოქმედებად. თარგმანი, რომელიც კომისიის თარჯიმანს შეუსრულებია, დედანს სიტყვასიტყვით იმეორებს:

«Скифы отняли у нас всю землю и не дали нам даже
одного человека
Не довольствовавшись Карталиниею и Кахетиею, присовокупили
к оным и Имеретию

Мы в несчастии обедняли и не имеем поборника, к кому бы прибегнуть!

И спрашиваем с выше правосудие, посмотрим как рассудит бог»!

იოანე ბატონიშვილის ავტორობა სავარაუდოა, მიუხედავად იმისა, რომ მის საქმეებში ამ ლექსის პირი არაა დაცული. ცნობილია ის დიდი შემოქმედებითი საქმიანობა, რასაც იოანე ეწეოდა. მის კალამს, გარდა „კალმასობისა“, მრავალი ორიგინალური ნათარგმნი და გადმოკეთებული თხზულება ეკუთვნის. იოანე ლექსებსაც წერდა. ზემომოტანილი ლექსი პირველად ქვეყნდება. იგი საინტერესოა შინაარსითაც და ფორმითაც. ლექსის ხალხური კილო, მსუბუქი ფორმა მის დანიშნულებაზე მიგვანიშნებს. საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ლექსი, რომელიც ცენზურის მეთვალყურეობის ვითარებაში დოდაშვილის ჟურნალის ფურცლებს ვერ იხილავდა, განკუთვნილი იყო მოსახლეობაში გასავრცელებლად და პროკლამაციის დანიშნულებას ასრულებდა, ისე როგორც თვით დოდაშვილის ლექსი და მოწოდება.

ჟურნალს იმ დროისათვის ხელისმომწერთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ჰყავდა. ჟურნალი ვრცელდებოდა არა მარტო საქართველოში, არამედ პეტერბურგშიც და დიდი მოწონებით სარგებლობდა. ეს იყო იმდროინდელი ქართველი ინტელიგენციის ერთადერთი სულიერი საკვები. იგი მამულიშვილურ გრძნობებს აღვივებდა, ერის გამათავისუფლებელ მოძრაობას ბიძგს აძლევდა.

შეთქმულების მონაწილეებს ქართული კულტურის დარგში ფართო გეგმები ჰქონდათ დასახული. ისინი ეწეოდნენ მზადებას ქართული ბიბლიოთეკის შექმნისათვის, ქართული ეროვნული თეატრის დაარსებისათვის. ერთ-ერთ კრებაზე, რომელიც ს. დოდაშვილის ბინაზე შემდგარა, ლაპარაკი იყო საზოგადოების შექმნაზე, რომელსაც უნდა შეეგროვებინა თანხები ბიბლიოთეკისა და სტამბის შესაძენად, ნიჭიერი ახალგაზრდების რუსეთის უნივერსიტეტში გასაგზავნად და მათთვის მატერიალური დახმარების გასაწევად[1].

[1] საქართველოს ცსა, ფ. 1457, რვ. 1, გვ. 101.

საგამომძიებლო კომისიის ჩვენებაში ს. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ ჩემს ბინაზე, ვახშამზე „წავიკითხეთ მოწაფე მაჩაბელოვის თხზულებანი და ვმსჯელობდით, ვამბობდით შეგვედგინა საზოგადოება, გამოგვერთმია ფული, ამ თანხით შეგვეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა, ვამბობდით აგრეთვე ნიჭიერი მოწაფეები გაგვეგზავნა უნივერსიტეტში და დაგვენიშნა მათთვის სტიპენდია".

მართალია, ამ მიზანდასახულობათაგან შეთქმულების მონაწილეებმა ვერ მოასწრეს ბევრი რამის განხორციელება, მაგრამ ეს მათი ჩავარდნის მიზეზით მოხდა. შემდეგ კი, როცა ისინი ისევ დაუბრუნდნენ მშობლიურ ქვეყანას, ქართული კულტურის კერების შექმნის ადრინდელ იდეებს ფრთები შეასხეს.

ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი", რომელიც შეთქმულთა ლიტერატურულ-პოლიტიკურ ორგანოდ მიგვაჩნია. თავისთავად სრულიად ახალი და დიდად საყურადღებო მოვლენა იყო ქართული კულტურის ისტორიაში. იგი თავის გარშემო იკრებდა და რაზმავდა ერის რჩეულ, კულტურულ ძალებს. ყველა იმის ზრუნვაში იყო, რომ ჟურნალისათვის თავისი ნააზრევი მიეწოდებინა. „ჩვენ ყველანი ვცდილობდით ჟურნალისათვის რაიმე შეგვეთხზა ან გვეთარგმნა და დაგვებეჭდა", — აღნიშნავდა ამ ჟურნალის აქტიური თანამშრომელი, შეთქმულების მონაწილე გიორგი ერისთავი. ჟურნალმა ერთბაშად გამოაფხიზლა ქართველი ინტელიგენცია, სარქველი ახადა იმ გონებრივ ჭურჭელს, რომელიც ბეჭდვითი სიტყვის არარსებობის გამო მხოლოდ შინაგან დუღილს განიცდიდა და გასაქანს ეძებდა. მან გზა მიუჩინა აზრებსა და იდეებს, რომლებიც აწუხებდა განათლებულ ქართველს, მის ინტელექტუალურ ცხოვრებას ასულდგმულებდა. ს. დოდაშვილი მიესალმებოდა ამ ყვავილობას ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და ჟურნალის ფურცლებზე აღტაცებით წერდა: „გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაიდან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზუა მშვენიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვადასხვა საგანთა".

ქართული ლიტერატურული საქმიანობის ამ ერთბაშად გამოცოცხლებამ, როგორც ჩანს, ქართული ლიტერატურული

საზოგადოების დაარსების იდეაც მოამწიფა. ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიას უმხელდა: „ბოლოს გადავწყვიტეთ შეგვექმნა ლიტერატურული საზოგადოება“.

ამ საზოგადოების სულისჩამდგმელი თვით სოლომონ დოდაშვილი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ისეთი თანამებრძოლები ჰყავდა, როგორიც იყვნენ: გ. ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, დავით მაჩაბელი, სოლომონ რაზმაძე და სხვები.

ჟურნალის დაარსებამ, ლიტერატურული ცხოვრების გაცხოველებამ დედაქალაქის ინტელიგენციის ცხოვრებას სხვაგვარი ელფერი მისცა, თბილისი ლიტერატურული სალონების ქალაქად აქცია. ყველაზე სახელგანთქმული იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონი, სადაც თავს იყრიდნენ დედაქალაქის საუკეთესო ადამიანები, საპატიო სტუმრები, თბილისში გადმოსახლებული დეკაბრისტები. ამ სახლში მაშინდელ ევროპულ ყაიდაზე იმართებოდა მეჯლისები და გართობანი, ქართული ლიტერატურული პროდუქციის დემონსტრირება, მსჯელობა მათი ავკარგიანობის შესახებ. ამ სალონის მუდმივი სტუმრები იყვნენ 30-იანი წლების ქართველი რომანტიკოსები. მათ შორის პატარა ტატოც, რომელმაც აქ შეიძინა უფროსი თაობის ის მეამბოხური სულისკვეთება, რაც შემდეგ ასე გენიალურად ჩააქსოვა თავის შემოქმედებაში.

ლიტერატურული სალონები, გარდა ა. ჭავჭავაძისა, მოწყობილი იყო მანანა ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, რ. ბაგრატიონის და სხვათა სახლებში[1].

ქართული ეროვნული ინტელიგენციის ეს წამყვანი თაობა ქართული ეროვნული თეატრის აღორძინებასაც ამზადებდა.

შემთხვევითი როდია ის დიდი აღტაცება, რომლითაც თბილისის ინტელიგენცია 1828 წელს გენიალური რუსი პოეტის ალ. პუშკინის ჩამოსვლას შეხვდა. საზოგადოება ხარბად ეცნობოდა მის ჯერ კიდევ დაუბეჭდავ თხზულებებს.

პუშკინის — დეკაბრისტების უახლოესი მეგობრის, თავისუფლების ამ უბადლო მომღერლის სიყვარული და პატივისცემა განუზომლად დიდი იყო იმ ქართველ ინტელიგენტთა

---

[1] ჟურნ. „სალიტ. ნაწილნი...“ 1832, № 2, გვ. 46.

შორის, რომლებიც მაშინ უკვე ებმებოდნენ ეროვნული თავისუფლებისათვის განზრახულ ბრძოლაში.

მართალია, ამ დროს ქართული თეატრი ჯერ კიდევ გამართული არ ყოფილა, მაგრამ ცალკეულ ლიტერატურულ სალონებში მაინც ხერხდებოდა პიესების წარმოდგენა. ასეთი წარმოდგენებისათვის თარგმნიდნენ შესაფერ პიესებს, წერდნენ ორიგინალურსაც. ზოგიერთ სალონში წარმოდგენა რუსულ ენაზე იმართებოდა. მაგალითად, 1831 წელს რ. ი. ბაგრატიონის სალონში წარმატებით დაიდგა გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, რომელშიაც მარო და სოფიო ივანეს ასული ორბელიანები მონაწილეობდნენ. ეს დიდი საქმიანობა, ქართული თეატრის აღდგენისათვის რომ მიმდინარეობდა, მართალია. 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნამ და მონაწილეთა დაქსაქსვამ შეწყვიტა, მაგრამ 40-იანი წლების მიწურულში იმავე თაობის თაოსნობით, როგორც ცნობილია, დაიბადა კიდეც ახალი ქართული თეატრი.

ოცდაათიანელთა საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ შეიძლებოდა კიდევ ბევრი თქმულიყო, მაგრამ, ვფიქრობთ, იმის გასარკვევად, „თუ რა თესლი ჩათესეს მათ ცხოვრების ხნულში“, რაც ითქვა, ისიც საკმარისია.

ამრიგად, ქართველმა ოცდაათიანელებმა საქართველოს ეროვნული განთავისუფლების კეთილშობილური საქმე თავიანთი იდეური ცხოვრების ძირითად შინაარსად გაიხადეს.

ოცდაათიანელთა იდეოლოგია, სოციალური კონსერვატიზმის ანუ კლასობრივი შეზღუდულობის მიუხედავად, პროგრესული იდეოლოგია იყო. იგი ქართული ისტორიული ცხოვრების ჩარხს უკან კი არა, წინ ეწეოდა, ამზადებდა ნიადაგს ერის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნისათვის.

ქართველმა ოცდაათიანელებმა ეროვნული განთავისუფლების კეთილშობილური იდეის სამსახურში ბევრი რამ გააკეთეს ქართული კულტურის წინსვლისათვის, მიძინებული სულიერი ცხოვრების გამოღვიძებისა და გაცხოველებისათვის, ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებისათვის, პატრიოტული შემართებისათვის.

ოცდაათიანელთა თაობა ახალი მოვლენა იყო ქართულ სუ-

ლიერ ცხოვრებაში. ისინი მამების მსგავსად (1802, 1812 წლების აჯანყების მონაწილენი) უკან კი არ იხედებოდნენ და ძველის რესტავრაციას კი არ ისახავდნენ მიზნად, არამედ წინ იყურებოდნენ და ნიადაგს წმენდნენ იმ მძლავრი მოძრაობისათვის, რომელიც 60—70-იან წლებში გაჩაღდა.

ყოველივე ამის შემდეგ ოცდაათიანელებზე, ე. ი. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეებზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში, ისე როგორც დეკაბრისტები რუსეთის გამათავისუფლებელ მოძრაობაში, პირველ თაობას, პირველ რევოლუციონერებს განასახიერებდნენ.

თავი V

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა 40—50-იან წლებში

1. ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა"

...პირველი წლები, 1825-ს რომ მოჰყვნენ, უსაშინლესი იყვნენ. მხოლოდ ათი წლის შემდეგ შეძლო საზოგადოებამ გამოფხიზლებულიყო დამონებისა და დევნის ატმოსფეროში. მას დაეუფლა ღრმა უიმედობა, ძალის საერთო დაცემა. მხოლოდ ერთი — პუშკინის ჟღერადი და ფართო სიმღერა გაისმოდა მონობისა და წამების ველზე. ეს სიმღერა აგრძელებდა წარსულ საქმეს, ვაჟკაცური ხმებით ამხნევებდა ახლანდელს და იმედიანად ეხმაურებოდა შორეულ მომავალს.

ასე ახასიათებდა რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ დიდი რუსი განმანათლებელი და დემოკრატი ა. ი. გერცენი.

ა. ი. გერცენის ეს დახასიათება თავისუფლად შეიძლებოდა მიგვეყენებინა იმ სულიერი განწყობილებისათვის, რომელიც ქართულ ინტელექტუალურ სამყაროში 1832 წლის შეთქმულების გამომჟღავნების და მისი მონაწილეებისათვის ანგარიშგასწორების შემდეგ გაბატონდა.

შეთქმულების მონაწილენი ავლაბრის ყაზარმებში იყვნენ გამომწყვდეულნი. საგამომძიებლო კომისია თანდათან შედიოდა შეთქმულების სიღრმეში და მრავალი ქართველი მამულიშვილის ოჯახი შიშით ძრწოდა განაჩენის მოლოდინში. მთავრობამ გააძლიერა რეპრესიები. შეწყდა ქართული ჟურნალის და გაზეთის გამოცემა. შეწყდა მხურვალე საქმიანობა მამულიშვილთა საბრძოლო შემართებისათვის. „ქართველი, ერთი

წუთით გამოღვიძებული, ისევ ძილს მიეცა, ქართველ საზოგადოებაში რეაქცია დამყარდა. ჭარიშხლის შემდეგ ისევ წყნარი, მაგრამ მოღრუბლული და მოღუშული დღე დადგა"[1].

ერთწლიანი კვლევა-ძიების შემდეგ სასამართლო შედგა. შეთქმულების მთავარი მონაწილენი — ერის სულიერი ცხოვრების მესაჭენი—ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ორბელიანი — საქართველოს მოსწყვიტეს და თვალუწვდენი რუსეთის სხვადასხვა მხარეში დაფანტეს. თბილისი სულიერად დაცარიელდა, დაობლდა, თითქოს შეწყდა მისი მაჯისცემა.

მაგრამ არ გაუელია დიდ ხანს, რომ დაღლილობისა და მოდუნების ასეთ ატმოსფეროში, უიმედობის და წამების ველზე გაისმა გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდიანი, მაგრამ გამომაფხიზლებელი და იმედის მომცემი მჟღერადი სიმღერა.

ოცდაათიანელთა შეთქმულების გამომჟღავნებისას ნ. ბარათაშვილს 16 წელი შეუსრულდა მხოლოდ. შეთქმულების მოთავეთაგან ზოგიერთი მისი უშუალო მასწავლებელი (ს. დოდაშვილი), ზოგიც ახლო ნათესავი და უფროსი მეგობარი იყო. სავარაუდოა, რომ ბარათაშვილი განდობილი იყო კიდეც და ახალგაზრდულ თაობასთან ერთად (დ. ყიფიანი, ზ. ავთანდილაშვილი და სხვ.) შეთქმულთა გიმნაზიის ფილიალს ქმნიდა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: შეთქმულების ტრაგიკული აღსასრული ნ. ბარათაშვილმა ყველაზე მძიმედ განიცადა, იგი ცხოვლად დააჩნდა მის სულს („რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის") და სიკვდილამდე ერთგული დარჩა იმ იდეალებისა, რის განხორციელებასაც ოცდათორმეტიანელები შეეწირნენ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი სამართლიანადაა აღიარებული ქართველი ხალხის ეროვნულ გენიად, XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მხატვრული აზროვნების მებაირახტრედ, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად. ამის

---

[1] კ. ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები, თბ., 1962, გვ. 70.

შესახებ ბევრია დაწერილი და ჩვენ შესაძლებლობას აღემატება ნათქვამის გაღრმავება-გაფართოება. წინამდებარე ნაშრომში ნ. ბარათაშვილი ჩვენ გვაინტერესებს როგორც ოცდათორმეტიანელთა სულიერი მემკვიდრე და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე XIX საუკუნის 30—40-იან წლებში, კერძოდ, ბარათაშვილი როგორც მოაზროვნე ისტორიკოსი.

როგორც ცნობილია, დეკაბრისტების შემდგომი ხანა (30-იანი წლების მიწურული, 40-იანი წლები) რუსეთში საზოგადოებრივი აზრის უმძაფრესი ჭიდილით ხასიათდება. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა ამ პერიოდში ცდილობს პასუხი გასცეს კითხვებს: როგორია არსებული კრიზისული მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავალი? საით, რა მიმართულებით უნდა წავიდეს რუსეთის ცხოვრება, სავალდებულოა მისთვის იმ გზით სვლა, რომელიც კაპიტალისტურმა ევროპამ გაიარა, თუ მას თავისი, ევროპისაგან განსხვავებული, ნაციონალური, წმინდა რუსული ცხოვრება გააჩნია და მისი დაცვა-შენარჩუნებისათვის არის მოწოდებული?

ამ საკვანძო, რთული პრობლემური საკითხების ირგვლივ რუსეთში მრავალი სტატია და ნაშრომი დაიწერა, მათ გარშემო მიმდინარეობდა მხურვალე დისკუსიები უნივერსიტეტის კედლებში, კერძო სალონებში, თუ პრესაში. რუსეთის თვითმპყრობელობამ ამ საკითხს თავისებური პასუხი მოუნახა. ეს იყო უვაროვის ოფიციალური ხალხურობის თეორია, რომელიც რუსეთის მომავალი ცხოვრების ხერხემლად, მისი ხსნის ღუზად, მისი ძალისა და ძლიერების შესანარჩუნებლად სამ პრინციპს— თვითმპყრობელობას, მართლმადიდებლობას და ხალხურობას აღიარებდა. ამ თეორიის დასანერგად მთავრობა რიგ ღონისძიებებს მიმართავდა, მაგრამ თვით თეორია იმდენად უსუსური იყო, რომ არავის სჯეროდა მისი. ჩაადაევის ასპარეზზე გამოსვლამ კი სრულიად გააქარწყლა უვაროვის დებულებანი. რუსეთის მომავალზე უფრო დასაბუთებული პასუხის ძიებაში მოაზროვნე ინტელიგენცია ორმოციან წლებში 3 ჯგუფად გაითიშა. ასე ჩამოყალიბდნენ სლავოფილების, მედასავლეთეთა და რევოლუციურ-დემოკრატების მიმდევრები, რომლებმაც რუსეთის აზროვნებას ღრმა კვალი დააჩნიეს.

საქართველოში ამ დროს ცხოვრება ჯერ კიდევ მდორედ მიედინებოდა. არ იყო გაზეთი, არ იყო თეატრი, არ ისტამბებოდა წიგნები. იდეურ ცხოვრებას მონატრებული ინტელიგენცია დროს თავშექცევასა და ქეიფში კლავდა. ყურადღების ცენტრში იყო შამილის წინააღმდეგ ომები და სახელმოწყურებული ქართველი ახალგაზრდობა „ისტორიული მტრის“ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ ისწრაფოდა. მაგრამ ამ საერთო აპათიურობასა და უმოძრაობაში აქა-იქ ბეუტავდა შემოქმედებითი კერები. თბილისის ლიტერატურულ სალონებში, სადაც რუსულ კულტურაში გათვითცნობიერებული ახალგაზრდობა იკრიბებოდა, მსჯელობის საგანი მოაზროვნე რუსეთის ანალოგიური საკითხები იყო.

შეთქმულთა დაპატიმრებისა და მათი საქმის ძიების პერიოდში ყველა წარჩინებული ქართველის ოჯახში, ყოველ შეკრებაზე ინტიმური საუბრის ძირითადი თემა უთუოდ შეთქმულთა საქმიანობას, მათ იდეოლოგიას და ბედს დასტრიალებდა. თვით შეთქმულებს, რომლებიც უაღრესად კონსპირაციულად მოქმედებდნენ, რაიმე საპროგრამო დოკუმენტი არ დაუტოვებიათ. ამ შეთქმულების მსხვერპლი გახდა ოცდაათიანი წლების ქართველი მოაზროვნე თაობა ისე, რომ მათ თანამედროვეებმა აუხსნელი დარჩათ საკითხი: მართებული იყო თუ არა მათი თავგანწირვა, ემსახურებოდა თუ არა ერის კეთილდღეობას მათი ჩანაფიქრი. შეთქმულთა მომდევნო მოაზროვნე თაობას ან უნდა განეგრძო იგივე გზა, რასაც წინაპრები ადგნენ, ან დაეგმო იგი როგორც ერის კეთილდღეობისათვის უვარგისი. ამიტომაც სავსებით კანონზომიერად აწუხებდა ოცდაათიანელთა მომდევნო თაობას საქართველოს მომავალი — „ბედი ქართლისა“ და საქართველოს ორიენტაციის შესახებ გადაჭრილ და დასაბუთებულ პასუხს მოითხოვდა.

ცხოვრებისეული საკითხებისადმი პასუხის გაცემა საქართველოს „გენიალურ ჰაბუკს“ ნიკოლოზ ბარათაშვილს ხვდა წილად. დევნისა და დამონების ატმოსფეროში იგი თავის ხალხს კეთილ გენიად მოევლინა. გენიოსი ისაა, ვინც არა მარტო ყველაზე ღრმად განიცდის თავისი ხალხის სულიერ ტკივილს, არამედ აგნებს მისი დაყუჩების საშუალებას, გენიოსი ერის მესაიდუმლეა, მისი სულის გამომსახველია, მისი მეკვლეა.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში აისახა არა მარტო თანამედროვე ეპოქა, არა მარტო ტკივილები მისი ხალხისა, წინაღმდეგობებით, ვაებითა და მწუხარებით აღსავსე დრო-ჟამი. არამედ დასახულ იქნა გზა, რომლითაც უნდა ევლო მოაზროვნე თაობას. ბარათაშვილმა ქართველი ხალხის ისტორიის ღრმა ანალიზის საფუძველზე თეორიულად დაასაბუთა და განაზოგადა ხალხის მიერ არჩეული ორიენტაციის სისწორე და ახალი საქართველოს მომავალი აზიურ-ბარბაროსული სამყაროსაგან იზოლირებასა და რუსეთთან და ევროპასთან თანაცხოვრებაში დაინახა. ნ. ბარათაშვილისა და მისი თაობის დამოკიდებულება საქართველოს გამოხსნისადმი, შეთქმულთა იდეოლოგიისადმი ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებში გამოიკვეთა. 1833 წელს, როცა შეთქმულების მონაწილენი ავლაბრის ყაზარმებში ისხდნენ, ხოლო გაბოროტებული მთავრობა ოცდათორმეტიანელთა ფესვების სრულ ამოძირკვას ეწეოდა, გიმნაზიის მოწაფეთა ერთმა ჯგუფმა (ნ. ბარათაშვილი, მიხ. თუმანიშვილი, დავ. მაჩაბელი) გამოსცა პირველი ხელნაწერი ჟურნალი—ანთოლოგია, რომელიც შეთქმულთა ორგანოს „სალიტერატურო ნაწილნის“ გზას ადგა და ქართველი ხალხის სულიერი გამოღვიძების, მისი ეროვნული თვითშეგნების ამაღლების საქმეს განაგრძობდა. ხელნაწერი ჟურნალის ავტორ-შემდგენელთა გასაოცარი გამბედაობა იყო მასში გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ორბელიანის, გიორგი ერისთავის ნაწარმოებთა მოთავსება. თვით ნიკოლოზი ამ დროს, როგორც მისი კლასის მეგობრები გადმოგვცემენ, მთავრობის საწინააღმდეგო ლექსებს თხზავდა, რის გამოც ძლივს გადაურჩა მკაცრ სასჯელს. მგზნებარე ჰაბუკი მუქარამ ვერ შეაშინა და ერთხელ არჩეულ გზით სვლას განაგრძობდა.

1836 წელს ნ. ბარათაშვილის წრემ ხელახლა დაიწყო ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა („გიმნაზიის ყვავილი“), რომელიც ისევ აგრძელებდა ოცდათორმეტიანელთა ორგანოს იდეოლოგიას. შემთხვევითად არ მიგვაჩნია „გიმნაზიის ყვავილის“ ღრმა დაინტერესება საქართველოს ისტორიული წარსულით და, კერძოდ, ერეკლე მეორის საბრძოლო ცხოვრების აღწერით. ამასთან, ერეკლეს შესახებ მოთხრობის ავტორად გარკვეული მოსაზრებით ნ. ბარათაშვილის ჯგუფის მასწავლე-

ბელი და სახელოვანი წინამორბედი სოლომონ დოდაშვილი რომ არის შერჩეული.

გიმნაზიის პერიოდი და შემდეგ რიგითი მოხელის უხალისო წლები ნ. ბარათაშვილისათვის წარმოადგენდა მოსამზადებელ ხანას, რათა მას პასუხი გაეცა თანადროულობის მტკივნეულ კითხვებზე. ამ პერიოდში იგი გულმოდგინედ და შეუპოვრად სწავლობდა მშობლიური ერის ისტორიას, პირველწყაროებში ეცნობოდა ქართველი ხალხის სულიერ საგანძურს— მის ლიტერატურას, ერკვეოდა მსოფლიო ისტორიულ პროცესებში, თარგმნიდა ტაციტს და დეკაბრისტი პოეტის კ. რილეევის ზეგავლენით წერდა ორიგინალურ ისტორიულ თხზულებებს პაპიზმის შესახებ[1].

ნ. ბარათაშვილი მოკლე ხანში საქართველოს ისტორიის საკითხებში იმდენად ღრმად ჩახედული და განსწავლული აღმოჩნდა, რომ მისი, როგორც ერის ისტორიის ღრმა მცოდნის, სახელი პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას მიწვდა და მარი ბროსე მას თანამშრომლობას სთავაზობდა. ცნობილი მეცნიერი მიხეილ ბარათაშვილი[2], რომელმაც 1844 წელს გამოაქვეყნა დიდი ნაშრომი „Нумизматические факты Грузинского царства“ ნიკოლოზის მამისადმი მოკრძალებულ წერილში აღნიშნავდა, რომ მას მეტისმეტად გაახარებდა, თუ ნიკოლოზი „შეავსებდა თავისი უხვი ცოდნითა და ნიჭით თავისი მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს“.

მშობლიური ერის ისტორიის ღრმა ცოდნამ და არაჩვეულებრივმა ნიჭმა პოეტს გააბედვინა შეფასება მიეცა იმ დიდი ისტორიული აქტისათვის, რომელიც საქართველოს ცხოვრებაში XVIII საუკუნის მიწურულში განხორციელდა, გაერკვია ამ აქტის, ე. ი. რუსეთთან შეერთების, მიზეზები, მისი ნათელი და ჩრდილოვანი მხარეები.

XIX საუკუნის 30—40-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფია, მდიდარი ტრადიციების მიუხედავად, მოვლენების განვითარებას საგრძნობლად ჩამორჩებოდა.

XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასა-

---

1 ი. ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, ბარათაშვილის ცხოვრება, 1967, გვ. 140.

2 ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, ლიტერატ. გაზეთი, 1968, 5 აპრილი, № 14.

წყისში მძლავრმა ქარტეხილებმა დროებით ჩაახშვეს კულტურული საქმიანობის ის კერები, რომლებიც ერეკლე მეორის მეფობაში იწყებდა გაჩაღებას. ისტორიული კვლევა-ძიებაც, რომელიც ვახუშტი ბატონიშვილისა და ვახტანგ VI ტრადიციებს აგრძელებდა, შეწყდა, უფრო ზუსტად, მან გადაინაცვლა პეტერბურგში, სადაც ცარიზმმა ქართველ ბატონიშვილთა ოჯახები გადაასახლა. დავით, იოანე, თეიმურაზ ბაგრატიონები და მათი შთამომავლები პეტერბურგში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით. დავით ბატონიშვილის «Краткая история о Грузии», «Обозрение Грузии по части права и законоведения», ვახტანგ ბატონიშვილის «Обозрение царства Грузинского народа»", ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობა" და სხვ., მართალია, სამშობლოს წარსულს „უტყუარობისა და ჭეშმარიტების" ნიშნით აღწერდნენ და ზოგიერთი ისტორიული მოვლენის კრიტიკულ ანალიზსაც შეიცავდნენ, მაგრამ მაინც ვერ იდგნენ ეპოქის მოთხოვნათა დონეზე და ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგარ პრობლემებს ვერ უპასუხებდნენ. „რუსეთთან შეერთებამ, ქართული პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებამ და რუსული მმართველობის დამკვიდრებამ ქართველი ისტორიკოსების წინაშე ახალი ამოცანები წამოსწია. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, მომძლავრებული ერის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა ყოველგვარი ჯურის ნიჰილისტებისა და დიდმპყრობელური შოვინისტების შემოტევისაგან, ხოლო მეორე მხრივ, საჭირო იყო ქვეყნის წარსულის, მისი კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა საქართველოს ახალი მესვეურისათვის"[1].

ამ მომწიფებული ამოცანების გადაჭრისათვის ბრძოლის ცენტრად 1830-იანი წლების მეორე ნახევრიდან იქცა ისევ პეტერბურგი, სადაც ქართველ მკვლევართა ისტორიოგრაფიულ საქმიანობას სათავეში ცნობილი ქართველოლოგი მარი ბროსე ჩაუდგა.

თვით საქართველოში XVIII საუკუნის მიწურულისათვის

---

1 შ. ხ ა ნ თ ა ძ ე, მარი ბროსე (ისტორიული ნარკვევი), 1966, გვ. 44.

მოშლილი კულტურული კერები ამ დროისათვის ჯერ კიდევ ვერ აღორძინებულიყო. რუსეთთან საქართველოს შეერთებას მოყოლილი განუწყვეტელი ომები და მასობრივი აჯანყებანი მშვიდი და შემოქმედებითი ცხოვრების საშუალებას XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ნამდვილად არ იძლეოდა. მხოლოდ ოცდაათიანი წლების დამდეგს დაიწყო ამ კერების გაღვივება, როცა ქართულ ენაზე პირველი ნაბეჭდი ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილნი თბილისის უწყებათანი“ გამოვიდა. 1832 წლის შეთქმულების მოთავე ინტელიგენციამ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის ვითარებაში მშობლიური ისტორიისადმი ინტერესი გააღვივა. ჟურნალი, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი რედაქტორობდა, აქვეყნებდა რიგ სტატიებს, სადაც საქართველოს წარსულის პროპაგანდასთან ერთად ზოგ საპრობლემო საკითხსაც აყენებდა და ერის ისტორიის გამყალბებლებს ებრძოდა, მაგრამ შეთქმულების გამჟღავნებამ და მის მონაწილეთა დაპატიმრებამ ეს კერა ისევ ჩააქრო და ისტორიოგრაფიული ხასიათის საქმიანობაც ხანგრძლივი დროით შეწყდა.

„მართალია, მეთვრამეტე საუკუნის თავზარმა და მეცხრამეტის პირველ წლების წეწვა-გლეჯამ, — აღნიშნავს ილია ჭავჭავაძე, — საქართველოს ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედიც-კი დააკარგვინა და, რასაკვირველია, რომ როცა შემთხვევა მოეცა, ერმა თავი თითქო მოსვენებას მისცა და თითქმის ხმა-ამოუღებლივ დაემორჩილა ახლად მოვლენილ სვე-ბედსა. მაგრამ ამ ილაჯ-გაწყვეტილის, ღონემიხდილის ერის ხმა-ამოუღებლობა ემჩნევა მარტო ამ საუკუნის პირველ მეოთხედის წლებსა. მთელი ეს მეოთხედი საუკუნისა ისე გავიდა, რომ თვითეული ცალკე კაცი და მთელი საზოგადოება საერთოდ თავბრუ დასხმულსავით გარინდებული იყო და საქვეყნოდ არც ხალისი, არცა ღონე არ გამოუჩენია — არც უკან მიხედვისათვის, არც წინ დანახვისათვის, თითქო დიდი ნისლი მოხვევიათ და ელიან, ცა გადაიყაროსო, ან თავზარი დასცემიათ და გამოურკვეველ ელდას შეუკრავსო.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს თავს ვერ დაიჭერდა და ამ ხანგრძლივ სვენაში უნდა რამ გამონასკულიყო. იმიტომ, რომ ძნელია. ერის ცხოვრების მაჯის-ცემა ისე შესწყდეს, რომ არა

მოქმედებდეს-რა ასე თუ ისე სახვალიოდ. ჯერ კიდევ იყო, როგორც წინად ვსთქვით, თითო-ოროლა ოჯახი, თითო-ოროლა მამულის-შვილი, რომელთაც ასულდგმულებდა ჩვენის ძველის ცხოვრების ანდერძები, აქა-იქ შერჩათ კიდევ ხსოვნა მეთვრამეტე საუკუნის თავგანწირულ გმირთა, რომელთა საქმენი მოხუცს ცრემლს ადენდნენ და მხნეობით აღტაცებულ ჭაბუკს ხმლის ტარზე უთრთოლებდნენ ხელს. თუმცა ყოველი ეს კარჩაკეტილი იყო, ხმა-ამოუღებელი, დაქსაქსული, აქა-იქ ცალ-ცალკე ბჟუტავდა, მაგრამ არ შეიძლება თავისი საქმე-კი არ ეკეთებინა, თავისი ნასკვი არ გამოენასკვა და ადრე თუ გვიან არ წამოეყენებინა ცხოვრებისათვის გამოსახსნელად.

დაიწყო მეორე მეოთხედი ამ საუკუნისა თუ არა, ეს ნასკვი შეიკრა ახლა-კი საქვეყნოდ და ბოლოს გაიხსნა კიდეც: ცხოვრებამ თავისი უკეთესნი კაცნი, სამშობლოს სიყვარულით თვალ-ახილებულნი, აქეთ-იქით მიახედ-მოახედა, ყოფილსაც თვალი გადაავლებინა და არსებულსაც. მოიკითხეს—რა წაიღო ძველმა და რა მოიტანა ახალმა. ამ მოკითხვამ შესძრა გონება და გული მაშინდელ ყმაწვილ-კაცობისა. მოძრაობამ კიდევ შეჰკრა ის ბრწყინვალე წრე გონება-გახსნილ ყმაწვილ-კაცობისა, საიდამაც გამოვიდნენ თ. გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ორნი გიორგი ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, თ. ნ. ბარათაშვილი, ალ. და დიმ. ორბელიანები, ძმები ჩვენის პოეტისა (ვახტ. ორბელიანის—ა. ს.), და ბევრნი სხვანი, რომელთაც სახელოვნად იჩინეს თავი ზოგმა ლიტერატურაში, ზოგმა საზოგადო და სახელმწიფო სარბიელზე. ამ წრის წმიდათა-წმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია მათდა სასახელოდ"[1].

ეს ვრცელი ამონაწერი ილიას თხზულებიდან იმიტომ მოვიტანეთ, რომ ქართულ ლიტერატურაში არ მოიძებნება XIX საუკუნის პირველი ოცდაათწლეულის ინტელექტუალური ცხოვრების უფრო სხარტი, ღრმა და გამართული დახასიათება. აქ ახსნილია მიზეზები ამ ძალების დროებითი ინერტულობისა და იმ საოცარი ერთდროული შემართებისა, რომელიც მეო-

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 237—238.

რე მეოთხედიდან დაიწყო. ამ შემართების ცენტრში 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილი აღმოჩნდა.

30-იანი წლების მეორე ნახევარში ქართული საზოგადოებრივი აზრი ისტორიული კვლევა-ძიების საჭიროებას მწვავედ განიცდიდა, ერის წარსულისა და აწმყოს საჭირბოროტო პრობლემებზე ლიტერატურულ სალონებში ცხარე მსჯელობა და კამათი მიმდინარეობდა. ნ. ბარათაშვილი და მის გარშემო შემოკრებილი მოაზროვნე ახალგაზრდობა ყველაზე უკეთ ხედავდა ამ საჭიროებას და საქართველოს ისტორიის დაწერის თადარიგს ეწეოდა. „ხშირად გვქონდა ლაპარაკი ჩვენს წარსულ ცხოვრებაზე, — იგონებს ბარათაშვილის მეგობარი პოეტი კ. მამაცაშვილი, — ერთ საღამოს ბარათაშვილის სახლში გადავწყვიტეთ, რომ რადგანაც არა გვაქვს ქართული რიგიანი ისტორია, გავიყოთ მე-5 საუკუნიდან დაწყებული, თითომ თითო საუკუნე აიღოს და შეადგინოს ისტორია ამ საუკუნისა. პლ. იოსელიანს მიანდვეს დაწერა ძველი საუკუნეების ისტორიისა ქრისტეს წინათ და შემდეგ მე-5 საუკუნემდე. მაშინ ძნელი იყო ამისთანა საქმის აღსრულება, რადგანაც მშრომელნიც ცოტანი ვიყავით და საქართველოს ისტორიის მატიანეები დაფანტული იყო, არ იყო ჯერ შეკრებილი არც ძველი საეკლესიო გუჯარები, არც ბევრი საინტერესო გრამოტები თავადების და აზნაურების სახლებში. მარტო მატიანედ იყო „ქართლის ცხოვრება“.

ბარათაშვილთან ერთად ამ დიდ ეროვნულ წამოწყებაში მისი გიმნაზიის მეგობრებს — ლ. მელიქიშვილს, კ. მამაცაშვილს, მ. თუმანიშვილს, ზ. ავთანდილაშვილს, დ. ყიფიანს, ს. მაჩაბელს და სხვებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მშობლიური ისტორიის დიდი მკვლევარი იყო პლატონ იოსელიანი, რომელიც პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კურსის დამთავრების შემდეგ თბილისის სემინარიაში ფიზიკას და ფილოსოფიას ასწავლიდა. პლატონ იოსელიანი არ თანაუგრძნობდა იმ იდეურ მიმდინარეობას, რომელსაც ბარათაშვილი და მისი წრე ეკუთვნოდნენ. საქართველოში რუსეთის დამკვიდრება და რუსეთის ცარიზმის კოლონიური რეჟიმი პლატონ იოსელიანს აუცილებლად და პროგრესულ მოვლენად მიაჩნდა, ქართველ-

შეთქმულთა იდეოლოგიას მცდარს და მავნეს უწოდებდა. ბუნებრივია, რეტროგრადული თვალსაზრისის მქონე იოსელიანს, რომელსაც ამასთან ერის ისტორიის ღრმა ცოდნა გააჩნდა, ბარათაშვილის ჯგუფი მიანდობდა მხოლოდ საქართველოს ისტორიის ყველაზე ძველ, საწყის პერიოდზე მუშაობას, რომ აქ მას ნაკლებად შეძლებოდა თავისი რეაქციული იდეოლოგიის პროპაგანდა.

ბარათაშვილი და მისი ჯგუფი საქართველოს ისტორიის დაწერისათვის მზადების პერიოდში აქტიურად საქმიანობდა ისტორიის წყაროების შესაკრებად. ჯგუფის წევრები აღტაცებული იყვნენ პეტერბურგის ქართულ კოლონიაში ეროვნული ისტორიული კვლევა-ძიების გაინტენსიურებით და მარი ბროსეს, რომელიც ამ საქმეს მაღალ აკადემიურ დონეზე წარმართავდა, ყველა საჭირო დახმარებას უწევდნენ, განსაკუთრებით ლიტერატურისა და წყაროების მიწოდებით.

საქართველოს ისტორიის რიგ პრობლემათაგან, რომლებიც თანამედროვე ისტორიოგრაფიის დონეზე დასაბუთებულ მეცნიერულ ანალიზს და დამაჯერებელ პასუხს მოითხოვდა, ყველაზე მთავარი, მტკივნეული და საინტერესო საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის და საქართველოს რუსეთთან შეერთების პრობლემა იყო. იგი საინტერესო იყო არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით. ეს იყო, ამასთან, ცხოველმყოფელი პოლიტიკური საკითხი, რომლის დამაჯერებელ ანალიზს და მეცნიერულ დასაბუთებას იმ ეპოქის მოაზროვნე თაობის მოქმედება უნდა განესაზღვრა.

ეს პრობლემა ნ. ბარათაშვილს, როგორც ჩანს, წლების მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა. მისთვის პასუხის გაცემა გენიალურ ჰაბუკს ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებში უცდია, აქედანვე დაწყებულა მისი შემოქმედებითი წვა ქართლის ბედზე. ზაქარია ჭიჭინაძე გადმოგვცემს: „მე ბევრისაგან გამიგია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს, რომ „ბედი ქართლისას“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამებადა თავში: იქ განვიზრახე იმის დაწერა, რამოდენიმეჯერ დავწერე კიდეც, მაგრამ არ ვაჩენდი, ვიდრე გვარიანად არ შევამუშავებდიო“[1].

---

[1] ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი, 1885.

პოეტი ქართლის ბედზე ფიქრობდა არა მარტო საქართველოს ისტორიულ წყაროებზე მუშაობის მომენტში, არამედ მარადჟამს, დასვენების საათებშიც კი. დამახასიათებელია კ. მამაცაშვილის მოგონება: „მახსოვს ერთ ივლისის ღამეს, 1832 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოდ გარეთუბანში (ეხლანდელი გალავინის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარული იყო და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა. მერე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზედ და ტრაგიკულს დასასრულზედ 18-ის საუკუნის, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზედ, ჩვენის თბილისის წახდენაზედ 1795 წელსა 12 სექტემბერს და სხვა...

ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარსა და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და აღელვებულმა მითხრა:

„ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა, — და ოხვრით დაუმატა: „ვაი ჩვენო ქართლის ბედო“[1].

ამ საუბრიდან ერთი წლის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაასრულა თავისი გენიალური პოემა „ბედი ქართლისა“ და ალ. ჭავჭავაძის სალონში წაიკითხა. ცხადია, მამაცაშვილთან საუბრის დროს პოეტი, ალბათ, ღრმა შემოქმედებით ტკივილებს განიცდიდა და სწორედ მაშინ ძერწავდა ერეკლე მეორისა და სოლომონ მსაჯულის სახეებს და მათი პირით მისი თანამედროვე მოაზროვნე თაობის ორი ბანაკის არგუმენტებს აყალიბებდა, რომ მათთვის მსჯავრი დაედო და დავა საბოლოოდ გადაეწყვიტა.

„ბედი ქართლისა“ უაღრესად შეკუმშული, მეტსიტყვაობისაგან გაწმენდილი, ზღვასავით უძირო და ბროლივით გამჭვირვალე რეალისტური პოემაა. ძალზედ მსუბუქ, მიმზიდველ სტრიქონებში გენიალურადაა გადაშლილი ბედუკუღმართობა ერისა, მისი დასუსტება-დაცემის მიზეზი, მისი ხალხის სამართლიანი ჰოჰმანი ისტორიული მობრუნების მომენტში, მისი გულისტკივილი ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის გამო, მაგრამ მისი სწორი ალღო და მკაცრი აუცილებლობით ნაკარნახევი მოქმედება. სამართლიანად შენიშნავდა კიტა აბა-

[1] ზ. მთაწმინდელი, ნ. ბარათაშვილი, 1885.

შიძე: „ეს დიდებული პოემა არა თუ ლიტერატურული განძია ჩვენთვის, ისტორიული მხრითაც ბევრად უფრო ღრმაა, ვრცელი და მრავალის ამხსნელი, ვინემ ბევრი ჩვენი ისტორიკოსის ნაწარმოები"[1].

ნ. ბარათაშვილის მიერ პოემის ქარგად შემთხვევით არაა შერჩეული XVIII საუკუნის მიწურული. აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შემოსევა 1795 წელს უკანასკნელი მძიმე დარტყმა იყო, რომელიც მრავალ ტანჯვაგამოვლილმა ქართველმა ხალხმა თავისი ვრცელი და ქარტეხილოვანი ისტორიის გზაზე განიცადა. კრწანისის გმირული ომი და მისი ტრაგიკული აღსასრული ფოკუსი იყო ერის ისტორიული ძნელბედობისა. აქ შესანიშნავად გამოჩნდა ის ვაჟკაცური სულისკვეთება, შემართება და თავგანწირვა, საქართველოს საუკეთესო შვილებს რომ ახასიათებდა მამულის გამოხსნისათვის ბრძოლაში. კრწანისის ველზე მრავალმა ქართველმა დაღო თავი. ბარათაშვილი შადლიერების გრძნობით მოიხსენიებს მათ აუნაზღაურებელ დამსახურებას:

„მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის!...
ჰწ საფლავიცა არსად არს მათთვის,
ჰაერში განქრა მათი სახელი
და ჟამთ მოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..
მაგრამ, ჰო გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის".

ბარათაშვილის ეს ბრწყინვალე სტრიქონები მართლაც ხელთუქმნელი ძეგლია სამშობლოსათვის თავდადებული იმ გმირებისა, ვისაც უნდა უმადლოდეს ქვეყანა ერის ფიზიკურ გადარჩენას.

მაგრამ კრწანისის ველზე გამოჩნდა ის შინაგანი სისუსტე და გათიშულობა, ღალატი და ორპირობა, რაც აგრეთვე საქართ-

---

[1] კ ი ტ ა ბ ა შ ი ძ ე, ეტიუდები, 1963, გვ. 89.

ველოს ისტორიის მთელ გზაზე. თითქმის აბათილებდა სამშობლოს მამაც და ერთგულ შვილთა ნამოღვაწარს და ხელს უწყობდა მტრის გამარჯვებას. მალულად და მოღალატურად უღებდა მას ბრძოლით ჩარაზულ კარებს.

საქართველო რომ სათავადოებად დანაწევრებულ-დაქუცმაცებული არ ყოფილიყო, ცალკეულ სათავადოთა შორის შუღლსა და მტრობას ქვეყანა რომ დასუსტება-დაცემამდე არ მიეყვანა, მამაც ერეკლეს, სხვა თუ არა, საუფლისწულოში ჩაკეტილი შვილები რომ წამოშველებოდნენ, კრწანისის ველზევე გადაწყდებოდა ქართლის ბედი დადებითად და აღა-მაჰმად-ხანი თბილისს ვერ იხილავდა, მაგრამ ბრძოლის ველზე მამაცი პატარა კახი მარტოდმარტო აღმოჩნდა.

კრწანისთან განმეორდა ის, რაც მრავალჯერ მომხდარა, გაგულისებული, განაწყენებული, თავისი სათავადოს ინტერესებით შემოფარგლული დიდებულები საქართველოს ბედს ძალიან ხშირად ანაცვლებდნენ თავისი საბრძანებლოს ინტერესებს.

ქართველთა გმირული წინააღმდეგობით დამფრთხალი აღა-მაჰმად-ხანი კრწანისის შემდეგ უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ გადაწყვეტილება შეაცვლევინა ელჩმა, რომელიც თბილისიდან ღალატით გააპარეს. ციხე შიგნიდან გატყდა, წყეულმა ღალატმა მტერს დედაქალაქისაკენ გაუკაფა გზა. ასეც ხომ ბევრჯერ მომხდარა საქართველოს ისტორიაში („და მუხთალისა ანგართა ხელთა აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!“).

აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი მოაოხრა და ქურდულად გაიქცა, მაგრამ გაიქცა იმისათვის, რომ თავისი ლაშქარი გააძლიეროს და ისევ შემოესიოს საქართველოს, რათა ფიზიკურად მოსპოს იგი. მუსლიმანური ყმადნაფიცი სახანოები განუდგნენ საქართველოს და ყაჯარს ამოუდგნენ გვერდით მათი ყოფილი სიუზერენის წინააღმდეგ საბრძოლველად. დასავლეთ საქართველოში თურქეთი პარპაშებს. საქართველოს დასუსტებით გათამამებული ლეკები დათარეშობენ ქართლსა და კახეთში და განუკითხავად ძარცვავენ ქვეყანას. ერეკლე მოხუცდა, მის შვილებს კი აკლიათ მამის ნიჭი და ვაჟკაცობა, დიდგვარიანები ერთმანეთს გლეჯენ. ასე იშრიტება საქართველოს ძალა, კარზეა მომდგარი მისი ტრაგიკული აღსასრული.

მამაცი ერეკლეს სამშობლოზე ამ მძინვარე ფიქრებით იწყება პოემის მეორე კარი.

აღა-მაჰმად-ხანისაგან ლტოლვილი მეფე მის მიერ ბრძოლით გამოვლილ გზას გაჰყურებს და იგონებს წარსულს: მეფობის პირველი დღიდანვე იბრძოდა იგი ქვეყნის ერთიანობისათვის და მიაღწია კიდეც, გაიერთგულა ქვეშევრდომნი და საქართველოს გაძლიერება-აყვავებით უნდა დაეტკბო დღენი მოხუცებულობისა, რომ შვილებმა მოუშხამეს ტკბილი ცხოვრება.

„და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას
განუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი მის ნაცვლად მე რა მომაპყრეს
ჩემმა შვილებმა და ვინ ახარეს!..“

ახარეს აღა-მაჰმად-ხანი, საქართველოს დაუძინებელი მტერი.

„ამიერითგან გაქეზებული
მაჰმად-ხანისა მოსისხლე სული
არ დაგვაწყნარებს ამაყობითა:
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს:
ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ!
მე თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახივარ!
მარქვი, რომელს შვილს ჰხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?..
ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ
ნუღა მოუვლენ საწყალთა ქართველთ!..“

ეს XVIII საუკუნის მიწურულის საქართველოს პოლიტიკური ვითარების უაღრესად ზუსტი შეფასებაა. ამ შეფასებას ერეკლეს პირით გადმოგვცემს ბარათაშვილი. იგი ისტორიის წყაროებში ღრმად ჩახედული ანალიტიკოსი მოაზროვნეა. რა ქნას დაუძლურებულმა, პოლიტიკურად დაშლილმა საქართველომ, როცა „მას მტრები, ვით მგლების ხროვა“, გარს ახვევია და განადგურებას უმზადებს. შინაგანი ძალებით წამოდგომა და

მტრების მოგერიება მას არ ძალუძს. სპარსეთი და ოსმალეთი ვერაგები არიან. ისინი ისლამის სჯულს ცეცხლითა და მახვილით ავრცელებენ და ცდილობენ ამოძირკვონ ქრისტიან ქართველთა სახსენებელი.

ამ ტრაგიკულ ფონზე, როცა თითქოს ხსნის ყველა გზა ღობეშულია, ავტორის მიერ წინ წამოწეულია ერის გადარჩენის ერთადერთი საშუალება — რუსეთთან კავშირურთიერთობა, მისი მფარველობა. ძლიერი ჩრდილოელი მეზობელი — რუსეთი მართლმადიდებელ ქრისტიანთა ქვეყანაა და მასთან კავშირს სასარგებლო ტრადიციები აქვს.

„აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —
მას მინდა მივცე მემკვიდრეობა,
და მან მისცეს ქართლს კეთილდღეობა!“

პოემას, თუ მას ისტორიული სიმართლის თვალსაზრისით განვიხილავთ, მოვლენათა ერთგვარი ანაქრონიზმი ახასიათებს, აქ გადაადგილებულია ზოგიერთი ისტორიული დეტალი. მაგალითად, ცნობილია, რომ რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატი (1783 წ.) დიდი ხნის წინ იყო დადებული, როცა აღა-მაჰმად-ხანი შემოიჭრა საქართველოში და თბილისი აოხრა. ზოგი თანამედროვე პოემას ამ თვალსაზრისით წუნსაც დებდა. ალ. ორბელიანი თავის მემუარებში, მაგალითად, აღნიშნავდა: „ნიკოლოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი საქართველოს ბედს რომ ლექსათა სწერს, სადაც სოლომონ მსაჯული გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნობაში, ის ლექსთმგოსნობა საუცხოოა. მაგრამ ისტორიისათვის კი არ გამოდგება“[1].

ალ. ორბელიანმა ალბათ ვერ გაიგო, რომ ბარათაშვილის მიზანს სრულებითაც არ შეადგენდა ისტორიულ მოვლენათა ლექსად გადმოცემა. ბარათაშვილმა, მართალია, ფანტაზია მოიშველია და მისი მიზანდასახულობისათვის შესაფერი ისტორიული სურათიც შექმნა პოემაში, მაგრამ ამით სინამდვილის კანონზომიერებისათვის არ უღალატია. პირიქით, მან განგებ

---

[1] ალ. ორბელიანი, ლეკთა დაღისტანიდან გადმოსვლა და სხვა ამბები, გამოც. ს. კაკაბაძისა, 1941, გვ. 12.

შეკუმშა და დააჯგუფა მოვლენები, თავი მოუყარა ერის მოჰირნახულეთა აზრებს და სულიერ განცდებს, საქართველოს ისტორიული ბედის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისი ერთმანეთს დაუპირისპირა და ამით პოემა აიყვანა არა მარტო დიად მხატვრულ, არამედ თეორიულ-ფილოსოფიურ სიმაღლეზე. პოემამ აქ დააყენა ეპოქის ყველაზე მტკივნეული, ყველაზე თანამედროვე და ცხოველი საკითხები და პასუხი გასცა პროგრესული, ეროვნული და პატრიოტული პოზიციებიდან.

პოემის თვითეულ სტრიქონში გამოსჭვივის ავტორის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა ერეკლეს მიმართ. პატარა კახი პოემაში ლომგული მეომარია, სწორუპოვარი სამხედრო სტრატეგი, ბრძენი პოლიტიკოსი და დიპლომატი. პოეტი საქართველოს ამ სასიქადულო მესაჭეს სწორედ ისე გვიხატავს, როგორიც ის იყო მის წინაპართა და თანამედროვეთა წარმოდგენაში. მეფე მოვლენათა მკაცრი განმსჯელია, მოხუცი ბრძენი საქართველოს ბედის გადაწყვეტის ჟამს ყველა ნაბიჯს გულმოდგინედ ზომავს და საპირისპირო მოსაზრებებს ანალიზს უკეთებს: ვის, თუ არა მას, უყვარს სამშობლო და მზადაა ყოველჟამს მისთვის სიცოცხლე გასწიროს. მაგრამ, როცა საქმე ერის მომავალს, მის ბედს შეეხება, როცა უნდა გადაწყდეს საშვილიშვილო საკითხი — დარჩეს ქვეყანა მარტოდმარტო „მგლებისა“ და „ბაბრის“ ხროვათა შორის, ე. ი. მტრულ მუსლიმანურ გარემოცვაში, თუ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშიროს, სრული დამოუკიდებლობის შეზღუდვის საფასურად თავის ხალხს მშვიდობა მოუპოვოს და ცივილიზაციის სარბიელზე გზები გაუკაფოს — მეფე აქ შეუპოვარია, ცივია, საკუთარ გრძნობათა დამთრგუნველია და მხოლოდ გონებას, ცივ განსჯას, მხოლოდ ჭკუის კარნახს ემორჩილება.

ერთმორწმუნე რუსეთის ქვეშევრდომობაზე, როგორც შექმნილი ვითარებიდან საუკეთესო გამოსავალზე, ერეკლეს აზრი ისტორიულ ქარტეხილებში გამოვლილი აზრია. ირანოსმალეთის მტრულ რკალში მომწყვდეულ საქართველოს, რომელსაც ფიზიკური გაქრობა ემუქრებოდა და რომლის არაერთგზისი ცდა ეს რკალი გაერღვია და დასავლეთს დაკავშირებოდა, ამაო გამოდგა, ჩრდილოეთის ერთმორწმუნე ძლიერ ქვეყანასთან კავშირი ერთადერთ ხსნად ესახება. საქარ-

თველოს მოწინავე პოლიტიკური მესვეურები, ლევან კახთა მეფით დაწყებული, ამას კარგად ხედავენ და მიუხედავად იმ დიდი მსხვერპლისა, რაც ამ პოლიტიკას ახლდა, მკაცრი აუცილებლობით აღიარებულ ორიენტაციას პრაქტიკულად ამტკიცებენ. ერეკლეს სიტყვები ერთმორწმუნე რუსეთის მიმართ თითქოს აჯამებს და სრულყოფს ქართლის ბედის საკითხში იმ პოზიციას, რომელიც უკანასკნელი სამი საუკუნის განმავლობაში თანდათანობით მტკიცდებოდა და პრაქტიკული გადაწყვეტის წინაშე იდგა.

გავიხსენოთ ერეკლეს სიტყვები:

„მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე,
არამედ ვითა მამა კეთილი,
რომელსა სურს, რომ თავისი შვილი
თვის სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უპვრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი,
რა ქმნა ამ ერთმან დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ აღა-მაჰმად-ხან
ქალაქს დასჯერდა განძვინებული,
სხვით არ აღიესო მან საწყაული!“

აღა-მაჰმად-ხანმა ვერ მოსპო საქართველო მთლიანად. მძვინვარე შაჰი მხოლოდ თბილისით დაკმაყოფილდა ამჯერად. მაგრამ სადაა გარანტია, ხვალ უარესი დღე არ დაადგება ქვეყანას. იგი ხომ ბრძოლებში მოღლილია, მარტოდმარტოა, შინაგანად აწეწილია და განა შეძლებს გაუმკლავდეს მტრებს, რომლებიც მისი სრული განადგურებისათვის სახელმწიფო საზღვრებს მოდგმიან?

და ბრძენი მეფე მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტეანთ ხმა მარად ისმოდეს

საფლავთ ზედ ჩვენთა მამა-პაპათა,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!“

ბევრს ჰგონია, რომ ბარათაშვილს პოემაში სამსჯავროზე გამოაქვს ის ისტორიული აქტი, რომელსაც ცარიზმის ანექსია ეწოდება და რომელიც 1801 წელს განხორციელდა. სინამდვილეში პოემაში 1801 წლის აქტი სრულებითაც არაა ნაგულისხმევი. პოეტის გონება ამ შემთხვევაში 1783 წლის მფარველობით ტრაქტატს დასტრიალებს. მართალია, ეს ტრაქტატი რამდენიმე წლით ადრე დაიდო, ვიდრე აღა-მაჰმად-ხანი დალაშქრავდა საქართველოს, მაგრამ ასეთი მცირე ანაქრონიზმები, აღვნიშნეთ, პოემაში დაშვებულია გარკვეული მოსაზრებით. კრწანისის ამბები ხომ დამოუკიდებელ, მაგრამ მტრულ გარემოცვაში მყოფი დაუძლურებული საქართველოს ტრაგედიის სიმბოლური გამოხატულებაა, ხოლო ერეკლეს გადაწყვეტილება რუსეთს შეაფაროს თავი—შეპირობებულია 3 საუკუნის განმავლობაში მომწიფებული აზრით ჩრდილოეთის ერთმორწმუნე მეზობელთან თანაცხოვრებისა.

ამაში დარწმუნება ადვილად შეიძლება, თუ პოემის ტექსტს ჩავუკვირდებით. ერეკლე გარკვევით ამბობს, რომ დამშვიდებულ საქართველოს შეუძლია:

„მან საფარს ქვეშ მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის“...

ან სოლომონ მსაჯულის სიტყვები:

„ვეპრობ, რომ იგი სამეფოს ქართლის
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფის.“

მაშასადამე, პოემაში ლაპარაკია მხოლოდ რუსეთის მფარველობაზე და არა საქართველოს იმ ანექსიაზე, რომელიც ტრაქტატის სრული უგულებელყოფა იყო. ერეკლე მეორე არც მოსწრებია ამ ანექსიას და რომ მოსწრებოდა კიდეც, ალბათ, მას ისევე აღუდგებოდა წინ, როგორც სოლომონ მეორე, რომელიც თავისი პოლიტიკით ერეკლეს აზრთა პირდაპირი გამგრძელებელია.

რუსეთის მფარველობაში შესვლას საქართველოს საგარეო პოლიტიკის მესვეურთაგან ყველა როდი იზიარებდა. გარკვეუ-

ლი პირები საქართველოში პროირანულ განწყობილებასაც ამჟღავნებდნენ, ზოგიერთს ისევ დასავლური ორიენტაცია ჰქონდა.

ძლიერი ჯგუფი, საერთოდ, უარყოფდა ყოველგვარ ორიენტაციას და მუსლიმანურ სამყაროში ლავირების პოლიტიკის გატარებით დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას ამჯობინებდა. სპარსოფილობა ამა თუ იმ რეაქციონერი მეფისა თუ თავადის პირადი ინტერესით იყო ნაკარნახევი, მისი განდიდების განწყობილებიდან მოდიოდა და იგი ქართველ ერში ვერასოდეს დაიმკვიდრებდა საძირკველს. ქართველმა ერმა გამოცდილებით იცოდა, რას უქადდა მას სპარსეთის ქვეშევრდომობა. მუსლიმანურ სამყაროსთან ერთიანობა მასში სრულ გათქვეფას და ეროვნების წაშლას ნიშნავდა. ასევე თანდათანობით გაქარწყლდა კათოლიკურ დასავლეთზე დამყარებული იმედები. საბას მისიის წარუმატებლობამ გააცივა ინტერესი ევროპისადმი და, მიუხედავად პაპის მისიონერთა აქტიური საქმიანობისა, ერის მოწინავე წრეებში დასავლოფილობას აღარ ჰქონია გასავალი.

ერის მესვეურთა შორის ბევრი სხვის მფარველობაში შესვლის მოწინააღმდეგე და სუვერენული მდგომარეობის შენარჩუნების მხურვალე მოტრფიალე იყო. პატრიოტთა ამ ჯგუფს ყველაზე ძლიერი პოზიცია ეკავა. მათ დასაყრდენ ძირითად ძალად თვით ხალხი შეადგენდა, ხალხი, რომელიც მუდამ იარაღში იჯდა და მტერს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა, ომისაგან დანგრეულ ქვეყანას ოფლით ისევ აშენებდა და ანახლებდა.

ასეთი მამაცი და პატრიოტი ხალხის ეროვნული თავისუფლების ხელყოფა ყოველი მეფის უფლებას აღემატებოდა. ამიტომ არაა შემთხვევითი, რომ ნ. ბარათაშვილმა ერეკლე მეფის პოზიციას დაუპირისპირა საქართველოში ყველაზე ძლიერი პოზიცია და ერეკლეს მოწინააღმდეგედ გამოიყვანა იმ დროის ბრწყინვალე ქართველი, პლატონ იოსელიანის სიტყვით რომ ვთქვათ, პატიოსნებისათვის ფაბრიციოდ წოდებული, ერისა და ისტორიის კატონი — სოლომონ მსაჯული (ლეონიძე)[1].

სოლომონ ლეონიძე სავსებით თანაუგრძნობდა ერეკლეს

---

[1] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგისა მეცამეტისა, 1936, გვ. 255.

კურსს საგარეო პოლიტიკაში. იგი რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატის მომხრე იყო და მიაჩნდა, რომ საქართველო თავის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას რუსეთთან კავშირში და მის მფარველობაში თუ შეინარჩუნებდა. პოემაში კი ვხედავთ, რომ სოლომონ მსაჯული ერეკლეს მოპირისპირეა, საქართველოს რუსეთთან შეერთებას ეჭვის თვალით უცქერის და ჯერ კიდევ ნაადრევ, სარისკო, გაუმართლებელ ნაბიჯად მიაჩნია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ შეაჩერა სოლომონ მსაჯულზე ბარათაშვილმა თავისი არჩევანი? განა იგი არ იცნობდა სოლომონ ლეონიძის მოღვაწეობას? განა მას გამოეპარა ტრაქტატის დადების საკითხში ერეკლესა და სოლომონის თანამოაზრეობა? ჩვენ ზევითაც აღვნიშნეთ და ერთხელ კიდევ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას, რომ ბარათაშვილის პოემა არაა ისტორიული მოვლენების უბრალო ქრონიკა და პოეტს მიზნად არ დაუსახავს XVIII საუკუნის მიწურულის ყველა ისტორიული დეტალის თანმიმდევრული დალაგება-გადმოცემა.

სოლომონ ლეონიძე მეტად საინტერესო, რთული ფიგურაა XVIII საუკუნის მიწურულისა და XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიაში. სოლომონი დაბალი ფენიდან იყო გამოსული და სახელმწიფო საქმეებში პირადი ნიჭით და უნარით დაწინაურდა. დიდად განათლებულ, მჭევრმეტყველ სოლომონს გააჩნდა მხედრული და დიპლომატიური ტალანტი. „საქართველოს აღდგენა-გაერთიანებისათვის თავდადებული მებრძოლი“[1] სოლომონი მხარში ედგა ერეკლე მეორეს და უნარს და ძალას არ იშურებდა დაქუცმაცებული ქვეყნის მთავართა შორის შუღლის აღსაკვეთად.

სოლომონის „თაოსნობით იყო, რომ ერეკლე მეორესა, ერთი მხრივ, ხოლო სოლომონ მეორესა, გრიგოლ დადიანსა და სვიმონ გურულს შორის, მეორე მხრივ, 1790 წელს „ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული ხელშეკრულება“

---

[1] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 200.

დაიდო[1]. ს. ლეონიძეს მიაჩნდა, რომ საქართველო თავისი შინაგანი ძალებით დაძლევდა კრიზისს და ფეოდალთა კლასის შეგნებული ნაწილის დარაზმვით შეძლებდა ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად აღდგენას. ერის გაერთიანების, მისი გარემომცველი მტრებისაგან გამოხსნის საქმეში სოლომონი ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებას დასაშვებად მიიჩნევდა, ცხადია, იმ პირობით, თუ დახმარება ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში უხეში ჩარევა არ გამოვიდოდა.

ამგვარად, მფარველობითი ტრაქტატის დანიშნულება ერეკლეს და სოლომონს ერთგვარად ესმოდათ და ერთი მიზნისათვის სჭირდებოდათ. ერეკლეს ეს იმედები თან ჩაჰყვა საფლავში. სოლომონი კი 1801 წელს მომსწრე გახდა აქტისა, რომელმაც ტრაქტატი ფარატინა ქაღალდად აქცია და საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება ერთი ხელის დაკვრით მოსპო.

სოლომონ ლეონიძე ცარიზმის საოკუპაციო რეჟიმის დამყარებას, ცხადია, მტრულად შეხვდა, მას პირადი კონფლიქტიც შეემთხვა რუსეთის სარდლობასთან და ამის გამო დააპატიმრეს კიდეც. განთავისუფლების შემდეგ სოლომონი იმერეთს გადავიდა და სოლომონ მეორეს ამოუდგა გვერდში, რადგან სწორად ვარაუდობდა, რომ სოლომონ მეორე ერეკლეს პოლიტიკას აგრძელებდა და მისი აზრების სრული თანაზიარი იყო.

იმერეთის სამეფო კარზე სოლომონ ლეონიძე ცარიზმის მიერ დაშლილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის იბრძოდა და ამ ბრძოლაში საყრდენ ძალად იმერეთის ჯერ კიდევ დამოუკიდებელ სამეფოს იყენებდა. ამ კეთილშობილური მიზნებით იყო შთაგონებული მისი ცდა რუსეთის სახელმწიფოს მხარდაჭერითა და დახმარებით ამიერკავკასიაში ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნის ძველი გეგმის აღდგენა-გაცოცხლებისა.

იმერეთის მეფის „ვიცე-კანცლერმა“ სოლომონმა პეტერბურგში ელჩობის დროს ალექსანდრე პირველს წარუდგინა თავისი „პუნქტები“, სადაც საოკუპაციო რეჟიმის გაუქმებას მოითხოვდა და შესანიშნავად ასაბუთებდა რუსეთის მხარდაჭე-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, გვ. 235—236.

რით გაერთიანებული საქართველოს მონარქიის სარგებლობას რუსეთის ახლო აღმოსავლურ პოლიტიკაში.

ლეონიძეს იმედები არ გაუმართლდა. მისი ყოველი ცდა დასავლეთ საქართველოს შინაგანი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა ამაო გამოდგა. ამ იმედგაცრუების ვითარებაშიც სოლომონს არასოდეს უფიქრია, ქვეყნის ბედი მუსლიმანური სამყაროსთვის დაეკავშირებინა. მას მტკიცედ სწამდა, რომ მისი მშობლიური ქვეყნის პირველი ამოცანა ირანულ-თურქული გარემოცვიდან თავის დაღწევა და საკაცობრიო ცივილიზაციის შარაგზაზე გამოსვლა იყო.

რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკის თავდადებული მოწინააღმდეგე სოლომონ მსაჯული ნ. ბარათაშვილს სავსებით მართებულად მიაჩნდა საქართველოს პროგრესულ-ფეოდალური დასის იდეოლოგიის განსახიერებად, დასისა, რომელიც თავის დროზე მხარს უჭერდა რუსეთის მფარველობით ქვეყნის აღდგენა-გამოხსნისათვის ბრძოლას, მაგრამ 1801 წლის აქტის შემდეგ იმედგაცრუებული ცარიზმის ანექსიონისტურ ღონისძიებებს დაუპირისპირდა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება თავგამოდებით.

ამ დროს ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის პროგრესული კურსი იყო, მათი იდეალი ეროვნულ-პატრიოტულ საფუძვლებს ეყრდნობოდა და წინ ეღობებოდა ცარიზმის აგრესიას, მაგრამ „ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესული იდეის გამტარებლად ქართველი თავადობა არ გამოდგებოდა. ის, როგორც კლასი, დიდი ხანია პატრიოტულ-პროგრესული აღარ იყო, ქართული მმართველობის აღდგენის პროგრესულ იდეაში ქართველი თავადები რეაქციულ შინაარსს, თავადურ-ვასალური წყობილების შენარჩუნების იდეას დებდნენ, რაც ქართველი ფართო საზოგადოებისათვის სრულიად მიუღებელი იყო“[1].

როგორც ვხედავთ, სოლომონ მსაჯული ტრაგიკული პიროვნებაა. ერისათვის თავდადებული და უანგარო, კეთილშობილური იდეალით შთაგონებული და ამ იდეისთვის შეუპოვარი მე-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, გვ. 273.

ბრძოლი სოლომონი (ისე როგორც მთელი დასი მისი იდეოლოგიის მატარებელი ქართველი თავადობისა) ისტორიულად განწირულია.

ბარათაშვილს ღრმად აქვს შეგნებული ამ დასის ეროვნულ-პატრიოტული იდეოლოგიის მაღალი დანიშნულება და მათდამი უდიდესი თანაგრძნობითაა გამსჭვალული, მაგრამ XIX საუკუნის 30-იანი წლების პროგრესული მოღვაწე მოვლენების მკაცრ ლოგიკას თვალს უსწორებს და რუსეთთან საქართველოს თანაცხოვრების ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარე სოლომონის და მისი თანამოაზრე ქართველების საქმეს განწირულად მიიჩნევს.

სოლომონის სახელით ძლიერი ოპოზიცია ერეკლეს თვალსაზრისს არ ეთანხმება და მას საკითხს ასე უყენებს:

„ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება?
იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?"

სოლომონი თვითვე უპასუხებს მის მიერ დასმულ კითხვებს: მართალია, საქართველო და რუსეთი სჯულით ერთნი არიან, მაგრამ ეს არაა მთავარი! რუსთ ბატონობა საქართველოსათვის თავზე უცხო რეჟიმის მოხვევა იქნება, ერი ვერ შეეგუება ამ უცხო ძალას და დაიჩაგრება.

„სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არარას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს.
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი:
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა?"

პოეტს სოლომონის პოზიციის გასამაგრებლად პოემაში გამოჰყავს მისივე მეუღლე — „სათნო სოფიო, სულისა ტოლი". სოლომონთან პაექრობის შემდეგ მეფე კახეთს მიემგზავრება, სოლომონს კი უბრძანებს ქალაქს ჩახედოს და მზად დახვდეს დაბრუნებულ მეფეს. ქალაქისკენ მიმავალი სოლომონი შეივლის ქსნის ხეობაში, სადაც ოჯახი ჰყავს გახიზნული, აქ იგი

თავის მეუღლეს გაუზიარებს ერეკლეს გადაწყვეტილებას და თანაც აღწერს იმ სიკეთეს, რაც ქვეყანას თითქოს ახალ მეფობაში მოელის. მაგრამ სოლომონის „სულის ტოლი“ ქმრის აზრების თანაზიარია და მას არ იზიდავს არც მშვიდობა, არც ფუფუნება, თუ მოკლებული იქნება თავისუფლებას.

„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო დაობლებული?
რა ხელ-პყრის პატივს ნაზი ბულბული,
ვალიაშია დატყვევებული?“

სოფიოს პოზიცია (იგივე სოლომონის) გმირული პოზიციაა. იგი რაინდული სულის ძახილია, ეროვნული გრძნობის ამეტყველებაა. იგი სათაყვანოა ყველა შემთხვევაში, თუნდაც გონუხორციელებელიც ჩანდეს. სოფიოს სიტყვები თავისუფლების ჰიმნია უნაზესი არსების ბაგეთაგან წარმოთქმული.

ნ. ბარათაშვილი — თავისუფლების დიდი ტრფიალი მგოსანი, სწორედ სოფიოს ათქმევინებს ამ სიტყვებს, რომ გააცოცხლოს სახე მარად ნეტარი წინაპრებისა და დაგმოს საქციელი მისი თანამედროვე ქალებისა, რომლებმაც განცხრომასა და ფუფუნებაზე გაცვალეს ერის სიყვარული, რომელთაც „ქარმან ჩრდილოსმან“ გული გადაუტრიალა და ქართველი დედის უკეთილშობილესი მოვალეობა დაავიწყა.

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?“

ირაკლისა და სოლომონის კამათით არსებითად სრულდება მსჯელობა ქართლის ბედზე. კახეთიდან მეფე თბილისს ბრუნდება, ქალაქი აოხრებულია, ქართველთა სისხლით შეღებილი მტკვარი მწუხარედ ბუტბუტებს, მაგრამ ერეკლე სულით არ ეცემა, იგი ისევ ხმალს იღებს ლეკთა შესამუსვრელად. მეფემ „სიბერის ჟამსა მოიცა ძალი და შეაძრწუნა კვალად ოსმალი,

კვლავ ასახელა თავის სახელი", ირაკლისა და სოლომონის პაექრობა ქართლის ბედზე პოეტს თავისი პოზიციის ერთხელ კიდევ შესამოწმებლად დასჭირვებია. სოლომონის (და სოფიოს) არგუმენტი ძლიერია, როგორც ერის გრძნობის გამოხატულება, მაგრამ გრძნობებზე დაყრდნობა, როცა საქმე ერის ფიზიკურ ყოფნა-არყოფნას შეეხება, საქმეს ვერას უშველის. მეფე—ქვეყნის მამა და პატრონი, ვალდებულია გონების კარნახს დაემორჩილოს. ერეკლე ასეც იქცევა და ავტორი პოემას ლოგიკურ დასასრულს აძლევს:

„დიდი ხანია გულს ირაკლისა
გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!"

*

ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში დღემდე საკამათოა პოემის ავტორის პოზიცია. მკვლევარ კიტა აბაშიძეს მიაჩნდა, რომ ამ რეალისტურ ნაწარმოებში პოეტმა დაიცვა „უპირობა-დოვნება" (impersonalis), „ფაქტის სასტიკ აღმნიშვნელად დარჩა" და ამით რეალიზმის ერთი უდიდესი კანონთაგანი შეასრულა"[1]. ვახტანგ კოტეტიშვილის აზრით, „ბედი ქართლისაში" თითქოს ავტორის პიროვნება არა ჩანს, მაგრამ ამავე დროს ჩანს და ძალიან მკაფიოდაც. ამ პოემაში პოეტი პირველი შეხედვით ობიექტურად აღწერს იმ მომენტს, როდესაც ერეკლე საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე ფიქრობდა, მაგრამ შიგ იმდენი მღელვარება შეაქვს და იმდენია ლირიული განდგომა, რომ სრულიადაც გარკვეული გვეჩვენება პოეტის აზრი ამ ფაქტის შესახებ და მისი მელანქოლიის მთავარი მიზეზიც"[2].

ვ. კოტეტიშვილი აქვე მიუთითებს სოფიოს ცნობილ სიტყვებზე „უცხოობაში რაა სიამე" და აღნიშნავს, რომ „ეს ადგილი არის პოემის გასაღები და პოეტის განცდების თუ

---

[1] კიტა აბაშიძე, ეტიუდები, 1963, გვ. 88.

[2] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959. გვ. 123.

სიმპათიების მაჩვენებელი. აქედან ნათელი ხდება, თუ ვის მხარეზეა პოეტის სიმპათიები. მართალია, ის ერეკლე მეფესაც დიდი სიყვარულით ახსენებს, მაგრამ ეს სიყვარული იმით კი არ არის გამოწვეული, რომ საქართველოს რუსეთს უერთებს, არამედ იმ გმირობით, რომელსაც „პატარა კახი“ იჩენდა თავისი ქვეყნის დასაცავად. პოეტმა ერეკლე მეფე გამოიყვანა ტრაგიკულ პიროვნებად. რომლის არსებობასაც შინაგანი ქარიშხალი გლეჯდა“[1]. პროფ. ა. გაწერელიას მიაჩნია, რომ „ნიკ. ბარათაშვილის სიმპათია სოლომონ ლეონიძის მეუღლისაკენაა და თავისუფლება მისთვის სიცოცხლისა და ბედნიერების უწინარეს პირობას წარმოადგენს, მაგრამ,— შენიშნავს ა. გაწერელია, — იდეების ასეთს რკალში თითქოს არ ექცევა ორი ლექსი „საფლავი მეფისა ირაკლისა“ და „ომი ქართველ თავად-აზნაურ-გლეხთა“[2]. ამ წინააღმდეგობის შერიგებას ა. გაწერელია ცდილობს ასეთი დებულებით: „პოეტს მონარქიული რუსეთის ხელქვევით არსებობის პოლიტიკური ხასიათი კი არ აინტერესებს, უპირატესად, არამედ კულტურული“[3].

მკვლევარ გ. აბზიანიძის აზრით, „თავის პოემაში ნ. ბარათაშვილი თანაბარი სიმპათიით გვიხატავს ერეკლე მეორისა და სოლომონ მსაჯულის მოპირდაპირე პოლიტიკური ორიენტაციის ადამიანებს, იგი არ იჩენს მიკერძოებას არც ერთის მიმართ...

ნ. ბარათაშვილი პრინციპულად ეროვნული თავისუფლების იდეის თავდადებულ მომხრედ გვევლინება. ამ მხრივ იგი ეხება სოლომონ ლეონიძის გრძნობებს და დიდი სიმპათიით გვისურათებს მას, მაგრამ იმ ისტორიულ სიტუაციაში, რომელშიც მოქცეული იყო მე-18 საუკუნის საქართველო, ბარათაშვილი ერთადერთ სწორ პოლიტიკად თვლიდა ერეკლე მეორის ორიენტაციას“[4].

სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებისაა მკვლევარი

---

[1] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1959, გვ. 124.

[2] ა. გაწერელია, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მონოგრაფია, გვ. 92.

[3] იქვე.

[4] გ. აბზიანიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, 1955, გვ. 81.

გ. ნადირაძე. „პირდაპირ უნდა ითქვას, — წერს იგი, — რომ პოემის დაწერის მომენტში, ოცდაათიანი წლების დამლევს ბარათაშვილი ისე აფასებს მეფის რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში, როგორც აფასებდნენ მას 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი — ს. დოდაშვილი, გრ. ორბელიანი, ფ. კიკნაძე, ს. რაზმაძე და სხვანი — უარყოფითად. სხვა აზრის გამოტანა ამ პოემის რეალობიდან იქნებოდა სრულიად შეუწყნარებელი ძალმომრეობა აზროვნებაზე“[1].

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გამოთქმული ეს სამი თვალსაზრისი თანაბარი უფლებით სარგებლობს და გენიალური პოეტის გამოკვეთილი პოლიტიკური იდეოლოგიის გაგებას, რა თქმა უნდა, ართულებს.

„ბედი ქართლისა“ მართლაც ისეა დაწერილი, რომ მკითხველი ორივე საპირისპირო პოზიციის მიმართ თანაბარი სიმპათიით იმსჭვალება. მკითხველი თავიდანვე აღფრთოვანებულია პატარა კახის გმირობით, მისი მამობრივი სიყვარულით მამულისადმი, მისი მიუკერძოებელი მსჯელობით ქვეყნის ახლანდელ ვითარებასა და მომავლის შესახებ. მკითხველი ასევე მოხიბლულია სოლომონ მსაჯულის ოპონენციით, რომელსაც პოზიციას სათნო სოფიოც უმაგრებს. თავისუფლება არსებობის უმაღლესი ნიშანია და რა მომხიბვლელად, არგუმენტირებულადაა გამოთქმული მისი სიდიადე პოემაში. ავტორს სხვაგვარად არც შეეძლო. რომელიმე მხარისადმი მიკერძოება პოემის მხატვრულ სახეს ძალზე დაამდაბლებდა, რეალისტურ სურათს გააფერმკრთალებდა და გააუბრალოებდა თავისთავად იმ რთულ საკითხს, რომელიც დამაჯერებელ პასუხს მოითხოვდა.

პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება მკაცრი პოლიტიკოსის ანალიტიკური განსჯა ქვეყნის მომავალზე და გულისტკივილი იმ ხვედრის გამო, რაც სხვის ბატონობას ახლავს, ე. ი. გონება და გრძნობა.

ერეკლეს არგუმენტაცია თანმიმდევრული, ლოგიკური და მონოლითურია. განა მეფეს არ ესმის, რომ უცხოობაში სიამე

---

[1] გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო, 1961, გვ. 62—63.

არ არსებობს? რომ თავისუფლების ფასი ქვეყნად არაფერია, რომ ძლიერი მეზობლის მიკედლებას საბოლოოდ მისდამი მონობა მოსდევს, რადგან პოლიტიკაში ყველა ქვეყანა ხელმძღვანელობს არა კეთილშობილების, არამედ სარგებლიანობის პრინციპით. რა შეიძლება იყოს ბადალი საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა? მაგრამ ერთია სურვილები და ოცნებანი, მეორე — მკაცრი სინამდვილე; სინამდვილე კი შემზარავია: ეკონომიურად დაცემულ, პოლიტიკურად დანაწევრებულ საქართველოს, რომელიც გამუდმებული ომების გამო სისხლისაგანაა დაწრეტილი, მტრულ მუსლიმანურ გარემოცვაში გაქრობა ემუქრება. ყველა ღონისძიება ერის აღორძინებისა, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან რომ დაიწყო, ისევ ჩაკვდა. ქვეყანას არ აღმოაჩნდა ძალა გამკლავებოდა შინაგან სისუსტეს და ამ ვითარებაში აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ დააგვირგვინა ნგრევის საშინელი პროცესი.

სად არის ხსნა? ირანთან ან თურქეთთან კავშირი ხომ იმას ნიშნავს, რომ ერი გასწირო ნელი ფიზიკური სიკვდილისათვის გარემომცველი მეზობლები საქართველოს დედაბუდიანად აღმოფხვრას, მისი საფუძვლის დაშლას აპირებენ. ისლამის სჯული სპობს არა მარტო ქრისტიანობას, არამედ სამშობლოს ცნებას ქართველის გაგებაში.

აღდგომა-გამოხსნისათვის ბრძოლა ერთადერთ მშველელად ისევ რუსეთს გულისხმობს. რუსეთის ქვეშევრდომობა როდია ბედნიერება, მაგრამ ამ ვითარებაში იგი ერთადერთი ხსნაა, რადგან ფიზიკურად დაღლილი ერის დასვენებაა, მისი მშვიდობიანი ამოსუნთქვა და ძალების მოკრებაა.

მართლმადიდებელი რუსეთი ვერ მოსპობს ერს ფიზიკურად, ვერ წაართმევს ქრისტიანობას, ვერ ამოაგდებს სამშობლოს ცნებას; პირიქით, იგი გაიყვანს ერს ფართო სარბიელზე — ევროპულ ორბიტაში, ცივილიზაციის ნაკადს გაუკაფავს გზას დახშულ მუსლიმანურ სამყაროში.

საქართველოს ასეთი არჩევანი სხვაგვარადაც შეპირობებულია. ძლიერი რუსეთი თანდათან მოიკვლევს გზას სამხრეთისაკენ. ახლო აღმოსავლეთში ბატონობისაკენ მისწრაფება, შავ ზღვაზე დამკვიდრების დაჟინებითი პოლიტიკა მას კავკასიური პლაცდარმის ძიებას უკარნახებს. იგი აქ ბრძოლით მო-

ვა, თუ მოვა როგორც დამპყრობელი, სულერთია, რადგან „რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება, ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფობა“.

ასე ფიქრობს ერეკლე და ეს განსჯა სახელმწიფოს გონიერი მეთაურის განსჯაა, ვითარების მკაცრი ანალიზიდან გამომდინარე.

რას უპირისპირებს ამ არგუმენტს სოლომონ მსაჯული? — ისე რა უჭირს საქართველოს, „რომ განვისყიდოთ თავისუფლება“, უცხოობაში ცხოვრება ძნელია, უცხოობაში კაცს იდუმალი ტანჯვა გულს მოუკლავს, რუსთ მეფობა ვერ შეიწყნარებს მას, რასაც ქართველობა მოისურვებს. ეს აზრები თავისთავად დიდებულია, მაგრამ განა ეს არგუმენტი აბათილებს ერეკლე მეორის არგუმენტს და ხსნის რუსეთთან თანაცხოვრების აუცილებლობის თეზას?

„მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლის
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?“ —

უპასუხებს სოლომონს ბრძენი ერეკლე და სოლომონს თავისი პოზიციის დასაცავად განმეორებით არაფერი აქვს სათქმელი.

ამრიგად, სტრიქონებს შუა დავა გადაწყვეტილია ერეკლეს სასარგებლოდ. ავტორი თითქოს არ ამჟღავნებს თავის პოზიციას, მაგრამ ისე თვალნათლივ ხატავს საქართველოს გამოუვალ მდგომარეობას, რომ მკითხველს ერეკლეს გადაწყვეტილების მართებულობაში აჯერებს.

მკვლევარი გ. ნადირაძე ამ თვალსაზრისს „აზროვნებაზე ძალმომრეობას“ უწოდებს. მას მიაჩნია, რომ ბარათაშვილი ოცდათორმეტიანელებთან ერთად რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში უარყოფითად აფასებდა.

მაგრამ ოცდათორმეტიანელები არ იყვნენ თავგამოდებული სეპარატისტები. ისინი 1783 წლის ტრაქტატის მოტრფიალენი იყვნენ და განადიდებდნენ ერეკლეს პოლიტიკას. ცარიზმის მფარველობაში შინაგანად დამოუკიდებელი საქართველო — ასეთი იყო მათი იდეალი. ოცდათორმეტიანელები დაუძინებელი მტრები იყვნენ იმ ანექსიონისტური პოლიტიკისა, რო-

მელიც ცარიზმმა 1801 წელს განახორციელა. 1801 წლის მანიფესტი 1783 წლის ტრაქტატის გაუფასურება-უარყოფა იყო. 1801 წლიდან მოკიდებული ცარიზმი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს ახორციელებდა საქართველოში და შეურაცხყოფდა ეროვნულ ენას, ტრადიციებს, ერის ჩუმ ასიმილაციას მიმართავდა. ოცდათორმეტიანელები ცარიზმის ამ უხეში კოლონიური რეჟიმის დამხობისათვის იბრძოდნენ. გ. ნადირაძე სწორედ შენიშნავს, რომ ბარათაშვილი ისე აფასებს მეფის რუსეთის დამკვიდრებას საქართველოში, როგორც აფასებდნენ მას 1832 წლის შეთქმულების მონაწილენი... უარყოფითად. მაგრამ აქ არაფერ შუაშია პოემა „ბედი ქართლისა“, რომელიც პასუხს აძლევს მხოლოდ ერთ კითხვას — სასარგებლო იყო თუ არა იმ ვითარებაში რუსეთის მფარველობა და სწორი იყო თუ არა ერეკლეს გადაწყვეტილება. ეს პასუხი დადებითია და არა უარყოფითი.

პოეტის მიერ პოემაში დაყენებული კარდინალური საკითხი უფრო ნათელ, პირდაპირ და კონკრეტულ პასუხს პოულობს ბარათაშვილის ლექსში „საფლავი მეფისა ირაკლისა“. ეს ლექსი 1842 წელსაა დაწერილი და პოეტი აშკარად ავითარებს იმ თითქოს საჭოჭმანო პოზიციას, რომელშიაც, სავარაუდოა, ბარათაშვილის თანამედროვენი მეტ გარკვეულობას მოითხოვდნენ.

პოეტი მუხლს იყრის მხცოვანი გმირის, ერეკლეს, საფლავის წინაშე და გარკვევით ლაპარაკობს მისი პოლიტიკის მართებულობაზე. რუსეთთან დადებული ხელშეკრულების პროგრესულობაზე.

„თაყვანს ვცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!
გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?“

ლექსში ლაკონიურად, მაგრამ ღრმად და დამაჯერებლადაა ჩამოყალიბებული რუსული ორიენტაციის — რუსეთთან საქართველოს თანაცხოვრების პროგრესული შედეგები. ერეკლეს შთამომავლობა იმკის საქართველოს რუსეთთან შეერთებით მოწეულ „ტკბილსა ნაყოფს“. ახლა

„ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;

მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული,
და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ ჩოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!
აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყინველვა:
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!"

ლექსი გარკვევით მიუთითებს, რომ რუსეთთან თანაცხოვრებამ საქართველოს მშვიდობა მოუპოვა. ახლა ქართველ მამულიშვილებს, რუსეთის ცენტრებში ცივილიზაციის ნაყოფს ნაზიარებთ, განათლება მოაქვთ სამშობლოში. საქართველოს აღარ აშინებს ირანელ დამპყრობთა აზვავება, შავი ზღვიდან თურქ დამპყრობთა ნაცვლად ხომალდებს სასიამოვნო სტუმრები მოჰყავს.

ეს საქართველოს რუსეთთან შეერთების მართლაც ის ობიექტურად პროგრესული შედეგებია, რასაც დღეს ერთხმად აღიარებს საბჭოური ისტორიოგრაფია. ნიკოლოზ ბარათაშვილმა პირველმა მოუნახა გასაღები ორი ერის თანაცხოვრების იმ დადებით მხარეს, რაც, ცხადია, ცარიზმის ნების გარეშე და მის საპირისპიროდ ხორციელდებოდა. სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი პ. ინგოროყვა: „პოეტი ფიქრობს, რომ საქართველოს რუსეთთან დაახლოება იყო ისტორიული გარდუვალი აქტი და ერთადერთი სწორი გზა შექმნილი გამოუვალი მდგომარეობიდან. პოეტს თავისი ქვეყნის ხსნად მიაჩნია, რომ საქართველომ გაარღვია რკალი ბარბაროსული ქვეყნების გარემოცვისა და აღადგინა კავშირი კულტურულ მსოფლიოსთან, რომელსაც საქართველო საუკუნეებით იყო მოწყვეტილი"[1].

საქართველოს რუსეთთან თანაცხოვრების პროგრესულობის აღიარება ოდნავადაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბარათაშვილი შერიგებული იყო იმ კოლონიურ პოლიტიკასთან, რასაც საქართველოში რუსეთის ცარიზმი ახორციელებდა.

---

[1] ნ. ბარათაშვილი. ლექსები, ბედი ქართლისა, 1968.

საქართველოს რუსეთთან შეერთებაზე ჩვენ, ისტორიკოსებს, გარკვეული ფორმულა გვაქვს. შეერთება ობიექტურად პროგრესული მოვლენაა, მაგრამ ეს სრულებითაც არ ჩრდილავს ცარიზმის სუბიექტურ უხეშ კოლონიზატორულ ზრახვებს, მის მისწრაფებებს მთელი ერის დამონებისა და ასიმილაციის მიზნით.

ოცდათორმეტიანელები და მათი იდეური მემკვიდრე ნ. ბარათაშვილი ცარიზმის ამ სუბიექტურ რეაქციულ პოლიტიკას ებრძოდნენ. ბარათაშვილი გულმოკლული იყო სამშობლოს მწარე ხვედრით, მისი ხალხის ეროვნული ინტერესების უგულებელყოფით და ფეხქვეშ გათელვით.

საქართველოს ჩაგვრის გამო მკაცრი პროტესტის, მისდამი შეურიგებლობის გამოხატულებაა ლექსი „სუმბული და მწირი“, რომელიც არა შემთხვევით 1842 წელსვე, ე. ი. „საფლავი მეფისა ირაკლისას“ გამოქვეყნების წელს დაიწერა.

სუმბული აქ სიმბოლურად ცარიზმის უღელქვეშ მყოფი საქართველოა. წინათ ველზე ლაღად გაფურჩქნილი ყვავილი ახლა ბნელშია დახშული. განგებამ ჩამოაცილა „სწორთა ყვავილთ, მშვენიერ ცას“, ბულბულსა და ტურფა ბუნებას. მწირი მას მოაგონებს, რომ სუმბულს მკაცრი ზამთარი უწყალო სიკვდილს უმზადებდა, მხოლოდ მზრუნველმა კაცის ხელმა იხსნა იგი ამ საშინელი ხვედრისაგან, მაგრამ სუმბული ასეთ სიცოცხლეს არაფრად აგდებს, იგი დასტირის თავის ბრწყინვალე წარსულს და პატიმრის მდგომარეობას ვერ შერიგებია.

„...მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი?
არღა მეელება გარე წყარო, ცივი, კამკამი,
არღა მეცემის დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
ცრილი ნიავი ჩემთა ფურცელთ არ უალერსებს
და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არღა უჩრდილებს“.

მხატვრულ ალეგორიაში გადმოცემულია სევდა და მკაცრი პროტესტი „მზრუნველი კაცის ხელით“ დაპყრობილი და დაჩაგრული ერისა. ლექსი იმეორებს იმ მოტივებს, რომლითაც 1832 წლის შეთქმულნი რუსეთის საოკუპაციო რეჟიმს ებრძოდნენ.

რუსული ორიენტაციის უპირატესობის აღიარება, საქარ-

თველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულად შეფასება მარტოოდენ ბარათაშვილის პირადი თვალსაზრისი როდია. ამ თვალსაზრისს 30-იანი წლების მიწურულის ქართველ მოწინავე ინტელიგენციაში ფეხი მძლავრად გაუდგამს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ალ. ჭავჭავაძის თხზულება „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე". ეს ნაშრომი, როგორც ცნობილია, 1836—1837 წლებშია დაწერილი. XVIII საუკუნის მიწურულის რთული ვითარებისა და ერეკლე მეორის მიერ აღებული პოლიტიკური კურსის შეფასებაში ალ. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის სრული თანამოაზრეა.

ალ. ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ „აღა-მაჰმად-ხანის უკანასკნელმა შემოსევამ და თბილისის აოხრებამ 1795 წელს გადაწყვიტა საქართველოს ბედი. საქართველომ თვალნი თვისნი მიაპყრო ერთმორწმუნე რუსეთს, რომელშიც იგი წინათაც პოვებდა დასაყრდენს"[1].

1801 წლის აქტს კი ალ. ჭავჭავაძე ასეთ შეფასებას აძლევს: „საქართველო მაშინ ისეთ მძიმე ავადმყოფს ჰგავდა, რომელსაც ძლივსღა შეუძლია მკურნალს თავისი სისუსტე ამცნოს და განა შეეძლო მას ამ დროს რაიმე წინააღმდეგობა? იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის მფარველობა მისთვის აუცილებელია და ამიტომ ამის შესანარჩუნებლად ყველაფერი სხვა გასწირა"[2].

ალ. ჭავჭავაძე აღიარებს 1801 წლის აქტის აუცილებლობას და შექმნილ ვითარებაში მას ერთადერთ გამოსავალს უწოდებს. ნარკვევის შემდეგი გვერდები საქართველოში რუსული მმართველობის მკაცრ კრიტიკას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ნარკვევი რუსეთის იმპერატორთან წარსადგენად იყო გათვალისწინებული, ალ. ჭავჭავაძე აქ არ მორიდებია ცარიზმის კოლონიური რეჟიმის უვარგისობის მკვეთრ მხილებას.

ბედი ქართლისაში ნ. ბარათაშვილს წამოყენებული აქვს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება, რომელიც მას მჭიდროდ აკავშირებს არა მარტო ოცდათორმეტიანელებთან, არა-

---

[1] ალ. ჭავჭავაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

[2] იქვე, გვ. 245.

მედ მთელი განათლებული კაცობრიობის ახალ იდეოლოგიასთან.

სოლომონ დოდაშვილის იდეებზე აღზრდილ პოეტს, რომელიც დეკაბრისტული მოძრაობის შინაარსს ახლო იცნობდა და ევროპული დემოკრატიული იდეების მოტრფიალე იყო, აბსოლუტური მონარქიის, დესპოტიზმის დრომოჭმულობა ღრმად ჰქონდა შეგნებული. იგი თაყვანს სცემდა ისეთ სახელმწიფო მმართველობას, სადაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს ერთი კაცი კი არა წყვეტდა, არამედ ჯგუფი ხალხის წარმომადგენლებისა. მოკლედ რომ ვთქვათ, კონსტიტუციური მმართველობა, რომელიც ევროპის რიგ ქვეყანაში ამ დროს დიდი ხანია განხორციელებული იყო, ბარათაშვილის—ევროპული პოლიტიკური იდეებისა და კულტურის მცოდნე კაცის ტრფიალს შეადგენდა.

ნიკოლოზ პირველის რეაქციული მმართველობის ეპოქაში, როცა კონსტიტუციის ხსენებაც კი კანონით ისჯებოდა, პოეტს, ცხადია, არ შეეძლო აშკარად და თავისი სახელით ელაპარაკა ქვეყნის კონსტიტუციურ მმართველობაზე, თვითმპყრობელობის უფლებების შეზღუდვაზე.

ქსნის ხეობით ოჯახში მიმავალი სოლომონ მსაჯული ფიქრს გაუტაცნია და აქ აღმოხდომია საყვედური თვითმპყრობელური რეჟიმის მისამართით:

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას
და მისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩეველად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ასე განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!“...

ამ სიტყვებში უმკაცრესი პროტესტია თვითმპყრობელური უსამართლობის წინააღმდეგ. ეს მონოლოგი შეთქმულთა რადიკალური ფრთის პოლიტიკური პროგრამის მხატვრულ ენაზე გადატანაა[1]. რა ვუყოთ რომ სოლომონ მსაჯული ამბობს ამ სიტყვებს, ეს ხომ პოეტის სიტყვებია პოემის ჩონჩხთან მოხერხებულად შეპარებული და შეზრდილი, ამასთან ყველაზე რადი-

---

1 იხ. ა. გ ა წ ე რ ე ლ ი ა, ნიკოლოზ ბარათაშვილი.

კალური ნააზრევი, რაც კი დაწერილა XIX საუკუნის საქართველოს პირველ ნახევარში.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: XIX საუკუნის 30—40-იანი წლების ქართველმა პროგრესულმა ინტელიგენციამ, რომლის იდეური ხელმძღვანელი პოეტი და მოაზროვნე ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, თეორიულად დაასაბუთა საქართველოს რუსეთთან შეერთების ობიექტურად პროგრესული მნიშვნელობა. მიუხედავად იმ მკაცრი კოლონიური რეჟიმისა, რომელიც ცარიზმმა საქართველოში დაამკვიდრა, რუსეთთან თანაცხოვრება ტრაქტატის მუხლების საფუძველზე ნიკოლოზ ბარათაშვილმა ერის ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად გამოაცხადა. ახალი საქართველოს განთავისუფლების ჭეშმარიტი გზა რუსეთზე გადიოდა. კოლონიური უღლის დამხობისათვის უკვე დაწყებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ქართველი ხალხისა უნდა წარმართულიყო რუს ხალხთან ერთად.

ეს უკვე პირველი მონახაზი იყო იმ გრანდიოზული პროგრამისა, რომელიც ბარათაშვილის სახელოვანმა მემკვიდრეებმა — თერგდალეულებმა XIX საუკუნის 60—70-იან წლებში თავიანთ საბრძოლო დროშას წააწერეს.

2. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აღმავლობის სოციალურ-ეკონომიური წანამძღვრები

40-იანი წლებიდან საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში იწყება არსებითი გარდატეხის პერიოდი. ნატურალურ-კარჩაკეტილი ფეოდალური მეურნეობის რღვევა და სასაქონლო ფულადი ურთიერთობის მომძლავრება თავის დაღს ასვამს სოციალურ ურთიერთობას და ამწვავებს კლასობრივ ანტაგონიზმს. ამასთან დაკავშირებით იდეურ ატმოსფეროში გამეფებული ინერტულობა ქრება და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესებიდან გამომდინარე იდეური მიმდინარეობანი უპირისპირდება ერთმანეთს. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაც გამოკვეთილ კალაპოტში ჯდება და სწრაფად მიემართება აღმავლობის გზით.

რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომების დამთავრებამ და ძირითადში კავკასიის მთლიანმა პოლიტიკურმა შემომტკიცებამ ომისდროინდელი დაძაბული ვითარება შეცვალა, მოსახლეობა დაამშვიდა და საგარეო საშიშროებიდან მოსვენებულს მეურნეობის წარმოების საშუალებები გადაუშალა. გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა, გაფართოვდა სახნავ-სათესი მიწები, იმატა მოსავალმა. საბაზრო-სასაქონლო პროდუქცია გაიზარდა, ბაზრები გახშირდა. გადიდდა არა მარტო საერთო მოსავალი, არამედ ხორბლეულის რაოდენობა მოსახლეობის სულადობასთან შედარებით. თუ 1807 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე 2 ჩეტვერტი ხორბალი მოდიოდა, 1857 წელს — 3,5 ჩეტვერტზე ავიდა[1]. პურით ვაჭრობაში ფეოდალებთან ერთად გლეხთა ფენიდან გამოსული პირებიც ჩაებნენ, ქართული პურის და სიმინდის ექსპორტი უცხოეთშიც დაიწყო (პურის — თურქეთსა და ირანში, სიმინდისა — შოტლანდიასა და ირლანდიაში[2]). აღმავლობის გზაზე დადგა მევენახეობა.

გაფართოვდა ღვინის ექსპორტი. მოსახლეობამ ფართოდ მოჰკიდა ხელი ტექნიკური კულტურების მოყვანას. მეაბრეშუმეობამ, მეთამბაქოეობამ, მებამბეობამ საგრძნობი აღმავლობა განიცადა. გაიზარდა საბაზრო მესაქონლეობა.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის აღმავლობის, საბაზრო მოთხოვნილების მკვეთრი ზრდის პირობებში თავისთავად დაისვა საკითხი ახალი მოთხოვნილების შესაბამისად მეურნეობის გარდაქმნისა. ძველი კარჩაკეტილი აზნაურულ-ნატურალური მეურნეობანი აღარ უპასუხებდნენ ეპოქას. ბურჟუაზიულ ურთიერთობათა მოძღვრება დაჟინებით და ინტენსიურად ანგრევდა სოფლის მეურნეობის ბატონყმური სისტემის საძირკვლებს. თვით აზნაური მემამულენი იმას ცდილობდნენ, რომ ეს მეურნეობა ბურჟუაზიულ ყაიდაზე მოეწყოთ. მისი სასაქონლო ხასიათი გაეფართოებინათ და რუსი მემამულეების მსგავსად აქაც დაეწყოთ რაციონალიზატორულ ღონისძიებათა გატა-

[1] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, 1967, стр. 6.

[2] იქვე, გვ. 8.

რება. ქართველმა მემამულე რაციონალისტებმა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მართლაც თვალსაჩინოდ გაზარდეს სოფლის მეურნეობის სასაქონლო-ფულადი ხასიათი.

საბაზრო მოთხოვნილებათა ზრდამ გაზარდა მოსახლეობის დაინტერესება საწარმოო საქმიანობით. ბაზრის მახლობელ პურის მოსავლიან რაიონებში მოსახლეობა ძირითადად სამრეწველო საქმიანობაზე გადავიდა, გახშირდა გარესაშოვარზე სიარული: საწარმოო საქმიანობის აღმავლობამ, გარესაშოვარზე წასვლის მასობრივმა ხასიათმა სოფლის მეურნეობის ბატონყმურ საფუძველს ახალი ნაპრალები გაუჩინა, გააღრმავა მისი კრიზისი და ამასთან, როგორც მომხმარებელმა, გაზარდა მოთხოვნილება საბაზრო საქონელზე.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის აღმავლობის ვითარებაში გაიზარდა გლეხთა სოციალური დიფერენციაცია. გლეხობის მცირე ნაწილმა მოახერხა გარკვეული კაპიტალის დაგროვება, თავის დახსნა და თანდათან ბურჟუაზიულ ექსპლოატატორულ ფენებში გადანაცვლება. მეტი ნაწილი გლეხობისა კი გაღატაკებას განიცდიდა.

გაღატაკებული გლეხობიდან ბევრი სრულიად ტოვებდა თავის მცირე ნაკვეთს და ქალაქს მიეშურებოდა, რომ სამუშაო ძალა გაეყიდა და ნაშოვნი ფულით დაეფარა მებატონისა და სახელმწიფოს ვალი. 40-იანი წლების თბილისში მრავლად იყვნენ ადამიანები, რომლებიც თავისი სამუშაო ძალით ვაჭრობდნენ ბაზარზე[1].

ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობის გაჩენა ქვეყნის ეკონომიკაში და ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის კრიზისი ყმა გლეხების მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა. ფულს დახარბებული მემამულენი მეტს მოითხოვდნენ ყმა გლეხებისაგან. რუტინული ტექნიკის პირობებში მეტის მოთხოვნა ბეგარა-ღალის ზრდაში გამოიხატებოდა. მიწის გარშემო დავამ არა მარტო ფეოდალ-აზნაურთა შორის, არამედ მემამულეთა და გლეხთა შორის, მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

---

[1] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

ბებატონე მემამულეები ყმების ურჩობის გამოვლინების ყვე-
ლა შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოებს იშველიებდნენ.
გლეხთა ცემა-დაპატიმრება და გადასახლება გახშირდა.

თავის მხრივ ყმა გლეხობა ფეოდალური ექსპლოატაციის გაძლიერებას მტრულად შეხვდა. ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლების შეგნება ფეხს იკიდებდა ყმურ მოსახლეობაში. ურჩობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გლეხები არა მარტო უარს ამბობდნენ ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებაზე, არამედ ურჩ მემამულეთა წინააღმდეგ კოლექტიურ, ორგანიზებულ მტრულ ღონისძიებას ახორციელებდნენ. სწორედ 30—40-იან წლებში გაჩნდა ტიპი არსენა ოძელაშვილისა, რომელიც ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლას და გლეხთა განთავისუფლებისაკენ სწრაფვას განასახიერებდა.

ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ეს ღრმა ცვლილებები, რაც ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ლპობით და მის წიაღში კაპიტალისტური წყობის გაჩენა-ზრდის შედეგად ხდებოდა, თავის მხრივ გადამწყვეტ გავლენას ახდენდა სოციალურ ურთიერთობაზე, იწვევდა გლეხთა ექსპლოატაციის გაღრმავებას და თავადაზნაურულ-მემამულეთა და გლეხთა კლასების ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გაღრმავებას. ამის საფუძველზე კი კლასობრივი ბრძოლის აღმავლობას, მის გამოვლინებას ახალ და ახალ ფორმებში. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ XIX საუკუნის 40—50-იანი წლები საქართველოში გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობის განუწყვეტელი ჯაჭვია და რამდენადაც ღრმავდებოდა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის სიდამპლე და კრიზისულობა, იმდენად ღრმავდებოდა გლეხურ მოძრაობათა სოციალური სიმკვეთრე, მისი ანტიბატონყმური ხასიათიც.

40-იანი წლების მასობრივ მოძრაობათა შორის თავისი მასშტაბით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1841 წლის გურიის გლეხთა აჯანყება.

1841 წ. მაისში ლანჩხუთში დაიწყო გლეხთა მასობრივი გამოსვლა, რომელიც მიმართული იყო გადასახადის რუსული ფულით დაწესების წინააღმდეგ. აჯანყება შემდეგ თანდათანობით გაფართოვდა და თითქმის მთელ გურიას მოედო. ფულადი ბეგარა გურული გლეხების გამოსვლის საბაბად იქცა.

მოძრაობის მიზეზი, ცხადია, უფრო ღრმა იყო და გამოხატავდა აღფშფოთებას იმ სასტიკი ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელსაც გურული გლეხობა განიცდიდა. ისედაც ღარიბმა გურულმა გლეხებმა, რომლებიც მებატონეთა ექსპლოატაციის მძიმე უღლის ქვეშ სულს ღაფავდნენ, ვეღარ აიტანეს ის მკვეთრი დაწოლა, რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის აღმავლობის ვითარებაში მებატონეებმა განახორციელეს. მძიმე სოციალურ უღელს რუსეთის მმართველობის შემოღების შემდეგ ეროვნული ჩაგვრის უღელიც დაემატა.

სახელმწიფო გადასახადების დაწესებამ კი აავსო ხალხის მოთმინების ფიალა, რაც მათ სტიქიურ აფეთქებაში გამოიხატა. ამ მოძრაობას შემდეგ შეუერთდნენ მემამულე-აზნაურებიც, რომელთაც გლეხთა ძალების გამოყენებით თავიანთი ადრინდელი პრივილეგიების აღდგენა მოინდომეს, მაგრამ აჯანყების დაღმავლობის პერიოდში, მისი დამარცხების წინ გაბატონებული წოდების წარმომადგენლებმა ისევ მთავრობის მხარე დაიკავეს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრებანი, რომლებიც ამ მოძრაობას წარმოგვიდგენენ რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ მიმართულ ორგანიზებულ მოძრაობად, რომელსაც სათავეში თითქოს თავადაზნაურობა ედგა[1]. მიაჩნიათ, რომ აჯანყება თავიდანვე აღმოჩნდა თურქეთის ფაშების მოძრაობასთან კავშირში და რუსეთის მფლობელობის წინააღმდეგ არა მარტო საკუთარ ძალას, „არამედ თურქეთ-ინგლისის დამხმარე ძალებსაც ემყარებოდა"[2].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოძრაობას არ ჰქონია მტკიცე გეგმა და წინასწარი სამზადისი. იგი გლეხთა სტიქიური აღშფოთების ისეთივე ჩვეულებრივი გამოხატულება იყო, როგორიც 40-იანი წლების რუსეთში მიმდინარე მოძრაობანი. აჯანყებულები რუსეთის ხელისუფლების განდევნის, გურიის დამოუკიდებლობის აღდგენის პროგრამას არ აყენებდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათ არ გამოუყენებიათ არც სულთანური

[1] იხ. გ. ხ ა ჯ ა პ უ რ ი ძ ე, გლეხთა მოძრაობანი საქართველოში მე-19 საუკუნეში, 1933.

[2] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, გვ. 208.

თურქეთის და არც მის ზურგს უკან მდგომი ინგლისის სამხედრო დახმარება. მართალია, ინგლისს კავკასიაზე ადრიდანვე ეჭირა თვალი და აქ გაჩაღებული ყოველგვარი მოძრაობის თავის სასარგებლოდ წარმართვას ცდილობდა (შამილის ბრძოლები), მაგრამ ამ შემთხვევაში არც ინგლისის და არც თურქეთის მხრივ ღონისძიება არ განხორციელებულა. ქობულეთელი ბეგი ჰასან თავდგირიძე, როგორც ავანტიურისტი, მოქმედებდა საკუთარი ინიციატივით, თუმცა არც ამ მოქმედებას ჰქონია წარმატება[1].

გურიის გლეხთა აჯანყებას, რომელსაც გარკვეული პროგრამა არ შეუმუშავებია და ჩვეულებრივი სტიქიური, სოციალური, ანტიბატონყმური ხასიათის მოძრაობა იყო, ასევე ვერ ჩავთვლით ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობად. ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, როგორც ზევით ვნახეთ, ამ დროს ჩვენში, მართალია, ფეხი უკვე მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული, მაგრამ ეს მოძრაობა ინტელიგენტურ ჩარჩოებს ჯერჯერობით მაინც ვერ ცილდებოდა.

მიუხედავად ამისა, 1841 წლის გურიის აჯანყება, ისევე როგორც მომდევნო აჯანყებანი, ხელს უწყობდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამის დახვეწას, სოციალური კონსერვატიზმიდან გათავისუფლებას.

XIX საუკუნის თითქმის მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში გლეხთა მასობრივ სტიქიურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა ოსეთში. ოსი გლეხობა ვეღარ იტანდა იმ სასტიკ სოციალურ ჩაგვრას, რასაც მათ მიმართ ოსი და ქართველი მებატონეები ახორციელებდნენ. მთავრობა ზედიზედ გზავნიდა დამსჯელ ექსპედიციებს, მაგრამ გლეხთა დამშვიდება მაინც ვერ ხერხდებოდა. 1840 წელს ოსეთში იფეთქა საყოველთაო აჯანყებამ. აჯანყებას ხელი შეუწყო მაზრის უფროსის ვასილიევის რეპრესიებმა, რაც მემამულეთა ინტერესების დასაცავად იყო განკუთვნილი.

მთავრობამ ეს აჯანყებაც ჩვეული სისასტიკით ჩაახშო პოლკოვნიკ ანდრონიკოვის ექსპედიცია ცეცხლითა და მახვილით მოედო აჯანყებულ სოფლებს და მიწასთან გაასწორა.

[1] ი. სიხარულიძე, გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წ., 1956, გვ. 63.

გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობა, მთავრობის საგანგებო ღონისძიებების მიუხედავად, არ ნელდებოდა. 50-იანი წლებიდან მან უფრო მასობრივი, შეუპოვარი და გამოკვეთილი ანტიბატონყმური ხასიათი მიიღო. 1852 წ. გლეხთა აჯანყებას ადგილი ჰქონდა რაჭის მაზრაში, 1854 წელს — ახალციხეში. 1856 წ. — გორის მაზრაში. გორისა და ქსნის მაზრის გლეხები არ დამცხრალან მთელი 1857—1858 წლების მანძილზე.

ყველა ეს გამოსვლა თავისი ხასიათითა და შინაარსით ანტიბატონყმური იყო, მაგრამ ყველაზე გამოკვეთილად და მკაფიოდ ყმა გლეხების საბრძოლო სულისკვეთება მაინც 1857 წლის სამეგრელოს გლეხთა აჯანყებაში გამოვლინდა.

აჯანყების წინ სამეგრელომ ომერ-ფაშას გამანადგურებელი შემოსევა განიცადა. გაჩანაგდა ისედაც ღარიბი, უმიწაწყლო ყმა გლეხის მეურნეობა და სახლ-კარი. თურქი დამპყრობლების განდევნის შემდეგ დაზარებულმა თავადაზნაურობამ განიზრახა ისევ გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერებით გამოესწორებინა თავისი მდგომარეობა. გლეხები მოწყვიტეს საკუთარ მეურნეობას და თავისივე სურსათით მთავრობისა და თავადების სასახლე-კარმიდამოს შესაკეთებლად გაგზავნეს.

ყირიმის ომის შემდეგ ცარიზმი საგლეხო რეფორმისათვის მზადებას შეუდგა. გლეხთა მოძრაობის მასობრივი ზრდა მთავრობას აიძულებდა განეხორციელებინა გლეხთა განთავისუფლება ზემოდან, მანამდე, ვიდრე ქვემოდან მას სრულებით არ დაამხობდა გლეხთა რევოლუცია. ხმები გლეხთა მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ მთელ რუსეთში ვრცელდებოდა. თავისუფლების იდეა მოსახლეობაში მტკიცედ იკიდებდა ფეხს. გლეხობა ძველებურად აღარ ემორჩილებოდა მემამულის ყველა კაპრიზს და ყმური მდგომარეობიდან განთავისუფლების მოლოდინში საბატონო ვალდებულებას მინიმალურად, ხოლო ზოგჯერ სრულებითაც არ ასრულებდა. გლეხთა განთავისუფლების ხმის ექო სამეგრელოსაც მისწვდა. სოფლის თავკაცებმა იცოდნენ მთავრობის წრეებში კრიზისის შესახებ, რუსეთში აბობოქრებული სახალხო მოძრაობის შესახებ. ეს საერთო განწყობილება წამქეზებელი გახდა სამეგრელოს გლეხობის მასობრივი გამოსვლისა, რომელიც ჯერ სალხინოში

დაიწყო წისქვილის მინდის თაობაზე და შემდეგ მთელ სამეგრელოში გავრცელდა.

სამეგრელოს გლეხთა მოძრაობის მესვეურთა შორის განსაკუთრებით საყურადღებო ფიგურაა მჭედელი უტუ მიქავა. მიქავა უსწავლელი კაცი იყო და არავითარ თეორიებს არ იცნობდა, მაგრამ ხალხის სიბრძნის, მისი უტყუარი კლასობრივი ალღოს შესანიშნავი განსახიერება იყო. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული უსამართლობა ისეთი წყობილებისა, რომელიც გლეხს კაცად არ ცნობდა და ბუნებისაგან თანასწორად შობილ ადამიანებიდან ერთს მონის, მეორეს ყოვლისშემძლე ბატონის მდგომარეობას უმკვიდრებდა. მიქავა მოითხოვდა ბატონყმობის სრულ ლიკვიდაციას და გლეხთა განთავისუფლებას. მისი მჭევრმეტყველური ქადაგებანი სახალხო თავისუფლებაზე გლეხებს შორის საბრძოლო ენთუზიაზმს აღვივებდა. ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობაში მთელი იმპერიის მასშტაბით ვერ დავასახელებთ მეორე პიროვნებას, რომელსაც ისე გამოკვეთილად, ცხადად, დამაჯერებლად და შეგნებულად გამოეხატოს გლეხობის აღშფოთება და სულისკვეთება, როგორც ეს „სამეგრელოს დანტონმა“ უტუ მიქავამ გამოხატა. უტუ მიქავას ღრმად სწამდა, რომ მეფეც ისეთივე ექსპლოატატორი იყო, როგორც მისი მოხელენი და თავადები, რომ ამ უსამართლობის მოსპობა მხოლოდ იარაღით, მხოლოდ გლეხთა ხელით შეიძლებოდა.

სამეგრელოს აჯანყებამ, რომელშიც 10 ათასზე მეტი გლეხი მონაწილეობდა, მიუხედავად დამარცხებისა, საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური კრიზისის გაღრმავება-გამოვლინებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა. ამ მოძრაობის ზეგავლენით საქართველოს მთელ რიგ რაიონებში გლეხთა მოძრაობის ახალი ტალღები აზვირთდა (ქუთაისისა და გორის მაზრები), მეორეც — აჯანყებამ ფრიად დააფიქრა კავკასიის მთავრობა და დაარწმუნა იგი საგლეხო რეფორმის გატარების აუცილებლობაში კავკასიაში, ისე როგორც ეს ცენტრალური რუსეთის გუბერნიებში მოხდა. აჯანყებამ თავისი ასახვა იდეოლოგიაშიც პოვა. მოწინავე ქართველ მოღვაწეებს განუმტკიცა დრომოჭმული ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის სულისკვეთება. აჯანყებამ

მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, დაარწმუნა მისი მესვეურები, რომ ეროვნული იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე მდგარ დაბრკოლებას ბატონყმობა წარმოადგენდა და იმ მომენტში მთავარი იერიშები ამ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული.

3. ორი მიმართულება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში

40-იანი წლებიდან ქართულ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ადრე ძირითადში ეროვნული თავისუფლების საკითხს დასტრიალებდა, განშტოება და გამრავალფეროვნება დაეტყო. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა, ბურჟუაზიული წყობის მომძლავრებამ, კლასობრივი ანტაგონიზმის გაღრმავებამ ეროვნული საკითხის გადაწყვეტის გვერდით მწვავედ დააყენა სოციალური საკითხი. ახალმა ვითარებამ ქართულ ეროვნულ ინტელიგენციას, რომლის სოციალური შემადგენლობაც აზნაურულ წრეს გასცდა, ახლებური საკითხები წამოუყენა და მათზე პასუხი მოსთხოვა. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა სხვადასხვა მიმდინარეობა, რომელთაგან ზოგი მართლაც უპასუხებდა ბურჟუაზიული ეპოქის მოთხოვნებს, ზოგი კი, ვიწრო კლასობრივ ნაკუწებს ჩაკეტილი, ერთ ადგილზე იტკეპნებოდა და ხშირად რეაქციულ ელფერსაც იღებდა.

ოცდაათიანი წლების მიწურულსა და ორმოციანი წლების დასაწყისში თბილისში დაბრუნდნენ ოცდათორმეტი წლის შეთქმულების საქმეზე გადასახლებულები — გრ. ორბელიანი, ალ. ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, გ. ერისთავი, დ. ყიფიანი და სხვები. დედაქალაქის მდორე ცხოვრებას ახალმა სიომ ჩამოუქროლა. ინტელექტუალური სამყარო გაფართოვდა, ამოძრავდა ლიტერატურული სალონებიც, ისევ დაიწყო გაცხოველებული ზრუნვა ქართული გაზეთის და ჟურნალის გამოცემაზე, ქართული თეატრის, ბიბლიოთეკის დაარსებაზე. მართალია, 40-იან წლებში ქართულ აზროვნებას ზედიზედ ორი ბუმბერაზი მოაზროვნე და მესვეური — ნიკოლოზ ბარათაშვილი და ალექ-

სანდრე ჭავჭავაძე გამოაკლდნენ, მაგრამ ამ აუნაზღაურებელი დანაკლისსაც არ შეუჩერებია საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლა, რომელსაც მეფისნაცვალ ვორონცოვის ცბიერი კულტურტრეგერობა ახალ იმპულსს აძლევდა.

თავადაზნაურული შეთქმულების მონაწილე ინტელიგენცია, რომლის ოცნებებს ახალგაზრდობაშივე შეეკვეცა ფრთები და რომელმაც თვითმპყრობელური რუსეთის მწვავე რეპრესიები გადაიტანა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ისევ ჩაება გონებრივ მოძრაობაში. ეს ადამიანები ცხოვრებაში ახლა უფრო ღრმად იყვნენ ჩახედულნი. მათ აწონილ-დაწონილი ჰქონდათ წარსულის ავ-კარგი. მეტი სიფრთხილითაც ეპყრობოდნენ ყოველ ახალ აზრს, ახალ მიმდინარეობას. მათ უკვე სჯეროდათ, რომ ოცდათორმეტი წლის შემართება პოლიტიკური რომანტიზმი იყო და ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, ბრძოლა საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის იმ მეთოდებით და პროგრამით აღარ შეიძლებოდა.

40-იანი წლების რუსეთი უძლიერესი იმპერია იყო ევროპაში. იგი, როგორც რეაქციული „საღვთო კავშირის" მესვეური, უცერემონიოდ ერეოდა ევროპის საქმეებში და საექსპედიციო კორპუსები მზად ჰყავდა გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, ევროპის რომელ კუთხეშიც არ უნდა აღმოცენებულიყო იგი. ირანთან და თურქეთთან ომებში ძლევამოსილი გამარჯვება, თურქეთთან სრუტეების თაობაზე 1833 წ. დადებული ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის სამხედრო ფლოტს ყველა ევროპულ ქვეყანაში საზღვაო გზებს უკაფავდა, პოლონეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვა, 1849 წლის ინტერვენცია უნგრეთში, გერმანიის საშინაო საქმეებში სელის ფათური რუსეთის იმპერიის საარაკო ძლიერებას უეჭველს ხდიდა. ამ დროისათვის ცარიზმმა ძირითადში კავკასიის დაპყრობაც დაამთავრა. რჩებოდა მხოლოდ მთიანეთი, რომლის სიღრმეში, შამილის ჯარების გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთის ჯარები დიდი მსხვერპლის ფასად მაინც მიიწევდნენ. ინგლისის და თურქეთის ანტირუსული ღონისძიებანი განწირული იყო და კავკასიის ხალხებში მას არავითარი მხარდაჭერა არ გააჩნდა.

რუსეთის ძლიერება და ამ ძლიერებით აღძრული სიამაყე ქვეშევრდომებისა ნათლად გამოხატა გიორგი ერისთავმა თავის ლექსში „კავკაზი და უცნობი“. ერისთავს მიაჩნია, რომ კავკასიას უძლიერესი მფარველი ჰყავს რუსეთის სახით და რა ძლიერი მტერიც არ უნდა მოვიდეს მისი მშვიდი ძილის დასარღვევად, ვერას გააწყობს. „რუსეთის ხიშტის ძალა ფრანგებმა 1812 წელს გამოსცადეს, რუსეთს არაერთგზის დაუნგრევია სტამბოლი და თვით მისრეთი“.

ბერი კავკაზი, დამშვიდებული თავისი მფარველის ძლიერებით, უცნობს, რომელიც მას მტრის მუქარას აუწყებს, ასე უპასუხებს:

„ვერას მაოცებს ანგლო-ფრანცუზი, მასთან ხვანთქარი,
მობრძანდნენ, ნახონ ჩვენი რუსეთის გმირი ლაშქარი,
ამ ჩემს მთებს ხედამ? როგორც ეგენი არის მაგარი,
ეგრეთვე თითო რუსეთისა არის სარდალი“.

ძნელია წარმოიდგინოთ, რომ ამ სიტყვების ავტორია 1832 წლის შეთქმულების მგზნებარე მონაწილე, მისი ერთ-ერთი რადიკალური და შეუპოვარი მესვეურთაგანი გიორგი ერისთავი. ახლა მას ხომ დიამეტრალურად საპირისპირო წარმოდგენა აქვს რუსეთის ძლიერებასა და როლზე, მშობლიური ერის ბედსა და მის მომავალზე, ვიდრე ოცდათორმეტში ჰქონდა? და განა მარტო გიორგი ერისთავი ფიქრობდა ასე? რუსეთის ძლიერების მეხოტბე და კავკასიაში მისი პოლიტიკის ერთგული ჯარისკაცები არ გახდნენ გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები? განა გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო“ მისი სულიერი მეტამორფოზის შესანიშნავ ილუსტრაციას არ წარმოადგენს?

ჩვენ ამით იმის დამტკიცება როდი გვინდა, რომ ოცდათორმეტიანელების ამ მესვეურმა წარმომადგენლებმა სამშობლოს ზურგი აქციეს, პატრიოტიზმის მაღალ გრძნობებს უღალატეს, ეროვნული მოძრაობის გზა დაგმეს და ცარიზმის ყურმოჭრილი მონები გახდნენ ქართველობის სულიერი ასიმილაციის საქმეში. ბევრი მკვლევარი მართლაც უყენებდა მათ ასეთ ბრალდებას, მაგრამ ეს არაა მართებული. გრიგოლ ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს და მათ თანამებრძოლებს ვერვინ შესწამებს სამშობლოს დავიწყებას და მისდამი ორგულობას. ისინი სიკვ-

დილის დღემდე თავისი ერის მგზნებარე პატრიოტებად დარჩნენ და მისი ბედი, მისი მერმისი მათი სულიერი ცხოვრების ძირითად საკითხს შეადგენდა. ამის მაგალითია თუნდაც დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც სამშობლოს ავადმახსენებლის წინააღმდეგ ბრძოლას სიცოცხლე შესწირა.

მაგრამ მათი მოქმედება და ნააზრევი „ქართლის ბედის“ ახლებურ გაგებას ვერ უთავსდებოდა. სუბიექტურად თითოეული მათგანი სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდა და მისით სულდგმულობდა, თუმცა ობიექტურად ისინი უკვე ფეხს ვეღარ უწყობდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იმ ამოცანებს, რასაც ახალი ცხოვრება აყენებდა. მთავარი მიზეზი, რაც მათ ეროვნულ იდეოლოგიას ობიექტურად რეტროგრადულ და რეაქციულ სამოსელში ხვევდა, კლასობრივი შეზღუდულობიდან მომდინარე სოციალური კონსერვატიზმი იყო და, როგორც ცნობილია, მძიმე დაღად აწვა 1832 წლის შეთქმულებას.

კავკასიაში მეფის რუსეთის ძლიერებისათვის დამსახურებულ მებრძოლს გენერალ-ლეიტენანტ გრიგოლ ორბელიანს, რომელმაც სამოხელეო კარიერაში კავკასიის მმართველობის საბჭოს თავმჯდომარეობას მიაღწია, დაჩცეული სამშობლოს ბედის გამო გამოწვეული სევდა სულის სიღრმეში ჰქონდა გამჯდარი და „სამშობლოს სულით დაცემას“ მისტიროდა. ერთ დროს ამაღლებული და ძლიერი ივერია „გულმოსვრილი“, „დამცირებული“, „ხმამიღებული“, „უსახოდ ქმნილი“, „გულუიმედო“, გაუხარებლად მიაჩნდა, მწუხარებით უცქერდა მომავალს და წყევლიდა ცარიზმის სამსახურში ფუჭად წასულ მის საქმიანობას.

ასეთი გაორება ამ ქართული სიტყვის მეუფისა, რომელიც ერის დიდი პატრიოტი იყო და „თავისი ძლიერი და გრძნობით სავსე ხმით აღვიძებდა და ამხნევებდა ჩაძინებულს და უიმედობით დამაშვრალ ქართველებს“ (დ. კეზელი), შეაპირობა მისმა არისტოკრატიულმა იდეოლოგიამ, მისმა კლასობრიეშა კონსერვატიზმმა.

გრიგოლ ორბელიანის იდეალად დარჩა ისეთი საქართველო, რომლის ბრწყინვალე წოდებას ძველებური ძალა და პრივილეგიები ეჭნებოდა და თამარისა და ერეკლესდროინდელ ვაჟკა-

ცობას გასავალი და დაფასება არ მოაკლდებოდა, ხოლო „ხე ლისა ძალით, ძლევის ყიჟინით“ მტერი ზურგს იბრუნებდა. ყმები მორჩილად შეასრულებდნენ ვალდებულებას ბატონის წინაშე და სოციალური დრტვინვის გამოვლინებისათვის გზები იქნებოდა დახშული. მისი ცხოვრების გზაზე კი ამგვარი საქართველო სულს ღაფავდა, ქართული არისტოკრატია კნინდებოდა ეკონომიურად და სულიერად, „პრიკაზის“ ვალებში მამულებს ეთხოვებოდა და თავადისათვის უღირს საქმიანობაში ებმებოდა. ამასთან ერთად კვდებოდა მაღალი სტილის ენა, ხოლო ენის წახდენა გრიგოლისათვის ერის დაცემის თანაბარი იყო. რუსეთს განსწავლული და შინდაბრუნებული „ზნეობით წამხდარი ახალგაზრდობა“ მხოლოდ „შხამს“ ავრცელებდა.

გრ. ორბელიანი გმობდა თანამედროვეობას, მის მსახვრალ ხელს. „არც ერთს საუკუნეში, როდესაც ჩინღისები და ლანგთემურები, არაბები და ოსმალ-სპარსები შემოდიოდნენ და აოხრებდნენ ჩვენს მხარესა, მგონია, ჩვენი საბრალო საქართველო არ იქნებოდა ისეთს განწირულს მდგომარეობაში, როგორც ვართ ერთობ ჩვენ ამ დროს და მეტადრე ჩვენი გვარი! უწინ მტრისაგან დამწვარს სახლსა ვაშენებდით ნელ-ნელა. რადგანაც მიწა გვრჩებოდა გაოხრებისაგან და მოველოდით მომავალში უკეთესობას; ახლა აშენებულის სახლიდამ გვერეკებიან გარეთ და აღარ ვიცით საით მივეფარნეთ, რადგანაც ფეხქვეშიდამ გვეცლება მიწა, და მომავალიცა აღარ არის ჩვენთვის“[1],—სწერდა გულმოკლული პოეტი 1878 წელს ივანე ორბელიანს და ამ წერილში გამოთქვამდა დასაღუპად განწირული მისი კლასის გულისტკივილს და უიმედობას. თავადაზნაურული წოდების ერთგულ შვილს საქართველოს ცნება ორბელიანთა ოჯახის საკარმიდამო მამულების ცნებამდე დაჰყავდა და ეგონა, რომ მათი მამულების გაპარტახებასთან ერთად იღუპებოდა დიდება საქართველოსი. მწერალი სასოწარკვეთილი იყო იმით, რომ არც რუსეთის ცარიზმისადმი სამსახურმა გაუმართლა, რუს ხელმწიფემ ვერ დაიცვა მისი წოდება დაკნინება-დაცემისაგან.

---

[1] გრ. ორბელიანი, თხზ. სრული კრებული, 1959, გვ. 070.

ამრიგად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგიაში გრ. ორბელიანი ძირითადად იმ პოზიციებზევე დარჩა, რომელზედაც ოცდათორმეტიანელთა უველაზე მემარჯვენე ჯგუფი იდგა. პირიქით, ახალგაზრდული შემართების წლებში საქართველოს თავისუფლებისა და გადახალისების შესახებ ოცნების შემდეგ ცხოვრების გამოცდილებამ და ბრწყინვალე კარიერამ ფრთები შეაკვეცა. მაშინ როცა ქვეყნის ობიექტური ცვლილებანი ეროვნულ-გამათავისუფლებელ იდეოლოგიას ახალ შინაარსს აძლევდა და ეპოქის შესაფერის მოთხოვნებს უყენებდა, ლექსის ეს დიდებული მეუფე ერთ ადგილზე იტკეპნებოდა და გულწრფელად ეგონა, რომ მშობლიური ქვეყნისათვის მის მიერ არჩეული პოზიცია უფრო გამოსადეგი იყო. ამან განაპირობა მის პოეზიაში მრავალი ხელშესახები შინაგანი წინააღმდეგობანი, ხოლო მთლიანად იგი რეაქციული რომანტიზმის ჩარჩოებით შემოფარგლა. ამავე იდეოლოგიამ მოაქცია იგი ე. წ. „მამათა“ ბანაკში და ზურგი შეაქცევინა ახალი თაობისადმი, რომელიც, მისი აზრით, თითქოს ძველი საქართველოს დიდებას ქვას და გუნდას ესროდა და ეროვნული მტრის წისქვილზე წყალს ასხამდა.

მაგრამ სოციალურ-კლასობრივი თვალსაზრისის სხვადასხვაობას „ძველი“ და „ახალი“ თაობა ჩინური კედლით არ გაუთიშავს, მათ შორის ამოუვსებელი უფსკრული მაინც არ გაუთხრია. მთავარი ძარღვი ქართული იდეური ცხოვრებისა მათთვის მაინც საერთო დარჩა. ეს საერთო ძარღვი ქართული მამულიშვილობა და მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა იყო. ეროვნული ტრადიციების დაცვის, ეროვნული თვითშეგნების გაღრმავების, ერის სულიერი ძალების აღორძინების, ერის ისტორიული საზღვრების აღდგენის, ხალხის შემოქმედებითი ენერგიის მობილიზების საქმეში „ძველი თაობის“ წარმომადგენლები ახალ თაობასთან ხელიხელჩაკიდებული თანამშრომლობდნენ.

იგივე გრიგოლ ორბელიანი, რომელიც ახალი თაობის მწერლებს მწვავედ ამათრახებდა და სასაცილოდ იგდებდა, პრაქტიკულ მოღვაწეობაში, როცა საქმე ქართულ პრესას, ქართულ თეატრს და სხვ. ეროვნულ დაწესებულებათა ორგანიზაციას, ოსმალთა სამასწლიანი მონობისაგან თავდაღწეულ

აჭარელ ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებას თუ სხვა მრავალ წამოწყებას შეეხებოდა, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანებთან ერთად ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა გვერდით იდგა და წამოწყებული ეროვნული თაოსნობის განხორციელებას თავის ნიჭსა და უნარს, ცოდნასა და ავტორიტეტს არ აკლებდა.

ორი თაობის ეს ერთიანობა მამულიშვილურ საქმიანობაში პირველყოვლისა თვით ილია ჭავჭავაძეს აქვს მინიშნებული. „საოცარი ის არის, — წერს ილია, — რომ ამ დროებამდე ჩვენდა სანუგეშოდ მოღწეულთა ძველთა მწერალთა, ის მათთვის უცნობი და ახალი ქროლა ჩვენის აზრიანობისა არ იუარეს, არ იუცხოვეს. პირიქით, მთელის თავის ძალ-ღონით მიეცნენ ამ ახალს მდინარეობასა, დროთა ჩაძახილს ღირსეულ მობანედ გამოუჩნდნენ და ახალთან ერთად ძმურად იღვაწეს ამ მიმართულების გასაძლიერებლად. იმ მრავალგვარ საგნებში, რომელიც მამულმა, მამულის სიყვარულმა და მამულისშვილობამ თვალწინ გამოგვიფინა, თვითეულმა მათგანმა თვისი სხივოსანი შუქი შეიტანა იმისდა მიხედვით, ვის რა უფრო ეხერხებოდა და სადამდე თვალი უწვდებოდა. ვერა ვძლებთ უიმისოდ, რომ ის მართლა-და საკვირველი ამბავი მაგალითებით არ დავასაბუთოთ, მით უფრო, რომ ხელთა გვაქვს ამ ჯურის მწერალთა თხზულების კრებული“[1].

ამ აზრის დამადასტურებელი მაგალითი ი. ჭავჭავაძეს გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებიდან მოაქვს. გრ. ორბელიანმა, რომელმაც „ჩააღრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყალე პოეზიისა“[2], 60-იანი წლებიდან „ძლიერი მხარი მისცა ახალს მიმართულებასა და მამულის სიყვარულს ღრმა კვალი დააჩნევინა ჩვენს გულში. სიყვარულმა მამულისამ, სამშობლო მიწისამ, აღფრთოვანებულმა სამოციან წლებში, სულით და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა, და ამ სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანერგად ახლებთან ერთად არა ერთი და ორი უთქვამს თავის მშვენიერის ლექსითა“[3].

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 226—227.

2 იქვე, გვ. 210

3 იქვე, გვ. 228.

გრ. ორბელიანის მგზნებარე პატრიოტული საქმიანობითა და შემოქმედებით მოხიბლული დიდი ილია გულწრფელად დასტიროდა გრიგოლის ცხედარს და თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ასე ეუბნებოდა: „შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თამამად თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყავდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ შენ ჰყვანდი და აღარ ეყოლები“[1].

გრიგოლ ორბელიანი ამ შემთხვევაში ოცდათორმეტიანელთაგან ერთი და განცალკევებული არ ყოფილა. ამავე გზით წარიმართა ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების შემოქმედებაც.

ვახტანგ ორბელიანი — ერეკლე მეორის ეს პირდაპირი შთამომავალი, შეთქმულების დამარცხებისა და სასჯელის მოხდის შემდეგ თითქმის შეეგუა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და მისი ერთგული მოხელე გახდა, რის გამოც გენერალ-მაიორის წოდებას მიაღწია. 40—50-იანი წლების მოვლენებს ერის ცხოვრებაში მან თავისებური შეფასება მისცა და ივარაუდა, რომ მის საოცნებო საქართველოს უბედურება არა ცარიზმის მხრივ, არამედ გამწვავებული სოციალური ბრძოლისაგან მოელოდა. გლეხთა ანტიბატონყმური მოძრაობის გაძლიერების ვითარებაში იგი თავისი კლასის ინტერესების სამსახურში აღმოჩნდა და ბატონებსა და ყმებს შორის მამაშვილური დამოკიდებულების ქადაგებას შეუდგა. ამ მხრივ დამახასიათებელია საგლეხო რეფორმის მომზადების წლებში ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილი „უწინდელ დროში ბატონყმობა საქართველოში“. ეს სტატია ბატონყმური წყობილების იდეალიზაციას იძლეოდა, ყმისა და ბატონის დამოკიდებულებას ალამაზებდა და მამაშვილურ ურთიერთობამდე დაჰყავდა იგი. ვახტანგ ორბელიანი ამ შემთხვევაში იმეორებდა იმ თვალსაზრისს, რომელსაც რუსეთში იცავდნენ თავადაზნაურული იდეოლოგიის მატარებლები. ვახტანგ ორბელიანი ბატონყმობის გაუქმების მოწინააღმდეგე დარჩა ბო-

---

1. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 3, გვ. 249.

ლომდე და 70-იან წლებშიც მისი ტრფიალი იყო ძველი თაობადური საქართველოს ერთი პატრიარქალური ოჯახი, სადაც

„უყვარს მოხუცსა თვის გლეხნი — ყმანი —
მისთვის ის ყმანი არიან ძმანი,
მათთან ნადიმი და მათთან ლხენა
მათ საუბარი უმზაკვრო ენა.
ყმას ჰყავს პატრონი, არა ბატონი;
ერთნი არიან ყმა და პატრონი".

ამიტომ მისტიროდა წარსულს ვახტანგ ორბელიანი. თამარისა და ერეკლეს ეპოქაში ყველაფერი შარავანდედით იყო მოსილი, თანამედროვეობაში კი პოეტი ვერაფერს ხედავდა სასიკეთოსა და გასახარელს, რადგან „წმინდა ტაძარნი მიწას დაეცეხ. შეგინებული და დარღვეულხი ერთა უწმინდურთ და ველურთ დარჩნენ!!."

ახალ ვითარებას და ახალ მიმართულებას იდეურ ცხოვრებაში ასევე ვერ შეეგუა ალექსანდრე ორბელიანი, რომელიც, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების მსგავსად, ბოლომდე ძველი საქართველოს მეხოტბედ დარჩა. ალექსანდრე გულწრფელი პატრიოტი იყო, „ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი" (აკაკი), რომელიც თავის ცოდნასა და ენერგიას მშობლიური ქვეყნის დიდების წარმოჩენას ანდომებდა.

თანამედროვეობაზე გულაყრილი და იმედგაცრუებული ალექსანდრე თავის მრავალრიცხოვან ისტორიულ და ეთნოგრაფიულ წერილებსა თუ პოეტურ შემოქმედებაში საქართველოს წარსულს დასტრიალებდა, ამასთან ყველა ისტორიულ ფაქტს თავადაზნაურული არისტოკრატიული პოზიციიდან აცოცხლებდა. „უწინდელს დროში, — ამტკიცებდა ა. ორბელიანი, — პატრონყმობა იყო და არა ბატონყმობა. ბატონი მფარველი და შემწე იყო თავისი ყმისა. ამიტომ „გარეშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშოვო და იმას შევეხიზნოო, ამისათვის რომ მებატონე თავის ყმასა შვილსავით ყურს უგდებდა და შვილების მსგავსად გული სტკიოდა ყმისათვის". აქედან ცხადია, საით უმიზნებდა ამ სტრიქონების ავტორი. ამიტომ შეაქცია მან ზურგი ახალ თაობას, სამოციანი წლების პროგრესულ მოღვაწეებს და „მამათა" ბანაკიდან ქვეყნის გადახალი-

სების, მისი გადემოკრატების ტენდენციებს ეჭვის თვალით დაუწყო მზერა და არ თანაუგრძნობდა.

ამრიგად, ოცდათორმეტიანელთა ერთი შტო, რომელიც სოციალური კონსერვატიზმის ბოლომდე ერთგული დარჩა. 40—50-იან წლებში პოლიტიკაში ობიექტურად რეტროგრადობამდე დაეშვა. მართალია, ისინი პრაქტიკულ ცხოვრებაში თავისი ქვეყნის სასარგებლო არა ერთ და ორ თვალსაჩინო წამოწყებას უდგნენ სათავეში, მაგრამ, საერთოდ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მათებური იდეოლოგია საქართველოს აღარ გამოადგებოდა, რადგან პოლიტიკაში რეტროგრადობა — პოეზიაში რეაქციული რომანტიზმი იყო.

მაგრამ 1832 წლის შეთქმულების ნიადაგზე ფეხი მოიდგა მეორე მიმართულებამ — პროგრესულ-დემოკრატიულმა, რომელმაც განაგრძო და განავითარა ოცდათორმეტიანელთა საუკეთესო ტრადიციები და, ალღო აუღო რა ახალ ვითარებაში მშობლიური ქვეყნის ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი განხორციელებისათვის ბრძოლას შეუდგა. ამ გზის თაოსანი და პირველი მეკვლე გიორგი ერისთავი იყო. ამ გზით წარიმართა ლ. არდაზიანის და დანიელ ჭონქაძის შემოქმედებაც. ეს გზა აღმოჩნდა სწორედ ის შემაერთებელი ხიდი, რომელმაც 1832 წლის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია 60—70-იანი წლების გრანდიოზულ ეროვნულ მოძრაობას დაუკავშირა.

შორეულ გადასახლებასა და სამშობლოში დაბრუნების პირველ წლებშიც გიორგი ერისთავი მწვავედ განიცდიდა სულიერ ტკივილებს იმ სანუკვარი ოცნებების დამსხვრების გამო, რომელიც ახალგაზრდობის წლებში იტაცებდა. მისი პოეზიის ეს ეტაპი აღსავსეა მელანქოლიით. ცხოვრების ამაოებით და ვერაგობით გულმოკლული პოეტი შვებას წრფელ სიყვარულში ხედავს, მაგრამ წუთისოფლის სამდურავი და პირადი ტრფიალის ნაჭუჭებში ჩაკეტვა გიორგი ერისთავის შემოქმედების საწყის ეტაპზევე ამოიწურა. თავისი ეპოქის ამ უნიჭიერესმა ადამიანმა ღრმად ჩაიხედა ცხოვრებისეულ პროცესებში და თავისი მშობლიური ერის სამსახურისათვის მართალი გზა აირჩია.

გიორგი ერისთავის თვალწინ მიმდინარეობდა ქართული თავადაზნაურული წოდების დაშლა-დეგრადაციის პროცესი.

ქართველ ბრწყინვალე არისტოკრატიას, რომელსაც წარსულში ქვეყნის ბედ-იღბალი ებარა და უზრუნველადაც ცხოვრობდა. არ აღმოაჩნდა უნარი ახალ ვითარებას შეგუებოდა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაცხოველებამ გვარიშვილობა და ძველი დიდება დაასამარა, ფულის და თანამდებობის ტრფიალი გაამეფა.

ფუქსავატი თავადაზნაურობა გარჯას არ იყო მიჩვეული და ახალი ვითარებისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. არც განათლება გააჩნდა. მამული კი, რომელიც ნატურალური კარჩაკეტილობის პირობებში, ასე თუ ისე, მაინც იძლეოდა საკმაო შემოსავალს, ახლა ნიავდებოდა, მოვალე მევახშეების საკუთრებაში გადადიოდა. ეკონომიურმა დეგრადაციამ თავადაზნაურობა მორალურადაც გახრწნა და გაათახსირა. ვერც რუსეთში სწავლამიღებული აზნაურები შეეწყვნენ ახალ ცხოვრებას, რადგან არ გააჩნდათ ცხოვრების ცოდნა და შრომითი ჩვევები. ახალ ვითარებაში დიდებისა და პატივის, სიყვარულისა და პატიოსნების ეტალონად ფული იქცა მხოლოდ. ფულზე დახარბებულმა თავადაზნაურობამ მამული ჩალის ფასად ჩაუგდო ხელში ვაჭრებს. ჩარჩებმა და სპეკულანტებმა, რომლებიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გაჩაღებამ მოამრავლა, მდიდარი წოდების გათახსირება უნარიანად გამოიყენეს გამდიდრებისათვის.

ერის ცხოვრებაში მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიური პროცესები, ძველისა და ახლის სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი გიორგი ერისთავმა არაჩვეულებრივი სიზუსტით გადაიტანა მხატვრულ ტილოზე. მის კომედიებში „შეშლილი“, „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“, „წარსული დროის სურათები“ სრულად წარმოდგნენ თანამედროვე ცხოვრების შვილები — ფუქსავატი, ზარმაცი და უუნარო თავადები — ანდუყაფარ და პავლე დიდებულიძეები, ქარაფშუტა და უვიცი აზნაური ლომინ გოდაბრელიძე, რუსეთში სწავლამიღებული, მაგრამ ცხოვრებისათვის მოუმზადებელი და უნაყოფო მეოცნებე ბეგლარი და მიხეილი, ფულის „სატანა“ მევახშე მიკირტუმ გასპარიჩი და ძუნწი კარაპეტა და სხვ. ერთი სიტყვით, მთელი გალერეა ცხოვრებისეული ტიპებისა, რომლებიც ახალ კერპს — ფულს აუფორიაქებია და დაუმონებია. თავის კომედიებში

გ. ერისთავი ასევე მხატვრული სისრულით გვიხატავს ცარიზმის გათახსირებულ მექრთამე მოხელეებს (ხარიტონ ვზიატკინი, რაფიელ არზამანოვი და სხვ.), რომლებიც გაიძვერობენ და ცხოვრების ამღვრეულ მდინარეში თევზებს უხვად იჭერენ.

გ. ერისთავის შემოქმედება ახალი სიტყვა, ახალი თავფურცელი იყო ქართულ ლიტერატურაში. გ. ერისთავით დაიწყო ჩვენში კრიტიკული რეალიზმი, რომელიც ცხოვრებას პირდაპირ და უშიშრად უყურებდა და ყოველგვარი შელამაზების გარეშე ასახავდა, თავის მსჯავრს უდებდა ყველა მოვლენას.

გიორგი ერისთავი მტკივნეულად განიცდიდა ეკონომიურ და მორალურ დაცემას იმ კლასისას, რომელსაც თვით ეკუთვნოდა. უსინდისო მაქინაციებით გამდიდრებული ვაჭრები, გულქვა მევახშენი და ძუნწი კარაპეტები, რომელთა ხელში გადადიოდა მისი ღვიძლი წოდების მთელი ავლადიდება, გიორგი ერისთავს მთელი არსებით სძულდა. ეს სიძულვილი მის ყველა ნაწარმოებში გამოსჭვივის.

ძველისადმი ერთგვარი სიმპათიების მიუხედავად, ნიჭიერი მწერალი წინ იყურებოდა, ცხოვრების პერსპექტივებს თვალს უსწორებდა და მართებული დასკვნა გამოჰქონდა, რომ ბატონყმობა, როგორც დრომოჭმული და მავნე სოციალური სენი, უნდა მოსპობილიყო.

ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციის აუცილებლობას ამ დროის გაბატონებული კლასის ბევრი ჭკვიანი წარმომადგენელი ხედავდა და იბრძოდა კიდეც გლეხთა განთავისუფლებისათვის. გიორგი ერისთავი ამ მომწიფებულ აქტს — ბატონყმობის მოსპობას ისევ თავადაზნაურული პოზიციებიდან უდგებოდა. შემთხვევითი არაა, რომ მის შემოქმედებაში გამოკვეთილად არ ჩანს ის კლასი, რომელსაც ბატონყმური ინსტიტუტი მაჯლაჯუნასავით აწვა კისერზე და გასაქანს არ აძლევდა. არ ჩანან ყმა გლეხები — თავადაზნაურული ექსპლოატაციისაგან სულშეხუთული და დაბეჩავებული ადამიანები. გ. ერისთავს მათი ბედი ისე არ აღელვებდა, როგორც თავადაზნაურობისა, ამიტომ იგი თავისი პოლიტიკური იდეოლოგიით თავადაზნაურობის ლიბერალური ნაწილის განწყობილების გამომხატველი იყო და დემოკრატიზმი მის შემოქმედებაში ჯერ კიდევ ჩანასახურ სტადიაში იმყოფებოდა.

გ. ერისთავის მიერ სოციალურ საკითხებში ასეთი ჩაღრმავება არ ნიშნავდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებისადმი ზურგის შექცევას. მშობლიური ქვეყნის გულწრფელი პატრიოტი მუდამ მწვავედ განიცდიდა კოლონიური ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავი ხალხის ტკივილებს. გ. ერისთავს სძულდა ცარიზმის გათახსირებული სამოხელეო აპარატი, რომელიც ერს პარაზიტივით აჯდა სხეულზე და სისხლს სწოვდა. მას ისიც აწუხებდა, რომ რუსულ მოდას აყოლილი ქართველი ახალგაზრდობა ივიწყებდა ეროვნულ ჩვეულებსა და ტრადიციებს და მწარედ დასცინოდა მათ გადაგვარებას.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მწვავე კრიტიკის მიუხედავად, გ. ერისთავი საბოლოოდ გამოეთხოვა იმ სეპარატისტულ ტენდენციებს, რომელსაც დიდად თანაუგრძნობდა ახალგაზრდობის პერიოდში („ოსური მოთხრობა“ და სხვ.).

ცხოვრებისეულ მოვლენებზე დაკვირვებამ მასში განამტკიცა აზრი იმ პერიოდისათვის საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის აუცილებლობისა. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ინერტულობიდან გამოსვლა, საკაცობრიო ცივილიზაციის რკალში მოქცევა, აზიური გარემოცვის გარღვევა და ისტორიის პროგრესისათვის ფეხის აწყობა შეიძლებოდა მხოლოდ რუსეთთან თანაცხოვრებით, სადაც თვითმპყრობელური დესპოტიზმის მიუხედავად, გზას იკაფავდა ახალი მოვლენები. რუსეთი გ. ერისთავის წარმოდგენაში კავკასიის ხალხთა მფარველიც იყო და მუსლიმანური სამყაროს ვერავითარი ძალა ამიერიდან ვეღარ დაარღვევდა ამ ხალხის მყუდროებას. ასეთ ვითარებაში, გ. ერისთავის წარმოდგენით, ქართველ ხალხს უნდა ებრძოლა არა რუსეთისაგან თავის დასაღწევად, რადგან ამისათვის მომზადებული არ ყოფილა, არამედ საკუთარი ჩამორჩენილობის დაძლევისათვის, საზოგადოებრივი ძალების ამოძრავებისათვის, დრომოჭმული ბატონყმური ურთიერთობის ლიკვიდაციისათვის, ცხოვრების წიაღში გაჩენილი ახალი მოვლენების შეგუებისათვის, განათლებისათვის. ეს დიდი სამოქმედო გზა, გ. ერისთავის აზრით, რუსეთზე გადიოდა.

ამ შეგნებით ეწეოდა იგი დაუცხრომელ პრაქტიკულ მოღვაწეობას ქართული თეატრის დაარსებისათვის, ქართული ჟურ-

ნალის შექმნისათვის და მის დაუღალავ ენერგიას, მის გასაოცარ ორგანიზაციულ ნიჭს უმადლის ქართველი საზოგადოება ამ ორი საშვილიშვილო საქმის წარმატებით დაგვირგვინებას.

„ეორონცოვის მმართველობის ახალმა კურსმა, რომელიც ადგილობრივი არისტოკრატიის გულის მოგებას ისახავდა მიზნად, ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალები აამოძრავა ერთგვარად. ამ ვითარებაში მომწიფდა ქართული თეატრის აღდგენის დიდიხნის სანუკვარი იდეა, რომელსაც ახალ ვითარებაში საჭირო საფუძველი თავისი კომედიებით თვით გიორგი ერისთავმა მოუმზადა"[1].

გ. ერისთავმა შემოიკრიბა ნიჭიერი თეატრალური კოლექტივი და მეფისნაცვლისაგან სათანადო თანხმობის შემდეგ 1850 წლის იანვარში მოამზადა კიდეც ქართული თეატრის პირველი წარმოდგენა („მიხეილ და ქრისტინე" ფრანგულ ენაზე და „გაყრა"). „გაყრა" წარმოდგენილ იქნა თბილისის გიმნაზიის დარბაზში, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი, სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. პირველმა წარმატებამ გ. ერისთავი გაამხნევა და იმავე წლის მაისში ქართველმა მაყურებელმა გ. ერისთავის მეორე წარმოდგენა „დავა" იხილა სცენაზე. იმდენად დიდი იყო თეატრალური დასის წარმატება და ხალხის დაინტერესება თეატრისადმი, რომ ეორონცოვმა ნება დართო ერისთავს მუდმივი დასი ჰყოლოდა. ეს იყო ქართული რეალისტური თეატრის აღმოცენება, რომლის საფუძველი იმდენად მყარი და მაღალტრადიციებზე დაფუძნებული აღმოჩნდა, რომ თვითმპყრობელურ კოლონიურ სუსხს გაუძლო და უაღრესად დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ეროვნული თვით შეგნების ამაღლებასა და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის საქმეში.

თეატრის შექმნის საქმეში წარმატებამ გ. ერისთავი ქართული ჟურნალის დაარსების საქმეშიც წაახალისა. 1832 წლის შემდეგ ქართველ საზოგადოებრიობას მშობლიურ ენაზე არც გაზეთი ჰქონია, არც ჟურნალი, ცხოვრება კი იმდენად წინ წავიდა და მოვლენებიც გამრავალფეროვნდა, რომ პრესის საჭიროება მწვავედ იგრძნობოდა. მოწინავე ქართველი მოღვაწეების

[1] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, 1953, გვ. 196.

მცდელობამ 50-იან წლებამდე არავითარი შედეგები არ გამოიღო. ხელსაყრელი ამინდი ამ მხრივ მხოლოდ ვორონცოვის დროს დადგა. 1851 წელს გ. ერისთავმა ვორონცოვს გამოსთხოვა ქართული ჟურნალის დაარსების ნებართვა, მეფისნაცვალმა პეტერბურგში იშუამდგომლა და სათანადო თანხმობა მიიღო. 1852 წლის იანვარში გ. ერისთავის რედაქტორობით გამოვიდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“. ჟურნალი 2 წელს გამოდიოდა მხოლოდ და 12 ნომერი გამოიცა. 1854 წლიდან მისი გამოცემა შეწყდა. ხელისმომწერთა სიმცირემ, ჟურნალის მფარველ ვორონცოვის თბილისიდან წასვლამ, პოლიტიკური ვითარების გართულებამ (ყირიმის ომმა) ჟურნალს გადაულახავი დაბრკოლებები გადაუღობა და მხოლოდ 1857 წლიდან შეძლო ი. კერესელიძემ გ. ერისთავის დიდი თაოსნობის გაგრძელება.

კავკასიის რუსულმა მმართველობამ ქართული ჟურნალის დაარსების ნებართვა კი გასცა, მაგრამ მის მიმართ ისეთი მკაცრი ცენზურა დააწესა, რომ თანამედროვე ცხოვრებისაგან თითქმის გარიყა. დოდაშვილის ჟურნალისა და 1832 წლის შეთქმულების გამოცდილება მეფის მოხელეებს უკარნახებდა ფრთხილად ყოფილიყვნენ. ჟურნალში პოლიტიკური სტატიის გამოქვეყნება შეუძლებელი იყო. საქართველოს მიმდინარე ცხოვრების მტკივნეულ საკითხებზე წერა არ შეიძლებოდა. ამან განაპირობა „ცისკრის“ ერთგვარად განყენებული ხასიათი, ცხოვრებისაგან მოწყვეტილობა და წმინდა ლიტერატურული ჩარჩოებით შემოფარგვლა.

მაგრამ ამ ჩარჩოებში მოქცეული „ცისკარი“ მაინც სასარგებლო საქმეს აკეთებდა. იგი ამზადებდა ძველი ქართული პოეზიის ნიმუშებს, რომელიც მაშინ დავიწყებას ჰქონდა მიცემული (თეიმურაზ პირველი, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, დ. ბაგრატიონი), სახელოვან ოცდათორმეტიანელთა შემოქმედებას (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი), ქართველი საზოგადოებრიობას აცნობდა დასავლეთ ევროპის და რუსეთის ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელთა შემოქმედებას (შილერი, ბერნარი, ჰიუგო, კორნელი, მიცკევიჩი, პუშკინი, მარლინსკი), ამასთან ბეჭდავდა თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებსაც.

„ცისკარს“, როგორც ახალ წამოწყებას, ბევრი რამ აკლდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე იმ ეპოქაში მაინც ცისკრის როლს ასახიერებდა.

ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში გიორგი ერისთავის მიერ არჩეულ გზას გაჰყვნენ მისი უმცროსი თანამედროვენი — ნიჭიერი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი და რეალისტური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლები ლავრენტი არდაზიანი და დანიელ ჭონქაძე.

ილია ჭავჭავაძე ზურაბ ანტონოვს, როგორც გ. ერისთავის მოწაფეს და მიმდევარს, ასეთ შეფასებას აძლევდა: „ფრთა-ასხმულმა ანტონოვმა, რაკი იგრძნო, რომ მე ჩემი საკუთარი ფრთები მასხიაო, თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს ღობეები შორს გაუდგა, სარბიელი გაუდიდა და ეგრეთწოდებულ მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა“[1]. „ზ. ანტონოვმა წინ წასწია ქართული დრამატურგია და ქართული მწერლობა საერთოდ, გ. ერისთავის რეალიზმი მან გაამდიდრა დემოკრატიზმით“[2]. მან ღრმად ჩაიხედა თანამედროვე ცხოვრების სიღრმეში და კარგად დაინახა ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოების („მზის დაბნელება საქართველოში“, „ქმარი ხუთი ცოლისა“, „ქორწილი ხევსურთა“ და სხვ.) სოციალურ ურთიერთობაში მიმდინარეობდა. თავადაზნაურული წოდება ზ. ანტონოვის პიესებში ეკონომიურად დაკნინებულ, მორალურად გახრწნილ და დაღუპვისათვის განწირულ საზოგადოებრივ ფენად გვევლინება. ბატონყმური ურთიერთობის წიაღში კი წამოზრდილი და წელმომაგრებული ბურჟუაზია — ხარბ, უზნეო და მაღალი საზოგადოებრივი იდეებისაგან განდგომილად. ავტორის სიმპათიები ისევ დაბალი წოდების მხარეზეა, მაგრამ ცხოვრების მკაცრი კრიტიკით გატაცებულმა მწერალმა მაინც ვერ შეძლო მოეცა დადებითი გმირი, გულქვა მებატონისა და თაღლითი ვაჭრის მიერ ექსპლოატირებულ გლეხში დაენახა მისი ქვეყნის მომავალი და მისთვის დაეკისრებინა ცხოვრების გადასახალისებლად ბრძოლის მესვეურობა.

[1] ი. ჭავჭავაძე, ტ. III, 1953, გვ. 222.

[2] დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, გვ. 289.

ის პრინციპები, რითაც გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი დრამატურგიაში ხელმძღვანელობდნენ, ქართულ პროზაში პირველად ლავრენტი არდაზიანმა მოიმარჯვა. ამიტომ იგი სამართლიანად ითვლება ქართული რეალისტური პროზის ფუძემდებლად. მისი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მართალი სარკეა იმ ცხოვრებისა, რომელიც საქართველოს XIX საუკუნის 50-იან წლებში დაუდგა. მწერლის მახვილმა თვალმა კარგად შენიშნა სავაჭრო ბურჟუაზიის მომძლავრება და გვიჩვენა ეს პროცესი თავისი უარყოფითი და დადებითი მხარეებით. სოლომონ ისაკიჩის სახით ავტორმა მხატვრული დახასიათება მისცა კაპიტალის პირველდაგროვების პროცესს, გვიჩვენა ამ პროცესისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი, მაქინაციებით შეძენილი კაპიტალის მეპატრონეთა სიძუნწე, სიხარბე, თაღლითობა, უვიცობა. არდაზიანმა სავაჭრო ბურჟუაზიის მომძლავრებაში თავადაზნაურული წოდებისათვის სასიკვდილო განაჩენი დაინახა, თუმცა მისი სიმპათიები ახალ კლასთან — ბურჟუაზიასთან შედარებით მაინც ძველი, გაბატონებული კლასის მხარეზე აღმოჩნდა. პოლიტიკური მსოფლმხედველობით ლ. არდაზიანი ვერ გასცდა ლიბერალურ-აზნაურულ იდეოლოგიას და მის თანამედროვე მძაფრ სოციალურ მოვლენებში ვერ ამოიცნო წინსვლის მართებული გზა.

შემთხვევითი არაა, რომ ლ. არდაზიანი, როგორც პუბლიცისტი, მეტად ზომიერ პოზიციაზე აღმოჩნდა იმ მწვავე პოლემიკაში, რომელიც ძველსა და ახალ თაობას შორის დაიწყო. გაბედულად ვერ ამოუდა გვერდში თერგდალეულთა თაობას და ვერ გაიზიარა ის იდეები, რაც თავიანთ დროშას თერგდალეულებმა წააწერეს. მიუხედავად ამისა, პუბლიცისტურ წერილებში ლ. არდაზიანმა გამოიტანა თანამედროვეობის ბევრი საჭირბოროტო საკითხი, ყურადღება გაამახვილა განათლების აუცილებლობაზე, დაგმო ფუქსავატური და უცხოური მოდებით გატაცება, დილეტანტიზმი, ცრუ სწავლულობა და სხვა მრავალი მანკიერება, რასაც მისი მახვილი თვალი ხედავდა ირგვლივ.

დრომოჭმული და სიკვდილისათვის განწირული თავადაზნაურული კლასისადმი ის სიმპათიები, რაც ერთგვარად მაინც გამოსჭვივოდა გ. ერისთავის და ლ. არდაზიანის მხატვ-

რულ შემოქმედებაში, მთლიანად უკუაგდო დანიელ ჭონქაძე. მან პირველმა ქართულ ლიტერატურაში ყველაზე გაბედულად, პირდაპირ და მთელი სიმკაცრით დააყენა ბატონყმობის, როგორც ერის უკურნებელი სენის, მოცილების, ე. ი. მისი მოკვეთის, ლიკვიდაციის საკითხი. დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ მკაცრი გალაშქრებაა ნიჭიერი მწერალი პირველი გამოეხმაურა იმ დიდ სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც 50-იანი წლების დასასრულისა და 60-იანი წლების დასაწყისში, რევოლუციური სიტუაციის პერიოდში, რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულმა თაობამ გააჩაღა. „სურამის ციხე“ ჩვენ სინამდვილეში ასრულებდა იგივე როლს, რასაც რუს სამოციანელთა პუბლიცისტური წერილები „კოლოკოლისა“ და „სოვრემენიკის“ ფურცლებზე ან პროკლამაციები „მოლოდაია როსიას“ ხელმოწერით. ცენზურის მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ დაბეჩავებულ „ცისკარს“ არ შეეძლო პოლიტიკურ ტრიბუნად ქცეულიყო. ბატონყმობის წინააღმდეგ მოწინავე ქართულ პუბლიცისტურ სტატიას ვერ გამოაქვეყნებდა და ყველაფერი ის, რაც უნდა ეთქვა ბატონყმური ურთიერთობის დამხობისათვის მომზადებულ ნიჭიერ პუბლიცისტს, თქვა დანიელ ჭონქაძემ მხატვრულად, დამაჯერებლად, შთამბეჭდავად. გლეხთა განთავისუფლების დემოკრატიული იდეოლოგიაა „სურამის ციხის“ საფუძველი. ამ მხრივ დ. ჭონქაძემ შეამზადა მტკიცე საფუძველი იმ დიდი იდეური ბრძოლისათვის, რომელიც 60-იანი წლების მოღვაწეებმა გააჩაღეს.

კავკასიის მთიანეთის ანტიკოლონიურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა

„ძრწოდე, კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!
შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა სრულისა,
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა!..“

1844 წელს, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ სტრიქონებს წერდა, კავკასიის მთიანეთი სახალხო ომის ხანძარში იყო გახ-

ვეული. დაღესტნისა და ჩეჩნეთის მთელი მოსახლეობა იმამ შამილის მეთაურობით შეუპოვრად ებრძოდა რუსეთის არმიას, რომელსაც მისთვის მკაცრი სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი მოჰქონდა.

შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურობდა ქართველი თავადობა, რომელიც 1832 წლის ტრაგიკული ფინალის შემდეგ სეპარატიულ სულისკვეთებას გამოთხოვებოდა და კავკასიის ცბიერი მეფისნაცვლის ვორონცოვის წაქეზებით სახელსა და დიდებას „საქართველოს ისტორიული მტრის“ — დაღესტანელი ლეკების განადგურებაში ეძებდა. დაღესტნის მთებში მიურიდებს ებრძოდა პოეტის ბიძა გრიგოლ ორბელიანი, შამილის ტყვეობაში გასაოცარი რაინდული სულისკვეთების გამომჟღავნებისათვის ლეგენდარულ გმირად აღიარებული ილია ორბელიანი, რომლის მამაცობამ პოეტს „მერანი“ შთააგონა. იგი თბილისელი ბანოვანების აღტაცების საგანი იყო და სახელმოწყურებული ყველა ჭაბუკის იდეალს წარმოადგენდა.

პოეტის ოცნება დაღესტანს დასტრიალებდა, გრიგოლისა და ილიას მხარდამხარ განავარდება მას სიცოცხლედ უღირდა, მაგრამ დაჭრილი არწივის მსგავსად, ღონეგამოლეული მხოლოდ შორიდან გაჰყურებდა კავკასიონის მწვერვალებს და გულს მხურვალე სტრიქონებით იოხებდა.

ახლა ადვილია იმის თქმა, რომ ბარათაშვილის და მისი თაობის დამოკიდებულება შამილის და კავკასიის მთიანეთის მოძრაობისადმი ცალმხრივი იყო. მართალია, დაღესტნელმა ლეკებმა საქართველოს სიცოცხლე გაუმწარეს და მის დაუძლურებაში თავისებური როლი შეასრულეს, მაგრამ უმართებულო იყო მაინც ისტორიული მტრისადმი „შურისძიების“ მომიზეზებით იმ ხალხის განუკითხავი ჟლეტა, რომელიც თავისი ბუდის, ტრადიციების, დამოუკიდებლობის დასაცავად იბრძოდა და მომხვდურ მტერს გზას უღობავდა. XIX საუკუნის 30—40-იანი წლების დაღესტნელი ლეკები სრულებით არ იყვნენ პასუხისმგებელნი იმ მეკობრული თავდასხმების გამო, რომელსაც XVII—XVIII საუკუნის ლეკები მიმართავდნენ. შამილის თანამედროვენი ისევე მართალნი იყვნენ თავიანთ თავდაცვით ბრძოლაში, როგორც ქართველები, როცა ისინი ლეკიანობას ებრძოდნენ თავგამოდებით.

მაგრამ ბარათაშვილისა და მისი თანამედროვე ახალგაზრდებისათვის, რომელთაც მოქმედება და სახელი სწყუროდათ, შამილის ბრძოლის ხასიათის ამოცნობა ძნელი იყო, ხოლო სიძულვილი ლეკობისა იმდენად ცოცხალი და მოქმედი იყო მათ ხსოვნაში, რომ ვაჟკაცობისა და მამულიშვილობის ეტალონს „დაღესტნელთ ქედზე მახვილის ლესვა“ წარმოადგენდა.

ნარკვევის ამ ბოლო თავის მიზანია მოკლედ მაინც გაარკვიოს კავკასიის მთიანეთის ბრძოლის ხასიათი. „ჩვენ შეგვიძლია არ გავიზიაროთ ავტორისა (ნ. ბარათაშვილის) და იმ დროის ქართველთა „სისხლის აღებით“ აღტაცება, ეს სხვა საკითხია, ჩვენი მოვალეობაა გავიგოთ მოვლენა, მოვუძებნოთ მას მიზეზი და ისტორიის ჩარჩოებში ჩავაყენოთ“[1].

კავკასიის მთიანეთის ხალხთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XIX საუკუნის 30—40-იანი წლების რუსეთის განაპირა მხარეებში ცარიზმის დამპყრობლურ-კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ გაჩაღებული მოძრაობის ერთ-ერთ შენაკადს წარმოადგენს. ეს ბრძოლა 1800—1859 წლების მანძილზე გრძელდებოდა და დიდი შეუპოვრობით ხასიათდებოდა.

ცარიზმმა საქართველოში ფეხისმოკიდების შემდეგ მთელი კავკასიის შემომტკიცებას მიჰყო ხელი.

1830 წლისათვის, ირანთან და თურქეთთან ომების მოგების შემდეგ, თურქმანჩაისა და ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებათა საფუძველზე რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უკვე მტკიცედ ჩაჯდა აზერბაიჯანი და სომხეთი, მაგრამ ცარიზმს განსაკუთრებით გაუჭირდა კავკასიის მთიანეთში შეღწევა. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელი მოსახლეობა (დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი), მართალია, XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ფორმალურად უკვე დაპყრობილი იყო ცარიზმის მიერ, მაგრამ ფაქტიურად კავკასიის მთიელები შეუპოვარ ბრძოლას ეწეოდნენ დამოუკიდებლობისათვის; თავიანთი ადათების ყაიდაზე განაგრძობდნენ ცხოვრებას და ენერგიულ წინააღმდეგობას უწევდნენ ცარიზმის კავკასიელ მოხელეთა ყოველგვარ ცდას დაენერგათ და განემტკიცებინათ აქ რუსეთის ხელისუფლება.

---

[1] ვ. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია გვ. 126.

შემომტკიცების მიზნით კავკასიის მთიანეთზე აქტიური შეტევა კავკასიის მთავარმართებელმა ციციანოვმა დაიწყო. მთიელთა წინააღმდეგობით გაბოროტებული ციციანოვი შემდეგ მედიდურ წერილებს სწერდა მათ: „თქვენ გამოგიგზავნით არა გენერალს თავისი ჯარებით, არამედ მე თვითონ მოვალ; თქვენი ოლქის მიწა-წყალს თქვენივე სისხლით დაეფარავ და იგი გაწითლდება, მაგრამ თქვენ, ვითარცა კურდღლები, ხევს შეეფარებით. — იქაც მოგწვდებით და არა მარტო ხმლით, არამედ ყინვაში დაგხოცავთ“.

განსაკუთრებული ინტენსივობით წარიმართა ეს პროცესი ერმოლოვისა და შემდეგ ვორონცოვის დროს. ამასთან ცარიზმის ბრძოლას მთიელთა წინააღმდეგ აუწერელი სისასტიკე ახასიათებდა. ხალხის წინააღმდეგობით გააფთრებული მეფის მოხელეები ერთიმეორეს თითქოს ეჯიბრებოდნენ მთიელი მოსახლეობის აწიოკებაში, მათ ძარცვა-გლეჯასა და ჟლეტაში.

კავკასია — ეს ვეებერთელა ციხე-სიმაგრეა, რომელსაც იცავს ნახევარმილიონიანი გარნიზონი. მასზე ან იერიშები უნდა მივიტანოთ ან ტრანშეებით ავიღოთ, — წერდა ერმოლოვი. ერმოლოვის ხსენებაც კი შიშის ზარს გვრიდა მოსახლეობას. „ერმოლუ-სარდარის“ სახელი საფრთხობელა იყო მთიელთათვის და ამ სახელით დედები ბავშვებს აშინებდნენ. ერმოლოვის „დამამშვიდებელი“ მისია მთიანეთში პასკევიჩმა განაგრძო, მას ნიკოლოზ პირველისაგან მიცემული ჰქონდა დავალება „მთიელი ხალხის სამუდამოდ დამორჩილების“ შესახებ.

კავკასიის მთიანეთის შემომტკიცებისათვის ბრძოლაში ცარიზმი დამშვიდებული სინდისით მიმართავდა ადგილობრივი მოსახლეობის ამოწყვეტის პოლიტიკას, იგი მიწასთან ასწორებდა სოფლებს, დაპყრობილ ადგილებში ასახლებდა რუს კოლონისტებს, აწყობდა მიუვალი სოფლების ბლოკირებას და შიმშილით ამოწყვეტის საშიშროებით აიძულებდა მათ მორჩილებას. „რუსეთის ბრძოლა დასავლეთ კავკასიის მთიელებთან განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ქვეყანას იპყრობდნენ და დამორჩილებულ მცხოვრებლებს დაუყოვნებლივ ასახლებდნენ იქიდან... მარტო ის ამბავი, რომ დასავლეთ კავკასიაში საომარმა მოქმედებებმა ისტორიული რუკიდან ამოიღეს ზოგიერთი კავკასიელი ტომი და

გაანადგურეს ხსენებაც კი მათ შესახებ — ლაპარაკობს კავკასიის ომების ამ უკანასკნელი მნიშვნელობის შესახებ", — ნათქვამია იმ საიუბილეო კრებულში, რომელიც ხსენებული ომების 50 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა თბილისში 1914 წელს[1].

კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა ცარიზმის ყაჩაღური კოლონიურ-დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ მთელი შესაძლებლობით აღდგა. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა აქ იარაღით მიმდინარეობდა და მთელ რიგ აჯანყებებში ვლინდებოდა. 1819 წელს ძლიერ აჯანყებას ჰქონდა ადგილი დაღესტანში. იგი ერმოლოვმა სისხლის მორევში ჩაახშო. აჯანყება ისევ განმეორდა 1823 წელს, მაგრამ ამჯერად ეს მოძრაობა მარცხით დამთავრდა. ცარიზმის წინააღმდეგ ჩეჩნების ბრძოლის ერთ-ერთი გულადი მეთაური იყო ბეიბულათი, რომელიც მთელი 30 წლის განმავლობაში მეთაურობდა პარტიზანულ ჯგუფებს, მოსვენებას არ აძლევდა რუსეთის საექსპედიციო ძალებს და მათ დიდ ზიანს აყენებდა.

რუსების წინააღმდეგ მძლავრ აჯანყებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე 1830, 1837 წლებში. ეს მოძრაობა შემდეგ თანდათანობით გაძლიერდა და 30—40-იან წლებში, გაეხვია რა მიურიდიზმის რელიგიურ სამოსელში, ქრისტიანების წინააღმდეგ საყოველთაო ომში გადაიზარდა.

ამ პირველი აჯანყების ძირითადი მიზეზი იყო თვით ცარიზმის უხეში პოლიტიკა. დამამცირებელი, გამომწვევი დამოკიდებულება მთიელებისადმი, მათი ადათების, ტრადიციების შეურაცხყოფა.

„...სრულიადაც არაა საჭირო სასწაულების მოშველიება იმისათვის, — აღნიშნავდა დობროლიუბოვი,— რომ გაარკვიოთ თავისუფალი მთიელი ხალხის სიძულვილი რუსული მმართველობისადმი; ყოველივე ამის გარკვევა ძალზე ადვილია: პირველი ის, რომ სიძულვილი უცხოელი ბატონისადმი საერთოდ ძლიერი იყო მთიელ ტომებში; მეორეც — ჩვენი მმართველობა კავკასიაში სრულიადაც არ ყოფილა შეხამებული ადგილობრივ

---

[1] Пятидесятилетие покорения Западного Кавказа и окончания Кавказской войны, 1914, стр. 5.

მოთხოვნილებებთან და ურთიერთობებთან"; ახასიათებდა რა ამ მოძრაობას საერთოდ, დობროლიუბოვი მიუთითებდა მის ხალხურ საფუძვლებზე, იმაზე, რომ „მთიელთა მხრივ ეს ბრძოლა მიმდინარეობდა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, მათი ყოფა-ცხოვრების წესების ხელშეუხებლობისათვის"[1].

XIX საუკუნის 30—40-იან წლებში კავკასიის მთიელი მოსახლეობის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის მიურიდიზმის ფორმით მიმდინარეობდა. მიურიდიზმი მუსლიმანური რელიგიის ერთ-ერთი რეაქციული სახესხვაობაა. იგი ჯერ კიდევ XVI საუკუნეში წარმოიშვა ბუხარაში; მისი საფუძვლები სუფიზმშია მოცემული. მიურიდიზმი მართლმორწმუნე მუსლიმანებისაგან მოითხოვს ისლამისადმი მონურ მორჩილებას, მისი სახელისათვის ურწმუნო „გიაურების" (ქრისტიანების) წინააღმდეგ საღვთო ომს. საიქიო შენდობას და ნეტარებას პირდება ყველა იმას, ვინც ამ ქვეყანაზე მეტ ურწმუნოს ანუ ქრისტიანს გაჟლეტს, მიურიდიზმი, ისევე როგორც ყველა სხვა რელიგია, იყო და არის კლასობრივი ჩაგვრის იარაღი. მუსლიმანურ სამყაროში მას გაბატონებული წრეები მოხერხებულად იყენებდნენ თავიანთი ბატონობისათვის, თავიანთი დამპყრობლური მიზნებისათვის.

კავკასიის მთიელ ტომებში მიურიდიზმის (თარიკათის) პირველი პროპაგანდისტი იყო მოლა-მუჰამედი. თარიკათი შემდგომ განავითარა და მას მეტი პოლიტიკური სიმახვილე შესძინა ყაზი-მუჰამედმა, რომელმაც რუსეთის წინააღმდეგ „საღვთო ომის" (ჰაზავათ) იდეა წამოაყენა.

ყაზი-მუჰამედის ქადაგებამ გავრცელება და მხარდაჭერა პოვა მთიელთა შორის. მის გარშემო შემოიკრიბნენ მეომრების (მიურიდების) მრავალრიცხოვანი რაზმები, რომლებიც მზად იყვნენ ებრძოლათ გიაურების წინააღმდეგ. ყაზი-მუჰამედი მიურიდების სასულიერო და საერო ხელმძღვანელი და მმართველი ანუ იმამი გახდა. მისმა მეომრებმა მეფის არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში რამდენჯერმე მოიპოვეს წარმატება, მაგრამ ერთ-ერთ ბრძოლაში ყაზი-მუჰამედი დაიღუპა.

---

[1] Н. Добролюбов, Полное собрание сочинений, том IV, 1937, стр. 149.

მის შემდეგ მიურიდებს ახალი ენერგიული წინამძღოლი გამოუჩნდათ. ეს იყო შამილი, რომელმაც იკისრა სათავეში ჩადგომოდა მეომრებს ჰაჯი-მურატისა (რუსეთის მოკავშირის) და რუსი გენერლების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1834 წელს შამილი იმამი გახდა.

შამილის სახელთან, რომელიც 25 წლის განმავლობაში ომობდა, დაკავშირებულია შეუპოვარი ბრძოლა რუსეთის მრავალრიცხოვან მხედრობასთან, მიურიდული მოძრაობის შემდგომი გაფართოება, ე. წ. მთიელთა ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. 30-იანი წლების ბოლოს შამილი თავისი მიურიდებით გამაგრდა მთიანი დაღესტნის ერთ-ერთ მიუვალ პუნქტში ახულგოში, რომლისთვის ბრძოლას ცარიზმმა დიდი ძალები შესწირა. მხოლოდ 1839 წელს, ბლოკადისა და საარტილერიო შეტევის შემდეგ, შეძლეს მეფის ჯარებმა ახულგოს დანგრევა, მაგრამ შამილი თავისი გადარჩენილი მხედრებით ჩეჩნეთში გადავიდა და ახლა ეს მხარე გადააქცია რუსეთის ძალებისათვის მიუვალად. მიურიდული მოძრაობა გაფართოვდა, შამილის დროშის ქვეშ დაღესტანთან ერთად გაერთიანდა ჩეჩნეთი, მისი გავლენა გავრცელდა ყაბარდოზე. შამილმა შექმნა მთიანეთის მართვის თავისებური ორგანიზაცია. 1840—1847 წლები იყო შამილის განსაკუთრებული ძლიერების ხანა, მისი ე. წ. „ბრწყინვალე ეპოქა“, როგორც მას ჩერნიშევსკი უწოდებდა.

ვორონცოვის მეთაურობით მოწყობილი ექსპედიციები შამილის წინააღმდეგ მარცხს განიცდიდა. 1840, 1845, 1946 წლების ბრძოლებში შამილმა სასტიკად დაამარცხა რუსთა ძალები. მან გადაიბირა აგრეთვე ყოფილი მტერი ჰაჯი-მურატი.

შამილი დიდ იმედებს ამყარებდა ყირიმის ომზე. ოსმალთა დახმარებით ვარაუდობდა კავკასიიდან რუსების განდევნას და მთიელთა სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებას.

შამილს აქეზებდნენ და იარაღითა და ფულით დახმარებას პირდებოდნენ არა მარტო თურქეთის მმართველი წრეები, არამედ ინგლისიც. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ამ მოძრაობით 40—50-იან წლებში ინგლისის აგრესიული საგარეო პოლიტიკის მესვეური პალმერსტონი. ყირიმის ომის პერიოდში შამილმა, როცა თურქები კავკასიას სამხრეთიდან

უტევდნენ, სცადა კიდეც საქართველოზე გავლით სამხრეთისაკენ გაჭრა, მაგრამ ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია.

შამილის მიერ შექმნილი სახელმწიფო ორგანიზაცია ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მოჩვენებითი იყო მისი დემოკრატიზმი. მისი ნაიბების ფეოდალური პარტიკულარიზმის ტენდენციები თანდათან გაძლიერდა. ყირიმის ომში წარუმატებლობის შემდეგ შეირყა მიურიდთა გამარჯვების რწმენაც. ხსენებული ომის შემდეგ ცარიზმმა გააძლიერა იერიშები, რაც 1859 წელს შამილის რეზიდენციის — გუნიბის აღებით დამთავრდა. შამილი დააპატიმრეს. ცარიზმმა უმკაცრესი ზომებით დააშოშმინა მთიანეთი. მისი ნაწილების გადასაბირებლად ფართოდ გამოიყენა მოსყიდვის პოლიტიკაც და კავკასიის მთიანეთის დაპყრობა-დამორჩილება ამრიგად დამთავრდა.

ისტორიკოსთა შორის დღემდე დავის საგანია რუსეთის წინააღმდეგ შამილის მეთაურობით მთიელთა ბრძოლის ხასიათი. 1950 წლამდე ეს მოძრაობა ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში საერთოდ აღიარებული იყო როგორც მთიელი ხალხის ბრძოლა ცარიზმის დამპყრობლურ-კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორც გამათავისუფლებელი, პროგრესული მოძრაობა. ერთ-ერთი პირველი ვრცელი გამოკვლევა ამ ბრძოლების შესახებ ცნობილ ისტორიკოსს პოკროვსკის ჰქონდა, მაგრამ პოკროვსკის შეხედულებანი, როგორც ცნობილია, დაგმობილ იქნა და ეს დიდი ისტორიკოსი, რომლის ნაშრომებით, მიუხედავად ზოგი შეცდომისა, აღფრთოვანებული იყო ვ. ი. ლენინი, გამოცხადებულ იქნა ანტიმარქსისტული ჯგუფის მეთაურად რუსულ ისტორიოგრაფიაში. გარდამტეხ პერიოდად შამილის მოძრაობის შეფასებაში შეიქმნა სტატია კავკასიის მიურიდიზმის შესახებ, რომელიც შამილის მეთაურობით მთიელთა ბრძოლებს ახასიათებდა უკიდურესად რეაქციულ, თურქეთის მიერ ინსპირირებულ მოძრაობად და თვით შამილს კავკასიაში თურქეთის აგენტად აცხადებდა. ამ თემას 1939 წელს სპეციალური გამოკვლევა უძღვნა ისტორიკოსმა ს. კ. ბუშუევმა („მთიელთა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის შამილის ხელმძღვანელობით“). ამ წიგნში მთიელთა ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ შეფასებულია როგორც დადებითი, პროგრესული; აღიარებულია მისი ეროვნულ-გამათავისუფლე-

ბელი ხასიათი[1]. მაგრამ იმავე ბუშუევმა 1950 წლიდან დიამეტრალურად შეცვალა თავისი შეხედულება მთიელთა მოძრაობაზე და 1955 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ეს მოძრაობა წარმოგვიდგინა როგორც უკიდურესად რეაქციული, ანტიხალხური გამოსვლა[2]. ამ მოძრაობის უარყოფითი შეფასებაა მოცემული აგრეთვე პროფ. ნ. სმირნოვისა[3] და ა. ფადეევის[4] ნაშრომებში, თუმცა ა. ფადეევს, რომელიც ჩვენ ამ პერიოდის კავკასიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარად მიგვაჩნია, წინააღმდეგ სმირნოვისა და ბუშუევისა, მონახული აქვს მიურიდიზმის სოციალური ბაზა კავკასიის მთიანეთში. ისტორიულ მეცნიერებაში ეს გაბატონებული შეხედულება არ გაიზიარეს მხოლოდ ისტორიკოსებმა ა. მ. პიკმანმა[5] და გ. დ. დანიალოვმა[6], რომლებმაც ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის“ ფურცლებზე სცადეს დაემტკიცებინათ ამ მოძრაობის კოლონიური ჩაგვრისაგან გამათავისუფლებელი, პროგრესული ხასიათი.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მიურიდიზმი თავისი შინაარსით რეაქციული იყო ყოველთვის. იგი ისლამის ერთ-ერთი ყველაზე შემტევი, აგრესიული ნაირსახეობაა. მაგრამ აქვე შეგვიძლია დავაყენოთ კითხვა — რატომ გავრცელდა იგი ასე მასობრივად კავკასიის მთიელთა შორის სწორედ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან? რატომ მანამდე არ იზიდავდა დაღესტნის

---

[1] С. К. Бушуев, Борьба горцев за независимость под руководством Шамиля, 1939.

[2] С. К. Бушуев, Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России (20—70 годы XIX в), 1955.

[3] Н. А. Смирнов, Реакционная сущность движения мюридизма и Шамиль на Кавказе (პროფ. ნ. ა. სმირნოვმა თავისი შეხედულება შამილის მოძრაობაზე შეცვალა 1963 წ. გამოცემულ წიგნში «Мюридизм на Кавказе».

[4] А. В. Фадеев, О внутренней социальной базе мюридистического движения на Кавказе в XIX в., Журн. «Вопросы истории», 1955, № 6.

[5] А. М. Пикман, О борьбе Кавказских горцев с царскими колонизаторами (Журн. «Вопросы истории», 1953, № 3).

[6] Г. Д. Даниалов, О движении горцев под руководством Шамиля (Журн. «Вопросы истории», 1955, № 7).

და ჩეჩნეთის მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIV საუკუნიდან და მუსლიმანობის ზედა ფენებში თითო-ოროლა მიმდევარი ჰყავდა? ამ კითხვას ჯერ კიდევ 1859 წელს გასცა პასუხი ჟურნალმა „სოვრემენიკმა“. დობროლიუბოვი ამ ჟურნალის ფურცლებზე წერდა: „ჩვეულებრივად ამ მოვლენას (მიურიდიზმს — ა. ს.) მიაწერენ იმ მღელვარებებს, რომლებიც დაიწყო შემდეგ ჩვენ მონა-მორჩილ დაღესტანში, მაგრამ ეს სრულიადაც არაა მართებული. რელიგიას თავისთავად, რა თქმა უნდა, შეუძლია ძლიერ გაიტაცოს ახლად მოქცეულნი, მაგრამ მიურიდიზმი ხომ სრულიადაც არ ყოფილა ახალი რელიგია. ეს იყო ისლამის იგივე მოძღვრება, მთიელთათვის დიდი ხნის ნაცნობი, მაგრამ აქამდე იგი მათ შორის ასე გავრცელებული არ ყოფილა. ცნობილია, რომ ყველა მუსლიმანისათვის მკაცრი აუცილებლობაა ყურანის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შარიათად იწოდება და თავისში შეიცავს სამოქალაქო დადგენილებებს. მეორე ნაწილი — თარიკათი, რომელიც გულისხმობს უმაღლეს ზნეობრივ კანონებს, ყველასათვის არაა ხელმისაწვდომი და ამიტომაც მისი მიმდევრები ყოველთვის წარმოადგენენ რაღაც სასულიერო ორდენებს მუსლიმანობაში. ესენი იყვნენ მიურიდები, ე. ი. ჽეშმარიტების მიმდევარნი. მიურიდიზმის მკაცრი მოძღვრება არასოდეს არ პოულობდა მიმდევართა ფართო წრეს. მიურიდები სარგებლობდნენ მუსლიმანთა დიდი პატივისცემით სპარსეთში, ბუხარაში, მაგრამ მას არასოდეს არ გაუტაცია ხალხთა მასები და არ მიუღია პოლიტიკური ხასიათი. უფრო ნაკლები იყო მისი გავლენა კავკასიაში დაჭუცმაცებულ ტომებს შორის, რომლებიც ამავე დროს ცუდი მუსლიმანებიც იყვნენ.

1824 წელს თითქოს არაფერს აღარ შეეძლო ჩვენი ხელიდან დაღესტნის გამოგლეჯა, თუმცა სწორედ ამ დროს, გაბატონებისთანავე, ჩვენმა ხელისუფლებამ რყევა იწყო. ამის ახსნა უნდა ვეძებოთ არა მიურიდიზმის წარმატებებში, პირიქით — თვით მისი (მიურიდიზმის) წარმატებანი უნდა ავსხნათ რუსული მმართველობისადმი მთიელთა მტრობით“[1].

აქ სავსებით მართებულადაა კითხვაზე პასუხი გაცემული.

---

[1] Журн. «Современник», № 78, 1859, стр. 22—26.

მიურიდიზმი — ესე იგი ქრისტიანებისადმი შეურიგებელი მტრობა, მათი მოსპობის სულისკვეთება, ამქვეყნიური მძიმე ყოფისადმი შერიგება და მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლა გიჟურების გასაჟლეტად, იმქვეყნიური ნეტარების მოსაპოვებლად ხალხში პოპულარული გახდა და მან მასები აიყოლია სწორედ იმ ვითარებაში, როცა ცარიზმი ცეცხლითა და მახვილით შეესია მთას, დაიწყო მთიელი ტომების ჟლეტა, აყრა-გადასახლება, ადათ-ჩვეულებების შეურაცხყოფა, კარჩაკეტილი, პრიმიტიული, მაგრამ მაინც თვითმყოფადი ცხოვრების აფორიაქება. ამრიგად, მიურიდიზმის მასობრივი გავრცელების საფუძველი მდგომარეობდა ცარიზმის მიერ მთიელთა წინააღმდეგ აღებულ კურსში, რაც მათ ეკონომიურ გაჩანაგებას და პოლიტიკურ დაკაბალებას იწვევდა. ცხადია, აქ ერთგვარი გავლენა ჰქონდა სულთანური თურქეთის მიერ გაჩაღებულ პროპაგანდასაც, მაგრამ ეს პროპაგანდა ნაყოფიერ ნიადაგს სწორედ ზემოდასახელებულ მიზეზთა გამო პოულობდა. ისტორიაში არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა დაჩაგრული მასების სოციალური პროტესტი რელიგიური ბრძოლის სამოსელში გამოვლინებულა. ამაზე მიუთითებს ენგელსი. რელიგიური გარსის ქვეშ პოლიტიკური პროტესტით გამოსვლა ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი მოელენაა მისი განვითარების განსაზღვრულ სტადიაზე და არა მარტო რუსეთისათვისო. — წერდა ვ. ი. ლენინი.

ამ მოძრაობის რეაქციულობის დასასაბუთებლად ზოგიერთი მკვლევარი წინა პლანზე აყენებს შამილის კავშირს ინგლისისა და თურქეთის მმართველ წრეებთან. მართლაც, თურქეთის სულთანი და მის ზურგს უკან მდგომი ინგლისელი კოლონიზატორები ყოველმხრივ ცდილობდნენ შამილთან კავშირის დამყარებას, გზავნიდნენ იქ თავის ემისრებს. შამილი იმედოვნებდა, რომ მის ბრძოლას რუსების წინააღმდეგ თურქები და ინგლისელები რეალურად დაუჭერდნენ მხარს, მაგრამ ოურქეთის და ინგლისის დახმარება მხოლოდ სიტყვიერი, გამამხნევებელი აღმოჩნდა. პრაქტიკულად ყირიმის ომამდე ინგლისსა და თურქეთს რაიმე სერიოზული დახმარება შამილისათვის არ გაუწევიათ. შამილისათვის წაყენებულ ამ ბრალდებასთან დაკავშირებით ისტორიკოსი ა. მ. პიკმანი წერს: „მთიელებს თავს დაესხნენ მეფის კოლონიზატორები; მათ აულებს წვავდნენ, მო-

სახლეობას ჟლეტდნენ. განა ამ ვითარებაში შამილს და მთიელებს არ შეეძლოთ ესარგებლათ დახმარებით, საიდანაც არ უნდა ყოფილიყო იგი?

პატარა ხალხი, რომელსაც თავს დააცხრა მეფის კოლოსალური იმპერია, საჭიროებდა დახმარებას იარაღის მხრივ. თავისი სიცოცხლის და თავისი სამშობლოს დასაცავად იგი იძულებული იყო მიეღო იარაღი იქიდან, სადაც კი მას იშოვიდა. პოლონელი მეამბოხეებიც, მაძინიც, გარიბალდიც, კოშუტიც ასევე სარგებლობდნენ ამ მიზნით უცხოელთა დახმარებით. თუ მეფის რუსეთს „უფლება ჰქონდა“ უცხოელ სახელმწიფოებთან კავშირისა და მათგან დახმარებას ღებულობდა, რატომ მთიელებს, რომლებიც თავის ქვეყანას იცავდნენ ცარიზმისაგან, თავის თავისათვის უნდა წაერთმიათ ეს უფლება?“[1].

ცნობილია ხალხური ანდაზა — როცა ადამიანი წყალში იხრჩობა, თავგადასარჩენად ხელს გველსაც კი წაავლებსო. ასეთი მოქმედებისათვის ადამიანს როდი ასამართლებენ. თუმცა ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მთიელები თურქი ემისრების და ინგლისელი აგენტების საქმიანობას ენთუზიაზმით სრულებითაც არ ეგებებოდნენ. დოკუმენტების კრებულში, რომელიც საქართველოს ცენტრალურმა საარქივო სამმართველომ გამოსცა შამილის თურქეთისა და ინგლისის აგენტობის ცხადსაყოფად, ცოტა როდია დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს თურქეთისა და ინგლისის გეგმების კრახზე მთიანეთში. დასახელებული გამოცემიდან ჩანს, რომ მთიელები სრულებითაც არ იყვნენ განწყობილნი რომელიმე უცხო სახელმწიფოს ინტერესებისათვის ემოქმედათ. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ თურქეთის იმპერიასთან ჩერქეზეთის შეერთების პერსპექტივა ოდნავადაც არ იწვევს მოსახლეობის აღფრთოვანებასო. თვით შამილი დიდად უკმაყოფილო იყო თურქეთით. ილიკო ორბელიანი, რომელიც ტყვედ იყო შამილთან, თავის ჩვენებაში ამბობს: „როცა მე ვკითხე შამილს, თუ რატომ არ აიღებს მაგალითს თურქეთის სულთნისაგან და არ იცხოვრებს მეგობრულად რუსეთთან, მაშინ ხომ დაღესტნელები რუსეთთან სარგებლობას ნახავდნენ

---

[1] А. М. Пикман, О борьбе кавказских горцев с царскими колонизаторами, журн. «Вопросы истории», № 7, 1956, стр. 80.

და შეძლებდნენ მშვიდად შეესრულებინათ თავიანთი შარიათიო, — შამილმა მიპასუხა: „რასაკვირველია, მაგრამ ნუთუ შენ ფიქრობ, რომ სულთანი მუჰამედის კანონის ერთგული შემსრულებელია, ხოლო თურქები — ჭეშმარიტი მაჰმადიანები? ისინი გიაურებზე უარესნი არიან. ოჰ, რომ ხელში ჩამივარდებოდნენ, მე მათ დავჩეხდი ოცდაოთხ ნაჭრად, დავიწყებდი სულთნიდან. იგი ხედავს, რომ ჩვენ მისი ერთმორწმუნენი ვართ. რამდენი წელია ვებრძვით რუსეთს ღვთისა და რწმენისათვის, რატომ არ გვეხმარება?“[1].

დასაბუთებული არაა ზოგიერთი ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს მიურიდიზმს არავითარი დასაყრდენი არ ჰქონია მთიელთა ფართო მასებში, რომ თითქოს შამილი ეყრდნობოდა მხოლოდ „ფანატიკოსთა ხროვას“, „მიურიდთა ბანდებს“, რომ დაბალი მოსახლეობა, პირიქით, აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა ამ მოძრაობას და ცარიზმის მომხრედ გამოდიოდა.

ცნობილია, რომ შამილმა 60-ათასიანი არმია შექმნა. მან კავკასიის მთიანეთი წლების განმავლობაში მიუვალ სიმაგრედ გადააქცია, ასე მრავალრიცხოვანი, მისდამი თავდადებული, ენთუზიაზმით მებრძოლი არმიის შექმნა შამილს, ცხადია, არ შეეძლო, არც იძულებით, არც ერთი მუჭა ფანატიკოსებით ყველა მონაცემით მტკიცდება, რომ რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის დაბალი ფენებიც აქტიურად მონაწილეობდნენ, რომ მის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა უზდენთა მასა, რომელსაც მოსვენებას არ აძლევდა, ერთი მხრივ, ცარიზმის კოლონიური რეჟიმი, მეორე მხრივ, ფეოდალური ექსპლოატაცია. მოსახლეობის სხვადასხვა ფენას ამ მოძრაობაში, მართალია, სხვადასხვა სოციალური ინტერესი ამოძრავებდა, მაგრამ იმ პერიოდში თავისი დამოუკიდებლობის დაცვის სულისკვეთებამ ყველა ისინი გააერთიანა ერთი რელიგიური მოძღვრების ქვეშ და ეს რელიგია, რეაქციული შინაარსის მიუხედავად, წარმოადგენდა მხოლოდ გარსს პროგრესული მიზანდასახულობისათვის ბრძოლაში.

---

[1] იხ. გ. დ. დანიალოვის სტატია—«О движении горцев под руководством Шамиля», журн. «Вопросы истории», № 7, 1957, стр. 70.

რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ანტიკოლონიური ძოძრაობა ამ დროს არ ყოფილა დამახასიათებელი მხოლოდ კავკასიის მთიელებისათვის, ამ მოძრაობის გამომწვევი და გამღვივებელი არ ყოფილა მხოლოდ მიურიდიზმი.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ცარიზმის რეჟიმისა და ადგილობრივი ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ მთიანეთთან ერთად ბრძოლისათვის აღდგა აზერბაიჯანის გლეხობა. 1830 წელს მსხვილი აჯანყება მოხდა ჭარ-ბელაქანში. ამავე წელს სერიოზულ მღელვარებას ჰქონდა ადგილი თალიშის პროვინციაში. განსაკუთრებით ფართო ხასიათისა იყო ყუბის გლეხობის აჯანყება 1837 წელს, რომელშიც 12 ათასამდე გლეხი მონაწილეობდა. ყუბელებმა ურთიერთობა დაამყარეს შამილთან. შამილი გლეხებს მოუწოდებდა: არ ნდობოდნენ მეფის მოხელეებს და მასთან ერთად ებრძოლათ დამოუკიდებლობისათვის. ცარიზმი ყველა ამ აჯანყებას სასტიკად უსწორდებოდა[1].

ამავე პერიოდის ანტიკოლონიური ხასიათის აჯანყებანი ცნობილია სამხრეთ ოსეთში, სომხეთში.

ამრიგად, ცარიზმის კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა კავკასიაში თითქმის ერთდროულად გაღვივდა და დაიწყო ჩაგრული მასების მოძრაობა, რომელიც მთლიან რკალად ერტყმოდა კავკასიას. მოძრაობის ასეთი მასობრიობა და ერთდროულობა იმაზე მიგვითითებს, რომ იგი აღმოცენებული იყო შინაგან საფუძველზე და თავისი ხასიათით, დანიშნულებით თითქმის ერთგვარი იყო. ყველა ეს აჯანყება სოციალური და კოლონიური ჩაგვრისადმი მძაფრი პროტესტის გამოხატულებას წარმოადგენდა და შენაკადი იყო იმ მძლავრი ანტიბატონყმური ბრძოლისა, რომელსაც ამ დროს რუსეთის გლეხობა ეწეოდა. ერთიც და მეორეც იბრძოდა, ასუსტებდა ცარიზმის ბურჯებს, მის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას.

მაგრამ შამილის მეთაურობით მთიელთა ბრძოლა ცარისტული კოლონიზატორების წინააღმდეგ, მისი სამართლიანობის, მისი პროგრესული ხასიათის მიუხედავად, მაინც ვერ ჩაითვლება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობად. როგორც

---

[1] იხ. История Азербайджана, т. II, 1960.

ვნახეთ, ეროვნულ-გაძათავისუფლებელი მოძრაობა უნდა მეცავდეს ორ ძირითად კომპონენტს მაინც. ერთი — ბრძოლა პოლიტიკური მჩაგვრელის, დამპყრობლის წინააღმდეგ და მეორე — ბრძოლა ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა თავისი შინაარსით ბურჟუაზიული ეპოქის მოძრაობაა. ერის კონსოლიდაციის, მისი გათვითცნობიერების, ფეოდალური დაქსაქსულობისა და დამყაყებული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლაა, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური პროგრამა გააჩნია. ასეთი პროგრამა, ასეთი მიზანდასახულობანი კავკასიის მთიელთა ბრძოლაში არ ჩანს. მთიანეთი ამ დროს ფეოდალური ფორმაციის დამკვიდრების პროცესშია. მთის სოციალური წყობა გარდამავალია პატრიარქალურ-გვაროვნული ფორმაციიდან ფეოდალურში. აქ არ იყვნენ და არც შეიძლებოდა ყოფილიყვნენ საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც ფართო ეროვნული პროგრამით გამოვიდოდნენ. ამიტომაცაა, რომ წამახალისებელ ეროვნულ ლოზუნგებს, ეროვნულ პროგრამას მოკლებული გამოსვლა მჩაგვრელთა წინააღმდეგ ადვილად ეხვევა რელიგიურ სამოსელში. ამიტომაც გადაჭარბებულად მიგვაჩნია ზოგიერთი ავტორის მისწრაფება მოაქციოს მთიელთა ეს ბრძოლა ეროვნული მოძრაობის ჩარჩოებში. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ამისათვის გვეწოდებინა ანტიკოლონიური მოძრაობა, სახალხო-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც, როგორც ცნობილია, ხშირად ჰქონდა ადგილი ფეოდალური ეპოქის იმ ხალხთა ცხოვრებაში, რომლებიც უცხოელ დამპყრობთა უღელქვეშ იყვნენ მოქცეულნი.

ასევე გადაჭარბებულია ზოგი ავტორის მტკიცება შამილის სახელმწიფოს დემოკრატიულობის შესახებ. შამილის ღონისძიებანი, მართალია, მიმართული იყო მთიელი ბეგ-ხანების დამოუკიდებელი, გაბატონებული მდგომარეობის წინააღმდეგ, მართალია, მან გაანადგურა ხანებისა და ბეგების ძირითადი პრივილეგიები, ცდილობდა იმასაც, რომ სახელმწიფოს მართვა გონიერად წარემართა, დაეძლია მთის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა, ერთგვარად ხელი შეუწყო კიდეც პროგრესს მთიელთა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ისევ ფეოდალური რეჟიმის განმტკიცების გზით

მიემართებოდა. მისი ნაიბები ახალ ფეოდალებად იქცნენ მთაში. ლაპარაკი რაიმე დემოკრატიზმზე, რომლის ქვეშ ჩვენ ამ დროისათვის მხოლოდ ბურჟუაზიული დემოკრატიზმი უნდა გვესმოდეს, ვფიქრობთ, შეუძლებელია.

ვაფასებთ რა კავკასიის მთიანეთის ბრძოლას ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, ჩვენ ამ მოძრაობის მნიშვნელობა უნდა განვიხილოთ იმ კუთხითაც, რითაც შეფასებულია დაახლოებით ამავე პერიოდის რუსეთის განაპირა მხარეებისა და მისი დამორჩილებული ქვეყნების (პოლონეთის და სხვ.) მოძრაობანი. 1830—1840-იან წლებში რუსეთის ცარიზმი წარმოადგენდა ევროპის ჟანდარმს, იგი რეაქციული „საღვთო კავშირის“ მოთავე იყო და ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთის რეაქციულ მმართველ წრეებთან ერთად ევროპაში სისხლში ახშობდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას, გამოდიოდა ხალხთა ცხოვრებაში პროგრესის—ფეოდალიზმთან შედარებით მოწინავე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების გამარჯვების წინააღმდეგ. პოლონელი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის 1830 და 1863 წლებში, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის განაპირა მხარეებში ასუსტებდა რუსეთის ცარიზმის, როგორც ევროპის ჟანდარმის, პოზიციებს. საკუთარ სახლში ხანძრის შიში ხელ-ფეხს უბოჭავდა ცარიზმის ფართო რეაქციულ გეგმებს ევროპაში ლეგიტიმიზმის შესანარჩუნებლად, ასუსტებდა თვითმპყრობელობის სამხედრო-პოლიტიკურ სისტემას, აღრმავებდა ამ სისტემის კრიზისს, ერთვოდა და ავსებდა რუსი ხალხის დიდ გამათავისუფლებელ მოძრაობას. ცნობილია, რომ მარქსი და ენგელსი სწორედ ამ კუთხით განიხილავდნენ პოლონეთის მოძრაობის მნიშვნელობას. ამ მხრივ მათ პროგრესულ მოვლენად მიაჩნდათ შამილის ბრძოლაც. 1864 წელს მარქსი ენგელსს სწერდა, რომ საგანგებო ნაბიჯი, რომელიც რუსებმა განახორციელეს ახლა კავკასიაში და რომელსაც ევროპა თვალყურს ადევნებს იდიოტური გულგრილობით, თითქმის აიძულებს მათ დახუჭონ თვალები იმაზე, რაც ხდება მეორე მხარეზე და უმსუბუქებს მათ ამ შესაძლებლობას. ამ ორ საქმეს: პოლონეთის აჯანყების ჩახშობას და კავკასიის დაპყრობას მე ვთვლი

ყველაზე სერიოზულ ევროპულ მოვლენად 1815 წლის დროიდანო[1].

ამ წერილიდან ჩანს, რომ მარქსს პოლონეთის აჯანყების ჩაქრობა 1863 წელს და კავკასიაში მთიელთა დამარცხება მიაჩნდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთო-ევროპულ მოვლენებად ვენის კონგრესის შემდეგ, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენდა საერთო-ევროპულ პროგრესულ მოძრაობაზე. ენგელსი თავის სტატიაში „ომის შესახებ მთიან პირობებში" შამილის მოძრაობას ნაციონალური აჯანყებისა და პარტიზანული ომების ჩარჩოებში ათავსებდა. მარქსი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მთიელთა ბრძოლას და წერდა, რომ კავკასიელ მთიელთა მიერ დაწყებულია საერთო ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიც შამილმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და ხელთ იგდო არა ნაკლებ ოცდასამი ზარბაზნისაო[2].

ასეთსავე შეფასებას აძლევდნენ ამ მოძრაობას რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი. მათ ესმოდათ, რომ ეს მოძრაობა მართალია სხვა კუთხით, მაგრამ მაინც მიმართული იყო იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელსაც რუს რევოლუციონერთა თაობა სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა.

კავკასიის რუსეთთან შეერთებას კავკასიელი ხალხის ცხოვრებაში ობიექტიურად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს სულ სხვა მხარეა, რაც ცარიზმის სუბიექტურ მიზანდასახულობათა საპირისპიროდ ხორციელდებოდა. ეს მოძრაობა კი ცარიზმის სუბიექტური მიზანდასახულობის, მისი კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. კავკასიის ხალხები აქ ებრძოდნენ არა რუს ხალხს, რომელთანაც ერთობა მათ დადებითად მიაჩნდათ, არამედ მეფის რეაქციონერ მოხელეებს, მეფის ჩინოსან გენერლებს, რომლებიც რუს ჯარისკაცებს მათივე ინტერესების წინააღმდეგ მრავალ უსამართლო ომში მიერეკებოდნენ. თუ მხოლოდ და მხოლოდ ისტორიული პერსპექტივის პოზიციიდან გამოვალთ და ყურად-

---

[1] იხ. К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. XXIII, стр. 188.

[2] იქვე, ტ. XIV, გვ. 410.

ღებას არ მივაქცევთ მოძრაობის კონკრეტულ პირობებსა და მიზანდასახულობას, მაშინ საერთოდ უნდა უარვყოთ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, მჩაგვრელთა წინააღმდეგ დაჩაგრულთა გამოსვლის პროგრესულობა. ეს კი ლენინიზმის დებულებებს ეწინააღმდეგება.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცარიზმის კოლონიზატორული რეჟიმის წინააღმდეგ კავკასიის მთიანეთის, კერძოდ, დაღესტნის ბრძოლის შეფასებაში ზოგი თანამედროვე საბჭოთა ისტორიკოსი ვერ იჩენს ობიექტურობას. ისინი მიუთითებენ, რომ ქართველ-რუსთა ბრძოლა შამილის წინააღმდეგ ეს იყო ბრძოლა საქართველოს ინტერესების სამსახურისათვის, რადგან ქართველები მიურიდებში ხედავდნენ საკუთარ „ისტორიულ მტრებს“, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას ბევრი სისხლი ადინეს და მისი სოფლები გააუკაცურესო. ეს თვალსაზრისი არ არის მართებული. შამილის წინააღმდეგ ომში მართლაც მონაწილეობდნენ ჩინ-მედლების მოყვარული ქართველი გენერლები, რომლებიც, ცარიზმის წინააღმდეგ უიღბლო შეთქმულების შემდეგ მონარჩის თვალში სახელგატეხილნი, ამ ომით ფიქრობდნენ რუსთა მეფის გულის მოგებას და ძველი „ცოდვების“ გამოსყიდვას. ქართველი ხალხი კი მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში არ მონაწილეობდა და ეს მონაწილეობა არც შეადგენდა მის ინტერესს, რადგან მთიელები ებრძოდნენ კოლონიზატორებს, რომლებიც საქართველოშიც ატარებდნენ ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკას. საქართველოს მოსახლეობა შამილის წინააღმდეგ მართლაც აღსდგა ყირიმის ომის პერიოდში, მაშინ როდესაც შამილის რაზმები კახეთს დაესხნენ და ვარაუდობდნენ თურქეთის ძალებისაკენ გაჭრას, მაგრამ ეს ცალკე ეპიზოდი არ გამოდგება ამ მოძრაობის საერთო ხასიათის შესაფასებლად, რადგან ზოგიერთ მომენტში მაინც საერთო ჰქონდა იმ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელიც ამ დროიდან საქართველოში აღმავლობას იწყებდა.

მოკლე დასკვნები

„ბარათაშვილის ეპოქა“, რომლის ქარგა დაახლოებით მთელი XIX საუკუნის პირველი ნახევარია, აღსავსეა მეტად რთული, წინააღმდეგობრივი, ამასთან საინტერესო საზოგადოებრივი მოვლენებით. ამ საუკუნის დასაწყისში რუსეთთან შეერთებამ განსაზღვრა საქართველოს ისტორიული ბედი. შეერთება, მიუხედავად ცარიზმის მწვავე კოლონიური რეჟიმისა, ობიექტურად პროგრესული იყო. ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში აზვირთებული მასობრივი მოძრაობა ასევე პროგრესული იყო და წარმოადგენდა შენაკადს იმ დიდი სოციალური ბრძოლისა, რომელსაც რუსეთის დაჩაგრული მასები ფეოდალურ-ბატონყმური რუსეთის დრომოჭმული წყობილების წინააღმდეგ ეწეოდნენ. 1802 წლის ფრონდა და გლეხთა მასობრივ აჯანყებებთან მიტმასნული თავადური მოძრაობანი 1804, 1812 და 1819—1820 წლებში იყო ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის გამოხატულება.

სრულიად სხვაგვარია თავისი ხასიათით 1832 წლის შეთქმულება, რომელმაც ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. დროულია, რომ 1832 წლის შეთქმულების შესახებ დოგმად ქცეული თვალსაზრისი, რომელიც ფაქტიურ მონაცემებს არ ემყარება და ხელოვნურადაა მიყენებული შეთქმულებისადმი, საბოლოოდ იქნეს უკუგდებული.

ყველა მონაცემი სახეზეა იმ თვალსაზრისის დასამკვიდრებლად, რომ 1832 წლის შეთქმულება ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საწყის ეტაპად და ერის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვან მოვლენად გამოვაცხადოთ. შეთქმულება თავისი შინაარსით

პროგრესული იყო და ცარიზმის კოლონიური უღლისაგან საქართველოს განთავისუფლების საქმეს ემსახურებოდა. შეთქმულთა საქმიანობის მთელი პერიოდი ქართველი ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების უჩვეულო გამოცოცხლებითა და აღმავლობით აღინიშნა. შეთქმულებამ, დამარცხების მიუხედავად, ქართული ეროვნული ცხოვრების ხნულში ჩადო გამათავისუფლებელი ბრძოლის თესლი, რომელმაც 60—70-იან წლებში გაიხარა.

დროა ქართველ სახელოვან ოცდაათიანელებს, რომლებსაც აცისკროვნებთ ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანების, სოლომონ დოდაშვილის, სოლომონ რაზმაძის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვათა სახელები, ჩამოსცილდეთ ლაქა „თავადურ-მონარქიული ნაციონალიზმის“ და რეაქციულობისა და მათი მოძრაობა რუსეთის თავადაზნაურ-რევოლუციონერების (დეკაბრისტები და გერცენი) მოძრაობის შენაკადად იქნას აღიარებული.

XIX საუკუნის 30—40-იანი წლები მთლიანად წარმოადგენს საქართველოში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველ პერიოდს.

1832 წლის შეთქმულების ტრაგიკული ფინალის შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილს წილად ხვდა აეტაცა ეროვნული მოძრაობის დროშა და ამ მოძრაობის მსოფლმხედველობრივი დასაბუთება მოეცა.

XIX საუკუნის 60—70-იანი წლებში თერგდალეულებმა ამ დროშაზე ეროვნული თავისუფლების ლოზუნგს დემოკრატიული რევოლუციის ლოზუნგი დაუმატეს.

ამრიგად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის 60—70-იან წლებში პირდაპირი გაგრძელება და გაღრმავებაა ოცდაათიანელთა იდეოლოგიისა და ეროვნული მოძრაობის მეორე, ახალი საფეხურია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე XIX საუკუნის საზოგადოებრივ-იდეური მოძრაობის საყრდენ ბურჯებს წარმოადგენენ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორისაგან 5

თ ა ვ ი I

საქართველოს რუსეთთან შეერთება და ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა ამიერკავკასიაში . 13

1. რუსეთი XVIII—XIX საუკუნეების მიჯნაზე . 15

2. საქართველო და ამიერკავკასია რუსეთ-ინგლის-საფრანგეთის სტრატეგიულ გეგმებში . . 30

3. საქართველო-ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობა ცარიზმის მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში 67

4. ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკა საქართველოში 91

თ ა ვ ი II

კახეთის თავადური შეთქმულება 1802 წელს 151

თ ა ვ ი III

მასობრივი მოძრაობანი XIX საუკუნის პირველ მეოთხედში 184

1. ქართლის მთიანეთის აჯანყება 1804 წელს 185

2. 1812 წლის აჯანყება კახეთში . 193

3. 1819—1820 წწ. აჯანყება იმერეთში 202

XIX საუკუნის პირველი მეოთხედის მასობრივ მოძრაობათა ხასიათის შესახებ 212

თ ა ვ ი IV

1832 წლის შეთქმულება . . . 241

1. შეთქმულების აღმოცენება, საქმიანობა და პროგრამა 241

2. დაპატიმრება, სასჯელი . . 264

1832 წლის შეთქმულების გაშუქება ქართულ ისტორიოგრაფიაში 269

1832 წლის შეთქმულება და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპის დასაწყისი საქართველოში 291

თ ა ვ ი V

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა 40—50-იან წლებში 327

1. ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ . 327

2. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი აღმავლობის სოციალურ-ეკონომიური წანამძღვრები 362

3. ორი მიმართულება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში 370

კავკასიის მთიანეთის ანტიკოლონიურ-გამათავისუფლებელი მოძრაობა 387

შოკლე დასკვნები 405

407

Акакий Несторович Сургуладзе

Эпоха Николоза Бараташвили

(Исторический очерк)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5,
1968

რედაქტორი დამიანე გოგოხია

გამომცემლობის რედაქტორი მ. ქანთარია
მხატვარი დ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ნ. ოსკანოვი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორი ო. ციხაძე

გადაეცა წარმოებას 17/VII-68 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/IX-68 წ.
ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂.
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21,42.
საღრ.-საგამომცემლო თაბახი 19,2.
უე 00307. ტირაჟი 2.000. შეკვ. № 926.
ფასი 1 მან. 87 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4
Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати